ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები

XI

თბილისი
2011

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები

XI

Questions of the Structure of Kartvelian Languages

ეძღვნება აკადემიკოს ვარლამ თოფურიას
დაბადების 110-ე წლისთავს

თბილისი 2011 Tbilisi

მთავარი რედაქტორი
მერაბ ჩუხუა

Editor-in-chief
Merab Chukhua

სარედაქციო კოლეგია
ავთანდილ არაბული
მარინე ბერიძე
გიორგი გოგოლაშვილი
ლალი ეზუგბაია
გუჩა კვარაცხელია
ნანა მაჭავარიანი
ომარ მემიშიში
მურმან სუხიშვილი
თედო უთურგაიძე
ნათელა ქუთელია
†მიხეილ ქურდიანი
ვაჟა შენგელია
იზა ჩანტლაძე

Editorial Board
Avtandil Arabuli
Marine Beridze
Giorgi Gogolashvili
Lali Ezugbaia
Gucha Kvaratskhelia
Nana Machavariani
Omar Memishishi
Murman Sukhishvili
Tedo Uturgaidze
Natela Kutelia
Mikheil Kurdiani
Vaja Shengelia
Iza Chantladze

მ ი ს ა მ ა რ თ ი :
0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :
0108 Tbilisi, Ingorokva str. 8
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: contakt@ice.ge

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN 99940-864-7-2

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თ. გაბროშვილი**
რ. გრიგოლია
რ. პაპიაშვილი
რ. რატიანი

ავთანდილ არაბული

ვარლამ თოფურიას ადგილისათვის XX საუკუნის ქართველოლოგიაში

ახალ საუკუნეთა მიჯნაზე, ამ ურთულეს ისტორიულ ცვლილებათა ჟამს, მოვალეობას რომ თავი დავანებოთ, თანამედროვეობას უთუოდ სჭირდება და შეეფერება ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების არდავიწყება და შეძლებისდაგვარად გააზრება, როგორიც ვარლამ თოფურიას ცხოვრება და ღვაწლი გახლავთ.

გახსენება გარდასულებს არ სჭირდებათ, ის აწმყოს სჭირდება მომავლისათვის გადასაცემად, მით უფრო მაშინ, როცა მომავლისათვის გადასაცემის დიდი წილი საკუთარზე კი არა, წარსულის ნამემკვიდრეებზე მოდის. წარსულსა და მომავალს შორის, აი, ამგვარი (ილიას გამოთქმით) „შემაერთავი ხიდია“ ვარლამ თოფურიას სახელი და ნამოღვაწარი.

ამ საუკუნეთა შესაყარზე (და — გასაყარზე) დედაუნივერსიტეტის ასწლოვანთა გახსენებას ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს: ამით ჩვენ ერთხელ კიდევ უშუალოდ განვიცდით გასული საუკუნის დასაწყისის ეროვნული ენერგიის მძლავრ ემანაციას და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმ როლს, რაც ეროვნულმა უნივერსიტეტმა შეასრულა XX საუკუნეში, ქვეყნის არსებობის სრულიად ახალ ეტაპზე.

ასწლოვანთა მემორიალურ ღონისძიებებში, ჩვეულებისამებრ, ჯერ კიდევ უმნიშვნელო როლს არ თამაშობს მოგონებათა ანუ „ეგოს“ წილი, მაგრამ, ამავე დროს, საუკუნოვანი თარიღი ის მიჯნაც არის, რომელიც მოღვაწისა და მისი ნამოღვაწარის ჭეშმარიტ მნიშვნელობას სრულად და ობიექტურად წარმოაჩენს, როცა ამ რიგის აქტიურობას პიროვნული მოვალეობა კი არა, ობიექტური ისტორიული ვალდებულება განაპირობებს... ყოველ შემთხვევაში, უკვე ჩვენი თაობისათვის ვარლამ თოფურია ის წარსულია, რომლის მიღებასა და შეფასებას არც ხელს უწყობს და არც ხელს უშლის თაობათა შორის პირადი ურთიერთობის მომენტი. ჩვეულებისამებრ, რაც

დრო გადის, ეს დისტანცია წარსულთან მით უფრო იზრდება და მით უფრო მეტ ფასსა და წონას იძენს მოღვაწის ჭეშმარიტი როლი და მნიშვნელობა ისტორიის წინაშე.

შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას, რომ ვარლამ თოფურიას ფიგურა ერთი საუკეთესო განმასახიერებელია იმ ჭეშმარიტი მოღვაწისა, რომლის მეცნიერული მემკვიდრეობა დროთა განმავლობაში სულ მეტსა და მეტ მნიშვნელობას შეიძენს, ხოლო მისი პიროვნება საუკეთესოდ გამოხატავს დედაუნივერსიტეტის წიაღში ეროვნული ენერგიის ემანაციის ზემოაღნიშნულ მოვლენას. მოღვაწის ცხოვრების გზა — დაწყებული ერთი პატარა ქართული სოფლის სკოლიდან და დამთავრებული დედაუნივერსიტეტითა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიით — კვლავაც არაერთი თაობისათვის იქნება წარუვალი მაგალითი და გაკვეთილი პიროვნების სრული სულიერი თვითგამოვლენისა და თვითდამკვიდრებისა.

ვარლამ თოფურია, განგების ნებით, სწორედ XX საუკუნის გარიჟრაჟზე მოევლინა ამ ქვეყანას; იგი დაიბადა 1901 წლის 8 იანვარს, ანუ ქართული მართლმადიდებლური კალენდრით, ქრისტეშობის მეორე დღეს. ალბათ შეუძლებელია, მოვლენათა ასეთი დამთხვევა ახალყრმის მშობლების ოჯახში და მშობლიურ სოფელ ონტოფოში ჯერ კიდევ ტრადიციულ, მორწმუნე საზოგადოებას რაღაც საგანგებო შემთხვევად არ აღექვა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დიდ ადამიანებზე საუბრისას ისეთ დიდ უხერხულობას არაფერი იწვევს, როგორც ორი რამ: ერთი — დაბადების ადგილის დაზუსტება და მეორე — მათი მოღვაწეობის დროდ საბჭოთა ეპოქის დასახელება (მით უფრო — იმდროინდელი ქართული მეცნიერების „საბჭოთა მეცნიერებად“ მოხსენიება).

მეორე ნიშანდობლივი დამთხვევა ის არის, რომ ვარლამ თოფურია ხდება ახალდაარსებული ეროვნული უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, მაგრამ შეუძლებელია რამდენადმე მაინც აღვადგინოთ ის ამაღლებული განცდა, რაც ივანე ჯავახიშვილის პირველწვეულთ უნდა დაუფლებოდათ უნივერსიტეტის ზღურბლზე გადაბიჯებისას. ამ თაობის მოღვაწეობის შედეგებიდან გამოჩნდება, რომ ეს განცდა წმინდა აღთქმისა თუ ფიცის ტოლფასი იყო...

და მესამეც: ეროვნული უნივერსიტეტის მესაძირკვლეთა ბრწყინვალე „თანავარსკვლავედში“ ვარლამ თოფურიამ, ერთი შეხედვით, იმდენად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად დაიკავა თავისი გამორჩეული ადგილი, რომ ამისი ახსნაც ისევ იმ არცთუ აკადემიურ გამონათქვამს — „ბედის რჩეულობას“ — უნდა მივანდოთ. მით უფრო, რომ მეცნიერმა ეს ადგილი

დაიმკვიდრა არა რომელიმე განკერძოებულ, ჯერ კიდევ აუთვისებელ სფეროში, არამედ მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავდა არსებითად ყველა იმ მიმართულებას, რასაც მისი მასწავლებლები და უფროსი კოლეგები დასაძლევად შესჭიდებოდნენ...

ვარლამ თოფურიას მეცნიერულმა მოღვაწეობამ მოიცვა იმდროინდელი ლინგვისტური პრობლემატიკის თითქმის ყველა ასპექტი და საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა კავკასიოლოგიის, ქართველოლოგიის, საერთოდ, ქართული მეცნიერული აზრის წინსვლა და წარმატებები აღწერითს, სტრუქტურულსა თუ შედარებითს ენათმეცნიერებაში. შეუძლებელია მიზნად დავისახოთ ერთ წერილში თუნდაც ზერელედ წარმოვაჩინოთ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა...

თუ რამდენად მრავალმხრივია ვარლამ თოფურიას სამეცნიერო ინტერესები და შემეცნებითი ძალისხმევა, ამ შთაბეჭდილებას მის მიერ დამუშავებული მიმართულებებისა და პრობლემების მხოლოდ მშრალი ჩამონათვალიც შეგვიქმნის:

— იბერიულ-კავკასიური ენების აღწერითი და შედარებითი შესწავლა (მაგალითად: ლაკურის გრამატიკული აღწერა; კავკასიურ ენათა ბგერების კლასიფიკაციის პრინციპები; იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურული შეხვედრები და მათი ისტორიული ანალიზი...).

— ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის ურთულესი პრობლემები (ერთი მხრივ, სვანურის ყოველმხრივი აღწერა [„სვანურის გრამატიკა“, „სვანური ზმნა“] და მეორე მხრივ — შედარებითი კვლევა ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური სტრუქტურებისა [კვლევათა სერიები: „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“, „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“ და სხვ.]).

— ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ძველი ქართული (მაგალითად: „ქვაჯვარანი საქართველოში“, „ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის“ და სხვ.).

— ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი (მაგალითად: ჴ ფონემის სინტაგმატიკის საკითხი, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება, სინტაქსური ანალოგიის ანალიზი...).

— დიალექტოლოგია, ქართველური დიალექტები (სვანურის დეტალური კილოური აღწერა, გომარული, ქართლური, ზემორაჭული... დიალექტური ტექსტების განუმეორებელი კორპუსი [„ქართული დიალექტო-

ლოგია, I“], თეორიული და მეთოდური მითითებანი დიალექტოლოგიურ კვლევაში...).

— ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, ეტიმოლოგია (ენიმკის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სიტყვანი, რომელიც დაედო საფუძვლად 1945 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილი ქეგლის კომისიის მუშაობას; იყო ქეგლის მთავარი რედაქციის წევრი, ამ ლექსიკონის III ტომის რედაქტორი; „სვანური ლექსიკონი“, „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, წერილების დასახელებული სერია სიტყვაწარმოების შესახებ, კომპოზიტთა შედგენის კანონზომიერებანი...).

— სალიტერატურო ქართულის ნორმათა დადგენისა და დაცვის საკითხები („ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის“, „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“, „ორთოგრაფიული ლექსიკონი“...).

— მშობლიური ენის სწავლება (სახელმძღვანელოები: „ქართული ენა“, „ქართული წერის დედანი“, „მშობლიური ენის სწავლებისათვის საშუალო სკოლაში“, პროგრამები, მეთოდური მითითებანი...).

— წინამორბედთა და კოლეგათა ღვაწლის დაფასება (მოსე ჯანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა...).

— განსაკუთრებულად თავდადებული პედაგოგიური საქმიანობა.

განუმეორებელია ვარლამ თოფურიას ცხოვრების გზა და შთამბეჭდავია მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მხოლოდ ქრონოგრაფიაც კი:

უნივერსიტეტის აღზრდილს ორიოდე წელს უწევს თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობა და მასწავლებლები — ა. შანიძე და გ. ახვლედიანი — უკვე 26 წლისას ანდობენ მას უნივერსიტეტში დიალექტოლოგიისა და ენათმეცნიერების შესავლის კურსებს. ამის შემდეგ არაერთი სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობის გაძღოლა მოუხდა მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ენიმკიში, მეცნიერებათა აკადემიაში, ქუთაისისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში...

1936 წლიდან არის ენიმკის („ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი“) ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე.

1941 წლიდან, ანუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დაარსების დღიდან, არის ამ ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე.

1943-1949 წლებში იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

1945 წელს უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის ბაზაზე დაარსდა ახალი ქართული ენის კათედრა, რომლის გამგეობაც აკაკი შანიძემ ვარლამ თოფურიას ანდო და იგი სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა ამ საქმეს.

30 წლისა იგი უკვე უნივერსიტეტის დოცენტია, 35-36 წლისა — ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორი და პროფესორი, 45 წლისა — მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

დასაწყისიდანვე შთამბეჭდავია ვ. თოფურიას მეცნიერული ძიების შედეგები. უკვე უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე — 1923-1924 წლებში აქვეყნებს იგი ისეთ მნიშვნელოვან წერილებს, როგორებიცაა: „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“, „ორმაგი უარყოფა ქართულში“, „გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში“, „ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში“... 1946 წელს აქვეყნებს უმნიშვნელოვანესი სერიის — „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ — პირველ წერილს: „ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა...“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესაძირკვლეებსა და პირველმკვალავებს, ქართველოლოგიის მანამდელი ხარვეზების გათვალისწინებით, მრავალმხრივი და მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა უწევდათ სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომაც უპირველესად გაოცებას იწვევს მეცნიერების პატრიარქების ეს მრავალმხრივობა, მასშტაბურობა და, იმავე დროს, კვლევის სიღრმე და მეთოდოლოგიური საფუძვლიანობა.

ვარლამ თოფურიაც, როგორც მათი მრწემი თანამოსაგრე, როგორც ითქვა, ერთდროულად მრავალ ასპარეზზე იღვწის და ყველგან გამორჩეულ კვალს აღბეჭდავს. განსაკუთრებულია მისი დამსახურება მთის კავკასიური და ქართველური ენების მონაცემთა აღწერითი შესწავლის საქმეში. მალე არის დასაძლევი ენათა აღწერითი შესწავლის ეტაპი, რადგან ისტორიულ-შედარებითი „ფრიადი სამკალი“ აღარ იცდის. განა თვითონვე არ აღნიშნავდა, — არათუ შედარებითი ნაკვალევი, ქართველური ენა-კილოების საფუძვლიანი აღწერაც არა გვაქვსო! ქართველოლოგიის ოქროს ფონდს ეკუთვნის ვ. თოფურიას აღწერითი გამოკვლევები; მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „სვანური ზმნა“ — ცოცხალი ენობრივი მონაცემების უსრულესი და უზუსტესი აღწერით, მდიდარი ემპირიული მასალით, სვანური ზმნის რთული სისტემის სრულყოფილი აგებით... მაგრამ ვარლამ თოფურიას მთავარი სტიქია მაინც არა სივრცული აღწერა, არამედ სიღ-

რმული (ისტორიული) ძიებაა. ეს არის მისი მეცნიერული ბუნების არსებითი ნიშანი. ქართველური ენობრივი სამყაროდან სწორედ სვანური — როგორც ფონეტიკური ქარტეხილების განსაკუთრებული ნაკვალევის მატარებელი — აღმოჩნდა ვ. თოფურიას მეცნიერული შესაძლებლობების მთავარი საჯილდაო ქვა. მისი ძირითადი მონაპოვრებიც, აღნიშნულთან ერთად, შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქციის სფეროს განეკუთვნება. თვით აღწერითი ლინგვისტიკის ეტალონ „სვანურ ზმნაში", სადაც კი ამისი შესაძლებლობა შეიქმნება, მკვლევარი შემთხვევას არ ტოვებს, რომ დიდმნიშვნელოვანი შედარებითი თუ ისტორიული აქცენტი არ გააკეთოს... მაგალითად, გვ. 242: აქ აღიწერება ხმოვანმონაცვლე ზმნური ფუძეები სვანურში და ამ მონაცემების გამოვლენა სახელებში: **სიდ** („დარჩენილია"), **ბაც** („შეიძლება")... და აქვე ფუნდამენტური მნიშვნელობის კომენტარი შედარებითი ძიების თვალსაზრისით: „საჭიროა დაგროვდეს მასალები და სათანადოდ გაშუქდეს ეს საინტერესო II ჯგუფის ზმნები ქართულ-მეგრულის მოშველიებით: ბზ. ლი-**ტჟეც** „რღვევა", შდრ. **ტკეჩ**-ი..."

ამავე დროს, როდესაც მკვლევარი უკვე ინტენსიურად მუშაობს სვანურზე, იგი სერიოზულად გადაერთვება კიდევ ერთი მიმართულებით — იწყებს ერთ-ერთი დაღესტნური ენის — ლაკურის — შესწავლას და რამდენიმე საფუძვლისჩამყრელ ნაშრომს ქმნის ამ ენის მასალაზე. ამით იგი კიდევ ერთხელ წარმოჩნდება, როგორც ფართო თვალსაწიერისა და დიდი მასშტაბის მკვლევარი.

ვარლამ თოფურიას მთავარი მეცნიერული ინტერესი მაინც ქართველურ ენათა ისტორიული ბუნების ძიებას, მისი ფონოლოგიისა თუ მორფოლოგიური სტრუქტურების სიღრმულ კვლევას დაუკავშირდა და ამ მიმართულებით მან არაერთი საიდუმლოს გასაღებსაც მიაგნო. დგინდება ზუსტი ფონოლოგიური წესები და დისტრიბუციის კანონები; ირკვევა ფლექსიისა თუ დერივაციის სტრუქტურული კანონზომიერებანი; ისტორია სულ უფრო და უფრო ხელშესახები ხდება...

და აქ შეუძლებელია მცირეოდენ გადახვევას არ მივმართოთ, არ აღვნიშნოთ ისეთი რამ, რასაც დღემდე, ვგონებთ, საგანგებოდ არავინ შეხებია, უთუოდ — როგორც ისედაც ნათელ ჭეშმარიტებას:

XX საუკუნის I ნახევარში ქართულმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ და, პირველ რიგში, მეცნიერებმა პირწმინდად მოუგეს იმპერიას (ჯერ — ცარისტულსა და შემდეგ — კომუნისტურ იმპერიას) ერისათვის ბრძოლა. ამ შემთხვევაში ეს ცნება ეროვნულ ენასაც გულისხმობს, ეროვნულ კულტურასაც და, შეიძლება ითქვას, სარწმუნოებასაც. ჩვენ არა გვაქვს სა-

ფუძველი იმის სათქმელად, რომ არსებობდა რაღაც ერთიანი სტრატეგიული გეგმა (ასეთი რამ რომ დოკუმენტურად შექმნილიყო, ის გაცემულიც იქნებოდა!) ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ნამდვილად სტრატეგიული დანიშნულებისა აღმოჩნდა ქართველ მეცნიერთა წარმატებული ძალისხმევა ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით:

1. სწორედ ქართველ ენათმეცნიერთა დასახელებულმა პლეადამ გადაარჩინა ე. წ. საბჭოთა ენათმეცნიერება იდეოლოგიის უფსკრულში გადაჩეხვაც. ვფიქრობთ, მკითხველს არ დასჭირდება იმის შეხსენება, თუ რა რთულ პერიპეტიებთან იყო დაკავშირებული ქართველ ენათმეცნიერთა ეს ძალისხმევა გასული საუკუნის შუა წლებში და რა ბეწვის ხიდზე უწევდა მათ გავლა ჭეშმარიტების დასაცავად... (სხვათა შორის, ასეთივე პროგრესული როლი ერგო რამდენიმე სხვა ქართულ მეცნიერულ სკოლასაც). არც იმას უნდა უნდოდეს განსაკუთრებული მტკიცება, რომ ამ პოზიციების მოპოვება პირველ რიგში სწორედ ქართულ ეროვნულ ინტერესებს სჭირდებოდა...

2. ქართველმა მეცნიერებმა მაქსიმალურად გამოიყენეს შესაძლებლობა, რომ ეროვნული თვითცნობიერების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიც იყო კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული მონაპოვარი XIX საუკუნეში, ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი (ანუ ენათა [და ეთნოსთა] გენეალოგიის უტყუარი მეცნიერული განსაზღვრა). მიემართათ ქართველთა იდენტობის საბოლოო ფორმირებისათვის. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ეროვნული ერთობის ხარისხი ისეთი მაღალი თითქმის არასოდეს ყოფილა, როგორც იმ ანტინაციონალურ ეპოქაში, მუდმივი გამთიშველი და ასიმილატორული იმპერიული პოლიტიკის პირობებში. ეს იმდენად ნათელია, რომ საგანგებო მტკიცება არ სჭირდება. ამიტომაც უკეთურებაა და უკეთური ძირები აქვს დღეს იმის მცდელობას, რომ, თითქოს, ქართული ენათმეცნიერების იმ სულმნათ წარმომადგენელთა ნაღვაწი ქართველურ ენათა ჭეშმარიტი ისტორიის დასადგენად იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდა. მოვლენები ასე არ წაუკითხავთ თვით თავისი დროის ნაფიც ლენინურ იდეოლოგებსაც კი. ხოლო დღეს ამგვარი „ინტერპრეტაციის“ დამკვეთმა, ჩვენდა სავალალოდ, ერთდროულად რამდენიმე კურდღელი დაიჭირა: ჩირქი მოსცხო იმ სახელებს, რომელთაც აქ მოწიწებით ვიხსენიებთ; სახიფათო და ძნელად განსაკურნებელი სენის პროვოცირება მოახდინა ეროვნულ ორგანიზმში (ისეთი სენის, როგორზეც ლადო ასათიანი ამბობს: „როგორ არ მი-

ნდა, ძლიერო სენო, ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!...); და შეძლო თანამედროვე საზოგადოების პოლარიზება ფრიად მომწყვლელ თემაზე, ანუ გაგვიკეთა ის, რის გამოც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არაერთხელ შეგვაგონებს: ღმერთი აერთიანებს, ხოლო ეშმაკი ყოფს და თიშავს!..

აი, რის დასაცავად იბრძოდნენ დიდნი წინამორბედნი, მათ შორის, ვარლამ თოფურია...

იშვიათია ისეთი ღრმა ხედვა მოვლენებისა, ისეთი სიღრმისეული წვდომის უნარი, როგორითაც ვ. თოფურია არის დაჯილდოებული. არანაირ თემაზე, თვით რიგითზე და დამუშავებულზეც კი, არ მსჯელობდა იგი ზერელედ და სასხვათაშორისოდ, არ მიდიოდა გაკვალული გზით. ამიტომაც ყოველი მისი ფრაზა მოითხოვს დაფიქრებას და ღრმად გააზრებას. „ქართული ენა ჩვენი დედაენაა. ამ ენაზე ჩვენ, ქართველები, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ“ — იწყებს პედაგოგიური სისადავით მშობლიური ენის შესახებ საუბარს მკვლევარი და იქვე — მალევე — თავისი არსით უნიკალური ფრაზით განაგრძობს: „ეს ენა ჩვენი ბრძოლისა და განვითარების შეუცვლელი იარაღია“... ვ. თოფურიას მწერლის ენის შესახებ აქვს ერთადერთი წერილი — „აკაკი და სალიტერატურო ენა“, რომელიც თავისი შინაარსით ფაქტობრივ დიდაქტიკური დანიშნულებისაა და ემსახურება 60-იანელთა, კერძოდ კი — აკაკის როლის, მისი პოზიციის წარმოჩენას ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში. და ეს, ერთი შეხედვით, სტანდარტული წერილი რამდენიმე ისეთ მომენტს შეიცავს, რომელსაც სალიტერატურო ენის ისტორიაზე საუბრისას გვერდი ვერ აევლება. თუნდაც: უეჭველ დებულებად არის მიჩნეული, რომ სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას ცენტრალური — ქართლური — დიალექტი დაედო საფუძვლად. ვ. თოფურია კი სრულიად თავისებურად და ფრიად საგულისხმოდ განმარტავს ამ საკითხს: „ცნობილია, რომ სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება რომელიმე დიალექტი. მაგრამ ეს მაშინაც ხდება, როცა უმწერლობო ენა იჩენს სალიტერატურო ენას. ქართულისათვის, ამ თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის მქონე ენისათვის, რომელიმე კილოს საფუძვლად დადება საჭირო არ იყო. სალიტერატურო ენა უკვე შემუშავებული და განვითარებული გახლდათ. ეს აკაკიმ ჩინებულად იცოდა. ამიტომ იყო იგი დიალექტური მოვლენების შემოტანის წინააღმდეგი“.

ვფიქრობთ, ეს დებულება ჯერაც არ არის სათანადოდ გათვალისწინებული და შეფასებული.

არავის მოეჩვენება გადაჭარბებულად, თუ ვიტყვით, უფრო სწორად, გავიმეორებთ, რომ ვ. თოფურიას ნახევარგვერდიანი თეზისები მთელი

გამოკვლევის ტოლფასია, ხოლო მისი 4-5-გვერდიანი სტატია დიდტანიან მონოგრაფიას უდრის. საზოგადოდ, ვ. თოფურიას, როგორც მკვლევრის, სახეს მაინც ის მაქსიმალურად კონდენსირებული, უაღრესად ლაკონიური და ზუსტი, ფილიგრანული მეცნიერული მინიატურები წარმოადგენს, რომლებიც თემატურადაც ისეთ სიღრმულ მოვლენებსა და ფაქტებს შეეხება, რომლის გამოხატვაც ზოგჯერ უფრო მინიშნებებითა და სავარაუდო ქვეტექსტებით შეიძლება, ვიდრე ფაქტობრივი დეტალიზაციით. თუ შეიძლება ენათმეცნიერებაში იმპრესიონისტული სტილი და გამოხატვის ხერხები არსებობდეს, მაშინ ვ. თოფურიას სტატიები ამისი სანიმუშო მაგალითები იქნებოდა. ამგვარ თემებში ამ სტილს ის იმდენად ერთგულებს, რომ ზოგჯერ, საზოგადოდ ზუსტი და მომთხოვნი, თითქოს თვით ლიტერატურის მითითებების სიზუსტესაც კი უგულებელყოფს. მაგალითად, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს მითითებანი კლასიკურ წერილებში „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“.

თუ მართალია ის, რომ სტილი — ეს თვით ადამიანია და სტილის გარეშე ფრაზაც არ იბადება, მაშინ არც იმაზე საუბარი იქნება ზედმეტი, რომ სტილი მეცნიერული ნაშრომის დაბადებაშიც მონაწილეობს. მეცნიერული ტექსტები ამ მხრივ რეგულარული დაკვირვების საგნად ჯერჯერობით არ ქცეულა, მაგრამ ზოგადი შთაბეჭდილებით ვინ იტყვის იმას, რომ თავისი სტილი არა აქვს აკაკი შანიძეს, ან — გიორგი ახვლედიანს, ან — არნოლდ ჩიქობავას...

არანაკლებ ხელშესახებია ვარლამ თოფურიას სტილი.

ვ. თოფურიას ჰქონდა გამორჩეული გრძნობა სიახლისა და ხალასი აზრის შესაფერისი ფორმით გამოხატვის მომადლებული უნარი, რათა ახალი არ ჩაკარგულიყო, არ დაჩრდილულიყო უკვე მიგნებულის გადმოცემაში. არნ. ჩიქობავას დახასიათებით, ის იყო „ნათელი აზრის მკვლევარი, სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ზუსტი და საფუძვლიანი“...

ვ. თოფურიას მეცნიერული სტილი, მისი ფრაზის სიღრმე, სიზუსტე და ლაკონიზმი ზედმიწევნით შეესატყვისება იმ ნოვატორულ შინაარსს, რასაც მისი ყოველი სტატია თუ თეზისი შეიცავს. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ლინგვისტური ენის, როგორც ზუსტი მეცნიერების ენის, ჩამოყალიბებაში...

ესეც დიდი მასწავლებლის კიდევ ერთი წარუვალი გაკვეთილია.

ვარლამ თოფურიას ახასიათებენ, როგორც ბუნებით რბილსა და მორიდებულ პიროვნებას. ამავე დროს, მისი მეცნიერული უკომპრომისობა

გამოკვეთილია პირველივე ნაშრომებიდან; პირველივე ნაკვლევი გამოხატავს შინაგან ძალასა და შემართებას საკუთარი ასპარეზის გასასიგრძეგანებლად. წარმოიდგინეთ: გამოდის მასწავლებლების წინაშე ოციოდე წლის მოკრძალებული ჭაბუკი, დაალაგებს უტყუარ ფაქტობრივ მასალას და გადაჭრით იტყვის: — არა, ბატონებო, ორმაგი უარყოფა კალკი არ არის, ის შინაგანი ქართული (ქართველური) მოვლენა გახლავთ! და ამგვარი შეუპოვრობა სიახლეთა ძიებასა და დამკვიდრებაში ძირითადი ნიშანია მთელი მისი მეცნიერული მემკვიდრეობისა და წარუვალი გაკვეთილიც მომავლისათვის.

მეცნიერების განვითარება, იდეურ სიახლეთა კვალდაკვალ, სიმშვიდით არასოდეს გამოირჩევა და არც იმდროინდელ საქართველოში ყოფილა სხვაგვარად. არც ვ. თოფურია მდგარა განზე იმ მძაფრი პროცესებისაგან, რასაც დროდადრო კიდევ უფრო ამძიმებდა იდეოლოგიური ფონი. და მართლაც დამაფიქრებელია, რომ ვ. თოფურიას პიროვნება ყველაზე ნაკლებ აღიქმებოდა დაპირისპირებულ ფიგურად ნებისმიერი მხარისათვის და მისდამი კეთილგანწყობას თითქმის ყველა ერთნაირად გამოხატავდა. სხვადასხვა გამონათქვამების დამოწმება მის შესახებ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ დიდი მასწავლებლის, ა. შანიძის, შეფასება, ვფიქრობთ, ყველაზე მეტად ასახავს მისადმი დამოკიდებულების ზოგად ხასიათს:

„ვარლამ თოფურია იყო დიდი მეცნიერი, ჩინებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც დიდ სამეცნიერო გაქანებასთან ერთად ამშვენებდა თავაზიანობა და თავმდაბლობა, რომლითაც იგი ყველას ხიბლავდა.

ვის აქვს შენოდენა ცოდნა ყველა ქართველური ენისა და შენებრი ნიჭი და ფართო განათლება, რომ შენებრ ასწიოს სამეცნიერო საქმისა და პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი სიმძიმე?“

რა განაპირობებდა დიდი მეცნიერის „შუაკაცობისა“ და „შემაერთავი ხიდობის“ ამ პერსონალურ ნიშანს?

ალბათ — პიროვნულ ხიბლთან ერთად — „აზროვნების პატიოსნების“ მისთვის, განსაკუთრებულად მისთვის ნიშანდობლივი პრინციპი, რომელიც მეცნიერებაში მხოლოდ ემპირიულ მიკერძოებასა და ობიექტურ ტენდენციურობას ცნობს.

და ეს ვარლამ თოფურიას მეცნიერული ცხოვრების კიდევ ერთი გაკვეთილია — არცთუ ადვილად შესათვისებელი...

გადმოცემის თანახმად, ვარლამ თოფურიას პიროვნული ნიშანი იყო შემწყნარებლობა-ლმობიერება, თავგამეტებული მომთხოვნელობის ფარდად. ამას იგი განსაკუთრებით უხვად ავლენდა, როგორც პედაგოგი. ამავე

დროს, მისი ეს ბუნება ძალზე აახლოებდა სხვადასხვა შესაძლებლობის შეგირდებს: ძლიერთ — მეტის და მეტის მოთხოვნით, სუსტთ — ყურადღებით და წახალისებით... და ამით იგი განასახიერებდა სახარებისეული ვენახის პატრონის — სხვადასხვა ჟამის მუშაკთა მიმართ გასამრჯელოს თანაბრად გამცემლის — სახეს. მხოლოდ რჩეულ პიროვნებათა პორტრეტები ეხვევა სიცოცხლეშივე მითებისა და ლეგენდების სხივებში, უჩნდება პოეტური შტრიხები. ერთმა მოწაფემ მის დასახასიათებლად „ანთებული სანთლის" მეტაფორა გამოიყენა: „ანთებული სანთელი არავისგან არაფერს მიიღებს, გაცემით კი მთლიანად გასცემს, რაც გააჩნია და გააჩნია მხოლოდ ნათელი... არავინ უწყის, როდის ისვენებს პროფესორი ვარლამ თოფურია. იგი ყველგან შეგხვდებათ: უნივერსიტეტში, მეცნიერებათა აკადემიაში, ინსტიტუტებში, ქალაქის საბჭოში... პროფესორი ვარლამ თოფურია მრავალმხრივი მოღვაწეა..." (ეთერ სახვაძე); მეორე მოწაფემ კი მის ბუნებას გვაროვნული მოტივაცია მოუძებნა — გვარის ეტიმოლოგია-მითოლოგიზაციის გზით: „გვარი „თოფურია" ძალზე შეეფერებოდა ვარლამის მდიდარ ბუნებასა და ხასიათს. „თოფური" თაფლს ნიშნავს და ვარლამ თოფურიაც ხომ ანთებულ თაფლის სანთელს ჰგავდა, თაობებში ცოდნის ნათელს რომ ჰფენდა, ცოდნის ლამპარს რომ აჩაღებდა, ფუტკარივით ნიადაგ რომ დაუღალავად შრომობდა და იღვწოდა" (მიხეილ ალავიძე).

ტრადიციული ლინგვისტური ხანდაზმულობის პირობაზე, ვ. თოფურია ძალზე ადრე — 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. მაგრამ დღეს, როდესაც მეცნიერის ასაკი უკვე 110 წელია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაკლებ ინტენსიური და ნაყოფიერი იყო მისი მემკვიდრეობის ცხოვრება და სიცოცხლე 1966 წლის, ანუ ავტორის ფიზიკური აღსრულების, შემდგომ.

ჭეშმარიტი მეცნიერების უკვდავება ასეთ შემთხვევაში მართლაც რეალური და ხელშესახები ხდება.

A. Arabuli

Varlam Topuria Incarnates the Internal Energy and the Dynamism of one of the Most Important Period of the Georgian History

Summary

He was born just at the beginning of the new XX century.

He was among the first students of Georgian National University.

Varlam Topuria worked in all main aspects of the studies of the Kartvelian and the Caucasian languages of mountain and important branches of Linguistics. His role was certainly valuable and determinative.

The scientific legacy of Varlam Topuria belongs to the Golden Fund of Kartvelology. His researches are considered as the highest expression of linguistic idea of those times.

Except the eminence in science, he incarnated the Georgian gravity, fellowship and empathy, pedagogical dedication and considering other's ideas.

ციალა ბენდელიანი

ურთხმელი — ლინგვისტური, ეთნოლინგვისტური და სარწმუნოებრივი ასპექტები

(ენათა კონტაქტებისა და სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით)

ქეგლ-ის განმარტებით, **ურთხელ-**ი (**ურთხლისა**) არის „მაღალი, წიწვოვანი ხე, აქვს ძვირფასი, მოწითალო ფერის გამძლე მერქანი; იზრდება მთის ტყიან სარტყელში, უპირატესად წიფლნარებში“ (ქეგლ-ი).

ქართველურ ენათაგან მცენარის აღმნიშვნელი სახელი აქვს ქართულს, მეგრულს და სვანურს. ჭანურში იგი არ ჩანს. მეგრულს აქვს ქართულიდან შესული ფორმა **ურთხელი.**

ქართულ სალიტერატურო ენაში ამჟამად დამკვიდრებულია ფორმა **ურთხელი,** მაგრამ მართებული ფორმა უნდა იყოს **ურთხმელ-**ი (**ურთხმელ**-ის / **ურთხმლ**-ის) (იხ. ქვ.).

ურთხმლის აღმნიშვნელი სიტყვა არ გვხვდება ჩვენამდე მოღწეულ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში.

სვანურში არის**: ურთხველ, შäდრა.** ეს უკანასკნელი **-რა** სუფიქსის გამო სტრუქტურულ მსგავსებას ავლენს მუხის სვანურ სახელთან **— ჯირა / ჯ̄ირა / ჯიჭრა,** არა მხოლოდ მუხის, არამედ ხის იმ სახელებთან, რომელთაც სვანურის ზოგ დიალექტში ერთვის -რა II -ლა სუფიქსი, მაგრამ გამოვყავით მუხა, როგორც ურთხმელის მსგავსად არქაული საკულტო მცენარე (მუხის სვანური სახელწოდებისთვის იხ. ლომთათიძე, 2000, 126-128. შდრ. გაზდელიანი, 2001, 37). საკითხს ქვემოთ კვლავ შევეხებით.

ქართულის კილოებში ურთხმელის მრავალნაირი ფონეტიკური ვარიანტი და ლექსემაა:

კახურში, ფშაურში, ხევსურულში: **უთხოვარი;**

რაჭულში, ლეჩხუმურში, იმერულში, გურულში: **ურთხმელა, ურთხველა;**

აჭარულში: **მადა, ურთხმელა, სატილია;**

ქვემორაჭულში: **ჭუთული**, ქვ. რაჭულში სახელწოდება მხოლოდ „ნაყოფს“ (თესლს) ჰქვია.

ქართლურში: **ურთხლი** (აღ. მაყ.).

სულხან-საბას ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციაში ამ ხის სახელი ასეა განმარტებული:

ურთხლი (ურთხელი); (ხე) ძელი ულპოლველი; (ხე) უთხოვარი, საჯი (სულხან-საბა).

რუსულში ხეს ეწოდება: Тис „ურთხელი“ (რუს.-ქართ. ლექს.), აღ. მაყაშვილი უთითებს: Тисс, **негной-дерево** (ე. ი. „ულპობი ხე“ — ც.ბ.), **Taxus,** უმთავრესად იხსენიება ლათინური სახელით**: Taxus baccata** (აღ. მაყ.), ქართულ სპეციალურ ლიტერატურაშიც ამ სახელით არის ცნობილი.

გერმანულში ხეს ჰქვია — **Die Eibe, Der tixus** (ქართ.-გერმ. ლექს.); ინგლისურში — **Yew (-tree),** ინგლისურში — **Tree** „ხე“, **Yew** „ურთხელი“ (ინგლ.-ქართ. ქართ.-ინგლ. ლექსიკ.), ე.ი. ურთხმლის ხე. შდრ. უძველესი ინდოევროპული ***gis eia** (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი). ჩანს, რომ გერმანულსა და ინგლისურში აღდგენილ სახელწოდებასთან უფრო მეტი სიახლოვეა შემონახული.

რუსული სახელწოდება Тис ლათინურიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ თვით ლათინურში სახელი **Taxus** ანტიკურ საბერძნეთში გავრცელებული **ფიჭვის კულტიდან** ჩანს შესული, რომელიც **სატურნსა** და **პანს** ეძღვნებოდა, ძველ რომში — **კიბელასა** და **ატისს** და ამ ღვთაებებთან დაკავშირებული საგაზაფხულო რიტუალების აუცილებელი ატრიბუტი იყო (იხ. აბზიანიძე, ელაშვილი, 2007, 87). რუსულში Тис წარმომავლობით ფიჭვის სახელი ჩანს, ვიდრე ურთხმლისა, მაგრამ, შესაძლოა, კულტთა ან ამ კულტთა ზოგი კომპონენტის იდენტურობის გამო ურთხმელზეა გადატანილი სხვა საკულტო მცენარის სახელი.

როგორც ვნახეთ, საბასთანაც აღწერილობითი სახელწოდებაა, შდრ.: რუს. „ულპობი ხე“.

ძველ ქართულშიც უნდა ყოფილიყო **ძელი ულპოლველი**, იგი ისეთივე სტრუქტურისაა, როგორც **ძელი ცხოველი.**

ურთხლი ფონეტიკური ვარიანტი საბას ლექსიკონში ქართლიზმი შეიძლება იყოს. იგი საბას დროინდელ ქართულშიც დამოუკიდებლად არ იქნებოდა გამოყენებული, უნდა ყოფილიყო **ურთხ(ე)ლის ხე,** ფუძე შეიკუმშა, საზღვრული სამეტყველო კოდებში გაქრა და აქედან მომდინარეობს

ფორმა **ურთხლი**, შდრ. **მსხლის ხე, კაკლის ხე,** მაგრამ არა **მსხლი**, ან **კაკლი** არამედ: მსხალი, კაკალი, როცა საუბარია ხეზე, ასევე, ნაყოფზეც. საბას მოტანილი აქვს სრული სახელწოდებაც: **ურთხელი,** მაგრამ ფრჩხილებში უთითებს. **ურთხელი** იყო თუ არა საბას დროინდელ სალიტერატურო ენაში, წერილობითი საბუთი არ იპოვება, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტურსა და სამეტყველო ქართულ ენაში მაინც მოსალოდნელია მისი არსებობა.

უთხოვარი გვხვდება ქართულ კილოებშიც, მაგრამ ძნელია გარკვევა, საბამ აიღო კილოებიდან, თუ პირიქით, კილოებში გადავიდა სალიტერატურო, ამ შემთხვევაში, საბას ლექსიკონიდან, თანაც ეს ფონეტიკური ვარიანტი განსხვავებულია და მას თავისი ფონეტიკური ისტორია აქვს.

ქვემო იმერეთში ამ ხეს უწოდებენ: **ურთხველას, ურთხელას, უთხოვარს,** შდრ. აღმ. კილოების ფონეტიკური ვარიანტი **უთხოვარი**. საინტერესოა, რომ საბას დროინდელ ქართულში მას **უთხოვარიც** რქმევია; თუ ჩავთვლით, რომ იგი მიღებულია **ურთხველა**-დან **რ**-ს დაკარგვით და **ვ > ო** ფონეტიკური პროცესით, ვ-ს ხმოვნად ქცევით — გაფართოებით, მაშინ უნდა გვქონოდა ***უთხოელა,** მაგრამ გვაქვს **უთხ-ო-ვ-არ-ი,** ამიტომ სავარაუდოა, რომ ფორმა მიღებულია: ***უ(რ)თხ(მ)(ლ)-ოვ-ან- / *უ(რ)თხ(მ)(ლ)ოვ(ნ)არ-** ვარიანტებიდან **> უ-თხ-ოვ-არ-**, სადაც **-ოვ**

-ოვ-ან სუფიქსის ნაშთია, ხოლო **-არ -ნ-არ** სუფიქსის ნაშთი (შდრ.: თხმ-ელ-**ნ-არ**-ი), ეს პროცესები მომხდარი ჩანს საფეხურეობრივად ან სხვადასხვა დიალექტური წრეების მიხედვით. სუფიქსთა დართვით დაკარგულია ფუძისეული **მ,** რომელიც **ურთხველა**-ში **ვ**-თი შეცვლილია **მ : ვ** ჩანაცვლებით (შდრ.: მაგ., ნემსი : ნევსი), დაკარგულია **(ე)ლ** სუფიქსის ნაწილი **-ლ.**

სავარაუდოა, რომ ეს ფორმა საბას დროს რომელიმე დიალექტურ კოდს ან ქართულ სამეტყველო ენას ეკუთვნოდა, რამაც დღემდე მოაღწია.

დასავლურ კილოთა ფონეტიკური ვარიანტი **უთხოვარი** აღმოსავლურ კილოებთან სამეტყველო კოდების შერევის შედეგი შეიძლება იყოს. არ გამოირიცხება პირუკუ ვარიანტიც.

ცალკე შევეხებით აჭარული კილოს მონაცემებს.

ქვემორაჭული **ჭუთ-ულ-**ი ზანიზმია. შეიძლება იყოს მეგრული ფუძე, **უ > ი** ხმოვანთა ცვლილებით: **ჭუთა > ჭითა** „წითელი“, ჰქვია ნაყოფს, თვით ხეც მერქნის ფერის გამო ხშირად იხსენიება „**წითელ ხედ**“, მაგრამ **უ > ი** ცვლილება ქართველურ ენათა შესატყვისობის მიხედვით მოსალოდ-

ნელია, თუმცა შეიძლება დიალექტური მოვლენა იყოს, სადაც ფონეტიკური ცვლილებები ხშირად სპონტანურია.

არ გამოირიცხება ისიც, რომ ამოსავალი იყოს ჭან. **ჭუტა** „პატარა, ცოტა“, ჭანურში არის პარალელური ფორმებიც: **წუტა ‖ წუტელ- ‖ ჭუ-ტა ‖ მ-ჭუ-ტა ‖ ჭი-ტა ‖ ჭუ-ჭუ-ტა,** შდრ. დასავლურქართული დიალექტური: **ჭყუტა ‖ ჭკუტა ‖ ჭყუნტე ‖ ჭკუნტე** (ლეჩხუმურში, იმერულში), ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის საფუძველზე: ქართ. **ჭ** : ზან. **ჭყ / ჭკ;** მაგრამ მარტივი ბგერა უნდა გვქონოდა ქართულში, თუმცა **წ-ჭ** ვარიანტიანი ფორმები ჭანურში ქართულთან სამეტყველო კოდების შერევის არქაული ნაშთი ჩანს.

ჩვენი აზრით, **ჭუთ-ულ-**ი „წითელი“, უფრო ზუსტად — **წით-(ე)ლ-ურ-ი / წით-(ე)ლ-ურ-ა,** არის დიალექტებამდელ პერიოდებში ქართველურ ენებში — ჭანურსა და მეგრულში, მცენარე **ურთხმელ-**ის საკუთრივ ზანური სახელი, რომელიც ზანურის გავრცელების მთელ არეალშიც უნდა ყოფილიყო. შემდგომში, როცა ჭანურში საერთოდ გაქრა ამ ხის სახელი, ხოლო მეგრულში იგი ქართულმა **ურთხმელმა** ჩაანაცვლა, საკუთრივ ზანური აღმნიშვნელი მხოლოდ ამ ვიწრო დიალექტურ სეგმენტში დარჩა სუბსტრატის სახით, თანაც მხოლოდ ნაყოფის სახელად. ანალოგიური ვითარება ენაში გვაქვს, როცა არქაულ პერიოდებში მცენარესა და ნაყოფს ზოგჯერ ერთი და იგივე სახელი აქვთ, მაგ., **წყან-**ს **/ მუხა**-ს, მცენარესა და ნაყოფს აღნიშნავდა ის, რაც დღეს მხოლოდ ნაყოფს ჰქვია: **კრკო > კურკო > გირკო > რკო** (ა. შანიძის ეტიმოლოგიურ გამოკვლევას ვიმოწმებთ: თოფურია, 1979, 248). **მუხა** ინდოევროპული ენებიდან ან დაღესტნური ენებიდან ნასესხობად არის მიჩნეული. საკუთრივ ქართული არქაული სახელია ზემოაღნიშნული ფონეტიკური ვარიანტებიდან მიღებული **რკო** (ზოგ კილოში — **კო**). შდრ. ატენის ხეობაში ტოპონიმი **რკო-ნ**-ი, რაც ნიშნავს **მუხ-ნარ-**ს, ანდა: **კო-ჯორ-**ი, ეტიმ. **რკო ჯვარი / მუხის ჯვარი** (მ. გეგეშიძე).

საბასეული **საჯი** ძველ ქართულ ტექსტებში არ გვხვდება, არ გვხვდება არც „ურთხელი“ (შდრ. ილ. აბულ.). ამიტომ, სავარაუდოა, რომ მას სამეტყველო ქართულ ენაში არ იხსენიებდნენ, როგორც „**ძელი ულპოლველი**“, არამედ მისი სახელი უნდა ყოფილიყო მარტივი **საჯ-**ი. თუმცა ორივე სამწიგნობრო ფორმა ჩანს. დიალექტურ კოდებში ხეს თავისი მრავალნაირი სახელი აქვს.

ულპობი ხე, როგორც ვნახეთ, არის ქართულის არამონათესავე ენაშიც. არ არის გამორიცხული, რომ საბას დროს მოხდა ამ მცენარისთვის

ევროპულ და რუსულ ენებთან ანალოგიით სახელდება, თუმცა **საჯი** მიუთითებს, რომ ენაში საკუთრივ ქართული სახელიც ყოფილა, მაგრამ იგი ურთხმლის არქაული ქართველური სახელი არ არის. ურთხმელი ენდემური ჯიშია, იგი საქართველოში უძველესი პერიოდებიდანვე იყო გავრცელებული, ამიტომ მას უნდა ჰქონოდა მარტივი სახელი, შდრ.: მაგ., **ძელქვა;** შდრ. **ეკლისხე,** რომელიც ცნობილია ახალწარმოქმნილი (დარქმეული) სახელითაც: **აკაცია** (ეს სახელი აგრონომ ა. ფხაკაძეს ეკუთვნის). სავარაუდოა, ამ მცენარისთვის სახელის შეცვლის აუცილებლობა წარმოქმნა კომპოზიტში არსებულმა ალოგიკურობამ: ეკალი სხვა სახეობის მცენარეა, ეკალი აქვს სხვა მრავალ მცენარესაც და ნაყოფსაც, მაგ., წაბლის ნაყოფს. ეს მაგალითი ნიმუშია ფიტონიმთა დაზუსტების და სახელთა გამარტივებისა.

საინტერესოა ურთხმელის ტოპონიმურ სახელებში გამოყენების ამჟამინდელი და ისტორიული ფაქტები,

მაგ., სამეგრელოში ჰიდრონიმი **ურთხელიშ(ი) ღალი** (ურთხმლის ღელე, ღელე წალენჯიხის რ-ნის სოფ. ნაკიფუში. **კიფი** „კანაფი", ე.ი. ნაკანაფარი) (მაგალითი მოგვაქვს: ღლონტი, 1971, 90); გურიაში (ამჯერად საქართველოს სხვა კუთხეების ისტორიული გეოგრაფიის მასალებს დეტალურად ვერ ვიმოწმებთ, თანაც მასალა, ჩვენი აზრით, სინქრონიულ მონაცემებს მოიცავს): **ურთხისღელე** (< ურთხმლისღელე), **ურთხნალი** (ტყე), **ურთხელა** (სათესი, მინდორი) (მაგალითები მოგვაქვს: სიხარულიძე, 1971; 124, 99, 128,132). შეიძლება ეს სახელები დიალექტების პერიოდისა იყოს, მაგრამ არნ. ჩიქობავა ძველ ქართულ ტოპონიმებში: **მუხნარი** („წმინდა ნინოს ცხოვრება"), **შინდნარი, ვერხვნალი, სხალნარი, შქერნალი** (საქ. სიძვ. III), **ცაცხვნარი** (აჭარა), **-არ** სუფიქსს უკავშირებს ჭანურ **-ონ** სუფიქსს, რაც, მისი აზრით, დადასტურებულია სამეგრელოში, სოფლის სახელ **ჭველ-ეთ-ონ**-ში, სადაც შეიძლება **-ეთ** მრავლობითობის სუფიქსი იყოს, **-ონ** კი აღნიშნავს ადგილს, სადაც მრავალი რომელიმე ერთი სახეობის მცენარე ხარობს (ჩიქობავა, 1926, 310); ამ თვალსაზრისით, **ურთხ-ნ-ალ**-ი სიძველეს ამჟღავნებს, ასევე, **ურთხისღელე**, თუკი ამჟამად მის მიდამოებში ურთხმლებია, რადგან ურთხმელი მრავალ ათასწლოვანი მცენარეა (მაგ., ცნობილია ხუთიათასამდე წლის ურთხმლის ხე).

საჯი და **ძელი ულპოლველი** სამეტყველო ენის (**საჯი**) და მწიგნობართა ენის (**ძელი ულპოლველი**) კუთვნილება ჩანს და წარმომავლობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რასაც თავისი განსაკუთრებული მიზეზი აქვს.

საჯი-ს აგებულება გვაფიქრებინებს, რომ იგი უძველეს ქართველურიდან (კერძოდ, ზანურიდან) მომდინარეობს. სავარაუდოა, რომ ურთხმელს, როგორც **საკულტო ხეს** ქრისტიანობის ეპოქაში სახელი შეეცვალა და ეწოდა**: ძელი ულპოლველი**; ეს სახელწოდება, როგორც აღვნიშნეთ, ისეთივე აგებულებისაა, როგორც, მაგ., **ძელი ცხოველი**. თუმცა გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ თუნდ რომელსამე საერო ძეგლში ეს ხე არსად იხსენიება.

ჩვენი ვარაუდი, რომ **საჯ-ი** ზანური (მეგრული) წარმომავლობისაა, შესაძლოა მართებული იყოს: ლექსემა მომდინარეობს ზმნური ძირიდან — **საჯ-, საჯება, დასაჯება.** საიდანაც წარმოქმნილია: **გან-ს(ა)ჯ-ა** და სხვ. ქართულში ამ ძირის შემცველი ტოპონიმი არ გვეგულება, მაგრამ არის მეგრულში: ტოპონიმი **ლეგოგიე-ნასაჯუ** (სენაკის რ-ნი), მეგრ. **საჯება** „დასჯა“ (მაგალითი და ტოპონიმის მეორე კომპონენტის ქართული შესაბამისი მოგვაქვს: ღლონტი, 1971);

ჩვენი აზრით, **ლე-** სუფიქსით ნაწარმოებ პატრონიმთან არის დაკავშირებული **ნა-საჯ-უ,** დასჯის \ დასჯილის \ დამსჯელის \ დასჯის ადგილის აღნიშვნა. თუ ტოპონიმი კერძო შემთხვევის საფუძველზე არ არის წარმოქმნილი, რომელიც ხალხის მეხსიერებაში ამჟამადაც არსებობს; შესაძლოა, არსებობდეს გვიანდელი ფაქტი დასჯისა, რომელიც ერთ პატრონიმს დაუკავშირდა, ძველი სახელი კი იყო ნასაჯუ — **ნა — უ** (მეგრ. **-უ** შეესაბამება ქართ. -**არ** სუფიქსს) აფიქსით, რაც ნიშნავს **ნა-საჯ-არ-**ს ანუ დასჯილს. შდრ.: მამაკაცის საკუთარი სახელი **საჯარ** (იხ. ქვ.). ადრინდელი ტოპონიმი უნდა იყოს სენაკის მაზრაში: **ლე-საჯ-ე, ნა-საჯ-ო(ვ)-უ** (ყიფშიძე, 1994, 316) ე.ი. **საჯაიას** გვარის საცხოვრისი, მაგრამ რატომ არის აფიქსთა მონაცვლეობა: **ლე—ე / ნა — ო/ — უ.**

აფიქსთა მონაცვლეობას, ჩვენი აზრით, სამეტყველო კოდების შერევა უდევს საფუძვლად. ტოპონიმის ამჟამინდელი სახელია **ლე-საჯ-ა-ი-ე** (სასაჯაიო), რომელიც იმავე სენაკის რ-ნშია (შედის ლეძაძამეს შემადგენლობაში, იხ. ღლონტი, 1971). ცხადად ჩანს ქართულენოვან კოდთა შერევა: **საჯაია > საჯაიე** (**ია > იე**), მიუხედავად იმისა, რომ ბოლოკიდური **-ე ლე—ე** აფიქსის ნაწილია.

ძნელია თქმა, გვარის სახელში **საჯ-,** რომელიც მეგრულშიც ხშირად სრულხმოვანია, არის თუ არა **საჯ-** ზმნურ ძირთან დაკავშირებული, იქნებ **საჯ-** სახელური ძირიც იყოს. ისიც სავარაუდოა, რომ პატრონიმი იყოს ტოპონიმისგან წარმოქმნილი.

ქართველურ ონომასტიკონში დასტურდება მამაკაცის საკუთარ სახელებად **საჯარ** („ქართლის ცხოვრებაში“), **საჯამა** (თ.სახოკიას „ქრონიკებში“), **საჯაი** დასტურდება მეტსახელადაც (მაგალითები მოგვაქვს: ღლონტი, 1986). საკუთარი სახელის დაკავშირება **საჯ-** ფუძესთან ან ძირთან შესაძლებელია, თუ საერთოდ ეს სახელები არის საკუთრივ ქართულ-ქართველური, მაგრამ არსებობს მსგავსი ფაქტები:

ზმნა **გამსაჯა** (ასევე — **განანა**) მამაკაცის საკუთარ სახელად გვხვდება 1600 წლის ახლო დროის საეკლესიო დავთარში (იხ. კაკაბაძე, 1913), სადაც მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ქართულ (ქვემოიმერულ)-ზანურ ეთნოლინგვისტურ ურთიერთობათა შესახებაც (იხ. ც. ბენდელიანი, 2005, 95).

საინტერესოა სხვა მონაცემებიც: ქართულსა და მეგრულში შეშის საზომი ერთეულია **საჯენი,** ქართულ კილოებში: **საჯენი / საჟენი** (ალ. ღლონ. ი. ყიფშ.). ეს სიტყვა და მისი ფონეტიკური ვარიანტი ამჟამადაც აქტიურად გამოიყენება იმავე დანიშნულებით იმერულში, ლეჩხუმურში. ფორმა შეიძლება ასე დაიშალოს: **საჯ-ენ**-ი. ამ ტერმინში სემანტიკურად **საჯ-** „ზომის, რაოდენობის“ **განსჯა-დადგენას** გულისხმობს**. -ენ** მრავლობითის სუფიქსია, ტერმინი ზედმიწევნით ნიშნავს „ზომ-ებ-ს“, „ზომას“. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ქართულსა და ქართველურში **ჟ** ბგერა გვიან არის ჩამოყალიბებული, **ჯ**-ბგერიანი ვარიანტი ძალზე ძველია.

საყურადღებოა, რომ ლეჩხუმურსა და იმერულში ამჟამადაც ცოცხალია სიტყვა— **საჯა || საჟა,** ნიშნავს **ჭვარტლს, მურს**, ე.ი. დაკავშირებულია საწვავ მასალასთან, უპირატესად, აღნიშნავს შეშის მურს ბუხარში, ღუმელში; ძველ ქართულში, ქართველურ ენებში, ზემომითითებულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში, ვუკ. ბერიძის ლექსიკონში, პ. გაჩეჩილაძის „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალაში“ (1976), საბას „სიტყვის კონაში“, დ. და ნ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, ეს სიტყვა შეტანილი არ არის. ამ შემთხვევაშიც **ჯ-** ბგერიანი ფორმა უფრო ძველია, ვიდრე **ჟ**-ბგერიანი. მაგრამ სემანტიკურად რომელია ამოსავალი ფორმა: **საჯ-ენ-**ი / **საჟ-ენ**-ი **საჯ-**ი / **საჟ-ი**-სთვის თუ პირუკუ, ძნელია დადგენა. **საჯ**- ძირის შემცველი ეს სიტყვები ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის.

მაგრამ ეს ფუძე ქართულსა და ქართველურში, ასევე, სომხურში, შესაძლოა, მომდინარეობდეს პართულიდან, როგორც ამას მ. ანდრონიკაშვილი ვარაუდობს: ქართულსა და სომხურში პართული თანხმოვნების გადმოცემის ფაქტების საფუძველზე ქართ. **საჩ-, საჯ-** (**სჩ-, რჩ-, შჩ-, სჯ-,**

რჯ-, შჯ-, რჩული, რჯული, სჯული, სჯა, რჩა და სხვ.) შეესაბამება სომხურ იმავე ბგერათშესაბამის ანუ პართულიდან სომხურში თანხმოვანთა კანონზომიერი შესაბამისობის მქონე ფუძეს: **sač,** სომხურში იგი ნიშნავს: „ღირსეული, ჯამსი, შესაფერისი“ (მ. ანდრონიკაშვილი, 1966; 172); მისი აზრით, ქართულში პირველად გადმოვიდა, როგორც **საჩ- და საჯ-,** ხოლო ხმოვნის შეკუმშვის შემდეგ მივიღეთ, ერთი მხრივ, **შჩის — შჩული** და **რჩის — რჩული,** ხოლო მეორე მხრივ, **შჯის — შჯული** და **რჯული** და სხვ. ძველ ქართულში, რომელსაც ეყრდნობა საბა (იხ.ქვ.), დადასტურებული ფორმები და მათი მნიშვნელობები ქართულშივეა დიფერენცირებული. ახალ სპარსულში საშ. სპარსული **sač** იღებს **saz** –ის სახეს, მისი მნიშვნელობებია: 1. საზღაური, სასჯელი, მისაგებელი, ჯილდო, 2. ღირსი, ღირსეული, როგორც საჭიროა, შესაფერისია და სხვ. (იქვე; 271-272).

შდრ. საბას ლექსიკონში **საჯ-** ძირიდან მომდინარე სიტყვები, რომელიც საბას ლექსიკონის გამომცემელთ ასე აქვთ თავმოყრილი: [**საჯ ნ.** განსჯა, განშჯა, დასჯა, დაშჯა, ესჯოდეს, ეუშჯულოვა, ვმსაჯულობ, ვშჯი, ვშშჯიდი, მოსაჯული, მსაჯული, მსჯავრი, რჩული, რჯული, სარჯელი, სარჯულო, სასჯელი, საშჯელი, საშჯულო, სჯა, სჯი, სჯული, უგანმსჯელობითესად, ურჩულო, შემჯა, შჯა, შჯადი, შჯიდა, შჯულვილნი, შჯული, წინამოსაჯული] (საბა)

ჩვენი საკითხისთვის მნიშვნელოვანია **საჯ-** ძირისა და ფუძის კავშირი **სჯულთან / რჯულთან;** ცნობილია, რომ **ს**-თანხმოვნიანი ვარიანტი უფრო ძველია. მაშასადამე, ფუძის გახმოვანებით იგი იქნება: **ს(ა)ჯ-ულ, -ურ / -ულ** დეტერმინანტი აფიქსით (არნ. ჩიქობავა): **მ-საჯ-ულ- / საჯ-ულ; საჯ-ულ,** ვნებითი გვარის მიმღეობაა, ე.ი. რაც ან ვინც დასაჯეს.

ჩვენი აზრით, სახელწოდება **საჯი** „ურთხელი“ დაკავშირებულია **სჯულთან, საჯ-ებ-ა, „დასჯა“** ფორმასთან. რა კავშირი უნდა ჰქონდეს ურთხელს ამ სიტყვებთან, თუ არა ურთხლის მითოსური და სარწმუნოებასთან დაკავშირებული ასპექტები, კერძოდ, მისი, როგორც საკულტო, სარიტუალო მცენარისადმი დამოკიდებულება წარმართულსა და ქრისტიანულ ეპოქებში.

ურთხელი ქართველურ არეალში, მათ შორის, უმთავრესად სამეგრელოს მთიანეთში **წმინდა მცენარედ** ითვლებოდა; არქაული ქართველური სიტყვები: ქართ. **ძელი :** ზან. **ჯა-ლ / ნ-ჯა, მ-ჯა, ჯა** ზეპირმეტყველებითს ფორმებსა და ეთნორეალიებში არ დასტურდება; **ხე,** არნ. ჩიქობავას აზრით, შემდგომდროინდელია, იგი ბიბლიაში გვხვდება, მაგრამ შესაძლოა წერილობით ძეგლებამდეც ყოფილიყო ქართულში. ჩვენი აზრით, **ხე** ძირეული ქართული სიტყვა უნდა იყოს, თავისი ზანური ბგერათშესატყვისი

ფორმით — **ხა,** თუმცა გამოთქმულია აზრი მისი სკვითურ-ალანურ-ოსურიდან მომდინარეობის შესახებ (მ.ანდრონიკაშვილი). ამ საკითხს სხვაგან ვეხებით.

ამ თვალსაზრისით რეგიონში **ჭყონისადმი /** უძვ. ქართ**. კრკო / რკო; / : წყან-, მუხისადმი,** მითოსური და ქრისტიანული ეპოქების მანძილზე დამოკიდებულება კარგად ასახავს **ურთხმლის** მიმართ დამოკიდებულებასაც. ზან. **ჭყონის || ჭკონის :** ქართ. **წყანის,** მოჭრა, დაწვა, მის ადგილზე ქრისტიანული **ჯვრის** აღმართვა და ა.შ. იმავეს გვავარაუდებინებს ურთხმლის მიმართაც. მაშინ გასაგებია, რომ **საჯ-ი სჯულთან** — **ურთხმლის**, როგორც **საკერპო ხის** დასჯასთან არის დაკავშირებული. ანალოგიური შემთხვევა ცნობილია: მარტვილში, VII საუკუნის I ნახევარში, როცა მოჭრეს **ჭყონი დიდი** (დიდი მუხა), მის ადგილზე აგებულ იქნა „ჭყონდიდის მარტვილთა ეკლესია“.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ვითარებას უნდა გაექრო ურთხმლის **წარმართული** სახელი.

როგორც აღვნიშნეთ, უძველეს ინდოევროპულში აღდგენილია მარადმწვანე ხის აღმნიშვნელი ფუძე. იგი უნდა ყოფილიყო მარადმწვანე საკულტო მცენარე **ურთხმელი,** რომლის თაყვანისცემა და რიტუალების არსებობა დასტურდება ქართველურ ენათა გავრცელების არეალშიც (ვ. ბარდაველიძე, ნ.ხაზარაძე, თ. ცაგარეიშვილი).

„მწვანე ტოტები“ ანუ „საიმუნიტეტო სიგელები“, რომელიც არაინდოევროპელი ხათების და ინდოევროპელი ხეთების ადმინისტრაციულ სამართალში გვხვდება (გრ. გიორგაძე), შესაძლოა იყოს მარადმწვანე ურთხმლის ტოტები, რადგან აღნიშნული ხალხების სამართალში მისი მწვანე ტოტები XI თვეში ანუ იანვარ-თებერვალში იხსენიება (გრ. გიორგაძის აზრი მოგვაქვს: ხაზარაძე, ცაგარეიშვილი, 1998, 7).

ურთხმელ-ი (და მისი ფონეტიკური ვარიანტები), ასევე, **საჯ-**ი ძალზე გვიანდელი სახელებია. ენობრივად **უ-რ-თხმ-ელ-**ი მომდინარეობს **რ-თხმ-ელ**-ისგან;

მცენარეთა შემსწავლელ სამეცნიერო დარგთა თვალსაზრისითაც, ისინი ერთი სახეობის ენდემური ჯიშებია. ურთხმელი და (რ)თხმელი\ა **წითელმერქნიანი, წყალში გამძლე მცენარეებია;** თხმელა || რთხმელი დასავლეთ საქართველოში გამოიყენებოდა და ამჟამადაც იყენებენ **ჭის გვიმად** (ჭის საძირკვლად), რადგან წყალში არ ლპება.

თხმელა კუთხურ სახელად არის შეტანილი ქეგლ-ში, სალიტერატურო ენაში მას ჰქვია **მურყანი**. ასევე არის სულხან-საბას ლექსიკონში, მაგრამ საბა არ უთითებს, რომ **თხმელა** კუთხურია, მოაქვს ფორმა **მურყნი** და **რთხმელა. მურყნი** ფორმა მომდინარეობს მართულმსაზღვრელიან კომპოზიტში **მურყნის ხე** საზღვრულის გაუჩინარების საფუძველზე (ქართულში არის ასეთი სინონიმიც: **მურყანაის ხე.** ალ მაყ.). თანამედროვე კილოებში **რ** გამქრალია, საბას დროინდელ ქართულში სახელი **რ** თავკიდური ბგერით ყოფილა გავრცელებული.

მურყანი ხის ქართული სახელწოდება ჩანს (რუს. ოლხა, ლათ. ალნუს); დ. ჩუბინაშვილი უთითებს სხვა ქართულ სახელსაც: **შავთხილა**, მაგრამ სხვა სახეობის მურყანთაგან (შდრ. ალ. მაყ.), როგორც ჩანს, ჩუბინაშვილი ამ სახეობას იცნობდა. თუ **მურყანი** ქართულია, ეტიმოლოგიურად იგი გამჭვირვალე არ არის, შეიძლება გამოიყოს ფუძე**: მურყ-**, სადაც შესაძლოა **რ** ჩანართი იყოს, **-ან** ამ შემთხვევაში კრებით სახელთა მაწარმოებელ **-ი-ან** სუფიქსის ნაწილია, რომელიც ასევე სიმრავლეს აღნიშნავს, მაგ., **მუხ-ი-ან-ი, პანტ-ი-ან-ი,** სადაც მრავალი მუხა და პანტაა. **მურყ-** ფუძე ხის აღმნიშვნელ სახელებში არ ჩანს, შეიძლება შესადარებლად მოვიტანოთ მეგრ. **მუც-ი / მუცე, ძიგირიშ-მუც-ი-ა**, ლაზ. **მუყ-ი, სვან. მუყუ̈** „მაყვალი“. დაბრკოლებას არ ქმნის **ц > ყ**, შდრ. ზან. **ცუდე** და ქართულენოვან სამეტყველო არეალებში ძველთაგანვე გავრცელებული**— ყუდე,** რომელიც გვხვდება ტოპონიმშიც **ქვაყუდე** (სამტრედია), **ქვაყუდე** (გამოქვაბული ვანის რ-ნში) (მაგალითი მოგვაქვს: სიხარულიძე, 1971; 112).

სავარაუდოა, რომ ხეს სახელი მაყვალთან **ნაყოფის ფერის მსგავსების გამო** დარქმეოდა, შდრ. **შავთხილა,** თანაც თხმელა \ მურყანი უმეტესად მაყვლოვნებში ხარობს. **მურყანი || თხმელა** გვხვდება ჭანურ-მეგრულშიც, სვანურში **ბელყაჩ / ბელყეჩ** „ჩვეულებრივი მურყანი“ (ალ. მაყ.). შესაძლოა, ფორმა **მურყან-**ი მიღებულია მეტათეზისით: **მუყრ-ან-**ი > **მურყ-ან-**ი;

ჩვენი აზრით, ამოსავალი ფორმა უნდა იყოს: **მუყ-არ**-, სადაც **-არ** სუფიქსი უკავშირდება მეგრულ **-ონ** სუფიქსს, რომელიც, არნ. ჩიქობავას მიხედვით, აღნიშნავს ადგილს, სადაც რომელიმე მცენარის სიმრავლე ხარობს (ჩიქობავა, 1926, 310**), მუყ-ონ-**ი **/ მუყ-არ-**ი იდენტური სემანტიკისაა, გაუდიფერენცირებელი შეიძლებოდა ყოფილიყო ბუჩქნარი და ხე-მცენარეები, აღნიშნული სუფიქსები მათი გავრცელების ადგილს, ამ ადგილზე მათ სიმრავლეს აღნიშნავდა, **რ**-ს ჩართვით და მეგრული **-ონ** სუფიქსის ეკ-

ვივალენტი ქართული **-(ი)-ან** სუფიქსის დართვით არის მიღებული ფორმა **მურყ-ან-**ი **<** **მურყ-(ი)-ან-**ი

(რ)თხმელა/ი ქართველურ ენებში აღდგება ***თხამ-** ფუძის სახით.

ქართ. **თხმ- თხმ** -ელ-ი; **თხმ**-ელ-ა (ახ. ქართ.)

მეგრ. **თხომ- / თხუმ- თხომ-უ / თხუმ-უ** „თხმელა“

ლაზ. **თხომ- / ნთხომ- / ნთხომბ- თხომ-უ / ნთხომ-უ / ნთხომბ-უ** „თხმელა“

არ არის დადასტურებული ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. ქართულ **თხამ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **თხამ-** და ლაზური **თხამ-**; ქართულ **თხმ-ელ-** ფუძეს შეესატყვისება მეგრული **თხომ-უ / თხუმ-უ (ო > უ მ-ს** ზეგავლენით) და ლაზური **თხომ-უ / ნთხომ-უ / ნთხომბ-უ (ნ** განვითარებულია **თ-**ს წინ, ასევე განვითარებულია **ბ მ**-ს წინ). მეგრულსა და ლაზურში ქართული **-ელ**-ის შესატყვისად გამოვლინდება **-უ.**

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღდგენილია არქეტიპები: ***თხმელ-** (გ. კლიმოვი), / ***თხმელ-** (მ მარცვლოვანი სონანტი) (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) (იხ. სარჯველაძე, ფენრიხი, 2000, 246-247).

მცენარე თხმელა ქართველურ ენათა გავრცელების არეალში ძალზე ადრეული პერიოდებიდანვე რომ ყოფილა გავრცელებული, ჩანს ტოპონიმებიდან და, განსაკუთრებით, ამ ტოპონიმთა ენობრივი აგებულებიდან: სამეგრელოში: **თხუმუ(ლ)-ონ**-ი (სათიბის სახ. ხობის რ-ნში), **თხომელ-არ**-ი II **თხომულ-ონ**-ა (გორაკის სახ. ჩხოროწყუს რ-ნში), **თხუმხინჯ-**ი (ქართ. თხმელის ხიდი, ღელე ზუგდიდის რ-ნში), **თხმელ-არ**-ი (ტოპ. აბაშის რ-ნში) (მაგალითები მოგვაქვს: ღლონტი, 1971), ქვემო რაჭაში (ამბროლაურის რ-ნი) ადგილის სახელებია: **თხმ-ორ-**ი და **თხმელ-არ-**ი; ქვემო იმერეთში (ხონის რ-ნში): **თხმელ-ა-ებ-**ი და **თხმელ-ებ-**ი; **თხემლ-არ**-ა (ტყე, ოზურგეთის რ-ნი), **თხმელ-არ**-ა (ისტ. გურიაში, სოფ. ხიდისთავში) და მრ. სხვ. (მაგალითები მოგვაქვს: სიხარულიძე, 1971).

ტოპონიმი **თხმ-ორ-**ი ნაწარმოებია იშვიათი სუფიქსით **-ორ,** რომელიც ქართულში, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, აღნიშნულია კიდევ ორ ტოპონიმში, ესენია: **კოდ-ორ-**ი, **გომბ-ორ-**ი, მაგრამ მათ გარდა საქართველოს ისტორიულსა და ამჟამინდელ გეოგრაფიაში ადგილის სახელებში ეს სუფიქსი საკმაოდ ხშირად გვხვდება (ამ სახელებს და **-ორ** სუფიქსს ჩვენს სხვა სამეცნიერო ნაშრომში ვეხებით).

მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ **ურთხმელ-**ის ფუძის შემცველი ტოპონიმი, ან მაკროტოპონიმი, საქართველოში არ არსებობს, შდრ.: სოხუმის უძველესი ქართველური სახელწოდება **ცხუმი**, რაც მომდინარეობს ფიტონიმ **ცხემლა**-დან „რცხმელა". ეს ვითარება ადასტურებს ჩვენს მიერ ამ მცენარის შესახებ ზემოაღნიშნულს.

საკულტო ურთხმელის **ქრისტიანიზაციის** მაგალითია ხონის რ-ის სოფ. კინჩხაში მრავალსაუკუნოვანი (დაახლ. ხუთიათასი წლის) სამი ძირი ურთხმელის (გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ორი ძირია) ხალხურ ქრისტიანული სახელები: „**მამისა**", „**დედისა**" და „**ძისა**". ამ ადგილზე ადრე ეკლესია ყოფილა, შესაძლოა, იგულისხმებოდეს: მამაღმერთი, ღმრთისმშობელი და მაცხოვარი, მაგრამ არ გამოირიცხება, რომ წარმართობისდროინდელი სახელებიც იყოს, ნაყოფიერების ღვთაებისადმი სავედრებელი ლოცვის ფორმულა ან, შესაძლოა, ცალკეულ ხეს შესაწირავს სწირავდა „მამა", „დედა" და „ძე", შდრ. მურჯახეთში (ახალქალაქის რ-ნი) ნაყოფიერების საკულტო ქვა-სტელები, ცალკე მამაკაცებისა და ცალკე ქალებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **უ-რთხმ-ელ-**ის ფუძეც არის ***თხამ-**, **რ** ფონეტიკური დანართია, რომელიც სამეტყველო ენასა და დიალექტებში გვხვდება **რ-თხმელა**-შიც, მაგრამ ხშირად იკარგება. ორივე მცენარეს ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის ასევე ფუძე ***თხმელ-** უჩანთ. ამჯერად ვერაფერს ვიტყვით მარცვლოვანი მ სონანტის შესახებ.

სრულხმოვნიანი ფუძე ქართულსა, მეგრულსა და ლაზურში: **თხამ : თხომ / თხუმ** შეკუმშულია სუფიქსთა დართვით**: -ელ : -უ,** სამსავე ენაში გვაქვს: ***თხამ-**

უ-რთხმელში პრობლემატურია თავკიდური **უ-**ს წარმომავლობა**. უ-** შესაძლოა იყოს უარყოფითი ფორმანტი, რომელიც მომდინარეობს **უ-ლპობი**, ძვ. ქართული — **უ-ლპოლველი-**დან;

თუ ეს აზრი მართებულია, **უ-რ-თხმ-ელ-ი** ნაწარმოებია ასე: **უ-(ლპოლველი) / უ-(ლპობი) (რ)თხმელა/ი.**

უ- ფორმანტიანი ფიტონიმები ენაში საკმაოდაა და **უ-**თი ყოველთვის გამოხატულია უარყოფითი ნიუანსი რაიმე ნიშანთან მიმართებით, მაგ., **უ-**კადრისა, **უ-**კვდავა, **უ-**ლეწელა, **უ-**ყმურა, **უ-**ცვეთელა, **უ-**ძოვარა, **უ**-ძრახელა; ზოგ მათგანში ეტიმოლოგია განსაკუთრებით ცხადად ჩანს (მაგალითები მოგვაქვს: თოფურია, 1979, 258). მაგრამ **უ-** მეგრულსა და ქართულში აღმატებით ხარისხსაც აწარმოებს. ამიტომ გვგონია, რომ უ-ს ენის

ისტორიის რომელიმე პერიოდში ეს ფუნქციაც ჰქონოდა ან ასე ყოფილიყო აღქმული: ურთხმელი თხმელაზე უფრო მაგარი (ულპობი) მცენარე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოსავალი სახეობა ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტებისა არის: **ურთხმელ-**ი.

ძველ ქართულში სიტყვა არ არის. თანამედროვე დიალექტოლოგიური მონაცემებით, კახურში, **ფშაურსა** და **ხევსურულში** არის **უთხოვარი,** მაგრამ იგი კახურთან სამეტყველო კოდების შედეგი უნდა იყოს, რადგან, თუ სამეტყველო კოდების შერევის შედეგი არ არის, მას ვაჟა აუცილებლად გამოიყენებდა. **ძველ ფშაურსა** და **ხევსურულში** უნდა ყოფილიყო **ურთხმელ-** ფორმა, რადგან იგი გვხვდება ვაჟა-ფშაველას ლექსში „ტყე" (ვაჟას მიერ ამ სიტყვის დაწერილობას სიტყვის მართლწერის თვალსაზრისით, სხვაგან ვეხებით).

სვანურში არის **ურთხველ,** იგი მიღებულია **მ-**ს **ვ-**ში გადასვლით, რაც დასავლურ დიალექტებში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, მაგ., **ნემსი > ნევსი,** სვანურში ეს სახელი ქართული ენობრივი არეალიდან არის შესული, სადაც მ : ვ შენაცვლება უკვე მომხდარია.

სვანურში ურთხმელის მეორე სახელი **შäდრა** ძალზე საინტერესოა თავისთავადაც და იმ თვალსაზრისითაც, რომ ქვემოსვანურში **-რა / -ლა** სუფიქსი აღნიშნავს ხის რომელ სახეობას მიეკუთვნება მორი, ფიცარი, ტოტი, და საერთოდ, ხისგან დამზადებული საგნები, მაგ., ქვემოსვანურში წიფ არის „წიფელი მოუჭრელი", ხოლო წიფრა — „წიფლის მორი, შეშა, მოჭრილი წიფელი" (-რა / -ლა სუფიქსის ამ ფუნქციისათვის სვანურის დიალექტებში იხ. გაზდელიანი, 2001, 37).

შäდ-რა კონკრეტულად ნიშნავს — **მოჭრილ შäდ-**ის ანუ **ურთხმელის მორს, შეშას** და სხვ., ხოლო **შäდრა — „შäდრამოუჭრელს"** ანუ **„მოუჭრელ ურთხმელს"**, შდრ. **მუხის** სვანური სახელწოდება — **ჯი-რა / ჯē-რა / ჯიჭ-რა,** სადაც ამ სუფიქსს იგივე ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

ეს ვითარება ხომ არ ასახავს ძველ ვითარებას, როცა „**მოჭრილი**" და „**ცოცხალი**" ხეების განცალკევება **-რა** (> **- ლა**) სუფიქსით თავდაპირველად სწორედ მუხისა და ურთხმელის მიმართ სარწმუნოებრივი დამოკიდებულებიდან წარმოიქმნა. ცხადია, ეს ვარაუდის სფეროს არ სცილდება, მაგრამ უსაფუძვლოდაც არ მიგვაჩნია. ქრისტიანული გაგებით უმნიშვნელოვანესია „ძელი ცხოველი" / „სვეტი ცხოველი" :

განხილულ საკულტო მცენარეებთან და ფუძეებთანაც დაკავშირებულია **თხ-ილ-** ფუძე და მცენარე: მას განვიხილავთ **თხმ-ელ-**თან და **უ-რ-თხმ-ელ-**თან მიმართებით:

თხილი რთხმელისა და ურთხმელისგან განსხვავებული მცენარეა, მაგრამ ისინი ერთი სახეობისა არიან: დ. ჩუბინაშვილი მურყანს ანუ რთხმელს უწოდებს „**შავთხილას**“, იქვე მოაქვს სხვა სახელები: ნაცარა მურყანი, შავი მურყანი, ჩვეულებრივი მურყანი (დ. ჩუბ.). „ჩვეულებრივ მურყანში“ რომელი მცენარე იგულისხმება, ჩვენთვის გაუგებარია, რადგან (რ)თხმელა\ი, რომელიც დასავლეთ საქართველოში გვხვდება, შავ, თხილივით, საჭმელად უვარგის ნაყოფს ისხამს, გამოაქვს თხილისებური ყვავილი \ **ხურხული;** ნაცარა მურყანი ის სახეობა შეიძლება იყოს, რომელიც საშეშედ თითქმის უვარგისია, რადგან ნაკვერცხალი ცოტა აქვს და სწრაფად ინაცრება. ურთხმელი საუკეთესო სამშენებლო მასალაა, საუკუნეობით ძლებს, რთხმელი სამშენებლოდ უვარგისია. **ურთხმელი საკულტო მცენარე იყო,** რთხმელი — არა, მაგრამ კულტთან დაკავშირებულია თხილი: ამჟამადაც უძველესი ქართველური **ახალწლის ჩიჩილაკი** მხოლოდ **თხილის ხისგან** ითლება.

ქართველურ ენათა მიხედვით: ქართ. **თხილ- თხილ**-ი, მეგრ. **თხირ- თხირ-**ი „თხილი“; ლაზ. **თხირ- / მთხირ- / ნთხირ- თხირ- / მთხირ-**ი **/ ნთხირ-**ი „თხილი“; სვან. **შდიხ- / შთიხ- შდიხ** „თხილი“; ლა-**შთხ**-ირ „სათხილე“, არ არის გამოვლენილი ჯერჯერობით ცნობილ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. დასტურდება სულხან-საბას ლექსიკონში.

საერთოქართველური ფუძე-ენისთვის აღდგენილია ***(ს)თხილ** (შუა სიბილანტური ს) არქეტიპი გ. კლიმოვის მიერ (მონაცემები მოგვაქვს: სარჯველაძე, ფენრიხი, 2000, 250).

ქართ**. თ-**ს შეესატყვისება სვან. **შდ,** ქართ.-ზან. **თხ-** : სვან. **შდ**, მაგრამ სვანურში **შდიხ** არის „თხილი“, ხოლო **შდგხგნდ** „თხილის ხე“. ქართველურ ენებში **თხილის** არსებობას უძველესი დროიდანვე ადასტურებს **ადგილის სახელები**. სვანურის გარდა „თხილის ხის“ აღმნიშვნელი ქართველურ ენა-კილოებს არ აქვს, ეს ხომ არ მიუთითებს, რომ მაღალმთიან სვანეთში პირველად **თხილი-ნაყოფი** იყო ცნობილი, ხოლო შემდგომში — **თხილის ხე.** .

შევაჯამებთ განხილულ ფუძეთა შესახებ ქართველურ ენობრივ მონაცემებს:

ა) ქართულ-ზანური ერთიანობისთვის: ***თხამ- / *თხომ /* თხუმ-; თხომ-უ / თხუმ-უ** „თხმელ-“ ბ) ქართულ-ზანური ერთიანობისთვის ***თხ**- : ქართ. **თხ-ილ**-ი, ზან. **თხ-ირ**-ი,

ბ) **ურთხმელ**-ში ქართულ კილოებში ხდება **მ**-ს დაკარგვა, **მ : ვ** შენაცვლება, განსხვავებული ვარიანტის — **უთხოვარი**-ს გაჩენა, სადაც ფორმა მიღებულია ***უ(რ)თხ(მ)(ლ)-ოვ-ან- / *უ(რ)თხ(მ)(ლ)ოვ(ნ)არ-** ვარიანტებიდან **> უ-თხ-ოვ-არ-**, სადაც **-ოვ -ოვ-ან** სუფიქსის ნაშთია, ხოლო **-არ -ნ-არ** (შდრ.: თხმ-ელ-**ნარ**-ი) სუფიქსის ნაშთი, ეს პროცესები მომხდარი ჩანს საფეხურეობრივად ან სხვადასხვა დიალექტური წრეების მიხედვით. სუფიქსთა დართვით დაკარგულია ფუძისეული **მ,** რომელიც **ურთხველა**-ში **ვ**-თი შეცვლილია **მ : ვ** ჩანაცვლებით (შდრ.: მაგ., ნემსი : ნევსი), დაკარგულია **(ე)ლ** სუფიქსი ანუ მისი ნაწილი **-ლ.**.

გ) შეიძლება ამ სამი სახელისთვის აღდგეს საერთო ფუძე **თხ**-. რომელსაც სვან. შეესატყვისება **შდ(ი)ხ**, ხოლო საერთოქართველურ ფუძე-ენაში ***(ს)თხ-ილ**, რადგან საერთოქართველური **სთ** : სვანური **შდ, თ**-ს გამჟღერებით.

რაც შეეხება აჭარულის მონაცემებს: **მადა, ურთხმელა, სატილია;**

სა-**ტილ**-ია-ში ფუძედ გამოიყოფა **ტილ-, სა-** დანიშნულების აფიქსის **სა—ე-**ს კომპონენტია, მას დიალექტებში ხშირად სუფიქსად **-ია** ფორმანტი მოუდის, მაგ., სა-ტურ-(ე)ია, სა-ღორ-(ე)ია, ზოგ დიალექტში არის მხოლოდ -ა; უნდა ყოფილიყო **სა-ტილ-ე.**

სახელწოდების შესახებ ვვარაუდობთ:

ა) მცენარის სახელის ფუძეა არა **ტილ**-ი, არამედ ძვ. ქართ. **მტილ-**ი „ბაღი, ყვავილნარი, ბოსტანი“ (ი.აბულ.). ამ შემთხვევაში სახელდების ამოსავალია სოფელში, დასახლებულ ადგილებზე, ბაღებსა და ყვავილნარებში მცენარის არსებობა, გავრცელება, შესაძლოა, დეკორატიული მიზნითაც, შდრ.: ჰიდრონიმი **ტილიანა** (ცხინვალი), წინააღმდეგ ხალხური ეტიმოლოგიისა, მართებულია ახსნა, რომ თავდაპირველად გვქონდა **მტილ-**იან-ა, რაც ნიშნავს „საბოსტნე მდინარეს“ (ღლონტი, 1971; 12).

ბ) ხშირ შემთხვევაში მცენარეებს სამკურნალო თვისებები აქვთ და ეს სახელწოდებაშიც ჩანს, შდრ.: ფიტონიმი წითელი გვირილა, რომელსაც ქვ. ქართლ. ეწოდება რწყილის წამალი, თუშ. **სარწყილა** (ალ. მაყ.). სავარაუდოა, რომ აჭარის იმ არეალში, სადაც ურთხმელის ეს სახელია გავრცელებული, ურთხმელის ფოთლები ან ნაყოფი ტილის მოსაცილებელი თვისებით იყო \ არის ცნობილი.

გ) ურთხმელი მაღალ მთაში, კლდეებშიც ამოდის, ამიტომ სავარაუდოა ისიც, რომ ფუძე **ტილ-** იგივეა, რაც ქართ. **ტინ- :** ზან**. ტილ-** „კლდე"; სა-**ტინ-**ე ან სა-**ტილ**-ე მცენარე, ე.ი. **სა-კლდე-ვ-ე**; **სა** — **ია** აფიქსი გვიჩვენებს ადგილს, სადაც ეს მცენარე ხარობს, შდრ. **პრასი** — **სა-პრას-ი-ა;** შდრ. მუხის სახეობა „მაღალმთის მუხა" (ალ. მაყ.)., მაგრამ ჩვენ პირველი მოსაზრება (ა) მიგვაჩნია მართებულად.

ჭანურში ურთხმელის აღმნიშვნელი არ არის, ეს გვაფიქრებინებს, რომ აჭარული **მადა** ლაზურიდან შეთვისებული, ხოლო ლაზურში აღმოსავლური რომელიმე ენიდან ადრეულ პერიოდებში ნასესხები სიტყვაა, ფონეტიკურად სახეცვლილი. სხვა შესაძლებლობას ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ. გურიაში ტყის სახელწოდებად დასტურდება **მადენი**, თუ იგი **მადან**-ის დიალექტური ფორმა არ არის, ამ შემთხვევაში წარმოების მიხედვით სახელი სიძველეს ამჟღავნებს: **მად(ა)-ენ-**ი (მაგალითი მოგვაქვს: სიხარულიძე, 1971; 118),

ისტორიულ იმერეთში დასტურდება ტოპ. **მანდაეთი** (იხ. ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971, 49), რომელშიც შეიძლება ფუძედ გამოიყოს: **მა(ნ)და-, ნ** ფონეტიკურ საფუძველზეა წარმოქმნილი, თავდაპირველად შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ ფუძე: **მადა,** შდრ.: ისტორიული გურიის მიკროტოპონიმიაში სახელწოდება **ურთხელა** (სათესი, მინდორი) (იხ. სიხარულიძე, 1971, 132). **-ეთ** სუფიქსით წარმოება შემდგომაც შეიძლებოდა მომხდარიყო. რახან გეოგრაფიულ სახელებში -ეთ სუფიქსი უპირატესად ქართულ ენობრივ არეალშია გავრცელებული, სავარაუდოა, სიტყვა არც იყოს ნასესხები. თუ იგი ნასესხებია, იმერულსა და გურულში დასაშვებია უშუალოდ აღმოსავლურ ენათაგან იყოს შემოსული.

არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ **მად(ა)** მცენარის სახელის ტაბუირების საშუალება იყოს — გამოყენებულია ჩვენებითი ნაცვალსახელი. ქართულ გრამატიკაში ჩვენებით ნაცვალსახელთა პარადიგმაში ეს ფორმა რეალიზებული არ არის (ვ. თოფურია), მაგრამ გავრცელებულია დიალექტურ სამეტყველო კოდებში: მადა, მადანა.

ტაბუირების ქართველურ სისტემაში მცენარეთა ტაბუირება გავრცელებული არ არის, მაგრამ მაგალითები იპოვება სხვა არსებათა და გარკვეულ სიტუაციათა მიმართაც, მაგ., ქვეწარმავალი — უხსენებელი, აბრეშუმის ჭიის მავნებელი ჭიანჭველა — „შავი" (არსებობს შელოცვაც); მეუღლეთა შორის ხევსურეთსა და ქიზიყში: ცოლი ქმარს არ მიმართავს სახელით, არამედ ნაცვალსახელით.

ჩვენი დასკვნა ასეთია: საქართველოში, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მცირე აზიასა და ძველ ინდოევროპელ ხალხებში გავრცელებულ მცენარე ურთხმელს საკულტო დანიშნულების გამო ქრისტიანულ ეპოქებში სახელი შეეცვალა, რაც ჩანს საბას დროის ქართულში და თანამედროვე ქართველურ ენა-კილოებში.

შემოკლებათა განმარტება

ქეგლ-ი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.

ალ. მაყ. — ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

რუს.-ქართ. ლექსიკ. — რუსულ-ქართული ლექსიკონი, საქ. სსრ მეცნ აკად. ენათმეცნ. ინსტიტ. გამოც. თბ., 1983.

ქართ.-გერმ. ლექსიკ. — ქართულ-გერმანული ლექსიკონი, შემდგ. ო. ხუციშვილი და თ. ხატიაშვილი, თბ., 1977.

ინგლის.-ქართ., ქართ.-ინგლ. ლექსიკ. — ინგლისურ-ქართული, ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, შემდგ. თ. და ი. გვარჯალაძეები, თბ., 1975.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, რჩეული თხზ. ოთხ ტომად, ტ. IV1, თბ., 1965; ტ. IV2, თბ., 1966.

ალ. ღლონ. — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974.

ღლონტი, 1971 — ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971.

ი. ყიფშ. — იოს. ყიფშიძე, რჩეული თხზ.(ლექსიკონი) თბ., 1994.

დ. ჩუბ. — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.პეტერბ. 1887

ლიტერატურა

ლომთათიძე 2000 — ქ. ლომთათიძე, ხის აღმნიშვნელ ფუძეთა ურთიერთობისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში (იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტური ურთიერთობისა და კონტაქტის ნიადაგზე წარმოქმნილი საერთო მასალის გამიჯვნისათვის), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIV, თბ., 2000.

გაზდელიანი 2001 — ხეების სახელწოდებებში -რა \ —ლა სუფიქსის გამოყოფისათვის სვანურ ენაში, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

აბზიანიძე, ელაშვილი 2007 — ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2007.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, შრომები, ტ. III, თბ., 1979.

სიხარულიძე, 1971 — ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ.IV, თბ., 1971.

ყიფშიძე 1994 — იოს. ყიფშიძე, რჩეული თხზ. (ლექსიკონი), თბ., 1994.

ბენდელიანი 2005 — ც. ბენდელიანი, ა\ე ხმოვანთა ფუნქცია ქართული სალიტერატურო და ქვემოიმერული დიალექტური სამეტყველო კოდების შერევისას (სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტები), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXV, თბ., 2005.

კაკაბაძე 1913 — ს. კაკაბაძე, ხონის საყდრის გამოსავალი დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა, ტფ., 1913.

ანდრონიკაშვილი 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1998 — წმინდა ხის კულტი საქართველოში, თბ., 1998.

სარჯველაძე, ფენრიხი 2000 — ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

ზურაბიშვილი 1961 — თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.

ჩიქობავა 1926 — არნ ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ.VI, 1926.

ბერაძე, ცქიტიშვილი 1971 — თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ.IV, თბ., 1971.

ღლონტი 1971 — ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971.

Ts. Bendeliani

The Yew – Linguistic, Ethno linguistic and Religious Aspects

Summary

The paper deals with the opinion that a plant named "**urtxmeli**" (The yew) concludes a root -**rtxm** which is equal of a root -**txam** – „**txmela**". In the word "**urtxmeli**" the origin of the prefix -**u** is a problematic question. The prefix may be a negative formant. For example, the Georgian phytonomic words with the formant -**u**: **u-ḳvdava, u-leçela**, **u-žmura**, **u-cvetela**, **u-ʒovara**...

In Georgia after the diffusion of Christianity the name of this plant was changed because of its heathen cultic function.

ვინფრიდ ბოედერი

სივრცული მეტაფორები ქართულ ზმნისწინებში[1]

ქართულში ზმნისწინების გამოყენების საკითხი დღემდე [1988] ნაკლებად არის შესწავლილი. ერთადერთი ვრცელი გამოკვლევა ქართული ზმნისწინების შესახებ ეკუთვნის ირაკლი ვეშაპიძეს (1967) და ისიც ეხება მხოლოდ ძველ ქართულს. არადა, ვისაც უცდია ქართულის შესწავლა, მისთვის ნათელია, რა სირთულეს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რომელი ზმნისწინები უნდა იქნას გამოყენებული ამა თუ იმ ზმნის ფუძესთან. ეს საკითხი ბევრად უკეთესად არ იყო შესწავლილი ბოლო დრომდე ისეთ „დიდ“ ენებშიც, როგორიცაა გერმანული და რუსული. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ე. წ. კოგნიტური ენათმეცნიერება დაინტერესდა ენობრივი მეტაფორებით, მათი ურთიერთკავშირით, რასაც სისტემური ხასიათი აქვს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს ჯორჯ ლაკოფის ნაშრომი (1987) სემანტიკური დაჯგუფებების კოგნიტური საფუძვლების შესახებ, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად განხილულია თანდებულების მნიშვნელობებს შორის ურთიერთკავშირი. სხვა ასეთი ნაშრომი (იანდა, 1986) ახალი კუთხით წარმოგვიდგენს ზმნისწინებს რუსულში და ასევე გვეხმარება ქართული ზმნისწინების ახლებური თვალსაზრისით შესწავლაში. ამჯერად ჩვენი მოსაზრებები შეეხება აღნიშნული პრობლემის მხოლოდ ზოგ საკითხს. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ქართული ზმნისწინების გამოყენების საილუსტრაციო მასალა, კერძოდ, *შე-* ზმნისწინის გამოყენების შემთხვევები (1) და რამდენიმე ძირითადი საკითხის განმარტება (2). ამას მოსდევს *შე-* ზმნისწინის მეტაფორული გამოყე-

[1] ამ სტატიის გერმანული ვერსია "Die Metapher des Raums in den georgischen Präverbien" პირველად დაიბეჭდა კრებულში: Catherine Paris (ed.): *Caucasologie et mythologie comparée*. Actes du colloque international du C.N.R.S. - IVe colloque de caucasologie (Sèvres, 27-29 juin 1988). Paris: Peeters, 1992, გვ. 375-390. — დიდ მადლობას მოვახსენებ ნინო ჭუმბურიძეს, რომელმაც თავისი ინიციატივით თარგმნა ეს რთული ტექსტი, და შუქია აფრიდონიძეს, რომელმაც ზოგი ზმნის არასწორ დაჯგუფებაზე მიმითითა (ვ. ბოედერი).

ნების შემთხვევების განხილვა (3). ასევე დასმულია საკითხი იმის შესახებ, თუ სივრცის რომელი მახასიათებლებია კოდირებული ქართულ ზმნისწინებში (4) და ბოლოს, რა აერთიანებს *შე-* ზმნისწინიან სხვადასხვა ფორმას (5).

1. სანიმუშოდ თავდაპირველად განვიხილოთ *შე-* პრეფიქსიანი რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნა (მათი ასეთი დაჯგუფების საფუძველს იძლევა ის განმარტებები, რომლებიც ჩიქობავა-ჭაბაშვილის (1986), მარშევის (1986) და ჯორბენაძის (1988) ლექსიკონებშია წარმოდგენილი, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ზმნების დეტალური სისტემატიზაცია ნაკლებად არის მოცემული).

(1) *შე-* პრეფიქსიანი ზმნები

ა) *შე-* პრეფიქსიან ზმნათაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია მოძრაობის გამომხატველ ზმნათა ჯგუფი. ამ შემთხვევაში *შე-* ეტიმოლოგიურად უკავშირდება თანდებულ *ში*-ს (როგორც გერმანულში: ***(hin)ein*** და in). ამ ჯგუფში შემოდის *შესვლა* პროტოტიპური ზმნა, აგრეთვე ისეთი ზმნები, როგორიცაა *შებარბაცება* „ბარბაცით შესვლა“, *შეპარვა* „ჩუმად შესვლა“, *შეფრენა* „ფრენით შესვლა“, *შეცქრიალება* „მსუბუქად შესვლა“, *შესწრება* „რაიმეში ვინმეზე სწრაფად შესვლა“ და ა.შ.

ბ) განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან ზმნები *შე-ტანა*-ს ტიპისა: *შებნევა* „შეყრა შიგნით“, *შეპარება* „ჩუმად რაღაცის/ვიღაცის შიგნით შეტანა/შეყვანა“, *შეშვება*, *შეხმობა* „შიგნით მიწვევა ვინმესი“ და ა. შ.

გ) ზოგჯერ *შე-* გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით „თავის თავში“: *შეთქვლეფა, შესმა, შეყნოსვა, შეჭმა, შესუნთქვა*.

დ) გარედან შიგნით მიმართულების გარდა *შე-* გამოხატავს აგრეთვე მოქმედებას „რაიმეზე“ ან „რაიმესთან“: *შეგდება* „რაიმეს თავზე აგდება“, *შეტაკება* „ზედ მისკდომა“, *შედგომა* „რაიმეზე დადგომა“, *შეხტომა* „რაიმეზე ახტომა“, *შეხმობა* „რაიმეზე გახმობა“ და ა.შ.

ე) აქვე უნდა დავასახელოთ გარდამავალი ზმნები, რომლებიც გამოხატავენ რაიმეს დამაგრებას: *შებმა* „რაიმეზე მიბმა“, *შეჭედვა* „რაიმეზე მიჭედება“.

ვ) განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია იმ ზმნების ჯგუფი, რომლებიც გამოხატავენ მოძრაობას, მოქმედებას „ერთმანეთისკენ“, „ერთმანეთთან“. ასეთებია: *შეკრება* „თავის შეყრა, შეგროვება“, *შეგროვება* „მოგროვე-

ბა“, *შედგენა* „ერთმანეთთან დაკავშირება“, *შედნობა* „ერთმანეთთან მიერთება, მიდნობა“, *შეთხზვა* „გადაწვნა, გადაბმა“, *შედგომა* „ჩამოყალიბება, ნაწილების ან ცალკეული ერთეულების შეერთებით შექმნა“, *შეკერვა, შედუღება, შეხორცება* და ა.შ.

ზ) არ არის აუცილებელი, რომ ის, რაც მოძრაობს, იყოს კონკრეტული საგანი. შეიძლება ის იყოს მოვლენა, რომელიც ზმნით გამოიხატება და შიგნით მიმართულს გულისხმობს: *შეხედვა* „შიგნით შეჭყეტა“, *შენათება* „სინათლის მიმართვა გარედან შიგნით“.

თ) მოქმედება შეიძლება იყოს მიმართული ვინმესადმი, მაგალითად: *შეძახება* „ძახილით მიმართვა ვინმესთვის“, მოქმედება მიემართება რაიმეს ან ვინმეს, მოქმედი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება მას, რისკენაც ან ვისკენაც მიმართულია მოქმედება: *შებღავლა* „ბღავილი ვინმეს მიმართ“, *შეთხოვნა* „ვინმესთვის თხოვნა“, *შეკივლება* „ვინმესთვის კივილით დაძახება“, *შეღრენა* „ღრენა ვინმეს მიმართ, ვინმესთვის“, *შეჩივლება* „ვინმესთვის საკუთარი გაჭირვების გაზიარება“, *შეხედვა* „თვალების მიპყრობა ვინმესთვის“ და ა.შ. ამ ჯგუფში შემოდის ზმნები, როგორიცაა: *შებერვა* „სულის ბერვა რაიმესთვის“, *შეგებება* „ვინმეს შეხვედრა“, *შეჯახება* „მიხეთქება“, „რაიმეს რაიმეზე მიხლა“, *შეხვედრა* და ა. შ.

ი) მოქმედება შეიძლება ხდებოდეს რაიმეზე, მაგ. *შეხმობა* (*შეახმება*) ან მოქმედებას შეიძლება ვინმე ასრულებდეს რაიმეზე, მაგალითად: *შეღებვა* და ა.შ.

კ) ზოგჯერ ნასახელარი ზმნები გამოხატავენ „რაიმეს რაიმეზე დადებას“: *შემურვა* „მურით გასვრა“, *შებოლვა* „ბოლით გამურვა“, *შევერცხლა* „ვერცხლით მოჭედვა“, *შეწამვლა* „წამლის შესხურება“ და ა.შ. ზმნების ამ ჯგუფში შემოდის აგრეთვე რეფლექსური შინაარსის [სათავისო ქცევიანი გარდაუვალი] ზმნები: *შებუმბვლა* „ბუმბულით შემოსვა, დაფარვა“, *შეფოთლვა* „ფოთლით შემოსვა“, *შეჭირხვლა* „ჭირხლით დაფარვა“ და ა.შ.

ლ) ბევრი ნასახელარი ზმნა გამოხატავს რაიმე მოქმედების დაწყებას. ასეთია: *შედავება* „დავის დაწყება“, *შებაასება* „ბაასის დაწყება“, *შებრძოლება* „ბრძოლის დაწყება“, *შეკივლება* „დაკივლება“, *შეფრთხიალება* „ფრთხიალის დაწყება“, *შეკუნტრუშება, შერიჟრაჟება* „განთიადის დადგომა“, *შეღონება, შეშინება* და ა.შ.

მ) ამ ჯგუფს შეადგენს ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოები ზმნები, რომლებიც გამოხატავენ რაიმე მდგომარეობაში გადასვლას: *შეწითლება* „რაიმეს წითელ ფერად გახდომა“, *შებილწვა* „ბილწად გახდომა“, *შე-*

გულიანება „გამხნევება“, *შევიწროება* „დავიწროება“, *შემცირება* „დაპატარავება“, *შეფხუკიანება* „გაბრაზება“ და ა.შ.

ნ) ბოლოს უნდა დავასახელოთ ზმნები, რომლებიც გამოხატავენ მოძრაობას რაღაცის შიგნით: *შებოლვა* „ბოლში დაკიდება“ და ა.შ.

რა თქმა უნდა, არ იგულისხმება, რომ ამ ჯგუფების გამოყოფით ამოიწურება *შე-* ზმნისწინის გამოყენების შესაძლებლობები. მისი საშუალებით კიდევ მრავალი ზმნა იწარმოება და შეიძლება იწარმოოს კონტექსტის საჭიროების მიხედვით.

2. სანამ სივრცულ მეტაფორებზე იქნება მსჯელობა, უნდა განვიხილოთ რამდენიმე საკითხი, რომლებიც ზმნისწინთა სისტემატურ ადგილსა და მათ გრამატიკულ მიმართებებს ეხება..

2.1 ზმნისწინების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა გამოხატოს ადგილი სივრცეში. ამის გამოხატვა ენობრივ სისტემაში სხვადასხვანაირად ხდება, კერძოდ, ზმნისწინების დართვით, როგორც, მაგალითად,

(1) *შე-ვიდა* ზმნაში;

ასევე ქცევის ნიშნებით:

(2) *უ-დგას* „მასთან დგას“; ბრუნვის ნიშნებით, რაც ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი:

(3) ქალაქ-ს წავიდა (ფოგტი 1971: 60),

და ყველაზე ხშირად თანდებულით, როგორც მაგალითად,

(4) ქალაქ-ში წავიდა.

არის თუ არა სივრცეში მყოფის ადგილის კოდირების ამგვარი განაწილება შემთხვევითი? თანდებულებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი აზუსტებენ ზმნისწინების (ასევე ქცევის ნიშნების) მნიშვნელობებს. თანაც ძირითადი თანდებულები, კერძოდ, ***-ში, -ზე, -თან*** აზუსტებენ სახელის მიცემით ბრუნვას, რომელსაც ისინი დაერთვის. თანდებულების ეს შუალედურობა სახელებსა და ზმნებს შორის ძველ ინდოევროპულ ენებში არსებული თანდებულების ორმხრივ მიმართებას შეესაბამება. აქაც მათ უკავიათ სახელსა და ზმნას შორის შუალედური პოზიცია. ეს მნიშვნელოვანი იზოგლოსა ინდოევროპულსა [ურალურსა] და სამხრეთკავკასიურ ენებს შორის პირველად შენიშნა ლომანმა (1933: 360, შენიშვნა). მეორე მხრივ კი, ინდოევროპულისაგან განსხვავებით, ქართულში მორფოლოგიური

მაწარმოებლების ფუნქციები სისტემატურად გამიჯნულია ერთმანეთისაგან: ზმნისწინები გამოხატავენ **მოძრაობას** ობიექტისაკენ. მათგან განსხვავებით, ქცევის მაწარმოებელი და მიცემითი ბრუნვა (თანდებულდართული ან უთანდებულო) ნეიტრალურია მოძრაობისა და უძრაობის ოპოზიციის გამოხატვის თვალსაზრისით: (4) და (5) წინადადებები და ასევე (6) და (7) ერთმანეთს ემთხვევა და დაახლოებით იმავე მნიშვნელობისაა:

(5) უ-დგას „ის დგას მასთან“ და უ-დგება „დგება მასთან“. აქ ისეთივე მიმართებაა, როგორც:

(6) დგას მას-თან და დგება მას-თან

(7) ადგას „დგას მასზე“ და ადგება „დგება მასთან“.

(8) დგას მას-ზე და ადგება მას-ზე.

ეს დამოკიდებულება ქცევის ნიშანსა და მიცემითს შორის არ არის შემთხვევითი, რამდენადაც ქცევის ნიშანი თუკი რაიმეზე მიუთითებს წინადადებაში, ეს არის სწორედ მიცემითი, რომელსაც ქცევის ნიშანი აზუსტებს. *-ში, -ზე, -თან* თანდებულები ნეიტრალურია უძრაობისა და მოძრაობისადმი.

(9) ეს თვისება აქვს სხვა თანდებულებსაც: *წინ, უკან, ახლოს, ირგვლივ, შუა, შორის, გარეთ*, რომლებიც ძირითადად ნათესაობითთან გამოიყენება.

ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ზმნისწინები გამოხატავენ მოძრაობას რაიმედან, რაიმესკენ ან რაიმესთან, მაშინ როცა სხვა მორფოლოგიური საშუალებები უძრაობის და მოძრაობის მიმართ ნეიტრალურნი არიან, თუ არ არის ორი განსხვავებული თანდებული, რომლებიც გზის დასაწყისს და ბოლოს გამოხატავენ და ამგვარად ახასიათებენ მოძრაობას, როგორც, მაგალითად: *ქალაქ-იდან*; *ქალაქ-ამდე*. მხოლოდ ეს ორი თანდებული, რომლებიც, სხვათა შორის, შედარებით ახალია, მოძრაობას აღნიშნავენ ზმნის ფორმის გარეშე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება გერმანულში, ინგლისურში, რუსულში. ვფიქრობ, რომ უძრაობისა და მოძრაობის სხვადასხვაგვარი გამოხატვა დაკავშირებულია შესაბამისი ენის ზოგად თვისებებთან, კერძოდ, გრამატიკული მიმართებების კოდირებასთან ზმნაში ან ზმნის გარეთ („head marking“ და „dependent marking“, ნიკოლსი 1986).

ამაზე დაწვრილებით აქ აღარ შევჩერდებით, თუმცა ამ საკითხს აქვს ერთი ანგარიშგასაწევი მხარე, რომელიც კავკასიურ ენებს ეხება. ქართული ამ მხრივაც, როგორც სხვა თვალსაზრისით [(დეეტერსი 1957)], დგას აღმოსავლეთკავკასიურ და დასავლეთკავკასიურ ენებს შორის. აღმოსავლეთკავკასიურ ენებში სივრცითი მიმართებები და უძრაობისა და მოძრაობის

გამოხატვა ზმნის გარეშე, სხვა საშუალებებით ხდება, დასავლეთკავკასიურ ენებში კი არა მხოლოდ მიმართულება, არამედ უძრაობაც ზმნის ფორმით გამოიხატება და, შესაბამისად, სტატიკური ზმნებიც ადგილის აღმნიშვნელი პრეფიქსებით არის ნაწარმოები. ქართულში შეუძლებელია გვქონდეს ფორმა **შე-დგას* „ის დგას შიგნით“ და ზმნისწინიანი სტატიკური ზმნები დინამიკურ შინაარსს იძენენ. სტატიკური *ჰყავს, აქვს* ზმნების გვერდით დგას, მაგალითად, *შე-ჰყავს, შე-აქვს*. და ბოლოს, მაშინ როდესაც *შე*-ს „რაიმეზე მოქმედების“ მნიშვნელობაც აქვს (დ, ი, კ ჯგუფები (1)-ში), მაგალითად: *შეჯდა* „დაჯდა ზემოდან“, გამოთქმას *იმაზე ლაპარაკობს* არ აქვს შესატყვისი *შე*- ზმნისწინიანი ფორმა. *შელაპარაკება* არის არა „ლაპარაკობს რაიმეზე“, არამედ „ვიღაცას მიმართავს, ელაპარაკება“.

2.2 მოძრაობისას ყოველთვის იგულისხმება რაღაც, რაც მოძრაობს სამოძრაო სივრცეში და მას ვუწოდოთ „**მოძრავი ობიექტი**“ (მოძრავი საგანი; ლაკოფი არქმევს მას: *trajector*, 1987: 419), აგრეთვე მოძრაობის დროს ყოველთვის იგულისხმება ობიექტი, რის/ვის მიმართაც ხდება მოქმედება, მას ვუწოდოთ „**მიმართების ობიექტი**“ (ფიზიკაში ლაპარაკობენ „მიმართების სხეულზე“, რასაც სამგანზომილებიანობის არასასურველი კომპონენტი ახლავს; ლაკოფი იყენებს ტერმინს — *landmark* „ორიენტირი, საორიენტაციო პუნქტი“). ისევ ისმის კითხვა: სად და როგორ ხდება მოძრაობის ობიექტისა და მიმართების ობიექტის კოდირება ენაში?

მოძრაობის ობიექტი ძალიან ხშირად არის სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი, დიათეზის მიხედვით: ***შევიდა*** ზმნის შემთხვევაში მოძრაობს სუბიექტი, (8)-ში კი მოძრაობს პირდაპირი ობიექტი (ა და ბ ჯგუფები (1)-ში), ასევე (9) vs. (10) (იხ. დ და ე) და (11) vs. (12) (იხ. მ):

(8) შეიტანა სკამი ოთახში

vs. (9) შეჯდა ცხენზე (ჯორბენაძე et al.)

(10) თხას ეყვანი შეაბეს (ჩიქობავა-ჭაბაშვილი)

(11) ვაშლი შეწითლდება

vs. (12) ამომავალმა მზემ ცის ტატნობი შეაწითლა (ჩიქობავა-ჭაბაშვილი)

ზოგჯერ კი მოძრაობის ობიექტი სიტყვათწარმოების მეშვეობით ზმნის შედგენლობაშია შეყვანილი (ინკორპორაცია):

(13) მინას შემურავს „მური მინას დაედება“

(14) წიწილები შეიბუმბლნენ „წიწილებს ტანზე ბუმბული გამოუვიდათ“.

განვიხილოთ *შეხედვა* (ზ) და *შეძახება* (თ). ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ვინც ეძახის, ის ადრესატთან უშუალო კონტაქტს არ ამყარებს. უფრო ძახილი (ხმა) მიდის იმასთან, ვისაც შესძახიან. მაშინ როდესაც არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს სკამი (8) ან მური (13) მოძრაობის ობიექტად წარმოვიდგინოთ, ძახილის (ხმის) მოძრაობა (გადაადგილება) უკვე მეტაფორულია, მაგრამ ამგვარი მეტაფორულობა ძალიან გავრცელებულია. არსებობს ძალიან ბევრი მეტაფორა, რომლებშიც, მაგალითად, მეტყველება წარმოდგენილია როგორც ჩვენი გრძნობების და აზრების ტრანსპორტირების საშუალება. მათ რედი (1979) განიხილავს „სათავსის მეტაფორის“ (conduit metaphor) სახელით

განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენს ჯგუფი ი:

(15) ტოტები შეკვეცეს (ჩიქობავა-ჭაბაშვილი)

(16) ხეს ტოტები შეახმა (ჩიქობავა-ჭაბაშვილი).

აქ მოქმედება ან პროცესი, მართალია, ხდება რაიმეზე, მაგრამ ნათელი არ არის, უშუალოდ რა მოძრაობს [როგორც მ ჯგუფის ინქოატიური (ზრდადი თვისების) ზმნების შემთხვევაში. ეს ისეთი ზმნებია, რომლებიც „ზრდას“ გამოხატავენ და ამდენად სემანტიკურად ე და ვ ჯგუფებს ჰგვანან]. ასეთი შემთხვევებისათვის მოძრავი ობიექტის საკითხს ღიად ვტოვებ.

მოძრაობის პროტოტიპულ ზმნებში (ა და ბ ჯგუფებში) და ზ ჯგუფში მიმართების ობიექტი გამოიხატება თანდებულიანი შესიტყვების საშუალებით (8), დ და ფ ჯგუფების მსგავსად, რომლებშიც გარკვეულ შემთხვევებში ირიბი ობიექტიც არის გამოხატული (იხ. (10)). თანაც სუბიექტები და ობიექტები წარმოადგენენ მიმართების ობიექტებს (იხ. მაგალითად, (13)).

როგორც მოძრავი ობიექტი შეიძლება ზმნის ფორმაში იყოს წარმოდგენილი (მაგალითად, (13) და (14)), მიმართების ობიექტიც შეიძლება ზმნის ფორმით გამოიხატოს. (11)-(12)-ში. საგანი სიწითლეში „შედის“, მოძრაობა მიმართულია შიგნით:

(17)



შეწითლდება

აქ ჩვენ ვხვდებით ისევ მეტაფორას, რომელიც შექმნილია სივრცესთან დამოკიდებულების საფუძველზე: პროცესი გადმოიცემა როგორც სივრცეში მიმართული, როგორც რაღაც საზღვარზე გადასვლა. *შეწითლება* არის როგორც თანდათან ჩაძირვა რაიმეში, რაც წითელი საღებავით არის სავსე. საწყისი პუნქტი ამ მოქმედებისა, რომელზეც *შე-* ზმნისწინი მიგვითითებს, არის ამ სივრცის საზღვარი, მიჯნა. მოძრავი ობიექტი გადადის იმ მიჯნაზე, რომელიც მიმართების ობიექტს ეკუთვნის და რომლის იქითაც მოქმედების სივრცის შიგნითაა (-*ში*). მე ვფიქრობ, რომ მნიშვნელობა „ოდნაობისა“ (იხ. ჯორბენაძე, 1988) საზღვრის გადალახვის წარმოდგენას უნდა უკავშირდებოდეს.

(18) *შეაღებს* „ოდნავ, ცოტათი გააღებს“, *შეთენდება* „იწყება გათენება“, *შეშრება* „ცოტათი გაშრება“, *შეხმება* „ოდნავ ხმება“, *შეთვრება* „ცოტათი დათვრება“, *შეკვეცა* „შემცირება“, *შეკრეჭა* „შეჭრა“, *შეტრუსვა* „ცეცხლზე გატარება“.

ზმნაში *შეწითლება*, რომელშიც მიმართების ობიექტი არის პროცესი, არ შეიძლება იყოს გამოხატული ეს შესაბამისი ლოკატივით, როგორც გვაქვს (9) ან (8) ჯგუფებში:

(19) *შეწითლდა წითელ ფერში.

ეს კი შესაძლებელია მ ჯგუფის ზმნებში:

(20) არემარე შეიბურება ხშირ ბურში.

აქ სქელი ბური (ხშირი ბურუსი) არის სწორედ ის, რაშიც გარემო გაეხვევა, ანუ მიმართების ობიექტი.

ამ შემთხვევების განხილვისას კარგად ჩანს ენაში არსებული შესაძლებლობები, რომელთა ჩამონათვალიც სრული არ არის. სანამ დადგინდება ზმნისწინის მნიშვნელობა რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იქნას შესწავლილი, თუ როგორ არის კოდირებული მოძრავი საგანი და მიმართების ობიექტი სიტყვაწარმოებასა და სინტაქსში. ზოგადი მნიშვნელობის გარკვევა, თუნდაც ეს ზედმიწევნით იყოს შესრულებული, საკმარისი არ არის. ისეთი ზმნა, როგორიცაა *შეჯგუფება*, ახლოს არის ვ ჯგუფთან (შდრ. *შეკრება*), მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სახელი ***ჯგუფ-,*** რომლისგანაც არის ზმნა მიღებული, თვითონ გამოხატავს ამ შინაარსს (სიმრავლეს): „ჯგუფში შესვლა, ჯგუფის შექმნა“ (ლ ჯგუფის ზმნები).

(21)

მოძრაობის ობიექტი	მიმართების ობიექტი	მაგალითი
ა) სუბიექტი	თანდებულიანი შესიტყვება	შესვლა

ბ) პირდაპირი ობიექტი	თანდებულიანი შესიტყვება	შეტანა
გ) პირდაპირი ობიექტი	(სუბიექტი)	შეჭმა
დ) სუბიექტი / პირდაპირი ობიექტი	თანდებულიანი შესიტყვება / მიცემითი	შედგომა
ე) პირდაპირი ობიექტი	თანდებულიანი შესიტყვება / მიცემითი	შებმა
ვ) სუბიექტის ან პირდაპირი ობიექტის შემადგენლები	სუბიექტის ან პირდ. ობიექტის შემადგენლები / მიცემითი	შეკრება
ზ) ზმნით გამოხატ. მოქმედება	თანდებულიანი შესიტყვება	შეხედვა
თ) ზმნით გამოხატ. მოქმედება	ირიბი ობიექტი	შეძახება
ი)	პირდაპირი ან ირიბი ობიექტი	შეხმობა / შეკვეცა
კ) ნასახელარი ზმნა (ზმნაში ინკორპორაცია)	სუბიექტი / პირდაპირი ობიექტი	შემურვა / შებუმბლვა
ლ) სუბიექტი / პირდაპირი ობიექტი	სახელის ინკორპორაცია ზმნაში	შედავება
მ) სუბიექტი / პირდაპირი ობიექტი	ზედსართავის ინკორპორაცია ზმნაში	შეწითლება
ნ) სუბიექტი / პირდაპირი ობიექტი	სახელის ინკორპორაცია ზმნაში	შებურვა

2.3 ლინდერი (1982) (შდრ. ლაკოფი, 1987: 430) ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან მომენტზე: შესაძლებელია მოძრაობის ობიექტისა და მიმართების ობიექტის იგივეობა. ავიღოთ მაგალითი ვ ჯგუფის ზმნებიდან:

(22) ტივი შეკრეს

აქ ნაწილების გამთლიანებაზეა ლაპარაკი, ნაწილები გადააბეს და ამავე დროს ერთი ნაწილი მოძრაობის ობიექტია, მეორე კი — მიმართების ობიექტი და პირიქით. ამ დროს შეიძლება ვილაპარაკოთ ურთიერთმოქმედებაზე. ნაწილების მთლიანობა გამოხატულია პირდაპირი ობიექტით, მაგალითად, *ტივი* ზემოთ განხილულ მაგალითში; ადამიანები, რომლებიც შეგროვდებიან ან შეიკრიბებიან ან ვინმე შეკრებს; კაბა, რომელიც იკერება:

(23) შეკერავს ტანსაცმელს

ნიშნავს, რომ ქსოვილის ნაჭრები ერთმანეთს მიუერთდება; ასევე:

(24) პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პირდაპირი ობიექტი არის მოძრავი ობიექტი და მიმართების ობიექტი წარმოდგენელია მიცემითით:

(25) შეშა შეურთო ღუმელს (ჩიქობავა-ჭაბაშვილი).

3. ზემოთ მე ვსაუბრობდი სივრცული მეტაფორების შესახებ. უკვე (1)-ის ჯგუფებშია ბევრი განსხვავებული შემთხვევა, რომლებიც მეტაფორული ინტერპრეტაციის შედეგად მივიღეთ. დამატებითი ჯგუფები იქნება „აღქმა“ ჯგუფის ზმნები, ანალოგიური გ ჯგუფისა („შეჭმა“): *შეგნება, შეგრძნობა, შესწავლა* ან ზმნა ***შედარება,*** რომელიც არის ვ ჯგუფის ანალოგიური (იხ. (25)). მაგრამ რა ვიცით, რომ ამ შემთხვევების შედარების საფუძველი ნამდვილად სივრცეა, ან სივრცის რაღაც სპეციფიკურობა და არა სხვა რამ? უპირველეს ყოვლისა, ზოგადი ხასითის მსჯელობიდანაც ჩანს, რომ სივრცის „ჩარჩოს“ ადამიანის ორიენტაციისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და რომ სივრცეში არსებული მიმართებები ბევრ ენაში აბსტრაქტული მიმართებების მეტაფორული გამოხატვისას იმავე როლს ასრულებენ, რასაც ქართულში.

თანაც არსებობს წმინდა ენობრივი საფუძველიც იმისათვის, სივრცის რომელი მახასიათებლის მიხედვით შეირჩეს ესა თუ ის ზმნისწინი.

3.1 ქართულში მოძრაობის გამოსახატავად სისტემატურად გამოიყენება ზმნისწინები, რომელთა მნიშვნელობა არ ემთხვევა იმ მნიშვნელობას, რომელიც ზმნის ფუძით არის გამოხატული.

(26) ა) **მი**-ტირის „მიდის + ტირის“

ბ) **მო**-ლაპარაკობს „მოდის + ლაპარაკობს“

გ) **შე**-იმღერებს „შევა + მღერის“

დ) ქვაბში ხორცს **ჩა**-ჭრის „**და**-ჭრის ხორცს + **ჩა**-ყრის ქვაბში“ (ჩიქობავა/ჭაბაშვილი).

ამ კომპლექსური მაგალითების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ზმნისწინის შერჩევის დროს კონკრეტული ხასიათის მოძრაობას უპირატესობა ენიჭება იმ მოქმედებასთან შედარებით, რომელიც ფუძითაა გამოხატული (მაგალითად, ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი ***და-*** (30)-ში). ზმნისწინის შერჩევისათვის გადამწყვეტია მოძრაობის სახეობა. ასევე ზმნის ლოკალური კონსტრუქცია განისაზღვრება მოძრაობის და არა ფუძის მნიშვნელობით. (29დ)-იდან არ გამომდინარეობს:

(27) ქვაბში ხორცს **და**-ჭრის „ის ხორცს ნაჭრებად ყრის ქვაბში“ [მაშინ, როდესაც (26 დ)-ში მიმართულების გამომხატველი სიტყვა (*ქვაბში*) ვალენტობას ეკუთვნის, (27)-ში თავისუფალი ლოკალური გარემოებაა].

შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნისწინის მიხედვით კონკრეტული ხასიათის მოძრაობებს უპირატესობა ენიჭება მოქმედების ნაკლებ კონკრეტულ თვისებებთან შედარებით (*შე-* ზმნისწინს *და-* ზმნისწინთან შედარებით). ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზმნისწინები მოძრაობის გამომხატველ ზმნებში ყოველთვის იქნება გამოყენებული, მათ შორის აწმყოშიც, მაშინ როდესაც სხვა ზმნებში სრული ასპექტის ნიშნებია.

ზოგადად ამ კონკრეტული მოძრაობის ზმნებისათვის უპირატესობის მინიჭების მიუხედავად, არსებობს საფუძველი, რომ სივრცის მახასიათებლები გადატანილ იქნას სხვა შემთხვევებზე.

ორი საბუთი შეიძლება მოვიყვანოთ ამ სახის ინტერპრეტაციის საჩვენებლად.

3.2 განვიხილოთ ასეთი მაგალითი;

(28) მისმა სიტყვებმა შეაეჭვეს.

აქ *შე-* ზმნისწინს აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ: „ცოტათი“, რომელიც მე განვიხილე, როგორც „საზღვარზე გადასვლა სივრცეში“. „სივრცე“ აქ არის ეჭვი. როგორ გავამართლო ეს ინტერპრეტაცია? აქ არ არის საკმარისი ინტუიცია, რომლის საშუალებით გერმანელს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ გამოთქმა *im Zweifel sein* „ეჭვებში ყოფნა“ სივრცულ წარმოდგენას გულისხმობს. ენათმეცნიერებაში კატეგორია მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ მოცემული შემთხვევისაგან დამოუკიდებლადაც არსებობს ენაში და მართლაც, კ. ჩხენკელის ლექსიკონში შემდეგი წინადადებაა დამოწმებული:

(29) შეიყვანა იგი ეჭვში.

ეს გამოთქმა ***შეაეჭვა*** ფორმისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ ამავე დროს სივრცულ წარმოდგენას ორმაგად გვიჩვენებს: 1) თანდებულიანი შესიტყვებით: *ეჭვ-ში* და 2) ზმნის ფორმით, რომელიც უთუოდ გამოხატავს შიგნით მოძრაობას: *შეიყვანა.* მისი მსგავსია მთელი რიგი გამოთქმები, რომლებშიც *შე-* ზმნისწინია გამოყენებული, მაგალითად:

(30) ა) შევიდა ეჭვში

ბ) შევიდა აღტაცებაში

გ) შევიდა სიმწიფეში (შდრ. *შემწიფება* 1 ჯგუფში).

მოქმედების და მდგომარეობის აღქმა, როგორც სივრცის, დასტურდება გამოთქმით *ჭამაში* „ჭამის დროს, ჭამისას“. წესით, ქართული ენის მთელი მეტაფორული, იდიომატური გამოთქმები ამ თვალსაზრისით უნდა იყოს განხილული. ლექსიკონები ამ სფეროში მხოლოდ ცოტა რამეს გვთავაზობენ.

მეორე მაგალითია *ა-* ზმნიწინიანი ზმნები, მაგ. *ა-ჰკივის, ა-ტირდა, ა-ლაპარაკდა* (ფოგტი 1971: 176). ეს ფორმები ალბათ მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ შესიტყვევებებთან, როგორიც გვაქვს **ა-დგა და**... გამოთქმაში, როცა გამოიხატება მოქმედების დაწყება. მეორე მხრივ კი, როდესაც საქმე ეხება აკუსტიკური აღქმის ზმნებს, არსებობს კავშირი სიმაღლესა და მოცულობას შორის (ლინდერი, 1982) და მოცულობასა და ხმის სიმაღლეს შორის (შდრ. *ხმა-მაღლა*).

3.3 ჩვენი მსჯელობის დამატებითი საბუთია სისტემატური ხასიათის ურთიერთკავშირის არსებობა თვით ზმნისწინებს შორის. ავიღოთ ისევ *შე-* ზმნისწინი. ჩვეულებრივ, მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან, როგორიცაა *სვლა* და *ვარდნა*, *შე-* ზმნისწინს უპირისპირდება *გა-*: *შე-ვიდა* vs. *გა-ვიდა, შე-ვარდა* vs. *გა-ვარდა*. ჩვენ ვნახეთ, რომ *შე-* შესვლის მოძრაობის დაწყებას გამოხატავს. ამდენად, მოველით, რომ *გა-* გამოხატავს მოძრაობის დასრულებას. და მართლაც, ისინი ერთმანეთის გვერდით არიან: *შე-თეთრდა* „ოდნავ თეთრი გახდა“, *გა-თეთრდა* „მთლიანად თეთრი გახდა“.

(31)



შეთეთრდა გათეთრდა

შესასვლელი მოქმედების დაწყებას გამოხატავს, **გასასვლელი** — მოქმედების დასრულებას. ამის მსგავსად ერთმანეთს უპირისპირდება *შე-* და *გა-*: *შე-კრავს* და *შე-კრებს* (აქ ხდება ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება) უპირისპირდება *გა-ფინა, გა-შალა* ფორმებს. აქ კიდეები, ნაწილები, ინდივიდები ერთმანეთს შორდება:

(32) იატაკზე ხალიჩა გა-ფინეს

(33) ა) ქოლგა გა-შალა

ბ) მწყემსმა ცხვარი გა-შალა

არაპირდაპირი ურთიერთკავშირი არსებობს ზმნისწინებს შორის, როდესაც *გა-*, უპირისპირდება *ჩა-* ზმნისწინს: *გა-ჰკივლებს* (შდრ. (34)); *გა-ჰყივლებს, გა-უცინებს, გა-უღიმებს, გა-იმღერის.* ამ ზმნებში ობიექტს წარმოადგენს ხმა, გამონათქვამი, რომელიც სუბიექტის უშუალო გარემოცვიდან გადის, ისევე როგორც მაგალითად: *გა-ასესხებს, გა-ათხოვებს.*

როდესაც ბგერებით გამონათქვამი იქმნება, ის მაღალ ხმასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მხოლოდ მაღალი ხმა გამოდის სუბიექტის უშუალო გარემოცვიდან. ამის საპირისპიროა, როდესაც ხმა კი არ გამოდის, პირიქით, მოლაპარაკის შიგნით შემოდის, მოლაპარაკე გამოთქმას „ყლაპავს“: *ჩა-იცინა*, *ჩა-იღიმა*, *ჩა-ილაპარაკა*, *ჩა-იბურტყუნა*; შდრ.

(34) ლუკმა *ჩა-ყლაპა* (შდრ. (1გ))

ის, რომ ართქმა ნიშნავს ჩაყლაპვას, ჩვეულებრივ მიღებულია:

(35) გადა-ყლაპა სიტყვები.

ამ მაგალითებში *გა-* და *ჩა-* ერთმანეთის საპირისპიროა და ეს ოპოზიცია შექმნილია მეტაფორის მეშვეობით: გამოთქმა (ხმა) კონკრეტულ ობიექტთან არის შედარებული (შდრ. 2.2). მოლაპარკე ამ ობიექტს თავისი თავიდან გარეთ ან შიგნით გადააადგილებს.

4. ბოლოს ისმის საკითხი: სივრცის რომელი თვისებები შეიძლება გამოიხატოს ზმნისწინებით? მე შემოვიფარგლები მოძრაობის გამომხატველი ზმნებით და ჯერ აღვწერ ზმნისწინებს აწმყოში. კვადრატები აღნიშნავენ მიმართების ობიექტს და ისრები — მოძრავი ობიექტის მიმართულებას.

(36)



აღ- გამოხატავს მოძრაობას მიმართების ობიექტიდან ზემოთ, *ჩა-* მოძრაობას ობიექტიდან ქვემოთ, *გა-* მოძრაობას მიმართების ობიექტის გარეთ, *შე-* მოძრაობას შიგნით, *გადა-* მოძრაობას ერთი მიმართების ობიექტიდან მეორისკენ. წრეები აღნიშნავენ იმ შემთხვევებს, როცა მეორე მიმართების ობიექტი მოლაპარაკესთან ან მსმენელთან იდენტურია (*მო-* და მისი კომბინაციების შემთხვევაში). დეიქსისის შესახებ აქ დაწვრილებით არ ვისაუბრებ (იხ. ჭანიშვილი 1992), არამედ ვიძლევი მხოლოდ სივრცის ცნებათა ჩონჩხს, რომელიც ამ სქემებშია დამუშავებული. გამოიყოფა შემდეგი კატეგორიები:

ა) ზემოთ და ქვემოთ (ვერტიკალურობა),

ბ) შიგნით და გარეთ (მრავალგანზომილებიანობა),

გ) მიმართულება (ორიენტირება),

დ) მიმართების ობიექტები (და ზოგ შემთხვევაში მათი რიცხვი: *დადის იქით* და *აქეთ*),

ე) დეიქსისი.

ეს სივრცის ძალიან ზოგადი ასპექტებია. რადგან ზმნისწინები არა მარტო სემანტიკური, არამედ გრამატიკული ელემენტებიცაა, ისინი ალბათ გრამატიკული ელემენტების ტენდენციას მიჰყვებიან და უფრო ტოპოლოგიური თვისებები აქვთ კოდირებული (ტალმი, 1988). დეიქსისი, რომელსაც აქ ვეხებით, სივრცობრივი სახის კი არ არის, არამედ სამეტყველო აქტიდან მომდინარეობს. მეორე მხრივ კი გასათვალისწინებელია, რომ *მო-* ყოველთვის მეტყველების აქტის დეიქსისს არ აღნიშნავს, შდრ. მაგალითად, *მოთესავს, მო-კლავს.*

მიმართების ობიექტი და მიმართულება თავისთავად იგულისხმება მოძრაობის ცნებაში. სპეციფიკური სივრცული კატეგორიები, რომლებიც ზმნისწინების საშუალებით არის გამოხატული, არის ვერტიკალურობა ანუ დაპირისპირება „ზემოთ“ და „ქვემოთ“, და დაპირისპირება „შიგნით“ და „გარეთ“ (მიმართების ობიექტის მრავალგანზომილებიანობის შემთხვევაში). უნივერსალიების და ყველა ადამიანური ენის ანთროპოცენტრული ნიშნების გათვალისწინებით საკვლევად საინტერესოა საკითხი, რა თვალსაზრისით არიან ისინი ცენტრალური კატეგორიები. გამართული, ფეხზე მდგარი ადამიანისათვის, როგორც სივრცეში მყოფი საგნის პროტოტიპისათვის და მე-სთვის, რომელიც არის სივრცული ორიენტირების მიმართების ობიექტი, „ზემოთ“ და „ქვემოთ“, „შიგნით“ და „გარეთ“ ფუნდამენტური კატეგორიებია. მეორე მხრივ, ქართული ზმნისწინების კატეგორიები ზმნისწინების

უფრო მდიდარი სისტემის ქვესიმრავლეს ქმნიან. გერმანულში, მაგალითად, მოძრაობის ზმნებთან: ***hinauf***, ***hinunter***, ***hinein***, ***hinaus***, ***hinüber***, ***hin-***, ***her-***, ***los-*** ზმნისწინების გარდა, რომლებიც ქართულშიც გვაქვს (მათი ქართული შესატყვისებია *აღ-/ა-, ჩა-, ში-, გა-, გადა-, მი-, მო-, გარეშე-*) კიდევ გამოიყენება: ***herum-*** „გარშემო“, ***hinzu-*** „დამატებით“, ***auseinander-*** „ერთმანეთის დაშორებით“ და ა. შ. საქმე ისაა, რომ სხვა ენები განასხვავებენ მეტ სივრცულ კატეგორიებს. მაგალითად, ჩრდილოდასავლეთ კავკასიურ ენებში გვაქვს კიდევ ზმნის მრავალი პრეფიქსი, სივრცის კონკრეტული მახასიათებელი (ტაბულოვა-ტემიროვა 1983). ჩემი ვარაუდით, ზმნისწინები ამ თვალსაზრისით მიჰყვებიან იერარქიას, კერძოდ, იმპლიკაციურ სკალას.

ცენტრალური კატეგორიები: ვერტიკალურიც და მრავალგანზომილებიანიც, ერთმანეთს არ გამორიცხავენ. რაიმეს მოძრაობა შეიძლება იყოს ზემოდან ქვემოთ და ამავე დროს გარედან შიგნით მიმართული. რაკი ამ ორივედან მხოლოდ ერთი მიმართულება უნდა იყოს გამოხატული ზმნისწინით, იქმნება კონფლიქტი [ანუ ერთი და იმავე მორფოლოგიური პოზიციისთვის „კონკურსი“], რომელიც ქართულში (ისევე როგორც ქართული ზმნის მორფოლოგიაში საერთოდ) გადაწყვეტილია იმით, რომ ენა იერარქიას მიჰყვება და მხოლოდ ერთ ზმნისწინს ენიჭება უპირატესობა. ავიღოთ მაგალითი:

(37) ა) ბარათი კონვერტში შედო.
ბ) ბარათი კონვერტში ჩადო.

განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის ასეთია: ბ-ში *ჩადო* გამოიყენება, როცა მოძრაობა სრულდება ზემოდან ქვემოთ, და როცა, მაგალითად, კონვერტი ხელში გიჭირავს — მიუხედავად იმისა, რომ *ჩადო* გარედან შიგნით მოძრაობას არ გამოხატავს (როგორც ზოგჯერ ამტკიცებენ). სხვა შემთხვევაში, როცა ვერტიკალურობა არა გვაქვს, გამოიყენება ა ვარიანტი: *შედო*, მაგალითად, როცა წერილს ჩუმად დებ იქვე დადებულ კონვერტში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვერტიკალურობას ენიჭება უპირატესობა გარედან შიგნით მიმართულებასთან შედარებით. ეს იერარქია არ უნდა იყოს შემთხვევითი. ასეა გერმანულშიც: ***Er ging in den Keller hinunter*** „ჩავიდა სარდაფში“ vs. ***Er ging in den Keller hinein*** „შევიდა სარდაფში“, როცა მოქმედება ერთ სიბრტყეზეა, და არა ზემოდან ქვევით. [ორივე შემთხვევაში ვინმე **შე**დის, მაგრამ ვერტიკალურობა უფრო უნდა აღინიშნოს, ვიდრე მოძრაობა შიგნით.]

5. ამით ეს თემა, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება, პირიქით: პრობლემა მაშინ ჩნდება, როცა მოძრაობის ზმნების აწმყო სისტემიდან სხვა მწკრივებზე გადავალთ. კერძოდ, მყოფადისა და წყვეტილის მწკრივებში შემოდის სრული ასპექტის ფორმები, რომლებიც გარკვეულ საზღვარზე გადასვლას გულისხმობს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ერთადერთი ზმნისწინის ხმარება, რომელიც ზემოთ არ ყოფილა დასახელებული, ესაა *წა-*:

(38) როგორც მოხვალ, სვინაო, ისე **წა**-ხვალ შინაო.

ზმნისწინი *წა-* ერთადერთია, რომელიც თავისი ლექსიკური მნიშვნელობით გულისხმობს საზღვარს და ამიტომ არ შეიძლება გამოყენებული იყოს აწმყოში. შემდეგ სქემაზე საზღვარი გამოხატულია წერტილით.

(39)



საზღვარი [სხვადასხვა ზმნისწინების სივრცული სემანტიკის მიხედვით] მდებარეობს ან მიმართების ობიექტთან — ეს ის შემთხვევაა, როდესაც ისრის წვერი (36)-ე სქემაზე მიმართების პირველ ან მეორე ობიექტთან არის, — ან საზღვარი არის თვითონ ამ მიმართების ობიექტის საზღვარიც, — ეს ის შემთხვევებია, როდესაც ისარი (43-ე) სქემაზე მიმართების ობიექტის საზღვარს გადაკვეთს. ამ ბოლო შემთხვევაში ისე ჩანს, თითქოს მიმართების ობიექტის აგებულება მოძრაობის სპეციალურ ფორმას განსაზღრავს. *შე*-ს შემთხვევაში რელევანტური საზღვარი არის შიგა და გარე სივრცეს შორის. *შე-* შეიძლება შიგნით შესვლას აღნიშნავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიმართების ობიექტი გარკვეული სახის ღია ადგილია. „ღია“ არის ყველაფერი, რომელშიც შეიძლება შეღწევა. ამ თვალსაზრისით რაიმე მყარიც, მაგ. ხე, შეიძლება „ღია“ იყოს, ე. ი. ღიაობა არ არის ლექსიკონით მოცემული სემანტიკური ნიშანი. წინათ გავლილი გზა, რომელიც წყვეტილი ხაზით არის აღნიშნული (მე-40) სქემაზე ამ შემთხვევაში წარმოსახვითია:

(40)



თუ მიმართების ობიექტი არ არის „ღია“ სივრცე, მაშინ **შე**- აღნიშნავს მოძრაობას მიმართების ობიექტზე, ან მიმართების ობიექტთან, მოძრაობა კი ზოგ შემთხვევაში შეიძლება გააზრებული იყოს, როგორც შეფერხებული შეღწევა რაიმეში:

(41) 

ეს ზმნები ორივე მნიშვნელობით მოგვეპოვება. შდრ.:

(42) ფუტკარი შეფრინდა სკაში.

(43) ჩიტი შეფრინდა ღობეზე.

აქ ისმის რამდენიმე კითხვა:

1) საერთოდ ქმნის თუ არა *შე*-ს ორივე მნიშვნელობა, კერძოდ (40) და (41) სქემაზე წარმოდგენილი, ერთიანობას? არის თუ არა ეს ორი მნიშვნელობა ერთი აბსტრაქტული, საერთო მნიშვნელობის ცალკეული შემთხვევები, თუ ისინი (როგორც ლაკოფი წარმოგვიდგენს, 1987: 426) ერთმანეთთან ტრანსფორმაციულ კავშირში არიან? მე არ გავამახვილებ ყურადღებას დეტალებზე და ვთვლი, რომ (40) და (41) შემთხვევები მართლაც ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მაგრამ არა საერთო მნიშვნელობის გაგებით. ეს ორივე მნიშვნელობა იმდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რამდენადაც მიმართების ობიექტი თვითონ ქმნის საზღვარს, რომელიც ან გადაიკვეთება, ან არა. პირობები ამ ორივე მნიშვნელობისათვის სხვა მხრივ ძალიან განსხვავებულია: (40) შემთხვევაში (შიგნით) მიმართების ობიექტი მრავალგანზომილებიანი და ღია უნდა იყოს, მაშინ როცა (51) შემთხვევაში (*-თან, -ზე*) სპეციალურად განსაზღვრული არ არის. მიმართების ობიექტი, მაგ., ზმნასთან „მიღწევა“ (ჯგუფი თ) შეიძლება გარკვეული ერთი წერტილი იყოს. თანაც (40)-ში საზღვარი გადაკვეთილია, (41)-ში — არა.

2) თავიდან გვეჩვენება, რომ (43) წინადადება (41) სქემას არ შეესაბამება, არამედ უფრო (44)-ს.

(44) 

არსებობს მთელი რიგი *შე*- ზმნისწინიანი ზმნებისა, რომლებთანაც ტრადიციული აღწერები ვარაუდობენ „ზევით“ მნიშვნელობას (შდრ. მაგალითად (9)). ეს პრობლემა აქ ღიად უნდა დავტოვოთ. მაგრამ ჯერ, პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ (42)-სა და (43)-ს შორის განსხვავება დამოკიდებულია მიმართების ობიექტის აგებულებაზე და თანდებულიან შესი-

ტყვებაზე (*ღობე-**ზე*** და არა *ღობე-**ში***). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმართების ობიექტის მდგომარეობა ზმნისწინისათვის არავითარ როლს არ თამაშობს. ისეთ წინადადებაში, როგორიცაა:

(45) ბუზი ცხენს შე-აჯდა,

ვერ გადაწყვეტ, ბუზი გვერდიდან შეფრინდა ცხენის ზურგზე, თუ ქვემოდან შეაფრინდა მუცელზე. ე. ი. მაშინ, როცა მოძრაობის ვერტიკალური მიმართულება კოდირებული უნდა იყოს ზმნისწინით, მიმართების ობიექტის „როტაცია“ (ლაკოფი, 1987: 429-430) ზმნისწინში სივრცის კოდირებისათვის არავითარ როლს არ თამაშობს.

ის, რომ როტაციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და ის, რომ უპირატესობა ენიჭება ვერტიკალურობას (იხ. ზემოთ (37)-ის შესახებ), როგორც ჩანს, ერთმანეთთან კავშირშია: [ვერტიკალურობის კოდირებას უპირატესობა კი არ ენიჭება გარედან შიგნით (ან პირიქით) მიმართულებასთან შედარებით, არამედ ვერტიკულარობა როტაციის ერთადერთი სახეა, რომლის კოდირებაც შესაძლებელია ქართულ ზმნისწინებში. ამიტომ როტაცია სხვაგან როლს ვერ თამაშობს. და კიდევ:] ერთი მხრივ, ვერტიკალური მიმართებები, რომლებიც დამოკიდებული არიან ადამიანის, და ამდენად თვითონ მოსაუბრის, ნორმალურ ორიენტაციაზე (ადამიანის გამართულ მდგომარეობაზე), „სუბიექტურია“ იმ გაგებით, რომ მოძრაობის მიმართების ობიექტი ანალოგიურად უნდა იყოს გააზრებული მოლაპარაკე სუბიექტთან. მეორე მხრივ კი, მიმართებები, როგორიცაა „გარეთ“ და „შიგნით“, ობიექტური მიმართებებია და დამოკიდებულია მიმართების ობიექტის აგებულებაზე. ისინი ნეიტრალურია როტაციისადმი და ამდენად ადამიანის ორიენტაციაზე არ არის დამოკიდებული (შდრ. მსგავსი მოსაზრებები ლომანთან, 1933: 360-361). ამ გაგებით ორივე პრინციპი ერთი ზოგადი პრინციპის გამოხატულებაა, სახელდობრ, რომ სუბიექტურ მიმართებებს უპირატესობა ენიჭება ობიექტურ მიმართებაზე.

6. ამ დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1) სივრცული მიმართებები, რომლებიც განსაკუთრებით ჩანს მარტივი მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში, ქმნიან მართლაც ამოსავალ წერტილს სხვა ყველა შემთხვევისათვის.

2) ზმნისწინთა მეტაფორული გამოყენების რეალურობასა და სპეციფიკას ამტკიცებს სხვა, ნაწილობრივ იდიომატური გამოთქმები და ზმნისწინების მეტაფორული გამოყენების სისტემური ხასიათი.

3) სივრცე ზმნისწინებში წარმოდგენილია მიზანმიმართული მოძრაობის თვალსაზრისით.

4) ამ დროს სივრცის მხოლოდ ძალიან ზოგადი ასპექტებია კოდირებული ზმნისწინებით, კერძოდ, დაპირისპირება ზემოთ და ქვემოთ (ვერტიკალურობა), დაპირისპირება შიგნით და გარეთ (მრავალგანზომილებიანობა) და მოძრაობის საზღვარი (ტერმინატივიტეტი).

5) „სუბიექტური“ მიმართებები უფროა კოდირებული, ვიდრე „ობიექტური“ (ობიექტის აგებულების) მიმართებები.

გერმანულიდან თარგმნა ნინო ჭუმბურიძემ

ლიტერატურა

დეეტერსი 1957 — Gerhard Deeters: “Die Stellung der Karthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen”, *Bedi Kartlisa* (1) (23): 12-16;

ვეშაპიძე 1967 — ირაკლი ვეშაპიძე, *ზმნისწინი ძველ ქართულში*. თბილისის უნივერსიტეტის გამ-ბა;

იანდა 1986 — Laura A. Janda, *A Semantic Analysis of the Verbal Prefixes* za-, pere-, do-, *and* ot- (= Slavistische Beitrage 192). München: Otto Sagner;

ლაკოფი, 1987 — Georg Lakoff: *Women, Fire and dangerous Things*. What categories reveal about the mind. Chicago – London: University of Chicago Press;

ლინდნერი 1982 — Susan Lindner: “What goes up doesn’t come down: the ins and outs of opposites”, *Chicago Linguistic Society* 18: 305-323;

ლომანი 1933 — Johannes Lohmann: “Eine slavische Suffix-Substitution”, *Zeitschrift für slavische Philologie* 10: 351-365;

მარშევი 1986 — Yolanda Marchev: *Die Morpheme der georgischen Sprache*. Versuch einer Strukturanalyse. Zürich: Amirani-Verlag;

ნიკოლსი 1986 – Johanna Nichols: “Head-marking and dependent-marking”, *Language* 62: 56-119;

რედი 1979 – Reddy, Michael J.: “The conduit metaphor – a case of frame conflict in our language about language”, კრებულში: Andrew Ortony (ed.) 1979: *Metaphor and Thought*. Cambridge: Cambridge University Press, გვ. 284-324;

ტაბულოვა—ტემიროვა 1983 – Н. Т. Тавулова – Р. Х. Темирова (edd.): *Система превербов и послелогов в иберийско-кавказских языках* (Карачаево-

Черкесских Научно-исследовательский Институт истории, филологии и экоиомии). Черкесск

ტალმი 1988 — Leonard Talmy: "The relation of grammar to cognition", krebulSi: Brygida Rudzka-Ostyn (ed.) 1988: *Topics in Cognitive Linguistics* (= Current Issues in Linguistic Theory 50). Amsterdam – Philadelphia: Benjamins, გვ. 165-205;

ფოგტი 1971 — Hans Vogt: *Grammaire de la langue géorgienne* (= ISK. Skrifter, Serie B 57). Oslo: Universitetsforlaget;

ჩიქობავა—ჭაბაშვილი 1986 — *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.* ერთტომეული (სმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია). თბილისი: საბჭოთა საქართველო;

ჩხენკელი 1965-74 — Kita Tschenkéli: *Georgisch-Deutsches Wörterbuch*. Nach dem Tode des Verfassers fortgeführt von Yolanda Marchev. Unter Mitwirkung von Lea Flury, Ruth Neukomm und Victor Nosadzé. Band I-III. Zürich: Amirani-Verlag;

ჭანიშვილი 1992 — Нана Чанишвили: "Лингвистическая структура пространства в грузинском языке", კრებულში: Catherine Paris (ed.): *Caucasologie et mythologie comparée*. Actes du Colloque international du CNRS - IVe Colloque de causasologie (Sèvres, 27 - 29 juin 1988) (Société d'études linguistiques et anthropologiques de France 23 (numéro spécial)) (Laboratoire de Langues et Civilisations à Tradition Orale LACITO, Département «Eurasie», Section «Langues et Civilisations du Caucase et des aires Balkano-Anatoliennes et Paléo-Asiatique (CABAPA) du CNRS). Paris: Peeters, გვ. 411-416;

ჯორბენაძე et al., 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე: *ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი* (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის) (სმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი). თბილისი: მეცნიერება.

Winfried Boeder (University of Oldenburg, Germany)

Spatial Metaphor in Georgian Preverbs

Summary

On the basis of a review of *še-* 'into', some general properties of the meaning of Georgian preverbs are considered.

1. While the coding of local meanings in prepositional phrases, case forms and version vowels is mostly neutral with regard to the locational vs. directional opposition, Georgian preverbs are exclusively directional, thus contrasting with Megrelian and Western Caucasian preverbs, which have both functions.

2. The differential distribution of the "moving object" and "the reference object" (goal, point of departure etc.) in movement verbs, in their objects and in prepositional phrases is the basis of a large number of coding patterns.

3. There are language-internal facts which show that patterns of concrete movement meanings are systematically mapped onto more abstract metaphorical meanings.

4. While preverbs in different languages show a large variety of meaning types, the properties of space and deixis coded in Georgian preverbs seems to be restricted to very general properties: "up" and "down" (verticality), "into", "out of", "on" (related to two- or three-dimensional reference object properties), and speaker-oriented (deictic) and non-speaker-oriented movement (directionality). A comparison with other languages suggests that properties coded by preverbs are probably ordered on an implicational scale.

5. Since there is only one morphological slot available for non-deictic preverbs, verticality and the inside-outside dimension can compete, and verticality "wins". Coding the dimension which conforms to the "subjective" orientation of man (verticality) overrides inherent, "objective" properties of the reference object (such as its three-dimensional form, where rotation seems to be irrelevant).

თეა ბურჭულაძე

იშვიათი სინტაქსური კონსტრუქცია მთის კილოებში

პოლიპერსონალურ ზმნა-შემასმენლებიან წინადადებაში ზმნა-შემასმენლები სხვადასხვა ბრუნვაში მართვავენ ქვემდებარეს. ეს კოორდინაციის ერთ-ერთი ნიშანია. როდესაც წინადადებაში რამდენიმე ზმნა-შემასმემენლია ერთ ქვემდებარესთან და ისინი განსხვავებულია გარდამავლობისა და სერიების მიხედვით, რა თქმა უნდა, ქვემდებარე ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვაში არ ეწყობა. მიღებული თვალსაზრისით, ასეთი შემთხვევაში ქვემდებარე იმას უწევს ანგარიშს, რომელი ზმნა-შემასმენელიც უახლოესია მასთან (ლ. კვაჭაძე, გვ. 278):

„გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე, გადახტა და გავარდა წრიდან“ (აკაკი); „ამ სიტყვებით თორღა გაბრუნდა, მივიდა, გამოშიგნა ფაშვი, წმინდად გარეცხა იქვე ჩამონადენ წყაროში და გაუდგა თავის ამხანაგს“; „ჩიტი დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცრემლი ჩამოსდიოდა“ (ვაჟა);

მაგალითად, პირველ წინადადებაში სამი შემასმენელია, ისინი მიემართებიან ერთ საერთო ქვემდებარეს (**გამარჯვებულმა**). ამათგან პირველი ზმნა-შემასმენელი გარდამავალია (**დაჰკრა**) და ამიტომაც ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას, ხოლო მომდევნო შემასმენლები (**გადახტა, გავარდა**) გარდაუვალია და ქვემდებარეს შინაარსობრივად სახელობით ბრუნვაში შეეწყობა, მოითხოვენ მას სახელობით ბრუნვაში. რაკი პირველ ადგილზე დასახელებულ წინადადებაში ჯერ გარდამავალი ზმნაა, ამიტომ ქვემდებარე მას უწევს ანგარიშს და მოთხრობით ბრუნვაში დგას. დასახელებულ წინადადებაში პირველ ადგილზე მეორე (ან მესამე, მეოთხე) ზმნა-შემასმენელი რომ დავსვათ, ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დადგებოდა: **გამარჯვებული გადახტა**, **გამარჯვებული გავარდა**.ხოლო წინადადებაში „ჩიტი დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცრემლი ჩამოსდიოდა“ ჯერ გარდაუვალი შემასმენელია (**დამჯდარიყო**) და ქვემდებარე შესაბამისად სახელობით ბრუნვაში დგას. დანარჩენ ზმნა-შემას-

მენლებთან (**მიეხუჭა**, **ჩამოსდიოდა**), რაკი ისინი გარდამავალნი არიან, ქვემდებარე მათთან მიცემით ბრუნვაში მოიაზრება. ამ წინადადებაში კი ქვემდებარესთან ჯერ მეორე ან მესამე შემასმენელი რომ მდგარიყო, მაშინ, რასაკვირველია, იგი მიცემით ბრუნვაში დადგებოდა.

ასეა ტრადიციულად, თუმცა მთის დიალექტებში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი პოლიპრედიკატულ წინადადებაში მართავს ქვემდებრეს ბრუნვაში გარდამავალის მსგავსად. საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე, როგორც მოსალოდნელი იყო, არა სახელობითში, არამედ მოთხრობით ბრუნვაში დგას:

„ამ ღურბელამ წამოვიდა და ავსაჯანიშვილის ქალი ითხოვა“ (მოხეური, დიალექტ., გვ.42); „ამ უხეირომ წავიდა თავის სახლისაკენ, ხმალი ალაგზე დაუშო“ (მთიულური, დიალექტ., გვ. 45); „ზოგჯერ ავდარმა მოგვისწრის, ვეღარ დავფარცხავდითკე„ (გუდამაყრული, დიალქტ., გვ. 83); „ბებრებმ ეგ რაიმ შაიმღერიან, ძველები“ (ფშაური, დიალექტ., გვ.135)

ასეთი შემთხვევები მთის სხვადასხვა კილოში დადასტურდა: მოხეურში, ფშაურში, გუდამაყრულში, თუშურში, მთიულურში. მსგავსი ტიპი ხშირია დასავლურ კილოებში, სადაც ზმნის გარდამავლობა მნიშვნელობის მხრივ თანდათან ქრება და ქვემდებარესთან შეთანხმების დროს (ნამყო სრულის ჯგუფში) იგი გარდაუვალ ზმნებს მისდევს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იმერულში (ქვემოიმერულშიცა და ზემოიმერულშიც), გურულში, აჭარულში, ლეჩხუმურში გარდაუვალ ზმნებთან მოთხრობითის კონსტრუქცია გვხვდება. ასევე თანაბარ პირობებში ერთმანეთის გვერდით გვხვდება სახელობითისა და მოთხრობითის კონსტრუქციები: „მოვიდა უმცროსმა და გაკრიფა ზურგით“ (ზემოიმერული); „მოვიდნენ თურმე ქალებმა, დაუყარეს სიმინდი თეფშებზე“ (ქვემოიმერული); „ესტუმრა ერთმა უმფროსმა ცოლისძმამა“ (გურული); „მივდა მელამ მეწისქვილესთან“ (აჭარული); „მაინძელმა მიესალმა“ (ლეჩხუმური) (ა. კიზირია, 1974).

დასახელებული ტიპის შემთხვევები სამართლიანადაა მიჩნეული მეგრულის გავლენით. „ქვემოიმერული კილოკავი და მეგრული ტერიტორიულ მეზობლობას მტკიცედ შეუმჭიდროვებია, რის შედეგადაც მეგრული ლექსიკა ქვემოიმერულსა და იმერული — მეგრულში ჭარბად შეინიშნება. მსგავსი სურათია გურულსა და მეგრულს შორის და ნაწილობრივ აჭარულსა და ჭანურს შორის“ (ა. კიზირია, 1974, გვ. 67).

დასავლურ და აღმოსავლურ კილოებს შორის განსხვავება თვალსაჩინოა როგორც სიტყვათა ორგანიზაციაში, ისე გარდაუვალი ზმნის ბუნების გაგებაში. დასავლურ კილოებში ზმნის გარდაუვალობა მნიშვნელობის მხრივ თანდათან ქრება და ქვემდებარის შეთანხმების დროს (ნამყო სრულის ჯგუფში) იგი გარდამავალ ზმნებს მისდევს. ამიტომ მისთვის სიტყვათა წყობა როგორიც უნდა იყოს, სულ ერთია(ვ. თოფურია, გვ. 120).

აღმოსავლურ კილოებში შეგნება ზმნის გარდაუვალობისა ჯერ კიდევ არის, რის გამოც მარტივ წინადადებებში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მუდამ სახელობითშია. აღმოსავლურ კილოებში ზმნის გარდაუვალობა მყარია. ამიტომ მთის დიალექტებში გარდაუვალ ზმნა-შემასმენლებთან დადასტურებული მოთხრობითბრუნვიანი სინტაქსური კონსტრუქცია უცნაურია.

მიჩნეული თვალსაზრისით ასეთ შემთხვევაში უსათუოდ ანალოგიასთან გვაქვს საქმე. ზმნების დიდი ნაწილი გარდამავალია, რომლის მოქმედება მიმართულია უფრო დამატებისაკენ და ამათ შეუერთდნენ ის ზმნებიც, რომელნიც გარდამავლობისა და გარდაუვალობის საზღვარზე იყვნენ.(ვ.თოფურია, გვ.120)

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ეს მოვლენა მეგრული ენის ნიადაგზე უნდა იყოს მომხდარი. აქ მეგრულისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე, რომლის ანალოგიით მეგრულმა ქართულშიც გარდაუვალ ზმნებს ქვემდებარე მოთხრობითში შეუთანხმა (ი.ყიფშიძე). ვ.თოფურიას შენიშვნით კი ამ მოვლენის ასეთი ახსნა მართებული მაშინ იქნებოდა, როდესაც მისი გავრცელების ტერიტორია სამეგრელოს მეზობლად მყოფი კილოებით განსაზღვრულიყო, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამან აღმოსავლურ კილოებშიც იჩინა თავი (ვ. თოფურია, 121).

გ. როგავას თვალსაზრისით ამის ახსნა მდგომარეობს მეზობელ გარდამავალ ზმნა-შემასმნელთან ქვემდებარის მართვის ანალოგიაში (გ.როგავა, 1980). მაგალითად, წინადადებაში „ქალმა ჩევიდა ჯარგვალაში და ჩაადგო კვერი“ **ჩევიდა** ზმნა-შემასმნელი გარდაუვალია. მოსალოდნელი იყო ქვემდებარე მასთან მდგარიყო სახელობით ბრუნვაში. რაკი ეს გურული დიალექტის მონაცემია, შეიძლებოდა გვეფიქრა,რომ მეგრულის გავლენაა. მაგრამ ამას ხომ ვერ ვიტყვით მთის კილოებში დადასტურებულ მსგავს ფორმებზე. ვ.თოფურიას აზრით, ასეთი „კონსტრუქციის ეჭვმიუტანელი ახსნა“ მდგომარეობს მეზობელ გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარის მართვის ანალოგიაში. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა არნ.ჩიქობა-

ვას მიერ მთიულური კილოს მასალებში დადასტურებული მაგალითი: „ადგა ბიჭსა და გამაეღვიძა“. ცხადია, **ბიჭსა**, მართალია, უშუალოდ **ადგა** ზმნასთანაა, მაგრამ მართულია მისგან **და** კავშირით დაცილებული **გამაეღვიძა** ზმნისაგან. თუმცა, გარდამავალზმნიანი შემასმენელი შეიძლება უფრო დაცილებულ პოზიციაშიც იყოს: „წავიდა ქალმა და შასტირა სიზმარას“ (მთიულური). იქვეა ასეთი მაგალითიც“ „წავიდა ქალმა და სიზმარას კარებზე შასტირა“.

საინტერესოა გ.როგავას მართებული შენიშვნა, რომ ვ. თოფურიას მიერ ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით დადგენილი სინტაქსური ანალოგიის კანონზომიერება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სინტაქსის კვლევის სფეროში ახალ პრობლემებს სვამს. აღნიშნულია, რომ აფხაზურ-ადიღური ენებიდან აფხაზურისა და აბაზურის მიმართ ეს საკითხი თავისთავად არ დაისმის, რადგან მათთვის უცხოა ბრუნვის კატეგორია, არაა ძირითადი ბრუნვები — სახელობითი და ერგატივი. იგი შეიძლება განხილვის საგანი იყოს ადიღურისა და უბიხური ენების მიმართ, სადაც ბრუნვის სისტემა განვითარებული სახითაა წარმოდგენილი. მკვლევრის დაკვირვებით ადიღურ ენებში არც ისე იშვიათად დასტურდება ასეთი ფაქტები, ოღონდ მხოლოდ ორშემასმენლიან წინადადებებში (გ. როგავა, გვ. 280-281). მაშასადამე, ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორიც ქართულში, მთის აღმოსავლურ კილოებში. აქაც მხოლოდ პოლიპერსონალურ წინადადებებში გვხვდება გარდაუვალ ზმნასთან ერგატიული კონსტრუქცია. განსხვავებით დასავლური კილოებისაგან, სადაც მარტივ წინადადებაშიც, ერთშემასმენლინ ფორმებში ძალზე ხშირია გარდაუვალ ზმნასთან მოთხრობითბრუნვიანი ქვემდებარე. მაგალითად, მეგრ.: **ბაღანაქ** მიდართუ (ბავშვმა წავიდა) და არა ბაღანა მიდართუ (ბავშვი წავიდა).

გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში მართვა აიხსნა განსაკუთრებული სინტაქსური კონსტრუქციითაც. ასეთ შემთხვევებში თითქოს ერთგვარი პირობის დაცვაა საჭირო: წინადადება უნდა იყოს რთული, შემდგარი ორი ან მეტი წინადადებისაგან, ქვემდებდებარეს უნდა ეჭიროს გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს შორის ადგილი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქვემდებარე შეთანხმებულია არა წინამდებარე შემასმენელთან, არამედ მომდევნო ზმნასთან, რაც მართლაც ასეა.

ერთი შეხედვით, მართლაც მხოლოდ ასეთი პირობების შემთხვევაში დასტურდება გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში. მაგრამ ჩვენ მიერ დამოწმებულ წინადადებებში კი ჩანს, რომ გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის მიერ ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში მართვა არა

მხოლოდ ისეთ შემთხვევებში ხდება, როცა ქვემდებარე გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს შორისაა (მივიდა იმ ნახევარმა წიწილამა და უთხრა“ (თიანური, დიალექტ. გვ, 163); „ადგა ბიჭსა და გაეღვიძა“ (მთიულური, დიალექტ., გვ.135), არამედ მაშინაც, როცა პოლიპერსონალურ წინადადებაში ჯერ ქვემდებარეა და შემდეგ გარდაუვალი ზმნა-შემამენელი: „ემ ღურბელამ წამოვიდა და ავსაჯანიშვილის ქალი ითხოვა“ (მოხეური, დიალექტ., გვ. 42). თავდაპირველად ქვემდებარე გვაქვს (**ღურბელამ**), რომელსაც ჯერ გარდაუვალი ზმნა მოყვება (**წამოვიდა**), ხოლო შემდეგ კი — გარდამავალი (**ითხოვა**); ან მაგალითად, წინადადებაში „ამ უხეირომ წავიდა თავის სახლისკენ, ხმალი ალაგზე დაუშო“ (მთიულური, დიალექტ., გვ. 45), აქაც ჯერ ქვემდებარე გვაქვს, შემდეგ — შემასმენლები: **უხეირომ წავიდა**, უხეირომ დაუშო.

დასახელებულ კონსტრუქციებში ქვემდებარე შეთანხმებულია ბრუნვაში არა უახლოეს ზმნა-შემასმენელთან, არამედ მომდევნო ზმნასთან. ვფიქრობთ, ეს მთის კილოებისათვის იშვიათი სინტაქსური კონსტრუქციაა.

ლიტერატურა

კვაჭაძე 1996 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1996.

თოფურია 1923 — ვ. თოფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართული დიალექტების მიხედვით. — სამეცნიერო კრებული: „ჩვენი მეცნიერება“, ტფილისი, 1923.

კიზირია 1974 — ა. კიზირია, ქვემდებარე-შემასმენელის ურთიერთობა ქართული ენის დასავლური დიალექტების მიხედვით, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974.

როგავა 1980 — გ. როგავა, ვ.თოფურიას სინტაქსური ანალოგიის კანონი, იკე, XXII, თბილისი, 1980.

ქართული დიალექტოლოგია 1961 — ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 1961.

T. Burchuladze

Infrequent Syntactic Constructions in Mountain Dialectcs

Summary

Traditionally, in the poly-personal verb sentence the syntactical subject acts according to the nearest predicate verb. But in the mountain dialects there occur such cases when in the poly-predicative sentence intransitive verb controls the syntactical subject like a verb transiting not in the nominative case but in the ergative one. Such cases certainly exist in some mountain dialects.

According to some opinion, such syntactic construction occurs just when a sentence is complex e.g. when it consists of two or more sentences and the syntactical subject is situated between the transitive and the intransitive verbs (V. Topuria). In our materials it is clearly shown that the syntactic subject is controlled in the ergative case by the intransitive predicate verb even in the cases when in the poly-personal sentence the intransitive verb is situated after the syntactical subject. For example, "**im γurbelam çamovida da avsažanišvilis kali itxova**".

ელისაბედ გაზდელიანი

ნათესაობითი ბრუნვის მორფემები ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურში

სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სახელებში ერთიანდებიან: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი. ყოველი მათგანი იცვლება ბრუნებისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით. სახელთა ჯგუფში აერთიანებენ, აგრეთვე, სახელზმნას, რადგან მას ახასიათებს როგორც სახელის, ისე ზმნის ნიშნები.

სახელთა ბრუნება სვანური ენის გრამატიკაში მეტად რთულ უბნად ითვლება, რომელსაც მკვლევართა ყურადღება არ მოჰკლებია. საკმარისია დავასახელოთ ნ. მარი, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, ვ. დონდუა, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა, თ. შარაძენიძე გ. კლიმოვი, ა. ონიანი, მ. ქალდანი, ზ. ჭუმბურიძე, ი. ჩანტლაძე და სხვები.

სვანურ სახელთა ბრუნება განსხვავდება არა მხოლოდ სხვა ქართველური ენებისაგან, არამედ განსხვავებაა თვით სვანურ დიალექტებს შორისაც.

მეოცე საუკუნის დასაწყისში სვანური ენის შესწავლით დაინტერესდა ნ. მარი. მან აღწერა სვანური ბრუნება, გამოყო ბრუნვის ნიშნები და შეეცადა გაერკვია მათი გენეზისი.

ნ. მარიდან დაწყებული ყველა მეცნიერი, ვინც სვანურ ბრუნებას შეხებია, აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით ძნელია სვანური ბრუნების დიაქრონიაში გარკვევა, რაც შეპირობებულია, ბრუნების მიხედვით დიალექტებს შორის სხვაობით. ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნებამ (განსაკუთრებით ზემოსვანურ დიალექტებში), მათმა გამოყენებამ ერთსა და იმავე ბრუნვაში ერთად თუ ცალ-ცალკე, ხმოვანფუძიანი სახელის ფუძისა და ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანს შორის მიმდინარე ფონეტიკურმა პროცესებმა, რომლებიც განსხვავებულია დიალექტების მიხედვით, გახდა მიზეზი მეცნიერთა შეხედულებებს შორის სხვაობისა.

მეცნიერები (ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, თ. შარაძენიძე, ა. ონიანი...) განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდნენ სვანურში სახელთა ბრუნების ტიპების დადგენაში... ყოველმა მათგანმა განსხვავებული თვალსაზრისი წარმოადგინა. იმის მიხედვით, თუ რა პრინციპს უდებდნენ საფუძვლად ბრუნების ტიპების გამოყოფას, მკვლევართა ერთი ნაწილი სახელთა ბრუნებას სვანურში განიხილავს ბრუნვის ფორმანტთა წარმომავლობა-სადაურობის მიხედვით, ხოლო მეორენი ბრუნების კლასიფიკაციას საფუძვლად უდებენ ბრუნვათა წარმოების პრინციპს. განსაკუთრებით რთულად არის ბრუნების სისტემა წარმოდგენილი ბალსქვემოურში. ასაბუთებენ, რომ სვანურისათვის დამახასიათებელია ორფუძიანობა და საერთოდ რამდენიმე ტიპის ბრუნების არსებობა (ა. ჩიქობავა, თ. შარაძენიძე). აღსანიშნავია, რომ ყველა ენათმეცნიერი იზიარებს მოსაზრებას სვანურის დიალექტებში წმინდა ქართველური (ორგანული) ბრუნების ბატონობისა.

სვანურში, სხვა მრავალი ენების მსგავსად სახელები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ხმოვანფუძიანებად და თანხმოვანფუძიანებად, და მათი ბრუნება დიალექტების მიხედვით განსხვავებულია, რადგან განსხვავებულია ამა თუ იმ დიალექტში მორფემათა მიჯნაზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესები.

დღევანდელი სვანურის დიალექტებში ყურადღებას იქცევს ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა მრავალფეროვნება, რაც, ძირითადად, შეპირობებულია ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილის სხვადასხვაობით, რომელიც დიალექტების მიხედვით შეიძლება იყოს: გრძელი, მოკლე, უმლაუტიანი, უუმლაუტო, უმლაუტიანი გრძელი. სახელთა ბრუნების დროს ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვანი ყოველთვის -**შ** არის, რომელიც ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულთან, ბალსქვემოური დიალექტის გარდა, ყველგან იკარგება, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ბალსქვემოურში ამ პოზიციაში -**შ**'ს დაკარგვის შემთხვევები (შარაძენიძე, 1958, 230; ჩანტლაძე, 1998, 25). სახელის ცალკე ბრუნების დროს -**შ** თანხმოვანი ყველა დიალექტში სახეზეა. ე. ი. ნათესაობით ბრუნვაში -**შ** თანხმოვნის წინ ხმოვანი შეიძლება იყოს -**ა,** -**ე,** -**ი,** -**ო,** -**უ** და -**ჲ**' (< **ი**-საგან) მიღებული.

იმისათვის, რომ გაირკვეს ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული ნათესაობითი ბრუნვის მორფემის სხვადასხვა ვარიანტების გენეზისი, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ნათესაობითი ბრუნვის ამოსავალი მორფემის რომელობა, მისი ამოსავალი ფონეტიკური ფორმა, ნათესაობითი ბრუნვის -**შ** თანხმოვანს ისტორიულად რა ხმოვანი უძღოდა წინ, რომელ-

მაც მორფემათა მიჯნაზე სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებები გამოიწვია, რის საფუძველზეც მივიღეთ ნათესაობითი ბრუნვის მორფემის სხვადასხვა ვარიანტები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ნათესაობითი ბრუნვის ამოსავალი მორფემის ხმოვნის რომელობისა და წარმომავლობის შესახებ.

ნიკო მარმა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად **-ი-შ, -ე-შ** ფორმანტები გამოყო და ისინი მეგრულიდან ან ჭანურიდან ნასესხებ ელემენტებად მიიჩნია (მარი 1911, 120). სიმონ ჯანაშიასათვის სვანურში „ნათესაობითის ჩვეულებრივი ფორმანტივია ქართველური **-ოშ**“ (ჯანაშია 1959, 88).

ვ. თოფურიამ, იმის გათვალისწინებით, სახელებს დახურულ მარცვალში უმლაუტიანობა ახასიათებთ თუ არა, დაადგინა ძალზე მნიშვნელოვანი წესი: „უკეთუ სახელი უმლაუტიანია, მას უთუოდ ნათ. ბრუნვაში **-ოშ** ფორმანტი გაუჩნდება, ხოლო თუ სახელი უუმლაუტოა, მას იმავე ბრუნვაში **-ᲐᲨ** დაბოლოება ევლინება“ (თოფურია 2002, 10).

„თუ ნათ. ბრუნვაში **-ოშ** დაბოლოება გვაქვს, მაშინ სახელობითში **-ი** უნდა აღვადგინოთ და თუ **-ᲐᲨ**, მაშინ **-ა**“ (იქვე). აქვე მკვლევარი სვამს კითხვებს:

1. ნათ. ბრუნვის სუფიქსად მარტო **-შ** იყო, თუ მას უძღოდა რომელიმე ხმოვანი წინ ან მოსდევდა შემდეგ?

2. რა იწვევს **Ა-Ш** მაწარმოებელში უმლაუტს? უმლაუტი ხომ, **ა**'ს გარდა, **ო** და **უ** ხმოვნებსაც ახასიათებს?

ვარლამ თოფურია შეეცადა აეხსნა ნათესაობითი ბრუნვის ხმოვნითი ელემენტის სახე. მისი აზრით, თუ **შ**'ს წინ ხმოვანს აღვადგენთ, მაშინ ნათესაობით ბრუნვაში ყველგან გრძელი ხმოვნები უნდა მიგვეღო, **Ა-Ш**'ის უმლაუტის ახსნა კი შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ **-შ** თანხმოვნის წინ ხმოვნის არსებობა გამორიცხა და შესაბამისად, ნათ. ბრუნვის ძირითად სუფიქსად **-ში** მიიჩნია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მაშინ ვარლამ თოფურიას ძირითადი მიზანი არ იყო ნათესაობითის ნიშნის ამოსავალი ფორმის გარკვევა, ამიტომ გვერდი აუარა ბრუნვაში სიგრძის არსებობას, რასაც სქოლიოში თვითონვე აღნიშნავს: „ნათესაობით ბრუნვასთან დაკავშირებით წამოჭრილი მრავალი საკითხი, როგორიც არის 1. **-მიშ** ელემენტის დართვა (მაგ. **ხეხუ-მიშ, ჭᲐᲜ-მიშ**... **მᲐრე-მიშ, ლᲐრე-მიშ**); 2. ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვნების ნათ.

ბრუნვაში დაგრძელება (**კუ̈ შ̈-ᾱშ; კულᾱშ; დᾱნᾰ̈შ; დᾱრᾰ̈შ**)... და სხვა ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრის გარეშე დგას“ (თოფურია 2002, 10).

უფრო გვიან გამოქვეყნებულ ნაშრომში ვკითხულობთ: „ნათესაობითის **-იშ** და უფრო ძველი **-ეშ** ზანური წარმოშობისაა... **-ი/ -ე** ელემენტი ამოღებულია **-ა, -ო, -უ, -ი** ბოლოხმოვნიანებთან და საკომპენსაციოდ ფუძის ბოლო ხმოვნები დაგრძელებულია ბალსზემოურსა და ლაშხურში, გაუმლაუტებულია ზემოსვანურში. მაგ.: **დᾱნა** — ნათ. **დᾱნᾰ̈შ**; **ნიკო** — ნათ. ბზ. **ნიკუ̈ᾱ̈შ**, ლშხ. **ნიკᾱ̈შ**; ბქ. **ნიკᾱ̈შ**, ლნტ. **ნიკოᲣშ**“.

იმავეს იმეორებს მეცნიერი შემდეგდროინდელ გამოკვლევაში: „სახელებს უუმლაუტო ფუძით ნათ. ბრუნვაში აქვთ დაბოლოება **-ᾰ̈-შ**, რომელშიც **ა** ფუძის დაკარგული ნაწილია, ხოლო **-შ** მიღებულია **-იშ** სუფიქსისაგან, რომელსაც დაკარგული აქვს **-ი**, წინამავალ **ა**'ს რომ აუმლაუტებს. მაგ.: **ლახუ̈** „მთა“ — ნათ. **ლახუ̈-ᾰ̈-შ** < ***ლახუ̈-ა+იშ** „მთის“... ნათ. ბრუნვის დაბოლოებაა **-იშ**, რომლისაგან ვიღებთ **-Უშ** ფორმას. იგი შემონახულია ლენტეხურში, ხოლო სხვა კილოებში **-ი-** ელემენტი ქრება და იწვევს უმლაუტსა და სიგრძეს (ბზ. **დᾱნᾰ̈შ**, ლშხ. **დᾱნᾰშ**, ბქ. **დᾱნᾰ̈შ** < ***დᾱნა+იშ** „გოგოსი“)“ (თოფურია 2002, 50).

თინათინ შარაძენიძე მიცემითი ბრუნვის ფორმანტთა რაოდენობის მიხედვით ბრუნების ხუთ ტიპს გამოყოფს და აღნიშნავს, რომ ნათესაობითს აქვს სამი ალომორფი: **-იშ, -ეშ, -შა** (შარაძენიძე 1983, 55).

გიორგი კლიმოვი დღევანდელი სვანურის დიალექტებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **-იშ||-Უშ, -Აშ||-ᾰ̈შ, -ეშ** და **-შა** ვარიანტებს ასახელებს. **-იშ** ალომორფს იგი მიიჩნევს ქართული **-ის**, და მეგრულ-ჭანური **-იშ** სუფიქსების კანონზომიერ შესატყვისად, რომელიც საერთო-ქართველური /***ის**$_1$/ არქეტიპისაგან მომდინარეობს (კლიმოვი 1962, 90).

ალექსანდრე ონიანის თვალსაზრისით, „ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ისტორიულად ამოსავალი ვარიანტი არის /**-იშ**/, დანარჩენი სახესხვაობები კი მისგანაა მიღებული სხვადასხვა გარემოცვაში ცვლის საფუძველზე... /**-ᾰ̈შ**/ (ლშხ. /**-Აშ**/), /**-ეშ**/ ალომორფთა პირველი კომპონენტი (**Ა-, ᾰ̈-, ე-**) მომდინარეობს წინამავალ ფუძისეულ ხმოვანთან დამსგავსებული ბრუნვის ნიშნის შემადგენელი ნაწილისაგან, ეს ნაწილი უნდა ყოფილიყო **-Უ**, ე. ი. ისეთი ელემენტი, როგორიც თანამედროვე ლენტეხურშია მოცემული (**დე-დე-Უშ** „დედის“); თანხმოვნის მომდევნოდ კი იმთავითვე /**-იშ**/ ალომორფი იყო წარმოდგენილი“ (ონიანი 1989, 101).

ამრიგად, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ამოსავალი ვარიანტი არის **-იშ** მორფემა, ხოლო დანარჩენი ვარიანტები ამ მორფემის სხვადასხვა გა-

რემოცვაში მოხვედრისა და იქ მომხდარი ფონეტიკური პროცესების შედეგად არის მიღებული.

უმთავრეს კითხვას, რომელიც ჯერ კიდევ 1927 წელს დასვა ვარლამ თოფურიამ ისტორიულად **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან დაკავშირებით, პასუხი გაეცა ნაშრომში „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“: „ის ვითარება, რაც დღეს გვაქვს ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან ნათ. ბრუნვაში, უნდა გვქონოდა თანხმოვანფუძიან სახელებთანაც, ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცამდე. მაგ. სახ. ***ზურალა** „ქალი“, ***მურყუშამა** „კოშკი“ — ნათესაობითში უნდა გვქონოდა გრძელი ხმოვანი: ***ზურალაშ̄** (<***ზურალა-ᲐᲨ**) „ქალის“; ***მურყუშამაშ̄** (<***მურყუშამა-ᲐᲨ**) „კოშკის“ და ა. შ... ცვლილებას ***ზურალა** > **ზურალ** ავტომატურად უნდა მოჰყოლოდა მეორე ცვლილებაც ***ზურალაშ̄** > **ზურალ-აშ**... თუ სწორია ვარაუდი, რომ /-**აშ**/ ალომორფი წარმოიქმნა ადრე **ა**'ზე დაბოლოებულ სახელებში, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ /-**ეშ**/ წარმოიქმნა **ე**'ზე დაბოლოებულ სახელებში... მართლაც, დღევანდელ სვანურში მოიპოვება თანხმოვანზე დაბოლოებული ისეთი სახელები, რომელთა -**ე**'ზე დაბოლოებულ სახელთაგან წარმომავლობის დასაბუთება ადვილად ხერხდება (ონიანი 1989, 101). ალექსანდრე ონიანი ემყარება მაქსიმე ქალდანის დაკვირვებას, რომლის თანახმად „ნათესაობითი ბრუნვის -**ეშ** ალომორფში **ე** ხმოვნის გამოვლენა ფონეტიკური პროცესის შედეგია“. **ფოქფრ-ე-შ** „ოქროსი“ ფორმის **ე**, **ო**'ს ნაუმლაუტარი ხმოვანი უნდა იყოს (**ფოქფრ-ე-შ** < ***ფოქრფე-შ** < ***ფოქრფ̄-იშ**), ხოლო ის **ე**, რომელიც **მგუ-ე-შ** „მზის“ ფორმაში დასტურდება, იგივე უნდა იყოს, რაც ქართულ **მზე** სახელშია დაცული“ (ქალდანი 1974, 153). ამის საფუძველზე მკვლევარმა ივარაუდა, რომ ამ სახელებთანაც ნათესაობითში ენის განვითარების რომელიღაც საფეხურზე უნდა გვქონოდა ***მგუ̄Შ** < ***მგუე-ᲐᲨ** და ***ფოქფრ-ᲔᲨ** < ***ფოქფრე-ᲐᲨ**. აქაც, როცა ამ სახელებს მოეკვეცათ ბოლო **ე**, ***მგუ̄Შ**, ***ფოქფრ̄Შ** ფორმებისაგან ისევე მივიღეთ **მგუᲨ**, **ფოქფრ-ᲔᲨ** ფორმები, როგორც ***ზურალ-ᲨᲨ**, ***მურყუშამ-ᲨᲨ** ფორმებისაგან **ზურალ-ᲨᲨ**, **მურყუშ-ᲨᲨ** (ონიანი 1989, 99, 134; მისივე სვანური ენა, 80, 39). მაგრამ, გარდა **მზე** სახელისა, ქართულში გვაქვს **ე** ბოლოხმოვნიანი სხვა ლექსემებიც, რომლებიც დღევანდელ სვანურში ბოლოთანხმოვნიანები არიან. რა მდგომარეობაა ამ სახელების ნათესაობით ბრუნვაში?

ვარლამ თოფურიას აღნიშნული აქვს რომ „-**ი**, -**ა**'ს გარდა -**ე**, -**ო**, -**უ** ხმოვნიანი სიტყვებიც არის სვანურში შესული, მაგრამ ესენიც მოკვეცილი გა-

ხლავთ ნათესაობით ბრუნვაში. მათ მაგიერ ან **-ი,** ან **-ა** აღდგება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ სახელობით ბრუნვაში საკუთარის ნაცვლად სვანური დაბოლოება მიუღიათ. მაგ.:

ქართ.	სვან.	
სახე	**სა̈ხ**	**სა̈ხ-ი-შ**
სათვალე	**სათა̈ლ**	**სა̈თლ-ი-შ**
სარკე	**სა̈რკ**	**სა̈რკ-ი-შ**
ბადე	**ბა̈დ**	**ბა̈დ-ი-შ**
ოსარე (მეგ. პერანგი; ჩოხა)	**ოსა̈რ**	**ოსა̈რ-ი-შ**
ღონე	**ღუ̈ენ** „შეძლება, ღონე“	**ღუ̈ენ-ი-შ**
მოწმე	**მეწუ̈მ**	**მო̈წმ-ი-შ**

(თოფურია 2002, 15)

ძირითადად ასეა წარმოდგენილი ნათ. ბრუნვის ფორმები ორივე გრძელხმოვნიან დიალექტში, მაგრამ ლენტეხურში ზოგ ზემოთ დასახელებულ სახელებში დასტურდება პარალელური ვარიანტები: **ოსარე||ოსა̈რი** ლიშხები „ჩოხის შეკერვა“; მრ. რიცხვში იქნება **ვოსარა̈ლე** ლიშხები. **ბადე-ჲ||ბა̈დ-ი** ლიკედ „ბადის აღება“; მა̈დ ხეკვად **ბადეჲ** ლიდიანი (ლნტ.) „არ უნდოდა ბადის თხოვება“; **მოწმე-ჲ||მოწმ-ი** გარგალა „მოწმის ლაპარაკი“. საინტერესოა აგრეთვე ქართ. **კუთხე** — სვან. **კუ̈ითხ/კუთხ**, ნათ. ბრ. **კუთხ-იშ** (ლშხ.), **კუ̈ითხ-იშ** (ლნტ.), მაგრამ არის შემთხვევები, როცა ნათ. ბრუნვაში თავს იჩენს **-ეშ** ალომორფი: გუშგუ̈ე **კუთხ-ე˹შ˺/-ē˹შ˺** (ლშხ.), გუშკუ̈ე **კუ̈ითხ-ე˹შ˺** (ლნტ.) „ჩვენი კუთხის“. **ბად** და **მოწმ** სახელები ლაშხური დიალექტის ნათესაობით ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს **ბად-ი/ ბად-ē მი**, **მოწმ-ი/ მოწმ-ē მი** ფორმებითაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს **ე** ბოლოხმოვნიანი ფუძეები ნათ. ბრუნვაში **-ē შ, ან-ē მ-ი შ** გრძელხმოვნიან ალომორფებს გამოავლენენ. მაგ.: **დē რე** — ნათ. **დē რ-ē შ/-ē მ-ი შ** „მყინვარის“; **ლ̄ა̈რ-ē შ/-ē მმ ი შ** „სათიბის“, სადაც სიგრძე მიღებულია ფუძისეულ **ე** და ბრუნვის მორფემისეულ ხმოვანთა კობინაციებისაგან, რაც, ვფიქრობთ, მხარს უჭერს ვარაუდს, რომ **-ē შ** ალმორფში **ე** ფუძისეული ხმოვანია. ე. ი. აქ იქმნება **ე+ი>ē; ე+ე>ē**.

თუ ვარლამ თოფურიას მიერ მოტანილი მასალა ძველია სვანურში, მაშინ აქაც უნდა ვივარაუდოთ გრძელხმოვნიანი **-ē შ** ალომორფის არსებობა. ალბათ უნდა გვქონოდა: ***სახ-ē შ** < ***სახე+ი შ**, ***ღონ-ē შ** < ***ღონე+ი შ**..., სადაც სიგრძე დაიკარგა ბოლო **ე**'ს გაუჩინარების გამო, ხოლო შემდეგ **-ē შ** ალომორფი შეცვალა **-ი შ** ალომორფმა თანხმოვანფუძიან სახელებთან მოგვიანებით მისი მოქმედების არის გაფართოების გამო, რადგან **-ი შ** ალო-

მორფი დღეს უფრო ხშირად გვხვდება ბოლოთანხმოვნიანებთან, ვიდრე **-ᲐᲨ/-ᲐᲨ** და მით, უმეტეს **-ᲔᲨ**.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: „ნათესაობითი ბრუნვის მორფემას რატომ არ მოეპოვება /-**ᲝᲨ**/, /-**ᲣᲨ**/, /-**ᲒᲨ**/ ალომორფები? სვანურში ხომ **-Ო, -Უ, -Გ** ხმოვნებზე დაბოლოებული სახელებიც არსებობდა?“ (ონიანი 1989, 102). ამ კითხვას ასეთი პასუხი გაეცა: „სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნისათვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა საუმლაუტო პოზიციაა, ამიტომ, ცხადია, ბოლოკიდური **Ო**>**ᲣᲔ**, **Უ**>**ᲣᲘ**, **Გ**>**Ი**, რაც იმას ნიშნავს, რომ **Ო**(>**ᲣᲔ**) დაბოლოებულ სახელებში ნათესაობითი ბრუნვის მორფემის წარმომადგენლად მივიღებდით /-**ᲔᲨ**/ ალომორფს, ხოლო **-Უ**-სა და **-Გ**-ზე დაბოლოებულ სახელებში /-**ᲘᲨ**/-ს“(ონიანი 1989, 102).

ე. ი. ზემოთქმულის მიხედვით, **Ო, Უ** ხმოვანთა უმლაუტის შედეგად მიღებული **-ᲣᲔ, ᲣᲘ** დიფთონგებით დაბოლოებულ ფუძეებთანაც უნდა გვქონოდა სიგრძე ნათესაობით ბრუნვაში, როგორც **ᲝᲥᲠᲝ** ფუძის შემთხვევაში ივარაუდება (ნათ. ***ᲝᲥᲠᲝ+ᲘᲨ** > ***ᲣᲝᲥᲠᲣᲔ+ᲘᲨ** > ***ᲣᲝᲥᲠᲣ-ᲔᲨ** > **ᲣᲝᲥᲠ-ᲔᲨ**). ისტორიულად **-Ა** და **-Ე** ხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეების მსგავსად, მოგვიანებით მათაც დაეკარგათ სიგრძე.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულთან საერთო **-Ო**, **-Უ** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეთა ერთი ნაწილი სვანურში თანხმოვანფუძიანი გახდა: ქართ. **გემო**, სვან. **გᲐᲛ/ გᲐᲛᲨ/ გემ** — ნათ. ბზ. **გᲐᲛ-ᲐᲨ**, ლნტ. **გᲐᲛ-ᲘᲨ**, ლშხ. **გემ-ᲐᲨ**; ქართ. **ᲝᲥᲠᲝ**, სვან. **ᲣᲝᲥᲣᲠ/ ᲣᲝᲥᲠ** — ნათ. ბზ. **ᲣᲝᲥᲣᲠ-ᲐᲨ**, ქს. **ᲣᲝᲥᲠ-ᲔᲨ**; ქართ. **ᲑᲝᲚᲝ**, სვან. **ᲑᲝᲚ** — ნათ., ბზ., ლშხ. **ᲑᲝᲚ-ᲐᲨ/ -ᲐᲨ**; ქართ. **ᲐᲧᲐᲚᲝ**, სვან. **ᲣᲝᲧᲐᲚ** — ნათ. ბზ., **ᲝᲧᲐᲚ-ᲐᲨ**, ლნტ. **ᲝᲧᲐᲚ-ᲘᲨ**, ლშხ. **ᲝᲧᲐᲚ-ᲘᲨ**; ქართ. **ᲬᲔᲠᲝ** სვანურში აღდგენილია ***ᲬᲔᲠᲣ** ფორმის სახით, საიდანაც შემდეგ მივიღეთ **ᲬᲔᲣᲠ** — ნათ. ბზ. **ᲬᲔᲣᲠ-ᲘᲨ**; ხოლო **კალო** და **ᲔᲖᲝ** ბალსზემოურში წარმოდგენილია **კალᲣ, ᲰᲔᲖᲣ,** ლაშხურში **კალ, ᲓᲔᲖᲣ,** ხოლო ლენტეხურში **კალ, ᲔᲖᲣ** ფორმათა სახით — ნათ. ბზ. **კალᲣ-ᲐᲨ, ᲰᲔᲖᲣ-ᲐᲨ**; ლშხ. **კალ-ᲐᲨ, ᲓᲔᲖᲣ-ᲐᲨ**; ლნტ. **კალ-ᲐᲨ/ კᲐᲚ-ᲘᲨ, ᲔᲖᲣ-ᲐᲨ** აღნიშნული სახელები სვანურში გაუტოლდა თანხმოვანფუძიან სახელებს. ამიტომ, ბუნებრივია, მათთან **-ᲐᲨ, -ᲐᲨ** (ლშხ.), **-ᲘᲨ** ალომორფთა გამოვლენა.

-Გ ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის გრძელხმოვნიანი ფორმები თანამედროვე სვანურში ვერ დავადასტურეთ, ხოლო /-**ᲝᲨ**/, /-**ᲣᲨ**/ ალომორფები, ცხადია, გვხვდება ლაშხურ დიალექტში, რადგან ამ დიალექტებს უმლაუტი არ ახასიათებს.

აქ დასკვნის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ დებულება: „სვანური ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე ნათესაობითი ბრუნვის მორფემა თანხმოვნის მომდევნოდ მხოლოდ /-**იშ**/ ალომორფით იყო წარმოდგენილი. შემდგომ საფეხურზე, როცა, ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცის გამო, ზოგი ბოლოხმოვნიანი სახელი ბოლოთანხმოვნიანებს შეუერთდა, იმავე პოზიციაში (თანხმოვნის მომდევნოდ) იმავე ბრუნვის მორფემა სამი ალომორფით /-**იშ**/, /-**ეშ**/, /-**ᾱშ**/ წარმოგვიდგა. ამ ალომორფთა განაწილებამ შემდეგი სახე მიიღო: /-**იშ**/ წარმოგვიდგა იმ სახელებში, რომელთა ფუძეც ისტორიულად თანხმოვანზე ან **-ი, -უ** ხმოვანზე ბოლოვდება, /-**ეშ**/ — იმ სახელებში, რომელთა ფუძეც ადრე **-ე** ან **-ო** ხმოვნებზე ბოლოვდებოდა, ხოლო /-**ᾱშ**/ — სახელებში, რომელთა ამოსავალიც **-ᾱ**-ზე დაბოლოებული ფორმებია“ (ონიანი 1989, 103).

საინტერესოა რა სახის ალომორფები იჩენენ თავს დღევანდელი სვანურის გრძელხმოვნიან დიალექტებში ბალსზემოურსა და ლაშხურ ბოლოხმოვნიან ფუძეთა ნათესაობით ბრუნვაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლოხმოვნიანი სახელები ნათესაობით ბრუნვაში იმ ხმოვანს გამოავლენენ გრძლად, რომელზედაც ეს ფუძეები ბოლოვდებიან. ამიტომ შეიძლება შეგვხვდეს ნათესაობითი ბრუნვის გრძელხმოვნიანი ბზ. **-ᾱშ**, ლშხ. **-ᾱშ**, ბზ. ლშხ., **ᾱშ, -ᾱშ,** ლშხ. **-ᾱშ, -ᾱშ** ალომორფები, რომელთა განაწილების წესის დადგენა ფუძის რაგვარობის მიხედვით ადვილად ხერხდება.

როცა **ᾱ**'ზე დაბოლოებულ ფუძეს ჩავსვამთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში, მორფემათა მიჯნაზე (ფუძის **ᾱ** ხმოვანს + **იშ**, ნათ. ბრ. ნიშანი) იქმნება ბალსზემოურში უმლაუტისა და გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი **ᾱ+ი** ხმოვანთკომპლექსი, რომელთა შერწყმით ბალსზემოურ დიალექტში ვიღებთ **-ᾱშ**, ხოლო ლშხურში **ᾱ+ი** კომპლექსისაგან **-ᾱშ** ალომორფებს:

ბალსზემოური: **მგკრა** — ნათ. **მგკრ-ᾱშ (<*მგკრᾱ+იშ)** „სახნისის“; **დᾱნა** — ნათ. **დᾱნ-ᾱშ (<*დᾱნᾱ+იშ)** „გოგოსი“; **ჯიჰრა** — ნათ. **ჯიჰრ-ᾱშ (<*ჯიჰრᾱ+იშ)** „მუხის“; **შᾱრა** — ნათ. **შᾱრ-ᾱშ (<*შᾱრᾱ+იშ)** „დოლაბის“; **ლახუ̄ბა** — ნათ. **ლახუ̄ბ-ᾱშ (<*ლახუ̄ბᾱ+იშ)** „ძმების“; **უშბა** — ნათ. **უშბ-ᾱშ (<*უშბᾱ+იშ)** „უშბის“...

ლაშხური: **ძულუ̄ა** — ნათ. **ძულუ̄-ᾱშ (<*ძულუ̄ᾱ+იშ)** „ზღვის“; **მამა** — ნათ. **მამ-ᾱშ (<*მამᾱ+იშ)** „მამის“; **დᾱნა** — ნათ. **დᾱნა-ᾱშ (<*დᾱნᾱ+იშ)** „გოგოსი“; **გიგა** — ნათ. **გიგ-ᾱშ (<*გიგᾱ+იშ)** „დეიდის...“; **ბაბა** — ნათ. **ბაბა-ᾱშ (<*ბაბᾱ+იშ)** „ბაბუასი“; **ზომხა** — ნათ. **ზომხ-ᾱშ (<*ზომხᾱ+იშ)** „ახალი წლის“... შდრ. ლნტ. **დენᾱᲫშ** „გოგოსი“, **ძულუ̄ᾱᲫშ** „ზღვის“...

ბოლოხმოვნიანი ფუძეების ქცევა ნათესაობით ბრუნვაში საინტერესოა სხვა მხრივაც. სხვა ქართველური ენებისაგან განსხვავებით, სვანურში გამოყოფენ ბრუნების ადიღეურ სისტემას, ანუ ორფუძიან, **მ**'ანიან ბრუნებას. ზოგი მეცნიერი ბრუნების ამ ტიპს **-ემ**'იან ბრუნებას უწოდებს.

ადიღეური სისტემა ბრუნებისა გაბატონებულია ბალსქვემოურში, განსაკუთრებით ეცერულ-ლახამულურში, საკმაოდ რიგიანადაა წარმოდგენილი გადმონაშთებით ბალსზემოურში, ღარიბად ქვემოსვანურში. ეს სისტემა ემყარება **-ე** ბოლოხმოვნიანებს, რიგს **-ე-** შიგნიხმოვნიანებს, **-ა** ბოლოხმოვნიან რიცხვით სახელებს და გაქვავებულ შედარებით ხარისხებს.

ჩვენთვის **-ემ**'იანი ერგატივი ბალსზემოურსა და ლაშხურში საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ამ ტიპის ბრუნებაშიც ბოლოხმოვნიანი ფუძეები ნათესაობით ბრუნვაში გრძელ ხმოვანს გამოავლენენ. თვით ორფუძიანობა ამ უკანასკნელში გამოიხატება ერგატივზე დამყარებული ფორმების არსებობით. ნათ. ბრუნვის მორფემად სინქრონიულ დონეზე შეიძლება გამოვყოთ **-ᾱმიშ**, სადაც დიაქრონიულად, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, **-ემ** ერგატივის ნიშანია, რომელსაც **-ᾱმიშ** ფორმაში ერგატივის ფუნქცია დაკარგული აქვს. ჩვეულებრივ დაირთავს **-იშ** ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსს.

ცნობილია, რომ სვანური ენის ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში **ა** ბოლოხმოვნიან რიცხვით სახელებს და შედარებითი ხარისხის გაქვავებულ ფორმებს ნათესობით ბრუნვაში დაერთვის **-ᾱმ-იშ**. მორფემათა მიჯნაზე იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი **-ა+ე(<ემიშ)** ხმოვანთკომპლექსი, სადაც მათი შერწყმით ვიღებთ გრძელ **-ᾱ**'ს, შესაბამისად ნათესაობითი ბრუნვის **-ᾱმიშ** ალომორფს.

მაგ.: ბზ., ლშხ.: **ხოჩა** — ნათ. **ხოჩ-ᾱმიშ** (< ***ხოჩა+ემ+იშ**) „კარგის"; **ხოლა** — ნათ. **ხოლ-ᾱმიშ (<*ხოლა+ემ+იშ)** „ცუდის"; **ხოშა** — ნათ. **ხოშ-ᾱმიშ (<*ხოშა+ემ+იშ)** „უფროსის"; **არა** — ნათ. **არ-ᾱმიშ (<*არა+ემ+იშ)** „რვის"; **ჩხარა** — ნათ. **ჩხარ-ᾱმიშ** (< ***ჩხარა+ემ+იშ**) „ცხრის" და სხვა. იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს **-ემ**'იან ნათესაობითში ფუძისეული **-ა** გრძელი, როცა **ა** ბოლოხმოვნიან სახელს დაერთვის **ხოჩ-ᾱმიშ (<*ხოჩა+ემიშ)** „კარგის", **ხოლᾱმიშ (<*ხოლა+ემიშ)** „ცუდის", თუმცა ამ ფუძეებთანაც შეიძლება შეგვხვდეს აუსლაუტის ხმოვნისა და ნათესაობითი ბრუნვის **-იშ** მორფემის ურთიერთზეგავლენის შედეგად მიღებული სხვა ალომორფიც: ბზ. **არ-ᾱშ** (<***არა+იშ**) „რვის", **ჩხარ-ᾱშ** „ცხრის"; **ხოჩ-ᾱშ** „კარგის"; **ხოლ-ᾱშ** „ცუდის" და ლშხ. **არ-ᾱშ**; **ჩხარ-ᾱშ**, **ხოჩ-ᾱშ**, **ხოლ-ᾱშ**.

როცა **-ე** ბოლოხმოვნიანი ფუძეები ბალსზემოურსა და ლაშხურში იბრუნვიან ქართველური სისტემის მიხედვით (როგორც ამ ბრუნებას სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ), ნათესაობითში ბრუნვის ფორმანტად გვევლინება **-ᲔᲨ** ალომორფი, რომელიც მიღებულია **-ე** (ფუძის ბოლო ხმოვანი) +-**ი**ᲨᲘ (ნათ. ბრ. მორფემა) **ე+ი** ხმოვანთკომპლექსისაგან.

მაგ.: ბზ., ლშხ.: **დᲔრე** — ნათ **დᲔრ-ᲔᲨ** (< ***დᲔრე+ი**Ш) „გაყინული თოვლის“; **თხᲔრე** — ნათ. **თხᲔრ-ᲔᲨ** (< ***თხᲔრე+ი**Ш) „მგლის“; **დედე** — ნათ. **დედ-ᲔᲨ** (<* **დედე+ი**Ш) „დედის“; **ლგჯᲔ** — ნათ. **ლგჯ-ᲔᲨ** (< ***ლგჯᲔ+ი**Ш) „რძის“; **ფხულᲔ** — ნათ. **ფხულ-ᲔᲨ** (< ***ფხულᲔ+ი**Ш**)** „თითის“; **ჩᲔჟᲔ** — ნათ. **ჩᲔჟ-ᲔᲨ** (< ***ჩᲔჟᲔ+ი**Ш) „სიძის“; **მᲔრᲔ** — ნათ. **მᲔრ-ᲔᲨ** (< ***მᲔრᲔ+ი**Ш) „ღრუბლის“; **ათხᲔ** — ნათ **ათხ-ᲔᲨ** (< ***ათხᲔ+ი**Ш) „ახლანდელის“... **ᲔᲨ** ალომორფი განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს **-ე** ბოლოხმოვნიანი მიმღეობისა და მასდარების (სადაც **-ე** კონფიქსის შემადგენელი ნაწილია) ნათესაობით ბრუნვაში.

მაგ.: **ლისგᲨრ-ᲔᲨ** (<***ლისგᲨრᲔ+ი**Ш) „ჯდომის“; **ლირღᲨ-ᲔᲨ** (<***ლირღᲨᲔ+ი**Ш) „რღვევის, დაცემის“; **ლიტხ-ᲔᲨ** (<***ლიტხᲔ+ი**Ш) „დაბრუნების“; **ლიშარდ-ᲔᲨ** (<***ლიშარდᲔ+ი**Ш) „დამშვიდების“; **მგშდ-ᲔᲨ** (<***მგშდᲔ+ი**Ш) „დამყრელის“; **მგთრ-ᲔᲨ** (<***მგთრᲔ+ი**Ш) „მსმელის“ და სხვა. აღნიშნულ მასალაში რომ სიგრძე **ე+ი** ხმოვანთკომპლექსის შერწყმის შედეგია, ამას ადასტურებს ლენტეხური დიალექტის ნათ. ბრუნვის ფორმები: შდრ. **დედ-ᲔᲨ** „დედის“; **ლგჯᲔ-ᲔᲨ** „რძის“; **მგშდᲔ-ᲔᲨ** „დამყრელის“...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, **-ე** ბოლოხმოვნიანი სახელებისთვის ძირითადი მაინც ერგატივის ფუძეზე დამყარებული ნათესაობითია, სადაც იქმნება **ე+ე** იდენტურ ხმოვანთა კომპლექსი, რომელთა შერწყმით ვიღებთ გრძელი **ე**'ს შემცველ **-ᲔᲛᲘᲨ** ალომორფს.

ორფუძიანობის საკითხს ქვემოსვანურში სპეციალური წერილი უძღვნა ი. ჩანტლაძემ; დადგინდა, რომ ლაშხურ და ლენტეხურ დიალექტებშიც **-ე** ბოლოხმოვნიან სახელებს ორფუძიანობა, ძირითადად, სწორედ ნათ. ბრუნვაში ახასიათებთ (ჩანტლაძე 1998, 64). ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ლაშხურის მონაცემებია, სადაც, ბალსზემოურის მსგავსად, **-ე** ბოლოხმოვნიანი სახელები ნათ. ბრუნვაში ხშირად **-ᲔᲛᲘᲨ** ალომორფს გამოავლენენ.

მაგ.: ბზ., ლშხ.: **მᲔზგᲔ** — ნათ. **მᲔზგ-ᲔᲛᲘᲨ** (<***მᲔზგᲔ+ᲔᲛ+ი**Ш) „მოსახლის“; **ჟახᲔ** — ნათ. **ჟახ-ᲔᲛᲘᲨ** (<***ჟახᲔ+ᲔᲛ+ი**Ш) „სახელის“; **მᲐრᲔ** — ნათ. **მᲐრ-ᲔᲛᲘᲨ** (<***მᲐრᲔ+ᲔᲛ+ი**Ш) „კაცის“; **მუხᲨბᲔ** — ნათ. **მუხᲨბ-ᲔᲛᲘᲨ** (<***მუხᲨბᲔ+ᲔᲛ+ი**Ш) „ძმის“; **ღალᲔ** — ნათ. **ღალ-ᲔᲛᲘᲨ** (<***ღალᲔ+ᲔᲛ+ი**Ш) „ფრთის“; **მᲔკᲨშდᲔ** — ნათ. **მᲔკᲨშდ-ᲔᲛᲘᲨ** (<***მᲔკᲨშდᲔ+ᲔᲛ+ი**Ш) „მოკლის“...

-ი ბოლოხმოვნიანი სახელები ლაშხურსა და ბალსზემოურში შემთხვევათა დიდ ნაწილში გამოავლენენ გრძელხმოვნიან **-ᾱშ** ალომორფს. პოზიციაში **ი** (ფუძის ბოლო ხმოვანი) + **-იშ** (ნათ. ბრუნვის მორფემა) იქმნება **ი+ი** იდენტურ ხმოვანთა კომპლექსი, რომელთა შერწყმით ვიღებთ გრძელი **ი**'ს შემცველ **-ᾱშ** ალომორფს:

ბზ. **მუშგუ̈რი** ნათ.— **მუშგუ̈რ-ᾱშ** (<***მუშგუ̈რი+იშ**) „სტუმრის"; **ლიჷნი** — ნათ. **ლიჷნ-ᾱშ** (<***ლიჷნი+იშ**) „ხვნის"; **ლᾰ̈ში** — ნათ. **ლᾰ̈შ-ᾱშ** (<***ლᾰ̈ში+იშ**) „თესლის"; **ქუ̈ᾱსი** — ნათ. **ქუ̈ᾱს-ᾱშ** (< ***ქუ̈ᾱსი+იშ**) „პატარა ცოცხის"; **ტებდი** — ნათ. **ტებდᾱშ** (<***ტებდი+იშ**) „თბილის"; **მეჩი** — ნათ. **მეჩ-ᾱშ** (<***მეჩი+იშ**) „მოხუცის"; **ქუ̈ახი** — ნათ. **ქუ̈ახ-ᾱშ** (<***ქუ̈ახი+იშ**) „იანვრის", **ბესი** — ნათ. **ბეს-ᾱშ** (<***ბესი+იშ**) „ბესის"; **ლᾰ̈ტლი** — ნათ. **ლᾰ̈ტლ-ᾱშ** (<***ლᾰ̈ტლი+იშ**) „ლატალის"; **ფგრი** — ნათ. **ფგრ-ᾱშ** (<***ფგრი+იშ**) „ხმელის"...

ლშხ. **ნᾱთი** — ნათ. **ნᾱთ-ᾱშ** (<***ნᾱთი+იშ**) „წილის"; **ბᾱზი** — ნათ. **ბᾱზ-ᾱშ** (<***ბᾱზი+იშ**) „ამ საღამოსი"; **ქუ̈ᾱსი** — ნათ. **ქუ̈ᾱს-ᾱშ** (<***ქუ̈ᾱსი+იშ**) „პატარა ცოცხის"; **გუ̈ამი** — ნათ. **გუ̈ამ-ᾱშ** (<***გუ̈ამი+იშ**)„მძიმის"; **აგი** — ნათ. **აგ-ᾱშ** (<***აგი+იშ**)„სახლის"; **კუ̈ᾱში** — ნათ. **კუ̈ᾱშ-ᾱშ** (<***კუ̈ᾱში+იშ**) „მჭადის"; **ზგსყი** — ნათ. **ზგსყ-ᾱშ** (<***ზგსყი+იშ**) „ნედლის"...

სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ „**ი** ბოლოხმოვნიანი სახელები ბრუნების პროცესში არ მისდევენ ერთ გარკვეულ სისტემას. შეინიშნება თანამედროვე სვანურში არსებული თითქმის ყველა ბრუნვის ნიშნის სხვადასხვა ვარიანტთა გამოყენების შემთხვევები" (ჩანტლაძე 1998, 40-63).

მართლაც, ზემოაღნიშნულის გარდა, **ი** ბოლოხმოვნიან ფუძეებთან იშვიათად ბალსზემოურში და შედარებით ხშირად ლაშხურის ნათესაობით ბრუნვაში, თავს იჩენს **-ᾱმიშ** ნათ. ბრუნვის ალომორფი, რომელიც მიღებულია აუსლაუტის **ი** ხმოვნისა და **-ემიშ** ალომორფის ურთიერთმოქმედების შედეგად, მორფემათა მიჯნაზე შექმნილ **ი+ე** ხმოვანთკომპლექსის შერწყმის გზით.

მაგ.: ბზ. **ცხუ̈ი** — ნათ. **ცხუ̈-ᾱმიშ** (<***ცხუ̈ი+ემ+იშ**) „ისრის"; **გუ̈ი** — ნათ. **გუ̈-ᾱმიშ** (<***გუ̈ი+ემ+იშ**) „გულის"; **ჩᾱმიშ** (<***ჩი+ემიშ**) — ნათ. „ყველასი"; ბზ., ლშხ.: **ში** — ნათ. **შ-ᾱმიშ** (<***ში+ემ+იშ**) „ხელის"; **შᾱმიˈშ'** გუგ „ხელის გული"; **დი** — ნათ. **დ-ᾱმიშ** (<***დი+ემ+იშ**) „დედის" **დᾱმიˈშ'** გარგლა „დედის ლაპარაკი"; . ამ ფორმების გვერდით ჩვეულებრივია: **ში-ეშ**, **დი-ეშ** ფორმებიც, რაც გვაინდელი მოვლენა ჩანს.

ბალსზემოურ დიალექტში **-ი** ბოლოხმოვნიანებთან **-ᾱმიშ** ალომორფიც გვხვდება: მაგ. **ნაგზი** — ნათ. **ნაგზ-ᾱმიშ** (<***ნᾰ̈გზი+ემ+იშ**) „კვირის"; **ნარჰი** — ნათ. **ნარჰ-ᾱმიშ** (<***ნᾰ̈რჰი+ემ+იშ**) „სინათლის"... აქაც, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ფუძისეული ხმოვანი გრძელდება.

განსაკუთრებით საინტერესოა **-ო** და **-უ** ბოლოხმოვნიან ფუძეთა ქცევა ნათესაობით ბრუნვაში. როგორც ცნობილია, ქართულთან საერთო ამ რიგის ფუძეთა ერთი ნაწილი თანამედროვე სვანურში თანხმოვანფუძიანია (მაგ., ქართ. **აყალო** — სვან. **ოყალ**; ქართ. **კალო** — სვან. **კალ˹Უ˺;** ქართ. **ეზო**, სვან. ბზ. **ჰაზუ;** ლშხ. **Ძეზუ,** ლნტ. **Აზუ** და სხვა, რომლებიც, ჩვეულებრივ, **-იშ** ან **-Აშ** ალომორფებს დაირთავენ), ხოლო მეორე ნაწილს, რომლებიც დღეს **-ო, -უ** ხმოვნებზე ბოლოვდებიან, დაერთვით რა ნათესაობითის **-იშ** მორფემა ბალსზემოურში, უმლაუტდებიან **-ᲣᲔ, -ᲣᲘ** დიფთონგებად (თოფურია 2002, 317), რის გამოც ისინი შესაბამისად **-Ე** და **-Ი** ბოლოხმოვნიანები ხდებიან. მორფემათა მიჯნაზე იქმნება **Ე+Ი, Ი+Ი** ხმოვანთკომპლექსები. წინამავალი ნაუმლაუტარი **-Ე** და **-Ი** ხმოვნები იერთებენ მორფემისეულ **-Ი (<ᲘШ)** ელემენტს და თვითონ გრძელდებიან. ერთ შემთხვევაში ვიღებთ **ᲔШ**, ხოლო მეორე შემთხვევაში **-ᲘШ** გრძელხმოვნიან ალომორფებს.

მაგ. ბზ.: **პალტო** — ნათ. **პალტᲣ-ᲔШ** (<***პალტᲣ+ᲘШ**); **საბჭო** — ნათ. **საბჭᲣ-ᲔШ** (<***საბჭᲣ+ᲘШ**) „საბჭოსი“; **ლობიო** — ნათ. **ლობიᲣ-ᲔШ** (<***ლობიᲣ+ᲘШ**) „ლობიოსი“; **უთო** — ნათ. **უთᲣ-ᲔШ** (<***უთᲣᲔ+ᲘШ** < ***უთᲣ+ᲘШ**) „უთოსი“; **სასადილო** — ნათ. **სასადილᲣ-ᲔШ** (<***სასადილᲣᲔ+ᲘШ** <***სასადილᲣ+ᲘШ)** „სასადილოსი“; **გადო** — ნათ. **გადᲣ-ᲔШ** (<***გადᲣᲔ+ᲘШ** <***გადᲣ+ᲘШ**) „გადიის; გამზრდელის“; ბებია ქალის“; **გაᲐგო** — ნათ. **გაგᲣ-ᲔШ** (<***გაგᲣᲔ+ᲘШ** < ***გაᲐგᲣ+ᲘШ**) „გუგულის“; **ბოლრო** — ნათ. **ბოლრᲣ-ᲔШ** (<***ბოლრუᲔ+ᲘШ** < ***ბოლრᲣ+ᲘШ**) „ფუღუროსი“, **გᲣᲔდო** — ნათ. **გᲣᲔდᲣ-ᲔШ** (<***გᲣᲔდᲣᲔ+ᲘШ** < ***გᲣᲔდᲣ+ᲘШ**) „გვედოსი“ (საკ. სახ.); **ფუტუ** — ნათ. **ფუტᲣ-ᲘШ** (<***ფუტᲣᲘ+ᲘШ** < ***ფუტᲣᲣ+ᲘШ**) „ჭუჭრუტანის“; **გაᲐბუ** — ნათ. **გაᲐბᲣ-ᲘШ** (<***გაᲐბᲣᲘ+ᲘШ** < ***გაᲐბᲣ+ᲘШ**) „დედაბრის“; **ჭᲣრუ** — ნათ. **ჭᲣრᲣ-ᲘШ** (<***ჭᲣრᲣᲘ+ᲘШ** < ***ჭᲣრᲣ+ᲘШ**) „ამოუსვლელი ცომის“; **გაშუ** — ნათ. **გაშᲣ-ᲘШ** (<***გაშᲣᲘ+ᲘШ** < ***გაშᲣ+ᲘШ**) „ხვადი კატის“; **ბექნუ** — ნათ. **ბექნᲣ-ᲘШ** (<**ბექნᲣᲘ+ᲘШ** < **ბექნᲣ+ᲘШ**) „ბექნუსი“ (საკ. სახ.), **ზᲣნტუ** — ნათ. **ზᲣნტᲣ-ᲘШ** (<***ზᲣნტᲣᲘ+ᲘШ** < ***ზᲣნტᲣ+ᲘШ**) „ზღმარტლის“ და სხვა.

რაც შეეხება ლაშხურ დიალექტს, აქ თავისთავად ცხადია, რომ განსხვავებული შედეგი გვაქვს უმლაუტის უქონლობის გამო: ფუძის ბოლო **-ო, -უ** ხმოვნები იერთებენ ბრუნვის მორფემისეულ **-Ი**'ს და თვითონ გრძელდებიან, რის გამოც ამ ფუძეებთან თავს იჩენს ნათესაობითის **-ᲠШ, -ᲣШ** ალომორფები.

მაგ., ლშხ.: **გადო** — ნათ. **გად-ᲠШ** (< ***გადო+ᲘШ**) „ბებია ქალის“; **გეგო** — ნათ. **გეგ-ᲠШ** (< ***გეგო+ᲘШ**) „გუგულის“; **ურო** — ნათ. **ურ-ᲠШ** (< ***ურო+ᲘШ**) „უროსი“; **ბრელო** — ნათ. **ბრელ-ᲠШ** (< ***ბრელო+ᲘШ**) „ბრესი“

(„ბზენარევი მტვრისა“); **ლობიო** — ნათ. **ლობი-ᾱშ** (< ***ლობიო+იშ**) „ლობიოსი“; **ნიკო** — ნათ. **ნიკ-ᾱშ** (< ***ნიკო+იშ**) „ნიკოსი“; **დოდო** — ნათ. **დოდ-ᾱშ** (<***დოდო+იშ**) „დოდოსი“..., **თუ** — ნათ. **თᾱშ** (< ***თუ+იშ**) „თაფლის“; **ტᾱნუ** — ნათ. **ტᾱნ-ᾱშ** (< ***ტუნუ+იშ**) „ქოთნის“; **ფაუ** — ნათ. **ფა-ᾱშ** (< ***ფაუ-იშ**) „ჯოხის“..., შდრ. ლენტეხური: **ტუნუ-Აშ, ფაუ-Აშ, გეგო-Აშ, ნიკო-Აშ**... გარდა ამ ფორმანტებისა, ლაშხურში **-უ** ბოლოხმოვნიან ფუძეებთან იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **-ᾱმიშ** ალომორფიც. მაგ. **ტᾱნᾱმიშ** (< ***ტᾱნუ+ემ+იშ**) „ქოთნის“; **გᾱმიშ** < ***გუ+ემ+იშ** „გულის“; **ცხᾱმიშ** (< ***ცხუ+ემ+იშ**) „ისრის, ნესტრის“. როცა ნათესაობით ბრუნვაში თავს იჩენს **-ᾱმიშ** ალომორფი, იგი მიღებულია **უ+ე (< -ემიშ)** ხმოვან-თკომპლექსის შერწყმის გზით.

ირკვევა, რომ სვანურში გამოვლენილი ნათ. ბრუნვის ალომორფთა სიმრავლე და მრავალფეროვნება შეპირობებულია მორფემათა მიჯნაზე (ფუძის ბოლო ხმოვანს+ნათესაობითი ბრუნვის **-იშ** მორფემა) მიმდინარე მორფოფონემატური ცვლილებებით. სვანური ენის გრძელხმოვნიან დიალექტებში დადასტურებულია ნათესაობითი ბრუნვის შემდეგი ალომორფები: **თანხმოვანფუძიანებთან** (როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი): **-იშ, -ᾱშ** (ბზ.), **-Აშ** (ლშხ.), **-Ეშ, -ემიშ. ხმოვანფუძიანებთან**: ბალსზემოურში **-ᾱშ, -ᾱ̈შ, -ᾱშ, -ᾱმიშ** იშვიათად **-ᾱმიშ** ალომორფები; ლაშხურში **-ᾱშ, -ᾱშ, -ᾱშ, -ᾱშ, -ᾱშ, -ᾱმიშ** იშვიათად **-ᾱმიშ** ალომორფი. ყოველი მათგანი მიღებულია ფუძისეულ და ბრუნვის მორფემისეულ ხმოვანთა შერწყმის შედეგად. აღნიშნულ ხმოვანთკომპლექსებში წინამავალი ხმოვანი გრძელდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ფუძისეული ხმოვნის პოზიცია უფრო მყარია, ვიდრე ნათესაობითი ბრუნვის მორფემის კომპონენტისა.

აქვე შეიძლება წარმოვადგინოთ ბოლოხმოვნიან ფუძეებთან ნათ. ბრუნვის ალომორფთა განაწილების წესი: ყოველგვარი ფუძე ნათ. ბრუნვაში დაირთავს **-იშ** მაწარმოებელს, მაგრამ, მორფემათა მიჯნაზე მიმდინარე მორფოფონემატური ცვლილებების (უმლაუტი და ორი ხმოვნის ერთ ხმოვნად შერწყმა) შედეგად ვიღებთ ნათესაობითი ბრუნვის მორფემის სხვადასხვა ალომორფებს: **-Ა**'ზე დაბოლოებული ფუძეები გამოავლენენ ბალზემოურში **-ᾱ̈შ**, ლაშხურში **-ᾱშ** ვარიანტს. **-Ე**'ზე დაბოლოებულები **-ᾱშ** ან **-ᾱმიშ** ალომორფებს ორივე დიალექტში, ხოლო **-ი** ბოლოხმოვნიანები **-ᾱშ** მაწარმოებელს, იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **-ᾱმიშ** ვარიანტიც. **ო** და **უ** ბოლოხმოვნიანები ბალსზემოურში უმლაუტის შედეგად შესაბამისად **Ე, ი** ბოლოხმოვნიანები ხდებიან და ამიტომაც ნათ. ბრუნვაში გამოავლენენ **-ᾱშ, -ᾱშ,** ხოლო უუმლაუტო ლაშხურ დია-

ლექტში **-ოშ, -უშ** ალომორფებს. ზოგჯერ **უ**'ზე დაბოლოებულმა ფუძემ შეიძლება **-უმიშ** ალომორფიც გამოავლინოს.

ე. ი. როცა ბოლოხმოვნიან ფუძეს დაერთვის ნათ. ბრუნვის **-იშ** მორფემა, მორფემათა მიჯნაზე იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი **ა+ი>ā** ბზ., **>ā** ლშხ; **ე+ი>ē, ი+ი>ī. ო, უ** ბოლოხმოვნიან ფუძეებზე **-იშ** ნათ. ბრუნვის მორფემის დართვით იქმნება **ო+ი, უ+ი** კომპლექსები. ამ კომპლექსში **ი** აუმლაუტებს წინამავალ ხმოვნებს და შესაბამისად ვიღებთ **ო+ი>ȫე** და **უ+ი> ȫი.** ფუძის ნაუმლაუტარი **ე, ი** იერთებენ **-იშ** მორფემის **ი**'ს და თვითონ გრძელდებიან. **ȫი+ი>ī**, **ȫე+ი>ē**. უუმლაუტო ლაშხურში **ო+ი, უ+ი** კომპლექსები იერთებენ მორფემისეულ **ი**'ს და თვითონ გრძელდებიან **ო+ი>ō, უ+ი>ū**.

ა, ე, ი და იშვიათად **უ** ბოლოხმოვნიან ფუძეებს ზოგჯერ დაერთვით **-ემ-იშ** ნათ. ბრუნვის მორფემა **ა+ე>ē; ე+ე>; ი+ე>ī; უ+ე>ū**.

აქ ჩამოთვლილ კომპლექსებში (გარდა **ა+ე** კომპლექსისა) მორფემისეული **ე**'ა გრძელი: **ხოჩāმიშ (<*ხოჩა+ემიშ)** „კარგის", **ხოლāმიშ (<*ხოლა+ემიშ)** „ცუდის". შდრ. **ხოჩემიშ (<*ხოჩა+ემიშ)**. მორფემისეული ხმოვანი აგრძელებს ფუძისეული კომპლექსის წინა ხმოვანს.

ლიტერატურა

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, შრომები, II, 2002.

კლიმოვი 1960 — **Климов Г. А.** Склонение картвельских языков в сравнительно-историческом аспекте, Москва, 1960.

კლიმოვი 1964 — **Климов Г. А.** Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

მარი 1911 — **Марр Н.** Где сохранилось сванское склонение? СПб., 1911.

ონიანი 1989 — ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1989.

ქალდანი 1974 — მ. ქალდანი, სახელთა ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში; ქართ. ენათა სტრუქ. საკითხები, თბილისი, 1974.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

შარაძენიძე 1955 — თ. შარაძენიძე, ბრუნების კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII, თბილისი, 1955.

შარაძენიძე 1961 — თ. შარაძენიძე, ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში, ქართ. ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961.

შარაძენიძე 1083 — Т. Шарашенидзе, Некоторые основние вопросы склонения сванского языка, იკეწ, X, თბილისი, 1983.

ჩანტლაძე 1979 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1979.

ჩიქობავა 1998 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.

ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე 2007 — ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბილისი, 2007.

ჯანაშია 1959 — ს. ჯანაშია, შრომები, III, თბილისი, 1959.

E. Gazdeliani

Morphemes of Possessive Case with the Names that end in Consonant in Svan

Summary

In svan, like in other languages names are divided into two group: end in vowel and end in consonant and their cases are different from each other according to the dialects, because it is different current phonetic processes at the border of morpheme in this or that language.

It takes attention the variety of allomorpheme for possessive case in today's Svan dialects, that is mainly conditioned by the diversity part of case of vowel , that may be according to the dialects: long, short, with umlaut, without umlaut, long with umlaut.

There are differences between the opinion of scientists about the origin of the beginning of possessive case in scientific literature.

The beginning of possessive case is - ish morpheme and the rest versions are conditioned by the phonetic processes of morpheme in variety environment.

გიორგი გოგოლაშვილი

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები

3. ძველი ქართული ენის დიალექტური შედგენილობისათვის

ისტორიული თვალსაზრისით ვსაუბრობთ ქართული ენის განვითარების ორ ძირითად საფეხურზე — ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა (ვრცლად ამ თემაზე იხ. გოგოლაშვილი 2004).

ჩვენს წარმოდგენაში ეს ორი ერთეული არათანაბარი ცოდნით მოგვეწოდება:

ა ხ ა ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა გეოგრაფიული თვალსაზრისით მრავალფეროვანია — გამოყოფენ 20-მდე ეთნიკურ-ტერიტორიულ დიალექტს (ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, სამცხური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული და სამხრული ჯგუფი — აქაც რამდენიმეს ასახელებენ: (იმერხეული, კლარჯული, ტაოური, შავშური...)... მთლიანობაში ახალი ქართული ენა არის სწორედ ერთობლიობა ამ დიალექტებისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა. დიალექტები ბუნებრივი ნაირსახეობებია ახალი ქართული ენისა, სალიტერატურო ენა — ზედიალექტური, ნორმირებული, ასე ვთქვათ, მეტნაკლებად ხელოვნური.

რას წარმოადგენს ძველი ქართული ენა? — ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა არის ერთობლიობა ნაირსახეობათა — ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისა. თუმცა ჩვენი ცოდნა ძველი ქართული ენის დიალექტური შედგენილობისა მწირია. ამის გამო ახალი ქართული ენა და ძველი ქართული ენა ჩვენი ცოდნის დონეზე არათანაბარი ენობრივი ერთეულებია: ერთის შედგენილობის შესახებ სრული წარმოდგენა გვაქვს, მეორის შესახებ — არასრული (ნაწილობრივი).

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ძველი ქართული ენა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით? ვფიქრობთ, შესაძლებელია გარკვეული სურათის აღდგენა; რამდენიმე დიალექტური ერთეულის გამოყოფა მათთვის დამახასიათებელი ძირთიადი ლინგვისტური თავისებურებებით. ამ საქმეშიც უდიდესია ა. შანიძის ღვაწლი.

ხანმეტობა-ჰაემეტობაზე საუბრისას, უფრო სწორად, მათ ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას გამოიკვეთა ძველი ქართული ენის ორი დიალექტი (თუ დიალექტური ჯგუფი) —

1. ხ ა ნ მ ე ტ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი და

2. ჰ ა ე მ ე ტ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი. ჩვენთვის სარწმუნოა მსჯელობა: „უეჭველია, რომ განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენად დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხ ა ნ მ ე ტ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი ე რ თ კ ი ლ ო ზ ე ა დ ა წ ე რ ი ლ ი დ ა ჰ ა ე მ ე ტ ი კ ი — მ ე ო რ ე ზ ე“ (შანიძე 1923, გვ. 311) (ხაზი ჩვენია — გ. გ.). ამ მსჯელობამ ერთი სერიოზული კითხვა გააჩინა: დიალექტური სახესხვაობანი ერთი და იმავე ქრონოლოგიური დონის მონაცემები უნდა იყოს. აქ კი სხვადასხვა დონის მონაცემებზეა საუბარი. ხანმეტი ძეგლები V-VII საუკუნეების ფაქტია, ჰაემეტი ძეგლები — VII-IX საუკუნეებისა. სარწმუნო და დამაჯერებელია ა. შანიძის პასუხი ამ კითხვაზეც: „ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, რომ არსებობდა ჰაემეტ კილოზედაც; ან კიდევ, რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე. მაგრამ კიდევაც რომ გამოირკვეს საბოლოოდ, რომ სწორედ ხანმეტი იყო ის კილო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სალიტერატურო ენას, ეს მაინც არ მოგვცემს იმის საბუთს, რომ **ჰ**აე ისტორიულად **ხ**ანის განვითარების მეორე საფეხურად ვცნოთ. რ ა ე რ ქ ვ ა ს ა ხ ე ლ ა დ ი მ ტ ო მ ს, რ ო მ ე ლ ი ც ხ ა ნ მ ე ტ კ ი ლ ო ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ო ბ დ ა დ ა წ ე რ დ ა, ა ნ ი მ ა ს, რ ო მ ე ლ ს ა ც ჰ ა ე მ ე ტ ო ბ ა ა ხ ა ს ი ა თ ე ბ დ ა, ა რ ვ ი ც ი თ; არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ როგორი იყო მათი გეოგრაფიული საზღვრები. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ხ ა ნ მ ე ტ ი კ ი ლ ო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ხ რ ე თ - ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ კ უ თ ხ ე შ ი ი ყ ო (ასე ვთქვათ, მცხეთა-ბოლნისის რაიონსა და მიმდგომ მხარეებში), ხ ო ლ ო ჰ ა ე მ ე ტ ი კ ი ლ ო კ ი მ ი ს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი თ“ (შანიძე, იქვე, გვ. 361) (ხაზი აქაც ჩვენია — გ. გ.). ა. შანიძის აზრით, ძველი სალიტერატურო ქართულისათვის საორიენტაციო დიალექტის ცვლის მიზეზი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის დასავლეთით გადანაცვლება უნდა ყოფილიყო.

ზ. სარჯველაძის აზრით, „ა. შანიძის ამ მოსაზრების დამადასტურებლად გამოდგება ის ფაქტი, რომ ხანმეტი წარწერები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონშია (ბოლნისი, უკანგორა, მცხეთა) აღმოჩენილი, ხოლო ჯერჯერობით ერთადერთი ჰაემეტი წარწერა ქვეყნის სამხრეთ-დასავ-

ლეთში (წყისე) არის ნაპოვნი“ (სარჯველაძე, 1984, გვ. 40). (წყისე მდებარეობს ადიგენის რაიონში, სოფ. უდის მახლობლად).

ასე რომ, ვფიქრობთ, დამაჯერებელია მსჯელობა ძველ ქართულში ამ ორი დიალექტის (თუ დიალექტური ჯგუფის) არსებობის შესახებ.

გეოგრაფიული სახელების ანალიზის საფუძველზე ა. შანიძე გამოყოფს კიდევ ერთ დიალექტურ ერთეულს — „**ევ** კილოს“. **-ევ** მრავლობითის **-ებ** სუფიქსის ვარიანტად მიიჩნევა. იგი გავრცელებული უნდა ყოფილიყო „როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით, განსაკუთრებით ხშირად კი ყვირილისა და ძირულის ხეობებში, რამდენადმე აგრეთვე რიონის სათავეებში, ე. ი. ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ასეთი სახელების გავრცელების არე აღმოსავლეთით ივრის ხეობამდე უწევს“ (შანიძე 1981[ბ], გვ. 440). საუბარია ისეთ ტოპონიმებზე, როგორიცაა **ვაშლ-ევ-ი, ხუნ-ევ-ი, ბეინ-ევ-ი, ბოსლ-ევ-ი, პერ-ევ-ი, ბეღლ-ევ-ი** და სხვ.

ევ სუფიქსის გარვცელების გეოგრაფია ზუსტდება: „ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველისძველად სამი ენის გავლენის ფარგლებში იყო მოქცეული: ქართულისა, ზანურისა და სვანურისა... ამ კილოზე (თუ ენაზე) მოუბართ შეგვიძლია პირობით მარგველები ვუწოდოთ, ხოლო თვით კილოს — მარგული“ (შანიძე 1981[ბ], გვ. 443) (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

ამგვარად, ა. შანიძის აზრით, ძველი ქართულისათვის სამი დიალექტი (თუ დიალექტური ჯგუფი) უნდა გამოიყოს:

1. ხანმეტი
2. ჰაემეტი
3. მარგული.

ცხადია, ამ კილოებს მხოლოდ თითო ენობრივი ფაქტი არ განასხვავებდა ერთმანეთისაგან (ხანმეტობა-ჰაემეტობა თუ -ევ სუფიქსი). მარგული კილოს შემთხვევაში მიანიშნებს კიდეც ა. შანიძე: „ამ კუთხის მოსახლეობის ენას, **ევ** სუფიქსის გარდა, უეჭველია, სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან“ (იქვე) და ასახელებს კიდეც: ფონეტიკის მხრით, აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება შიშინა ბგერები: ბეინევი, მერჯევი, ვაჭევი, ჭოლევი, ჭიბრევი. ამის მიხედვით **ევ** „კილო“ ახლოს უნდა მდგარიყო ზანურთან (იქვე).

შესაძლებელია, მომავალმა კვლევა-ძიებამ სხვა თავისებურებებიც გამოავლინოს ამ დიალექტებისა...

ვფიქრობთ, ძველი ქართულისათვის შესაძლებელი არის კიდევ ერთ დიალექტურ ერთეულზე (თუ დიალექტთა ჯგუფზე) საუბარი. პირობითად ამ დიალექტს (თუ დიალექტთა ჯგუფს) ფ ხ ო უ რ ი შეიძლება ვუწოდოთ.

ტ ე რ მ ი ნ ი ს ა თ ვ ი ს: ახალი ქართულის მთის კილოების განხილვისას ა. შანიძე წერს: „ხევსურული, მოხეური, თუშური და ფშაური ერთ ვიწრო ჯგუფს შეადგენს, რომელსაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრების გამო, მე ფ ხ ო უ რ ს ვუწოდებ“ (შანიძე 1981°, გვ. 15). ვფიქრობთ, გამართლებული იქნება ამ ტერმინის გამოყენება ჩვენთვის საინტერესო დიალექტური ერთეულისათვის — აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილში გავრცელებული ქართული მეტყველებისათვის. რა საფუძველი გვაქვს ისტორიულად ქართულში გამოვყოთ ფხოური დიალექტი?

ხმოვანკოპლექსთა ფონეტიკური პროცესების განხილავისას ერთი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა — **მო-** და **შე-** ზმნისწინთა „**ა** ხმოვნიანი ვარიანტების გავრცელების სიხშირე უკუპროპორციულია ფონეტიკურ პროცესთა ინტენსიობისა“ (გოგოლაშვილი 2000°). ფაქტია: ფონეტიკურ პროცესთა ინტენსიობა იზრდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მთიდან ბარისაკენ. ყველაზე მეტად ხმოვანკომპლექსთა ფონეტიკური პროცესები შეზღუდულია ხევსურულში, ყველაზე მეტად აქტიურია აჭარულში (ძიძიგური 1946; გოგოლაშვილი, 1974). ეს ფაქტი კიდევ ერთი არგუმენტია იმ თვალსაზრისისა, რომ **მო-/მა-, შე-/შა-** ზმნისწინათა შემთხვევაში ამოსავალი არის **ა** ხმოვნიანი ვარიანტები (დეეტერსი 1930; მარტიროსოვი 1958; გამყრელიძე 1959; კაჭარავა 1973; გოგოლაშვილი 1974).

ამგვარად, საქმე გვაქვს ძალზე საინტერესო ფაქტთან: ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე წერილობით ძეგლებში დადასტურებულია ზმნისწინთა მხოლოდ **მო-** და **შე-** ვარიანტები, ე. ი. მეორეული ვარიანტები.

საშუალი ქართულის წარწერებსა თუ სხვა სახის წერილობით ძეგლებში (XII-XV საუკუნეებისა) თავს იჩენს **მა-** და **შა-** ვარიანტები, რომლებიც დიალექტიზმებად არის კვალიფიცირებული (სარჯველაძე 1985, გვ. 138 და სხვა).

როგორც ჩანს, ძველ ქართულ ენაში არსებობდა ფონეტიკური ვარიანტები ზმნისწინთა **მო-/მა-, შე-/შა-**; მათი განაწილება დიალექტური იყო: ამოსავალი, **ა-** ხმოვნიანი ვარიანტები დაცული იყო ქართული ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლურ ნაწილში; ხოლო მეორეული (მო-, შე-) ვარიანტები — ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლურ და სამხრეთ-დასავლურ არეალში, იქ, სადაც ფონეტიკური პროცესი **ა > ე, ა > ო** დასაშვები იყო; გეოგრაფიულად ხანმეტ, ჰაემეტ და მარგულ დიალექტებში.

ფაქტია, ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის საყრედნი იყო სამხრეთ-აღმოსავლური (ე. წ. ხანმეტი), სამხრეთ-დასავლური (ე. წ. ჰაემე-

ტი) თუ ცენტრალური (ე. წ. მარგული) დიალექტები. შესაბამისად, სალიტერატურო ენის ფაქტად იქცა სწორედ წარმოშობით მეორეული ვარიანტები, ხოლო ამოსავალი ფონეტიკური სახე დიალექტურად იქნა კვალიფიცირებული.

ის ფაქტი, რომ ძველი ქართული ენა არის მკაცრად ნორმირებული, განსაზღვრავს იმას, რომ **მა-** და **შა-** ვარიანტები ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სალიტერატურო ენის მიღმა აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც შეირყა ძველი ქართული სალიტერატურო ენა, შემოაღწია წერილობითი ძეგლების ენაში ამოსავალმა, **ა-** ხმოვნიანმა ვარიანტებმა, რომლებიც ძირითადი იყო (პირიქითა ხევსურულში კი დღესაც ერთადერთი) სწორედ ფხოური დიალექტისათვის.

ასე რომ, ქართული ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლური არეალი ამ მონაცემთა მიხედვით შეიძლება ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოიყოს — საპირისპიროდ სხვა არეალებისა.

ძველი ქართული ენის ფხოური დიალექტისათვის შეიძლებოდა სხვა დამახასიათებელ ნიშნებზეც გვესაუბრა: ხევსურულსა და მოხეურ დიალექტებში S_3 პირის ნიშანი **-ო** არ გვხვდება, **-ა** სუფიქსი გვაქვს ყველა შემთხვევაში: აიღ**ა**, გაიგ**ა**... ეს ზმნები წყვეტილის ფორმებს **-ი** სუფიქსით იწარმოებენ: ავიღ**ი**, გავიგ**ი**... აქ საქმე არ უნდა გვქონდეს **-ა** სუფიქსის უნიფიცირებასთან: **-ო** სუფიქსი ამ დიალექტებში არ ივარაუდება ისტორიულადაც; შესაბამისად არ ივარაუდება არც **-ო** სუფიქსი II კავშირებითის მაწარმოებლად (გოგოლაშვილი 2000[ბ]).

ძველი და ახალი ქართული ენის ძეგლების შესწავლამ, ერთი მხრივ, და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთა ჩაღრმავებულმა ანალიზმა, მეორე მხრივ, ამ არეალისთვის ისტორიულად დამახასიათებელი ფაქტები და მოვლენები შეიძლება გაამრავლოს. ამჯერად კი ის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველი ქართული ენისათვის ქართული ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლური არეალი შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად. ამ დიალექტს პირობითად **ფხოური** შეიძლება დაერქვას.

აქ ერთი ფაქტიც არის ღირსსაცნობი. აღნიშნავენ, რომ მთის დიალექტებში დადასტურებული არქაული მოვლენები არ გადასცდება X საუკუნეს (თ. უთურგაიძე). ჩვენ მიერ დასახელებული ფაქტები (მა- და შა- ვარიანტები ზმნისწინთა; სუბიექტური მესამისა და კავშირებითი მეორის მაწარმოებლად რომ არ დასტურდება -ო სუფიქსი) გაცილებით უფრო ადრინდელი ვითარების ასახვაა.

და კიდევ მსჯელობის დაზუსტებისათვის: ხანმეტი და ჰაემეტი დიალექტების გამოყოფისათვის სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე

პრეფიქსები იქნა დასახელებული. ამჯერად ვერ გავცემთ პასუხს კითხვაზე, სხვა დიალექტურ არეალებში ამ სუფიქსთა გამოყენების თვალსაზრისით რა მდგომარეობაა. ანდა **სანნარევი** ვითარება სხვა დიალექტური არეალის დამახასიათბელია, თუ ხანმეტ და ჰაემეტ დიალექტთა მომდევნო პერიოდის ფაქტი... შესაბამისი კითხვები გაჩნდება **-ევ** სუფიქსის მიმართაც... ანდა: ინგილოურ დიალექტში რომ S_3 **-ო** სუფიქსის გამოხატვის თვალსაზრისით ხევსურულისა და მოხეურის მსგავსი ვითარებაა, ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით ეს როგორ აიხსნება. მოკლედ: აღძრულმა თემამ მრავალი კითხვა გააჩინა. მათზე პასუხის გაცემა მომავლის საქმეა.

თუმცა ესეც უნდა ითქვას: ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით დიალექტების გამოყოფა მეტნაკლებად პირობითია. ამიტომაცაა ახალ ქართულში სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა რაოდენობა დიალექტებისა. ეს მით უფრო ითქმის ძველ ქართულზე, რადგან დიალექტთა გამოყოფის პრინციპი აქ არაერთგვაროვანია; საკლასიფიკაციო პრინციპის ცვლა კი კლასიფიკაციის ნაკლად მიიჩნევა, თუმცა სამუშაო ვარიანტად მაინც რჩება (შდრ. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენთვის ცნობილი ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების საფუძველზე ოთხი ძირითადი დიალექტი (თუ დიალექტური ჯგუფი) წარმოგვიდგება ძველი ქართულისათვის.

1. ხ ა ნ მ ე ტ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი — ქართული ენის გავრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთი არეალი;
2. ჰ ა ე მ ე ტ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი — ქართული ენის გავრცელების სამხრეთ-დასავლეთი არეალი;
3. მ ა რ გ უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი — ქართული ენის გავრცელების ცენტრალური ზონა ლიხს იქითა და აქეთა საქართველოსი;
4. ფ ხ ო უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი — ქართული ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლეთი არეალი.

ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის საორიენტაციო (საყრდენი), როგორც ჩანს პირველი სამი მათგანი იყო სხვადასხვა დროს. ფხოური დიალექტი სალიტერატურო ენის საყრდენი არასოდეს ყოფილა. მისთვის დამახასიათებელი ფაქტები და მოვლენები (რითაც ეს დიალექტი სხვებისაგან განსხვავდებოდა) ყოველთვის დიალექტიზმებად გაიაზრებოდა.

ძველი ქართული ენის ამგვარი დიალექტური დაყოფის მიზანშეწონილობა მომავალი კვლევა-ძიებისათვის გეზის მიმცემიც შეიძლება იყოს.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 1974 — გ. გოგოლაშვილი, ზმნისწინისეულ ხმოვანთა ცვლასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი დიალექტებში: სმამ, ტ. 75, №3, 1974.

გოგოლაშვილი 1999 — გ. გოგოლაშვილი, სუბიექტური მესამე პირის **ო-** სუფიქსის გამოხატვის თაობაზე ზოგ ქართულ დიალექტში: ცხინვალის პედინსტიტუტის შრომათა კრებული, გორი, 1999.

გოგოლაშვილი 2000ᵃ — გ. გოგოლაშვილი, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები. 1. **მა-** და **შა-** ზმნისწინთა შესახებ ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, X, 2000.

გოგოლაშვილი 2000ᵇ — გ. გოგოლაშვილი, მეორე კავშირებითის წარმოება ხევსურულში და მასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000.

გოგოლაშვილი 2004 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხისათვის: ენათმეცნიერების საკითხები, I, 2004.

გამყრელიძე 1959 — თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1959.

დეეტერსი 1930 — G. Deeters, Das Khartvelische Verbum, Leipzig, 1930.

კაჭარავა 1973 — გ. კაჭარავა, სადავო ფორმის მქონე ერთი ზმნისწინის აგებულებისათვის ქართულში: პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 25, 1973.

მარტიროსოვი 1959 — ა. მარტიროსოვი, ზმნისწინის შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ქართულში: იკე, V, თბ., 1958.

სარჯველაძე 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

შანიძე 1923 — ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტფილ. უნ-ტის მოამბე, ტ. 3, 1923.

შანიძე 1981ᵃ — ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: თხზულებანი, ტ. II, თბ., 1981.

შანიძე 1981ᵇ — ა. შანიძე, **ევ** კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: თხზ. ტ. II, თბ., 1981.

ძიძიგური 1946 — შ. ძიძიგური, ხმოვანკომპლექსთა ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე I, თბ., 1946.

G. Gogolashvili

Issues of Historical Dialectology

Summary

3. On the Subject of the Dialectological Constitution of Old Georgian

On the bases of the lingual facts and occurrences four main dialects or dialectal groups existed in Old Georgian.

1. Khanmet - The south-eastern area of the spread of Georgian;
2. Haemet - The south-western area of the spread of Georgian;
3. Margul - The central area of the spread of Georgian;
4. Pkhour – The north-eastern area of the spread of Georgian.

As it seems the first three dialects were the base of the old Georgian literary language in the different periods of time. So, Pkhour never was the base of the literary language. The facts and occurrences (that made it different from other dialects) characterizing it were always considered as dialectisms.

ლალი ეზუგბაია

ქართული ენის მართლწერის შესამოწმებელი კომპიუტერული პროგრამის კონცეპტუალური საკითხები ზმნის მოდელირების მიხედვით

ქართული ენის მართლწერის შესამოწმებელი კომპიუტერული პროგრამის შექმნაზე არა ერთი ჯგუფი მუშაობდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. გამოიკვეთა მეთოდოლოგიური მიმართულებებიც: ერთი მხრივ, დაგროვების, ე. წ. სტატისტიკური მეთოდი, მეორე მხრივ, ენის მოდელირების მეთოდი.

ჩვენ წარმოვადგენთ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელიც პროფ. თ. უთურგაიძის ხელმძღვანელობით და მისსავე კონცეფციაზე დაყრდნობით მუშაობს მართლწერის შესამოწმებელ კომპიუტერულ პროგრამაზე და ზოგადად ბუნებრივი ენის მანქანური დამუშავების საკითხებზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე რთული უბანი ქართული ზმნა აღმოჩნდა, რამაც მთელი რიგი კონცეპტუალური საკითხები თუ პრობლემები წამოჭრა როგორც ლინგვისტების, ასევე პროგრამისტების წინაშე. პროფ. თ. უთურგაიძის მიერ შემუშავებული იქნა ზმნის უღლების მორფონოლოგიური ტიპების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ზმნის მოდელირებას და, შესაბამისად, „სპელჩეკერის“ მონაცემთა ბაზას.

მონაცემთა ბაზა მოიცავს პრეფიქსების, სუფიქსების, ზმნურ ფუძეძირთა ჩანაწერებს. მათ ერთვის ზმნისწინი, სხვათა სიტყვის ნაწილაკი და სხვა. ამ ჩანაწერების რაოდენობას, მასივს განსაზღვრავს ის კონცეფცია, რომლის მიხედვით მიმდინარეობს ზმნის მოდელირება. შესაბამისად, ჩვენ გამოვყოფთ რამდენიმე საკითხს, რაც მუშაობის პროცესში პრობლემატური აღმოჩნდა.

1.1. მწკრივის ფარგლებში ზმნურ ფორმათა ტრადიციულად დასაშვები 28 კომბინაციიდან ორ და სამპირიანი გარდამავალი ზმნისათვის გამოყოფენ განსხვავებულ 18 ფორმას. თ. უთურგაიძის კონცეფციის თანახმად, დასაშვებია 32 კომბინაცია, მათ შორის: S_1O_1, $S_1^PO_1^P$, S_2O_2, $S_2^PO_2^P$. შესაბამისად, დამოუკიდებელ სიტყვა-ფორმად განიხილება 32-ივე კომბინაცია მაშინაც კი, როცა გარეგნულად ემთხვევა, მაგრამ ფუნქციურად განსხვავებულია. თავისთავად, მარკერთა ბაზაში ერთი მწკრივის ფარგლებში ჩანაწერი იმდენივეა, რამდენიც საჭიროა 32 სიტყვა-ფორმის ანალიზისთვის (უთურგაიძე 2002).

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: მართლწერის შესამოწმებელი პროგრამისთვის მთავარია სწორი ფორმის მიწოდება მომხმარებლისათვის, ამიტომ, ზედმეტად ხომ არ ვზრდით ჩანაწერებს, როცა ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. ერთი შეხედვით ეს ასე ჩანს, მაგრამ ჩვენ წინაშე დასმული ამოცანა უფრო მეტია, ვიდრე „სპელჩეკერის“ შექმნა. კერძოდ, მორფოლოგიური ანალიზატორი ისე უნდა აიგოს, რომ მასზე დაშენდეს სინტაქსური ანალიზატორი. როგორც არნ. ჩიქობავა მარტივი წინადადების ანალიზისთვის აუცილებლად მიიჩნევდა მორფოლოგიის მონაცემების გათვალისწინებას და ამის საფუძველზე შექმნა კოორდინაციის თეორია (ჩიქობავა 1968), ასევე წინადადების კომპიუტერული ანალიზი შეუძლებელია სრული მორფოლოგიური ანალიზატორის გარეშე.

1.2. თერთმეტმწკრივიანი პარადიგმა გაზრდილია მე-12 ბრძანებითი მწკრივის ხარჯზე, რომელიც II სერიის კუთვნილებაა და წარმოადგენს წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმათა კომბინაციას შესაბამისად II და I-III პირის ფორმებისათვის (უთურგაიძე 2002, 84-89). ამ გზით ავერიდეთ უხერხულებას, რომელიც გრამატიკულ სახელმძღვანელოებსა და ცალკეულ გამოკვლევებშია. კერძოდ, ავტორები წერენ, რომ: ა) ქართულში არის ბრძანებითი კილო და ბ) მწკრივი აუცილებლად შეიცავს დროსა და კილოს (შანიძე 1982, ჩიქობავა 1950, კოტინოვი 1986, არაბული 1999, პაპიძე 1984...). ამ ფონზე არ გამოიყოფოდა მწკრივი, რომელსაც ბრძანებითი კილო ექნებოდა.

2. უღლების პარადიგმები, ასევე უღლების ტიპები დამყარებულია მორფონოლოგიაზე, ანუ მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი თუნდაც ერთი განსხვავებული ჩანაწერი არის საფუძველი ახალი ტიპის გამოყოფისა.

ასევე უღლების ტიპები წარმოდგენილია კონექტურ კატეგორიათა: გვარის, კაუზატივის, ქცევის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ, გვარის ფარგლებში იერარქიული საფეხური ითვალისწინებს ისტორიულ პროცესს: საშუალი → მოქმედებითი → ვნებითი შესაბამისად, უღლების ტიპები აჩვენებს კონვერსიულ მიმართებას მოქმედებითსა და ვნებითს შორის. ერთი მხრივ, გვაქვს მოქმედებითი გვარის პარადიგმები სამივე ვერსიის მიხედვით და მეორე მხრივ, მათი კონვერსიული ვნებითები ორივე ვერსიის მიხედვით. ამავე პარადიგმებს ერთვის საშუალი გვარის პარადიგმები, თუ, რა თქმა უნდა, წარმოდგენილ ზმნურ ფუძეებს ეწარმოებათ საშუალი გვარის ფორმები.

მაგალითად:

A: ა-დიდ-ებ-ს ~ P: დიდ-დ-ებ-ა ~ M: დიდ-ობ-ს
ი-დიდ-ებ-ს
უ-დიდ-ებ-ს ~ უ-დიდ-დ-ება

თავის მხრივ, ამ პარადიგმების მორფოლოგიურ ტიპებად დაყოფის საფუძველია კაუზაციის წარმოების მოდელი და ფუძის თემატური წარმოება. მაგალითად, ნეიტრალური კაუზაციის უთემისნიშნო მოქმედებითი გვარის დიდი პარადიგმა აიგება **წერ-ს** ტიპის ზმნებისთვის:

A: წერ-ს ~ P: ი-წერ-ებ-ა M: 0
ი-წერ-ს
უ-წერ-ს ~ ე-წერ-ებ-ა

მაგრამ ამ პარადიგმის გარეთ აღმოჩნდება **ა-წერ-ს** ფორმა, რომლის პირველი ცხრა მწკრივის პარადიგმა არ ემთხვევა მლქმედებითი გვარის ზემოთ აღნიშნულ პარადიგმას. შესაბამისად, ზმნურ ფუძეთა ბაზაში ორჯერ ფიქსირდება **წერ** ფუძე, რომელთაგან ერთი შესაბამისი ტიპობრივი კვალიფიკაციის მიხედვით იქნება საყრდენი ფუძე **წერ-ს** ფორმის დიდი პარადიგმისა, ხოლო მეორე ფუძე **ა-წერ-ს** საზედაო სიტუაციის მოკლე პარადიგმისა.

3. როგორც ვხედავთ, ჩანაწერების ზრდა შესაძლებელია არა თუ ერთი და იმავე მორფემათა გამეორების შედეგად, არამედ ერთი და იმავე ფუძეების გამეორების შედეგადაც. უფრო მეტიც, ეს უკავშირდება არა მხოლოდ ფორმალურ ანალიზს, არამედ ხშირად სემანტიკურ ცვლილებასაც, რაც რომელიმე ელემენტის ცვლას თან სდევს. მაგალითად, ავიღოთ დიდი პარადიგმა ნეიტრალური კაუზაციის -**ამ** თემისნიშნიანი **დგ-ამ-ს** მოქმედებითი გვარის ზმნისა:

A: დგ-ამ-ს ~ P: ი-დგ-მ-ებ-ა
ი-დგ-ამ-ს
უ-დგ-ამ-ს ~ ე-დგ-მ-ებ-ა

დიდი პარადიგმის კონვერსიული ვნებითი პრეფიქსული ყალიბისაა, ამავე დროს ვნებითში თემატური ნიშნის თანხმოვანი ელემენტი რჩება.

ამ პარადიგმის გარეთ აღმოჩნდა **ა-დგ-ამ-ს** ფორმა, რომელიც საზედაო სიტუაციის გამომხატველია. ამავე დროს ვნებითის ყალიბის შეცვლით ჩვენ იმავე **დგ** ფუძესთან მივიღებთ შემდეგ პარადიგმას:

P: დგ-ებ-ა ~ უ-დგ-ებ-ა

შეიძლება ითქვას, რომ **დგება** ტიპური უნიშნო ვნებითია, რომელსაც არა აქვს კონვერსიული აქტივი (შდრ. **შრება ~ აშრობს,** მაგრამ არა გვაქვს **დგება ~ *ადგობს**), სამაგიეროდ აქვს საზედაო სიტუაციის აღმნიშვნელი **ა-დგ-ებ-ა** ფორმა: **„ადგება თავზე“**, შდრ. ომონიმური **„ადგება ხვალ“.**

თავის მხრივ, საშუალი გვარის ფორმაწარმოება ამავე ფუძესთან მოგვცემს შემდეგ პარადიგმას: **დგ-ა-ს ~ უ-დგ-ა-ს.** აქვე დაჩნდება საზედაო სიტუაციის ფორმა **ა-დგ-ა-ს.**

მაშასადამე, მოცემული პარადიგმების ფარგლებში მკაცრად განსაზღვრული დასაშვები ფორმების მიხედვით, **დგ** ჩანაწერი ფუძეთა ბაზაში გამეორდება მინიმუმ სამჯერ. ეს პარადიგმები ერთმანეთის მიმართ წარმოადგენენ მორფოლოგიურად განსხვავებულ ტიპებს.

4. მორფონოლოგიური ტიპების სიმრავლე ხშირ შემთხვევაში შეპირობებულია ფუძეში ან ფუძისა და მორფემის ზღვარზე მიმდინარე ცვლილებებით. მაგალითად, **ა-დიდ-ებ-ს, ა-პატარავ-ებ-ს** ფორმები პარადიგმებში არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ ერთ შემთხვევაში ფუძედ ჩავთვლით **დიდ,** ხოლო მეორეგან **პატარავ** მორფემებს, მაგრამ როგორც კი საშუალი გვარის პარადიგმას მივადგებით, ორივე ზმნა -**ობ** თემის ნიშნით იწარმოებს სათანადო ფორმებს და გამოჩნდება სხვაობაც: **დიდ-ობ-ს —** ფუძე არ შეიცვალა, **პატარა-ობ-ს** — ფუძე შიცვალა. თავისთავად ეს ზმნები გადანაწილდება სხვადასხვა მორფონოლოგიურ ტიპში.

ასევე **ა-დიდ-ებ-ს** ზმნის პარადიგმა **ა-ჯილდო-ებ-ს** ზმნის პარადიგმისგანაც განსხვავებული აღმოჩნდება მოქმედებით გვარში, რადგან ეს უკანასკნელი ზმნა წყვეტილის ფორმებში ფუძის მომდევნოდ გაიჩენს -**ვ** ელემენტს: **და-ა-ჯილდო-ვ-ა.** შეიძლება ითქვას, რომ **ა — ებ** კაუზატივის ყალიბით ნაწარმოები ზმნები ან სახელური ფუძეებისგან ამ ყალიბით ზმნათა

წარმოება გვიჩვენებს მთელ რიგ სხვაობებს, რის შედეგადაც მხოლოდ ეს ყალიბი 40 განსხვავებულ ტიპს გვაძლევს.

აღსანიშნავია, რომ ყველა სახელური ფუძისგან შესაძლებელია ზმნის გენერაცია, თუმცა ვირტუალურ ფორმათა დაშვების ხარისხიც იზრდება. ბუნებრივია, ამას გვერდს ვერ ავუვლით და მოდელის ფარგლებში ყველა დაშვებული სიტყვა-ფორმა უნდა გამოიცნოს პროგრამამ. თუმცა აქაც თავს იჩენს მთელი რიგი მორფოლოგიური პრობლემებისა, რომლებზეც ამჯერად აღარ შევჩერდებით. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ სახელისაგან ზმნის წარმოების ალგორითმი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სახელის მორფონოლოგიურ ტიპს, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ზმნის მორფონოლოგიურ ტიპთან, თუმცა აქაც შეიძლება განსხვავებული სურათი მივიღოთ. მაგალითად, **მტერ-ი** და **კედელ-ი** ბრუნების ერთსა და იმავე მორფონოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა ზმნურ მოდელთან მიმართებაში თავს იჩენს სხვაობა: ერთმარცვლიანი **მტერ**- შეუკუმშავი ფუძით „ჩაჯდება“ ყალიბში: **ა-მტერ-ებ-ს,** ხოლო ორ(მეტ) მარცვლიანი **კედელ** — შეკუმშული ფუძით: **ა-კედლ-ებ-ს.**

5. მორფონოლოგიური ტიპების გამოყოფისას თავი იჩინა კიდევ ერთმა საკითხმა: კონვერსიული ერთპირიანი ვნებითის III სერიის ფორმები მიმღეობისა და მეშველი ზმნის საშუალებით იწარმოება. როგორც ცნობილია, ზმნურ ფუძეს სხვადასხვა სუფიქსით უფორმდება მიმღეობა. მაგალითად, **ა-ქრ-ობ-ს** და **ა-თბ-ობ-ს** აქტივსა და კონვერსიულ პასივს ერთნაირად იწარმოებენ, მაგრამ სხვაობა გამოჩნდება სწორედ I თურმეობითში: **ჩა-ვ-მქრალ-ვარ, ჩა-მქრალ-ხარ, ჩა-მქრალ-ა,** მაგრამ **გა-ვ-მთბარ-ვარ, გა-მთბარ-ხარ, გა-მთბარ-ა.** წამოიჭრება ასეთი საკითხი: რა განვიხილოთ ამგვარი ფორმების ფუძედ — **მიმღეობა**, ხოლო მეშველი ზმნა მორფემის სტატუსით შევიდეს, თუ საკუთრივ **ზმნური ფუძე,** რომელიც მიმღეობაში გამოიყოფა. პირველ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ერთპირიანი ვნებითის III სერიის მწკრივები ამოვარდება მთლიანი დიდი პარადიგმიდან, რადგან დანარჩენი ფორმების ზმნური ფუძე არ ემთხვევა III სერიისას: **ა-ქრ-ობ-ს (ქრ) : (მქრალ) გა-მქრალ-ა,** ხოლო, თუ სისრულეს შევინარჩუნებთ, მაშინ მიმღეობის მაწარმოებლებიც განაწილდება პრეფიქს-სუფიქსებში ანუ ფორმა **(გა)ვმქრალვარ** კომპიუტერულ პროგრამაში დაშლილია ასე: **ვმ-ქრ-ალვარ**. ეს უკანასკნელი გზა იქნა ჩვენ მიერ არჩეული, თუმცა, ამით პრობლემა არ მოიხსნა: (გა)-**ვმ**-თბ-**არვარ** ტიპის ჩანაწერებში სუფიქსი -

არვარ არ უდრის -**ალვარ-ს**. ამდენად, **ა-ქრ-ობ-ს და ა-თბ-ობ-ს** ზმნები სხვადასხვა მორფონოლოგიური ტიპებია.

ტრადიციული ანალიზისაგან ამგვარი ანალიზი განსხვავდება, მაგრამ კომპიუტერული ჩაწერის რაც შეიძლება გამარტივებული და დანაწევრებული წესები ხელს უწყობს უღლების პარადიგმების ერთიანი სისტემის წარმოდგენას.

მორფონოლოგიური ტიპების ცალკე ჯგუფი იქმნება ფუძემონაცვლე და ე.წ. მრავალფუძიანი ზმნებისთვის. **დრეკ ~ დრიკ** ტიპის ზმნური პარადიგმების მარკერები განაწილდება ამ ორი ფუძის მიხედვით, მაგრამ **-ევ** თემის ნიშნიანი ზმნებისთვის რამდენიმე ფუძის გამოყოფა გახდა საჭირო: ა-**ბნევ**-ს, და-ა-**ბნი**-ა, და-ი-**ბნ**-ა, მაგრამ და-ვ-ი-**ბენ**-(ი), და-**ბნე**-ულ-ა. ჩამოთვლილი ფორმები ფუძეში მიმდინარე ფონეტიკური ცვლილებებითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი მხრივ, გვაქვს **ბნ-ევ ~ ბნ-ივ** მიმართება, მეორე მხრივ, **ბნ ~ ბენ** მიმართება. თუმცა კომპიუტერული ანალიზისათვის ერთი მორფოლოგიური ტიპის ფარგლებში 5 ფუძის ჩანაწერია, რომელთაც შესაბამისი პარადიგმატური მარკერები უკავშირდება.

ამჯერად შემოვიფარგლებით აღნიშნული საკითხებით. კონკრეტული მაგალითების მიხედვით, ვფიქრობთ, ჩანს ის სირთულეც, რაც ახლავს მართლწერის შესამოწმებელი კომპიუტერული პროგრამის აგების პროცესს. მორფოლოგიური ანალიზატორი, როგორც ითქვა, ემყარება თ. უთურგაიძის კონცეფციას, თუმცა დამუშავების პროცესში გარკვეულად მოდიფიცირდა. ზმნურ ფორმათა სრული აღწერა ემყარება ფორმალური და ფუნქციური მახასიათებლების ერთობლიობას, ანუ ფორმა + შინაარსი, ხოლო ეს უკანასკნელი აქტანტთა ურთიერთკავშირითაა შეპირობებული. ამდენად, ატრიბუტული და კონექტური კატეგორიები ჩვენს სისტემაში ისევეა უღლების კატეგორიები, როგორც აქტანტური კატეგორიები. ამგვარი მიდგომა გენერაციის თვალსაზრისით უსასრულოდ ზრდის დაშვებულ თუ დასაშვებ ფორმათა რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, წარმოაჩენს ენის, კერძოდ, ზმნური სისტემის შინაგან პოტენციას.

ლიტერატურა

არაბული 1999 — ავთანდილ არაბული, ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში. ენათმეცნიერების საკითხები, 1. 1999

კოტინოვი 1986 — ნორა კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ. 1986, გამომცემლობა „განათლება“.

მელიქიშვილი 2001 — დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001, გამომცემლობა „ლოგოს-პრესა“.

პაპიძე 1984 — ასმათ პაპიძე, კილოს კატეგორიისათვის ქართულში. ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ.1984, გამომცემლობა „მეცნიერება“.

უთურგაიძე 2002 — თედო უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში. თბილისი, 2002, გამომცემლობა „ქართული ენა“.

შანიძე 1980 — აკაკი შანიძე, თხზულებანი, ტომი III, თბილისი, 1980. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიქობავა 1950 — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1-ლი ტომი, თბილისი, 1950. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

Lali Ezugbaia

Conceptual Issues of the Spellchecker of the Georgian Language According to Verb Modeling

Summary

During recent decades, a number of groups have worked on creating a spellchecker for the Georgian language. Two methodological directions have developed_ on the one hand, the so called statistical method and on the other hand, the language modelling method.

We represent a group of scholars, who work under Prof. T Uturgaidze on the spellchecker and in general on computer modelling issues of natural language.

As expected, we had most difficulty with the Georgian verb, which aroused various conceptual issues or problems among linguists, as well as for programists. Prof. T Uturgaidze has worked out the conception of morphonological types of conjugation, which were modified during this process. The complete description of the verb forms is based on the unity of formal and functional characteristics, or form plus content, while the latter depends on the actant interconnection. So in our system, attributive and connective categories are conjugation categories, as well as actantial ones. Generatively, such an attitude indefinitely increases the amount of permitted or permissible forms, which in itself shows the language potential, namely the internal potential of the verbal system; at the same time it reveals a number of difficulties connected to verb modelling. Thus we can see that the article deals with an analysis of problematic issues.

ციცინო კვანტალიანი

წმინდა და წმიდა ფორმათა მონაცვლეობისათვის თანამედროვე ქართულში

აქ გასარკვევი თითქოს არაფერი უნდა იყოს. ყველაფერი გარკვეული და დადგენილია. **წმიდა** ფორმა ძველი ქართულის ვითარებას ასახავს, ახალ ქართულში კი უკვე დიდი ხანია გაბატონებულია **წმინდა**. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხი მცირეოდენ დაზუსტებას მაინც მოითხოვს.

ბოლო რამდენიმე წელია **წმინდა** და **წმიდა** ფორმები აღრეულია. ერთმანეთის გვერდით გამოიყენება **წმინდა ~ წმიდა** და ამ ფუძიდან ნაწარმოები ფორმები: **წმინდანი — წმიდანი, ყოვლად წმინდა — ყოვლად წმიდა, სულიწმინდა — სულიწმიდა, უწმინდესი — უწმიდესი** და სხვა.

რამ გამოიწვია ფორმათა აღრევა?

აქ თითქოს ერთგვარი კანონზომიერებაც შეიმჩნევა. **წმიდა** ფორმა უმეტესად გამოიყენება სასულიერო ლიტერატურაში როგორც ნათარგმნ, ასევე ორიგინალურ თხზულებებში. **წმიდა** ფორმა თავიდან თითქოს ნათარგმნ ტექსტებში იყო მოძალებული, მაგრამ შემდგომ უკვე ფართოდ გავრცელდა საერთოდ რელიგიური თემატიკის ნაშრომებში. წერენ: **წმიდა მამები, წმიდა მოწამე, წმიდა გიორგი, წმიდა კუთხე** (მაღაზიის სახელწოდება გ. ჩიტაიას ქუჩაზე), **წმიდა სინოდი, წმიდა ბარძიმი,** ასევე, შესაბამისად: **უწმიდესი, წმიდანად შერაცხა** და სხვა. შეიძლება ითქვას, ამ ფორმებში **წმიდა** ისევ 3 მნიშვნელობით გამოიყენება, ისე, როგორც ვ. თოფურიას აქვს აღნიშნული: „ძველ ქართულში მხოლოდ **წმიდა** იხმარებოდა და მას სამი მნიშვნელობა ჰქონდა: ეს იყო ა) **წმინდანი — წმიდა** გიორგი, **წმიდა** შუშანიკ, ბ) **წმინდა (წმიდა** სული, **წმიდა** სახელი, **წმიდა** გრძნობა და გ) **სუფთა (წმიდა** სამოსელი) (თოფურია, 1972, 41).

რელიგიური ხასიათის თხზულებებში აშკარად ცდილობენ **წმიდა** ფუძიდან ნაწარმოები ფორმების დამკვიდრებას, თითქოს რელიგიურ საკი-

თხებსა და სასულიერო პირებზე საუბრისას აუცილებელი იყოს ძველქართული ფორმების გამოყენება.

თანამედროვე ქართულის ვითარება ასეთია: სასულიერო ლიტერატურის გარდა, ყველგან გამოიყენება **წმინდა,** შესაბამისად, **წმინდანი, უწმინდესი, ყოვლად წმინდა** ფორმები. მხატვრული ლიტერატურისა და პრესის ზერელე გადათვალიერებაც კი თვალსაჩინოს ხდის მათს გავრცელებას. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და ორთოგრაფიულ ლექსიკონში ეს ფორმები მხოლოდ ამ სახით გვხვდება: **წმინდა, წმინდანი, უწმინდესი, ყოვლად წმინდა.** არის მხოლოდ ორი გამონაკლისი: **ნ** სონორის გარეშე წარმოდგენილია ორი ფორმა: **წმიდათაწმიდა** და **სულიწმიდა.**

წმინდა ფორმას იყენებდა ჯერ კიდევ დავით გურამიშვილი:

წმინდა იოანე, კახეთს, ზედაძენს,
სასწაულობით ქვიტკირს ცრემლთ ადენს...
ქართლს **წმინდა** შიო ღვიმეს ძვლებს ავლენს, —
ორნივ შვრებიან სასწაულს ამდენს“
(გურამიშვილი, 1980, 85).

აქედან მოყოლებული, ეს ფორმა ფართოდ გავრცელებულია ახალ ქართულში. ასევე ამ სახით იყენებს მას ნიკოლოზ ბარათაშვილიც თავის ცნობილ ლექსში „**შემოლამება მთაწმინდაზე“: „ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ...“** დღეს ვითარება აშკარად სხვაგვარია. გვხვდება, ერთი მხრივ, **წმიდა** გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტი, **წმიდა** სამების ეკლესია, **წმიდა** წერილის განმარტება, **წმიდა** სინოდის სხდომა და, მეორე მხრივ, **წმინდა** მთავარანგელოზთა ეკლესია, **წმინდა** გიორგის ხატი, **წმინდა** მახარებელი, **წმინდა** სამების ტაძარი, **წმინდა** ნაწილები... ასევე, **ყოვლად წმინდა** ღვთისმშობელი, **ყოვლად წმინდა** ქალწული — **ყოვლად წმიდა** ღვთისმშობელი, **ყოვლად წმიდა** ქალწული.

აღრეულია **წმიდათაწმიდა** ფორმაც. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის თანახმად, ეს ფორმა ერთად იწერება, მაგრამ უფრო გავრცელებულია ცალ-ცალკე დაწერილობა. გვხვდება როგორც **წმიდათა წმიდა (წმიდათა წმიდა** საიდუმლო, **წმიდათა წმიდა** მიწა, ოჯახი **წმიდათა წმიდა** და ხელშეუხებელია, **წმიდათა წმიდა** წიგნი), ასევე გვხვდება **წმიდათა წმინდა** ფორმა: **წმიდათა წმინდა** მოვალეობა, **წმიდათა წმინდა** ადგილი, **წმიდათა წმინდა** საკითხი. გამოიყენება ასევე **წმინდათა წმინდა** ფორმაც: **წმინდათა წმინდა** საკითხი, **წმინდათა წმინდა** მიზანი, **წმინდათა წმინდა** ოჯახი და სხვა.

რა თქმა უნდა, უფრო ხშირად გამოიყენება **ნ-**სონორიანი ფორმები, **ნ** სონორის გარეშე ფორმები კი სასულიერო თემატიკის შრომებშია აღდგენილი.

ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის ვითარება მსგავსი ჩარევით არ შეიცვლება. **ნ-** სონორიანი ფორმები აშკარა უპირატესობით გამოირჩევა. ჩვენი ვარაუდით, შესაძლებელია მათი გამიჯვნა. თუკი ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულების ტექსტი თანამედროვე ქართულით არის შესრულებული, ზოგი ფორმა რატომ უნდა იყოს ძველი ქართულით წარმოდგენილი?

ჩვენი აზრით, უმჯობესია, **წმიდა, წმიდანი, ყოვლად წმიდა** და მსგავსი ფორმები გამოყენებულ იყოს ციტატებში, თუ ის წმინდა წერილიდან ან სხვა რელიგიური ხასიათის თხზულებიდან იქნება მოყვანილი, რადგან ძველ ქართულში ასე იყო. დანარჩენ შემთხვევაში კი გამოვიყენოთ **ნ-** სონორიანი ფორმები: **წმინდა, წმინდანი, ყოვლად წმინდა** ფორმები. ე.ი. ვწეროთ თანამედროვე ქართულით, ძველი ქართულის ფორმები კი გამოვიყენოთ ციტატებში.

ასეა დამკვიდრებული **ვეფხი — ვეფხვი** ფორმების შემთხვევაში: თანამედროვე ქართულის ფორმაა **ვეფხვი,** ძველ ქართულში იყო **ვეფხი. ვეფხ** ფორმას ვწერთ, როცა „ვეფხისტყაოსნიდან“ ვიმოწმებთ ციტატას. მაგალითად: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა, **ვეფხი** პირგამეხებული“ („ვეფხ.“ 1986, 528). ვწერთ ან ვამბობთ „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ სხვა შემთხვევაში აზრად არავის მოუვა გამოიყენოს **ვეფხი** ფორმა; ყველა წერს **ვეფხვს (ვეფხი — ვეფხვის** პარალელზე მიგვანიშნა პროფ. გ. გოგოლაშვილმა). თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ **ვეფხ** ფორმას იყენებდნენ. მ. ჯავახიშვილი წერდა **ვეფხს.** ასე აქვს „ჯაყოს ხიზნებში“: „**ვეფხი** და კატა ერთი ჯიშისანი არიან... **ვეფხი** და მგელი თითქმის ამოწყდნენ“ (ჯავახიშვილი, 1969, 313).

წმინდა ფორმის შემთხვევაში ვითარება სხვაგვარია. უკვე მე-18 საუკუნეში იყენებდა მას დ. გურამიშვილი. თუმცა ცვლილება უფრო ადრინდელი უნდა იყოს.

საჭიროა კიდევ რამდენიმე დაზუსტება. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში **სულიწმიდაა** წარმოდგენილი. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ალბათ შეიძლება პარალელური ფორმის დაშვება: **სულიწმინდა** უკვე ფართოდ არის გავრცელებული. **სულიწმიდა/ სულიწმინდა** ფორმების თანაარსებობა დასაშვებად მიგვაჩნია.

რაც შეეხება **ყოვლად წმინდა** ფორმას, ვფიქრობთ, ეს უკვე გაკომპოზიტებულია და მსგავსად **სულიწმიდისა** შეიძლება ერთად იწერებოდეს: **ყოვლადწმინდა.** სხვათა შორის, **სულიწმიდასაც** ზოგჯერ ცალ-ცალკე წერენ, რადგან ასე იყო ძველ ქართულში: **სული წმიდა,** მაგრამ ორთოგრაფიულ ლექსიკონსა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იწერება ერთად: **სულიწმიდა,** რაც უეჭველად სწორი გადაწყვეტილებაა. ვფიქრობთ, **ყოვლადწმინდაც** ერთად უნდა იწერებოდეს. **წმიდათაწმიდას** შემთხვევაში კი ალბათ უმჯობესია ეს ფორმა ისევე იწერებოდეს, როგორც არის ორთოგრაფიულ ლექსიკონში: **ნ-**თანხმოვნის გარეშე**.** მართალია, **ნ-**სონორიანი ფორმებიც საკმაოდ გამოიყენება, მაგრამ ჯერჯერობით **წმიდათაწმიდა** ფორმაც მყარად ინარჩუნებს თავის უპირატესობას. დასაშვებად მიგვაჩნია ასევე ორივე ვარიანტი: ორთოგრაფიულ ლექსიკონის თანახმად, **წმიდა-თაწმიდა** იწერება ერთად. ასევე შეიძლება იწერებოდეს ცალ-ცალკეც — **წმიდათა წმიდა,** რადგან მიგვაჩნია, ეს მყარი შესიტყვება უფროა, ვიდრე კომპოზიტი.

ბოლოს გვინდა ერთ პატარა საკითხსაც შევეხოთ. წერის დროს საკმაოდ ხშირად ამოკლებენ **წმინდა** ფორმას. წერენ: **წმ. გიორგი, წმ. მახარებლები, წმ. მოციქული.** ჩვენი აზრით, ასეთი შემოკლება არ არის მიზანშეწონილი, ერთგვარ უხერხულებასაც კი იწვევს. ვფიქრობთ, უმჯობესია **წმინდა** ფორმა სრულად იწერებოდეს. **წმ.** ისედაც **წამის** შემოკლებული ფორმაა. ორი სხვადასხვა სიტყვის ერთნაირი დაწერილობა კი სწორი არ იქნება. უმჯობესია, **წმინდა** ფორმა სრულად დავწეროთ: **წმინდა წერილი, წმინდა მოწამე** და სხვა. წმინდა საკმაოდ პატარა სიტყვაა და მისი სრულად დაწერა სირთულეს არ უნდა წარმოადგენს.

ეს მცირე დაზუსტებანი გამოიწვია ამ ფორმათა აღრევამ. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ეპოქა იცვლება: რაც გუშინ დამკვიდრებული იყო, დღეს უკვე პოზიციაშესუსტებული ან სრულიად გამქრალია, ჩნდება ახალი წარმოებაც. სასურველია, მოგვიანებით გაჩენილი ფორმების არსებობა ვაღიაროთ და პარალელური წარმოებაც დავუშვათ.

ლიტერატურა

გურამიშვილი 1980 — დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1980წ.

თოფურია 1972 — ვ. თოფურია, წმინდა თუ სუფთა? ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. I, 1972წ.

თოფურია, გიგინეიშვილი 1998 — ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998წ.

რუსთაველი 1986 — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, 1986წ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.VIII, 1964წ.

Tsitsino Kvantaliani

On the Subject of the Alternation of words - **çminda** and **çmida** in modern Georgian

S u m m a r y

During recent years the word forms "**çminda**" and "**çmida**" (Holy) are confounded. Both of these forms and also words formed from these stems coexist: **çmindani-çmidani** (Saint), **qovlad çminda-qovlad çmida** (Holy), **suliçminda-suliçmida** (the Comforter), **uçmindesi-uçmidesi** (His holiness) etc.

But we can see some logic. The form "**çmida**" is mainly used in the translated or original clerical literature. For example, **çmina mamebi, çmida moçame, çmida Giorgi, çmida sinodi, çmida barǯimi, çmidanad šeracxva** etc.

The situation in modern Georgian is the following: in all cases but the clerical literature the form "**çminda**" is used and accordingly the forms "**çmindani**", "**uçmindesi**", "**qovlad çminda**" are also used. So, we have these words In the Georgian Explanatory Dictionary and the Georgian Orthographic Dictionary (**çminda, çmindani, uçmindesi, çovlad çminda**). But there is an exception, namely two words "**çmindataçmida**" and "**suliçmida**" are used without consonant n.

To our opinion the forms "**çminda**", "**çmindani**", "**qovladçminda**" etc. should be used in the quotations if they are taken out from the holy letter or other clerical work, as they come from old Georgian. In other cases we should use the forms consisting consonant – n: "**çminda**," "**çmindani**", "**qovlad çminda**" i.e. we should write modern Georgian and use old Georgian in quotations.

Some other remarks should be made. As we have mentioned the word "**suliçminda**" (and not "**suliçmida**") is used in the Georgian Orthographic Dictionary. Because of the current situation both of the words should be used, as the word "**suliçminda**" has become a common word. We think that they can coexist.

As for "**qovlad çminda**", we think that it has become a compound and like "**suliçmida**" it can be written as a word: "**qovladçminda**". The word "**çmidaţaçmida**" should be written according to the Orthographic dictionary, namely without the consonant – n. It is true that this word with the consonant is widely used but the word "**çmidaţaçida**" holds the advantage in usage. To our opinion both forms "**çmidaţaçmida**" (as a word) and "**çmidaţa çmida**" (as two words, because it is a collocation than a compound) should be used in written form.

მანანა კობაიძე

უღლების ტიპების შესახებ ქართულში

ქართული ზმნის მთლიანი სისტემის აღწერისას და სწავლებისას ხშირად იყენებენ გვარის კატეგორიას, როგორც ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულს. ზმნის გვარი საკმაოდ რთული კატეგორიაა და ერთსა და იმავე გვარის ფარგლებში ფორმობრივად განსხვავებულ მონაცემებს უყრის თავს. შემდეგ ამას ემატება ინვერსიული ზმნების და ფორმების კვალიფიკაციის საკითხი და ბოლოს მთლიანი სურათი ხშირად ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება არა მარტო ქართულის, როგორც უცხო ენის ან მეორე ენის შემსწავლელისთვის, არამედ მათთვისაც, ვისი მშობლიური ენაც ქართულია.

ამ სტატიაში მოცემულია ცდა, რომ ქართული ზმნის სისტემა აღიწეროს ადვილად საცნობი ფორმალური ნიშნების მიხედვით, რაც შედარებით გაადვილებს ქართული ენის როგორც მეორე ენის ანდა უცხო ენის სწავლებას და უფრო ხელშესახებად წარმოაჩენს ქართული ზმნის ბუნებას.

აქ წარმოდგენილ კლასიფიკაციაში ზმნას მორფოლოგიურ კლასთან ერთად მიეთითება სინტაქსური ყალიბიც. ასეთი ორმაგი, თუნდაც ჰიბრიდული კლასიფიკაცია, ვფიქრობთ, მოსახერხებელი იქნება ბეჭდურ ლექსიკონებში წარმოდგენილი ზმნის ანოტირებისთვისაც. ამავე დროს, ეს ნათლად აჩვენებს ქართული ზმნის ბუნებას: ერთი და იმავე ყალიბის ზმნას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი წყობა (თავისი სუბიექტური და ობიექტური წყობებითურთ: *ვაწუხებ — მაწუხებს*) ან ინვერსიული წყობა (თავისი სუბიექტური და ობიექტური წყობებითურთ: *მეჯავრება — ვეჯავრები*, ან მხოლოდ ერთი წყობით: *მცივა, მამთქნარებს*...).

როგორც მწკრივის კატეგორიაა გამოყოფილი ფორმალური ნიშნების მიხედვით და შემდეგ ხდება იმის აღწერა, თუ რომელი დროისა თუ კილოს გამოხატვა შეუძლია ამა თუ იმ მწკრივის ფორმას, ასევე ზმნის ყალიბების მხოლოდ ფორმის მიხედვით აღწერა აიოლებს საქმეს. შემდეგ კი თვითეული ყალიბი აღიწერება იმის მიხედვით, თუ რა სახის მიმართებების გამოხატვა შეიძლება ამ ყალიბით.

როდესაც ყალიბებს ვახსენებ, აქ იგულისხმება ამა თუ იმ ფორმის ზმნის მთლიანი პარადიგმა და არა წმინდა ფორმობრივი ნიშნით დაშლილი, პარადიგმის გათვალისწინების გარეშე განხილული მონაცემები. მაგალითად, ფორმა *ვიწუხებ* ორ სხვადასხვა სისტემაში ორ სხვადასხვა მონაცემად განიხილება: *ვიწუხებ* შეიძლება იყოს პირველი ტიპის უღლების ფორმა აწმყოს მწკრივისა (მაგ.: *თავს არ ვიწუხებ*), სხვა შემთხვევაში კი სტატიკური *ვწუხვარ* ზმნის მყოფადის ფორმაა (მაგ.: *ხვალ ამაზე აღარ ვიწუხებ*). როცა ფორმის მიხედვით კლასიფიკაციაზე ვლაპარაკობ, არ ვგულისხმობ ფუნქციის უგულვებელყოფას. მაგრამ ზმნების დაჯგუფების ამოსავალი პრინციპი აქ თვითონ ზმნის მორფოლოგიური აგებულებაა, მისი გარეგნული ფორმა.

ვიდრე საუბარს გავაგრძელებდეთ, ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენთ ქართული **ზმნის კლასიფიკაციის ისტორიიდან** ზოგიერთ ძირითად შეხედულებას.

1. ქართული ზმნის კლასიფიკაციის ისტორიიდან

ქართული ზმნის კატეგორიების სიმდიდრე და სირთულე იძლევა იმის საშუალებას, რომ ზმნის სისტემა ურთიერთგანსხვავებული კრიტერიუმებით აღიწეროს და დალაგდეს.

დინამიკურ გარდაუვალ (*ვთბები*) და გარდამავალ ზმნებს (*ვაშენებ*) აერთიანებს მყოფადში ზმნისწინების გამოყენება, რაც გამოხატავს ამ ზმნების უნარს (და ამავე დროს, ამ ზმნებს ანიჭებს უნარს), რომ გამოხატონ წყვეტილობრივი მოქმედება და დასრულებული ასპექტი. ლაბილურგარდამავალ ზმნებს (*ვცხოვრობ*) და სტატიკურ ზმნებს (*ვდგავარ*) კი აერთიანებს მყოფადის უზმნისწინო წარმოება. ისინი გამოხატავენ განგრძობით მოქმედებას. ასპექტის კატეგორიის მნიშვნელობას ქართული ზმნის სისტემაში მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც არის ჩიქობავა 1948, მაჭავარიანი 1974, ჯორბენაძე 1989. მნიშვნელოვანი ჩანს ტელიკური (მიზანმიმართული მოქმედება) და ატელიკური (მოქმედება არ ისახავს მიზნად რაიმე შედეგის მიღწევას) ასპექტების მნიშვნელობა ქართული ზმნის სისტემისთვის (ჰოლისკი 1979:392-393; ტუიტი 2004-2005:98-126).

აკაკი შანიძემ ქართული ზმნების კლასიფიკაცია არა მარტო გვარის მიხედვით წარმოადგინა, არამედ ქართული ზმნის სისტემა ფორმალური ნიშნების მიხედვითაც აღწერა და ამ ნიშნით უღლების ოთხი ტიპი გამოყო

(შანიძე 1980:488-496). მან უღლების მეოთხე ტიპში გააერთიანა არა მარტო პირდაპირი წყობის მეშველზმნიანი, არამედ ინვერსიული მეშველზმნიანებიც (ვუყვარვარ, ვძულვარ), რადგან ის ამ ზმნებსაც პირდაპირი წყობის ზმნებად განიხილავდა.

I ტიპი: ვაკეთებ, ვხატავ, ვთლი

II ტიპი: ვწითლდები, ვთბები, ვიმალები, ვენატრები

III ტიპი: ვცხოვრობ, ვცოცავ, ვტირი, ვწუხვარ

IV ტიპი: ვაფენივარ, ვგდივარ, ვდგავარ, ვუყვარვარ

აკაკი შანიძის კლასიფიკაციას უცვლელად ან მცირე ცვლილებით იმეორებს სხვა ბევრი კლასიფიკაციაც. ცვლილებები, ჩვეულებრივ, ინვერსიული ზმნების და სტატიკური ვნებითების ადგილს ეხება (არონსონი 2005:332; 340; 373-375; ჰარისი 2009:259-261; ჰილერი 1996-2006; ჰიუტი 2005:211-218).

ბესარიონ ჯორბენაძემ ქართულში ზმნების ორი ძირითადი ყალიბი გამოყო: მოქმედებითის ყალიბი და ვნებითის ყალიბი: „ქართულში ყველა ზმნა იუღლება ან მოქმედებითი, ან ვნებითი გვარის პრინციპით. ხდება შერევაც, მაგრამ შერევის დროსაც ან მოქმედებითი ყალიბია შენაცვლებული ისევ მოქმედებითის სხვა ყალიბთან, ან ვნებითისა — მოქმედებითთან. ყველაფერი ეს ნაირგვარი მოდიფიკაციებითაა წარმოდგენილი ქართულში, მაგრამ უღვლილების ორი პრინციპი თანამიმდევრულადაა გატარებული“ (ჯორბენაძე 1990:21). გარდა ამ ორი ყალიბისა, მან მიუთითა მესამე ყალიბის, მეშველზმნიანი ყალიბის შესახებაც. ის გარკვევით წერს, რომ ქართული ზმნის ძირითადი ყალიბებია თემისნიშანზე დაბოლოებული ყალიბი, გარდაუვალობის -ი სუფიქსით დაბოლოებული ყალიბი და, აგრეთვე, მეშველზმნიანი ყალიბი: „არის მესამე ყალიბიც, რომელიც შეიძლება იყენებდეს ვნებითის ან მოქმედებითის ყალიბს, და რომელიც მარკირებულია მეშველი ზმნით“ (ჯორბენაძე 1991:123).

მართლაც, მყოფადის წრეში ზმნები სუფიქსაციის მიხედვით ორ დიდ ჯგუფად დაიყოფა:

I ტიპი და III ტიპი: გავაკეთებ, დავხატავ, გავთლი, ვიცხოვრებ, ვიცოცებ, ვიწუხებ

II და IV ტიპი: გავწითლდები, გავთბები, დავიმალები, მოვენატრები, ვეფინები, ვეგდები, ვიდგები...

როდესაც ბესარიონ ჯორბენაძე ზმნის ძირითად ყალიბებს აღწერს, ის მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ყალიბების სახელი (მოქმედებითი და ვნებითი) არ გამოხატავს ამ ფორმათა ძირითად ფუნქციებს. ამ შეუსაბამობის შესახებ გარკვევით წერს ბევრი ენათმეცნიერი (შანიძე 1980:296-300, სუხიშვილი 1981ა:196; ლომთათიძე 1953:77, მაჭავარიანი 1959:128-129, ჯორბენაძე 1983:136-141, მაჭავარიანი 1987:69-75, მელიქიშვილი 2001:65, ტუიტი 2002, ასათიანი 2009:39). დღეისათვის ქართული ზმნის უღლების სისტემა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთლიანი მასალის გათვალისწინებით უაღრესად გამოწვლილვით და ყოველი დეტალისა და ფაქიზი ნიუანსის ყურადღებიანი განხილვით არის აღწერილი და შესწავლილი (მელიქიშვილი 2001, უთურგაიძე 2002).

ქალბატონი დამანა მელიქიშვილის კლასიფიკაციით, რომელიც ეყრდნობა ზმნების მორფოლოგიური სტრუქტურისა (ძირეული და წარმოქმნილი) და სინტაქსური კონსტრუქციის (სრული და არასრული) ანალიზს, სამი დიათეზა გამოიყოფა, თვითეული დიათეზის შიგნით გაირჩევა დინამიკური და სტატიკური ქვეტიპები (მელიქიშვილი 2001:66-69).

I დიათეზა:

სტატიკური: ვცხოვრობ, ვცოცავ, ვტირი, ვწუხვარ

დინამიკური: ვაკეთებ, ვხატავ, ვთლი

II დიათეზა:

სტატიკური: ვაფენივარ

დინამიკური: ვწითლდები, ვთბები, ვიმალები

III დიათეზა:

მამთქნარებს, მაკანკალებს, ვუყვარვარ, ვენატრები...

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ კიდევ რამდენიმე სხვა კლასიფიკაციის შესახებ. უღლების ტიპების გამოყოფისას არნ. ჩიქობავა ერთ ტიპად გამოყოფოდა დინამიკურ ზმნებს ი-ვნებითიანი ტიპით, მეორე ჯგუფად დინამიკურ ზმნებს დ-ვნებითიანი ტიპით და მესამე ტიპად სტატიკურ ზმნებს ორი ქვეტიპით: ერთპირიანი სტატიკურები (*ცხოვრობს*) და ორპირიანი სტატიკურები (*უყვარს*) (ჩიქობავა 1998:65-93).

განსხვავებულია გიორგი გოგოლაშვილის კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით, წმინდა ფორმობრივი თვალსაზრისით, უღლების პირველ ტიპად ითვლება ზმნები, რომლებსაც მხოლოდ აწმყოს (ან მისივე შემოტანილი ცნებით, აწმყო-მყოფადის) ფორმები მოეპოვებათ (სტატიკური ვნებითები

და მედიოპასივების ერთი ნაწილი). მეორე ტიპად ერთიანდებიან მედიოაქ-ტივების აწმყოს წრის ფორმები, აგრეთვე ზოგი გარდამავალი დინამიკური, გარდაუვალი დინამიკური და სტატიკური ზმნა. მათ საერთო ნიშნად მი-ჩნეულია უზმნისწინობა და მწკრივნაკლულობა. მესამე ტიპად გაერთიანე-ბულია ის ზმნები, რომლებსაც ყველა მწკრივის ფორმა ეწარმოებათ. ამ შემთხვევაში აქ იგულისხმება არა მარტო მოქმედებით გვარის ზმნები, არა-მედ მედიოაქტიურებიც, კერძოდ, მათი ყველა ფორმა გარდა აწმყოს წრის მწკრივებისა (გოგოლაშვილი 1988:145-149).

ზმნის უღლების ფორმალიზებული სისტემის აღწერისას ქეთევან და-თუკიშვილი გამოყოფს 8-მწკრივიან, 6-მწკრივიან, 3-მწკრივიან და 1-მწკრი-ვიან პარადიგმებს, შემდეგ თითოეულ მათგანში განარჩევს ტიპებს მწკრივ-თა ფუძეების წარმოების მიხედვით და მთლიანად უღლების პარადიგმათა ათ ტიპს გამოყოფს (დათუკიშვილი 1997:14-16).

ზმნის შესწავლის უმნიშვნელოვანესი საკითხებია განხილული მრავა-ლი სხვა მკვლევრის ნაშრომებშიც, რომელსაც ქართული ზმნის ვერც ერ-თი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის და რომელთა ავტორების უბრალო ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ზემოთ მიმოხილული ყველა კლასიფიკაციის უმრავლესობა მწყობრია და ბევრი მათგანი არაწინააღმდეგობრივიც არის. ეს სტატია დაწერილია არა იმ მიზნით, რომ რომელიმე არსებული კლასიფიკაცია ჩაანაცვლოს, არამედ იმ მიზნით, რომ ქართული ზმნის სისტემის კლასიფიკაციის კიდევ ერთი შესაძლებლობა აღვწეროთ, რაც, იმედია, უფრო გასაგებს გახდის ამ სისტემას ენის შემსწავლელისთვის.

2. ქართული ზმნების ძირითადი ჯგუფები ფორმის მიხედვით

ქართულ ზმნებს **მორფოლოგიური აგებულების მიხედვით** ვყოფთ ორ ძირითად ჯგუფად:

1. უმეშველზმნო ზმნები (**R-Th** და **R-Th-ი**) (სადაც **R** აღნიშნავს ძირს, **Th** კი თემის ნიშანს ან ხმოვანმონაცვლე ელემენტს)

2. მეშველზმნიანი ზმნები (**R-Aux**) (სადაც **R** აღნიშნავს ძირს და **Aux** — დამხმარე ზმნას)

ამ დაყოფის ნიშნად მარტივ ჩვენებას ვეყრდნობით:

მეშველზმნიანებს ვუწოდებთ ყველა იმ ზმნას, რომელიც დაირ-თავს მეშველ ზმნას აწმყოს ვინის რიგით ნიშნით გამოხატული პირვე-

ლი პირის ფორმაში: *ვწუხვარ, ვუყვარვარ, ვდგავარ,* და ა.შ. ეს ზმნები ფორმით სტატიკური ზმნებია და, ჩვეულებრივ, გარდაუვალი.

მეორე მხრივ დგანან **უმეშველზმნოები,** რომლებიც აწმყოში ვინის რიგის ფორმებში, ჩვეულებრივ, მეშველ ზმნას ვერ დაირთავენ (*ვცხოვრობ, ვაშენებ, ვკვდები*...).

უმეშველზმნოებში, თავის მხრივ, გამოიყოფა გარდამავალი (***ვაშენებ*** ტიპის), ლაბილურგარდამავალი (***ვთამაშობ*** ტიპის) და დინამიკური გარდაუვალი (***ვთბები*** ტიპის) ზმნები.

მეშველზმნიანებში გამოიყოფა ლაბილურგარდამავალი (***ვწუხვარ*** ტიპის) და გარდაუვალი ზმნები (***ვდგავარ, ვგდივარ***) (ცხრილი პირველი).

ცხრილი პირველი

უმეშველზმნოები	**ბრუნვაცვალებადი სუბიექტი**	**R-Th**	ვაკეთებ
			ვთამაშობ
	ბრუნვაუცვლელი სუბიექტი	**R-Th-ი**	ვთბები
მეშველზმნიანები	**ბრუნვაცვალებადი სუბიექტი**	**R- Aux/R-ს**	ვწუხ- ვარ/წუხს
	ბრუნვაუცვლელი სუბიექტი	**R- Aux/R-ს**	ვდგა- ვარ/დგას
		R- Aux/R-(ი)ა	ვწერი- ვარ/სწერია

ამ ცხრილში R-თი აღნიშნულია ძირი, Aux მეშველ ზმნას აღნიშნავს, Th კი თემის ნიშანს, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, გამარტივებული სქემაა, მაგალითად, აქ Th ნიშნით არის გამოხატული როგორც თემის ნიშნიანი, ასევე ფუძედრეკადი ელემენტის მქონე ზმნებიც.

გარდაუვალი დინამიკური ზმნის **R-Th-ი** ყალიბი (*ვთბები, ვეჩხუბები, ვერევი*) ქართულში ითავსებს ვნებითის ფუნქციასაც როგორც ერთერთ ფუნქციას მრავალ სხვა ფუნქციას შორის. მაგალითად, ზმნა იკბინება შეიძლება აქტიურ მოქმედებას გამოხატავდეს (*ძაღლივით იკბინება*) ან პასიურს (*კოღოებისგან დაიკბინა*). **R-Th-ი** ყალიბის ამოსავალი და ძირითადი ფუნქციაა გარდაუვალი მოქმედების გამოხატვა. „კონვერსიული ვნებითი წიგნური, ნორმირებული ენის ფაქტია“ (მაჭავარიანი 1987:71) საკუთრივ ვნებითის ფუნქციით ქართულში არაფორმალურ სიტუაციაში, ხშირად, მესამე პირის მრავლობითი ან განუსაზღვრელი ნაცვალსახელი გამოიყენება (*ააშენეს, დაარტყეს / ვიღაცამ ააშენა, ვიღაცამ დაარტყა* (ჩიქობავა 1998:61, ასათიანი

2009:33-34). **R-Th-o** ყალიბის ზმნების მხოლოდ ნაწილს აქვს კონვერსიული ვნებითის გაგება, რაც მრავალი მკვლევრის მიერ არის შენიშნული (იხ. ზემოთ).

3. ფორმით დინამიკური და ფორმით სტატიკური ზმნები

ზმნების მეშველზმნიან და უმეშველზმნო ტიპებად დაყოფისას, როგორც აღვნიშნე, აწმყოს წრის მონაცემებს ვეყრდნობით. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება, რომ არ შევეხოთ დინამიკურობისა და სტატიკურობის კატეგორიას.

დინამიკურობა და სტატიკურობა სადავო ტერმინებია და სხვადასხვაგვარად განიმარტება. აკაკი შანიძისეული სტატიკური ზმნები მხოლოდ ე.წ. სტატიკურ ვნებითებს მოიცავს, თუმცა იგი აღნიშნავს, რომ *სახლობს (/ასახლია*) ტიპის ზმნაც შეიძლება სტატიკური იყოს (შანიძე 1980:313-322); არნოლდ ჩიქობავას განსაზღვრებით *ცხოვრობს/მღერის*-ტიპის ზმნებიც სტატიკური ზმნებია (ჩიქობავა 1998:48-49, 80-82). სტატიკური ზმნების კატეგორია მონოგრაფიულად არის შესწავლილი (სუხიშვილი 1976) იქნებ ეს ტერმინები მეშველზმნიანობის საკითხს დავუკავშიროთ და ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ფორმით სტატიკური ზმნები და შინაარსით სტატიკური ზმნები. **ფორმით სტატიკურ ზმნებს** აქვთ სტატიკურობის ფორმალური ნიშანი: მეშველზმნიანი წარმოება აწმყოს ვინის რიგის პირველ და მეორე პირში (**ვდგავარ, ვუყვარვარ, ვგონივარ**...). ეს ზმნები, ჩვეულებრივ, ფუნქციითაც სტატიკურია (კობაიძე 2008: 228-229, ასათიანი 2009:42). მათთვის დამახასიათებელია ატელიკური ასპექტი: ზმნა არ გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც რაიმე მიზნის შესრულებით უნდა დამთავრდეს.

ფორმით დინამიკური ზმნები აწმყოს ფორმებს **მეშველი ზმნის გარეშე** იწარმოებენ, ჩვეულებრივ, დაირთავენ თემის ნიშანს ან ფუძედრეკად ელემენტს და ძირითადად დინამიკურ მოქმედებას გამოხატავენ. ამ ზმნათაგან ერთ ნაწილს ტელიკური ასპექტი ახასიათებს და მყოფადის მწკრივებს ისინი ზმნისწინის დართვით იწარმოებენ (*ხატავს — დახატავს*), მეორე ნაწილს კი ატელიკური ასპექტი აქვს. ისინი მყოფადს ხმოვანი პრეფიქსით იწარმოებენ (თამაშობს — ითამაშებს). თუმცა შეიძლება ზოგ კონტექსტში დინამიკურმა ტელიკურმა ზმნებმა ატელიკური ზმნის შინაარსიც შეიძინონ. მაგალითად, *ხატავს* ზმნა შეიძლება დინამიკური ტელიკური იყოს (*ის ხატავს სურათს*) და მაშინ მას უღლების სრული პარადიგმა აქვს. იმავე *ხატავს* ზმნამ შეიძლება ატელიკური ასპექტიც გამოხატოს, მაგალითად, ზო-

გადი აწმყოს მნიშვნელობით (*ის კარგად ხატავს*) და მაშინ მას ექნება მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები და, აგრეთვე, II და III კავშირებითის მწკრივები უზმნისწინოდ. ანდა სხვა ზმნა, მაგალითად, ზმნა *ნიშნავს*, რომელსაც სტატიკური მნიშვნელობის შეძენისას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივების წარმოება უხერხდება (*ეს სიტყვა ამას ნიშნავს*). შდრ. იგივე ზმნა დინამიკური შინაარსით (*ნიშნავს — დანიშნავს — დანიშნა*). იგივე შეიძლება ითქვას დინამიკური გარდაუვალი ზმნების (-ებ-ი-ანი ზმნების) შესახებ. მათ შეუძლიათ სტატიკური შინაარსის გამოხატვა და ამ შემთხვევაში ხშირად ინვერსიულ შინაარსსაც იძენენ.

თუ ერთმანეთისგან გავარჩევდით, ერთი მხრივ, **დინამიკურ და სტატიკურ** ზმნებს, მეორე მხრივ კი **ტელიკურ და ატელიკურ ზმნებს**, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ სტატიკურობის ნიშანია მეშველი ზმნის გამოყენება აწმყოს პირველი და მეორე პირის ფორმებში, ატელიკურობის ნიშანი კი არის მყოფადის ხმოვანპრეფიქსიანი წარმოება. ამ შემთხვევაში სისტემა ასეთი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

დინამიკური ტელიკური: *ხატავს, თბება*

დინამიკური ატელიკური: *ცხოვრობს, ტირის*

სტატიკური ატელიკური: *წუხს, დგას*

როგორც აღვნიშნეთ, ერთმა და იმავე ზმნამ შეიძლება ხან ატელიკური ასპექტი გამოხატოს და ხან ტელიკური. განსაკუთრებულ ლაბილობას ამ მხრივ იჩენენ ე.წ. საშუალი გვარის ზმნები, კერძოდ, მედიოაქტივები. ისინი შეიძლება ან სტატიკური და ან დინამიკური სემანტიკის გამომხატველნი იყვნენ (შანიძე 1980:313-322, სუხიშვილი 2008:198-199). ამავე დროს აქვთ უნარი, რომ აწმყოს წრის მწკრივების გარდა დანარჩენი მწკრივები იწარმოონ ან საშუალი გვარის ზმნების ყალიბით (*ბიბინებს — იბიბინებს, უბიბინია*) ანდა ვნებითის ყალიბით (*ბიბინებს — აბიბინდა, აბიბინებულა*). ამ ასპექტური სხვაობის აღსაწერად ინხოატივის ცნება არის გამოყენებული (ჯორბენაძე 1989: 172-187). ეს ზმნები მყოფადის წრის მწკრივებსაც სწორედ მეშველზმნიანი სტატიკურების მსგავსად უზმნისწინოდ იწარმოებენ, თუმცა, ამავე დროს, გარდამავალი ზმნების მსგავსად, -Th და არა Th-ი მოდელით. **მათ სტატიკურობის ნიუანსს სწორედ ატელიკურობა სძენთ.**

„ზმნის ზოგ ტიპში მოქმედებითისა და ვნებითის ყალიბების ურთიერთშენაცვლება დამოკიდებულია არა არგუმენტების სტრუქტურაზე, არამედ ასპექტზე“, წერს ტუიტი (ტუიტი 1987:9) და იმოწმებს ასეთ მაგალითს ჩხენკელის გრამატიკიდან

ვეთამაშები, ვეთამაშე, მითამაშნია

და, მეორე მხრივ:

ვეთამაშები გავეთამაშე გავთამაშებივარ (ჩხენკელი 1960, გვ. 74, დამოწმებულია ტუიტიდან 1987).

აქ *ვეთამაშები, ვეთამაშე, მითამაშნია* ატელიკური ასპექტის ზმნად მიიჩნევა, *ვეთამაშები გავეთამაშე გავთამაშებივარ* კი ტელიკურ ასპექტს გამოხატავს.

ასე რომ, თუ ტელიკურ ზმნებში სრული და უსრული ასპექტების გარჩევა ზმნისწინის დართვა-დაურთველობით გაირჩევა, მესამე ტიპის უღლების ზმნებში სრული და უსრული ასპექტების, ან ინხოატივის და განგრძობითი მოქმედების გასარჩევად, თუნდაც ტელიკური და ატელიკური ასპექტების გასარჩევად საჭირო ხდება ვნებითის ყალიბზე გადასვლა (ბიბინებს — აბიბინებულა), ე-ნიან ვნებითებში კი საშუალის ყალიბის გამოყენება (ელაპარაკება — ულაპარაკია).

> როგორც ცნობილია, *საშუალის ყალიბი*, ასე თუ ისე, ზოგ მწკრივში მიჰყვება მოქმედებითის ყალიბს, მაგრამ თუკი მთლიან პარადიგმას გავითვალისწინებთ, ვერ ვიტყოდით, რომ ის მთლიანად მოქმედებითის ყალიბს ემთხვეოდეს, რადგან მოქმედებითის ყალიბში აქ I თურმეობითში **-ებ** თემის ნიშანი იჩენდა თავს (ულაპარაკებია←ალაპარაკებს; შდრ. ულაპარაკია ← ლაპარაკობს). გარდა მორფოლოგიური აგებულებისა, თემის ნიშანთა განაწილება კიდევ სხვა ფაქტორებზეც არის დამოკიდებული (ჯორბენაძე 1988:175-186), რაზეც აქ არ შევჩერდებით, გავიმეორებთ კი, რომ მოქმედებითის და საშუალი გვარის ყალიბები ერთმანეთისგან განსხვავებულია (ჯორბენაძე 1988:175-186).

თანამედროვე ქართულის ჩვენება საშუალებას იძლევა, რომ მეშველზმნიანობის ფორმალური ნიშნის შემოტანით გამოკვეთილი საზღვარი გაივლოს **ფორმით დინამიკურ და ფორმით სტატიკურ ზმნებს** შორის. მიუხედავად იმისა, რა სახელს დავარქმევთ მათ, ორი ძირითადი მორფოლოგიური ყალიბის არსებობა თანამედროვე ქართულში ფაქტია: ერთი მხრივ დგანან მეშველზმნიანები და მეორე მხრივ, უმეშველზმნოები. უმეშველზმნოთაგან ნაწილი არის ტელიკური (პირველი და მეორე ტიპის უღლების ზმნები), მესამე ტიპის უღლების ზმნები კი ატელიკური ზმნებია.

მეშველზმნიანებს და უმეშველზმნოებს შორის გარდამავალ საფეხურზე არიან **ი-დაბოლოებიანი (*ვიცინი, ვტირი, ვმღერი*... ტიპის) ზმნები**,

რომლებიც იჩენენ ტენდენციას, რომ მეშველზმნიან წარმოებაზე გადავიდნენ: *ვიცინი/ვიცინივარ, ვტირი/ვტირივარ*... ინგილოურ დიალექტში დასტურდება მეშველი ზმნები **-**ობ-თემისნიშნიანებთანაც: ცხოვრობხარ... ქართლურში და სხვა დიალექტებშიც ვრცელდება მეშველზმნიანი ფორმები: *დამდევხარ, ცეკვავხარ, ვსუნთქავვარ*..., რაც იმ ტენდენციის გამოხატულებაა, რომ ლაბილურგარდამავალმა ზმნებმა შეიძლება შეიძინონ სტატიკურობის მორფოლოგიური ნიშანი. ჯერჯერობით, სანამ ეს ტენდენცია მხოლოდ ზოგი დიალექტისთვის არის დამახასიათებელი, ვეყრდნობით სალიტერატურო ენის მონაცემებს. თვითონ ეს ტენდენცია არც ისე ახალი ჩანს. -ობ-თემისნიშნიანების მეშველზმნიანი წარმოება ადრევე ყოფილა დამოწმებული. ისეთი ფორმები, როგორიც არის, მაგალითად: *ვსახლობვარ, სახლობხარ, სახლობან* (ქ. ს. ძეგ. VI, 125, 251, 446, 456). დასტურდება ქართული სამართლის ძეგლებში (სუხიშვილი 2008:198). თანამედროვე სალიტერატურო ენის მონაცემებზე დაყრდნობით, *ვცხოვრობ* და *ვიცინი* ტიპის ზმნებს ფორმით დინამიკურ ზმნებად ვთვლი. *ხატავს* ტიპის ზმნების მსგავსად, გარკვეულ კონტექსტებში მათაც შეუძლიათ სტატიკური ფუნქციის გამოხატვა და მაშინ ისინი მწკრივნაკლი არიან (მაგალითად, *ის ადრე თბილისში ცხოვრობდა* და არა *მან ადრე თბილისში იცხოვრა*), სხვა შემთხვევაში კი თავისუფლად იწარმოებენ II სერიის მწკრივებსაც, მაგალითად: *მან თბილისში სამი წელი იცხოვრა* (*იცხოვრა*, *ითამაშა*-ტიპის ფორმებს *ცხოვრობს*, *თამაშობს* ფორმების ორგანულ გაგრძელებად ვთვლით).

4. ძირითადი ყალიბები

ამგვარად, თემის ნიშნების (და თემის ნიშნის ფუნქციის მქონე ხმოვანმონაცვლე ელემენტების) გათვალისწინებით ქართული ზმნის ყალიბები შეიძლება ასე აღიწეროს:

1. **R-Th-ø** ძირი-თემის ნიშანი ან ხმოვანმონაცვლე ელემენტი (ვაშენებ/ვდრ-ეკ/ვთამაშ-ობ), აქვე შემოდის უთემისნიშნო -ი ნიშნიანი ჯგუფიც (ვიცინ-ი, ვტირ-ი...)
2. **R-Th-ი** ძირი-თემის ნიშანი-გარდაუვალობის ი (ვთბ-ებ-ი, ვიხრჩობ-ი, ვწითლდ-ებ-ი, ვერ-ევ-ი)
3. **R-Aux** ძირი-მეშველი ზმნა (ვწუხ-ვარ, ვდგა-ვარ, ვჯობივარ).

მყოფადის წარმოების თავისებურების მიხედვით გაირჩევა ზმნისწინიანი მყოფადისა **(PV)** და ხმოვანპრეფიქსიანი მყოფადის **(PRV)** მქონე ზმნები (**PV** სიმბოლო გამოყენებულია ზმნისწინის აღსანიშნავად, **PRV** კი

ზმნის ძირის წინა ხმოვანი პრეფიქსის აღსანიშნავად *Preradical vowel*). **ზმნისწინიანი და უზმნისწინო წარმოება ერთმანეთისგან გაარჩევს ტელიკურ და ატელიკურ ასპექტებს** (ტუიტი 1987:9). გარდამავლობის, დინამიკურობის და ტელიკურობის მაჩვენებლებით ამ ტიპების დახასიათება უკვე თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ განსხვავდებიან ეს ჯგუფები ერთმანეთისგან თითო ნიშნის ცვალებით და როგორ ქმნიან მწყობრ სისტემას:

ცხრილი მეორე

აწმყო	მყოფადი
R-Th-ø *ვაშენ-ებ* დინამიკური გარდამავალი ტელიკური	**PV-R-Th-ø** *ა-ვაშენ-ებ* ზმნისწინი-ძირი-თემის ნიშანი (ან ხმოვან-მონაცვლე ელემენტი)
R-Th-ი *ვთბ-ებ-ი* დინამიკური გარდაუვალი ტელიკური	**PV-R-Th-ი** *გა-ვთბ-ებ-ი* ზმნისწინი-ძირი-თემის ნიშანი-გარდაუვალობის -ი
R-Th-ø ვთამაშ-ობ დინამიკური ლაბილურგარდამავალი ატელიკური	**PRV-R-Th-ø** ვ-ი-თამაშ-ებ ხმოვანი პრეფიქსი-ძირი-თემის ნიშანი
R-Aux ვ-წუხ-ვარ სტატიკური ლაბილურგარდამავალი ატელიკური	**PRV-R- Th-ø** ვ-ი-წუხ-ებ ხმოვანი პრეფიქსი-ძირი-თემის ნიშანი
R-Aux ვდგა-ვარ სტატიკური გარდაუვალი ატელიკური	**PRV-R-Th-ი** ვ-ი-დგებ-ი ხმოვანი პრეფიქსი-ძირი-თემის ნიშნ.-გარდაუვ. -ი

მყოფადის მწკრივებში მეშველზმნიანების ნაწილი **Th-ø** დაბოლოებას ღებულობს (მაგალითად, *ვიწუხებ*) და ნაწილი კი **Th-o** დაბოლოებას (მაგალითად, *ვიდგები*), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყალიბების მთლიანი დამთხვევა ხდებოდეს ან უღლების პირველ ტიპთან, ანდა უღლების მეორე ტიპთან. **უღლების პირველ ტიპში მყოფადში Th-ø დაბოლოება, ჩვეულებრივ, ფუძის წინ ზმნისწინის დართვას მოითხოვს** (*თავს ვიწუხებ — თავს შევიწუხებ*), **მეშველზმნიანი ზმნების მყოფადში კი ხმოვანი პრეფიქსი აწარმოებს მყოფადს** (*ვწუხვარ — ვიწუხებ*); ანალოგიური განსხვავება იჩენს თავს მეშველზმნიანების მყოფადის **Th-o** დაბოლოებით წარმოების დროს: უმეშველზმნოებში ზმნისწინი აწარმოებს მყოფადს (*ვ-ი-ძალებ-ი — და-ვ-ი-ძალებ-ი*), მეშველზმნიანებში კი ხმოვანი პრეფიქსი (*ვდგავარ — ვიდგები*). მეშველზმნიანების ერთი მცირე ჯგუფის უღლება, კერძოდ, *ვწუხვარ — ვიწუხებ* ტიპის უღლება აწმყოს მწკრივების გარდა სხვა მწრივებში მთლიანად ემთხვევა მესამე ტიპის უღლებას.

5. მეშველზმნიანი წარმოების ადგილის შესახებ ქართული ზმნის სისტემაში

მართალია, მეშველზმნიანი წარმოება შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია (ბარამიძე 1964), მაგრამ ამ ზმნებს საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ენის სისტემაში. ამ ზმნების ცალკე ტიპად გამოყოფას ისევე ვერ ავარიდებთ თავს, როგორც, მაგალითად, მესამე სერიის მწკრივების გამოყოფას. რაც მთავარია, კიდევაც რომ ავარიდოთ თავი ამ ზმნების ცალკე გამოყოფას, ეს ზმნის სისტემის აღწერას მხოლოდ გაართულებდა და ბუნდოვანს გახდიდა. **აკაკი შანიძემ უღლების მეოთხე ტიპი სწორედ ამ ნიშნით გამოყო, თუმცა** მან მეოთხე ტიპში მოაქცია ყველა მეშველზმნიანი ზმნა გარდა ე.წ. საშუალ-მოქმედებითი ზმნების ერთი მცირე ჯგუფისა (*ვწუხვარ-ჯგუფი*), რომელიც მეშველი ზმნით იწარმოება და რომლებსაც აკაკი შანიძე უღლების მესამე ტიპის ზმნებთან აერთიანებს.

გვარის მიხედვით ქართული ზმნის აღწერისას მეშველზმნიანები წარმოდგენილია საშუალი გვარის ზმნებში (როგორც მედიოაქტივებში, ასევე მედიოპასივებშიც) და ვნებითებში (სტატიკური ვნებითი).

დამანა მელიქიშვილის კლასიფიკაციის მიხედვითაც მეშველზმნიანები წარმოდგენილია როგორც პირველ, ასევე მეორე და მესამე დიათეზაში (მელიქიშვილი 2001:69; 271; 343-344).

ამ სტატიაში წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, მეშველზმნიანები ცალკე ჯგუფს ქმნიან თავისი ქვეჯგუფებით.

მეშველზმნიანი და უმეშველზმნო წარმოების ზმნათა ერთმანეთისგან განცალკევება საშუალებას გვაძლევს, რომ უმეშველზმნო წარმოების პირდაპირი წყობის ზმნებისთვის ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მარტივი წესი. ამ წესებიდან ზოგი იმდენად მარტივია, რომ შესაძლებელია მათი ჩამოყალიბება მხოლოდ ზმნის ფუძის ფონემატურ აგებულებაზე დაყრდნობით.

უმეშველზმნო წარმოების პირდაპირი ზმნების აწმყოს პირველი პირის ვინის რიგის ფორმაში ზმნა შესაძლოა მთავრდებოდეს:

1. -VC, -CCი, ან -V-ი მიმდევრობით.

2. -VC-ი მიმდევრობით, სადაც VC არ არის -ებ, -ობ, ან -ევ.

3. -VC-ი მიმდევრობით, სადაც VC არის -ებ, -ობ, ან -ევ.

1. თუ აწმყოს პირველი პირის ვინის რიგის ფორმაში ზმნა მთავრდება VC, CCი, ან V-ი, მიმდევრობით (სადაც V ხმოვანს აღნიშნავს, C თანხმოვანს და CC ერთზე მეტ თანხმოვანს), ამ ზმნის სუბიექტი ბრუნვაცვალებადი სუბიექტია. მაგალითად: ვხატავ, ვწერ, ვჭამ, ვათბობ, ვდრეკ, ვჩეჩ, ვცხოვრობ, ვთამაშობ, ვფხან, ვჩქმეტ, ვთლი, ვფხაჭნი, ვტყუი, ვღმუი და ა.შ.

ეს წესი მოქმედებს მიუხედავად იმისა, თუ რას წარმოადგენს ზმნის ფუძის ბოლო VC მარცვალი: თემის ნიშანს, ფუძედრეკად ელემენტს, თუ უთემისნიშნო ზმნის ძირის ნაწილს.

2. თუ აწმყოს პირველი პირის ვინის რიგის ფორმაში ზმნა მთავრდება VC-ი მიმდევრობით, სადაც VC არის ნებისმიერი მარცვალი გარდა -ებ, -ობ, ან -ევ მარცვლებისა, ამ ზმნის სუბიექტიც ბრუნვაცვალებადი სუბიექტია. მაგალითად: ვმღერი, ვყვირი, ვკვნესი, ვიცინი, ვტირი, ვღნავი, და ა.შ.

3. თუ აწმყოს პირველი პირის ვინის რიგის ფორმაში ზმნა მთავრდება ებ-ი, -ობ-ი, ან -ევ-ი მიმდევრობით, მაშინ ამ ზმნის სუბიექტი ბრუნვაუცვლელი სუბიექტია: მაგალითად, ვთბები, ვიხრჩობი, ვერევი, ვეცოდები, ვპირდები...

გარდა ამ სამი წესისა, შეიძლება ჩამოყალიბდეს მარტივი წესები იმის შესახებაც, თუ რომელი სავრცობით იწარმოებს ზმნა უწყვეტლის მწკრივებს, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა პრეფიქსით იწარმოებს ზმნა მყოფა-

დის წრეს (და შესაბამისად, II სერიის ფორმებს): ზმნისწინით (ტელიკური ზმნები) თუ ხმოვანი პრეფიქსით (ატელიკური ზმნები).

წესი სავრცობის შესახებ ძალიან მარტივია:

1. თუ ზმნა აწმყოს ვინის რიგის პირველი პირის ფორმაში მთავრდება -VC ან -CC-ი მიმდევრობით, უწყვეტელში მისი სავრცობია -დ (ვხატავ-დ-ი, ვცხოვრობ-დ-ი, ვთლი-დ-ი, ვფხაჭნი-დ-ი). (გამონაკლისებია -CC-ი მიმდევრობით დამთავრებული რამდენიმე ზმნა: *ვხტი, ვთრთი, ვკრთი, ვძრწი, ვქრი, ვიჭირვი, ვიბრძვი, ვილტვი* და ეს ზმნებიც აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივებში მარცვლოვან ფუძეს იჩენენ). გასათვალისწინებელია აგრეთვე ომონიმური წყვილი:

ისვრის — ისროდა

ისვრის — ისვრიდა (შარვალს)

2. თუ ზმნა მთავრდება VC-ი ან V-ი მიმდევრობით, მისი სავრცობია — ოდ-ი (ვმღერ-ოდ-ი, ვთბებ-ოდ-ი, ვტყუ-ოდ-ი). გამონაკლისია 3 ზმნა: ვყიდი, ვტენი, ვწონი.

ასევე მარტივია **წესი მყოფადის წარმოების შესახებ ყველა იმ ზმნისთვის, რომელიც ~ი ხმოვნით ბოლოვდება:**

1. -CC-ი დაბოლოების მქონე და -ებ-ი, -ობ-ი, ან -ევ-ი დაბოლოების მქონე ზმნები მყოფადის წრეს ზმნისწინით იწარმოებენ (ვფხაჭნი — დავფხაჭნი, ვთლი — გავთლი, ვთბები — გავთბები,). გამონაკლისები აქაც იგივე ზმნებია, რაც ზემოთ: *ვხტი, ვთრთი, ვკრთი, ვძრწი, ვქრი, ვიჭირვი, ვიბრძვი, ვილტვი*.

2. ზმნები, რომლებიც მთავრდება V-ი ან VC-ი მიმდევრობით, სადაც VC არის ნებისმიერი მარცვალი გარდა -ებ, -ობ, ან -ევ მარცვლებისა, მყოფადის წრეს ხმოვანი პრეფიქსით იწარმოებენ (ვტყუი — მოვიტყუებ, ვღმუი — ვიღმუვლებ, ვტირი — ვიტირებ).

მხოლოდ VC მარცვლით დაბოლოებული ზმნებისთვის საჭიროა რამდენიმე დამატებითი წესის ჩამოყალიბება, რათა შესაძლებელი გახდეს იმის გარჩევა, თუ რომელი ზმნაა მათგან ტელიკური (მყოფადში ზმნისწინიანი) და რომელი ატელიკური (მყოფადში ხმოვანპრეფიქსიანი). ეს წესებია:

1. აწმყოში **უმარცვლო ძირის მქონე** (მათ შორის, შეკუმშული უმარცვლო ძირის მქონე) **ზმნები მყოფადის წრეს, ჩვეულებრივ, ზმნისწინით იწარმოებენ:** *ვკლავ — მოვკლავ, ვათბობ — გავათბობ* (გამონაკლისებია: *ცნობს* და *გრძნობს* ზმნები).

2. **მარცვლოვანი ძირისგან ნაწარმოები ტელიკური და ატელიკური ზმნები ერთმანეთისგან ან აფიქსაციით განსხვავდებიან, ანდა ძირის სტრუქტურით**:

2ა. -ავ-თემისნიშნიანი ზმნების გარდა ყველა დანარჩენი ზმნა, რომელიც **მხოლოდ VC მარცვლით მთავრდება,** მყოფადის წრეს ზმნისწინით იწარმოებს, თუკი ამ ზმნას ნეიტრალური ქცევის ფორმა ხმოვანი პრეფიქსით ეწარმოება: აშენებს...

2ბ. -ავ-თემისნიშნიანი ზმნების გარდა ყველა დანარჩენი მარცვლოვანი ძირის მქონე თემისნიშნიანი ზმნა მყოფადის წრეს ხმოვანი პრეფიქსით იწარმოებს, თუკი ამ ზმნას ნეიტრალური ქცევის ფორმა ხმოვანი პრეფიქსის გარეშე ეწარმოება: *კანკალებს, ჰპატრონობს, ანგარიშობს*..., გამონაკლისებია: *სტაცებს, ჰბადებს, ჰკადრებს*... სულ 13 ზმნა.

2გ. -ავ თემისნიშნიანი მარცვლოვანი ძირის ზმნებიდან -ა-ხმოვნის შემცველი ძირები (გარდა *ქანავს* ზმნისა) მყოფადის წრეს ზმნისწინით იწარმოებენ (ხატავს, ბარავს, ბლანდავს...).

2დ. -ავ თემისნიშნიანი მარცვლოვანი ძირის ზმნებიდან -ე-ხმოვნის შემცველი ძირები მყოფადის წრეს ზმნისწინით იწარმოებენ (გამონაკლისებია: *ნებავს, ღელავს, ფეთქავს, ღვენთავს, წვეთავს, ცეკვავს*).

3. ფუძედრეკადი ძირის მქონე ზმნები მყოფადს, ჩვეულებრივ, ზმნისწინით იწარმოებენ. გამონაკლისებია: *ვფრენ, ვქშენ, ვფშვენ, ვღრენ, ვჩქმეტ* (თუმცა ზოგ მათგანს ზმნისწინიანი მყოფადის ვარიანტიც მოეპოვება: დავჩქმეტ. სხვებისთვის ზმნისწინის დართვა დროს არ ცვლის: დავფრენ, შევღრენ...) დამახასიათებელია, რომ ამ ზმნათაგან სწორედ *ვჩქმეტ* ზმნას შეუძლია -ავ სუფიქსი დაირთოს ე-ხმოვნის ცვლილების გარეშე: ვჩქმეტავ, რაც ამ ზმნის გარდამავლობის თვისებას ამჟღავნებს.

4. უთემისნიშნო არაფუძედრეკადია სულ 18 ზმნა. მათგან მყოფადს ზმისწინით იწარმოებს 13 ზმნა (წერს, ჰფხანს, ქსოვს და მისთ.) და ხმოვანი პრეფიქსით 5 ზმნა (ჟღერს, ჩქეფს, ყეფს, ძგერს, შხეფს).

სამწუხაროდ, ადგილის სიმცირის გამო ამ საკითხებს აქ უფრო დაწვრილებით ვერ შევეხებით.

ზემოთ აღწერილი წესები მხოლოდ ერთი ნაწილია იმ სიმარტივისა, რასაც ქართული ზმნის სისტემის აღწერას შესძენს მეშველზმნიანი და უმეშველზმნო წარმოების ზმნების ერთმანეთისაგან გარჩევა.

იმის თქმა, რომ მეშველზმნიანების ცალკე გამოყოფა გვაიძულებდა, რომ მოქმედებით გვარის მესამე სერიის ზმნები მეშველზმნიანებთან გაგვეერთია-

ნებინა, არ იქნება სწორი. ასეთი პრინციპის მიყოლა იძულებულს გაგვხდიდა, რომ უარი გვეთქვა მრავალ სხვა პარადიგმაზეც, მათ შორის, *ვცხოვრობ*-ტიპის ზმნების ყველა ფორმაზე გარდა აწმყოს წრის მწკრივებისა. სულ სხვაგვარად განლაგდებოდა უღლების ტიპები, თუკი იმ პრინციპს დავეყრდნობოდით, რომ მეშველზმნიანი ყველა მწკრივში მეშველზმნიანი უნდა იყოს, უმეშველზმნო კი ყველა მწკრივში უმეშველზმნო.

მეშველზმნიანები რომ R-Th-ø ან R-Th-ი სტრუქტურის ერთერთ სახედ ჩავთვლოთ, **იგივე იქნებოდა, რომ მხოლოდ მყოფადის მწკრივების სუფიქსაციის ჩვენებას დავყრდნობოდით, ანდა მხოლოდ აწმყოს მესამე პირის ჩვენება მიგვეღო მთავარ კრიტერიუმად.** როგორც **R-Th-ø** და **R-Th-ი** ყალიბების გამოყოფის აუცილებლობას ააშკარავებს პირველი და მეორე პირის ზმნების ჩვენება, ასევე პირველი და მეორე პირის ფორმების ჩვენება ხდის ნათელს, რომ არსებობს მესამე ყალიბიც: **R-Aux** ყალიბი**.** მით უფრო, რომ აშკარაა ტენდენცია, რომ ეს ყალიბი დანარჩენთაგან თემის ნიშნის უქონლობითაც განსხვავდეს.

იმის თქმა, რომ მყოფადის წრეში ზმნები მხოლოდ ორი ფორმით არიან წარმოდგენილი: R-Th-ø და R-Th-ი ტიპით, ნაწილობრივ მართალი იქნება, მაგრამ, ამავე დროს, ზმნების პრეფიქსაციის გათვალისწინება სხვა სურათს გვიჩვენებს. კერძოდ, ერთი მხრივ, ზმნისწინიანი და, მეორე მხრივ, ხმოვანპრეფიქსიანი წარმოებები ერთმანეთისგან განასხვავებენ ერთი და იმავე R-Th-ø ყალიბის ზმნებად ჩათვლილ ორ სხვადასხვა ტიპს (შდრ. *ვაკეთებ — გავაკეთებ* და *ვცხოვრობ — ვ-ი-ცხოვრებ*) ანდა R-Th-ი ყალიბის ზმნებად განხილულ ორი სხვადასხვა ჯგუფის ზმნებს (*ვიმალები — დავიმალები* და *ვდგავარ — ვიდგები*). ანდა რა ვუყოთ მეორე სერიის ჩვენებას?

მეორე სერიაში ხომ არც თემის ნიშნებია წარმოდგენილი, არც თემის ნიშნის მომდევნო -ი სუფიქსი და არც მეშველი ზმნები. მეორე სერიაში მწკრივის ნიშნებისა და მესამე სუბიექტური პირის ნიშნების განაწილება, ერთი მხრივ, მორფოლოგიურ ტიპზეა დამოკიდებული და, მეორე მხრივ, ფუძის ფონეტიკურ აგებულებაზე (შანიძე 1980:427-431, 450, 466, გოგოლაშვილი 1984).

გარდა ამისა, **მესამე სერიაში** ზმნების უმრავლესობა მეშველზმნიანი წარმოებით არის წარმოდგენილი: პირველ თურმეობითს ყველა ზმნა მეშველზმნიანი ყალიბით იწარმოებს. მეორე თურმეობითში და მესამე კავშირებითშიც დიდია მეშველზმნიანი წარმოების წილი.

ქართული ზმნის სირთულეს სწორედ ეს თვისებაც განაპირობებს: თუ ფორმებს სისტემის გარეშე განვიხილავთ, არც ერთი ტიპის ზმნას არ აღმოაჩნდება ყველა მწკრივში მხოლოდ საკუთარი ყალიბი, რომელიც სხვა ტიპის ზმნასთან საზიარო არც ერთი მწკრივის ფორმაში არ იქნებოდა. სხვადასხვა ტიპის ზმნების მწკრივის ფორმები სხვადასხვა ფერის ზოლებად რომ წარმოვიდგინოთ, ეს სხვადასხვა ფერის ზოლები ერთმანეთში გადაწნული და ზოგჯერ ერთ ფერში გადასული აღმოჩნდება ამ თერთმეტ მწკრივში. არც ერთი ზოლი არ იქნება სწორხაზოვანი და სხვა ფერთან შეუზიარებელი. ამიტომ ფუნქციის გაუთვალისწინებლად პარადიგმებს თვალს ვერ გავადევნებთ.

რა თქმა უნდა, შეიძლება, რომ მხოლოდ ფორმალური ნიშნით აღიწეროს ზმნების სიმრავლე და გამოიყოს, მაგალითად, თემისნიშნიანი *ხატავს*, უთემისნიშნო *დახატა* და მეშველზმნიანი *დავუხატავვარ/დავუხატივარ* ფორმები. სრულიად შესაძლებელია ზმნების კლასიფიკაცია ასეთი კრიტერიუმითაც, მაგრამ ამ სტატიაში წარმოდგენილი კლასიფიკაცია არ არის წმინდა ფორმობრივი კლასიფიკაცია ამ გაგებით. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, აქ გათვალისწინებულია მთლიანი პარადიგმები, რომლებსაც აერთიანებს არა მარტო ფორმა, არამედ ფუნქციაც.

რიცხობრივად მეშველზმნიანები (**R-ვარ** ყალიბის ზმნები) გაცილებით ნაკლები რაოდენობისა არიან, ვიდრე უმეშველზმნოები, მაგრამ ისეთი ხშირი ხმარების ზმნები, როგორიც არის მოძრაობის და გრძნობების გამომხატველი ზმნები (*მივდივარ, მშია, მიხარია, მწყინს, მიყვარს, მჯერა, მცივა, მინდა, მსურს* და ა.შ.) სწორედ მეშველზმნიანებია, და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რომ თვითონ უმეშველზმნო ზმნათა მესამე სერიის ფორმების უმეტესი ნაწილიც მეშველზმნიანი წარმოებისაა, კიდევ უფრო ნათელი გახდება, რომ ამ მოდელისათვის თვალის არიდება არ იქნება მიზანშეწონილი. მცირერიცხოვნობა არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ ეს ჯგუფი სისტემის ძირითადი მოდელებიდან გამოვრიცხოთ და გამონაკლისებში მივუჩინოთ ადგილი ანდა სხვა მოდელების კერძო სახედ ჩავთვალოთ ისინი. ასეთი მიდგომა ზედმეტად გაართულებდა ქართული ზმნის სისტემის დახასიათებას.

მეშველზმნიანი წარმოება არ დასტურდება მყოფადის წრეში და მეორე სერიის მწკრივებში, მაგრამ არც ეს არგუმენტი ივარგებს იმის სამტკიცებლად, რომ მეშველზმნიანების ცალკე ტიპად გამოყოფა არ შეიძლებოდეს. არც ი-ნიან ვნებითებს აქვთ თავისი განსხვავებული ყალიბი მეორე სერიის მწკრივებში. ვერც უმეშველზმნოები იწარმოებენ პირველი თურმეობითის ფორმებს სხვაგვარად, თუ არა მეშველზმნიანების ყალიბით, მაგრამ ამ მიზეზით არავის უარუყვია ინიანი ვნებითების ანდა უმეშველზმნო წარმოების არსებობა (აქ სახელდების საკითხს არ ვგულისხმობთ, ცხადია, რომ ინიან ვნებითებში ი- პრეფიქსი უკუქცევითობის ნიშანია და არა ვნებითი გვარისა; ჯორბენაძე 1983). კიდევ სხვა მსგავსი არგუმენტების დასახელებაც შეიძლება იმის საჩვენებლად, რომ ეგრეთ წოდებული „ფორმების სესხება“ არ არის საკმარისი არგუმენტი ამა თუ იმ კატეგორიის ანდა ამა თუ იმ ქვესისტემის არ არსებობის სამტკიცებლად.

6. უმეშველზმნო და მეშველზმნიანი ზმნების მორფოლოგიური ყალიბები

აქ ჯერჯერობით ისევ მორფოლოგიური ყალიბების აღწერას დავუბრუნდებით. ცალცალკე განვიხილავთ უმეშველზმნო და მეშველზმნიან ზმნებს.

რა თქმა უნდა, ამ ყალიბებს **აწმყოს წრის მონაცემების** მიხედვით ვარქმევთ სახელს, როგორც აღვნიშნეთ, მეორე სერიაში არც ერთი ზმნა არ არის მეშველზმნიანი, პირველ თურმეობითში კი ყველა ტიპის ზმნა მეშველზმნიანია. მართალია, ზოგიერთ ზმნას, მაგალითად, უღლების მესამე ტიპის ზმნებს (*ვთამაშობ, ვდარდობ, ვიცინი, ვტირი...*), ჩვეულებრივ, ობიექტი არა აქვთ, მაგრამ პირველ თურმეობითში ისინიც მეშველზმნიანების შებრუნებული წყობის ფორმით არიან წარმოდგენილი: მიცხოვრია, მიფიქრია... მით უმეტეს, რომ კიდეც არსებობს ფორმები *მფიქრობს, მტირის, მდარდობს...* ამ ფორმების თურმეობითის წარმოება სწორედ ამ ყალიბით არის შესაძლებელი: *ვუფიქრივარ, ვუტირივარ, ვუდარდივარ...* ერთპირიან დინამიკურ გარდაუვალ ზმნებს მეორე თურმეობითშიც მეშველი ზმნა აქვთ: დავმალულიყავ(ი).

მეშველზმნიანი ზმნების ძირითადი დამახასიათებელი თვისება სტატიკურობაა და, ამის შედეგად, სტატიკური სუბიექტი ხშირად ობიექტად მოიაზრება. ამიტომ **მეშველზმნიანების რელატიური ფორმები უმეტესად ინვერსიულია**.

უმეშველზმნოები ძირითადად თემისნიშნებით (ვაკეთებ, ვცხოვრობ, ვთბები) ან ფუძის დრეკით (ვგლეჯ) იწარმოებიან და დინამიკურობის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდებიან. ფუძედრეკადებიც თანამედროვე ქართულში თითქმის მთლიანად თემისნიშნიან წარმოებაზე გადავიდნენ, რაც სისტემის გამარტივებისკენ და გასწორებისკენ მიმართული ტენდენციაა. ყალიბდება სისტემა, სადაც **ერთი მხრივ, თემისნიშნიანები** დგანან (დინამიკური ტელიკური და დინამიკური ატელიკური ზმნები) და, **მეორე მხრივ, სტატიკური მეშველზმნიანები** (სტატიკური ატელიკური).

უმეშველზმნოების ის ნაწილი, რომელსაც -ებ-ი (/-ობ-ი/-ევ-ი) დაბოლოება არა აქვთ, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ან თემის ნიშნით, ანდა ფუძედრეკადი ელემენტით (ვხატავ, ვაშენებ, ვფენ, ვიჭერ, ვთამაშობ...). განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან **ვიცინი-, ვყვირი** ტიპის ზმნები, რომლებიც უთემისნიშნო ზმნებია, მაგრამ მეშველზმნიან წარმოებაზე არ გადასულან. ის დინამიკური ზმნებიც, რომლებიც ადრე უთემისნიშნოები იყვნენ, დღეს, ჩვეულებრივ, თემის ნიშნით არიან წარმოდგენილი (*ვხეხავ, ვთიბავ, ვჩეჩავ*...). ეს ისტორია აღწერილია და ისიც ცნობილია, რომ თვითონ ფუძედრეკადი ზმნებიც თემის ნიშნიან წარმოებაზე გადადიან (შანიძე 1980:389-390). მეორე მხრივ, სტატიკური ზმნები, რომლებიც ძველ ქართულში უმეშველზმნოდ იწარმოებოდა, ახლა მეშველ ზმნას დაირთავენ (*ვზი* → *ვზივარ*). აშკარაა ტენდენცია, რომ თანდათან მკვეთრად ყალიბდება **ორი ძირითადი მორფოლოგიური მოდელი**: **მეშველზმნიანი წარმოება** (**ფორმით სტატიკური ზმნები**) და **თემისნიშნიანი წარმოება** (**ფორმით დინამიკური ზმნები**). უმეშველზმნო წარმოების ზმნათაგან უთემისნიშნოდ პრაქტიკულად მხოლოდ ფუძედრეკადი ზმნები გვხვდება სალიტერატურო ენაში, თუმცა გამონაკლისის სახით არსებობს ზმნები, რომლებიც არც ფუძედრეკადია და არც თემის ნიშანს დაირთავს, ეს არის რამდენიმე სონორზე დამთავრებული ზმნა (წერს, ჭამს, ჰბანს, მოიყვანს...) და ყველა -ოვ-იანი ზმნა (სულ 4 ძირი: ქსოვს, სთხოვს, სძოვს, სწოვს...) (შანიძე 1980:389-390). გამარტივებული სახით ეს სისტემა წარმოდგენილია მესამე ცხრილში. სიმბოლო VC აღნიშნავს ხმოვნისა და თანხმოვნის მიმდევრობას, ჩვეულებრივ, ეს მიმდევრობა არის ან თემის ნიშანი, ან ხმოვანმონაცვლე ელემენტი. თემის ნიშანი -ი **ვთლ-ი** ტიპის ზმნებში ცალკე გამოვიტანეთ თვალსაჩინოებისთვის, რადგან გარეგნულად ის ემთხვევა მწკრივის ნიშან -ი-ს, რომელიც დასტურდება **ვმღერ-ი** ტიპის ზმნებში. სამაგიეროდ ამ ორი ჯგუფის ზმნები (*ვთლი* და *ვიცინი* ტიპის ზმნები) ძირის აგებულებით გან-

სხვავდებიან ერთმანეთისგან (შანიძე 1980:393-394). ამ საკითხის შესახებ ზემოთაც აღვნიშნეთ. აქ კი წარმოვადგენთ მესამე ცხრილს.

ცხრილი მესამე, ზმნის ფუძის აგებულება აწმყოს მწკრივში

ფორმით დინამიკური (უმეშველ-ზმნო) ზმნები	გარდამავალი (ტელიკური)	ვ- --- VC ვ- ---- CC-ი	ვჩეჩავ, ვდრეკ, ვქსოვ ვთლი, ვფხაჭნი...
	ლაბილურგარდამავალი (ატელიკური)	ვ- --- VC ვ- ---- VC-ი	ვცოცავ, ვთამაშობ ვმღერი
	გარდაუვალი (ტელიკური)	ვ-ებ/ობ/ევ-ი	ვთბები, ვერევი
ფორმით სტატიკური (მეშველზმნიანი) ზმნები	ლაბილურგარდამავალი (ატელიკური)	ვ---- -ვარ/-ს	ვწუხვარ
	გარდაუვალი (ატელიკური)	ვ---- -ვარ/ს ვ----ი-ვარ/ა	ვჩანვარ ვწერივარ

-ებ-ი/-ობ-ი/-ევ-ი დაბოლოება გარდაუვალი ზმნების ანუ ბრუნვაუცვლელსუბიექტიანი ზმნების მორფოლოგიური ნიშანია. თემისნიშნის მომდევნო -ი სუფიქსი დინამიკური გარდაუვალი ზმნების ნიშნად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ქართულში. არ არის გამორიცხული, რომ ის დაკავშირებული იყოს უკუქცევითობის ი- თავსართთან. უკუქცევითობისა და გარდაუვალობის კატეგორიების ურთიერთკავშირი ცნობილი მოვლენაა და ამაზე აქ არ შევჩერდებით. კერძოდ ამ საკითხს კი, გარდაუვალობის -ი სუფიქსისა და უკუქცევითობის ი- პრეფიქსის ურთიერთმიმართების გარკვევას შემდგომი ძიება სჭირდება. აქ შენიშვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ — Th-ი დაბოლოებიან ზმნებშიც გამოიყოფა ერთი მცირე ჯგუფი, რომელიც აწმყოს წრის გარდა დანარჩენ მწკრივებში, ჩვეულებრივ, გარდამავალი ყალიბის წარმოებაზე გადადის: იღიმება ის — გაიღიმებს ის, გაიღიმა მან (სუხიშვილი 1981ა:196).

მეორე მხრივ დგანან **გარდაუვალობის -ი სუფიქსის არმქონე ზმნები, რომლებიც, ბრუნვაცვალებადი სუბიექტით ხასიათდებიან და, თავის მხრივ, ორ დიდ ჯგუფად იყოფიან: გარდამავალი ზმნები (უღლების პირველი ტიპი) და ლაბილურგარდამავალი ზმნები (უღლების მესამე**

ტიპი შანიძის კლასიფიკაციით). ორივე ამ ჯგუფს, როგორც პირდაპირობიექტიან, ასევე ლაბილურპიდაპირობიექტიან ზმნებს აერთიანებს ის, რომ მათ აქვთ **ბრუნვაცვალებადი სუბიექტი**, განმასხვავებელი ნიშნები კი ძირითადად შემდეგია:

1. **პირველი ტიპის ზმნებს** (რომლებიც, ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის, პირდაპირი ობიექტის მქონე ზმნებია) მყოფადის ფორმები ეწარმოებათ მარტივად ზმნისწინის დართვით (*ვაცხობ — გამო-ვაცხობ*) და რელატიური ფორმები ეწარმოებათ — მარტივად ხმოვანი პრეფიქსის ცვლით, ანუ მათ აქვთ უნარი, რომ ირიბი ობიექტის ადგილის მქონე ფორმა იწარმოონ ყალიბის შეუცვლელად, მხოლოდ ხმოვანი პრეფიქსის შეცვლით ან გაჩენით (*ვაცხობ — ვიცხობ, ვუცხობ; ვხატავ — ვიხატავ, ვახატავ, ვუხატავ*). შეიძლება ამ ყალიბში აღმოჩნდნენ პირდაპირი ობიექტის უქონელი ზმნებიც.

2. **ლაბილურგარდამავალ ზმნებს** მყოფადის ფორმები არ ეწარმოებათ მარტივად ზმნისწინის დართვით (*ვთამაშობ — ვითამაშებ*) და არც ირიბობიექტიანი ფორმები ეწარმოებათ მარტივად ხმოვანი პრეფიქსის ცვლით, მაგალითად, *ვთამაშობ* ზმნის რელატიური ფორმა ე-პრეფიქსიანი -ები-დაბოლოების ზმნებში ანდა კიდევ სხვა ყალიბში ექცევა (*თამაშობს — ეთამაშება, უთამაშებს, დასთამაშებს*). გარდა ამისა, -ობ/-ებ-თემისნიშნიან ზმნებზე ზმნისწინის დართვა, ჩვეულებრივ, იწვევს ყალიბის ცვლას. (*თამაშობს — დასთამაშებს, კანკალებს — დაჰკანკალებს*) თუმცა მათს ზმნისწინიან ფორმებს გარდამავალი ზმნების უმრავლესობის ზმნისწინიანი ფორმებისგან განსხვავებით, აწმყოს მნიშვნელობა აქვთ. მომავლის ფორმებს მათი ზმნისწინიანი ფორმები ძნელად იწარმოებენ და თუ იწარმოებენ, ვნებითის ყალიბს იყენებენ: *დაჰკანკალებს — დააკანკალდება, შესთამაშებს — შეეთამაშება...*

-ავ-თემისნიშნიანი ლაბილურგარდამავლების ერთ ნაწილს აწმყო, ჩვეულებრივ, ზმნისწინიანი აქვს. მომავლის მწკრივებში ისინი ან ვნებითის ყალიბს იყენებენ, ან მოქმედებითის ყალიბს: დაცურავს — იცურებს, მიცურავს — მიცურდება. ამ ნიშნებით ისინი მეშველზმნიანებს, ანუ სტატიკურ ზმნებს ჰგვანან.

იცინის და *წუხს* ტიპის ზმნების ქცევის ფორმების შესახებაც შენიშნულია, რომ მათი ერთპირიანი და ორპირიანი ფორმები (უცინის, უწუხს) უღლების სხვადასხვა ტიპს მიეკუთვნებიან (მელიქიშ-

ვილი 2001:86; სუხიშვილი 2008:196). ამ საკითხს ქვემოთ კიდევ შევეხებით.

თვითონ პირდაპირი ობიექტის ყალიბში მოქცეული სახელის სტატუსს ანუ ლაბილური იქნება ეს ობიექტი თუ „მუდმივი", ნამდვილი პირდაპირი ობიექტი, ასევე, სუბიექტის ბრუნვაცვალებადობის საკითხს განსაზღვრავს არა იმდენად ზმნის სემანტიკა, რამდენადაც ზმნის ფორმალური ყალიბი (ჯორბენაძე 1975:10, სუხიშვილი 1981ბ:11-16).

უმეშველზმნო წარმოების ზმნებში, ლაბილურგარდამავალი და გარდამავალი ზმნები, თუ რამდენიმე გამონაკლისს არ გავითვალისწინებთ, აწმყოშივე განსხვავდებიან ფორმით ერთმანეთისგან ან აფიქსაციით ანდა, ერთნაირი აფიქსაციის შემთხვევაში, ძირის ფონემატური სტრუქტურით. ეს განსხვავებები ზემოთ იყო აღნიშნული. უფრო დაწვრილებით კი სხვა სტატიაში იქნება ნაჩვენები.

ტერმინი საშუალი გვარი, ან თუნდაც საშუალ-მოქმედებითი, საკმაოდ რთული ფუნქციური დახასიათებით აერთიანებს სხვადასხვა წარმოების და ფორმის ზმნებს, მათ შორის არამარტო უმეშველზმნო, არამედ მეშველზმნიანი წარმოების ზმნებსაც. აქ წარმოდგენილ კლასიფიკაციაში კი თვითეული ჯგუფი აღწერილია ფორმალური მახასიათებლებით, რაც არ ნიშნავს, რომ ვეწინააღმდეგებოდეთ ფორმის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების გაერთიანებას უფრო დიდ საკლასიფიკაციო ერთეულად, მაგალითად, საშუალი გვარის ზმნებად. ენის ფაქტების აღწერა და სისტემატიზაცია მრავალი სხვადასხვა მიდგომით არის შესაძლებელი, რაც არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ.

შენიშვნა: ლაბილურობიექტიანების მყოფადისა და მეორე სერიის ფორმებს, მიუხედავად მათი წარმოშობის სხვასხვა შესაძლო ისტორიისა, ვთვლით ამ ზმნების ორგანულ და საკუთარ ფორმებად, რადგან დღეს ისინი სწორედ ასე აღიქმებიან და ასე მოქმედებენ (ნოზაძე 1974:25-51, მელიქიშვილი 2001:85). საერთო ინვენტარის გამოყენება ენის სისტემის სხვადასხვა ნაწილში ურთიერთგანსხვავებული ფუნქციით გავრცელებული მოვლენაა (სტატიკური ზმნების პირველი და მეორე სერიის ფორმები ემთხვევა გარდამავალი ზმნების მესამე სერიის ფორმებს (*ნინოს სარეცხი თოკზე უფენია — ნინოს სარეცხი გაუფენია, მზე მინდორს დაეფინა — ნინოს სარეცხი დაეფინა*), გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევის ფორმები ემთხვევა ე.წ. ინიანი ვნებითის ფორმებს წყვეტილში (*ნინომ კაბა შეიკერა — კაბა შეიკერა*), მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ემთხვევა მესამე ირიბო-

ბიექტური პირის ნიშანს... (*შენ სწერ წერილს — ის ნინოს სწერს წერილს*...), პირველი პირდაპირი და პირველი ირიბი ობიექტების ნიშანი ერთი და იგივია (*შენ მე მწერ წერილს — შენ მე მხატავ*), იგივე ვითარებაა მეორე პირშიც. კიდევ ბევრი ასეთი საზიარო ფორმებისა და ფორმანტების ჩამოთვლა შეიძლება. სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა სტრუქტურაში ერთი და იმავე ფორმის სხვადასხვა ფუნქციით გამოყენება არ იქნება საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ისინი ერთ შემთხვევაში კანონიკურად ჩავთვალოთ და მეორე შემთხვევაში მათ ნასესხები ვუწოდოთ (უთურგაიძე 2002).

აქ, ქვემოთ მეოთხე ცხრილში წინასწარი სახით ნაჩვენებია, რა ძირითადი ტიპები გამოიყოფა უღლების მიხედვით. **A**-ნიშნით აღნიშნულია ბრუნვაუცვლელი სუბიექტის მქონე ზმნები, **B** ნიშნით კი ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი ზმნები. მეოთხე ჯგუფს (**ვტირი** ჯგუფი) ცალკე გამოვყოფთ, რადგან მას -ოდ სავრცობი აქვს მესამე ჯგუფისგან განსხვავებით, ამავე დროს შეუძლია, რომ მეშველი ზმნით გაივრცოს პირველი და მეორე პირის ფორმები.

ცხრილი მეოთხე

	შანიძის უღლების ტიპები	პირდაპირი წყობის ზმნები	
უმეშველზმნოები	I ტიპი	**1. ვაცივებ, ვთლი**	**B**
	II ტიპი	**2. ვეთამაშები**	**A**
	III ტიპი	**3. ვთამაშობ**	**B**
		4. ვტირი	**B**
მეშველზმნიანები	III ტიპი	**5. ვწუხვარ — წუხს**	**B**
	IV ტიპი	**6a. ვჩანვარ — ჩანს** **6b. ვდგავარ — დგას**	**A**
		7. ვწერივარ - სწერია	**A**
		8. --ცხელა, -- ცივა	**A**

7. მორფოლოგიური და სინტაქსური ყალიბების გარჩევა

თვითეული ზმნის დასახასიათებლად და მთლიან სისტემაში ადგილის მისაჩენად აუცილებელია არა მარტო მორფოლოგიური, არამედ სინტაქსური ყალიბის მითითებაც. **სინტაქსური და მორფოლოგიური ყალიბების ერთმანეთისაგან გაცალკევება და ზმნის აღწერისას ორივე პარამეტრის ცალცალკე დასახელება გარკვეულად ამარტივებს საქმეს** და ნათლად წარმოაჩენს ქართული ზმნის ბუნებას. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ

თითქმის ნებისმიერ მორფოლოგიურ ყალიბს მოეპოვება როგორც პირდაპირი სინტაქსური წყობის, ასევე ინვერსიული წყობის ზმნები. ასე რომ, თუ მორფოლოგიური ნიშნით ქართულ ზმნებს ორ ძირითად ჯგუფად ვყოფთ: მეშველზმნიანები და უმეშველზმნოები, სინტაქსური ნიშნით კი, ასევე ორ ძირითად ჯგუფად: პირდაპირი წყობის ზმნები და ე.წ. ინვერსიული წყობის ზმნები (ცხრილი მეხუთე).

ცხრილი მეხუთე

	პირდაპირი წყობის	**ინვერსიული წყობის**
უმეშველზმნოები	ვაცივებ, ვცხოვრობ, ვემალები	მაციებს, (ნეტავი) გამაგებინა, მსიამოვნებს, ვეჯავრები
მეშველზმნიანები	ვწუხვარ, ვზივარ	ვგონივარ, ვუყვარვარ

ასეთი დაყოფა საშუალებას მოგვცემს, რომ ინვერსიულ ზმნებში თავმოყრილი სხვადასხვა აგებულების ზმნები ერთმანეთისაგან გავარჩიოთ და უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ ქართული ზმნის ბუნება.

ინვერსიული წყობის ზმნების გათვალისწინებით, ქართული ზმნის სისტემის გამარტივებული მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ მეექვსე ცხრილის სახით. აქ, მეექვსე ცხრილში, ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ორ მთავარ სინტაქსურ ყალიბს: ერთი მხრივ დგანან ზმნები, რომლებსაც სუბიექტი ვინის რიგის ნიშნებით აღენიშნებათ და მეორე მხრივ დგანან ინვერსიული წყობის ზმნები, რომლებსაც სუბიექტი მანის რიგის ნიშნებით აღენიშნებათ (ადგილის სიმცირის გამო აქ ვერ წარმოვადგენთ არგუმენტებს, თუ რატომ და რა შემთხვევაში ვთვლი სუბიექტად მიცემითბრუნვიან აქტანტს).

A-თი აღნიშნულია სახელობითსუბიექტიანი ყალიბი, B-თი აღნიშნულია ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი ზმნები, და C-თი აღნიშნულია მიცემითსუბიექტიანი ზმნები.

ცხრილი მეექვსე

	შანიძის უღლების ტიპები	პირდაპირი წყობის ზმნები		ინვერსიული წყობის ზმნები	
უმეშველ-ზმნოები	I ტიპი	**1. ვაცივებ, ვთლი**	**B**	**1. მაკანკალებს**	**C**
	II ტიპი	**2. ვეთამაშები**	**A**	**2. ვეჯავრები**	**C**
	III ტიპი	**3. ვთამაშობ**	**B**	3. (მსიამოვნებს)	**C**
		4. ვტირი	**B**	4. (უტირის)	**C**
მეშველზმნი-	III ტიპი	**5. ვწუხვარ —**	**B**	5. (უწუხს)	**C**

ანები		**წუხს**			
	IV ტიპი	**6a. ვჩანვარ — ჩანს** **6b. ვდგავარ — დგას**	**A**	**6a. უკვირს** **6b. ვუყვარვარ**	**C**
		7. ვწერივარ — სწერია	**A**	**7. ვწყურივარ**	**C**
		8. --ცხელა, -- ცივა	**A**	**8. -- სჯერა**	**C**

2007 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში (კობაიძე 2007:175-176) 10 ჯგუფს გამოვყოფდი, რადგან *ვდგავარ* და *ვუყვარვარ* ტიპებს ცალ-ცალკე განვიხილავდი. მართლაც, ამ ზმნათა ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები უღლების სხვაგვარ პარადიგმას ქმნიან, ვიდრე უხმოვანპრეფიქსოები. ასევე ურთიერთგანსხვავებულ სისტემებში ექცევიან *კანკალებს — უკანკალებს, ტირის - უტირის* ტიპის ზმნები (მელიქიშვილი 2001:86; სუხიშვილი 2008:196). აქ ეს ჯგუფები ფრჩხილებშია მითითებული რადგანაც ისინი შესაბამისი პირდაპირი წყობის ზმნებისგან არა მარტო სინტაქსური ყალიბით, არამედ აწმყოს წრის გარდა დანარჩენი ფორმებითაც განსხვავდებიან. რამდენადაც ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები ინვერსიულ სემანტიკას იძენენ, მათი პარადიგმა, ჩვეულებრივ, ვნებითის ყალიბში ექცევა; შდრ. *წუხს — იწუხებს*, მაგრამ: *უწუხს — შეუწუხდება*. ასევე, *მსიამოვნებს* ზმნა პირდაპირი წყობისა რომ ყოფილიყო, იქნებ იგივე პარადიგმა ექნებოდა, როგორც *მპატრონობს* ზმნას, მაგრამ რადგანაც ინვერსიულია, მისი გაგრძელება ვნებითის პარადიგმას ემთხვევა: *მესიამოვნება*. ნაცვლად იმისა, რომ ეს წყვილები უღლების სხვადასხვა ტიპებში მოვაქციოთ, შეიძლებოდა მათი წარმოდგენა როგორც ერთი ტიპის ორი განშტოებისა, რომლებიც სინტაქსური ყალიბებით განსხვავდებიან და, ამის გამო, **აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივებში მორფოლოგიურადაც სხვადასხვა ყალიბისა არიან**. ერთი მხრივ დგანან **A** და **B** ყალიბების მქონე პირდაპირი წყობის ზმნები, მეორე მხრივ კი მიცემითბრუნვიანი სუბიექტის მქონე ზმნები, რომლებიც ინვერსიული წყობისაა და **აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივებში ვნებითის ფორმებს იყენებენ.** ასევე, შესაძლებლად ჩავთვალეთ, რომ **ვჩანვარ** ტიპი გაგვეერთიანებინა მეექვსე ჯგუფთან და მის ერთ ქვეჯგუფად ჩაგვეთვალა. მეშველზმნიანების მეექვსე **A** და მეექვსე **B** ჯგუფი შეიძლება ერთი ჯგუფის ორ ქვეჯგუფად წარმოვადგინოთ, სადაც *ვჩანვარ* ქვეჯგუფის ნიშანია მხოლოდ დონიანი ფორმების გამოყენების უნარის მქონებლობა.

უღლების პირველი ტიპის ინვერსიული ფორმები (*მამთქნარებს, მაკანკალებს...*) **ინარჩუნებენ მოქმედებითის ყალიბს აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივებშიც**. მესამე სერიაში მათაც ხშირად ეცვლებათ წარმოება და მიცემითბრუნვიან სუბიექტს ინარჩუნებენ, მაგალითად, *მე მახველებს* ზმნის I თურმეობითი ხშირად არის წარმოდგენილი როგორც *მე დამიხველებია*, თუმცა კანონიკური ფორმაც დასტურდება, განსაკუთრებით, უკუთქმით წინადადადებებში: *ჩემთვის ერთხელაც არ დაუხველებია*. **უღლების პირველი ტიპის გარდა დანარჩენი ინვერსიული ზმნები, ჩვეულებრივ, ვნებითის ყალიბს იყენებენ (ან ზმნისწინიან და ან ხმოვანპრეფიქსიან ვარიანტს) მიუხედავად იმისა, თუ რომელ ყალიბს მიეკუთვნება მათი აწმყოს წრის ფორმები.**

როგორც მეექვსე ცხრილიდანაც ჩანს, მეშველზმნიანებშიც გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომელსაც ბრუნვაცვალებადი სუბიექტი აქვს: **ვწუხვარ** ტიპი. ეს ისეთი მცირერიცხოვანი ჯგუფია, რომ შეიძლება გამონაკლისადაც კი ჩაითვალოს. ამ ჯგუფის ზმნების ნაწილს ჩვეულებრივ, სუბიექტი არც მოეპოვება (*წვიმს, ქუხს, ჭექს, თოვს*), ნაწილს კი ხშირად სხვა ყალიბის ზმნა ან აღწერითი წარმოება ენაცვლება (*წუხს — წუხდება, შეწუხებულია, იწუხა — შეწუხებული იყო, დუმს — დადუმებულია*...)... მაგრამ ეს ჯგუფი მაინც ცალკე ტიპად გამოვყავით, რადგან იგი ავლენს ზმნის თვისებას, რომ მეშველზმნიანი ზმნაც შეიძლება იყოს ცვალებადბრუნვიანი სუბიექტის მქონე.

ასევე, როგორც ვთქვით, ძალიან მცირეა **ვჩანვარ** ტიპის ზმნათა რიცხვი, რის გამოც ეს ჯგუფი *დგას, სწადს, უყვარს* ტიპის ზმნებთან გავაერთიანეთ.

ამგვარად, აღმოჩნდა, რომ მეშველზმნიანებს, ფაქტობრივად, დავყოფთ მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ჩვენების მიხედვით: -ს, -ია და -ა დაბოლოებიან ზმნებად.

-ს პირისნიშნიან ფორმებში გამოიყოფა ერთი მხრივ ბრუნვაცვალებად სუბიექტიანი *წუხს* ყალიბის ზმნები, მეორე მხრივ, ბრუნვაუცვლელ სუბიექტიანი *ჩანს, დგას* ტიპის ზმნები.

ბრუნვაუცვლელსუბიექტიანი -ს ნიშნიანი მეშველზმნიანებიდან რამდენიმე ზმნას მხოლოდ დონიანი ვნებითის წარმოება მოეპოვება (ეს ზმნებია პირდაპირი წყობის: *ჩანს, ჭირს, მწიფს, ხურს*, ინვერსიული წყობის: *უკვირს, შურს, უჭირს*...), ხოლო დანარჩენებს - აწმყოს მწკრივებში დ-საკრცობიანი წარმოება აქვთ, სხვა მწკრივებში კი ხმოვანპრეფიქსიანი წარმოების ყალიბს მიჰყვებიან.

-ია დაბოლოებიან ზმნებს, ანუ სტატიკურ ვნებითებს მხოლოდ ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები ეწარმოებათ (გდია, ეგდება, ეგდო, გდებულა)

-ა დაბოლოებიან ზმნებს -ოდ სავრცობიანი უწვეტელი მოეპოვებათ (მჯერა, მჯეროდა, მცივა — მციოდა, მინდა — მინდოდა...).

აღწერის თვალსაზრისით, უფრო მარტივი იქნებოდა, გარდაუვალი -ებ-იანი ზმნებისთვის პირველი ჯგუფი გვეწოდებინა, რადგან ისინი ძალიან ადვილი გამოსაყოფია, ადვილი საცნობიც, მაგრამ რადგან ამ ზმნებს ტრადიციულად უღლების მეორე ტიპს უწოდებენ, ამიტომ ცხრილშიც იგი მეორე ადგილზეა წარმოდგენილი.

ცხადია, რომ აქ წარმოდგენილი დაყოფა ემყარება უკვე არსებულ სხვადასხვა კლასიფიკაციას და რომელიმე მათგანის უარყოფას არ გულისხმობს. აქ წარმოდგენილი კლასიფიკაციის ძირითადი მიზანია, რომ ერთდროულად და ამავე დროს, ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ორივე პარამეტრი წარმოადგინოს, როგორც მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური.

ინვერსიული ზმნები დაყოფილია მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვითაც და შესაბამისი პირდაპირი წყობის ზმნების პარალელურად არის წარმოდგენილი, რაც, ვფიქრობთ, უფრო ადვილად გასაგებს გახდის ამ მოვლენის არსს ქართულის, როგორც დედა ენის, ან ქართულის როგორც მეორე ენის ან უცხო ენის შემსწავლელისთვის. ვფიქრობ, ასეთი კლასიფიკაცია უფრო თვალსაჩინოს ხდის თვითონ ქართული ზმნის თვისებებს.

აკაკი შანიძისეული უღლების პირველი ტიპი აქაც პირველ ტიპად არის წარმოდგენილი, მეორე ტიპი — ასევე მეორე ტიპად, მესამე ტიპი წარმოდგენილია მესამე (*ვთამაშობ*) და მეოთხე (*ვტირი*) ჯგუფების სახით. **ვტირი** ჯგუფს ცალკე გამოვყოფთ რადგან მას -ოდ-იანი წარმოება აქვს და, ამის გარდა, მეშველზმნიანი ფორმების გაჩენის უნარითაც გამოირჩევა. შანიძისეული მესამე ტიპიდან **ვწუხვარ** ჯგუფი გამოვყავით და მეშველზმნიანებთან გავაერთიანეთ ფორმის გამო, დანარჩენი მეშველზმნიანებისგან კი გავაცალკევეთ ფორმათწარმოების თავისებურებისა და ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი კონსტრუქციის მქონებლობის ნიშნით. შანიძისული უღლების მეოთხე ტიპში, რომელშიც ფაქტობრივად მეშველზმნიანი ზმნებია თავმოყრილი, ცალცალკე აღვნიშნეთ მხოლოდ დონიანი წარმოების მქონე **ვჩანვარ** (გამოვჩნდები-გამოვჩნდი) ქვეტიპი და დანარჩენი მეშველზმნიანები, სადაც აწმყოს მესამე პირის ფორმით გაირჩევიან ერთამენთისგან **-ია-დაბოლოების მქონე (სწერია - ეწერება)**, **-ს-დაბოლოების მქონე (დგას - იდგება)**

და **-ა დაბოლოების მქონე (სჯერა — ეჯერება/დაიჯერებს)** ჯგუფები. ამ ბოლო ჯგუფში გავაერთიანეთ კიდევ რამდენიმე **-ია დაბოლოებიანი ზმნაც** (მრცხვენია, მწყურია, მეშინია, მშია...), რომლებსაც უწყვეტელში **-ოდ** სუფიქსი მოუდით მსგავსად -ა დაბოლოებიანი ზმნებისა. გარდა უწყვეტლის -ოდ სუფიქსიანი იწარმოებისა, მერვე ჯგუფში მოქცეულ ზმნებს ისიც აერთიანებთ, რომ მათ ძირითადად **მხოლოდ ობიექტური წყობა** მოეპოვებათ (*მეშინია*, მაგრამ არა *ვეშინივარ*, *მტკივა*, მაგრამ არა *ვტკივვარ*...).

თვითეული ეს ჯგუფი ნაკლულ მწკრივებს -ებ-ი-სუფიქსიანი გარდაუვალი დინამიკური ზმნების სხვადასხვა ფორმით ივსებს. ცალკე უნდა აღინიშნოს იმ ზმნების შესახებ, რომლებიც მომავალში ვნებითის ყალიბსაც იგუებენ და მოქმედებითის ყალიბსაც (*სწამს — ეწამება — იწამებს, სჯერა — ეჯერება — დაიჯერებს*).

როცა A, B და C სინტაქსურ ყალიბებს ვუთითებთ, ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართული ზმნების კარგად ცნობილი სამი ძირითადი სინტაქსური ყალიბი: სახელობითი სუბიექტი სამივე სერიაში (A), სერიების მიხედვით ბრუნვაცვალებადი სუბიექტი (B), მიცემითბრუნვიანი სუბიექტი სამივე სერიაში (C). განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ვცადეთ, ინვერსიული ზმნები მათი შესაბამისი პირდაპირი წყობის მორფოლოგიურ ყალიბებთან პარალელურად წარმოგვედგინა.

არის კიდევ ერთი მცირე ჯგუფი, რომლისთვისაც შეიძლებოდა D-ყალიბი გვეწოდებინა: მეშინია მისი, მრცხვენია მისი... ამ კლასიფიკაციაში ისინი ინვერსიულებთან არიან გაერთიანებული.

რამდენიმე ყალიბს, კერძოდ, მესამე, მეოთხე და მეხუთე ჯგუფებს, იშვიათად, მეორე ჯგუფსაც, მოეპოვება ზმნების ისეთი ქვეჯგუფებიც, რომლებიც აწმყოშიც იგუებენ ზმნისწინს (მელიქიშვილი 2001:86, 88-89). ასეთ ზმნებს აქვთ ზოგი საზიარო ნიშანი, მაგრამ ამ ზმნებს აქ ცალკე არ გამოვყოფთ.

რა თქმა უნდა, ამ კლასიფიკაციაში არ არის ცალცალკე აღწერილი უღლების ყველა ის სხვადასხვა პარადიგმა, რაც ქართულ ზმნას მოეპოვება და რომლის რაოდენობაც 66-ს აღწევს (მელიქიშვილი 2001:253), ხოლო კიდევ სხვა შეფასებით და ყველა მორფონოლოგიური ტიპის გათვალისწინებით 200-ზე მეტია (ეზუგბაია 2007:41).

აქ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიზანია, რომ ის ძირითადი სისტემა, რასაც ქართული ზმნის მრავალფეროვანი სურათი ეყრდნობა, რაც შეიძლება მარტივი და გასაგები სახით აღიწეროს, რომ ენის შემსწავლელს

შეეძლოს ნათლად დაინახოს ენის ზოგადი აგებულება, რაც მას საშუალებას მისცემს, რომ ადვილად გაიგოს თვითეული ცალკეული ზმნის თავისებურება.

დასკვნის სახით გავიმეორებთ, რომ ქართულ ზმნებს მორფოლოგიური აგებულების მიხედვით ვყოფთ მეშველზმნიან და უმეშველზმნო წარმოების ზმნებად. სინტაქსური აგებულების მიხედვით კი პირდაპირი წყობის და ინვერსიული წყობის ზმნებად.

უმეშველზმნოებში გამოიყოფა -Th დაბოლოებიანი (-VC, CC-ი, V-ი), ანუ ბრუნვაცვალებად სუბიექტიანი და -Th-ი (ებ-ი/-ობ-ი/-ოვ-ი) დაბოლოების მქონე (ბრუნვაუცვლელსუბიექტიანი) ზმნები.

-Th დაბოლოებიანი ზმნები თავის მხრივ გარდამავალ და ლაბილურ-გადამავალ ზმნებად იყოფიან. ისინი არა მარტო სინტაქსურად, არამედ თავისი მორფოლოგიური აგებულებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან აწმყოს მწკრივშივე, რაც ზემოთ იყო აღნიშნული. სიმბოლო -Th ამ ზმნებში აღნიშნავს არა მარტო თემის ნიშანს, არამედ ნებისმიერ –VC მარცვალს და -CC-ი მიმდევრობას, აგრეთვე V-ი და VC-ი მიმდევრობას, სადაც VC არის ნებისმიერი მარცვალი გარდა -ებ, -ობ და -ევ მარცვლებისა. უფრო დაწვრილებით აქ ამ საკითხზე ვერ ვჩერდებით.

მეშველზმნიანებშიც გამოიყოფა ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი *ვწუხვარ* ტიპი და ბრუნვაუცვლელსუბიექტიანი ზმნები. ბრუნვაუცვლელსუბიექტიან მეშველზმნიანთა შორის გამოიყოფა **ვჩანვარ** ქვეტიპი, რომელიც მხოლოდ დონიანი წარმოებით ივსებს ნაკლულ მწკრივებს, და დანარჩენი მეშველზმნიანები, სადაც აწმყოს მესამე პირის ფორმით გაირჩევა ერთამენთისგან -ია-დაბოლოების მქონე, -ს-დაბოლოების მქონე და -ა დაბოლოების მქონე ჯგუფები, ამ ჯგუფებში ერთმანეთს ენაცვლება ხმოვანპრეფიქსიანი და დონიანი წარმოების ფორმები აწმყოს გარდა სხვა მწკრივების წარმოებისას.

ინვერსიული წყობა თითქმის ყველა მორფოლოგიურ ყალიბს მოეპოვება, სადაც კი ირიბობიექტიანი ფორმების წარმოებაა შესაძლებელი და სადაც, ამავე დროს, ბრუნვაცვალებადი სუბიექტი ან ზმნის ყალიბით არ იგულისხმება, ანდა ზმნის ყალიბით დასაშვებია, მაგრამ არ არის რეალიზებული (*მამთქნარებს, მახველებს, ნეტავი გამაგებინა* ტიპი).

ინვერსიული პარადიგმები ნაკლებად არის გავრცელებული გარდამავალ ზმნებში, საკმაოდ ხშირია -ებ-ი-დაბოლოებიან ანუ ბრუნვაუცვლელსუ-

ბიექტიან ზმნებში, რაც შეეხება მეშველზმნიან წარმოებას, მეშველზმნიანების რელატიური ფორმების უდიდესი უმრავლესობა ინვერსიულია. როდესაც უმეშველზმნო ყალიბის ზმნა ინვერსიული ხდება, ის იმავდროულად იძენს სტატიკურობის სემანტიკასაც.

მედიოაქტივების -ებ, -ობ და -ავ თემისნიშნით ნაწარმოები ზმნები გამოვყავით როგორც უღლების **III ტიპი.**

IV ტიპში მოექცა -ი სუფიქსით ნაწარმოები მედიოაქტიური ზმნები, რომლებიც თავისი სტრუქტურით განსხვავდებიან -ი-სუფიქსით ნაწარმოები გარდამავალი ზმნებისგან.

ვწუხვარ ტიპის მედიოაქტივებს განვიხილავთ მეშველზმნიანების ყალიბში. **ამიტომ III ტიპში რჩება მხოლოდ -ებ, -ობ და -ავ თემისნიშნიანები**, აგრეთვე 11 ზმნა *ფრენს, ყეფს* ტიპისა, რომელთაც არაფორმალური სტილის ტექსტებში, ჩვეულებრივ, სხვადასხვა აგებულების თემისნიშნიანები ენაცვლება: *დაფრინავს, იყეფება.*

ცხადია, რომ აქ წარმოდგენილი კლასიფიკაცია ეყრდნობა ზმნების გარკვეული ნაწილის აღიარებას ინვერსიულ ზმნებად. საკითხი, თუ რატომ ვთვლით მათ ინვერსიულ ზმნებად და რა ნიშნით მივიჩნევთ ზმნას ინვერსიულად, სხვა სტატიაში იქნება განხილული.

ლიტერატურა

არონსონი, 2005 — H. I. Aronson, Georgian. A Reading Grammar. Corrected Edition. University of Chicago, Slavica Publishers, Inc. 2005

ასათიანი 2009 — რ. ასათიანი, ვნებითი გვარის კონსტუქციათა პრაგმატიკული თავისებურება ქართველურ ენებში, კრებულში: ინფორმაციის სტრუქტურების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, გვ. 30-44, 2009.

http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/informaciis%20struqturireba%202009.pdf

ბარამიძე 1964 — ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964.

გოგოლაშვილი 1984 — გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, 1984.

გოგოლაშვილი 1988 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, 1988.

დათუკიშვილი 1997 — ქ. დათუკიშვილი, უღლების პარადიგმათა ტიპები თანამედროვე ქართულში, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების IV კონფერენციის მასალები, 1997.

ეზუგბაია 2007 — ლ. ეზუგბაია, ნორმით დაშვებულ პარალელურ ფორმათა საკითხისათვის ქართული სალიტერატურო ენის კომპიუტერული მოდელირების პროცესში, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, 2007

კობაიძე 2007 — მ. კობაიძე, ქართული ბრუნებისა და უღლების სისტემის ზოგი საკითხის სწავლებისათვის, კრებულში: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, 2007.

კობაიძე 2008. — მ. კობაიძე, სტატიკური და დინამიკური ზმნების შესახებ თანამედროვე ქართულში, თეზისები, არნ. ჩიქობავას 110 წლისთავისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, 2008.

ლომთათიძე 1953 — ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე IV, 1953.

მაჭავარიანი 1959 — გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები I, 1959.

მაჭავარიანი 1974 — გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები IV, 1974.

მაჭავარიანი 1987 — მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, 1987.

მელიქიშვილი 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, 2001.

ნოზაძე1974 — ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე XIX, 1974.

სუხიშვილი 1976 — მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, 1976.

სუხიშვილი 1981ა — მ. სუხიშვილი, „ანუკამ ილანძღა და იგინა“ თუ „ანუკა ილანძღა და იგინა“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, 1981ა.

სუხიშვილი1981ბ — მ. სუხიშვილი, გარდაუვალ უგვარო ზმნათა სემანტიკისათვის თანამედროვე ქართულში, ქართვ. ენათა სტრუქტ. საკითხები, V, 1981ბ.

სუხიშვილი, მ. 2008 — მ. სუხიშვილი, მედიოაქტივთა საქცეო სისტემის საოპოზიციო ცალების ზოგიერთი გრამატიკული და სემანტიკური თავისებურების შესახებ, იკე XXXVI, 2008.

ტუიტი1987 — Tuite, K. Indirect transitives in Georgian. *Proceedings of the 13th annual meeting of the Berkeley Linguistics Society* (*BLS* 13); გვ. 296-309

იგივე სტატია (გვ. 1- 14) საიტზე:

http://www.mapageweb.umontreal.ca/tuitekj/publications/Tuite-1987-IndTransitives.pdf

ტუიტი — Tuite, K. *Philologie, Typologie und Sprachstruktur: Festschrift für Winfried Boeder zum 65*; გვ.

ტუიტი 2004-2005 — ქართველური სერიის მარკერები (თემატური სუფიქსები), წიგნში: ივერია, XII-XIII, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, პარიზი, გვ. 98-126, 2004-2005.

უთურგაიძე 2002 — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, 2002.

შანიძე 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1980.

ჩიქობავა 1948 — ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948.

ჩიქობავა 1998 — ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, 1998.

ჯორბენაძე 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, 1975.

ჯორბენაძე 1983 — ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, 1983.

ჯორბენაძე 1988 — ბ. ჯორბენაძე, თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში, იკე XXVII, 1988.

ჯორბენაძე 1989 — ბ. ჯორბენაძე, ინხოატივი ქართულში, იკე 28, 1989.

ჯორბენაძე 1990 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაციის პრინციპები ქართულში, იკეწ XVII, 1990.

ჯორბენაძე 1991 — Jorbenadze, B. The Kartvelian Languages and Dialects, 1991.

ჰარისი 2009 — Harris, A. Georgian Syntax, Cambridge University Press (პირვ. გამოც. 1981)

ჰილერი 1996-2006 — Hillery, P. J. The Georgian Language, An outline grammatical summary, 1996-2006.
http://www.armazi.demon.co.uk/georgian/

ჰიუტი 2005 — Hewitt, G. Georgian, A Learner's Grammar, Routledge (პირველი გამოცემა 1996).

ჰოლისკი 1979 — Dee Ann Holisky, On lexical aspect and verb classes in Georgian, in: The Elements: a parasession on Linguistic Units and Levels, including Papers from the Conference on Non-Slavis Languages of the USSR, Chicago Linguistic Society, University of Chicago.

Manana Kobaidze

Conjugation types of Georgian verbs

Summary

There is a strong tendency to form morphologically marked two major groups of verbs in Georgian: dynamic verbs marked by thematic markers, on the one hand, and stative verbs makred by auxiliary verbs, on the other hand. This difference is manifested in the first and second persons of the present tense in the *v-set* marked forms.

Stative verbs which formed the present tense without auxiliary verbs in old Georgian employ auxiliaries in contemporary Georgian (*vzi* → *vzivar* 'I am sitting', *vdga* → *vdgavar* 'I am standing'…), whereas a large group of dynamic verbs presented without thematic markers in old Georgian takes thematic markers in contemporary Georgian (*vtib* → *vtibav* 'I am mowing it', *vt'ex* → *vt'exav* 'I am breaking it').

All formally stative verbs are atelic verbs (*vuq'varvar* 'S/he loves me', *vdgavar* 'I am standing'). They form the future tense by adding vowel prefixes. Within dynamic verbs, three large groups are distinguished: transitive telic verbs (*vasheneb* 'I am building it'), intransitive telic verbs (*vimalebi* 'I hide myself) and atelic verbs (*vcxovrob* 'I live', *vmgheri* 'I sing'). Telic verbs (both dynamic transitives and dynamic intransitives) form the future tense by adding preverbs. Atelic verbs (both dynamic and stative) form the future tense by adding vowel prefixes.

It is reasonable to identify three various types traditionally presented within conjugation type III: a) verbs formed with the markers *–eb*, *-ob-* and *–av*, b) verbs formed with the marker *–i* (*vicini* 'I am laughing), and c) verbs formed with auxiliary verbs (*vc'uxvar* 'I am worried). It is suggested to place the latter group (medioactives formed with auxiliary verbs, e.g. *vc'uxvar* 'I am worried', *vdumvar* 'I am silent') within the verbs formed with auxiliary verbs along with three other auxiliary

formation verb groups: mediopassives (*vdgavar* ‘I am standing’), stative passives (*vgdivar* ‘I am lying thrown about’), and verbs where the 3rd subject person marker – *a* is attached directly to the root (*cxela* ‘It’s hot’). Some other features, characteristic of each type, are also described.

Separation of auxiliary and non auxiliary verb formation makes it possible to describe the relation between phonematic structure of verbs and conjugation types.

Inversive verbs are presented as differnet groups reflecting a variety of morphology of direct verbs but marked with a shared syntactic pattern C.

(Abbreviations: PV – preverb, PVR – preradical vowel, R – root, Th – thematic marker, Syntactic B – syntactic pattern of transitive and labile transitive verbs, Syntactic pattern A – syntactic pattern of intransitive verbs, Syntactic pattern C – syntactic pattern of inversive verbs)



ქეთევან მარგიანი-სუბარი

ომონიმური -**უნ** სუფიქსისათვის სვანურ ენაში

სვანურ ზმნურ ფორმებში -**უნ** სუფიქსი არაერთი დანიშნულებით გვხვდება; ის არის კაუზატივის მორფემის ძირითადი ვარიანტი: **ესყი** — **ხესყუნე/ხესყუნეშუნე** „აკეთებს — აკეთებინებს“, **ცუირე** — **ხაცურუნე/ხაცურუნეშუნე** „ტოვებს — ატოვებინებს“ და ა. შ. სარედუქციო პოზიციაში -**უნ** ვარიანტს -**უნ** ენაცვლება: **ამარე — ხამარუნე** „ამზადებს — ამზადებინებს“... ზოგ შემთხვევაში (ჩვეულებრივ, ბაგისმიერ ბგერებთან მეზობლობაში) წარმოდგენილია -**ნ** ვარიანტი: **ლალემ — ხამნე** „შეჭამა — შეაჭამა“ (თოფურია 1967:234). სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, არ არის იშვიათი ორპირიანი კაუზატიური ფორმები: **იუეე — აუეუნე** „სძინავს — აძინებს, **ანდაცხ — ანდაცხუნე** „გაიღვიძა — გააღვიძა“, **იღრალ** — **ხალრალუნე** „მღერის — ამღერებს და სხვ. (ონიანი 1998:253).

-**უნ-ი** ფორმანტი გამოიყენება ე. წ. მოდალურ ზმნებში, რომლებიც გამოხატავენ ნატვრას: **ხაწდუნი/ხაწედუნი** „ნახვა ენატრება“, **ხაზნუნი/ხაზუნი** „წასვლა ენატრება“ (თოფურია 1967:236).

საანალიზო ფორმანტი ფიგურირებს გარდამავალ და ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნათა რამდენიმე მწკრივში: მყოფადი უსრული: **აგამუნი** (ბზ.), **იგმუნი** (ბქ.) — „აშენებდეს იქნება“, პირობით უსრულში: **აგმუნელ** (ბზ.), **იგმუნიუ** (ბქ.) — „აშენებდა იქნება“, I თურმეობითი: **ხაგმუნა/ხაგმინა** (ბზ.), **ხაგმუნა** (ბქ.) „აშენებდა (ზედ)/უშენებდა თურმე“, II თურმეობითი: **ლგმგამუნე ლი/ლგმგამუინ** „აშენებდა თურმე, ნაშენება“...

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ეს ფორმანტები მხოლოდ მატერიალურად ემთხვევიან ერთმანეთს თუ ფუნქციურადაც? ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ისინი ისტორიულად ერთი წარმოშობისანი იყვნენ?

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევა ზემოთ ჩამოთვლილთაგან უკანასკნელ შემთხვევას, ანუ ცალკეულ მწკრივებში გამოვლენილ -**უნ** ფორმანტს შეეხება. ჩვენი აზრით, საანალიზო აფიქსი აღნიშნულ მწკრივებში (უსრული მყოფა-

დი და პირობითი, I თურმეობითი და II თურმეობითი) საერთო წარმომავლობისა და ფუნქციისაა — ეს არის ევიდენციალობის გამოხატვა დრო-კილოთა ფორმებში.

თავის დროზე (1957წ.) ევიდენციალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, თეორიული საფუძვლები ჩამოაყალიბა რ. იაკობსონმა ნაშრომში „Шифтеры, глагольные категории и русский глагол"; ავტორი ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა ჩამონათვალში გამოყოფს უნახაობის (დადასტურება-დაუდასტურებლობის) სემანტიკასაც. მისი განსაზღვრებით, **ეს არის კატეგორია, რომელიც მიუთითებს გადმოცემული ფაქტის წყაროზე.** მთქმელი მოვლენის შესახებ გვატყობინებს სხვა პირისგან მიღებული ინფორმაციის, სიზმრების, წინასწარი ჭვრეტის ან საკუთარი გამოცდილების მონაცემებზე დაყრდნობით. ამ თეორიის მიხედვით, დადასტურებულობა (засвидельствованность) მიეკუთვნება შიფტერულ კატეგორიებს იმდენად, რამდენადაც ის ახასიათებს შეტყობინებულ (გადმოცემულ) ფაქტს (E^n) შეტყობინების ფაქტთან (E) და რომელიღაც „მესამე სიტუაციასთან" (მთქმელის მიერ ინფორმაციის მიღება რომელიღაც წყაროდან — E^ns) კავშირში (იაკობსონი 1972:101). შემდგომში ეს თეორია განვითარდა, გაფართოვდა საგნის განხილვის არეალიც: ევიდენციალობის კატეგორია უკვე განიხილებოდა როგორც ნათქვამის გარეგანი მოდალური ჩარჩოს ელემენტი, რომელიც სიახლოვეს ამჟღავნებს პროპოზიციის ეპისტემიკურ შეფასებასთან, რადგანაც მთქმელის მიმართება ინფორმაციის წყაროსთან, ჩვეულებრივ, უკავშირდება საკითხს, დარწმუნებულია თუ არა მთქმელი სხვა ხელიდან მიღებული და მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის სანდოობაში, უეჭველობაში (შენიშვნა: წყარო „მეორე ხელი" გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის სიტყვიერად გადმომცემ კონკრეტულ ან თუნდაც იმპერსონალურ პირს, არამედ ინფერენციასაც — **ქ. მ**.). მაშასადამე, ევიდენციალობის კატეგორია უშუალო კავშირშია ნათქვამის სემანტიკასთან, რომელშიც გამოხატულია თავად მთქმელის დამოკიდებულება საკუთარი ნათქვამის მიმართ ინფორმაციის იმ წყაროზე მითითების (პირდაპირ თუ ირიბად) თვალსაზრისით, რომელსაც იგი ფლობს, ანუ **„ევიდენციალობა ეს არის ინფორმაცია ინფორმაციის შესახებ"** (ნიკოლოვა 2007:154).

საერთაშორისო ლინგვისტიკაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ენათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (მათ შორის ქართველურ ენებშიც) პირდაპირი ევიდენციალობა არამარკირებულია, ხოლო ირიბი ევიდენციალობა — მარკირებული, ენის სტრუქტურისა და გამოხატვის საშუალებათა პო-

ტენციალის ფარგლებში. ნ. კოზინცევა ამ თვალსაზრისით გამოყოფს ენების ორ ტიპს: 1) ენები, რომლებშიც ევიდენციალობა გადმოიცემა სპეციალიზებული საშუალებებით; 2) ენები, რომლებშიც ევიდენციალობა გამოიხატება კომპლექსური (совященный) საშუალებებით. სპეციალიზებულ საშუალებებში მკვლევარი გულისხმობს გრამატიკულ (პერფექტული დროები, მორფემები, დამხმარე მეტყველების ნაწილები...) და ლექსიკო-სინტაქსურ საშუალებებს.

უმთავრესად განიხილავენ ოპოზიციას **პირდაპირი ევიდენციალობა — ირიბი ევიდენციალობა**. პირდაპირი ევიდენციალობის წყაროდ პირდაპირი აღქმა (ენათა უმრავლესობაში, ძირითადად, მხედველობითი) მოიაზრება, ირიბი ევიდენციალობის შემთხვევაში კი ინფორმაციის ძირითად წყაროებად დასახელებულია **ვერბალობა** (III პირის ნათქვამი, ხმები ხალხში, ფოლკლორი...) და **ინფერენციულობა** (მთქმელის დასკვნა, რომელიც მას გამოაქვს აზროვნების შედეგად თავისი ცოდნისა და რეალური სამყაროს მოვლენების ფონზე). ამ ინტერპრეტაციათა გათვალისწინებით, უცხოელ მკვლევართა მოსაზრებას, რომ „ქართულსა და სვანურში ევიდენციალური ფორმები ოდენ უნახაობის აქტით შემოიფარგლება შემდგომი დეტალიზაცია-დიფერენციაციის გარეშე“, ჩვენი აზრით, კორექტირება სჭირდება. როგორც ჩანს, აქ ისინი ევიდენციალობას განიხილავენ თურმეობითებისა და „ნაწილაკოვანი სხვათა სიტყვის“ ფარგლებში, რომელთა სემანტიკაში მართლაც მხოლოდ უნახაობა ან გადმოცემითი ინფორმაცია იგულისხმება, ამ ინფორმაციის სანდოობა-დადასტურებულობის ხარისხის შეფასების გარეშე.

კვლევამ აჩვენა, რომ სვანურ ენაში არსებობს მწკრივები, რომელთა **ერთადერთი მნიშვნელობა** მოვლენის შესახებ **არა მყარი, არამედ დაუდასტურებელი, სავარაუდო ცოდნის გამოხატვაა**; მთქმელისთვის ინფორმაცია, რომელსაც ის გადმოსცემს, საეჭვოა, დაუზუსტებელია არა იმიტომ, რომ თავად თვითმხილველი არ არის (უნახაობა-გადმოცემითობის სემანტიკა ამ ფორმებში არ ფიგურირებს), არამედ იმიტომ, რომ ის ინფერენციის, საკუთარი ცოდნა-გამოცდილების განზოგადების საფუძველზე მსჯელობას, ვარუდს გადმოგვცემს; აქედან გამომდინარე, ეს ზმნური ფორმები ეპისტემიკური შინაარსისანი არიან.

საანალიზო ფორმები სწორედ ეპისტემიკურობით ზოგჯერ საკუთარ მწკრივშივე ქმნიან ოპოზიციას განსხვავებული წარმოების ფორმებთან (ნეიტრალური აწმყო — ინფერენციული აწმყო, ნეიტრალური მყოფადი — ინფერენციული მყოფადი, ნეიტრალური პირობითი — ინფერენციული პირობითი), ზოგჯერ კი სხვა მწკრივებთან (პირობით-შედეგობითი I — შედე-

გობითი I, პირობით-შედეგობითი II — შედეგობითი II). ეს სწორედ ის მწკრივებია, სადაც -**უნ** სუფიქსი ფიგურირებს (ბუნებრივია, III სერიის გამოკლებით, სადაც, ცნობილი მოსაზრებების თანახმად, განსხვავებულ გენეზისთან და ენის განვითარების სხვა ეტაპთან გვაქვს საქმე, ამიტომაც მათზე აქ მსჯელობა არ გვექნება); ამ სუფიქსის შესახებ ვარლამ თოფურია აღნიშნავდა, რომ მისი წარმოშობა და ფუნქცია სარკვევია (თოფურია 1967:115);

როგორც ცნობილია, სვანურში, ქართულთან შედარებით, დრო-კილოთა ფორმები უფრო ბევრია; ერთ-ერთი ასეთი „საკუთრივ სვანური" ფორმაა მყოფადუსრული. ქართულს სემანტიკურად მისი ბადალი მწკრივი არ მოეპოვება; მას „რუსული შედგენილი მყოფადი ფარავს, ქართულად და მეგრულად კი აღწერითად გადმოვცემთ: **კონიუნქტივი I ფორმა** + **"იქნება" /'იკუაფუ"**[1] (თოფურია 1967:112) — ეს ქართულ-მეგრული აღწერითი განმარტება თავისთავად მეტყველებს ამ ზმნების ეპისტემიკურობაზე, ეპისტიმიკას (მთქმელის მიერ ინფორმაციის საეჭვო, სავარაუდო კონტექსტში გადმოცემას) კი უმთავრესად ირიბი ევიდენციალობის ერთ-ერთი წყარო — ინფერენცია განაპირობებს (და არა გადმოცემითობა! — სვანურში, ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში, უანახაობის გამომხატველი ფორმების სემანტიკაში მოვლენის ჭეშმარიტების ან საეჭვოობის განსჯა არ შემოდის); ამ ფორმებისთვის ვარლამ თოფურიას მიერ მისადაგებული ქართული განმარტება (**ᲨᲘᲠᲣᲜᲘ** „წერდეს იქნება") სწორედ აღნიშნულ მნიშვნელობას გახაზავს: ლექსემა „იქნებ" ხომ სწორედ დაუზუსტებლობას, საეჭვო-სავარაუდოობას გამოხატავს! ჩვენი აზრით, **მყოფადუსრული ისტორიულად მართლაც აწმყოა, როგორც ეს გ. მაჭავარიანმა ივარაუდა:** „სვანური მყოფადუსრულის მაწარმოებელი სუფიქსები (**უნ-ი**, **გ-ნი, ინ-ი)** შედგენილია და **-ი**, **ეჭვს გარეშეა, იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც აწმყოს -ი, წარმოშობით ხოლმეობითის სუფიქსი**" (მაჭავარიანი 1974:129), ოღონდ **ინფერენციული აწმყო**, რომელმაც შემდგომ ფუნქციურად მყოფა-

[1] საანალიზო ზმნურ ფორმათა გადმოქართულებისას ან ზოგიერთ ინდოევროპულ ენაზე თარგმნისას სემანტიკური თანხვედრის მიღწევა შეუძლებელია მოდალური ლექსემების (ალბათ, იქნებ, შესაძლოა...) გამოყენების გარეშე, რაც დასტურია მოსაზრებისა: „**თუ თარგმანში მოდალური სიტყვები აუცილებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ წყარო-ენაში (ძირითად მეტყველებაში) ზმნური ფორმა კომპლექსურად გამოხატავს ინფერენციულობას და გამონათქვამის არასრულფასოვანი სარწმუნოობის (სანდოობის) მოდალურ მნიშვნელობას** (ხაზი ჩაენია — ქ. მ.). წყარო-ენში ასეთი ფრაზები უშვებს მინიმუმ ორი ალტერნატიული სიტუაციის არსებობის შესაძლებლობას" (ხრაკოვსკი 2007:616-618).

დიც შეითავსა (ეს ფორმები კონტექსტის მიხედვით დღესაც ორივე დროში გამოიყენება; ასე მაგალითად: ცხუ̈ითაგდ ხა̈ქუ̈: „მერა̈ლს მი ცგჳემა̈დს **ხუ̈აფშუ̈დუნი,** ეჩქა ცხუ̈უ̈არ ჩუმიშდხენიხ**“** (სვ. პრ. ტ. I, 1939:25) — „ცხვითაგმა უთხრა: ღრუბლებს [რომ] მე მშვილდ-ისარს **ვესვრი** (= „**ვესროდე იქნება**, **თუ ვესვრი**“), მაშინ ისრები გამითავდებაო“ — აქ ზმნა უფრო მყოფადის გაგებითაა, მაგრამ წინადადებაში: სი ლემზგრა̈ლს **ხანყუ̈ნი** ი ღვაჟა̈რს **ხაბრა̈ენი** ჩი ღგნჟი**,** მა̈დეა**?** — `შენ შესალოცებს (სეფისკვერებს) **აცხობ ალბათ** („**აცხობდე იქნება“**) ყოველ დღესასწაულზე, არა?“ („კოდორ. ქრონ.“ 2010:726) — აქ კონკრეტული დრო არ მოიაზრება, ეს არის, ასე ვთქვათ, კონკრეტული დროსთან მიმართებას მოკლებული სემანტიკა, ცნობილი ტერმინოლოგიით — ზოგადი აწმყო, მაგრამ, ქართულისგან განსხვავებით, ფორმა სუფიქსითაც არის გართულებული და სემანტიკითაც გამდიდრებული: გულისხმობს ალბათობას, მთქმელის ვარაუდს. ხოლო კონტექსტი: **ბეფშუ̈ ეჩხე ოთა̈ხისგა იმ ხაშდბა**? „ბავშვი იქით ოთახში რას აკეთებს?“ პასუხში: **იშდრალუ̈ნი** „**ალბათ** თამაშობს“, რა თქმა უნდა, საუბრის მომენტი, აწმყო იგულისხმება (შდრ. არაეპისტემიკური კონკრეტული, კატეგორიული აწმყოს ფორმა: **იშდრა̈ლ** „თამაშობს“); ჩვენი მოსაზრების სისწორის შემთხვევაში გამოდის, რომ ისტორიულად სვანურ ენაში არსებობს ორი აწმყო: ნეიტრალური (პირდაპირევიდენციალური) და ეპისტემიკური (ირიბევიდენციალური, ინფერენციული): **ა̈-ჷრ-ი — ა̈-ჷრ-უნ-ი** „წერს — შესაძლოა (ალბათ) წერს, წერდეს იქნება...“, ფორმალურ განსხვავებას მათ შორის -**უნ**- სუფიქსი ქმნის.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ რიგ ენებში (თურქული, კავკასიური, ფინურ-უგრული, აფრიკული, ამერიკელ ინდიელთა ენები და სხვ.) მოცემული მნიშვნელობები გრამატიკულად სავალდებულოა ნათქვამის გარკვეული ტიპების გასაფორმებლად. სხვაგან კი (მაგალითად, რუსულში, ინგლისურში, გერმანულში, ფრანგულში,...) ეს მნიშვნელობები არ არის გრამატიკულად სავალდებულო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ისინი გადმოიცემა სინტაქსურად და ლექსიკურად (კოზინცევა 2007:14). ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება ის საკითხი, რომ მყოფადი სვანურში რამდენიმე წარმოებისაა: „1. პრევერბი+აწმყოს ფუძე; 2. აწმყოს ფუძე+მყოფადსრულის მაწარმოებელი სუფიქსი; 3. პრევერბი+აწმყოს ფუძე+სუფიქსი“ (თოფურია 1967:116). არც სემანტიკურად გახლავთ იდენტური ეს ფორმები; სუფიქსიანი მყოფადი ოდენ წინდებულით ნაწარმოები მყოფადისგან სწორედ ეპისტემიკურობით განსხვავდება: **ჩუ̈ადგა̈რი** „მო-

კლავს“ — **ჩუადგრინე / ჩუადგარნე** ფორმას კი, კონტექსტის გარეშე აღებულს, ქართულად ასევე „მოკლავს“ ფორმით გამოხატავენ, მაგრამ სინამდვილეში მყოფადის ამ ორ ფორმას გამოყენების სფეროები განაწილებული აქვს: პირველი (რომელსაც შეიძლება **ნეიტრალური მყოფადი** ვუწოდოთ) და ქართულის მყოფადი სრულად ფარავენ ერთმანეთს (როგორც წარმოების პრინციპის თვალსაზრისით, ისე სემანტიკურად), **ეპისტემიკური მყოფადი** კი მთლიანად ინფერენციულია, ის მსჯელობის, ვარაუდის, პროგნოზის ნიუანსის შემცველია შესასრულებელი მოქმედების მიმართ; მაგალითად, წინადადებაში „მგხარ ბეთქილ ღუაშს **ჩუადგრინე,** ეზარ მად ირადა?“ („ხვალ [**რომ**] ბეთქილმა ჯიხვი **მოკლას,** კარგი არ იქნება?) ოდენწინდებულიანი მყოფადის ჩანაცვლება სტილურ ანომალიას გამოიწვევს, ვინაიდან ეს წინადადება კავშირებითი მოდალობისაა და უეჭველი სემანტიკის **ჩუადგარი** ფორმას ვერაფრით იგუებს. მართალია, მყოფადსრულის ფორმაში -**უნ** (ან მისი ვარიანტები **-ინ, -გნ**) არსად ჩანს, თუმცა -**ნ-** თანხმოვანი შემთხვევით აქაც არ უნდა იყოს; ჩამოთვლილ მწკრივებში ზმნური ფორმით გადმოცემულია წარსული დროის, მაგრამ გარკვეული პირობის შემცველი, **უნახავი** ან, ასევე პირობის შემცველი, მომავალში შესასრულებელი, საეჭვო, სავარაუდო და, თავისთავად, ევიდენციალური მოქმედება (შდრ. ქართ. [რომ] მეკეთებ-**ინ**-ა, [რომ] გამაკეთებ-**ინ**-ა, დიალექტური დაეწერ-**ნ**-ა, გაეთალ-**ნ**-ა...). ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ა. შანიძის მსჯელობა II თურმეობითთან დაკავშირებით: „ამ მწკრივის კილო ჩვეულებრივ თხრობითია. მაგრამ ხშირია მისი გამოყენება III კავშირებითის ნაცვლადაც: იგი იხმარება ისეთი მოქმედების გადმოსაცემად, რომელიც **ფაქტი არ იყო, მაგრამ რომელიც ივარაუდებოდა, როგორც პირობა სხვა მოქმედების შესრულებისათვის**. ამ შემთხვევაში მისი კილოა არა თხრობითი, არამედ პირობითი და აქტის ელემენტი (უნახაობა) ფორმაში აღარ არის“ (შანიძე 1973:222). როგორც ჩანს, ირიბი ევიდენციალიზმის ორ ქვესახეობას შორის (უნახაობის აქტი და სავარაუდობა) მიჯნა არცთუ ისე მყარია, ამასთან ჰიპოთეტურად ალბათ შეიძლება სვანურ -**უნ- (-ინ-, -გნ-)** და ქართულ -**ინ- ფორმანტთა** მატერიალური თუ ფუნქციური იდენტურობის დაშვება, რაც, ასევე, შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ი. ჩანტლაძე აღნიშნავს, რომ სვანურში არსებულ პრევერბთა ორი რიგიდან (ძირითადი და მეორეული, ზმნისართული) „დღეს სრული ასპექტის გაგებას პირველი რიგი იძლევა, ხოლო მიმართულებას ე. წ. წინდებულ-თანდებულები გამოხატავენ“. მკვლევარი ასპექტის ჩამოყალიბების გზას

ამგვარად წარმოგვიდგენს: **ხოფიშუდა, ჩუ ხოფიშუდა, ოთფიშუდა, ჩუ ოთფიშუდა > ჩ'ოთფიშუდა** „ჩაუშვია" (ჩანტლაძე 1983:11). დამანა მელიქიშვილის თვალსაზრისით, მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათაგან განვითარებულმა დინამიკურმა შინაარსმა ფორმალური გამოხატულებაც პოვა (**მიწერიეს** ტიპის ფორმებს დაერთო **ზმნისწინი —** ხაზი ჩვენია ქ. მ.), განვითარდა ერთ-ერთი ძირითადი (დღეს ყველაზე გამოკვეთილი) შინაარსობრივი ნიუანსი — უნებლიობა-უნახაობა, თურმეობითობა, ე. წ. უნახავი ან უნებლიე აქტის გაგება (მელიქიშვილი 2001:23).

ვფიქრობთ, პრევერბმა, რომელიც შედარებით გვიანდელი მოვლენაა, არა მარტო პერფექტულ დროებში, არამედ მყოფადსა და პირობითშიც ერთგვარად შეითავსა და განაპირობა ევიდენციალობის (საეჭვო-სავარაუდოობის ასპექტით) სემანტიკა (ამიტომაც სპეციალური სუფიქსი აღარ იყო საჭირო...). როგორც ვნახეთ, წინდებულ-თანდებული+აწმყოს ფორმა პირდაპირევიდენციალური სემანტიკის მყოფადია (**ჩუ+იზბი** „შეჭამს", **ჩუ+ახტაუი > ჩუახტაუი** „დახატავს"**...),** ხოლო ძირითად პრევერბიანი — ირიბევიდენციალური, საეჭვო-სავარაუდო, მოვლენის შესახებ „იდეალური ცოდნისგან" გადახრილი (**ლაჷზუებნე** „შეჭამოს იქნება", „ალბათ, შეჭამს", **ჩუ+ადხტუი⌜ნე⌝** „დახატოს იქნება", „ალბათ, დახატავს"...). **ირიბი ევიდენციალობა (ეპისტემიკური ფორმები) სვანურში მხოლოდ მაშინ არის მარკირებული, როცა თავად მთქმელი თვლის, რომ მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია არასაკმარისად სანდოა ან საეჭვოა. პირდაპირი ევიდენციალობა (ნეიტრალური ფორმები) განსაკუთრებულ მარკირებას არ საჭიროებენ!**

ეპისტემიკური სემანტიკა ნიშანდობლივია სვანურში პირობითის სახელით ცნობილი ფორმებისთვისაც, სადაც ასევე სახეზეა -**უნ** მაწარმოებელი; შდრ. ნამყოუსრული: **ᾱᲯრდა** „წერდა" _ უსრული პირობითი: **ᾱᲯრუნ⌐ლ** „წერდა იქნება; შესაძლოა, წერდა" — მთქმელი ინფორმაციას სათუო ცოდნის დონეზე გვაწვდის, ამ ინფორმაციის წყარო კი მთქმელის წარმოსახვა, აზროვნება, ინფერენციაა;

„სვანურ ენაში I თურმეობითის ფორმა შედგება აწმყოს საზედაო ქცევა + ბალსქვემოურში **-უნ-ა,** ბალსზემოურ-ქვემოსვანურში **-ინ-ა** სუფიქსებისაგან. ითარგმნება ნამყოუსრულის ფორმა + თურმე" (თოფურია 1967 : 130):

ხᾱბმინა (ბზ.), **ხᾱბმუნა** (ბქ.) — „აბამდა/უბამდა თურმე".

ხᾱგმინა (ბზ.) **ხᾱგმუნა** (ბქ.) — „აშენებდა (ზედ)/უშენებდა თურმე".

-ინა, -უნა სუფიქსების თავკიდური ხმოვანი შესაძლებელია შეიკუმშოს:

ხᾱკლᾱუნა (ბზ.), **ხაკლაუნა** (ბქ.) — „ულეწავდა თურმე".

ხადგა̈რინა (ბზ.), **ხადგარუ̈ნა** II **ხადგარნა** (ბქ.) „აკლავდა (ზედ)/უკლავდა თურმე“;

ამის გამო ვ. თოფურია ფიქრობს, რომ **-ინა, -უნა** ბოლოსართები შეიძლება დაიშალოს **-ინ-ა, -უნ-ა** ელემენტებად, სადაც **-ა** შესაძლოა ნამყო დროის მაწარმოებელი იყოს. ვინაიდან **-ინ-** წინა ხმოვანს აუმლაუტებს (ბზ. **ხამა̈რ-ინ-ა** „უმზადებდა თურმე“, **ხატა̈ბ-ინ-ა** „უთლიდა, ათლიდა თურმე“), **-უნ-** კი ამ მხრივ უძლურია (ბქ. **ხამარ-უნ-ა, ხატაბ-უნ-ა**), ისინი ერთმანეთის ნასუბსტიტუციევად ვერ ჩაითვლებია; საკითხს ამ სუფიქსთა წარმომავლობის შესახებ (სხვადასხვა ამოსავლიდან მომდინარეობენ თუ ერთი ფორმანტის სხვადასხვა სახეა) მკვლევარი ღიად ტოვებს, თუმცა მათი ფუნქციური იდენტურობა საეჭვოდ არ მიაჩნია. ამავე მოსაზრებისაა ზ. ჭუმბურიძე -**უნ**-ი და -**ინ**-ი სუფიქსების ურთიერთმიმართებისა და მათი თავკიდური ხმოვნის რედუქციის შესახებ მყოფადში; მისი აზრით, ეს ვარიაციები „დიალექტური ხასიათისა ჩანს და ზმნათა მორფოლოგიური თავისებურებებით არ უნდა იყოს შეპირობებული“ (ჭუმბურიძე 1986:179).

I და II თურმეობითის გენეზისზე მსჯელობისას (მარგიანი-სუბარი 2009:127) შესაძლებლად მივიჩნიეთ, ეს ორი აფიქსი იმთავითვე სხვადასხვა კილოს კუთვნილება ყოფილიყო ერთი და იმავე სემანტიკური დატვირთვით და გარკვეული მოსაზრებაც გამოვთქვით მისი ფუნქციის შესახებ, რაც შემდგომი კვლევისას კიდევ უფრო გამოიკვეთა. თურმეობითების -**უნ**- მორფემის ფუნქციად ამჯერადაც (ისევე, როგორც მყოფადუსრულსა და პირობითში) ევიდენციალობის გამოხატვას მივიჩნევთ; ეს არის ირიბი ევიდენციალობის მეორე ქვესახეობა, როცა მთქმელისთვის ინფორმაციის წყარო უკვე არა ინფერენცია, არამედ გარეშე პირია — საერთაშორისო ლინგვისტიკაში მიღებული ტერმინოლოგიით ეს **წყარო არის გადმოცემითობა** (მედიატივადაც მოიხსენიებენ). I თურმეობითი ამ თვალსაზრისით ოპოზიციას ქმნის პირდაპირევიდენციალურ სასხვისო-საზედაო ქცევის უწყვეტელთან: **ხა̈ირ-და/ხოირდა — ხაჷრინა/ხაჷრუ̈ნა** „აწერდა/უწერდა — აწერდა თურმე/უწერდა თურმე“...

ქუ̈ითრა̈ლს ლეღუ̈ ლახ **ჩუ̈ხა̈შთხანუ̈ნახ,** ეჩქას ჩიგარ ლგმა̈ზხ ლა̈ქუ̈თა̈რთე **—** „ქუ̈ურდებს ხორცი რომ **გაუთავდებოდათ თურმე**, მაშინ ყოველთვის მიდიოდნენ (თურმე) მოსაპარავად (სვ.პრ. ტ. I, 1939:347,19) (შდრ. **ხოშთხენდახ** — **ხა̈შთხანუ̈ნახ** „უთავდებოდათ — უთავდებოდათ თურმე“).

განსაკუთრებით თავისებური შედგენილობისაა II თურმეობითის

ფორმები: **ლგ** + **მა** + აწმყოს ფუძე + **უნ-ე**. სემანტიკურად ამ მწკრივს უფრო ზუსტად გამოხატავს დასავლურ ქართულში დადასტურებული დიალექტური ფორმა — **ნა-** პრეფიქსიანი მიმღეობა + მეშველი ზმნა: (ბზ.) **ლგმგაშუნ ხუი, ლგმგაშინ ხუი, ლგმგემინ ხუი, ლგმგემნე ხუი** „ვაშენებდი თურმე, ნაშენებვარ“: „ამ ზმნათა სუფიქსს **-უნ-ე**-ში **-ე** ხშირადაა მოკვეცილი და ამიტომაც გაუმლაუტებულია წინა ხმოვანი (**-უნ-ე** > **-უუ̄ნ**) ან შეკუმშულია (**-უნ-ე** > **-ؤ̄ن-ე**); ფონეტიკურ ნიადაგზე ეს ფორმანტი იცვლება **-ؤ̄ين**-ად, ზოგჯერ ბილაბიალობას კარგავს და გვევლინება

-ين-ად (**-უნ-ე** > **-ؤ̄ن** > **ؤ̄ين** > **-ين**), **-ე** მოკვეცილი ფორმები III პირში ხშირად მეშველი ზმნის გარეშეა: **ლგ-მგ-დაგრ-უნ-ე ლი** > **ლგ-მ-დაგრ-ؤ̄ن** > **ლგ-მ-დაგრ-ين** „კლავდა თურმე, ნაკლავა“; **ლგ-მ-ჯან-ؤ̄ين** II **ლგ-მ-ჯან-ين** „ხნავდა თურმე, ნახნავა“; **ლგ-მ-მარ-ؤ̄ين** II **ლგ-მ-მარ-ين** „ამზადებდა თურმე, ნამზადება“ (თოფურია 1967:191).

ვ. თოფურია II თურმეობითის აფიქსებში (**ლგ-** + **მა-**... + ... **-უნ-ე**) **ლგ-**ს ნამყოს მიმღეობისეულ პრეფიქსთან აიგივებს. ამის საფუძველს მას აძლევს აღწერით ფორმათა (**ლგ-გ-ე ლი** „აშენებულია“, **ლგ-ხؤ̄რ-ელ-ე ლი** „აკრეფილია, შეგროვებულია“...) მახასიათებლების გამოვლენა საანალიზო მასალაში: 1. -**ე** ბოლოსართი; 2. მეშველი ზმნა; 3. **ან-, ეს-, ლა-** ძირითადი პრევერბები:

ალმაზ (ბზ.) **ოლმაზ** (ბქ.) <***ან-ლგმაზ** „მოდიოდა თურმე, მონავალა“.

ელმაზ (ბზ.) **ოლმაზ** (ბქ.) „მიდიოდა თურმე, მინავალა“...

მკვლევარი აღნიშნავს, რომ თურმეობითთა შორის, შედგენილობის მხრივ დიდი განსხვავების მიუხედავად, ბევრია საერთო:

1) **ორივეში გადმოიცემა უნახავი აქტი, სხვისგან გაგონილი ამბავი**;

2) ორივე იყენებს აწმყოს ფუძეს: ფუძემონაცვლე დეფექტურ ზმნათა **-ემ, -ერ, -ესგი** აწმყოსეული დაბოლოებანი სწორედ აქ აღდგება:

აწმყო: **დესგი** (ბზ.), **ადისგ** (ბქ.) „დებს“;

აორისტი **ესდე** (ზსვ.) „დადო“;

თურმ. I **ხადესგؤ̄ნა** (ბზ.), **ხადისგؤ̄ნა** (ბქ.) „ადებდა, უდებდა თურმე“;

თურმ. II **ლგმდასგؤ̄ين** (ბზ.), **ლგმდისგؤ̄ين** (ბქ.) „დებდა თურმე“...

„ვნებითი გვარის თურმეობითი I და II მოქმედებითის თურმეობითისაგან მხოლოდ **-ؤ̄ლ/-ოლ** ფორმანტით განსხვავდება, რომელიც ჩაერთვის ზმნის ფუძესა და თურმეობითის ნიშანს შორის“ (თოფურია 1967:191): **ლგმგاشؤ̄ლين** II **ლგმგؤ̄ლين** (ბზ.), **ლგმგემოლნე ლი** II **ლგმგოლين** (ბქ.) „შენდებოდა თურმე“, მაგრამ ეს ფორმანტი გვხვდება სხვა მწკრივებშიც, ამიტომ ვ. თოფურიას -**ოლ**- ვნებითის ერთ-ერთ მაწარმოებლად მიაჩნია,

თუმცა იქვე შენიშნავს, რომ **ე**-ს შემცველ ფუძეებში, სადაც თურმეობითის ნიშანი (***-უნ-ე** >1. **-ᲩᲘᲜ** > **-ᲘᲜ** და 2. **-ᲜᲔ**) უშუალოდ დაერთვის ბალსზემოურში, ხოლო **-ᲝᲚ/-ᲠᲚ**-ის ჩართვით ბალსქვემოურსა და ლაშხურში (**ლგმტᲐ̈ᲮᲩᲘᲜ** ბზ., **ლგმტეᲮᲝᲚᲘᲜ** ბქ.), ვნებითობას ფუძისეული **-ე-** გამოხატავს, **-ᲝᲚ-/-ᲠᲚ-** კი გვიანდელი „**კეთილშენაძენი**“ **მაწარმოებელი** (ხაზი ჩვენია — ქ. მ.) უნდა იყოს (თოფურია 1967:193).

მკვლევარი II თურმეობითის მაწარმოებელთა გენეზისისას აღნიშნავს, რომ **მა-, -უნ- აფიქსთა ფუნქცია სარკვევია**. ჩვენ ამჯერადაც **-უნ** სუფიქსზე შევჩერდებით (**მა-** პრეფიქსის შესახებ ჩვენი მოსაზრება გამოვთქვით ზემოთ დასახელებულ ნაშრომში).

როგორც ითქვა, სემანტიკურად საანალიზო მწკრივს ქართულ უღლებაში ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება, აღწერითად კი მისი ბადალი იქნება ნეიტრალური ქცევის უწყვეტელი + „თურმე“. **-უნ-ე** სუფიქსის შესახებ გარდამავალ ზმნებში ვ. თოფურია სამართლიანად შენიშნავს, რომ **-ე -უნ-** ელემენტის კუთვნილება არ უნდა იყოს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ იგი **-უნ**-ის გარეშეც შეიძლება ზმნაში გვქონდეს: **ლგ-მგ-რდ-Ე̄/-ლი** (ბზ.) **ლგ-მᲐ̈-რდ-ე-ლი** (ბქ.) „ყოფილა, ნამყოფა“; **ე**-ს მოკვეცის შედეგად გაუმლაუტებულია ბოლო ხმოვანი ზოგიერთ ზმნაში: **ლგ-მზელᲐ̈Ლ** „დადიოდა თურმე“, **ლგ-მღირᲐ̈Ლ** „მღეროდა თურმე“... (თოფურია 1967:134). **-უნ**-ის ერთადერთ შესაძლო ფუნქციად კვლავ იმ ევიდენციალური სემანტიკის (**ლგმგᲐ̈მᲩᲘᲜ** „აშენებდა თურმე“) გამოხატვა რჩება, რომლითაც ის უახლოვდება **-უნ** სუფიქსიან I თურმეობითს (**ᲮᲐ̈გმინა/ᲮᲐ̈გმუნა** „უშენებდა თურმე“);

ამრიგად, ჩვენი აზრით, **-უნ-** სუფიქსის გამოვლენა სხვადასხვა მწკრივის ფორმაში უბრალოდ მატერიალური დამთხვევა როდია, არამედ საქმე უნდა გვქონდეს ერთი და იმავე ფუნქციით აღჭურვილ უძველეს მორფემასთან — მთქმელი ამ ზმნებით გამოხატავს მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის ირიბი წყაროდან მომდინარეობას (არაპირდაპირაღქმულობას); ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ზმნური ფორმით გადმოცემულია მოქმედება, რომლის შესახებაც მთქმელმა ან **სხვისგან შეიტყო** (**ᲮᲐ̈ᲥᲜᲐ** < ***ᲮᲐ̈ᲥᲠᲩᲜᲐ** (ბზ.), **ᲮᲐ̈ᲥᲠ-უნ-ა** (ბქ.) „აწერდა/უწერდა თურმე“, **ლგმᲘ̄Რ-Ნ-Ე ᲚᲘ (<ლგმგᲥᲠᲜᲔᲚᲘ)‖ლგმᲘ̄Რ-ᲩᲜ-Ე ᲚᲘ** (ბზ.), **ლგმიᲥᲠᲩᲘᲜ (<ლგ-მგ-ᲥᲠ-ᲩᲘᲜ)‖ლგმგᲥᲠუᲜᲔ ᲚᲘ** (ბქ.) „წერდა თურმე“) — ამ შემთხვევაში მისი **ინფორმაციის წყარო გადმოცემითობაა;** — ან მთქმელი მოვლენას **თავად ვარაუდობს** მისთვის ცნობილი ფაქტების, სამყაროს შესახებ მისეული ცოდნის განზოგადების საფუძველზე — ასეთ შემთხვევაში მთქმელის ინ-

ფორმაციის **წყარო ინფერენციაა** — აზროვნება, ლოგიკა და არა მყარი ცოდნა მოვლენის (მოქმედების) შესახებ, ამიტომაც ასეთ ზმნათა სემანტიკა პოტენციურობასა და ალტერნატიულობას გამოხატავს (მყოფადუსრული **ამარ-უნ-ი /იმარ-უნ-ი** „ამზადებდეს იქნება“, **ალაშუნი/ილაშუნი** „თესავდეს იქნება“, პირობითი: **ხუ-ი-ბმ-უნ-ი-დას/ხუ-ი-ბმ-უინ/ხუ-ი-ბმ-უნ** „რომ მება, მება იქნება“, **ხუიგმ-უნ** „რომ მეშენებინა, მეშენებინა იქნება“...); ვფიქრობთ, საანალიზო სუფიქსი სწორედ ევიდენციალობის მაჩვენებელია განხილულ მწკრივებში. თურმეობითი I და II უპირობოდ, კონტექსტის მოშველიების გარეშე გახაზავს „თურმეს“ გაგებას, უნახაობის აქტს და ამის პირობას, სავარაუდოდ, სწორედ სუფიქსი ქმნის, ისევე, როგორც დანარჩენ საანალიზო მწკრივებში (უსრული მყოფადი, უსრული პირობითი), რომლებშიც იგივე სუფიქსი საეჭვო-სავარაუდოობის სემანტიკას განაპირობებს მოვლენის შესახებ. ეს ორი ფენომენი კი (1. მოქმედების უნახაობის აქტი — ინფორმაციის წყარო გადმოცემითობა; 2. მოქმედების სავარაუდოობა, პოტენციურობა — ინფორმაციის წყარო ინფერენცია) ძირითადი ქვესახეობებია ირიბი ევიდენციალობისა.

ევიდენციალიზმი, როგორც ზოგადი ან ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტი, ქართველურ ენებში რომ გრამატიკული კატეგორიაა, ეს ერთხმად მიღებული მოსაზრებაა იმ მკვლევართა მიერ, რომლებმაც სპეციალური შრომები მიუძღვნეს აღნიშნულ პრობლემას (რ. ვილეტი, ვ. ბოედერი, ნ. კოზინცევა, ნ. სუმბათოვა...); ეს ბუნებრივიცაა: როცა ენაში არსებობს სპეციალური მწკრივები მოქმედების უნახაობის გადმოსაცემად, ჩამოყალიბებულია „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკოვანი სისტემა და ა. შ., ევიდენციალიზმი მორფოსინტაქსური კატეგორიაა. ჩვენი აზრით სვანურ ზმნაში ეს კატეგორია მორფემის დონეზეა გამოხატული.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ევიდენციალიზმი მხოლოდ ზმნა არ არის, თუმცა ზმნა ამ კატეგორიის უმთავრესი ფიგურაა. **ჩვენ ამჯერად შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სვანურში ის უღლების კატეგორიაც არის და სავარაუდოდ უფრო არქაულ (უპრეევერბო) ფორმებში სათანადო ფორმანტია -უნ სუფიქსი**. ყველა საანალიზო მწკრივში მთქმელის დამოკიდებულება ნათქვამთან პირდაპირი აღქმის არარსებობას უკავშირდება და ირიბ წყაროზე მიუთითებს; ამიტომაც ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ფორმებში -**უნ**- სუფიქსი (რომლის ფუნქციაც სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე ღიად არის დარჩენილი), ევიდენციალობის ნიშანია. მთქმელი -**უნ**-იანი ფორმების გამოყენებით, ასე ვთქვათ, დისტანციაში დგება საკუთარი ნათქვამის ჭეშმარიტების მტკიცებასთან, მიანიშნებს მსმე-

ნელს, რომ თავად არ არის ინფორმაციის პირველწყარო; სხვაგვარად: მთქმელი ზმნურ ფორმაშივე „ათავსებს“ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ იგი გადმოსცემს სხვისგან გაგონილ ან მის მიერ ნავარაუდევ ინფორმაციას.

მაშასადამე, სვანურში საანალიზო ფორმები (მყოფადუსრული და მყოფადსრული, პირობითუსრული და პირობითსრული, ასევე — შედეგობითი I და შედეგობითი II, პირობით-შედეგობით I და II[2] შესრულებული თუ შესასრულებელი მოქმედების შესახებ გადმოგვცემენ ან სხვისგან (გარეშე წყაროდან) მიღებულ ინფორმაციას, ან თავად მთქმელის ვარაუდს. ორივე შემთხვევაში ინფორმაცია გადახრილია „იდეალური ცოდნისაგან“ (დელენსი). სხვაგვარად: **ევიდენციალობა (როგორც გადმოცემითობაზე დაფუძნებული, ასევე ეპისტემიკური ფორმები) სვანურში მხოლოდ მაშინ არის მარკირებული, როცა ირიბია და თავად მთქმელი მას გადმოსცემს, როგორც სხვა წყაროდან მიღებულს ან თვლის, რომ მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია არასაკმარისად სანდოა ან საეჭვოა; შესაბამისი მორფოლოგიური მარკერი კი, ჩვენი აზრით, -უნ სუფიქსია.**

ჩვენი აზრით, ევიდენციალობა სვანურში „მწკრივში უცვალებელი“ (ა. შანიძის ტერმინოლოგიით) **უღლების კატეგორიაა, მწკრივის ელ ე მ ე ნ ტ ი ა:** „მწკრივის ფარგლებში უცვალებელი კატეგორიები მის ხერხემალს წარმოადგენენ. ქართული მწკრივის ელემენტებია: დრო, კილო, გზისობა, თანამდევრობა. **სხვა ენაში შეიძლება სხვა ელემენტებიც იყოს, რომელიც მეტად გაზრდის მწკრივთა რაოდენობას**“ (შანიძე 1973:216). სწორედ ამ „სხვა ელემენტის“, ამ შემთხვევაში **ევიდენციალობის კატეგორიის,** არსებობა უნდა იყოს ერთ-ერთი საფუძველი სვანურში მწკრივთა სიჭარბისა, თანამედროვე ქართულთან შედარებით.

---

[2] III სერიის ფორმებს საგანგებოდ არ განვიხილავთ, რადგანაც ისინი, როგორც ცნობილია, ენის განვითარების სხვა ეტაპს განეკუთვნებიან და, შესაბამისად, ცალკე კვლევის საგანია, თუმცა აღმოჩნდა, რომ პირობით-შედეგობითი ფორმები, რომლებიც ზემოსვანურში ომონიმიას ქმნიან დინამიკური ვნებითის აწმყოს მწკრივთან, ქვემოსვანურ დიალექტებში აუსლაუტის **ი** ხმოვნის წინ **ნ** ფონემას ჩაირთავენ (დინამიკ. ვნებითი, აწმყო: **ხეშხები** „ეკერება ის მას“ — საანალიზო ფორმა: **ხეშხებნი** „ალბათ (იქნებ...) ˹შე˺უკერავს მას ის“), რაც კიდევ ერთხელ გვიბიძგებს საანალიზო ფორმანტის კვლევისაკენ საერთოქართველურ დონეზე... (იხ. მარგიანი-სუბარი:2008-2009).

ლიტერატურა

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები, I, თბილისი.

მარგიანი-სუბარი 2009 — ქ. მარგიანი-სუბარი, პირველი სერიის თურმეობითთა აფიქსების მიმართება სემანტიკასთან სვანურ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIX, თბილისი.

მარგიანი-სუბარი 2008-2009 — ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბილისი.

მელიქიშვილი 1998 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

ონიანი 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები, I, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჩანტლაძე 1983 — ი. ჩანტლაძე, ასპექტის კატეგორიის ისტორიიდან სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIX სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენების თეზისები, თბილისი.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჩანტლაძე, მარგიანი-დადვანი, მარგიანი-სუბარი, საღლიანი, იოსელიანი 2007-2010 — ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, „კოდორული ქრონიკები“, თბილისი.

ჭუმბურიძე 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.

კოზინცევა 2007 — Козинцева Н., Типология категории засвидетельствованности, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.

ნიცოლოვა 2007 — Ницолова Р., Модализованная эвиденциальная система больгарского языка, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.

სუმბათოვა 2007 — Сумбатова Н., Категория эвиденциальности в сванском языке, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.

იაკობსონი 1972 — Якобсон Р., Шифтеры, глагольные категории и русский глагол, Москва.

ბოედერი 2002 — Boeder W., Speech and thought representation in the Kartvelian (South Caucasian) Languages, Typological Studies in Language, 52, Amsterdam/Philadelphia.

ვილიტი 1988 — Willett Th., A cross-linguistic survey of evidentiality, Studies in Language.

Ketevan Margini-Subari

On the Subject of the Homonymous Suffix **-un** in the Svan Language

S u m m a r y

The suffix –**un** has a lot of functions in the Svan verbal forms. It is a main version of the morpheme of causative (**äsq̣i – xäsq̣une / xäsq̣unäwne** "aḳetebs – aḳetebineba") and is used in the modal verbs, which express wishes (**xäçduni/xaçeduni** ”One does want to see him/her”, **xäznuni/xazwni** ”One does want to go”). It is also used in several screeves of the transitive verbs and in the verbs the subjects of which change their cases (Future imperfective tense: **agämwni** (bz.), **igmuni** (bk.) – “ašenebdes ikneba”; inferential I: **xägmüna\xägmina, xägmuna** "ašenebda (zed)/ušenebda turme"; inferential II: **ləmgämwne li/ləmgämwin** "ašenebda turme, našeneba") where **the function of this formant is not clear and there is not its exact qualification in the special literature**.

Do these formants coincide with each other just materially or they have functional similarities?

Is their same origin possible?

To our opinion, in these screeves the analyzing affixes have the same origin and functions – expressing evidence in tense and mood forms: a speaker expresses that he has gained the information from another source when using these verbs; In all examples the verbs shows actions about which the speaker gained the information from others and in this case the source is verbality (**xäjrna < *xäjrwna** (bz.), **xäjr-un-a** (bk.) "açerda/uçerda turme", **ləmīr-n-e li** (<**ləməirneli**) || **ləmīr-wn-e li** (bz.)**, ləmijrwin** (<**lə-mə-ir-win**) || **ləməjrune li** (bk.) "çerda turme") or the speaker assumes it on the basis of the facts and the knowledge – in this case the source is inference.

In the Svan language epistemic forms of evidence based on verbality and gained from inference are marked just when they are indirect and the speaker characterizes them as gained from another source or he considers that the

information told by him is ambiguous. We think that the morphological marker is suffix –un in such cases. Direct evidence (neutral forms) does not need special marking.

So, in Svan evidence is an unchangeable conjugation category, an element of a screeve (A. Shanidze called it “mc̣ḳrivši ucvalebeli”): “Unchangeable categories are the spine of screeves. In Georgian the element of screeves are tense, mood, so called “gzisoba” and “tanamdevroba”. In other languages the elements may be more and that increase the amount of screeves”(A. Shanidze). So, the existence of evidence may be one of the reasons of such a great amount of screaves in Svan than in Georgian.

თამარ მახარობლიძე

ზმნისწინის ექვსი ფუნქცია
და ზმნისწინთა კლასიფიკაცია

ქართულ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ ზმნისწინს აქვს 4 ფუნქცია, თუმცა აქაც გვაქვს განსხვავებული კლასიფიკაციები. ა. შანიძის მიხედვით, ზმნისწინს შეუძლია

1. „აღნიშნოს მიმართულება და, ამასთან ერთად,
2. ორიენტაცია,
3. სრულ სახით წარმოგვიდგინოს მოქმედება და
4. აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა“ (შანიძე1980, 239)

ა. ჩიქობავას მიხედვით,

1. „ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას, თუ ზმნა გულსიხმობს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებას,
2. ზმნისწინი აღნიშნავს მოქმედების დამთავრებას,
3. აწმყოსაგან აწარმოებს მყოფადს და
4. შეუძლია არსებითად ცვალოს ზმნის მნიშვნელობა“ (ჩიქობავა, 1937, 41).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზმნისწინის ფუნქციები ურთიერთგამომრიცხავი არ არის და ისინი ხშირად თანადროულად მოქმედებენ. რამდენადაც გეზი და ორიენტაცია ერთმანეთთან ახლომდგომი, მაგრამ სხვადასხვა კატეგორიებია, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზმნისწინის ეს ორი ფუნქცია ცალ-ცალკე უნდა აღინიშნოს. ამ საკითხში ვიზიარებთ ა. შანიძის პოზიციას. ასევე სხვადასხვა ფუნქციებად უნდა მივიჩნოთ მწკრივთა წარმოება და ასპექტის წარმოება, აქ ჩვენ ვეთანხმებით ა. ჩიქობავას კლასიფიკაციას.

ამასწინათ ჩვენ გამოვეცით ლინგვისტური წერილების პირველი ნაწილი, სადაც არის წარმოდგენილი წერილი ზმნისწინის მეხუთე ფუნქციის შესახებ (გვ. 124-128). ჩვენი თვალსაზრისით, ზმნისწინს აქვს მეხუთე ფუნქციაც. ეს არის პირიანობის ცვლა ზმნაში. ზმნისწინის სემანტიკიდან

გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ ზმნის პირიანობის კლება და მატება ძირითადად ეხება ლოკალურ აქტანტს — ირიბ ობიექტს.

პირიანობის მატებისას გამოვყოფთ ორ შემთხვევას:

1. პირიანობის ზრდა ხდება ზმნისწინის ცვლით:

დაარღვია მან ის — შემოარღვია მან მას ის

ააშენა მან ის — მოაშენა მან მას ის /მიაშენა მან მას ის /დააააშენა მან მას ის

დავწერე მე ის (აღვწერე / ამოვწერე / გადავწერე) — მოვწერე მე მას ის / მივწერე მე მას ის

დავწმინდე მე ის/ისინი — მოვწმინდე მე მას ის /გადავწმინდე მე მას ის /შემოვწმინდე მე მას ის

გავტეხე მე ის — მოვტეხე მე მას ის

გავჭერი/დავჭერი მე ის — მოვჭერი/შემოვჭერი მე ის მას

გავკრიჭე მე ის — მოვკრიჭე/შემოვკრიჭე/გადავკრიჭე მე ის მას

გავწყვიტე/შევწყვიტე მე ის — მოვწყვიტე/დავწყვიტე მე ის მას

გავწიწკნე/დავწიწკნე მე ის — მოვწიწკნე/გამოვწიწკნე მე ის მას

გავწუწნე მე ის — მოვწუწნე/გამოვწუწნე მე ის მას

გავგლიჯე მე ის — მოვგლიჯე მე ის მას

დავწანი მე ის — შემოვწანი მე მას ის /გადავწანი მე მას ის

შევახვიე მე ის — შემოვახვიე მე ის მას /დავახვიე მე ის მას

გავყიდე მე ის — მივყიდე მე ის მას

დავაბი/გავაბი მე ის — გამოვაბი/მივაბი/შევაბი მე ის მას

გავასხი მე ის — მივასხი/შევასხი/შემოვასხი მე ის მას

დავხსენი/გავხსენი მე ის — მოვხსენი/შემოვხსენი მე ის მას

გავარღვიე/დავარღვიე/ამოვარღვიე მე ის — შემოვარღვიე/მოვარღვიე/ავარღვიე/შევარღვიე — მე ის მას

გავეცი მე ის — მივეცი მე ის მას

დავდე/ჩავდე/შევდე მე ის — გამოვდე/მოვდე მე ის მას

შევჭამე მე ის — მოვჭამე მე ის მას

გავკბიჩე მე ის — მოვკბიჩე/ჩამოვკბიჩე/გამოვკბიჩე მე ის მას

გავჯიჯგნე/დავჯიჯგნე მე ის — მოვჯიჯგნე/გამოვჯიჯგნე მე ის მას

დავდივარ მე — გადავდივარ მე მას

გავაბნიე მე ის — მივაბნიე მე ის მას

დაცურავს ის — გადაცურავს ის მას

გავკივი მე (მას) — დავკივი მე (მას) მას

გარბის ის — გადარბის ის მას

დადის/შედის/ჩადის ის — გადადის ის მას
წავალ/ჩავალ/შევალ/მოვალ/მივალ მე — გადავალ მე მას
გავკვეთე მე ის — მოვკვეთე მე ის მას
დავაძრე/გავაძრე მე ის — მოვაძრე/გამოვაძრე/გადავაძრე მე ის მას
გავკიდე/დავკიდე მე ის — გადავკიდე/ჩამოვკიდე მე ის მას
გავაბი/დავაბი მე ის — გამოვაბი/მოვაბი მე ის მას
გავფშვნიტე/დავფშვნიტე მე ის — გამოვფშვნიტე/მოვფშვნიტე მე ის მას
გავჭყლიტე/დავჭყლიტე მე ის — გამოვჭყლიტე/მოვჭყლიტე მე ის მას
დავანგრიე მე ის — მოვანგრიე მე ის მას
დავაწყვე მე ისინი — მივაწყვე მე ისინი მას
გავწურე/დავწურე მე ის — გამოვწურე მე ის მას

ფორმები მკრთალი ირიბი ობიექტით ზმნისწინის შეცვლისას გამოკვეთავენ ლოკალურ აქტანტს.

დავწყვიტე მე ის/ისინი (მას) — მოვწყვიტე მე ის მას
დავტეხე მე ისინი (მას) — მოვტეხე მე ისინი მას
დავგლიჯე მე ის/ისინი (მას) — მოვგლიჯე მე ის/ისინი მას
დავასხი მე ის/ისინი (მას) — მოვასხი მე ის/ისინი მას

მკრთალი ირიბი ობიექტის მქონე ზოგ უზმნისწინო ფორმებშიც ზმნისწინის დართვით გამოიკვეთება ლოკალური აქტანტი:

ვგლიჯე მე ის (მას) — მოვგლიჯე მე მას ის
ვტეხე მე ის/ისინი(მას) — მოვტეხე მე მას ის/ისინი
ვწმინდე მე ის (მას) — გადავწმინდე მე მას ის /შემოვწმინდე მე მას ის
ვწყვიტე მე ის (მას) — მოვწყვიტე მე მას ის

ზოგ ფორმაში სინტაქსური ფონი უკეთ აზუსტებს ზმნის აქტანტებს:

დავაკერე — მე ის (კაბა) — შემოვაკერე მე მას ის
დავაკერე — მე კაბა — დავაკერე მე კაბას ღილი
გადავწმინდე მე ის (მტვერი) — შემოვწმინდე მე ის მას
გადავწმინდე მე მაგიდა — გადავწმინდე მე მტვერი მაგიდას

აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფორმები „ააშენა“ და „დააშენა“ (ან „დახაშენა“) ერთმანეთისგან განსხვავდება ზმნისწინითა და პირის ნიშნით, რომელიც შეიძლება ნულოვანი მორფემითაც იყოს გადმოცემული. ეს საკვლევი გასაგები მოვლენაა. ზმნისწინს ზმნის მოქმედებაში შემოჰყავს ირიბი ობიექტი (ლოკალური აქტანტი) და ეს ობიეტი, ცხადია, თავისი შესაბამისი რეფერენტებით შემოდის ზმნის მორფოლოგიაში.

2. პირიანობის ზრდა ხდება ზმნისწინის დამატებით:

ვტირი მე — დავტირი მე მას

ვყვირი მე — დავყვირი მე მას

ვწერე მე ის — მოვწერე მე მას ის / მივწერე მე მას ის

ვწანი მე ის — შემოვაწანი მე მას ის /გადავაწანი მე მას ის

ვახვიე მე ის — შემოვახვიე მე ის მას /დავახვიე მე ის მას /მოვახვიე მე ის მას

ვჭამ მე მას — მოვჭამ მე მას მას

ვკივი მე (მას) — დავკივი მე (მას) მას

ვიარე მე — გადავიარე მე ის

ვცურავ მე — გადავცურავ მე მას

ვიფრინე მე — გადავიფრინე მე ის

ვფშვნიტე მე ის — გამოვფშვნიტე/მოვფშვნიტე მე ის მას

ვჭყლიტე მე ის — გამოვჭყლიტე/მოვჭყლიტე მე ის მას

ვანგრიე მე ის — მოვანგრიე მე ის მას

ვაწყვე მე ისინი — მივაწყვე მე ისინი მას

ვწურე მე ის — გამოვწურე მე ის მას

ვგლიჯე მე ის — მოვგლიჯე მე მას ის

ვტეხე მე ის/ისინი — მოვტეხე მე მას ის/ისინი

ვწმინდე მე ის — გადავწმინდე მე მას ის /შემოვწმინდე მე მას ის

ვწყვიტე მე ის — მოვწყვიტე მე მას ის

ფორმებში **ვწმინდე, ვწყვიტე, ვგლიჯე, ვტეხე** შეიძლება სამი პირიც იქნას დანახული — მე მას ის, მაგრამ თანამედროვე ქართული ენა ამ ფორმებს ძირითადად ორპირიანად გაიზრებს. ამ უზმნისწინო ფორმებში მკრთალია ლოკალური აქტანტი და როდესაც ამ აქტანტის გამოკვეთაა საჭირო, ეს სწორედაც, რომ ზმნისწინის დახმარებით ხდება და შესაბამისი ზმნსიწინიანი ფორმები **მოვწმინდე, მოვწყვიტე, მოვგლიჯე, მოვტეხე** ცალსახად სამპირიანია. უფრო მეტიც, დაპირისპირება ამ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს შორის პირიანობის მიხედვით არის გააზრებული ასპექტთან ერთად.

საინტერესოა, რომ მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში ზმნისწინით შემოყვანილი ლოკალური აქტანტი პირდაპირი ობიექტის ფორმისაა, რადგანაც ამ ზმნათა დიდი უმეტესობა მედიოაქტიურია და ამით ივსება ის მოთხოვნილება გარდამავლობაზე, რაც თავისათავად არსებობს მედიოაქტივებში. ხშირად **გადა**- ზმნისწინი, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, აჩენს ბარიერის შესაბამის აქტანტს ზმნაში.

დაცურავს ის — გადაცურავს ის მას
გავკივი მე (მას) — დავკივი მე (მას) მას
გარბის ის — გადარბის ის მას
დადის/შედის/ჩადის ის — გადადის ის მას
წავალ/ჩავალ/შევალ/მოვალ/მივალ მე — გადავალ მე მას
ვიარე მე — გადავიარე მე ის
ვცურავ მე — გადავცურავ მე მას
ვიფრინე მე — გადავიფრინე მე ის

ზმნაში პირიანობის კლება ხდება იმავე ორი გზით — ფორმაში ზმნისწინის შეცვლით ან მისი დამატებით. ამ პირველი შემთხვევისათვის იგივე მაგალითები გამოდგება შებრუნებული ფორმატით:

შემოარღვია მან მას ის - დაარღვია მან ის

მოაშენა მან მას ის /მიაშენა მან მას ის /დააშენა მან მას ის — აა-შენა მან ის და ა.შ.

რაც შეეხება პირის კლებას ზმნისწინის დამატებით, ეს შედარებით სუსტადაა გამოხატული. ამის მაგალითია — **ვკითხე** მე მას ის — **და-ვკითხე** მე ის, თუმცა აქ უფრო მეოთხე ფუნქციასთან გვაქვს საქმე. საერთოდ, საკმაოდ ხშირია ზმნისწინის ფუნქციათა გადაკვეთა.

ამრიგად, ზმნისწინს აქვს ექვსი ფუნქცია:

1. გეზის გამოხატვა,
2. ორიენტაციის გამოხატვა,
3. ასპექტის დასრულება,
4. მწკრივის ფორმათა წარმოება,
5. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა,
6. ზმნის პირიანობის ცვლა.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზოგი ზმნისწინი ზმნის პირიანობის გაზრდას ემსახურება, ზოგი კი პირიქით. მაგალითად, ზმნისწინები **გა**-, **და**-მეტი სიხშირით პირის კლებაში მონაწილეობენ (**მოვტეხე** მე მას ის — **გა-ვტეხე** მე ის, მივწერე მე მას ის — დავწერე მე ის, და ა.შ.); ხოლო ზმნისწინები **მო**-, **შემო**- **მი**- ზრდიან პირთა რაოდენობას და ზმნის მორფოლოგიაში შემოჰყავთ ლოკალური აქტანტი — ირიბი ობიექტი (**დავარღვიე** მე ის — **მოვარღვიე/შემოვარღვიე** მე ის მას, **შემოვარღვიე**, **დავწერე** მე ის — **მივწერე** მე ის მას და ა.შ.)

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნისწინი თავის თავზე იღებს ხმოვან პრეფიქსთა ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას — პირიანობის

კლება-მატებას. ეს კი სავსებით ახსნადი და გასაგები მოვლენაა ენის განვითარების ეკონომიკის უნივერსალური პრინციპიდან გამომდინარე. ენაში გვაქვს ორი ტიპის შემთხვევა:

1. ზმნისწინი ზრდის პირიანობას ხმოვანი პრეფიქსის გარეშე (გავტეხე მე ის — მოვტეხე მე მას ის, გავგლიჯე მე ის — მოვგლიჯე მე ის მას, შევჭამე მე ის — მოვჭამე მე ის მას და სხვ.)
2. ზმნისწინი ზრდის პირიანობას ხმოვან პრეფიქსთან ერთად, თუმცა ხმოვანი პრეფიქსის დართვა არაობლიგატორულია (გავტეხე მე ის — მოვატეხე მე მას ის, გავგლიჯე მე ის — მოვაგლიჯე მე ის მას, შევჭამე მე ის — მოვაჭამე მე ის მას და სხვ.)

ზმნისწინის მეხუთე ფუნქციას ადასტურებს მეგრული მასალაც:

1. პირიანობის ზრდა და კლება ზმნისწინის ცვლით:

თიქ დო-დირთ (დადგა) — მა-დირთ (მოადგა) თიქ თის
თიქ მო-რთ (მოვიდა) — გინო-რთ თიქ თის (გადაიარა)

2. პირიანობის ზრდა ზმნისწინის დამატებით:

რექ სი (ხარ შენ) — ალა-რექ სი თის (დგახარ/ხარ შენ მასთან)
ჯანუდგ თინა (იწვა ის) — გე-ჯანუდგ თინა თის (იწვა ის მასზე)
ნწკარუდ თინა (ელაგა ის) — გლა-ნწკარუდ თინა თის (ელაგა ის მასზე)
ჩირთ თიქ (შეცდა იგი) — აშა-ჩირთ თიქ თის (შეეშალა მას იგი)
სხაპუ თიქ (გადახტა ის) — ქინა-სხაპუ თიქ თის (ჩახტა ის მასში)

(ზემოთ მოყვანილი ზანურის მასალა ეკუთვნის ლელა ბელქანიას — ზმნისწინთა ფუნქციებისათვის მეგრულში; სამაგისტრო ნაშრომი, თსუ. 2006. გვ 44-45)

პირიანობის კლება-მატების თვალსაზრისით, შესაძლოა, ზმნისწინთა გრადაციების სქემის ჩამოყალიბება. შეგვიძლია სისტემის შექმნა პირის კლებიდან მატებისკენან პირიქით. მაგალითად, პირის კლებიდან მატებისკენ ორიენტირებული სქემა ასე დალაგდება: **გა**- **და**- **წა**- **გამო**- **ამო**- **ჩა**- **ა**- **შე**- **ჩამო**- **წამო**- **გადა**- **გადმო**- **მი**- **მო**- **შემო**- ეს დასკვნა ჩვენი მაგალითებიდან გამომდინარეობს, თუმცა უმჯობესი იქნებოდა ამ კუთხით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მასალის სრულყოფილი განხილვა. ამავე ლექსიკონის მონაცემებზე დაყრდნობით ზმნებს შეგვიძლია ინდექსებიც მივანიჭოთ, იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის ზმნისწინებს დაირთავენ და როგორი სემანტიკური დიაპაზონი აქვთ. ამ ტიპის სრულყოფილი ანალიზი ენის როგორც ფორმობრივი და ფუნქციური სისტემის თანადროულ გააზ-

რებაში დაგვეხმარებოდა; ასევე ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა უცხოელთათვის ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით, ენის მოდელირებისათვის და კომპიუტერული ლინგვისტიკისათვის.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზმნისწინითა კლასიფიკაციისათვის საინტერესოა ზმნის უნარი მიიღოს გარკვეული რაოდენობის პრევერბები. თანამედროვე ქართულში გვაქვს 16 ზმნისწინი და, შესაბამისად, თეორიულად გვექნება 17 ფორმა, სადაც ერთი იქნება ნულოვანი. ამ კლასიფიკაციაში ზმნები მისაერთებული ზმნისწინების შესაძლო ვარიაციების მიხედვით იქნება დაჯგუფებული. ცხადია, 17 ფორმა ზმნათა მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია ჰქონდეს, თუმცა აქ რამდენიმე ფორმა შეიძლება საკმაოდ ხელოვნურად გამოიყურებოდეს.

0/მი/მო/მიმო/ა/ამო/და/შე/შემო/გა/გამო/გადა/გადმო/ჩა/ჩამო/წა/წამო ა აშენებს; -ხატავს, -წერს (თუმცა აქ) და ა.შ. შედარებით მეტია ზმნები, რომლებიც ხუთიდან რვამდე ზმნისწინს დაირთავენ. საერთოდ, სასურველია, კლასიფიკაციის დაწყება მინიმალური ფორმებიდან და, შესაბამისად, მზარდი და გარდამავალი ცხრილების მიღება. ახალი განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით უკვე ადვილია ამ ჯგუფების დეტალური დაკონკრეტება.

ზემოხსენებული კლასიფიკაციისათვის პირველი სამი ჯგუფი არის შედარებით რთული გამოსაყოფი. ეს ჯგუფებია:

1. აბსოლუტურად ნულოვანი ანუ უზმნისწინო ფორმები. კონკრეტული ზმნის ფორმა შეიძლება იყოს ნულოვანი მაგალითად - **წერს**, **ხატავს** და სხვ. მაგრამ ამ ტიპის ზმნები ვერ ჩაითვლება აბსოლუტურად ნულოვან ფორმებად, რადგანაც ეს ზმნები მიიღებენ ზმნისწინებს. ამ ჯგუფში შევა ის ზმნები, რომლებიც არასოდეს დაირთავენ ზმნისწინს: ყოფნა ზმნის ყველა ფორმა — **ვარ/ხარ/არის/ვართ/ხართ/არიან**, **უთხრა**, **აქვს**, **ჰყავს**, **ეტყვის**, ცხოვრობს, **გალობს**. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიალექტებში შეიძლება შეგვხვდეს **ა-ცხოვრდა** ტიპის ფორმები, მაგრამ ეს ვერ ჩაითვლება მისღებად, სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით. რაც შეეხება ქონა-ყოლა ზმნას, უნდა ითქვას, რომ **წაღება/მოტანა** და **წაყვანა** ფუძემონაცვლე ზმნები სწორედ ამ ქონა-ყოლა ზმნათა ფორმებს გამოიყენებენ როგორც ზმნისწინიან ფორმებს (**და/მი/მო/გამო/გადმო-აქვს**, **და/მი/მო/გამო/გადმო-ჰყავს**).

ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია ზოგიერთი ფორმა, რომელთაც ა. შანიძე (გვ.274) მიიჩნევს უზმნისწინოდ. მაგალითად, უზმნისწინო ფორმებად ვერ

ჩაითვლება: თქვა (გამოთქვა, გადათქვა), ილოცავს (დაილოცავს/მოილოცავს), იყიდის (გაყიდის/გადაყიდის/გაუყიდის ა თუმცა აქ ვერსიასთან ერთად მუშაობს ზმნისწინი).

2. მეორე ჯგუფი არის უალტერნატივო ფორმები. ეს არის ზმნები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ზმნისწინი აქვთ და სხვა ზმნისწინს ვერ მიიღებენ. ესენია; **წახემსება**, **მოშიება** (ძვ. ქართ. შეემშია), **გაღიმება**, **დანაყრება**, **დამშევა**, **დაცინვა**, **განვრცობა** და სხვ. ამ ტიპის ზმნათა დიდი ნაწილი იშვიათად ან საერთოდ არ გვხვდება უზმნისწინო ფორმებით.
3. მესამე ჯგუფი არის მხოლოდ ერთი ალტერნატივის მქონე ფორმები. ამ ტიპის ზმნებს მხოლოდ ორი ზმნისწინი დაერთვის. აქ ორი ქვეჯგუფის გამოყოფა შეიძლება:

ა. ზმნები, რომელთაც ორიენტაციის მიხედვით აქვთ ორი ზმნისწინის დართვის შესაძლებლობა, ამდენად, ეს ჯგუფი უფრო ახლოა პირველ ჯგუფთან. ეს ზმნებია:

გააკაჟა/გამოაკაჟა, **გააცოცხლა/გამოაცოცხლა**, **გაადიდა-გამოადიდა**, **გა(ნ)თავისუფლება/გამოთავისუფლება** და სხვ. თუმცა აქ შეიძლება ინტენსივობის „და“-მ კიდევ ერთი ფორმა დაუმატოს ზემოჩამოთვლილ ფორმებს და ეს ქვეჯგუფი მთლიანად მოაქციოს მეოთხე ჯგუფში. ამის გამო, დასაშვებია, ამ ტიპის ზმნების გარდამავალ საკლასიფიკაციო ფორმებად მივიჩნევა.

ბ. ზმნები, რომელთაც ორი ზმნისწინის დართვა შეუძლიათ: **შერცხვენა/დარცხვენა**; **შეშინება/დაშინება**, **დაპატარავება/შეპატარავება**, **შებრძოლება/გამბრძოლება**, **შეყვარება/გადაყვარება** და ა. შ.

ჩვენი მოდელის მიხედვით ამ საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ მკვლევარს შეუძლია სათანადო ჯგუფების დადგენა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ბაზაზე.

ზმნისწინზე საუბრისას აუცილებლად მიგვაჩნია მისი დერივაციული ფუნქციის ხაზგასმა. უდიდესია ზმნისწინის გავლენა ზმნის სემანტიკურ ველზე. რომ აღარაფერი ვთქვათ პრევერბის წმინდა დერივაციულ ფუნქციებზე, მაშინაც კი, როდესაც მწკრივის ფორმებს აწარმოებს ზმნისწინი, ზმნის სემანტიკური ველი გულგრილი ვერ რჩება მის მიმართ. ის, რაც სახელებში სიტყვათწარმოების აფიქსთა მთელი სისტემითაა წარმოდგენილი, წარმოქმნის თვალსაზრისით, თითქმის იმავე წონის გახლავთ ზმნისწინები ზმნაში. ცხადია, კონკრეტულ ზმნის ფორმებს ერთდროულად გააჩნიათ სხვადასხვა კატეგორიები და ამდენად, ხშირად კომბინაციაში ხდება ზმნუ-

რი დერივაცია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ზმნისწინის დერივაციული როლი ქცევასთან და კაუზაციასთან ერთობლიობაში. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვინდა, გავამახვილოთ ყურადღება დამოუკიდებლად ზმნისწინზე, როგორც ახალი სემანტიკის მაწარმოებელზე. ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი ზმნები:

წა/და/გამო/შე/მო-კითხვა,

აღნიშვნა /შენიშვნა /ჩანიშვნა /დანიშვნა /მონიშვნა,

დანახვა /შენახვა /მონახვა /გადანახვა /გამონახვა,

განცდა /დაცდა /მოცდა /გაცდა /შეცდა /0ცდა,

დათვლა /ჩათვლა /გადათვლა /გამოთვლა /მითვლა /შეთვლა /შემოთვლა /ათვლა /თვლა,

გაგება /შეგება /დაგება /წაგება /მოგება /მიგება,

დახვედარ /შეხვედარა /მოხვედრა /მიხვედრა,

ჩართვა /შერთვა /გამორთვა /მორთვა /დართვა /გადართვა,

გაშლა /ჩაშლა /აშლა /წაშლა /გადაშლა /მოშლა

დასმა/წასმა/მოსმა/გადასმა/შესმა და ა. შ.

შესაძლებელია ზმნისწინის დერივაციულ სემანტიკათა სისტემური გააზრება და გარკვეული ჯგუფების გამოვლენა, მაგალითად: ოდნაობითობის მაწარმოებელი ზმნისწინებია **წა**-, **შე**-, უნებლიობის სემანტიკის მქონეა შემო- და ა. შ.

მნიშვნელოვანია, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის ფაქტი **და**- ზმნისწინის მიერ რიგ ზმნებთან, მაგ: **გამო-აცხო** პური, და-**აცხო** პურები, **გაკიდა** ერთი ნივთი, **დაკიდა** ნივთები და სხვ. ეს მოვლენა ცალკე ფუნქციად არ გამოვყავით, რამდენადაც მხოლოდ ერთ ზმნისწინს (**და**-) აქვს ასეთი მორფოლოგიური შესაძლებლობა, თუმცა, თავის მხრივ, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ფაქტორია.

ზმნისწინის ექვსიდან ხუთი ფუნქცია არის დერივაციული. პირველი ორი ფუნქცია (გეზი და ორიენტაცია) არის ვექტორული კატეგორიები და, ცხადია, არის დერივაციული ხასიათის მქონე. მკვეთრად დერივაციულია მეხუთე და მეექვსე ფუნქციებიც (მნიშვნელობის ცვლა და პირიანობის ცვლა), რაც შეეხება ასპექტსა და მწკრივთა წარმოებას, აქაც ადგილი აქვს სემანტიკური ველის გადაწევას.

მიუხედავად იმისა, რომ ზმნისწინს აქვს კონკრეტული ფლექსიური ფუნქცია — მწკრივის ფორმათა წარმოება უღლებისას, რის გამოც იგი მიჩნეულია ფლექსიურ აფიქსად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით,

ჩვენ დავასკვნით, რომ ეს აფიქსები (ზმნისწინები), უპირველეს ყოვლისა, არის დერივაციული შინაარსის მქონე.

ლიტერატურა

ასათიანი 1952 — ი. ასათიანი, ზმნისწინები ზანურში, თბ., 1952.

ბელქანია 2006 — ლ. ბელქანია, ზმნისწინთა ფუნქციებისათვის მეგრულში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ. 2006.

ვეშაპიძე 1965 — ი. ვეშაპიძე, ზმნისწინის, თანდებულისა და ზმნიზედის ურთიერთდამოკიდებულება, თსუ შრომები, 96, 1965

ვეშაპიძე 1967 — ი. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967

მახარობლიძე 2009 — თ. მახარობლიძე, ლინგვისტური წერილები. I, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2009

მარტიროსოვი 1953 — ა. მარტიროსოვი, ზმნისწინის შემდგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში. იკე., თბილისი 1953

უთურგაიძე 2002 — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისთვის ქართულ ზმნაში, თბილისი, 2002.

ქობალავა 2002 — ბ. ქობალავა, გე-ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2002

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი. 1973.

Tamar Makharoblidze

The Functions of Georgian Preverbs

Summary

According the traditional kartvelian linguistics preverbs in Georgian have four functions. We expose the six functions for Georgian preverbs:

1. Showing the direction of a verbal act,
2. Showing the orientation in the verbs,
3. Producing the full forms of so called “aspect” /or perfecting the forms,
4. Producing the new rows of conjugation,
5. Changing the meaning of the word,

6. Changing the verbal personality.

The coexistence of these functions is very frequent. This is the first time when the sixth function (preverbs can change the verbal personality) is exposed. It's very natural that the verbal argument which appears or disappears by adding or changing the preverbs is the indirect object with the meaning of a local verbal person.

Increasing the verbal personality by changing the preverbs:

daarghvia man –S, is-Od. or gaarghvia –S, is-Od. compare with shemoarghvia man –S, is-Od. mas-Od.

aashena man –S, is-Od compare with moashena man –S, is-Od. mas-Od or daashena man –S, is-Od. mas-Od.

davts'ere / ag'vts'ere / amovts'ere / gadavts'ere me-S, is-Od compare with movts'ere / mivts'ere me-S, is-Oind., mas-Od.

gavtekhe me-S, is/isini-Od. compare with movtekhe me-S, is-Oind. mas-Od.

shevakhvie me-S, is-Od. s compare with shemovakhvie /davaxvie me-S, is-Oind., mas-Od.

Increasing the verbal personality by adding the preverbs:

v'tiri me-S compare with davt'iri me-S, mas-Oind.

vy'viri me-S compare with davy'viri me-S, mas-Oind.

Some preverbs are increasing the verbal personality (shemo-, mo-), while some others are reducing it (ga-da-). We offer you the specific preverbal index for Georgian verbs and a new classification for preverbs as well.

There are the maximum 17 forms of preverb's oppositions. But of course not every verb can accept all these theoretically possible forms. Our classification begins from the minimal number of forms and grows up to the maximum number for the opposition forms.

Preverbs in Georgian are considered as the flexional affixes, while their five functions (among the above mentioned six functions) are derivational. Preverbs are very active word-producing affixes in the verbal system with the impressive influence on the poly-personal verbal semantics.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

სოფელ ტინისხიდის ონომასტიკონი

„სოფელი მდებარეობს ქალაქ გორის დასავლეთით, სადაც ესაზღვრება სოფელ რუისის ქედი, სამხრეთით — თრიალეთის ქედი. ვახუშტი აღწერს ტინისხიდს და აღნიშნავს: „გორის დასავლეთით არს მთა რუისისა ტინის-ხიდით თედოწმინდით სასირეთამდე და მტკვრამდე, მცირე ადგილს ტყიანი, სახნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად, უწყლო და ადგილს-ადგილს დის წყარონი მცირენი მტკვრის პირად ღრანტოიან-კლდიანი“...[1]

უნდა ვივარაუდოთ, რომ სოფელს სახელწოდება დაერქვა კლდის გამო, ხოლო ტინი ძველი ქართულით კლდეს აღნიშნავს და აკი ვახუშტი კიდეც წერს, რომ სოფელი ღრანტიანი და კლდიანიაო.

სოფელს ესაზღვრება აღმოსავლეთიდან მდინარე დიდი ლიახვი, სამცრეთიდან კი მტკვარი. ძველი ხიდი აგებული ყოფილა მდინარე ლიახვზე დაახლოებით იმ ადგილზე, სადაც თანამედროვე ხიდია.[2]

ძველად სოფელი უფრო დაბლა, მტკვრის მარცხენა მხარეს ყოფილა გაშენებული, მაგრამ წყალდიდობისგან შეწუხებული მოსახლეობა უფრო მაღლა ასულა რუისის ქედისკენ და იქ ლოკალიზდება დღევანდელი ტინისხიდი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ზემო ქართლის უთარიღო დავთარი, რომლის მიხედვით მეთვრამეტე საუკუნის ბობოქარ წლებში მორიგე ლაშქარში გამოსვლა ევალებოდათ ტინისხიდელებს. აქ ჩამოთვლილია: ბახჩიაშვილი ბახჩია, ანიაშვილი გოგია, გოგიას ძმა მახურა, ბერელაშვილი იორდანე, ოტიაშვილი ბერუა.[3]

ამ დროისათვის გლეხთა აყრა-გაქცევა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და ეს არის მიზეზი, რომ ბევრი გვარის ხალხი მოსულია სოფელში და წასულებიც საკმაოდაა. სოფელში მცხოვრები ბერელაშვილები მოსულები არიან კახეთიდან, კერძოდ კი გრემიდან XVIII საუკუნეში. ასევე კახეთიდან არიან მოსულები ბერიკაშვილები, იქიდან არიან ანიაშვილები, ქართლის

სოფელ ხელთუბნიდან ფალელაშვილები, ავაზნელები გორის კვერნაკის სოფელ ავაზნიდან და სხვა.

ძველი გვარებიდან სოფელში დარჩა მხოლოდ თავქალაშვილი. დღეს აღარ სახლობენ: მესახასტურაშვილი, იმედაიშვილი, პაატაშვილი, ბიბიტაშვილი, ლალასშვილი, შავერდაშვილი, ოთეღაშვილი, ბახჩიაშვილი, ამირაღაშვილი.

ცნობილია, რომ XIII, XV, XVI და შემდგომ საუკუნეებში სომხები ნელ-ნელა გადმოსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. ისინი ჯერ ქალაქებში, შემდგომ მის მიმდებარე ადგილებში დასახლდნენ, ააგეს გრიგორიანული ეკლესიები და ბევრი გაჭირვებული ქართველი მათ ეკლესიაში შევიდა, გაგრიგორიანდა. ასე ეწოდა ივანეს — ოჰანეზა, გიორგის — გევურქა, მათეს — მათეოს და სხვა. სოფელ ტინისხიდში გაჩნდა გრიგორიანული და კათოლიკური აღმსარებლობის მოსახლეობა. ასე გაჩნდნენ ერთსა და იმავე დროს ტინისხიდსა და გორში ყაზარა და ტერ-ყაზარა, ყაზარაშვილი და ტერ-ყაზაროვი, ასატურაშვილი და ტერ-ასატურაშვილი, ამირაღაშვილი და ამირაღოვი და სხვები, ერთსა და იმავე გვარით ქართველიც იყო და სომეხიც.

სოფელს XVII საუკუნეში გარკვეული წლები ფლობდნენ კათოლიკეები, რომლებსაც წინააღმდეგობა ჰქონდათ სომხებთან.

ნიკიფორე ირბახი იყო ქართველ მეფეთა ელჩი, რომელმაც კათოლიკობა მიიღო. მან არაერთხელ მოახსენა კათოლიკურ სამღვდელობას, რომ ქართველებს თათრობის გარეშე ძლიერ მრავლად ასომხებენო: სომეხნი ქართველ მეგატონეთაგან ყიდულობენ ყმა-გლეხებს და მერე თავიანთ სჯულზე გადაჰყავთო. ასეთ გასომხებულთა რიცხვი მეტად დიდიაო. 1640 წელს პატრი ამბროზიო კონგრეგაციას ასეთი შინაარსის წერილს სწერს: „ჩვენი მონაზნები ამ ქრისტიან ქართველებში დიდ სიკეთეს ქმნას შეძლებენ, რომ მათ შეძლება ჰქონდესთ ქართველთ სოფლების სყიდვის იმ გვარად, როგორც ამას სომხები სჩადიან. თუმცა ქართველებს სომხების დიდი სიმძულვარე აქვთ, ნამეტურ სარმწუნოების მხრივ, გარნა როდესაც სომხების ყმები ხდებიან ბევრი მათგანი გადადის სომხების წესზედ. ქართველები უეჭველია დიდის სიამოვნებით მიიღებენ ლათინის წესსა, თუ ჩვენი ყმები გახდნენ“[4]. ამ ორი სარწმუნოების მიმდევრების ბრძოლა სოფელ ტინისხიდში სომხების გამარჯვებით დამთავრდა და პატრი კათოლიკეები გვიანდელ დოკუმენტებში აღარა ჩანან.

ტინისხიდში გავრცელებული გვარია ავაზნელი. 1754 წელს მეფე ერეკლე მეორემ რევაზ ამილახვარს უბოძა ტინისხიდი, რომელმაც თავისი ყმები კვერნაკის მთიდან, სოფელ ავაზნიდან ჩამოასახლა და გვარიც ნაწარმოებია სადაურობის -ელ სუფიქსით — ავაზნ-ელ-ი.

ანიაშვილიც დიდი გვარია, რომელთა შესახებ ასეთი გადმოცემაა დარჩენილი: ისინი ყოფილან რაჭველი მაისურაძეები. მამის გარდაცვალების შემდეგ დედა ანიას წამოუყვანია თავისი შვილები და დასახლებულა გორიჯვარში. დედის გარდაცვალების შემდეგ შვილები და მათი შთამომავლები დაწერილან ანიაშვილებად, საცხოვრებლად გადმოსულან ტინისხიდში.

ბერიკაშვილი ცხოვრობდა სოფელ ავაზანს, რომელიც ჩამოსახლდა სოფელ ტინისხიდში. ბერიკაშვილი გვარი მიღებულია სახელ ბერიკასაგან, რომელიც დასახელებულია XVII საუკუნის მეორე ნახევრის საამილახვროს დავთარში.

სოფელში ასევე შედარებით დიდი გვარები არიან: ბერძენაძე, მუნჯიშვილი, ბერელაშვილი, თავქალაშვილი, ბაინდურაშვილი, ზალუასშვილი, შავერდაშვილი, უსუფაშვილი, თურმანიძე, იორამაშვილი, რევაზიშვილი, ჭუჭყიანი, სტეფანიშვილი, ფალელაშვილი, შოშიაშვილი, ჯოჯიშვილი, კოშორიძე, ტეტუნაშვილი, მახარაშვილი, თუმანიშვილი.

სულ სოფელში ასამდე გვარი დავაფიქსირეთ, რომელთაგან შვილზე ბოლოვდება 65, ძეზე — 24, -ელ სუფიქსიანი — სამი. დანარჩენი მიღებულია რუსული და ორი აზერბაიჯანული მოდელით — ოღლი.

სოფელ ტინისხიდის ტოპონიმთა და ანთროპონიმთა წარმოება არ განსხვავდება საერთო ქართველური მოდელებისაგან.

-ებ სუფიქსი ფართოდაა გავრცელებული: ძეძვნარ-ებ-ი (მინდორი), შლამეც-ებ-ი (ბაღი), ჩუტე-ებ-ი (სახნავი), გოჭაურ-ებ-ი (საძოვარი), ზვრ-ებ-ი (ყოფილი ვენახების ადგილი), ვარცლ-ებ-ი (მინდორი), ტბ-ებ-ი (სახნავები), გოხე-ებ-ი (საძოვარი), დრეკილ-ებ-ი (ქედები), ჭალ-ებ-ი და სხვა. მაგ.: ჭალ-ებ-ი და მისთანანი ბევრ ჭალას კი არ ნიშანვს, არამედ იმას, რომ ეს ადგილები შედარებით დიდი და გამორჩეულია.

მიკროტოპონიმიკაში გვხვდება საკუთარი სახელებისაგან შემდგარი ფონდის წარმოება საკუთრების ფუნქციით: თეთუნაანთ ჭალა (თეთუნაშვილი), კოშორიაანთ ბაღი (კოშორიძე), მახარაანთ უბანი, ანიაანთ უბანი, ბერიკაანთ უბანი, თუმანიანთ უბანი (მახარაშვილი, ანიაშვილი, ბერიკაშვილი, თუმანიშვილი) და სხვა.

გვხვდება -ნა პრეფიქსური წარმოება, რომელიც ყოფილობას აღნიშნავს: ნა-ბაღარი, ნა-რუალები, ნა-ტბეურები, ნა-საყდრალი, ნა-დარბაზევი, ნა-ციხარი, ნა-სერალი, ნა-პურალი და სხვები.

სოფელ ტინისხიდში ბევრი საინტერესო ტოპონიმი და გვარია, რომელთა აღნუსხვა და შესწავლა ხელს შეუწყობს არამარტო ამ სოფლის, არამედ ახლომდებარე პუნქტის მონოგრაფიულად შესწავლას.

ლიტერატურა

ბაგრატიონი, 1973 — ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973.

კვეზერელი-კოპაძე, 1972 — ნ. კვეზერელი-კოპაძე, საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd — II, 644.

ქართველი გრიგორიანები, სომხის სარწმუნოების ქართველები, ისტორიული მიმოხილვა შავშელისა, 1902.

N. Otinashvili

The Onomasticon of the Village Tiniskhidi

Summary

The country Tiniskhidi is situated in the west of Gori. The name of the village comes from the word – Tini, which denotes a cliff. The Cliff Bridge was placed over the river Liakhvi, which was a junction of Gori and Tiniskhidi. In the village there are about hundred family names. Some of the old ones don’t exist there now. The village is rich in toponyms, the formation of which is possible by means of the Georgian Language.

დიანა ულენტი

წყვეტილის ზოგიერთი სემანტიკური თავისებურებების შესახებ ქართულში

წარსული დროის ფორმები საკმაოდ არის გავრცელებული ქართულში, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ასევე ზეპირმეტყველებაში. [კვანტალიანი, 1990, 35]. შარლ ბალი წერს, რომ სწორედ ცოცხალი სასაუბრო ხალხური მეტყველება უნდა იყოს ენის ყოველგვარი სტატიკური შესწავლის ძირითადი ობიექტი [ბალი, 1955, 7].

გავრცელების თვალსაზრისით, ყველაზე პროდუქტიულია წყვეტილის მწკრივით გადმოცემული წარსული დრო. განვიხილავთ ამ მწკრივის ზოგიერთ სემანტიკურ თავისებურებას.

პრევერბიანი წყვეტილი მეტად მოქნილია რაიმე ამბის გადმოსაცემად. კერძოდ, იგი ხშირად არის გამოყენებული მოქმედების მხატვრული აღწერის დროს. ამ შემთხვევაში მხატვრული ხერხებიდან უმეტესად იხმარება გაპიროვნება. წყვეტილის აღნიშნული მწკრივი მხოლოდ სხვა წევრებთან (ქვემდებარე, დამატება) ერთიანობაში იძენს გარკვეულ სემანტიკურ დატვირთვას-სემანტიკური პრედიკატის ფუნქცია ენიჭება. აქ ჩანს პერფექტულობის გაგება. ეს ძირითადად დასტურდება:

ა) ბუნების მოვლენების აღწერის დროს. კერძოდ, დღის ესა თუ ის მონაკვეთი მხატვრულად არის აღწერილი, რისთვისაც გამოყენებულია მარტივი შერწყმული თუ რთული კონსტრუქციები.

ვახშმობამაც <u>მოატანა</u> (აკაკი).

ღამე <u>გამოეთხოვა</u> ქვეყანას (ილია).

მთვარემ <u>ღიმილით გადმოხედა</u> უკანასკნელად მომტირალ მწირს (არაგვ.)

წვიმამ დრო იხელთა, ქოლგაში შეიპარა (ფანჯ.).

პარატაქსულ კონსტრუქციებში მოცემულია მოვლენათა თანამიმდევრობა [კვაჭაძე, 1977, 313]:

ლეგა ღრუბელი გაჩნდა და მზე შიგ შეცურდა (მგალ.).

ბ) ამ მწკრივით შესაძლებელია ამა თუ იმ ადამიანური თვისების მეტაფორული გამოხატვა, ყოველივე ამის უკან კი იგულისხმება დედააზრი:

შესცურა მწუხარების ზღვაში (აკაკი).
(= მწუხარებამ მოიცვა)

იმ აზრმა ფრთა ვერ გაშალა (ბარნ).
(= აზრი ვერ დამკვიდრდა)

სიხარულმა სული შესტაცა (დ. შენგ.).
(= გაიხარა)

მდგომარეობა ერთხელ კიდევ გონების სასწორზე შეაგდო (რ. ჯაფ.).
(= მდგომარეობა ერთხელ კიდევ გააანალიზა)

იმედმა ისევ გაიჭიატა გულის სიღრმეში (ფანჯ.).
(= იმედი ჩაესახა)

აქვე უნდა შევჩერდეთ გარკვეული სემანტიკის ზმნაზე, რომელიც გვხვდება მარტივ კონსტრუქციებში. ეს ზმნა ზეპირმეტყველებასა და მწერლობაში ძირითადად წყვეტილის ფორმით დასტურდება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ზმნა დაცლილია თავისი ძირითადი მნიშვნელობისგან და სხვა მნიშვნელობის მატარებელია. ეს არის პოლისემანტური, დიალექტური —— დაიჭირა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს: ა) ბუნების მოვლენათა აღწერის დროს შემდეგი მნიშვნელობით: დადგა-იყო, ამა თუ იმ მდგომარეობას მყარად ეკავა ადგილი:

ერთობ სიცხეები დეიჭირა დალოცვილმა (დ. კლდ.).

უცნაური ზამთარი დაიჭირა იმ წელს (გამს.).

წვიმიანი გაზაფხული დაიჭირა, შვილო და ძმაო სოლომონ (რ. ჯაფ).

სუსხიანი დღეები დაიჭირა (სულაკ. 67).

ეს ზმნა განსხვავებული სემანტიკით გვხვდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში — თვალი დაიჭირა (ვიღაცაზე), რაც ნიშნავს: თვალის დევნებას, მოწონებას, ჩაცივებით ცქერას [სახოკია, 1979, 61].

მის რძალზე თვალი დაიჭირა (ხუხ.).

არსებობს განსხვავებული სემანტიკაც: დაიკავა, მოიცვა:

ხურჯინი კარგა რიგიანად იყო გაჯიკნილი და თითქმის ნახევარი დილიჟანი დაიჭირა (ე. გაბ.).

სხვა სემანტიკაა გამოთქმაში- შორს დაიჭირა — ეს არის უარის თქმა, შეურიგებლობა, ლაპარაკის საგანზე ძალზე შორს დგომა, უთანხმოება, დაწუნება, ცივი უარის თქმა [სახოკია, 1979, 764-765].

ამ მნიშვნელობით სხვა დროის მწკრივებშიც დასტურდება ეს ზმნა, მაგრამ გამოყენების მხრივ ძირითადად მაინც წყვეტილის ფორმა დომინირებს;

ფუნდუმ მისი სიტყვები შორს დაიჭირა (დ. შენგ.).

წყვეტილის ფორმით არის წარმოდგენილი ჩვენს ყოფაში საყოველთაოდ გავრცელებული ისეთი მყარი მხატვრული გამოთქმები და შესიტყვებები, რომლებიც მოულოდნელობის ან უსიამოვნების ეფექტთან არის დაკავშირებული და მიუთითებენ მათი ზეგავლენის შესახებ ადამიანს ფსიქიკასა და განწყობილებაზე. ეს ფორმები ჩვენს ყოფაში ძირითადად მაინც წყვეტილის ფორმით არის გადმოცემული, დამკვიდრებული და გავრცელებული. ისინი დასტურდება, როგორც მარტივ და შერწყმულ, ისე რთულ კონსტრუქციებში.

ენა მუცელში ჩამივარდა (არაგვ.).

ლალი და ბიჭები გაოცებისაგან გაქვავდნენ (ფანჯ.).

გაკვირვებისაგან <u>პირი დავაღე</u> (სულაკ.).

<u>გაშეშდა</u> ბერი ადგილობრივ (ბარნ.).

სოლომონი <u>გაშრა</u>, ამას არ მოელოდა (რ. ჯაფ.).

ქალიშვილი <u>ადგილზე გაშეშდა</u> და კორინთელს შეხედა (ფანჯ.).

მან ხელები ჩემსკენ გამოიწოდა, მე <u>ადგილზე</u> <u>გავშეშდი</u> (დუმბ.).

ცალკე უნდა შევეხოთ წყვეტილის ფორმათა გამოყენებას კითხვით წინადადებებში, რაც ამ მწკრივის ექსპრესიულობაზე მიუთითებს. ყოფაცხოვრებაში საკმაოდ გავრცელებულია წყვეტილის შემცველი შეკითხვები, რომლებიც შემდეგი სემანტიკის შემცველია:

1) შეკითხვა სემანტიკურად იმდენად შეკითხვა არ არის, რამდენადაც უმეტესად გაბრაზებული მოსაუბრის უხეში მიმართვა მისამართი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აქცენტის გადატანითა და ერთგვარი შეურაცხმყოფელი ნიუანსით.

<u>გაგიჟდი</u>, ბიჭო? (დუმბ.).

<u>გადაირიეთ?</u> — მათამაშეთ ერთი... (ო. იოს.).

იგივე აზრი ამავე სემანტიკის მქონე ზმნასთან შეიძლება გადმოიცეს „ხომ“ ნაწილაკიანი ფორმებით უკუთქმითი „არ“ ნაწილაკის თანხლებით [ფეიქრიშვილი, 1999, 179]. უკუთქმითი ნაწილაკი საპირისპირო მნიშვნელობას ანიჭებს ზმნას. ამ დროს მახვილი მოდის „ხომ“ ნაწილაკზე:

მოკიდე ხელი თოკს, **<u>ხომ</u>** <u>არ გაგიჟდი</u>? (ბელ.).

ჭკუაზე **<u>ხომ</u>** <u>არ შეიშალე?</u> (დუმბ.).

შენ **<u>ხომ</u>** <u>არ გაგიჯდი</u>, ჯაყელო? (დუმბ.).

ზემოდასახელებულ შემთხვევებში პასივის წყვეტილის ფორმაა გამოყენებული. იგივე შინაარსი შეიძლება გამოიხატოს ამ მწკრივის აქტივის ფორმითაც, რომლის სუბიექტად გამოყენებულია კითხვითი „რა“ ნაცვალსახელის ერგატივი:

ეგრე **<u>რამ</u>** <u>გაგაფითრა</u>..? (არაგვ.).

არ გესმის, კაცო! **რამ** გამოგაყრუა? (ე. გაბ.).

რამ გადარია ეს ქალბატონი? (გ. წერ.).

რა იყო, ქალო, **რამ** გაგაცეცხლა აგრე? (ბელ.).

რამ აგაფორიაქა, ნატო? (ხუხ.).

წყვეტილის ფორმები დასტურდება აგრეთვე ჩართული ზმნების სახით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში. ჩართულ ზმნებად გამოყენებულია მეტყველების სემანტიკის მქონე ფორმები: გითხარი, ვთქვი, გაგაფრთხილე, მოგახსენე, გადავწყვიტე... , როგორც ნაწილაკდართული, ისე ნაწილაკის გარეშე. ნაწილაკებთან (აკი, ხომ) და ზმნიზედასთან (უკვე) ერთად წყვეტილის ფორმა აფიქსირებს, ხაზს უსვამს ერთხელ ნათქვამს: აკი გითხარი, ხომ მოვილაპარაკეთ, აკი გაგაფრთხილე, ხომ მოგახსენე [შანიძე, 1973, 613]:

აკი შემპირდით, სისხლს შევეჩვევიო (ჯავ.).

აკი გაგაფრთხილე, აღარ მოსულიყავი (ს. კლდ.).

მე **უკვე** გითხარით, რომ თქვენ ღორის სული და ვირის ჭკუა გაქვთ (ამირეჯ.).

ერთხელ ხომ **უკვე** მოვილაპარაკეთ (ფანჯ.).

აკი მოგახსენეთ....., რომ ეს ვაჟბატონი და მისი მეგობარი, დასახვრეტი არიან — მეთქი.. (ქუთ.).

კითხვით წინადადებებში უნდა განვიხილოთ „რა“, „როგორ“ კითხვით ნაცვალსახელის შემცველი ე.წ. რიტორიკული შეკითხვები, რომლებიც წყვეტილის ფორმით გამოიხატება. ეს წინადადებები პასუხს არ მოითხოვენ, თავიანთი კონსტრუქციითა და ინტონაციით მაინც განსხვავდებიან კითხვითი წინადადებებისაგან. წყვეტილის ფორმა ამ წინადადებებში სხვადასხვა სემანტიკის მქონეა. კერძოდ, შეიძლება გამოხატავდეს; სასოწარკვეთილებას, სინანულს ჩადენილი საქციელის გამო, საყვედურსა და უხეშ მიმართვას თანამოსაუბრის მიმართ:

დედა, დედა, რას მოესწრო ბაგრატი? (ბელ.).

ღმერთო, ეს რა დამემართა, როგორ ხაფანგში გაბმულივით დავრჩით (ჯაფ.).

ეს რა ჩავიდინე? (დ. შენგელ.).

ეს როგორ მომივიდა? — ბურტყუნებდა რაშიდა (ფანჯ.).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე მყარი გამოთქმების შემცველი კითხვითი კონსტრუქციები: ვინ მისცა ნება? ვერ მიცანით?

ვინ მისცა ნება, ყველას სახრჩობელით რომ გვემუქრება? (რ. ჯაფ.).

ვინ მოგცა ნება, რატომ ადექი? (თ. ჭილ.).

ვერ მიცანით, თუ არ მკადრულობთ? (გამს.).

ზეპირმეტყველებაში ხშირად გვხვდება აგრეთვე წყვეტილის შემცველი ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი გამოთქმები და ანდაზები მარტივ, შერწყმულსა და რთულ კონსტრუქციებში. მაგალითად:

გული ყელში მოებჯინა.

ბედმა გაუღიმა.

სამართალმა პური ჭამა.

თვალი თვალში გაუყარა.

გული ამოუჯდა.

კუდით ქვა ასროლინა.

რა ბზიკმა გიკბინა.

რა ეკალმა უჩხვლიტა.

ჯიბეს იკრა ხელი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

თქვენი ჭირი წაიღო.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ვაის გავეყარე, უის შევეყარე.

თქმა და ქნა ერთი იყო.

თვალსა და ხელს შუა მოვეფარე.

კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო.

სანამ პეტრე მოვიდაო, პავლეს ტყავი გააძრესო.

ამრიგად, წყვეტილი მრავალფეროვანი სემანტიკით გამოირჩევა. კერძოდ, მან შეიძლება სემანტიკური პრედიკატის ფუნქცია შეიძინოს. ამ მწკრივით შესაძლებელია ამა თუ იმ ადამიანური თვისებების მეტაფორული გამოხატვა. იგი წარმოდგენილია ჩვენს ყოფაში გავრცელებულ მყარ მხატვრულ გამოთქმებსა და შესიტყვებებში. ამ მწკრივის ფორმები გვხვდება ჩართული ზმნების სახით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, აგრეთვე განსხვავებული სემანტიკის მატარებელია კითხვით წინადადებებში. ამ მწკრივის ფორმები ხშირად დასტურდება ფრაზეოლოგიზმებში, ხატოვან გამოთქმებსა და ანდაზებში.

ლიტერატურა

ბალლი 1955 — Ш. Балли, Общая лингвистика и вопросы французского языка, Москва, 1955

კვანტალიანი 1990 — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირიმეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ. 1990.

კვაჭაძე 1977 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ. 1977.

სახოკია 1979 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ. 1979.

ფეიქრიშვილი 1999 — ჟ. ფეიქრიშვილი, „არ“ ნაწილაკის ერთი ფუნქციისათვის თანამედროვე ქართულში, ჟურ. „საენათმეცნიერო ძიებანი“, VIII, თბ. 1999.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1973.

შემოკლებათა განმარტება

1. ამირეჯ. — ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია, თბ. 1986.
2. ბარნ. — ვ. ბარნოვი, ,,ქართული პროზა“, XVIII, თბ. 1990.
3. ბელ. — ა. ბელიაშვილი, ერთტომეული, თბ. 1954.
4. გამს. — კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ. V, თბ. 1988.
5. ე. გაბ. — ე. გაბაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ. 1953.
6. დუმბ. — ნ. დუმბაძე, მოთხრობები, თბ. 1990.
7. ო. იოს. — ო. იოსელიანი, სამი რომანი, თბ. 1972.
8. დ. კლდ. — დ. კლდიაშვილი, ,,ქართული პროზა“, XVI, თბ. 1988.
9. ს. კლდ. — ს. კლდიაშვილი, მოთხრობები, რომანები, თბ. 1985.
10. მგალ. — ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბ. 1963.
11. სულაკ. — ა. სულაკაური, მოთხრობები, თბ. 1975.
12. ფანჯ. — გ. ფანჯიკიძე, აგვისტოს ცხელი დღე, თბ. 1983.
13. ქუთ. — ალ. ქუთათელი, პირისპირ, ტ. I, თბ. 1970.
14. დ. შენგ. — დ.შენგელაია, რჩეული, თბ. 1977.
15. აკაკი — აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III. თბ. 1989.
16. გ. წერ. — გ. წერეთელი, პირველი ნაბიჯი, თბ. 1988.
17. ილია — ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. II. თბ. 1985.
18. თ. ჭილ. — თ. ჭილაძე, მოთხრობები, თბ. 1972.
19. ხუხ. — გ. ხუხაშვილი, პიესები, თბ. 1981.

20. ჯავ. — მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი რვა ტომად, ტ. V, თბ. 1977.

21. რ. ჟაფ. — რ. ჯაფარიძე, ,,მძიმე ჯვარი“, თბ. 1973.

Diana Jghenti

Some of the semantic peciliarities of the Past Participle in the Georgian Language

Summary

The article discusses some of the semantic peculiarities of the forms of Past Participle in Georgian. Compared with the other grammatical forms of the Past Tense this form is very productive. It is widely spread in literature as well as in spoken language which is proved by various examples given in the article.

მედეა საღლიანი

იდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში

„სვანური ენის ქრესტომათიაზე“ დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ სვანურში დასტურდება ელიზიის ორი სახე: **მარტივი** და **რთული**. როგორც მარტივ, ასევე რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე ხმოვნები კი კომპლექსთა შემდეგ კომბინაციებს იძლევიან სვანურში: **ა+ა**, **ა+ä**, **ä+ä**, **ა+ā**, **ა+ე**, **ა+ო**, **ა+უ**, **ა+გ**, **ე+ე**, **ე+ა**, **ე+ä**, **ე+ი**, **ე+Ე**, **ე+ო**, **ე+უ**, **ი+ი**, **ი+ა**, **ი+ä**, **ი+ā**, **ი+ე**, **ი+ო**, **ი+უ**, **ი+გ**, **ō+ō**, **ო+ო**, **ო+ა**, **ო+ä**, **ო+ე**, **ო+ი**, **ო+უ**, **უ+უ**, **უ+ᲣᲣ**, **უ+ა**, **უ+ä**, **უ+ე**, **უ+ი**, **უ+ō**, **უ+Ე**, **უ+ო**, **უ+გ**, **გ+ე**, **გ+ა**, **ᲣᲣ+ა**, **Ე+ა**, **Ე+ე** (სულ 45 კომბინაცია).

ეს ხმოვანთკომპლექსები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

1. იდენტური: **ა+ა**, **ä+ä**, **ე+ე**, **ი+ი**, **ō+ō**, **ო+ო**, **უ+უ** და

2. არაიდენტური: **ა+ä**, **ა+ā**, **ა+ე**, **ა+ო**, **ა+უ**, **ა+გ**, **ე+ა**, **ე+ä**, **ე+ი**, **ე+Ე**, **ე+ო**, **ე+უ**, **ი+ა**, **ი+ä**, **ი+ā**, **ი+ე**, **ი+ო**, **ი+უ**, **ი+გ**, **ო+ა**, **ო+ä**, **ო+ე**, **ო+ი**, **ო+უ**, **უ+ა**, **უ+ä**, **უ+ე**, **უ+ი**, **უ+ō**, **უ+Ე**, **უ+ო**, **უ+ᲣᲣ**, **უ+გ**, **გ+ე**, **ᲣᲣ+ა**, **Ე+ა**.

საინტერესოა თუ რა ფონეტიკურ სახეცვლილებას განიცდიან როგორც იდენტური, ასევე არაიდენტური ხმოვანთკომპლექსები სვანური ენის დიალექტებში.

ამჯერად განვიხილავთ მარტივ ელიზიურ პროცესებში მონაწილე იდენტურ ხმოვანთკომპლექსებს (**ა+ა**, **ä+ä**, **ე+ე**, **ō+ō**, **ო+ო**, **უ+უ**)[1].

ელიზია იდენტურ ხმოვნებთან[2]

ა+ა. თანაბარი ღიაობის **ა+ა** ხმოვანთკომპლექსი, როგორც ცნობილია, ელიზიურია სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში,

[1] აქ არ შემოგვაქვს **ი+ი** ხმოვანთკომპლექსი, რომელიც წაკითხულია მოხსენებად 2001 წელს (იხ. კავკასიის მაცნე, №3).

[2] აქვე შემოგვაქვს **ä+ä** ხმოვანთკომპლექსიც.

ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში იდენტური ხმოვნები აღნიშნულ კომპლექსში ერთმანეთს შეერწყმის და ვიღებთ გრძელ ხმოვანს (ქალდანი 1953, 193).

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის შემცველი საკმაოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი, რომელიც სვანური ენის დილექტების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ალ’ᾱთხᾱრᾱნახ ← ალა ათხᾱრᾱნახ [ა+ა =ᾱ]

ალ’ᾱთხᾱრᾱნახ ჯაფრᾱნᾱრს — ეს ეწყინათ თურმე („სწყენიათ“, შდრ. ქართ. (გურ.) **ხუ**-ებ-ა „გაბრაზება“) ჯაფარიძეებს („**ჯაფრან**-ებ-ს“) (1) 61:19

ალ’ᾱმჟᾱნ ← ალა ამჟᾱნ [ა+ა =ᾱ]

ალ’ᾱმჟᾱნ ჩუასკიბხ ⌜ყიფიᾱნᾱრდ⌝ ი ქ’ᾱთთᾱნეხ უშგულთე მგწსი მᾱრა — ეს ასე დაადგინეს („გააჩერეს“) ყიფიანებმა და უშგულში („**უშგულ**-⌜ის⌝-კენ“) გააგზავნეს („მიასწავლეს“) დამპატიჟებელი (შდრ. ძვ. ქართ. უ-**წეს**-ს „ეძახის“, მი-უ-**წეს**-ა „დაუძახა; უბრძანა; ამცნო“, მო-უ-**წეს**-ნ „ეძახის; პატიჟებს“) კაცი („კაცს“) (3) 62:12; 63:5; 90:38

გუუ̄’ᾱდირმ[1] **← გუუ̄ა ადირმ** [ა+ა =ᾱ]

ალ მეზგᾱმ... **გუუ̄’ᾱდირმ** — ამ ოჯახმა („მოსახლემ“) გუა დაიჭირა (1) 87:12

ᾱრ’ᾱლ ← ᾱრა ალ [ა+ა =ᾱ]

ჭაშუემ ესნᾱრ ლახტიხ ⌜ზურᾱლს⌝: „ჯა ზურᾱლ, ჟᾱუ ლახშუᾱმნე კუეტᾱლ ხᾱნს ი ღუ’ᾱსერ ეჩქანღო **ᾱრ’ᾱლ** გუეშ“ — ქმარმა (შდრ. ქართ. „**კაც**-ი“) უპასუხა („დაუბრუნა“) თურმე ქალს (შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი“, ლაზ. **ზურა** „დედალი“): „შე („თვითონ“) ქალო, დამასვენეო („მო-ა-**სვ**-**ენ**-ა-მცა“, შდრ. ძვ. ქართ. გან-**სუ**-ენ-ებ-ა; გან-**სუ**-ენ-ებ-ულ-ი „მოსვენებული“) ცოტა (შდრ. ქართ. და-**კუწ**-ვ-ა; და-**კუწ**-ა...“ და მეგრ. **კუჭ**-უ „პატარა; დაბალი“) ხანს და („მერეო“) მერე („მაშინს მერე“) იქნებაო ეს საქმე“ (1) 65:42

[1] აღნიშნულ ელიზიურ ფორმაში პირველი კომპონენტის აუსლაუტში დაფიქსირებული წყვილბიგისმიერი ანუ ბილაბიალური **უ̄** თანხმოვანი, ჩვენი აზრით, არ არის რომელიმე ბაგისმიერი **ო**-სა და **უ**-ს რედუცირებული სახეობა, რადგანაც ლენჯერელი დავით გულედანისგან 1940 წელს ჩაწერილ ტექსტში **ტიტიშᾱრ ჯახუᾱ თუᾱფ** „ტიტისაანთ ჯახუს თოფი“ ხან ადამიანის საკუთარი სახელი **გუუ̄ა** ფიქსირდება ხან კი — **გუა** (მაგ.: **ალ დინ**’ᾱსნᾱრ მასᾱრდ ხᾱზნᾱნი გუუ̄ას — ეს გოგო თურმე ძალიან უვლის გუვას, მᾱრიამგლდ ოხუ̄ჭირე ⌜ალᾱᾱრს⌝: „**თათაშა გუუ̄ა სგᾱუ̄ ოხᾱიდ მიჩეშთᾱ’სგა ლედგᾱრიდ**“ — მარიამმა („**მარიამ**-უკა-მ“) შემოუთვალა ამათ („ამეებს“): „თათაანთ გუვა მოიყვანეო („შემოუტანამცა“) ჩემთან („მისისკენში“) მოსაკლავად“; **ანᾱᾱდ ესნᾱრ გუა** — ადგა („მოვიდა“) თურმე გუა, **გუად ხანჯᾱრ ლᾱᾱშგუᾱნ** — გუამ ხანჯალი იშიშვლა, **ალ’ᾱᾱდკᾱᾱჭ ესნᾱრ გუად** — ეს გაიგო თურმე გუამ და სხვა.) **უ̄**, როგორც ჩანს, ფონეტიკური დანართია, ამიტომაც აპოსტროფი **გუუ̄’ᾱდირმ** ფორმაში აუცილებლად უნდა აღდგეს.

მ̄ესგუ̄'ა̄მჟი̄ნ ← **მ̄ესგუ̄ა ამჟი̄ნ** [ა+ა =ā]

... უთა მეზგაისგა თუ̄ით მეხუ̄შდა̄მი ი **მ̄ესგუ̄'ა̄მჟი̄ნ** არდახ ლინა̄თუ̄ხა̄ნ — გაუყრელ (შდრ. ძვ. ქართ. გან-**ვლთ**-ობ-ა „გაყოფა"; გა-**ვთ**-ულ-ი „გაყოფილი") ოჯახში („მოსახლეში") მეხუთე („**თით**-ო მე-**ხუთ**-ე-მ-ი⌜ს⌝") და მეექვსე („მე-**ექვს**-ე") თაობაც კი იყო („იმყოფებოდნენ", შდრ. ქართ. ე-**რდ**-ო „ზედა ბანი სახლისა") ნათესაობის მხრიდან („ნათესაობ⌜ის⌝დან", შდრ. ძვ. ქართ. გან-**ვლთ**-ობ-ა „გაყოფა"; გა-**ვთ**-ულ-ი „გაყოფილი") (1) 22:29

მაჩუ̄ბისგ'ა̄ყუ̄რახ ← **მაჩუ̄ბისგა აყუ̄რახ** [ა+ა =ā]

ზაულადა̄ღ ჟერხი ხეხუ̄-ჭა̄შ ეჩ̄ესგა იყუ̄ნა̄ლდა, მარე ლინთუ̄ისგ'ე̄ში მა̄გ აშხუ̄ **მაჩუ̄ბისგ'ა̄ყუ̄რახ** — ზაფხულში („წელ-**დღე**", შდრ. ქართ. „**ზა-მთარ**-ი; **ზა-ფხულ**-ი; გა-**ზა-ფხულ**-ი") ზოგიერთი („ზოგი") ცოლ-ქმარი იმაში წვებოდა, მაგრამ ზამთარში (შდრ. ქართ. „**თ-ევ**-, **თ-ენ**-, მ-**თ-ენ**-ი, სა-**თ-ევ**-ი") მაინც ყველანი („ყველა") ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი") „მაჩუბ"-ში („საცხოვრებელში") იწვნენ (1) 23:12 და ა. შ.

როგორც მაგალითებმა აჩვენეს, ბალსზემოურში იდენტური **ა+ა** ხმოვნები ერთმანეთს შეერწყა და მივიღეთ **ā**. ანალოგიურ მასალაში ანლაუტის სიგრძეს მხოლოდ წინამავალი ლექსემის აუსლაუტთან მიმართება განაპირობებს.

„სვანური ენის ქრესტომათიაში" შეგვხვდა **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის შემცველი უაპოსტროფო ფორმები: **ალ̄ჲ** ტყუ̄ედ ესყენახ მგლხა̄რს (93:27) — ესეც ტყვედ მიჰყავდათ თურმე მულახელებს და ... ალ დ̄ინ̄ჲ ესნა̄რ **სგ̄ჲ** ლახბიჭ̄ა̄ნ̄ენა ალ მახაღუ̄ა̄ჟს (104:18; 158:12) — ეს გოგო თურმე კიდევაც დაფეხმძიმდა („*შე-მო-ე-**ბიჭ**-ა", შდრ. ქართ. „**ბუშ**-ი" და ხევს. **ბიჭ**-ი „ნაბიჭვარი, ბუში") ამ ახალგაზრდა ვაჟისგან („ახალ-**ვაჟ**-ს", შდრ. ზან. ⌜**მოხა**⌝ „ახალი"); პირველი მათგანი (**ალ̄ჲ**) ← **ალა+ა**ჲ, ხოლო მეორე მათგანი (**სგ̄ჲ**) კი ← **სგა+ა**ჲ. რაკი ხმოვანთა შერწყმაა, ამიტომ აპოსტროფი თანხმოვნის შემდეგ აუცილებელი იყო.[1]

ლ ა შ ხ უ რ ი

ლეჟ'ა̄ნ̄ჭიდხ ← **ლეჟა ანჭიდხ** [ა+ა =ā]

⌜ალჲარდ⌝ **ლეჟ'ა̄ნ̄ჭიდხ** ჩუკ̄ულთე ⌜საუ̄ჲარ⌝ — ამათმა („ამეებმა") ამოიყვანეს („ზემოთ მოიტანეს", შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ჭდ**-ომ-ა, ⌜მი/მო⌝-**ჭდ**-ა") ჩუკულში[2] („**ჩუკულ**-⌜ის⌝-კენ") ყაბარდო-ბალყარელები („**ოს**-ებ-ი") (1) 260:4

[1] ლექსიკონში აპოსტროფი სათანადო ადგილას ყველგან აღდგენილია.
[2] სოფელია ლაშხეთში, რომელიც 2005 წელს დაიმეწყრა და ეს ულამაზესი სოფელი ფაქტიურად მიწასთან გასწორდა.

სგ’ᾱდგენეხ ← სგა ადგენეხ [ა+ა =ᾱ]

სგ’ᾱდგენეხ უეზრალდ მახუნჯაკ ლაბტᾱრთე — ვეზირებმა (შდრ. ახ. ქართ. **ვეზირ**-ი, ძვ. ქართ. **ვაზირ**-ი < არაბ. **vazīr** „მინისტრი, მრჩეველი“) მახუნჯაკი საბატეში შეამწყვდიეს („შე-**დგ**-ეს“, „შეაყენეს“, შდრ. ქართ. „შე-**დგ**-მ-ა“) (1) 250:23

სგ’ᾱდკუᾱრხ ← სგა ადკუᾱრხ [ა+ა =ᾱ]

ქათლა ნაბიკულ ... ლაკნირთეᲲსა **სგ’ᾱდკუᾱრხ** ⌜მომსახურად⌝ — ნახევარქათამა („**ქათმ**-ი⌜ს⌝ ნაგლეჯუკა“) სახარეში შეაგდეს მოსამსახურეებმა (3) 273:29, 30, 32

სგ’ᾱდსკინე ← სგა ადსკინე [ა+ა =ᾱ]

ანჭად მაზიგ ი ფერფილდ ესსიპდა ი **სგ’ᾱდსკინე** კათხთეᲲსა — მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⌜ღ⌝-**Ჭდ**-ომ-ა“) ავადმყოფობა („სენი“) და ფერფლად გადაიქცა და ჩახტა („შეისკუპა“, შდრ. ქართ. „ა-**სკინ**-**კილა**“) კათხაში („**კათხ**-⌜ის⌝-კენ-ში“) (1) 249:11 და ა. შ.

ლაშხური მასალის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ აქაც თითქმის ბალსზემოურისებური ვითარებაა.

რამდენიმე უაპოსტროფო ფორმა ლაშხურშიც დავადასტურეთ, მაგ: **სგᾱრდა** (259:14), **ქᾱᲲ** (237:34), **ქᾱუ** (271:21), **ქაუ** (273:34), **სგᾱუ** (275:33, 39; 276:2), **სგაუ** (250:23, 28).

სხვა ელიზიურ ფორმათა ანალოგიით აპოსტროფი და შესაბამისად სიგრძეც ყველა ზემოჩამოთვლილ ლექსემაში აღვადგინეთ და თითოეული საანალიზო ლექსემა ილუსტრირებული სახით წარმოვადგინეთ:

სგ’ᾱრდა ← სგა არდა [ა+ა =ᾱ]

უოკერს ... **სგ’ᾱრდა** ძღᲗდ ძიუ (259:14) — ფსკერზე („ფსკერს“) იყო („ში⌜გნით⌝ იმყოფებოდა“, შდრ. ქართ. ე-**რდ**-ო „ზედა ბანი სახლისა“) დიდი (შდრ. ძვ. ქართ. **ზღუდ**-ე „კედელი“, „ღობე“, გარს შემოვლებული სიმაგრე“) მძივი

ქ’ᾱᲲ ← ქა აᲲ [ა+ა =ᾱ]

ბობშ⌜ს⌝ ... **ქ’ᾱᲲ** ხუᾱᲲდინ აძძაიხ (237:34) — ბავშვს გაძიძებითაც ბევრჯერ გააძიძებენ ხოლმე

ქ’ᾱუ ← ქა აუ [ა+ა =ᾱ]

ზურᾱლ⌜დ⌝ ... ხᲗქუ, ერე „**ქ’ᾱუ** ლოქ ხᲗქუ, იმღა ლოქ ხაჩ̄ონᾱნა“? (271:21; 273:34) — ქალმა (შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი“, ლაზ. **ზურა** „დედალი“) უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი“, ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი“), რომ „მითხარიო („უთხარიმცაო“), რატომ („რისთვისო“)

გეცინებოდაო („ეღიმებოდა, ეცინებოდა“)“?

სგ’ᾱუ̄ ← სგა აუ̄ [ა+ა =ᾱ]

ლახხუ̄ᾱდა ეშხუ მეჩი მᾱრე ალ ჭყინტს ი ხᾱქუ̄: „**სგ’ᾱუ̄** ეხბგრგᾱნდა“ (275:33, 39; 276:2; 250:23, 28) — ამ ბიჭს (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ.) „**ჭყინტ**-ლ-ი“) შეხვდა ერთი (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) მოხუცი (შდრ. ლაზ. უ-**ᲫᲩ**-ან-ე „უფროსი“) კაცი და უთხრა: „მეჭიდავეო („დაეჭიდამცა“, შდრ. ძვ. ქართ. **ბორგ**-ი-ს „ბორგავს; უწესრიგოდ მოძრაობს; შეშლა“, (გურ., ლეჩხ., ქვ. იმერ.) **ბურგ**-ალ-ი „თავაშვებული თამაში; ... ჭიდაობა, თამაში, ცელქობა“)“

ლაშხურში შეგვხვდა **ა+ᾱ** კომბინაცია ასეთ კონტექსტში — **კოლოფისა ᾱრდახ** „კოლოფში იყვნენ („იმყოფებოდნენ“, შდრ. ქართ. ე-**რდ**-ო „ზედა ბანი სახლისა“)“ (258:9), სადაც წინამავალი კომპონენტი არ დაკარგულა. ჩვენ თავის დროზე ლაშხურთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ, როდესაც ზმნის ანლაუტში თავისთავადაა წარმოდგენილი გრძელი ხმოვანი, მაშინ წინამავალ ხმოვანთან შეხვედრისას ხელახალ დაგრძელებას ადგილი არა აქვს, თუმცა პრევერბისეული ხმოვანი ზოგჯერ მაინც იკარგება (მაგ.: **ᲣᲬᾱᲧᲘᲮ** (< **ᲣᲘ+ᾱᲧᲘᲮ**) „ამოიყვნენ“, **ᲐᲛᲣᲬᾱᲥᲨᲠ̄Ლ** (< **ᲐᲛᲣᲘ+ᾱᲥᲨᲠ̄Ლ**) „ასე ითქმებოდა“) (საღლიანი 2001, 192).

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი:

არ’აშირ ← არა აშირ [ა+ა =ა]

ᲨᲝᲨᲗᲮᲨ ათᲐᲡ ი არ’აშირ მი მᲐᲮᲨᲘᲓᲓᲐ ი სემ’ათᲐᲡ ი არ’აშირ — აღᲨᲐᲜᲡ — ოთხი ათას რვაასი („ოთხ-ი ათას-ი და რვა-ას-ი“) მე შემხვდა და სამი ათას რვაასი („სამ-ი ათას-ი და რვა-ას-ი“) — აღვანს (2) 210:2, 2

კოჯქ’ათᲨᲔᲓᲒᲜᲔᲜᲐ ← კოჯქა ათᲨᲔᲓᲒᲜᲔᲜᲐ [ა+ა =ა]

აშᲨᲣᲘ წეკᲨᲐ ლᲐთხᲨᲐრს ლგმᲐრდ ცხეკლისგა, **კოჯქ’ათᲨᲔᲓᲒᲜᲔᲜᲐ** ი კოჯᲐშ ტელაფჟი სემი ზურალ ლუმსგᲨირხ — ერთხელ („ერთზე“, შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) წეკვა სანადიროდ („სანადიროს“, შდრ. ძვ. ქართ. **თხევ**-ლ-ა; სა-**თხევ**-ლ-ებ-ა; სა-**თხევ**-ლ-ობ-ა „თევზაობა“) ყოფილა („*ნამყოფა“) ტყეში (შდრ. მეგრ. **ცხვეკ**-ი „ფიჩხი“, ლაზ. **ცხიკ**-ი „ფიჩხი“), კლდეზე (შდრ. ქართ. „**კორძ**-ი“) გადასულა („მოხვედრილა“, შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ლ˺-**ᲫᲓ**-ომ-ა“) და კლდის (შდრ. ქართ. „**კორძ**-ი“) აივანზე („**დერეფან-ზე**“) სამი ქალი (შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი“, ლაზ. **ზურა** „დედალი“) მჯდარა („მსხდარან“) (1) 207:33

მეთხᲨᲐრ’აფიᲨᲨᲓ ← მეთხᲨᲘრა აფიᲨᲨᲓ [ა+ა =ა]

კესᲐრდ მიჩა **მეთხᲨᲐრ’აფიᲨᲨᲓ** ქა ლᲐთხᲨᲐრთე ი ათასდახ ეჯᲓᲐრ ლგჯემ ტობს — კეისარმა (შდრ. ძვ. ქართ. „**კეისარ**-ი“ < ბერძნ. „**keisar**“)

თავისი („მისი“) მონადირეები (შდრ. ძვ. ქართ. მ-**თხევ**-ლ-არ-ი „მონადირე, მეთევზე“) გაუშვა (შდრ. ქართ. **ფოთ**-ე „მოშვებულადაც ითქმის... ანუ დახსნილად (საბა)“, და-**ფოთ**-ებ-ულ-ი „მოშვებული“, და-**ფუთ**-ებ-ა „მოშვება (საბა)“) სანადიროდ (შდრ. ძვ. ქართ. **თხევ**-ლ-ა; სა-**თხევ**-ლ-ებ-ა; სა-**თხევ**-ლ-ობ-ა „თევზაობა“) და მათ („ისინი“) ნახეს („გადაეყარნენ“, „გაუარეს“) რძის ტბა („**ტბა**-ს“, შდრ. ძვ. ქართ. „**ტბა**-ჲ“, **ტბ**-ურ-ი „გუბე“, ახ. ქართ. „**ტბა**, **ტბ**-ორ-ი“...) (1) 219:15

ქ’აშყუდელიუ ← ქა აშყუდელიუ [ა+ა =ა]

ბეფშ[1] ხაშგურანნა შუკუჟი დინას: „მიჩა’სერ დი ლახ ხატულიდეს: საჲნარ ესეროუ ჩუადკუშურე, ეჩქას ᲮᲐᲝᲣ ქ’აშყუდელიუ“ — ბიჭი („ბავშვ-ი“) არიგებდა თურმე („ნარიგება“) გზაში (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.) „შუკა“) ქალიშვილს („გოგოს“): „დედაჩემი („მისიო დე-და“) თუ გეტყვისო („ეძახდეს“): თეფშები („საინ-ებ-ი-ო-მცა“, შდრ. ქართ. „საინ-ი“ < არაბ.-სპარს. „**sahän**“) დაამტვრიეო („დაამტვრია“), მაშინ შენ („თვითონმცა“) გარეცხეო („გარეცხავდა“)“ (1) 220:8

ქ’აჩად ← **ქა აჩად** [ა+ა =ა]

მერმა ლადეღ ᲟᲐᲜᲒᲒᲐᲜ[2] აღუან ი **ქ’აჩად** ზაგაურთე — მეორე დღეს ადგა აღვანი და გავიდა ზეგანზე („გორაზე“, „ქედზე“, „გადასასვლელზე“) (2) 209:29; 218:31

ქ’ახქუიც ← **ქა ახქუიც** [ა+ა =ა]

დაშდუდ ნანსოლ ახფიშუდ ღეშგიმხენ ⌜მალს⌝ ი ჰაკედ **ქ’ახქუიც** — დათვმა წალდი ესროლა უკნიდან მელიას და კუდი მოაჭრა (შდრ. ძვ. ქართ. **ქუც**-ნ-ვ-ა „ფშვნეტა“; ახ. ქართ. „და-**ქუც**-**მაც**-ებ-ა“) (1) 210:20 და ა. შ.

როგორც საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, **ა+ა** კომპლექსი ელიზიურია ბალსქვემოურში.

შენიშვნა. „სვანური ენის ქრესტომათიის“ საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ, როდესაც ზმნისწინზე დართულია რომელიმე ნაწილაკი (**ქᲐᲐ** (237:34), **ქᲐუ** (271:21), **სგაუ** (250:23, 28), **სგᲐუ** (275:33, 39; 276:2) და ა. შ.), მაშინ აპოსტროფი რატომღაც ძალზე ხშირად გამოტოვებულია, როგორც ჩანს, თავის დროზე ამ პროცესებზე ყურადღება არ იქნა გამახვილებული.[3]

---

[1] საინტერესოა, რომ სვანურში **ბეფშუ** ლექსემით ახალგაზრდა ბიჭიც მოიხსენიება და ბავშვიც.

[2] გვაქვს ნაწილობრივი ელიზია.

[3] დღემდე არსებულ პუბლიკაციებში საკმაოდ ჭრელია ელიზიურ ფორმათა მართლწერა. ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, ტექსტის ჩაწერის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი:

დეს'ანჴად ← **დესა ანჴად** [ა+ა =ა]

ალ ჩხარა ლახუ̈ბა ხოღელიხ მინე დაჩუ̈რს: დეს'ანჴად, **დეს'ანჴად** — ეს ცხრა ძმა ელოდება („ელოდებიან") თავიანთ („მათ") დას: არ მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-**ჴდ**-ომ-ა"), არ მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-**ჴდ**-ომ-ა") (2) 317:21, 21

დეს'ასოხუ̈იდა ← **დესა ასოხუ̈იდა** [ა+ა =ა]

ნებოზს ერ ანჴად მიჩა ჭა̈შ, მიჩა ჟეხუ̈ **დეს'ასოხუ̈იდა** ა̈გის — საღამოს რომ მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-**ჴდ**-ომ-ა") თავისი („მისი") ქმარი (შდრ. ქართ. „**კაც**-ი"), თავისი („მისი") ცოლი არ დახვდა შინ („**ალაგ**-ს", შდრ. ძვ. ქართ. „**ალაგ**-ი" < ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება") (1) 340:14

ხოშ'ახოთილ ← **ხოშა ახოთილ** [ა+ა =ა]

შტაუ̈ალს აჯაღ **ხოშ'ახოთილ** სკა იუ̈ანედ — მერცხალს (შდრ. ქართ. „**თოლ**-ია; მე-**თოვლ**-ია") კიდევ („ისევ") უფრო („დიდი", შდრ. ძვ. ქართ. „უ-ხ-უ-**ც**-ე, უ-ხ-უ-**ც**-ეს-ი, უ-ხ-უ-**ც**-ცს-ი") მოუჭირა ივანემ (1) 354:6

ისკ'ახოჴიდახ ← **ისკა ახოჴიდახ** [ა+ა =ა]

მოსამსახუ̈რას ... **ისკ'ახოჴიდახ** ქორხო ˹ალ ჭყინტ˺ — მოსამსახურეებს სახლში („სახლ˹ის˺კენ", შდრ. ძვ. ქართ. „**ქორ**-ი", რაჭ. „**ქორ**-ედ-ი") შემოუყვანიათ („შემოუტანიათ", შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ჴდ**-ომ-ა, ˹მი/მო˺-**ჴდ**-ა") ეს ბიჭი (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ.) „**ჭყინტ**-ლ-ი") (1) 330:16 და ა. შ.

მ'ამბაუ̈ ← მა ამბაუ̈

მაროლას ხანაბაჟ: „ალე **მ'ამბაუ̈** ლოქ ირა ედო"? — კაცს („კაცუნას") უკვირს: „ნეტავი („თორემ") ეს რა ამბავიაო („იქნება", შდრ. ქართ. **ამბავ**-ი" < ფალ. „**hambav**")"? (2) 322:23, 24

მ'ამბა̈უ̈ ← მა ამბა̈უ̈

ხენწიფ ლა̈ხეჭუ̈ედდა მიჩა მეთხუ̈უ̈არას: „**მ'ამბა̈უ̈** ლოქ ლი, ამოხქა ხუ̈ა̈ ნათხუ̈უ̈არე ლოქ ახაღუ̈ენახ ი ათხე დემის ლოქ მოშ ჴიდეხ"? — ხელმწიფემ („**ხელმწი**ფ-ე") ჰკითხა („შეეკითხა, შდრ. ძვ. ქართ. „უ-**წოდ**-ს; **წოდ**-ებ-ა; მო-**წოდ**-ებ-ა; მო-**წოდ**-ებ-ულ-ი") თავის („მის") მონადირეებს (შდრ. ძვ. ქართ. მ-**თხევ**-ლ-არ-ი „მონადირე, მეთევზე"): „რა ამბავიაო (შდრ. ქართ. **ამ-ბავ**-ი" < ფალ. „**hambav**"), აქამდე ბევრი (შდრ. ქართ. **ხვავ**-ი „ზვინი, გროვა") ნანადირევი („*ნა-**თხევ**-ლ-არ-ი", შდრ. ძვ. ქართ. **თხევ**-ლ-ა; სა-**თხევ**-ლ-ებ-ა; სა-**თხევ**-ლ-ობ-ა „თევზაობა") მოგქონდათო („მოჰქონდათ თურმე") და

მეტყველების ტემპსაც — დინჯად მოსაუბრე მთქმელი ელიზიურ ფორმათა პარალელურად ხშირად ხმარობს უელიზიო ფორმებსაც.

ახლა ვერ („არაო“) მოგაქვთო („მოიტანენ“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ჴდ**-ომ-ა, ⌜მი/მო⌝-**ჴდ**-ა“)“? (1) 329:15

ლენტეხური მაგალითები (**მ’ამბაჭ**, **მ’ამბაჭ**) იმითაც არის საინტერესო, რომ კითხვითი ნაცვალსახელები ოდენ თანხმოვნით არიან წარმოდგენილნი.

როგორც ვხედავთ, ანალოგიური ვითარებაა ლენტეხურშიც. ბალსზემოურისგან და ლაშხურისგან განსხვავებით, აქ გვაქვს ელიზია, ე. ი. ერთ-ერთი კომპონენტი იკარგება უკვალოდ.

მიუხედავად ელიზიის ასეთი დიდი ტენდენციისა, „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ელიზირებულ ფორმათა პარალელურად ძალზე ხშირად ვაწყდებით უელიზიო ფორმებსაც, სადაც პრევერბისეული **ა** + **პრევერბისეულივე** ან **ზმნისეული ა** ორივე დაცულია. მაგ.:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ამჟინ **არდა ალამაგ** ფიშირ მარე აშხუ ქორისგა... (22:39) — ასე ცხოვრობდა („იმყოფებოდა“) ამდენი („ეს ყველა მრავალი“, შდრ. ქართ. „**ვრც**-ელ-ი,.. სი-**ვრც**-ე“) ადამიანი („კაცი“) ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) სახლში (შდრ. ძვ. ქართ. „**ქორ**-ი“, რაჭ. „**ქორ**-ედ-ი“)

ალდაარ ჰალ ქა ხეწაადხ, **სგა ახტუილხ** (162:15) — ამათმა („ესენი“) როგორ კი დაინახეს, დაუძახეს („*შემოუძახეს“)

დედბერ ანჴად ი აშხუანჩუიშ **ქა ახტუფურე** ⌜მალს⌝ ... (162:42) — დედაბერი მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⌜ღ⌝-**ჴდ**-ომ-ა“) და ცალი მხარე („ერთ⌜ის⌝ქვეის“) ჩამოატყავა („გა-მო-ა-**ტყავ**-ა“) მელიას

ქა ახტუფურე (162:42) „ჩამოატყავა“; **ქა ანჴად** (166:31) „გამოვიდა“; **სგა ანჴადხ** (168:31) „შემოვიდნენ“; **ქა ახთენენდეს** (168:35) „შეეძინოს, გაუჩნდეს“; **ქა ანჴიდ** (172:1) „გამოიტანა“; **ქა ანსკინე** (171:1) „გადმოხტა“; **სგა აჩად** (170:4) „შევიდა“ და ა. შ.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

აყმურზას ფხულე **ქა ათქუეცა** (184:38) — აყმურზას თითი მოეჭრა თურმე („მოჭრია“, შდრ. ძვ. ქართ. **ქუც**-ნ-ვ-ა „ფშვნეტა“; ახ. ქართ. „და-**ქუც-აც**-ებ-ა“)

აყმურზას ... ჯაშაუ **ქა ათჩედა** (184:38) — აყმურზას ჯაშავი გაექცა თურმე („გაქცევია“)

ამჟი ჯაშაუს თუეფ **ქა ათშყედა** (184:37) — ასე ჯაშავს თოფი (შდრ. ქართ. „**თოფ**-ი“ < სპარს. „**tuf**“) გაუვარდა თურმე („გავარდნია“)

ეჯ მახეღუაჟს ესერ ხოქუა ...: „... აშუუნ ესერ ესკილნე, ეჩქას **მიჩა**

ამახუ̄ ესერ ჟი ლგთხე ხარ“ (222:19) — იმ ახალგაზრდას („ახალ-**ვაჟ**-ს“) უთქვამს :

... სულკალმახ ... აშუ̄ **კოჯთელისგა აჩა̄დ** (213:11) — სულკალმახი ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) კლდეში („კლდ˹ის˺კენში“, შდრ. ქართ. „**კორძ**-ი“) შევიდა

ქა ათშყედა (184:37) „გაუვარდა თურმე („გავარდნია“)“; **ქა ათქუ̄ეცა** (184:38) „მოეჭრა თურმე“, შდრ. ძვ. ქართ. **ქუც**-ნ-ვ-ა „ფშვნეტა“; ახ. ქართ. „და-**ქუც**-მაც-ებ-ა“); **ქა ათჩედა** (184:38) „გაექცა თურმე („გაქცევია“); **უშხუ̄არნენსგა ათსედა** (227:9) „შუაში დარჩა თურმე („დარჩენია“) და ა. შ.

ლ ა შ ხ უ რ ი

ეჯდარ **ლეჟა აჩადხ** (252:42) — ისინი ზემოთ ავიდნენ („წავიდნენ“)

˹მეჩი მა̄რედ˺ ბოფშ **ლექუ̄ა ანჯიდ** ლა̄შხთე (258:30) — მოხუცმა (შდრ. ლაზ. უ-**მჩ**-ან-ე „უფროსი“) კაცმა ბავშვი ჩამოიყვანა („ქვემოთ მოიტანა“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ჯდ**-ომ-ა, ˹მი/მო˺-**ჯდ**-ა“) ლაშხეთში („**ლაშხ**-ეთ-˹ის˺-კენ“)

სპილენჯრ̄ **ლეჟა ანჯიდხ** ჩუკულარდ (260:8) — სპილენძიც ამოიტანეს („ზემოთ მოიტანეს“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ჯდ**-ომ-ა, ˹მი/მო˺-**ჯდ**-ა“) ჩუკულელებმა

ფიჯ̄ თხუმს **სგა აყჲენდა** ბანკათ̄ჲსა (261:39) — გველი თავს (შდრ. ძვ. ქართ. „**თხ**-**ემ**-ი“) ჩაყოფდა ხოლმე ქილაში („ქილ˹ის˺კენში“, შდრ. ქართ. „**ბანკა**“ < რუს. „**ბჭო̄ა̄ჭ**“)

ლექუ̄ა ანჯიდ (258:30) „ჩამოიყვანა („ჩამოიტანა“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ჯდ**-ომ-ა, ˹მი/მო˺-**ჯდ**-ა“)“; **სგა ავად** (250:12) „შევიდა“, შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-**ჯდ**-ომ-ა“); **სგა აჩად** (250:14) „შევიდა“; **ლეჟა აჩადხ** (252:42) „ზემოთ ავიდნენ“ და ა. შ.

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ეჩანღო **ქა ანაყეხ** დიარა̄ლს (296:38) — შემდეგ („მაშინს მერე“) გამოაცხობენ ხოლმე პურებს (შდრ. მეგრ. **დიარ**-ი „ბალახობა, ძოვნა“, **დიარა** „ქორწილი; ლხინი“, მა-**დიარ**-ე „მობალახე“, შდრ. ლაზ. **გდარ**-ი „საჭმელი“, **გდარ**-ობ-ა „პურის ჭამა“)

ამ დუ̄რეს ლაჯოგა̄ უ̄ოკერხენჟი ... მარად ანასკინე ი ნეპოლშალ **ქა ახეჭამ** ეშხუ მარას (309:10) — ამ დროს საჯოგის ძირიდან („ფსკერიდან-**ზე**“) კაცი („კაცმა“) ამოხტა („ამოისკუპა“, შდრ. ქართ. „ა-**სკინ**-**კილა**“) და ჩიტივით (შდრ. ქართ. **პე**-**პელ**-ი/**პე**-**პელ**-ა“) გამოეკიდა („გამოყვა, გამოედევნა“) ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) კაცს

ეჩქას ჯა̄ფრშ **კა ათოქგრთინახ** (310:37) — მაშინ სიბრაზისგან

(„**ჯავრ**-ით“) ფიქალი ქვა (შდრ. ახ. ქართ. „**კერ**-ა||**კერ**-ია“, ძვ. ქართ. „**კერაკ**-ი“ < პრაინდოევროპ. „***Ker**(**a**)“) გაუხურებიათ

მიჩა მუდ ფარ ხაქუ, მარე ... ბეფშ **ქა ათოჩად** ეში ლალეჩახო (324:11) — მამამისა („მისმა **მა**-**მა**-მ“) უარი უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი“, ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი“), მაგრამ ბიჭი („**ბავშვ**-ი“) მაინც გაექცა სადარაჯოდ (შდრ. ქართ. „და-**ცვ**-ა; მ-**ცვ**-ელ-ი...“)

სკა ახატიხუნეხ (293:30-31) „დააბრუნებინეს“; **ქა არაყიხ** (300:33-34) „არაყს გამოხდიან ხოლმე“, „*გა-ა-**არაყ**-ებ-დ-ა“, შდრ. ქართ. „**არაყ**-ი“ < არაბ. „‘**araq**“???); **ქა ახეჭამ** (309:10) „გამოეკიდა, გამოყვა“; **სკა ანჭად** (325:27) „შემოვიდა“; **ქა ახოსკინა** (334:2; 296:38) „გადმომხტარა“; **მა ამბაუ ლი**? (341:38; 346:36) „რა ამბავია“?; **ჩხარა ათას** (337:23) „ცხრა ათასი“; **ეჩქა ახოკიდა** (343:3) „მაშინ აუღია“, შდრ. ძვ. ქართ. „აღ-ი-**კიდ**-ებ-ს; აღ-**კიდ**-ებ-ა“) და ა. შ.

რა თქმა უნდა, ზემოთჩამოთვლილი არაელიზირებული ფორმები სვანური ენისთვის, როგორც ეს **ი+ი** კომპლექსთან დაკავშირებითაც ითქვა, ბუნებრივი არ არის, ჩვეულებრივ გაბმულ მეტყველებაში თითქმის ყოველთვის ისმის ელიზირებული ფორმები.

პროფ. მ. ქალდანმა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ (1953 წ.) სვანურ ტექსტებსა და ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად შეამჩნია, რომ ელიზია მტკიცედ არის გატარებული რთულ პრევერბებში (**ქა+ან**—, **ქა+ად**—, **ქა+ა**—, **(ი)სგა||(ი)სკა+ან**—, **(ი)სგა||(ი)სკა+ად**—, **(ი)სგა||(ი)სკა+ა**—) ან როცა **ქა**—, **(ი)სგა||(ი)სკა**— პრევერბები **ა** ხმოვნით დაწყებულ ზმნებს დაერთვის — იხ. გვ. 93)[1]. მართალია, „სვანური ენის ქრესტომათიაში“, რთულ პრევერბებში, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, ელიზიისა და ხმოვანთა შერწყმის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა უელიზიო ფორმებიც საკმაო რაოდენობით გამოვლინდა.

ა+ა კომპლექსი არა მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან იძლევა ერთ **ა**’ს, იგი, როგორც ცნობილია, სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება ბალსქვემოურ დიალექტში (იქვე, 194), რაც ჩვენი საანალიზო მასალითაც დადასტურდა.

ა+ა კომპლექსი ელიზირდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გვაქვს: **ნაცვალსახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა** (მაგ.: **მამ’ახმარგეხ** ← **მამა ახმარგეხ** „არ მოეშვნენ („*ეს ამეებმა არ მო-ა-**რგ**-ეს“, შდრ. ქართ. „მო-**რგ**-ებ-ა“)“), **თანდებულიანი სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**კოჯქ’ათჭედგნენა** ← **კოჯქა ათჭედგნენა** „კლდეზე (შდრ. ქართ. „**კორძ**-ი“) გადასულა

[1] ელიზიური პროცესები რთულ პრევერბებში ცალკე გვექნება განხილული.

(„მოხვედრილა“, შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-**ჴდ**-ომ-ა“)“), **რიცხვითი სახელი** + **რიცხვითი სახელი** (არ’აშირ ← არა აშირ „რვაასი („რვა-ას-ი“)“), **არსებითი სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**მეთხუარ’აფიშუდ** (← **მეთხუირა აფიშუდ**) „მონადირეები (შდრ. ძვ. ქართ. მ-**თხევ**-ლ-არ-ი „მონადირე, მეთევზე“) გაუშვა (შდრ. ქართ. **ფოთ**-ე „მოშვებულადაც ითქმის... ანუ დახსნილად (საბა)“, და-**ფოთ**-ებ-ულ-ი „მოშვებული“, და-**ფუთ**-ებ-ა „მოშვება“ (საბა)“) და ა.შ.

პროფ. მ. ქალდანის აზრით, ანალოგიური ვითარება დასტურდება ლენტეხურ დიალექტშიც, „ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ ელიზია მოსდის პრევერბისეულ **ა**’ს, სხვა შემთხვევაში კი იგი შემჩნეული არ არის“ (იქვე). რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით, რადგანაც როგორც „სვანური ენის ქრესტომათიის“ ლენტეხური ნაწილის განხილვამ გვიჩვენა, აქ არა მარტო პრევერბისეულ **ა**’ს მოსდის ელიზია **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას, არამედ, იგი, ანალოგიურად ბალსქვემოურისა, სხვა შემთხვევებშიც ელიზირ-დება; უპირველეს ყოვლისა, **ა+ა** კომპლექსი ელიზირდება, როდესაც გვაქვს **ნაცვალსახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**დეს’ანჴად** ← **დესა ანჴად** „არ მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-**ჴდ**-ომ-ა“, **ნუმ’ადგა̈რი** ← **ნუმა ადგა̈რი** „არ მოკლა“; **დეს’ასოხუიდა** ← **დესა ასოხუიდა** „არ დახვდა“), **ზმნიზედა** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**ხოშ’ახოთილ** ← **ხოშა ახოთილ** „უფრო („დიდი“, შდრ. ძვ. ქართ. „უ-ხ-უ-**ც**-ე, **უ-**ხ-უ-**ც**-ეს-ი, უ-ხ-უ-**ც**-ცს-ი“) მოუჭირა“), **ნაცვალსახელი** + **არსებითი სახელი** (**მ’ამბა̈უ** ← **მა/ა̈ ამბა̈უ** „რა ამბავი“) და ა. შ.

რაც შეეხებათ გრძელხმოვნიან დიალექტებს — ბალსზემოურსა და ლაშხურს, იქ, როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში ელიზიის ნაცვლად ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე. ხმოვანთა შერწყმა ამ დიალექტებში ხდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, მაშინ, როდესაც გვაქვს:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ნაცვალსახელი + **ზმნის პირიანი ფორმა** (**ალ’ᾱთხᾱრᾱნახ** ← **ალა ათხᾱრᾱნახ** „ეს ეწყინათ თურმე“), **თანდებულიანი სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**მაჩუიბისგ’ᾱყურახ** ← **მაჩუიბისგა აყურახ** „მაჩუბ“-ში („საცხოვრებელში“) იწვნენ“), **არსებითი სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**გუუᾱდირმ** ← **გუუა ადირმ** „გუა დაიჭირა“), **თანდებულიანი სახელი** + **რიცხვითი სახელი** (**ზაუისგ’ᾱშხუ ლადა̈ღ** ← **ზაუისგა აშხუ ლადა̈ღ** „წელიწადში („წელში“, შდრ. ქართ. „**ზა**-მთარ-ი; **ზა**-ფხულ-ი; გა-**ზა**-ფხულ-ი“)

ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) დღეს“, **ა სუფიქსიანი განყენებული სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**თუ̈Აფ’Ახჭიმდა** ← **თუ̈Აფა ახჭიმდა** „⌜და⌝კარგვა (შდრ. ქართ. (კახ.) **თაფ**-ვ-ა „შემცხვარი პურის თონეში ჩაყრა“; **თაფ**-ად ცვივა „ვარდება; იყრება“) მოჰყვებოდა ხოლმე („მოსდევდა“)“, **ზმნის პირიანი ფორმა** + **ნაცვალსახელი** (**ითნ’Ამის** ← **ითნა ამის** „იმჩნევდა („იტყობდა“, შდრ. ძვ. ქართ. გან-**თენ**-ა „გათენდა“, ახ. ქართ. „**თენ**-ებ-ა“) ამას“, **ზმნიზედა** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**ლეჟ’Ადიახ** ← **ლეჟა ადიახ** „წაიყვანონ („ზემოთ წაიღონ“)“, **რიგობითი რიცხვითი სახელი** + ზმნიზედა (**მე̄სგუ̈’Ამჟე̄ნ** ← **მე̄სგუ̈ა ამჟე̄ნ** „მეექვსე ასე“ და ა. შ.

ლ ა შ ხ უ რ ი

ზმნიზედა + **ზმნის პირიანი ფორმა** (**ლეჟ’Ანჴიდხ** ← **ლეჟა ანჴიდხ** „ამოიყვანეს („ზემოთ მოიტანეს“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ჴდ**-ომ-ა, ⌜მი/მო⌝-**ჴდ**-ა“)“) და ა. შ.

ამრიგად:

1. „სვანური ენის ქრესტომათიაში“ თანაბარი ღიაობის **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის შემცველი საკმაოდ მდიდარი მასალა გამოვლინდა.

2. **ა+ა** ხმოვანთკომპლექსი, როგორც წესი, ელიზიური აღმოჩნდა სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში, ხოლო, რაც შეეხება ბალსზემოურსა და ლაშხურს, იქ იდენტური ხმოვნები აღნიშნულ კომპლექსში ერთმანეთს შეერწყა და შედეგად მივიღეთ გრძელი ხმოვანი.

3. „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ელიზირებულ ფორმათა პარალელურად დიდი რაოდენობით გამოვლინდა ისეთი ფორმებიც, სადაც პრევერბისეული **ა** + **პრევერბისეულივე** ან **ზმნისეული ა** ორივე დაცულია.

4. **ა+ა** კომპლექსი, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, არა მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან იძლევა ერთ **ა**’ს, არამედ იგი სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება როგორც ბალსქვემოურ დიალექტში (**ნაცვალსახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა**, **თანდებულიანი სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა**, **რიცხვითი სახელი** + **რიცხვითი სახელი**, **არსებითი სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა**), ასევე ლენტეხურშიც (**ნაცვალსახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა**, **ზმნიზედა** + **ზმნის პირიანი ფორმა**). რაც შეეხებათ გრძელხმოვნიან დიალექტებს — ბალსზემოურსა და ლაშხურს, სადაც **ა+ა** კომპლექსის შეხვედრისას ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე, ხმოვანთშერწყმა ხდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც (ბზ.: **ნაცვალსახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა**, **თანდებულიანი სახელი** + **ზმნის**

პირიანი ფორმა, **არსებითი სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა**, **თანდებულიანი სახელი** + **რიცხვითი სახელი**, **ა სუფიქსიანი განყენებული სახელი** + **ზმნის პირიანი ფორმა**, **ზმნის პირიანი ფორმა** + **ნაცვალსახელი**, **ზმნიზედა** + **ზმნის პირიანი ფორმა**, **რიგობითი რიცხვითი სახელი** + ზმნიზედა; ლშხ.: **ზმნიზედა** + **ზმნის პირიანი ფორმა**).

ӓ+ӓ. „სვანური ენის ქრესტომათიაში“, კერძოდ, ბალსქვემოურ დიალექტში, დაფიქსირდა თანაბარი ღიაობის **ӓ+ӓ** ხმოვანთკომპლექსის ელიზიის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც დღემდე არ ყოფილა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგ.:

მ’ӓ**ӝ**გმბაფა ← მӓ ӓ**ӝ**გმბაფა [**ӓ+ӓ** =**ӓ**]

სერ **მ’ӓ*ӝ*გმბაფა**? — მეტი რა მოგიყვე („გ-ი-ა-**მბ**-ო“, შდრ. ქართ. „მბ-ობ-ა“ და „**ამბავ**-ი“ < ფალ. „**hambav**“)? (1) 188:6

მოცემულ ელიზიურ კონსტრუქციაში (კითხვითი ნაცვალსახელი + ზმნა) ელიზია ორ იდენტურ ხმოვანთაგან (**ӓ+ӓ**) ერთ **ӓ**’ს იძლევა.

ქალსქვემოურშივე გამოვლინდა **ӓ+ӓ** კომბინაციის შემცველი უელიზიო ფორმაც, რომელიც, ალბათ, მთქმელის ნელმა ტემპმა განაპირობა (უნდა ყოფილიყო — **ერფ*ӓ*ხშიალდეს**). მაგ.:

ანჴ*ӓ*დ ხარ*ӓ*ტ ი კომბ*ӓ*ლ ი ძაძრა ლახსაჩქფრე ⌜მაჰენ მუხფ*ბ*ეს⌝ ი ხ*ӓ*ქფ: „შომა’სერ **ერფ*ӓ* ӓ*ხ*შიალდეს**[1], ჟ*ᲔᲡ*ერ ᲐᲜ*ᲙᲒᲓᲔᲡ* კომბ*ᲐᲚ* ძაძრახენ*ᲔᲒᲘ* ...“ — ადგა („მოვიდა“, შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⌜ღ⌝-ჴდ-ომ-ა“) ხარატი და კომბალი (შდრ. მეგრ. „**კოპალ**-ი“) და ტომარა (შდრ. ქართ. „**ძაძ**-ა, **ძაძ**-ებ-ი“ < ზან. „ძონძ**-ი**“, შდრ. ზან. **ძანძ**-ა „ტომარა“ და **ძონძ**-ი „ძონძი; ძაძა“) აჩუქა უმცროს („ყველაზე პატარა“) ძმას და უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი“, ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი“): „თუ („როდისო“) ვინმე („ვინც“) წაგეჩხუბებაო („ეომოს“), მაშინ აიღეო („აიღოსო“, შდრ. ძვ. ქართ. „აღ-ი-**კიდ**-ებ-ს; აღ-**კიდ**-ებ-ა“) კომბალი (შდრ. მეგრ. „**კოპალ**-ი“) ტომრიდან (შდრ. ქართ. „**ძაძ**-ა, **ძაძ**-ებ-ი“ < ზან. „ძონძ**-ი**“, შდრ. ზან. ძანძ-ა „ტომარა“ და ძონძ-ი „ძონძი; ძაძა“)“ (1) 231:25

როგორც არაერთგზის ითქვა, მსგავს ფორმათა არსებობას სვანურ პუბლიკაციებში უმეტესად ზოგიერთი მთქმელის მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნელი ტემპი განაპირობებს.

ლენტეხურ დიალექტშიც დადასტურდა ისეთი მაგალითები, როდესაც

[1] ლახამულელისთვის ამ ფორმას ჩხუბის მნიშვნელობა აქვს, ხოლო დანარჩენი ბალსქვემოური კილო-კავების წარმომადგენელთათვის — ომის; რა თქმა უნდა, სემანტიკურად ომი და ჩხუბი იდენტურია.

მორფემათა ზღვარზე თავს იყრის იდენტური **ä+ä** ხმოვანთკომპლექსი და არ ხდება ელიზია. მაგ.:

... აშირ **მგშä ärი** ეჩქა გოლდäშ — ასი მუშა არის მაშინ გოლდაშში (302:31)

აშხუ äგის შაუარდენ **ეკალისკä ärი** გამბილ — ერთ ადგილას შევარდენი ეკალში არის გაბმული (342:39)

არადა სავსებით მოსალოდნელი იყო ელიზირებული **მგშ'ärი** და **ეკალისკ'ärი** ფორმები, რაზეც მეტყველებს ლენტეხურშივე დაფიქსირებული შემდეგი შესიტყვება:

მიშკუ'äგუხო ← მიშკუა/ä äგუხო

ეჩქა ხოქუა მგფäყს: „გუშკუე ისკალდä თარიგლეზერს ჟიუ ახონდუნა, ედო **მიშკუ'äგუხო** äმჯიდე, ისკუე ლäგუირკას ჟი ხäსერე“ — მაშინ უთქვამს (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი“, ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი“) ფაყელს: „ჩვენმა („ჩვენს“) ისკალდის მთავარანგელოზმა („მ-**თავ**-არ-**ანგელოზ**-ს“) მოინდომოს („მო-უ-**ნდომ**-ებ-ია-მცა“), თორემ ჩემს სახლში („**ალაგ**-⌜ის⌝-კენ“, შდრ. ძვ. ქართ. „**ალაგ**-ი“ < ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება“) წამიყვანს („მომიტანს“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ვდ**-ომ-ა, ⌜მი/მო⌝-**ვდ**-ა“), თქვენს კვირიკეს („სა-**კვირიკ**-ეს“, შდრ. ქართ. „**კვირიკე**“) სჯობნის („აჯობებს“, „□გაა-მეტებს“, „გა-ა-**სწრ**-ებ-ს“, შდრ. ქართ. „გა-**სწრ**-ებ-ა“)“ (21) 94:6

თანამედროვე ლენტეხურში ზოგი მთქმელი მიშკუა-ს ხმარობს, ზოგი კი — მიშკუä-ს.

საოცარია, მაგრამ ბალსზემოურში **ä+ä** ხმოვანთკომპლექსის შემცველი ვერც ერთი მაგალითი ვერ დავაფიქსირეთ. რაც შეეხება ლაშხურს, მისი უუმლაუტობიდან გამომდინარე, **ä+ä** კომბინაცია არც იყო მოსალოდნელი.

ამრიგად:

1. თანაბარი ღიაობის **ä+ä** ხმოვანთკომპლექსი ელიზიური აღმოჩნდა მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში. სვანური ენის სხვა უმლაუტიან დიალექტებში კი ძირითადად უელიზიო ფორმები დაფიქსირდა.

2. ბალსზემორში, მორფემათა ზღვარზე, **ä+ä** ხმოვანთკომპლექსის თავმოყრის შემთხვევაში, მეორე კომპონენტი უნდა დაგრძელებულიყო და შესაბამისად უნდა მიგვეღო **ä̈**.

3. „სვანური ენის ქრესტომათიაზე“ დაკვირვებამ ნათლად დაგვანახა, რომ **ä+ä** ხმოვანთკომპლექსის შემცველი მაგალითები (როგორც ელიზიური, ასევე არაელიზიური) არცთუ ისე ბევრია.

ე+ე. საენათმეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალის მიხედვით, **ე+ე** ხმოვანთკომპლექსი მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში — ბალსზემოურსა და ბალსქვემოურშია ელიზიური (ქალდანი 1953, 195). ბალსქვემოურში, ელიზიის კანონებიდან გამომდინარე, უკვალოდ იკარგება კომპლექსის წინა კომპონენტი[1]. მაგ.:

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

იმთ'ესერ ← იმთე ესერ [ე+ე =ე]

ბეუას ხოქუა ⌜ჰამაშრე ეშდჟორი მაxეღუაჟდ⌝: „**იმთ'ესერ** ესxრიx"? — ბევას უკითxავს („უ-**თქ**-ვ-ამ-ს", შდრ. ძვ. ქართ. „თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი", ახ. ქართ. „თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი") ჰამაშელების თორმეტი („**ათ**-ი და **ორ**-ი") ვაჟკაცისთვის („ახალი-**ვაჟ**-⌜ის⌝-თვის", შდრ. ზან. ⌜მოxა⌝ „ახალი"): „საით („საითო") გაგიწევიათო („მიდიან")"? (6) 189:1; 210:10, 12; 219:6; 222:11; 228:33

ლიკუან'ესერ ← ლიკუანე ესერ [ე+ე =ე]

ათxე ეჩxაუ ჩუიფშაარდ ეშუი მინე xოჩ'აფxნეგს ისგ'ოთთონეx ი „ქ'ესერ მოდმ'ოთxვერდეს, თეფოუ xაჯიდ ი ჩ'ოუ ადგაარ, მიჩა თეფიშ **ლიკუან'ესერ** ქა xესმიx" — ახლა იქ („იქით") ქვემოურებმა („ქვემოთებმა") ერთი („ერთ", შდრ. ძვ. ქართ. **სxუა**-ჲ „მეორე; სxვა; უცxო; ერთი") თავიანთი („მათ") კარგი („კარგ") ამxანაგი („**ამxანაგ**-ს", შდრ. ქართ. „ამxანაგ-ი" < ფალ. „**hamxānak**") შეაგზავნეს („შეასწავლეს") და „თუ არ გამოგყვაო („გაყვეს", „ე-ა-**xლ**-ო-ს", შდრ. ქართ. „**xლ**-ებ-ა"), თოფი („**თოფ**-ი-მცა", შდრ. ქართ. „**თოფ**-ი" < სპარს. „**tuf**") ესროლე („დაარტყა") და მოკალიო („მოკლამცა", შდრ. ძვ. ქართ. „მო-მე-**დგრ**-ებ-ა, ⌜და⌝-მე-**დგრ**-ებ-ა, მე-**დგრ**-ობ-ა"), თავისი („მისი") თოფის (შდრ. ქართ. „**თოფ**-ი" < სპარს. „**tuf**") სროლის xმა („გასროლაო", „გაგდებაო") გვესმისო („ესმით", შდრ. ქართ. „**სმ**-ენ-ა")" (1) 189:24

იმთ'ესღრიდ[2] **⟵ იმთე ესღრიდ** [ე+ე =ე]

... უიტმიზილს ი გატმაზილს ... ლაxxუიდდაx ჭუერ[3]: „xოჩაუ ლადეღ ჯარx უიტმიზილს ი გატმაზილს! **იმთ'ესღრიდ**"? — ვიტმიზილს ი გატმაზილს შეxვდათ ყვავი (შდრ. ქართ. „**წერო**", ზან. (მეგრ.) **ჭარო** „ფრინველი, რომელიც ქორსა ჰგავს, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს (საბა)"): „გამარჯობათ („კარგიმცა **დღ**-ე გაქვთ") ვიტმიზილ და გატმაზილ („ვიტმიზილს და გატმაზილს")! საით გაგიწევიათ („საით მიდიxართ"?)"? (3) 232:9,12,18

---

[1] მაგალითები, როგორც წესი, მოგვყავს „სვანური ენის ქრესტომათიიდან".

[2] მთქმელი xან ამ ფორმას xმარობს, xან **იმთ'ესxრიდ**'ს.

[3] სვანური **ჭუერ** ლექსემის ქართულ **წერო**-სთან ეტიმოლოგიური დაკავშირება, ალბათ, არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, მითუმეტეს, რომ სემანტიკურადაც ორივე ერთეული ფრინველის აღმნიშვნელად გამოიყენება. რაც შეეxება სვანური ენის დიალექტებში გავრცელებულ **წაურ**'ს, იგი ქართულის გზით შემოსული ფორმა ჩანს.

ანალოგიურ მასალაში ელიზიურ ფორმათა პარალელურად უელიზიო ფორმებსაც ხშირად ვაწყდებით. მაგ.: **ჟ'ესბე ეჩეჩუ** (231:11) ნაცვლად **ჟ'ეს-ბ'ეჩეჩუ** ფორმისა, **ჟაესდე** ეჯი˹ს˺ (214:17) ნაცვლად **ჟაესდ**'ეჯი˹ს˺ ფორმისა, **მარე ეჯღაი** (212:21) ნაცვლად **მარ'ეჯღაი** ფორმისა და ა. შ.

პროფ. მ. ქალდანის გამოკვლევის მიხედვით გარკვეულია, რომ როდესაც ბალსზემოურში **ე+ე** კომბინაცია იქმნება, მაშინ ელიზიის ნიმუშებს მხოლოდ პოეზიაში ვხვდებით (იქვე), მაგ.:

მუგუდა წაწყულდ **მად'ემდენე** (სვან. პოეზია, I, 1939, 140, 40) — თითქოს არც (კი) დამიწკმუტუნა ˹ყურშამ˺...

მართალია ელიზიის ნიმუშები „სვანური ენის ქრესტომათიაშიც" დავაფიქსირეთ, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ იქ უთუოდ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე. რაზეც მეტყველებს ერთი და იმავე ელიზიური ფორმის (მაგ.: **იმთ'ესერ** ← იმთე ესერ — 79:17 და **იმთ'ē̄სერ** ← იმთე ესერ — 71:1) სხვადასხვა ორთოგრაფია. რაღა თქმა უნდა, უპირატესობა ენიჭება **იმთ'ē̄სერ** ფორმას, რადგანაც მორფემათა ზღვარზე თავმოყრილი იდენტური **ე+ე** ხმოვანთკომპლექსის შემთხვევაში ბალსზემოურ დიალექტში თითქმის ყოველთვის ხდება ხმოვანთა შერწყმა და არა ელიზია. დავასახელოთ მაგალითები:

მარ'ē̄ჩē̄შ ← მარე ეჩē̄შ [ე+ე =ē̄]

მასარდ ხახგრბგნხ მერხაᲚდ მეზგაᲚს ლგფშირ მეზგად, **მარ'ē̄ჩē̄შ** მᲚმ ხოხალდახ, ერე ფიშირ მაღუენას ფიშირ მუზუები ხეყაᲚდ — ძალიან („ბლომად") შურდათ („ე-**ხარბ**-ებ-ოდ-ა-თ", შდრ. ქართ. „სი-**ხარბ**-ე") მცირერიცხოვან („მეჩხრად") ოჯახებს („მოსახლეებს") მრავალრიცხოვანი („გამრავლებული", შდრ. ქართ. „**ვრც**-ელ-ი,.. სი-**ვრც**-ე") ოჯახის („მოსახლისად"), მაგრამ ის („იმისი") არ იცოდნენ (შდრ. ქართ. „**ხ**-(**ილ**)-ვ-ა, **ხ**-(**ილ**)-ულ-ი, უ-**ხ**-(**ილ**)-ავ-ი..."), რომ ბევრ („მრავალ", შდრ. ქართ. „**ვრც**-ელ-ი,.. სი-**ვრც**-ე") ქონებას (შდრ. მეგრ. **ღუ**-ენ-ა „ქონა", **ღგ**-მ-ალ-ა „სამფლობელო", ლაზ. მ-ი-**ღუ**-ნ „მაქვს" ...) ბევრი („მრავალი ", შდრ. ქართ. „**ვრც**-ელ-ი,.. სი-**ვრც**-ე") მჭამელიც (შდრ. ქართ. „უ-**ზმ**-ო‖უ-**ზმ**-ა, სა-უ-**ზმ**-ე") ჰყავდა (1) 25:14

მარ'ē̄ჯუ̄ნ ← მარე ეჯუ̄ნ [ე+ე =ē̄]

მუშუᲚნს ლიდრᲚ ი შგუირი ლიტხᲫელი უფგრუშᲚ ხემთქუᲚნ, **მარ'ē̄ჯუ̄ნ** ერე ჩᲚ ჟ'ოხუმეჯრენს — სვანმა („**სვან**-ს") ჩასაფრება (შდრ. ძვ. ქართ. და-**დარ**-ნ-ებ-ა „დამალვა, მზერა, საფარს ცხოვრება", კახ. და-**დარ**-იელ-ებ-ა „დადარაჯება, ჩასაფრება, თვალთვალი") და შურისძიება („სირცხვილი˹ს˺ დაბრუნება", შდრ. ქართ. უ-**შვერ**-ი „უპატიური (საბა)", „უსირცხვილო, არა-

საკადრისი“) ჩუმადაც („მალვითაც“) იცოდა („სჩვეოდა“), მაგრამ ისე, რომ ყველას გაეგო (1) 45:15 (**მაჩ̄ენ’ē̄სერ** ← მაჩ̄ენე ესერ (2) 154:16; 154:16, **ჩუ̄ადშარდ’ē̄სნარ** ← ჩუ ადშარდე ესნარ (1) 65:20 და სხვა).

გულთ’ē̄სღრიხ ← გულთე ესღრიხ

გულა̄ თახა̄ ლადა̄ღ[1] **გულთ’ē̄სღრიხ**[2] ხოლა ბგნბუ̄ა̄რ — გულის სამშაბათს („სამშაბათ **დღ**-ე-˹ს˺“, „**თახ**-ას **დღ**-ე-ს“, შდრ. ზან. (მეგრ.) **თახაშ-ხა** (< **თახაშ-დღა**) „სამშაბათი“) გულში მიდიან ბნედიანები („ცუდი **ბუნებ**-˹ის˺-ან-ი“, შდრ. ძვ. ქართ. „**ბუნ-ებ-ა**“ < ფალ. **būn/bun** „საფუძველი, ძირითადი პრინციპი, საბაბი, ფესვი, ბუნება, ხასიათი“) (1) 144:16

ელიზიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება „სვანური ენის ქრესტომათიაში“ წარმოდგენილი შემდეგი ბალსზემოური ფორმები: ჰ’ē̄სა ← ჰე ესა (1) 166:6, ჰ’ē̄სამა ← ჰე ესამა (2) 19:32; 86:8, **ჰ’ē̄სერ** ← ჰე ესერ (2) 64:39; 75:19, **ჰē̄ს’ē̄სერ** ← ჰē̄სა ესერ ან ჰე ესა ესერ (1) 54:4. თვალსაჩინოებისათვის თვითეულ მათგანს წარმოვადგენთ ილუსტრირებული სახით. მაგ.:

ჰ’ē̄სა[3] ← ჰე ესა [ე+ე =ē̄]

... ზურა̄ლდ ხა̄ქუ̄ ˹ჭყინტგლდს˺ ...: „აი, ეჯდა̄რს ესერ ქ’ō̄თზგზი, მარე მგსკა̄დ ესერ ჰ’ē̄სა სგ’ā̄ddას, ეჩქა ესერ ჰē̄ръ̄лა̄рუ[4] გარ ა̄მსედ“! — ქალმა (შდრ. მეგრ. ზურა „მხდალი“, ლაზ. ზურა „დედალი“) უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი“, ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი“) ბიჭუნას (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ.) „**ჭყინტ**-ლ-ი“): „აი, იმათ („იმეებს“) გავუგზავნიო (შდრ. ქართ. სა-**გზ**-ალ-ი, **გზ**-ავ-ნ-ა, **გეზ**-ი, **გზ**-ა, მ-**გზ**-ავ-რ-ი“), მაგრამ თუ („ჰე თუ“) ბეჭედი (შდრ. მეგრ. „**მარწკინდ**-ი“ და ლაზ. „**მაწკინდ**-ი“) გაიკეთაო („გაიკეთოს“, „შე-ი-**დ**-ო-ს“, შდრ. ქართ. „შე-**დ**-ებ-ა“), მაშინ ˹მისგან˺ მხოლოდ („მარტო“) ფერფლი („ქაფები“) დარჩესო“! (1) 166:6

ჰ’ē̄სამა[5] ← ჰე ესამა [ე+ე =ē̄]

მა̄დხუ̄ა̄ ღგნგლდ **ჰ’ē̄სამა** ჩუ ხერი ლუშგუ̄ირ მეზგა, ლა̄ჯესუშას ჩიგარ ქ’ā̄წჰი — პატარა („არა-**ხვავ**-ი“, შდრ. ქართ. **ხვავ**-ი „ზვინი, გროვა“) დღესას-

[1] იგულისხმება სოფელ ბეჩოს ერთ-ერთი უძლიერესი სალოცავის გულის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში გამართული ლოცვის სამშაბათი დღე; ლოცვა მიმდინარეობს სამი კვირის განმავლობაში ყოველ სამშაბათ დღეს.

[2] ადგილია სოფელ ბეჩოში, სადაც დგას გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. ადგილობრივთა ღრმა რწმენით, ეს ეკლესია კურნავს ბნედით შეპყრობილ ავადმყოფებს.

[3] აპოსტროფის გარეშე იყო წარმოდგენილი.

[4] ბალსზემოელი მთქმელების მტკიცებით, აქ უნდა იყოს არა **ჰē̄рръ̄лა̄рუ** ფორმა, არამედ **პē̄рръ̄лა̄рუ**.

[5] **ჰē̄სამა** ← **ჰე ესამა**’საგან, და, ამდენად, აღნიშნული ფორმა აპოსტროფით უნდა იყოს წარმოდგენილი (**ჰ’ē̄სამა**).

წაულიც (შდრ. ქართ. **ხონ**-ი „დიდი ტაბაკი (საბა)“, ზან. (მეგრ.) დღა-ხუ „დღესასწაული“) რომ ჰქონდეს („ექნება“) თავმოყვარე („მორცხვ“, შდრ. ქართ. უ-**შვერ**-ი „უპატიური (საბა)“, „უსირცხვილო, არასაკადრისი“) ოჯახს („მოსახლეს“), გათხოვილ ქალებს („**ასულ**-ებ-ს“) ყოველთვის დაპატიჟებს ხოლმე (შდრ. ძვ. ქართ. უ-**წეს**-ს „ეძახის“, მი-უ-**წეს**-ა „დაუძახა; უბრძანა; ამცნო“, მო-უ-**წეს**-ნ „ეძახის; პატიჟებს“) (2) 19:32; 86:8

ჰ’ē̄სერ ← ჰე ესერ [ე+ე =ē̄]

⌜ალდაარდ⌝ ... ჩუადშგურანეხ ... საუთე მეზ⌜ა⌝: „... **ჰ’ē̄სერ** ადჴგდახ საუდაარდ მინე ნაჭუთიარუი ფასაარ ქაშგართე, ხოჩა, მად’ē̄სერი ქაუ ოთუშხეხ მაგ საუდაარს“ — ამათმა („ამეებმა“) გააფრთხილეს („დაარიგეს“) ყაბარდო-ბალყარეთში („**ოს**-ეთ-⌜ის⌝-კენ“, შდრ. ქართ. „**ოს**-ეთ-ი“) ⌜წა⌝მსვლელები: „თუ გადაუხდიანო („გადაიხადონ“) ყაბარდო-ბალყარელები („**ოს**-ებ-მა“, შდრ. ქართ. „**ოს**-ეთ-ი“) თავიანთი („მათი“) ნაქურდალის საფასურს („**ფას**-ებ-ი“, შდრ. ქართ. „**ფას**-ი“ < ძვ. ალან. ***fæs/fas** „ცხვარი“) ჩერქეზებს („**ქაშაგ**-ებ-⌜ის⌝-კენ“, შდრ. ქართ. **ქაშაგ**-ი „მოზრდილი ტყვე (საბა)“ < ოს. „**kæsæg**“), ⌜ძალიან⌝ კარგი, თუ არა და ყველაფერი („ყველა“) თქვითო („გაუმხილესმცა“) ყაბარდო-ბალყარელების („**ოს**-ებ-ს“, შდრ. ქართ. „**ოს**-ეთ-ი“) შესახებ“ (2) 64:39; 75:19

ჰ’ē̄ს’ē̄სერ ← ჰē̄სა ესერ ან ჰე ესა ესერ [ე+ე =ē̄]

დაალ ჩუადნაბნაან: „ეჩქაუ ესერ ათდაგრა მიჩა გეზლირ: ალი, მალი, შაქარ, ქოლო, ანა, დაჯა, დაუით, ხოხოლომუ, ლომკაც, კაცი, დაუით მეფე, **ჰē̄ს’ē̄სერ** ჯიმ ჩუ ხოსდენს, ადო დē̄მის ესერ ხოდურუანი“ — დალმა დაიფიცა (შდრ. ქართ. უ-**ბნ**- „ეუბნება“, „უ-**ბრ**-ად, ნა-უ-**ბარ**-ი, სა-უ-**ბარ**-ი“): „მაშინ („მაშინმცაო“) მომიკვდესო („მოკვდომია“, შდრ. ძვ. ქართ. „მო-მე-**დგრ**-ებ-ა, ⌜და⌝-მე-**დგრ**-ებ-ა, მე-**დგრ**-ობ-ა“) ჩემი („მისი, თავისი“) შვილები: ალი, მალი, შაქარი, ქოლო, ანა, დაჯა, დავითი, ხოხოლომუ, ლომკაცი, კაცი, დავით მეფე, თუ მარილი მქონდესო („ქე ე-**დ**-ო-ს“, შდრ. ქართ. „**დ**-ებ-ა“), თორემ უარს არ გეტყოდიო („უარს ეუბნება“)“ (1) 54:4

ჩვენ მიერ ზემოთჩამოთვლილი საანალიზო ფორმები (ჰ’ē̄სა, ჰ’ē̄სამა, **ჰ’ē̄სერ**, **ჰē̄ს’ē̄სერ**) წარმოშობით რთული კავშირებია, რომლებიც შედგენილია მარტივთაგან: ჰ’ē̄სა ← ჰე ესა, ჰ’ē̄სამა ← ჰე ესამა, **ჰ’ē̄სერ** ← ჰე ესერ, **ჰ’ē̄ს’ē̄სერ** ← ჰე ესა ესერ და აქვთ „თუ“ კავშირის მნიშვნელობა. უკანასკნელი მაგალითი, თავისი კონსტრუქციიდან გამომდინარე, ყველაზე

უფრო საინტერესოდ გვესახება[1]. დასახელებულ მაგალითებში პირველ კომპონენტად ყველგან წარმოდგენილია კავშირი **ჰე**, რომელსაც ახლავს კავშირი **ესა** და სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ**.

ე+ე კომპლექსის უელიზიო შემთხვევები პროფ. მ. ქალდანმა ბალსზემოურ ტექსტებში პროზაშიც და პოეზიაშიც დააფიქსირა. მკვლევრის აზრით, პოეზიაში ელიზიის საკითხი ხშირად ლექსის ზომით შეიძლება განისაზღვროს. მის მიერ საანალიზოდ მოყვანილ „სოზარ-ციოყის“ ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

— სი სოზარე, **იმთე ესლრი**? — შე სოზარ, სად მიდიხარ?

ნომ'ათჯაცად ქორ ი ლირდე! (126, 56) — არ დაღუპოთ ოჯახი („სახლი და ყოფა“)!..

რამ განსაზღვრა მოცემულ რვამარცვლიან ლექსში ელიზიურ და უელიზიო ფორმათა ხმარება, ხომ არ არის აქ შეუსაბამობა?

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი მოსაზრების თანახმად, „პირველი ტაეპის ბოლო ორ სიტყვაში უელიზიობას და მეორე ტაეპის პირველ ორ სიტყვაში ელიზიას ლექსის ზომა განაპირობებს“, ხოლო ტექსტებში ამ მხრივ გამოვლენილი შეუსაბამობა კარნახით ჩაწერის შედეგად არის მიჩნეული (ქალდანი 1953, 195), რასაც სავსებით ვეთანხმებით.

უნდა ითქვის ისიც, რომ **ე+ე** კომპლექსის უელიზიო შემთხვევები „სვანური ენის ქრესტომათიაში“ აქა-იქ ბალსზემოურ დიალექტშიც დაფიქსირდა (მაგ.: **ერე ეჯაარე** (13:11) ნაცვლად **ერ'ē̄ჯაარე** ფორმისა, **ერე ერხი** (44:24) ნაცვლად **ერ'ē̄რხი** ფორმისა და ა. შ.), თუმცა უფრო ელიზიური ფორმებია გაბატონებული.

რადგანაც ქვემოსვანური დიალექტების შესახებ პროფ. მ. ქალდანის ცნობილ გამოკვლევაში „ელიზია სვანურ ენაში“ არაფერია ნათქვამი, აქედან გამომდინარე, აუცილებლად ჩავთვალეთ **ე+ე** ხმოვანთკომპლექსის შემცველი როგორც ელიზიური, ასევე უელიზიო ფორმების აღნუსხვა და შეძლებისდაგვარად მათი მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა. ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ლაშხურსა და ლენტეხურში.

„სვანური ენის ქრესტომათიაზე“ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იდენტური **ე+ე** ხმოვანთკომპლექსის შემცველი მაგალითები ლაშხურ ტექსტებში არცთუ ისე ბევრია და თანაც სურათიც არაერთგვაროვანია. ე+ე კომპლექსის შემთხვევაში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ყოველთვის ხმოვანთა შერწყმასთან არ გვაქვს საქმე. ერთადერთი მაგალითი დაფიქსირდა ლაშხურში,

[1] რთული ელიზიური კონსტრუქციების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა (იხ. იკე, 2008, გვ. 162-184).

სადაც ხმოვანთაშერწყმის შედეგად მივიღეთ ē. მაგ.:

ლ ა შ ხ უ რ ი

ერ'ēსა ← **ერე ესა** [ე+ე =ē]

ლგდგარა ქუნარეშდრ̄ ხამკახხ ხოჩა ლეზუბრ̄რა, **ერ'ēსა** ხუღუახ ი უფა̄ნად დ̄ემ იზბიხ — მიცვალებულთა („მკვდრის", შდრ. ძვ. ქართ. „მე-**დგ**-არ-ი", და-**დგ**-რ-ომ-ილ-ი") სულებისთვისაც (შდრ. ძვ. ქართ. „აღმო-**ქუინ**-ვ-ა"და ზან. (მეგრ.) მო-**ქინ**-იშ-უა „სულის მოდგმა", მო-**ქინ**-აფ-ა „გაბრუვება; თავ-ბრუდახვევა", მო-**ქგნ**-აფ-ა „გაბრუება", მო-**ქგნ**-აფ-ილ-ი „გაბრუებული, თავ-ბრუდახვეული") უნდათ („სურთ", „ემეტებათ") კარგი საჭმელები (შდრ. ქართ. „უ-**ზმ**-ოǁუ-**ზმ**-ა, სა-უ-**ზმ**-ე"), თუ აქვთ (შდრ. მეგრ. **ღუ**-ენ-ა „ქონა"...; **ღგ**-მ-ალ-ა") და საკურთხის წაუდგმელად (შდრ. ქართ. „და-ფ-ენ-ა") არ ჭამენ (შდრ. ქართ. „უ-**ზმ**-ოǁუ-**ზმ**-ა, სა-უ-**ზმ**-ე") (1) 242:24

ე+ე ხმოვანთომპლექსი ელიზიური აღმოჩნდა შემდეგ მაგალითში. მაგ.:

ხ̄ა̄ქუერე ← **ხ̄ა̄ქუე ერე** [ე+ე =ე]

ხაზეინდ ⌜მოჯმაგ̄რს⌝ ხ̄ა̄ქუერე „ჯანი მაგ̄ორ წელრ̄ლუ ლოქ ადდე ლამშაადთე" — პატრონმა (შდრ. ქართ. „**ხაზეინ**-ი" < რუს. „**Хозяин**") უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი", ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი") მოჯამაგირეს, რომ „ხარის მაგივრად (შდრ. ქართ. „**მაგიერ**-ი") ვირი („ვირუ-კამცაო", შდრ. ძვ. ქართ. **წალ**-ი „უშობელი თხა; ვაცი") წაიყვანეო („წაიღო") სამუშაოდ („სა-**მუშ**-ა-ო-⌜ს⌝-კენ")" (1) 270:24

ე+ე ხმოვანთომპლექსის პირველი კომპონენტის მომდევნო კომპო-ნენტთან შერწყმის შედეგად სინამდვილეში გრძელი ხმოვანი უნდა მიგვეღო (**ხ̄ა̄ქუ̄ერე**), როგორც ჩანს კორექტურულ უზუსტობასთან გვაქვს საქმე.

ე+ე ხმოვანთომპლექსის ერთი უელიზიო მაგალითიც გამოვლინდა ლაშხურში, რაც ალბათ მთქმელის მეტყველების ნელმა ტემპმა განაპირობა. მაგ.:

ოხუაფშუდ ⌜ნათხუიარას⌝ **ჩიქე ეშხუ**, ღო — მ̄ერმე, ღო — მესმე, ღო — მრ̄უშთხუ, მარ̄ა მაგ ქ'რ̄თქად — ვესროლე ნადირს (შდრ. ძვ. ქართ. **თხევ**-ლ-ა; სა-**თხევ**-ლ-ებ-ა; სა-**თხევ**-ლ-ობ-ა „თევზაობა") ჯერ ერთი (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი"), მერე — მეორე, მერე — მესამე, მერე — მეოთხე, მაგრამ ყველა ავაცდინე (შდრ. ქართ. **ქაბ**-ნ-ა „სიტყვის გარდაცქაფნა, გარდასხვაება (საბა)") (1) 253:7

ელიზიის კანონებიდან გამომდინარე, ცხადია, აქაც მოსალოდნელი იყო **ჩიქ'ē̄შხუ**.

ლენტეხურში, როგორც წესი, **ე+ე** ხმოვანთომპლექსის შეხვედრისას

ელიზიას აქვს ადგილი. მაგ.:

მარ'ეჩანღო ← მარე ეჩანღო [ე+ე =ე]

ეჩქაში ლინცუს ქა ლაბეყაჲ ⌜მარე⌝, **მარ'ეჩანღო** დემ ხოშუემნეხ ჟი ლანცუს — მაშინდელ („მაშინი⌜ს⌝") დაცინვას აკოცებს კაცი, მაგრამ მერეც („მაშინს მერე") არ ასვენებენ („შეასვენებენ სი-**ცილ**-ს", შდრ. ძვ. ქართ. გან-**სუ**-ენ-ებ-ა; გან-**სუ**-ენ-ებ-ულ-ი „მოსვენებული") (1) 302:38

თუმცა უელიზიო ფორმებიც დასტურდება. შდრ., მაგ.:

ჭკუერიაშდ ... ჟ'ანატებდე ლგჯე ⌜ი⌝ **ჩუადბარალე ეჩეისა** ⌜დაუი დედე⌝ — ჭვიანმა გაათბო (შდრ. ძვ. ქართ. „**ტფ**-ილ-ი") რძე და იმაში აბანავა დევის (შდრ. ქართ. „**დევ**-ი" < ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული") დედა (1) 326:19

ალ დენას მად ხაკუდა, **მარე ეშიჲ** ხეკუეს ქ'ათაჭემან ალ ძაღთაპირს[1] — ამ გოგოს არ უნდოდა თურმე („*ნანდომა", შდრ. ძვ. ქართ. ნ-უ-**კევ**-ა, ნ-უ-**კვ**-ებ-ა „ფუფუნება; ნებივრობა; ხვეწნა; თხოვნა", მეგრ. მ-ო-**კო** „მინდა", გ-ო-**კო** „გინდა", ო-**კო** „უნდა"), მაგრამ მაინც უნდა გაყოლოდა ამ ძაღლთაპირს (1) 327:19

ათორჯენდა ბაპს ეჯი ი ჩუადიქუახ ამჟი, ერე „ეშხუ ზაი განმაულობაის-კა იმაის ერე მი ჯექნე, ეჯი მაგ ჟ'ამისყ ი სემი ათას მანათს **ლაჯიდნე ეჩქა**"— გაჰყვა („თან ე-ა-**ხლ**-ა", შდრ. „**ხლ**-ებ-ა") მღვდელს (შდრ. მეგრ.-ლაზ. „**პაპ**-უ" < ბერძნ. „**παππας**") ის და ასე დათქვეს (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი", ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი"), რომ: „ერთი (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა**-ჲ „მეორე; სხვა; უცხო; ერთი") წლის (შდრ. ქართ. „**ზა**-მთარ-ი; **ზა**-ფხულ-ი; გა-**ზა**-ფხულ-ი") განმავლობაში რასაც („რომ") მე გეტყვი (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი", ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი"), ის ყველაფერი („ყველა") გამიკეთე და მაშინ სამიათას მანეთს (შდრ. ქართ. „**მანეთ**-ი" < ლათ. „**moneta**") მოგცემ" (1) 336:34

ვინაიდან **ე** ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინები სვანურში არ მოგვეპოვება, აქედან გამომდინარე, **ე+ე** ხმოვანთომპლექსის შემცველი მაგალითებიც ნაკლებად მოგვეპოვება.

ამრიგად:

1. იდენტურ **ე+ე** ხმოვანთკომპლექსის ელიზიის განხილვამ განსხვავებული სურათი წარმოგვიდგინა სვანური ენის დიალექტებში. **ე+ე** კომპლექსის ელიზიის ნიმუშები, მართალია, სვანური ენის ყველა დიალექტში გამოვლინდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგი მათგანი კორექტურული

[1] ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟის საკუთარი სახელი.

უზუსტობის შედეგია. ბალსზემოურსა და ლაშხურში ხმოვანთა შერწყმის შედეგად **ē** მივიღეთ.

2. ოთხივე დიალექტში დადასტურდა ელიზიური ფორმების გვერდით უელიზიო ფორმებიც, რასაც მთქმელის მეტყველების გარკვეული ტემპი განაპირობებს.

3. **ე+ე** კომპლექსი ელიზირდება იმ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს: **ზმნიზედა** + **სხვათა სიტყვის ნაწილაკი** (**იმთ'ესერ** ← **იმთე ესერ** „საითო“), **მასდარი** + **სხვათა სიტყვის ნაწილაკი** (**ლიკუ̈ან'ესერ** ← **ლიკუ̈ანე ესერ** „გადაგდებაო“), **ზმნიზედა** + **ზმნის პირიანი ფორმა** (**იმთ'ესხრიხ** ← **იმთე ესხრიხ** „საით მიდიან“), **კავშირი** + **ნაცვალსახელი** (**მარ'ēჩ̄ē̈შ** ← **მარე ეჩ̄ē̈შ** „მაგრამ იმისი“), **კავშირი** + **ზმნიზედა** (**მარ'ēჩ̄ქად** ← **მარე ეჩ̄ქად** „მაგრამ მანამდე“), **კავშირი** + **კავშირი** (ჰ'ēსა ← **ჰე ესა** „თუ“, ჰ'ēსამა ← **ჰე ესამა** „თუ“), **კავშირი** + **სხვათა სიტყვის ნაწილაკი** (**ჰ'ēსერ** ← **ჰე ესერ** „თუ“), **კავშირი** + **კავშირი** + **სხვათა სიტყვის ნაწილაკი** (**ჰ'ēს'ēსერ** ← ჰე ესა ესერ „თუ“), **კავშირი** + **კავშირი** (**ერ'ēსა** ← **ერე ესა** „თუ“), **კავშირი** + **ზმნიზედა** (**მარ'ეჩანღო** ← **მარე ეჩანღო** „მაგრამ მერე“) და, როგორც წესი, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში უკვალოდ იკარგება მეორე კომპონენტის წინამავალი ხმოვანი, ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში უმეტესად ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე.

6. როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, იდენტურ **ე+ე** კომპლექსის ურთიერთმიმართებისას გვაქვს პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

ო+ო. **ო+ო** ხმოვანთკომპლექსი, როგორც ცნობილია, საერთოდ იშვიათობას წარმოადგენს სვანურში, მაგრამ თუკი შეგვხვდა, მცირე გამონაკლისების გარდა, უეჭველად ელიზიურია. ანალოგიურია აგრეთვე **გ+გ** და **ჭ+ჭ** კომპლექსების ხვედრიც (ქალდანი 1953, 193). „სვანური ენის ქრესტომათიაში“ **გ+გ** და **ჭ+ჭ** ხმოვანთკომპლექსის შემცველი მაგალითები ვერ დავაფიქსირეთ **გ** და **ჭ** ხმოვანზე დასრულებული სიტყვების იშვიათობის გამო. რაც შეეხება იდენტურ **ო+ო** კომპლექსის ელიზიის ნიმუშებს, იგი გამოვავლინეთ სვანური ენის მხოლოდ ერთ დიალექტში, კერძოდ, ბალსზემოურში. მაგ.:

დ'ō̄ხჭ̄ჴ̄ē̈დახ ← **დო ოხჭ̄ჴ̄ē̈დახ** [**ო+ო** = **ō̄**]

ჭოდე ᲂარუ̄ მᲐრ̄ემი საჴსᲐრ **დ'ō̄ხჭ̄ჴ̄ē̈დახ**, ეჩ̄ქად ქა მᲐდ ოთფრ̄ē̈შუ̄დახ ლატლᲐრ⌈ს⌉ ჯაბᲐᲥ ი სანჯახათ — სანამ ორი კაცის გამოსასყიდი (შდრ. ძვ. ქართ. „სა-**ჴს**-არ-ი“, ახ. ქართ. „სა-**ხს**-არ-ი“) არ მოუტანეს („მოუტანიათ“, შდრ. ძვ. ქ. „გან-**ჴდ**-ომ-ა, ⌈მი/მო⌉-**ჴდ**-ა“), მანამდე („მაშინად“) არ გამოუშვეს

თურმე („გაუშვიათ“, შდრ. ქართ. **ფოთ**-ე „მოშვებულადაც ითქმის... ანუ დახსნილად (საბა)“, და-**ფოთ**-ებ-ულ-ი „მოშვებული“, და-**ფუთ**-ებ-ა „მოშვება (საბა)“) ლატალელებმა („**ლატალ**-ელ-ებ-ს“) ჯაბა და სანჯახათი (1) 70:27

დასახელებულ მაგალითში **ო+ო** კომპლექსში ხდება ხმოვანთა შერწყმით მეორე კომპონენტის დაგრძელება. ე. ი., მეორე კომპონენტი დამძლევია, წინა დასაძლევი. აქედან გამომდინარე, ცხადია, გვაქვს პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

ბალსზემოურში შეგვხვდა ისეთი მაგალითიც, სადაც არც ელიზია განხორციელებულა და არც ხმოვანთაშერწყმა. მაგ.:

ეჩქანღო ოთჭირეხ ელითე მგრზᾶ სამხუბს ი ქორშᾶრს ⌜გუ̑ეგნგდ ი მიჩ'ᾶფხნეგᾶრდ⌝: „მგრზ'ᾶესერ მინს ოთგრმახ ი საჭსᾶრუ ანმᾶრეხ“! — შემდეგ („მაშინს მერე“) ელიში მურზას საძმოს და ოჯახის წევრებს („სახლ⌜ი⌝სებს“, შდრ. ძვ. ქართ. „**ქორ**-ი“, რაჭ. „**ქორ**-ედ-ი“) შეუთვალეს (შდრ. ქართ. „**წერ**-ა, **წერ**-ილ-ი“) გვეგნუმ და თავისმა („მისმა“) ამხანაგებმა (შდრ. ქართ. „**ამხანაგ**-ი“ < ფალ. „**hamxānak**“): „მურზა ჩვენ („მათ“) დავიჭირეთო („დაუჭერიათ“) და ტყვის გამოსახსნელი გადასახადი („სა-**ხს**-არ-ი-მცა“, შდრ. ძვ. ქართ. „სა-**ჴს**-არ-ი“, ახ. ქართ. „სა-**ხს**-არ-ი“) მოამზადეთო („მოამზადეს“)“! (1) 85:18

ცხადია, მოსალოდნელი იყო ან **ეჩქანღუ̑ ᾶ̄თჭირეხ**, ანდა **ეჩქანღ'ᾶ̄თჭირეხ**. ეს უკანასკნელი ნაკლებად იყო მოსალოდნელი, რადგანაც საბოლოო სახე ამგვარ მაგალითებში ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არის. საფეხურებრივად პროცესი (**ეჩქანღუ̑ ᾶ̄თჭირეხ** ფორმა რომ მიგვეღო) ასე უნდა განვითარებულიყო:

ეჩქანღო ოთჭირეხ → ეჩქანღუ̑ე ოთჭირეხ → ეჩქანღუ̑ ᾶ̄თჭირეხ, ე. ი. **ო+ო → უ̑ე+ო → უ̑+ᾶ̄**.

სვანური ენის სხვა დიალექტებში[1] **ო+ო** ხმოვანთკომპლექსის ელიზიის (ასევე ხმოვანთშერწყმის) შემთხვევები ვერ დავადასტურეთ აღნიშნული კომპლექსის იშვიათობის გამო. ლენტეხურ დიალექტში დაფიქსირდა ერთადერთი მაგალითი, და ისიც ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე. მაგ.:

უ̑ოდ ეჯი ჩუ **დო ოთგრმედ**, ეჩქად საშუ̑ალობა მა ლოხᾶ̄მდ თხუმს — სანამ ის არ დავიჭირეთ, მანამდე („მაშინად“) საშუალება არ მივეცით თავს (შდრ. ძვ. ქართ. „**თხ**-ემ-ი“) (1) 261:42

რაღა თქმა უნდა, ელიზია აქაც უნდა განხორციელებულიყო (**დო'თგრმედ**).

[1] საუბარია „სვანური ენის ქრესტომათიის“ მონაცემებზე.

ამრიგად:

1. მასალის კვლევამ აჩვენა, რომ **ო+ო** ხმოვანთკომპლექსის შემცველი ელიზიური ფორმები „სვანური ენის ქრესტომათიაში“ თითქმის არ მოგვეპოვება. გამონაკლისის სახით ერთადერთი მაგალითი დადასტურდა ბალსზემოურში, სადაც, როგორც წესი, მოხდა იდენტურ **ო+ო** ხმოვანთა შერწყმა, რის შედეგადაც მივიღეთ **ॊ**.

2. **ო+ო** ხმოვანთკომპლექსის შემთხვევაშიც გვაქვს პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

3. ბალსზემოურში **ო+ო** ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას ხმოვანთშერწყმა განხორციელდა **ნაწილაკი** + **ზმნის პირიან ფორმას** შორის.

უ+უ. **უ+უ** კომპლექსის შეხვედრა სვანურში, როგორც ცნობილია, მეტად იშვიათია **უ** ხმოვანზე დასრულებული სიტყვების იშვიათობის გამო, მაგრამ თუ შეიქმნა ხმოვანთა ასეთი კომბინაცია (მაგ.: ჩბხ. ლᾰდ **სურუ უჩხ**’ᾰდბინე „ძლიერი წვიმა დაიწყო“, **ჩუ უდგარა** ლი „არ მომკვდარა“), იგი ყოველთვის უელიზიო იქნება საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად (იქვე, 195-196).

„სვანური ენის ქრესტომათიაზე“ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იდენტურ ხმოვანთაგან სვანურში ელიზია მოსდის აგრეთვე **უ+უ** ხმოვანთკომპლექსსაც, რაც პროფ. მ. ქალდანის მოსაზრების საწინააღმდეგოს მეტყველებს.

უ+უ კომპლექსის ელიზიის ნიმუშები გამოვავლინეთ სვანური ენის სამ დიალექტში, კერძოდ: ბალსზემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში. რაც შეეხება ბალსქვემოურს, იქ **უ+უ** კომპლექსის ელიზიის შემთხვევები ვერც ტექსტებში და ვერც ცოცხალ მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ. „სვანური ენის ქრესტომათიაში“, ბალსქვემოურ ნაწილში, შეგვხვდა **უ+უ** ხმოვანთკომ-პლექსის შემცველი ერთადერთი მაგალითი (მაგ.: ურო ფაუს ხოუ̄ხენი ი **ჩუუდ** ტეხნი (214:40) — ურო ჯოხს (შდრ. ძვ. ქართ. „**ფაენ**-ი“) ეცემა და ისევ ქვევით ბრუნდება („ჩაბრუნდება“)), სადაც ელიზიას არა აქვს ადგილი.

უ+უ კომპლექსის ელიზიის საკმაოდ მდიდარ მასალას წარმოგვიდგენს სვანური ენის ბალსზემოური დიალექტი (მაგ.: **ჩ’ॊ̄დ** „ისევ ქვე“, **ჩ’ॊ̄ᲲᲐ** „კიდევაც“, **ჩ’ॊ̄ᲣᲨ** „ისევ ქვე“ და ა. შ.).

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ (ბალსზემოურ დიალექტში) შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც **ჩუ** პრევერბზე დართულია ნაწილაკები: -**უდ** „კვლავ, ისევ, კიდევ“, -**უᲲᲐ** „კიდევაც“ და -**ᲣᲨ** „მცა“, მაგ.:

ჩ’ॊ̄დ ← **ჩუ უდ** [**უ+უ** = **ॊ̄**]

ლახე **ჩ'ᾠდ** სიდ ლემგნთაჟი, ეჯას **ჩ'ᾠდ** ამგნთაჟიხ — თუ ისევ დარჩენილია გასალეწი, იმას ისევ გალეწავენ ხოლმე (19) 119:39[1]; 171:25; 20:40; 35:31; 57:13; 75:38; 76:28; 105:20, 32; 108:11; 131:2; 138:3; 148:14; 149:6; 155:13; 160:11; 163:36; 171:22[2]

ჩ'ᾠᲥ ← ჩუ უᲥ [უ+უ =ᾠ]

Ქერხი **ჩ'ᾠᲥ**[3] იᾠᲟუნრ̄ლდახ მᲐდხᾠᲐᲥ ხᲐნს — ზოგიერთები იძინებდნენ კიდევაც ცოტა ხანს („არა-**ხვავ**-**ხან**-ს“, შდრ. ქართ. „**ხვავ**-ი“ და „**ხან**-ი“ ფალ. „**hān**“) (3) 31:13; 160:33; 165:8

ჩ'ᾠᾠ ← ჩუ უᾠ [უ+უ =ᾠ]

ჩ'ᾠᾠ ... აჯდეთხლᾱნა ლესგი ქგპᲐრ! — გაგთხელებოდეს („გა-გ-**თხელ**-ებ-ია-მცა“) ნეკნები („გვერდი⌜ს⌝ ძაფები“, (შდრ. ქართ. (ფშ., ქიზ., ინგ.) „**Ჩიფ**-ი“, (ლეჩხ., ქართლ.) „**ხიფა**“, (ხევს., ფშ., მთიულ., ქიზ.) „**ხიფ**-ი“)! (29) 55:36; 62:11, 31; 63:3; 64:30; 65:35; 68:21; 72:9; 78:18; 83:12[4]; 86:12, 35, 42[5]; 90:5; 91:28, 34; 93:7, 23; 105:33; 157:3; 162:34; 163:19; 164:20; 165:30, 37; 166:7, 8, 22; 167:24, 40; 173:1[6]

რადგანაც საანალიზო ფორმებში (**ჩ'ᾠდ**, **ჩ'ᾠᲥ**, **ჩ'ᾠᾠ**) ადგილი აქვს ხმოვანთა შერწყმას, ამიტომ, ცხადია, აპოსტროფი **ჩუ**- ზმნისწინის შემდეგ აუცილებლად უნდა აღდგეს.

სვანური ენის ლაშხურ დიალექტში შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც **ჩუ** პრევერბზე დართულია ნაწილაკები: -**ᾠᾠ** „მცა“ და -**ᾠᲥ** „კიდევაც“:

ჩ'ᾠᾠ ← ჩუ უᾠ [უ+უ =ᾠ]

... მგჟე უწდუნა ზურᲐლდ იშგმინ: „ხოხობუ ლოქ ოხᲩიდხ ⌜ი⌝ ... **ჩ'ᾠᾠ** (← **ჩუ+ᾠᾠ**) ლოქ აყᾠიფხ...“! — მზეთუნახავმა ქალმა (შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი“, ლაზ. **ზურა** „დედალი“) მოითხოვა („ითხოვა“): „ხოხობი („**ხოხობ**-ი-მცა“) მომიტანეთო („მოუტანეს“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-**ᲩᲥ**-ომ-ა, ⌜მი/მო⌝-**ᲩᲥ**-ა“) და გაპუტეთო[7] („გაპუტესმცაო“)“! (10) 281:40; 275:35, 36, 41; 276:3, 11, 15, 19; 277:29[8]; 278:529; 77:291

---

[1] 119-ე გვერდის 39-ე სტრიქონზე ერთი ფორმა აპოსტროფის გარეშეა წარმოდგენილი (**ჩᾠᲥ**), ხოლო მეორე კი — აპოსტროფით (**ჩ'ᾠᲥ**).

2 აპოსტროფი არ იყო დასმული სათანადო ადგილას არც ერთ ჩამოთვლილ ლექსემაში.

[3] აპოსტროფი არ იყო დასმული სათანადო ადგილას.

[4] აპოსტროფი არ იყო დასმული სათანადო ადგილას არც ერთ ჩამოთვლილ ლექსემაში.

5 გარდა იმისა, რომ აპოსტროფი არ იყო დასმული სათანადო ადგილას არც ერთ ფორმაში, ამ უკანასკნელს აკლდა სიგრძის ნიშანიც, რამდენადაც **ჩᾠᾠ** < **ჩუ უᾠ**.

[6] აპოსტროფი არ იყო დასმული სათანადო ადგილას არც ერთ ჩამოთვლილ ლექსემაში.

[7] იგულისხმება მდუღარე წყლის დასხმა დასაკლავ ფრინველსა და ღორზე, რის შემდეგაც ხდება გაპუტვა.

[8] აპოსტროფი აქაც გამოტოვებული იყო.

[9] „სვანური ენის ქრესტომათიაში“ აღნიშნული ფორმები აპოსტროფისა და სიგრძის გარეშე იყო წარმოდგენილი.

ჩ'ᲩᲐ ← ჩუ უᲐ [უ+უ =Ჩ]

იშგენ მოხელ **ჩ'ᲩᲐ**[2] (← **ჩუ+უᲐ**) დარ ხოწუახ შუანარს (245:21) — სხვა მოხელე არცკი („ქეც არავინ") უნახავთ სვანებს.

ჩუᲩ ლექსემა ლაშხურში რამდენჯერმე (250:9; 252:32; 275:35, 36, 41; 276:3; 276:11, 15, 19; 278:5; 281:40) შეგვხვდა აპოსტროფისა და სიგრძის ნიშნის გარეშე. რადაგანაც **ჩუᲩ** ← **ჩუ+უᲩ**'სგან, ამიტომ ორთოგრაფიულად სწორი ფორმა იქნებოდა **ჩ'ᲩᲩ**.

მსგავსი შემთხვევები არაერთხელ დაგვიფიქსირებია „სვანური ენის ქრესტომათიაში", რომელთაც მუშაობის პროცესში გვერდი ვერ ავუარეთ და შეძლებისდაგვარად, თითქმის უგამონაკლისოდ, ყველგან გავმართეთ ორთოგრაფიულად სხვა ელიზიურ ფორმათა ანალოგიით.

ლაშხურში დაფიქსირდა **უ+Ჩ** ხმოვანთკომბინაციის ერთი შემთხვევა შემდეგ კონტექსტში:

Ეერხის **Ეერუ ᲩღᲩაი** ჩუ ხაყა — ზოგს („ზოგიერთს") ორი უღელიც კი („ქე") ჰყავს (1) 268:18

აღნიშნულ მაგალითში, როგორც ვხედავთ, **უ+Ჩ** კომპლექსის შეხვედრისას ხმოვანთშერწყმა არ მომხდარა.

რაც შეეხება ლენტეხურ დიალექტს, იქ შეგვხვდა **უ+უ** კომპლექსის ელიზიის ერთადერთი მაგალითი:

ეჯი ლერსკუᲩან ფოყხენჟი ჟ'ანღინე ი ლექნე: „**ჩ'უᲩ**[3] ალბედნიერეხიდ მარე ი კუმაᲨ ⌜მაგ⌝"! — ის მარჯვენა მხრიდან (შდრ. ქართ. **ბაყვ**-ი „მუხლს ზეითი (საბა)", მო-**ბაყუ**-ა „მოკეცით (ბაყვის გაშლით) ჯდომა (საბა)", (ხევს.) **ბაყვ**-ი „ადგილი, სადაც ბარკალი ეკვრის მუცელს") შემოვა („ამოვა") და იტყვის (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ**-მ-ა; **თქუ**-მ-ულ-ი", ახ. ქართ. „**თქ**-მ-ა; **თქ**-მ-ულ-ი"): „ბედნიერი ყოფილიყავით („გა-**ბედ**-ნ-იერ-ებ-ულ-ი-ყ-ავ-ი-თ-მცა") ადამიანი („კაცი") და საქონელი (შდრ. ძვ. ქართ. **კუმაშ**-ი „ქსოვილი" < არაბ. **Kumaš** „საქონელი") ყველა"! (1) 292:11.

ამრიგად:

1. **უ+უ** კომპლექსის ელიზიის ნიმუშები გამოვავლინეთ სვანური ენის სამ დიალექტში, კერძოდ: ბალსზემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში. რაც შეეხება ბალსქვემოურს, იქ **უ+უ** კომპლექსის ელიზიის შემთხვევები ვერც ტექსტებში და ვერც ცოცხალ მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ.

---

[1] მხოლოდ ამ ფორმაში იყო სიგრძის ნიშანი წარმოდგენილი (Ჩ), თუმცა აპოსტროფი არც აქ არის დასმული.

[2] აპოსტროფი აქაც ჩვენ მიერაა აღდგენილი.

[3] აპოსტროფი აქაც აკლდა.

2. „სვანური ენის ქრესტომათიაზე“ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იდენტურ ხმოვანთაგან სვანურში ელიზია მოსდის აგრეთვე **უ+უ** ხმოვანთკომპლექსსაც, რაც მ. ქალდანის მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

3. ბალსზემოურსა და ლაშხურში შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც **ჩუ** პრევერბზე დართულია ნაწილაკები: -**ულ** „კვლავ, ისევ, კიდევ“, -**ულ** „კიდევაც“ და -**ულ̂** „მცა“.

4. იდენტურ **უ+უ** კომპლექსის შემთხვევაშიც მეორე კომპონენტი აღმოჩნდა დამძლევი, რომელიც ბალსზემოურსა და ლაშხურში წინა კომპონენტს იმსგავსებს და ხდება ხმოვანთა შერწყმა, ხოლო ლენტეხურში, როგორც წესი, ელიზია ხორციელდება. ე. ი. გავლენა ძირითადად რეგრესულია.

ლიტერატურა

აბესაძე 1955 — ნ. აბესაძე, თანდებულები სვანურში, თსუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კონფერენცია, თეზისები, თბ., 1955.

გაბუნია 1989 — კ. გაბუნია, რთული თანდებულების საკითხისათვის ქართულსა და სვანურში, იკე, XXVIII, თბ., 1989.

გაზდელიანი 1999 — ე. გაზდელიანი, ხმოვანთა პოზიციური სიგრძე სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1999.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები I, თბ., 1967.

მაჭავარიანი 1965 — გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.

ონიანი 1998 — ალ. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

ჟღენტი 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949.

საღლიანი 2001 — მ. საღლიანი, ელიზია სვანურ ენაში, კავკასიის მაცნე, თბ., 2001.

სვ. პოეზ. I, 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბ., 1939.

სვ. პროზ. I, 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბ., 1939.

სვ. ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბ., 1978.

უთურგაიძე 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

ქალდანი 1953 — მ. ქალდანი, ელიზია სვანურ ენაში, იკე, ტ. V, თბ., 1953.

ქალდანი 1962 — მ. ქალდანი, სვანური ენის ბეჩოური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, XIII, თბ., 1962.

შარაძენიძე 1985 — თ. შარაძენიძე, სვანური ენა, იკეწ, XII, თბ., 1985.

შარაძენიძე 1946 — თ. შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იკე, I, თბ., 1946.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება — ბრუნება და თანდებულიანი ფორმები, ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.

ძიძიგური 1946 — შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე, ტ. I, თბ., 1946.

Мачавариани 1966 — Г. Мачавариани, К типологической характеристике общекартвельского языка-основы, ВЯ, 1966, №1, Москва.

Ярцева 1990 _ В. Н. Ярцева, лингвистический (энциклопедический) Словарь, 1990.

M. Sagliani

Towards the **elizion** identical comlex vowels in Svan

Summary

According to the study of “svanian reader book”, there are two form of elizion in Svan simple and complex. Vowels that take part as in simple, so in comlex elizion constructions show the following combination of comlex in Svan: **a+a**, **a+ä**, **ä+ä**, **a+ā**, **a+e**, **a+o**, **a+u**, **a+ə**, **e+e**, **e+a**, **e+ä**, **e+i**, **e+j**, **e+o**, **e+u**, **i+i**, **i+a**, **i+ä**, **i+ā**, **i+e**, **i+o**, **i+u**, **i+ə**, **ī+ī**, **o+o**, **o+a**, **o+ä**, **o+e**, **o+i**, **o+u**, **u+u**, **u+ū**, **u+a**, **u+ä**, **u+e**, **u+i**, **u+ī**, **u+j**, **u+o**, **u+ə**, **ə+e**, **ə+a**, **û+a**, **j+a**, **j+e** (the total number of them is 45)

We devided these comlex vowels into two parts:

1. identical: **a+a**, **ä+ä**, **e+e**, **i+i**, **ī+ī**, **o+o**, **u+u**
2. non identical: **a+ä**, **a+ā**, **a+o**, **a+u**, **a+ə**, **e+a**, **e+ä**, **e+i**, **e+j**, **e+o**, **e+u**, **i+a**, **i+ä**, **i+e**, **i+o**, **i+u**, **i+ə**, **o+a**, **o+ä**, **o+e**, **o+i**, **o+u**, **u+a**, **u+ä**, **u+e**, **u+i**, **u+ī**, **u+j**, **u+o**, **u+ū**, **u+ə**, **ə+e**, **û+a**, **j+a**.

The paper examines the phonetic modification of the identical complex vowels that take part in simply elizion process (**a+a**, **ä+ä**, **e+e**, **i+i**, **ī+ī**, **o+o**, **u+u**) according to the dialects of svan.

ნარგიზა სურმავა

დაკვირვებანი იმერხევის მეტყველებაზე

(2009-2010 წწ. მასალების მიხედვით)

ნაშრომში მოცემულია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის — იმერხევის მეტყველების გრამატიკული და ლექსიკური მიმოხილვა 2009-2010 წლებში ვიდეომატარებელზე ჩაწერილი მასალების მიხედვით. ცხადია, ეს არ არის სრული აღწერითი ანალიზი, არამედ უფრო მასალაა ასეთი ანალიზისათვის.

იმერხეული მეტყველება არ არის ერთგვაროვანი და მისი ქვედიალექტურ სისტემებად დიფერენცირება საგანგებო კვლევას საჭიროებს. ქცევებრივი განსხვავებანი ვლინდება ფონეტიკური და ლექსიკური ვარიაციების სახით.

ფონეტიკიდან

გვხვდება ენისძირისმიერი ყრუ ფშვინვიერი **ჰ** ბგერა. იგი გამოკვეთილად ისმის სიტყვებში: *ჰარი, საჰრე, ჰევი, ჰელი, ჰმა, ჰბო, ჰმელი (დაჰმა, აჰმობს), გაჰდება, ვჰოცავთ, ბაჰალა.* (სიტყვას *ბაჰალა* (აქ: „გოგო“) შეუჩვეველი ყური აღიქვამს, როგორც *ბარხალა.* ჩანს, ამით არის გამოწვეული ამ ფუძეში აჭარულში **რ**-ს განვითარება: *ბარხალა, გამეიბარხლა.*) ზემოჩამოთვლილ სიტყვებში **ჰ** გვაქვს ძველ ქართულშიც (იხ. აბულაძე, 1973). აღსანიშნავია, რომ ხსენ- ფუძე (ძვ. ჭსენ-) გვხვდება *სხენ-* სახით: „ჰუქუმეთი *გასხნის* გზას, *გეგვისხნის*“.

ჰ ბგერის გამოყენების ინტენსივობა ქცევების მიხედვით განსხვავებულია. ასე მაგალითად, ჩაქველთაში იგი შედარებით სისტემურად გამოიყენებოდა განსაზღვრულ ფუძეებში, უსტამისში კი ერთსა და იმავე პირის მეტყველებაში **ჰ** ხშირად მონაცვლეობდა **ხ** ბგერასთან: მაგ., „*გახდა* ადაღი, გავრცხი, *გახდა* ადაღი“. შდრ. იქვე: „ის მეიყრება, ადაღი *გაჰდება*“ (მონაც-

ვლეობაზე ნაწილობრივ მოქმედებს თანამოსაუბრის გავლენის ფაქტორი, რაც განსაკუთრებით საშუალო თაობის ინფორმატორებთან არის გასათვალისწინებელი).

გავრცელებულია **ძ, ც, ჯ** რთულ ბგერათა დეზაფრიკატიზაციის პროცესები ხშული ელემენტის დაკარგვით, რაც უეჭველად ბილინგვიზმს უკავშირდება და სხვადასხვა პიროვნებათა მეტყველებაში სხვადასხვა სიძლიერით გამოვლინდება: **ძ** > **ზ**: *ზე* (რძე), *ზმა* (ძმა), *ზალი* (რძალი), *ვუზახით* („ყველ არ *ვუზახით*“); **ც** > **ს**: (სხვამა არ *ისიან*, მე *ვისი*). **ჯ** > **ჟ**: *გორჟულო* („*გორჟულოს* გავაკეთეფთ“), *გურჟული* (გურჯული).

ც > **ს** შედარებით რეგულარულ ხასიათს ატარებს სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში, ამდენად -**ც** ნაწილაკი უხშირესად -**ს**-ს სახით გვევლინება. ამასთან აღსანიშნავია, რომ -**ც** ნაწილაკი იმერხეულში საკმაოდ ინტენსიურად იხმარება, წინადადებაში შეიძლება რამდენჯერმეც შეგვხვდეს. მაგ., „*მაწონის(ც)* უნდა, *ემესას(ც) მაქინაშის(ც)* ჩავწურავთ“.

ჰარმონიულ კომპლექსებში **ც** ბგერა შედარებით შენარჩუნებულია: *ციცხვი, რაცხა, ვიცხა*...

უნდა აღინიშნოს, რომ სამეტყველო სიტუაციაში თანამოსაუბრის (თუ იგი საქართველოდანაა) სამეტყველო კოდის გავლენით, ადვილად ხდება აღნიშნული რთული ბგერების აღდგენა.

სხვა აფრიკატები ჩვეულებრივად იხმარება.

სწ კომპლექსი მარტივდება **ს** ბგერის დაკარგვის შედეგად: *წორე, აწროფს, მევეწარენით, აწავლიან, ვერ მოვაწარ, არ მოვწრილვარ.*

ყურადღებას იქცევს სუბიექტური პირველი პირის ნიშნის მეტათეზისი მომდევნო ფუძისეულ თანხმოვანთან. სტაბილურად ეს მოვლენა დასტურდება **ჭამს** ზმნაში. მაგალითები:

„როხ ადღლის გავაკეთეფთ, *ჭვამთ*“.

„*ჭვამთ*, იქიდან ვიღოფთ, *ჭვამთ*“.

„ამ თვალიდან წორეთ ვერ *ხვედავ*. ამიდან ეფეი (თ. საკმაოდ) *ხვედავ*, ამიდან — ვერ *ხვედავ*.“

„აქაც *თვესავთ, ჭვამთ*“.

მეტათეზისის გავრცელებული შემთხვევებია: *ვრა* < *რვა* „*ვრა* წელწადი გახდა“ (შდრ. ზემოაჭარული *რუა*), *გერმელი* (< გემრელი < გემრიელი), *გაგერმელდა* („ფენა *გერმელი* ყარტოფია“), *ღურბელი (< ღრუბელი), მეიღურბლა.*

დასტურდება ხმოვანკომპლექსთა პოზიციური მონაცვლეობა: **ვე > ო** („ასე *შევდღობავ*, გავარყევ-გამუარყევ ასე, შეიდღვების“; „*ქომოთ* ახლო სახლ აკეთებენ“; „შევეხოწებით“) და პირიქით: **ო > ვე** („*დეეტყვება, დეეტყვება* იმა“); ხმოვნებს შორის პოზიციაში, **ვ** ბგერა არამდგრადია, განსაკუთრებით თუ იგი ბაგისმიერი ხმოვნის მომდევნოა. ამ ნიადაგზე ფონეტიკურ ცვლილებებს ვხვდებით პირველ რიგში ზმნებში, თემის ნიშნისა და ხმოვანი სუფიქსის ურთიერთქმედების შედეგად: **ოვე > უე > ვიე** („მე ავდექ, *წამუელი“; „გავათხუე“; „გავათხვი“),* **ოვა > ოა > უა** („*მუა* სიმიდი, აქზე *ამუა*“).

ხშირია ზმნისწინისეული ხმოვნის ასიმილაციური ცვლილებები, გამოწვეული ზმნური ხმოვანი პრეფიქსების მიერ, როგორც კონტაქტური ისე დისტანციური ზემოქმედებით.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს დისტანციური რეგრესული ასიმილაციური პროცესები, რაც შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთ-დასავლური კილოებისათვის ზოგად სპეციფიკურ მახასიათებლად. ქვემოთ შედარებით დაწვრილებით შევეხებით ამ მოვლენას, გავავლებთ პარალელს აჭარულთან და მესხურ-ჯავახურთან.

აღსანიშნავია სრული რეგრესულ-დისტანციური ასიმილაციის შემთხვევა ასიმილატორი ხმოვნის დაკარგვის თანამდევი მოვლენით: სუბ. I პირის **ვ-** ნიშნის შემდგომი **ი** პრეფიქსი ზმნისწინისეულ **ა** და **ო** ხმოვნებს ცვლის **ე**-დ. აჭარულში ასეთ შემთხვევაში ასიმილატორი ხმოვანი, როგორც წესი, იკარგვის ხოლმე, რაც დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებით აიხსნება (*ევი > ეუ > ეუ̂ > ევ*). იმერხეულში ორივე ვარიანტი გვხვდება, თანაც — ერთსა და იმავე მთქმელთან.

მაასიმილირებელი **ი** ხმოვანი **სახეზეა**:

„მე *გევიპარე*“.

„იქ ავდგებით ღამეში, რემეზანი'ნა *დევიჭიროთ*, იშიღი'ნა ავანთოთ“.

„ერთი ქვა *გევიქნიე*, გეიქცა იშტა“.

ასიმილატორი **ი რედუცირებულია**:

„ა'იგირ ერთი *დევნახე* და ერთი ვერ *დევნახე*“.

„ისაც *გევგონეთ“.*

„ჩავტენავთ იქში, *შევნახავთ* იშტე“.

„ზრუგებზე *ევკიდებდით“.*

„ადღ *ამევლობთ*, გობში გავრცხევთ ადღ“.

ანალოგიურ ცვლილებებს ადგილი აქვს **ვიდ-** ზმნაშიც, ზმნისწინისეული **ა, ე, ო** ხმოვნებისა (ა-, წა-, გა-, გადა-, შე-, მო- ზმნისწინები) და ფუძისეული **ვი**-ს ურთიერთქმედების შედეგად.

„ესენი *წევიდენ*".

„გზაზე *გევდა*".

„იქ'ნა *წევდეთ* და იქ გავანათლოთ?"

„ოც დღეს უკან'ნა *წევდეთ*".

„შარშან *მევდა* ესკრიდან".

მო- ზმნისწინის დართვის შემთხვევაში დასტურდება **ვიდ-** ზმნის განსხვავებული სახეცვალებაც: **მოიდა** < **მოვიდა** (ხმოვნებს შორის ფუძისეული **ვ** ბგერის რედუქცია). შეუძლებელი არ არის ***მოვდა*** ფორმაც.

მაგალითები:

„მუღელნიმი'ნა *გამოიდეს*. ჰო-ო, ორეთმენი'ნა *გამოიდეს*".

„ვიტყვით — ზისთვალი *ამოიდა*".

„იმა ყირავ ვეტყვით, ყირავი *მოიდაო*".

„რემეზანი'ნა *მოვდეს*".

ობიექტური პირველი და მეორე პირის პრეფიქსების (მ-, გვ-, გ-) მომდევნო **ი პრეფიქსს** იმერხეულში შეუძლია მოახდინოს როგორც **ნაწილობრივი** რეგრესულ-დისტანციური ასიმილაცია, ისე **სრული**.

ასიმილაცია **ნაწილობრივია** — ზმნისწინისეული **ა** > **ე**:

„ისაც ავათ გახდა, ისაც ემე *გემიხთა*".

„რუსების ესკერმა მე *დემიჭირეს,* ჩომას ვაძუებდი და, *დემიჭირეს*".

„არ ჩამოხვიდეთ ქი, *დეგიჭირვენო, დეგიჭირვენო*".

„მეტროც გაზომეს, რამდენი *გემივლია*".

„თვალში *ჩემივარდა*. რაცხა *ჩეგივარდება* თვალში, წველა, ო".

„ჩვენ ჩობნებმა *დეგვიძახეს* ქი".

„ვეღარ *დეგვითესია*".

„*დეგვიტეხეს,* აღარ არი".

ასიმილაცია **სრულია** — ზმნისწინისეული **ა** > **ი**:

„თვალით ქი არ *დიმინახავს*, ველი".

„*დიგვიჭრიდენ* ურბას (ურუბა — თ. ტანსაცმელი), შევკერევდით".

„სობაი ავანთე და აქ ადუღდეს და ჩაი *გიგიკეთო".*

„არიან (გელები) და გვიჭამენ იშტე, შენ არ იცი, *შიგიჭამენ".*

აღსანიშნავია, რომ **მო-** და მისი შემცველი რთული ზმნისწინები ისეთსავე ასიმილაციურ ზემოქმედებას განიცდიან -**ი** და -**ე** ზმნური პრე-

ფიქსებისაგან, როგორსაც **ა** ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინები: **მო- < მე- —** „თელი *მეიკრიფოდენ* იგზე“; **ამო- < ამე-** — „წინდებ ასე *ამეიწევენ*“; **წამო- < წამე-** — „*წამეიყოლებდენ* კაცსა“; „იმა *წამეეფეცხებიან,* ცემენ“. **დისტანციური** რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია: „Ჲაღი *ამევღობთ“;* „არ *მევეწარენით* იმათ ქი“; „არ *მეგემშევნენ?* „ახლა არაფერი აღარ არი, ისენი ზველებიც *ამეგვიწყტა.*

ყურადღებას იქცევს მოსალოდნელი **მო-** ზმნისწინის ნაცვლად **მი-** ზმნისწინის გამოყენება ობიექტურ პირველ-მეორე პირებში ზოგ შემთხვევაში.

მაგალითები:

„ერთი დიდი ზმა *მიმივა* მაარტო აქ სოფელში, ჰოო. ის მუა იშტე, სახლ-კარ უყურებს. იშტე ახლა დიდი ზალი *მიმივდა* და...“

„ძილი რომ *მიგივა,* (ვიტყვით) დათლიმა. *მიგივა* ძილი, დახუჭავ“.

„ოღლუშაღიც *მიმიკვდა* ორი წელიწადია“.

„წრევლ არ *მიმიდუღებია* და შარშანდელია“.

„*მიგვიყვანეს,* წყალი არ ქვქონდა, ა, იქიდან *მიგვიყვანეს,* კარჩხლიდან“.

„მოკლული არ მყავს (გველი), დანახული მაქ და არ *მიმიკლავს“.*

ეს მოვლენა ბ-ნ ბ. ჯორბენაძის მიერ ახსნილია ფონეტიკურ ნიადაგზე, როგორც მომდევნო ქცევის ნიშნისეული **ი** ფორმანტის მიერ ზმნისწინისეული **ო** ხმოვნის სრული რეგრესულ-დისტანციური ასიმილაცია. (ჯორბენაძე, 1989, 579). ჩვენი მასალა ამ ახსნას სავსებით ექვემდებარება — ყველა მაგალითში, სადაც **მო- : მი-** აღინიშნება, მომდევნო პოზიციაში დისტანციურად დასტურდება **ი** პრეფიქსი; გამოსარიცხია ანალოგიის კანონის მოქმედება — პარადიგმის „გამართვა“ მე-3 პირის ფორმის მიხედვით, რადგან ეს პროცესი ხდება იმ დროსაც, როცა სამივე პირში, წესისამებრ, უნდა იყოს **მო-** ზმნისწინი: მაგ., მიმიდუღებია (სალიტ. მომიდუღებია). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ამგვარი იშვიათი ნიმუშების დადასტურება *ამეგვიწყტა* (<ამოგვიწყტა. ნაწილობრივი დისტანციური ასიმილაცია).

ეჭვს ბადებს ის, რომ **მო- > მი-** ფონეტიკური გარდასახვა ისეთ სისტემურ ხასიათს არ ატარებს, როგორც **ა** ხმოვნის შემცველ ზმნისწინებში (იხ. ზემოთ), პარალელურად იხმარება (და უფრო მეტი სიხშირითაც) იმავე ზმნათა **მო-**ზმნისწინიანი ფორმები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძველ ქართულში დადასტურებულია *მი* და *მო* ზმნისწინთა მონაცვლეობა ობიექტურ მეორე პირში (მოგცა / მიგცა) (შანიძე, 1976, 72), *მო* ზმნისწინის ნაცვლად *მი*-ს გამოყენება შენიშნულია საშუალი ქართულის ძეგლებში

(ფარტენაძე, 1998, 43-46). ამდენად, ბოლომდე ვერ გამოვრიცხავთ, რომ იმერხეულ მეტყველებაშიც **მო-** : **მი-** ზმნისწინთა მონაცვლეობას ჰქონდეს ადგილი.

მო- ზმნისწინი ***მა***-ს სახეს იღებს მომდევნო **-ა** პრეფიქსის მაასიმილირებელი გავლენით.

მაგალითები:

„წადი და მეორე აღარ *ამაასხაო*".

„ააგერ ასე *გაარყევ-გამაარყევ*".

„ჩააყრი შექერ, ურევ, ურევ, გადნება ი შექერი — *გადმაასხამ*".

„*მააქვან, ეშმოქონდენ* წინწინ".

„მოიდნენ აქ, ქვიები *მააყარეს,* ქი რაზე წედყვანეთო".

ა- ზმნური პრეფიქსის გავლენას განიცდის **შე-** ზმნისწინიც — **შე- < ში-** დისიმილაციურ პროცესს ადგილი აქვს არა მხოლოდ კონტაქტური, არამედ დისტანციური ზემოქმედებით. მაგალითები: „მაწონ *შივაყენებდით*"; „*შივაციკვეფთ,* ამუუკიდეფთ ფქვილს"; „*შივამარილეფთ*".

ყურადღებას იქცევს სრული რეგრესულ-კონტაქტური ასიმილაცია ზმნისწინისეული **ა** ხმოვნისა მომდევნო **ი-** პრეფიქსის (ვნებითის მაწარმოებლის) მიერ, **ჩა + ი > ჩი + ი**: „*ჩიეჭორფლის*"; „საცერში ჩაასხამ, *ჩიეწურვის*". მსგავს შემთხვევებში აჭარულისათვის ბუნებრივია: ნაწილობრივი ასიმილაცია + დიფთონგიზაცია (*ჩედწურვის, ჩედჭორფლის*).

უ- ქცევის მაწარმოებელი პრეფიქსის შემთხვევაშიც, კონტაქტური ასიმილაცია ზმნისწინისეული ხმოვნისა მომდევნო პრეფიქსის მიერ, შეიძლება იყოს **ნაწილობრივი***:*

„*დოუძახეფთ,* დეველაპარაკებით".

„იმ დიდ ვიცხამა უთხრა ქი, *გოუშვითო".*

„თვალ ასე *დოუხუჭავ*".

„*დოუყდებოდით* ზეთ".

ან **სრული**:

„თვალი *დუუხუჭაო*, გო, ნენევ!"

„კურდღლის ხორცი *მუუნდება* ინსანო".

ჩვენი მასალებით, იმერხეულში ჭარბობს ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები, განსხვავებით **აჭარულისაგან**, სადაც ასიმილაცია, ჩვეულებრივ: ა) სრულია და ისწრაფვის ხმოვანთა შერწყმისაკენ ან ბ) ნაწილობრივია და სრულდება შემდგომი დიფთონგიზაციის პროცესით (შდრ. აჭარული: *დუუძახებთ / დეუძახებთ* ან *დოუძახებთ, გუუშვით / გეუშვით* ან

გოუშვით, დუუხუჭავ / დუხუჭავ ან *დოუხუჭავ*). იმერხეული ნაწილობრივი ასიმილაციით (*აუ < ოუ)* უახლოვდება მესხურსა და დასავლურ კილოებს (ბერიძე, 1988, 209).

იმერხეულს დიფთონგიზაციისკენ მიდრეკილება ახასიათებს ფუძის ბოლოს, **ა-ურ / ა-ულ** კომპლექსში. ყურში უცხოდ გვხვდება სიტყვა „აქაურრი“ ადგილობრივი წარმოთქმით: **აქევრი**, თავკიდურ **ა**-ზე დასმული გამოკვეთილი მახვილით. იგივე ფონეტიკური პროცესი გვაქვს -**ულ** სუფიქსიან მიმღეობებშიც: *დაჩვევლი, დატევლი, არევლი.*

აჭარულშიც ანალოგიურ ვითარებაში, -ურ სუფიქსსა და წინამავალ ხმოვანს შორის, ჩვეულებრივია დიფთონგიზაცია, ოღონდ ერთი განსხვავებით: წინამავალი ხმოვანი ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდია: *აქავრი, ხელვაჩავრი* და ა.შ.

სახელების ბოლოკიდურში შეინიშნება დასავლური კილოებისათვის ბუნებრივი ფონეტიკური პროცესები. ამის მაგალითები ჩვენი მასალის მიხედვით არც თუ ისე ხშირია: **ლობიი** („მევრე ხაშრი *ლობიი* ხაშარზე ავა“). იგივე ფონეტიკური სახეცვლა გვაქვს გურულში, სადაც ამოსავალ ფორმად იგულისხმება *ლობია*: *ლობია>ლობიი* (ჯორბენაძე, 1989, 524), **რაცხეით** („*რაცხეით* გინდა იმით მოშჭარ ის“).

-**ებ** მრავლობითის სუფიქსთან გვხვდება იგივე კომბინატორული ფონეტიკური ცვლილებები, რაც აჭარულსა და მესხურ-ჯავახურში (ბერიძე, 1988, 34-35): ა) ხმოვანფუძიან სახელებში ასიმილაციის შემდგომი დისიმილაციის შესაძლო პროცესი: *ქვაები > ქვეები > ქვიები* („*ქვიები* ხქონდა აგზე, *ქვიები* — კეუ̃რ“), *გზიები* („*გზიები* ჩაწოლილი იყო“); ბ) ერთმარცვლიან ფუძეთანხმოვნიან სახელებში -**ებ** სუფიქსის წინ **ი** ხმოვნის განვითარება შეკუმშული ხმოვნის საკომპენსაციოდ: *ბლიები < ბლეები* („*ბლიები* აღარ დარჩა“), *წყლიები* („ახლა *წყლიები* მიგვიყვანეს“), *ჯვლიები* (ჯვალი — „ტომარა, ტოპრაკი“).

მორფოლოგიიდან

მოთხრობითის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება -**მა, -მან**. გვხვდება -**მ** სუფიქსიც (ჩვენი მასალების მიხედვით, შედარებით ნაკლები სიხშირით).

„აქ, ეაილაში *რაცხამა* მიკბინა აგზე და“.

„ამოსულ *მზემა'ნა* უყუროს, ამოსულ მზემა. ჩასულ *მზემა'ნა* დახედოს“.

„*ზროხამა* ხბო ქნაო, — იტყოდენ“.

„*ვინცხამან* წიგვიგველა, ბოტოტი ვთქვით. წიგვიგველა *ვინცხამან*“.

„*ჯუმამაწნა* (ჯუმა — თ. პარასკევი) გამუუაროს, რომ დეითესოს“.

„შორედან დადიოდენ და შორ ვერ დევგულებო — *ბაბომა*“.

„შორ არ გამათხუა *ბაბომან*“.

„*კუდკაშიკამ* (კუდკაშიკა — მორიელი) ქი გიკბინა'ო, მოკლა'ნაო და დეიდვა'ნაო“.

„დიდ *ბაჯალამ* აღარ იკითხა“.

თანხმოვანფუძიანებთან გვაქვს -**მა** და -**მან**:

„მოყლარჭა *ბალახმა*“.

„ქირეზაი ჩვენი *ქართველებმან* იციან, *თურქებმან* არ იციან“.

მიცემითის მაწარმოებელი -**ს** სუფიქსი, ჩვეულებრივ, იკარგვის:

„საცხა სახლობდა მაჭახელ“.

„გობში გავრცხევთ *ᲥᲐᲚ*“.

„*კარ* ვერ გააღებ“.

„*იმა მეშველა* ვეტყვით პაწას, პაწას მეშველას ვეტყვით, *დიდ ხვლიკ* ვეტყვით“.

მიცემითის -**ს** შეიძლება დაიკარგოს სხვათა სიტყვის -**ო**-ს წინა პოზიციაში („კურდღლის ხორცი მუუნდება *ინსანო* და ის'ნა ჭამო'ნაო“), *თან თანდებულის* წინ ფუძეხმოვნიან სახელებში („ჩემ *ძმათან* იყო“; „*სობათან* ჟდებოდა“), მაგრამ თუ ემფატიკური ხმოვანი მოსდევს, ის ადგილზეა ხოლმე: „*ჭუკსა* მაადუღებ და წოვას გააკეთებ“. შდრ. იქვე: „*ჭუკ* მაადუღებ, წოვას გააკეთეფ“.

მიცემითის ნიშნის მსგავსად არამყარია ნათესაობითის სუფიქსისეული **ს** ბგერა:

„*შინდი(ს)* ბექმეზი მუადუღე“.

„*ქვი* ქვეშ შამოვდეფ“.

გვხვდება, ძირითადად, **ს**-ძირზე დაყრდნობილი მე-3 პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები: **ის, ისი, იი** < ისი, **ესე**, მრავლ.: **ისინი, ისენი, ესენი**. მოთხრობითში: **მან, იმან, ამან**. მრავლობითში — **მათ, იმათ, ამათ**.

„ახლა *ის* შამეიღეს და *იმით* დუგუნ იჯებიან“.

„სამსუნ კითხულებს *ესე*“.

„ერთის(ს < ც) *ისი*, კუდკაშიკას ვეტყვით, კუდკაშიკა**Ქ**“.

„ტყვილი, ტყვილი ყოფილა იი“.

„*ეს* არი, ერთი *ეს* არი“.

„*ისენი* მალე წამოვიდენ“.

„ანა, იცი *ესენი*?“

„არ ქნა *იმან* წეღანა“.

„*იმათ* მეეწონეს“.

გვხვდება **ეგ, მაგ / მეგ** ჩვენებითი ნაცვალსახელებიც.

„*ეგ* ფუჩეჩია, ჰო“.

„*მეგა*? თავ ვებნევით“.

„ყური ქვია *მაგა*, თელი ერთია“.

„ე შენ გაცვია, *მაგ* რენგზეა“.

გვხვდება კითხვითი ნაცვალსახელი **რავარ,** იგი მომდინარეობს **გ** ბგერის ჩავარდნით ფორმისაგან **რაგვარ** (ცნობილია, რომ ამავე ამოსავალი ფორმის სახეცვლითაა მიღებული სალიტ. **როგორ** — შანიძე, 1973, 28). იგი ხშირი გამოყენებისაა, დასტურდება მოკითხვის ფომულაში: *რავარ ხარ?* ჩვეულებრივ, მოსდევს პასუხად — *კაი ვარ.*

იმერხეულში ამასთანავე დასტურდება **რავაი** ვარიანტი. *რავაი* მიღებულია *რავარ* ფორმის შემდგომი ფონეტიკური გამარტივებით (**რ** ბგერის ჩავარდნა) და ბოლოკიდურში **ი** ნიშნის დართვით (**ი / ჲ** სუფიქსით ზმნისართების წარმოება დამახასიათებელია სამხრეთ-დასავლური კილოებისა და, მათ შორის, იმერხეულისათვის: *ერთპირაი* „ერთბაშად“, *ახლოვენაი* „ახლოსვე“...).

მაგალითები:

„ახლა ზველათ *რავაი* იყო“.

„ანა, *რავაი* შეკერევდით ზველათ?“

„ფესტილი ქი *რავაიც* აკეთეფ, ა იშტე, ქომას“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებულია ამავე *გვარ-* ფუძეზე დაყრდნობილი ჩვენებითი (მითითებითი) ნაცვალსახელები — **ამგვარი, იმგვარი.**

მაგალითები:

„მერე *ამგვარი* კოკვები'ნა დააკეთო“.

„ჩვენ აქ არ ვაკეთეფთ *იმგვარ*“.

„აქ *იმგვარი* არიან ქი ზველები, გურჟიჟა მეტი არაფელი არ ისის“.

„ჭამენ პურებ, ტათლი იშტე, *იმგვარი* რაცხეები იქნება“.

პარალელურად იხმარება სინონიმური მნიშვნელობის **ამსოი, იმსოი**, რომლებიც იმავე მოდელზე არიან გაწყობილი და ეყრდნობიან თურქულიდან ნასესხებ ლექსემას **soy** „გვარი“. მაგ., „*ამსოჲ* ლაილონის ყაბები არის.

ჰო-ჰო, *იმგვარში* ჩავტენავთ“. საფიქრებელია, რომ ეს ნაცვალსახელები მათი ქართული სინონიმების (ამგვარი, იმგვარი) კალკირების შედეგია და ამ ფუნქციით იხმარება მხოლოდ ადგილობრივ ქართველთა მეტყველებაში.

[*შენიშვნა:* „გვარის“ გავრცელებული მნიშვნელობა — „მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს (ქეგლ)“ — აქ არ იციან. ამ მნიშვნელობით იხმარება თურქული სიტყვა soyadi (იმავე **soy-**საგან ნაწარმოები). ამ მხრივ საინტერესოა სოფ. ჩაქველთაში ერთ-ერთ ინფორმანტთან საუბრის ფრაგმენტი. კითხვაზე — „ძველი გვარი ხომ არ გახსოვს, გურჯული გვარი?“ — 71 წლის იუნუსი პასუხობს:

„—ძველი გვარი? გვარი რადა, არ ვიცი ქი. ჩვენ მამუდიენთს გვეტყვიან, მამუდიენთი„.

“—და თურქულად?„

„—სოდადი'ო? თურქჩა — უზელ“]

ამ ტიპის ჩვენებით ნაცვალსახელთაგან გვხვდება აგრეთვე ამითანა (< ამისთანა), **იმითანა**. მაგალითები:

„*იმითანა* დრო იქნება ცოტა თოვლი მოდის“.

„ა *ამითანა* სიცხეში, ერთ დღეზე ისე ლამაზათ გაშრება, ქი გაბზუვდება“.

ამ ტიპის სხვა ნაცვალსახელები (ასეთი, ამფერი და მისთ.) არ შეგვხვედრია.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელის — „თვითონ, თავად“ დიალექტურ ექვივალენტად გვევლინება **თავით, თავეთ.** მაგ.: „ახლა *თავით* მეიწონეფს, მისცე'და“; „ჩვენ ქი არა ქვყავს *თავეთ* ჩომა“. როგორც ცნობილია, *თვითონ* ნაცვალსახელის ამოსავლად *თავ-* სიტყვის მოქმედებითი ბრუნვა იგულისხმება: თვით + მან. (შანიძე, 1973, 43). გვხვდება აგრეთვე ამავე ფუძისაგან ნაწარმოები **თავითალაი / თავიდალაი** (=თავისით, თავისთავად) და თავეთთავისთუ̈ნ (=თავ-თავისით):

„*თავითალაი* შევა ისა, ჰო, *თავითალაი* შევა. *თავითალაი* ატრიალეფს, ემე იჯება“.

„*თავეთთავისთუ̈ნ* დაჭმა, ჰეჩ აღარ დარჩა ბალი“.

დადასტურდა ფორმა **ჩემუჩემოდ** (= ჩემს გარეშე, უჩემოდ).

ქართულენოვანი რიცხვითი სახელები ნაკლებად გამოიყენება, თუმცა მეტწილად ახსოვთ. **და-კავშირიანი** წარმოება უნიფიცირებულია და გამოი-

ყენება ათმეტობითი წარმოების ნაცვლადაც: *ათდაერთი/ათიდაერთი, ათდაორი/ათიდაორი... ათდაცხრა / ათიდაცხრა* (ცხრამეტი).

სუბიექტური მე-2 და ობიექტური მე-3 პირის ნიშნების გამოყენება სტაბილურ ხასიათს არ ატარებს. ჩვენი მასალებით გაგვიჭირდა მათ გამოყენებაში რაიმე სისტემის დანახვა. იხმარება **ჰ, ხ, შ** რეფლექსები. ყველაზე ხშირად — *ჭამ-, კალ-, ყავ-, ქონ-* ფუძეებთან.

„მოხარშვენ, *შჭამენ* ჭყინტლ თაზედ“.

„ბოტოტი ხრავს, *შჭამს* ი ფურცელ“.

„უშხანაში *ჩახყრი*, მოხარშავ და *შჭამ“.*

„ჩიტები *შჭამენ*“.

„მაშინაც *მოვშჭრიდით* იშტა, რაცხა ქი გამეირჩეოდა, იმა გავარჩევდით“.

„რაცხეით გინდა, იმით *მოშჭარ“.*

„*გავხყიდავთ. გავხყიდავთ*, ჰო“.

„ხურდა არ *გახყვება“.*

„ჩალასაც *შევხკონავთ*, ჩვენ ძროხებს მივართვამთ“.

„ანამისი არ *ხყავდა* ზათი და მომკვდარი იყო. დედა არ *ხყავდა*“.

„კევრ ქვიები *ხქონდა*, ქვიები“.

„ჩვენი მალე *მოხკვეთავს*, აქევრი ჩიჩეგისა არაؤია. ბევრ ვერ ჭამ“.

„საქონელს *დაჰკვლენ“.*

„ფარას *დაჰთვლიან?*“

„ვინცხას პასუხი ემე აქ, იმას *წასწევდენ* წინ“.

„ე პაწაი ღარჭიც გვიან მევიდა იშტე და *სძინევდა*“.

„ერთი ამბობენ — ბათომიდან, ერთი ამბობენ — მაჭიხლიდან, იმიდამ... რაი *სთქვია,* ფოცხოვიდან“.

ე.წ. **ინვერსიულ ზმნათა და ფორმათა მიცემითბრუნვიანი მორფოლოგიური სუბიექტის სიმრავლის** გამოსახატავად გამოიყენება, აჭარულის მსგავსად, სუბ. მე-3 პირის მრავლობითის ნიშნები.

მაგალითები:

„გურჯიჯა ცოტა ვერ *ემეუქნიან...* ვერ *დუულაპარაკნიან*“.

„თელი *ცოდნიან*“.

„ძველებ *ეცოდინებიან* ბელქი, მე არ ვიცი“.

„ლაპარაკი *გინდანან*, ჰო?“

„ნისლი *ხყავან* თქვენ?“

„დოხტური არ *გახლავან* ვინცხა?“

„ისე *მოუფერებიან*, ჰო“.

„იქ *გეყოლვიან* თქვენაც ბევრ ბათომ?“

„ქვაბისთაურში ამათ ხისიმები *ყოლიან*, ამ ჩემ მამამთილ და დედამთილ“.

„*ქონებიან*, დანახული *ქონებიან*“.

„ვერ *მოუკვლან*, Ქასაღიაო — არ კვლენ. Ქასაღია'Ქა, ვერ *მოუკვლან*, ვერ წასულან“.

„*ეშინიან*, ვერ *მოუკვლან*. ჯეზაა და ვერ *მოუკვლან*, ჯეზაა“.

„რა ვიცი მე, ზველათ *დუურქმევნიან*“.

„სიმინდი *ეთესნენო*, მოშოშტები *ქონდენო*“.

-ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები აწმყო-მყოფადის ნაკვთებში მრავლობითის **-ენ** სუფიქსის წინ იკუმშვიან სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვის ხარჯზე: *გეიგრიხვენ, სმენ*.

ამასთან, ამ პოზიციაში შეინიშნება მიდრეკილება თემისნიშნისეული სონორი ბგერების მონაცვლეობისა — **მ > ვ**. თუმცა სხვა პოზიციაში **-ამ** თემის ნიშანი მყარია:

„ისე ბაჯალასავენ *ჩეისვენ* (შდრ. ჩეისვამ)“.

„ზოფით *აართვენ* (შდრ. აართვამ)“.

„წვერ *მეიბვენ* (შდრ.მეიბამ), ასე თხიების ტყავსა დაახვევენ, ყაფაზე ასე *დეისვენ* (შდრ.დეისვამ)“.

-ავ და **-ამ** თემის ნიშნები ნამყო უსრულსა და პირვ. კავშირებითში (შესაბამისად, მყოფადის ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში) სახეს იცვლიან **-ევ, -ემ**-ად.

„იქ *ვთესევდით* სიმინდ“.

„ქვით არ *დავნაყევდით* ჩვენ“.

„ზველათ კეცებში *ჩავსხემდით*“.

„ბზესაც ძროხებ *მივართვემდით* (აწმყო: მივართვამ)“.

-ავ და -**ამ** თემისნიშნიან ზმნათა კონვერსიული ვნებითები აწმყოში იღებენ **-ვ-ი** დაბოლოებას სუბ. პირველ-მეორე პირებში, ხოლო სუბ. მესამე პირის მხოლობითში **-ვ-ი-ს** და მრავლობითში **-ვ-ი-ან** დაბოლოებებს.

„*ჩეიწურვის* შირა, ადუღდება, *მეიხარშვის*“.

„ბოტოტი მუაო, *იხლანკვისო*, გეიხლანკვაო“.

„ის *გამეიწურვის*, მევრე იმა გავხრესავთ“.

„ისინი *იხოცვიან*“.

„ამოდებ ქვიქვეშ, *დეიწურვის* კარგა, *დეიჭაჭვის*“.

„*მეიღალვი* ქი, დაჟდე'ნა, გეისვენო“.

„ის მოდუღდება ლამააზათ, *ამეიჩარჩვის*“.

ამათ მისდევს **ეყოლება** ზმნაც.

„იტყვიან ქი ღარჭები *გეყოლისო*“.

„ამათაც *ეყოლვიან* საქონელი“.

ნამყო უსრულსა და პირვ. კავშირებითში **მრავლობითის მე-3 პ. დაბოლოებაა -ენ**.

„*გააკეთებდენ*, თელი *მეიკრიფოდენ* იგზე, *დაჟდებოდენ*, *ჭამდენ*“.

„ტყავ *მეიხვევდენ*, წინდებ ასე ამეიწევენ, *მოიყრებოდენ* კაცები, კარა კარ *დეჲარდენ*, *მოკრიფევდენ* ამა(ს), ერთ ალაგ *მოკრიფევდენ*“.

პრეფიქსიანი ვნებითები ნამყო ძირითადს იწარმოებენ **ენ / ნ** ინფიქსით. შესაბამისად, მე-3 პირის მრავლობითში დაირთავენ **-ნ-ენ** დაბოლოებას.

„ვერ *შეეყარენით* ვერსა“.

„იმას მიმცა, *გევცვალენით*“.

„არ *მეეწარენით* იმათ ქი“.

„ისინი დიდვრანი *დეიხოცნენ*“.

„იმა უკანაჲ *მეჲხოცნენ*“.

„ერთ-ორ წელწად არ *დეგველაპარაკნენ*“.

„საქონელ *დეეცნენ* და საქონელი *დეიჭოცნენ*, ო“.

სხვა ტიპის გარდაუვალ ზმნებში მე-3 პირის მრავლობითში მონაცვლეობენ **-ნენ** და **-ენ** დაბოლოებები:

„ებიები *მოიდნენ*“.

„*მოიდენ* თოფებით“.

„ოღრათმანები *გაშენდენ*“.

ყურადღებას იქცევს ზმნათა **ობ-** სუფიქსიანი წარმოება საობიექტო მიმღეობის ფუძიდან: **პოვნულოფს** (= იპოვება. „გობი არი, კიდონ *პოვნულოფს*, შეშისა“), **ჭმობილოფს** (= იჭმევა. „ყვითელი სოკოა, *ჭმობილოფს*“), **გდობილობს** („აღარ *ვგდობილობთ* ყურ“), **წონულობს** (= იწონებს. „ერთმანეთ *წონულობენ*“; „არ *გწონულობენ*“), **ცნობილობს** („ერთ სოფელში ვიყავით-ჲა, *ვცნობილოფთ* ასე, იქედან“). ამ ზმნათა ფორმაცვალება შეზღუდულია მხოლოდ პირველი სერიის აწმყოს წრით.

გვხვდება ზმნისართები **შიგან** და **ზედან**. ისინი ხშირად თან ახლავან -ში, -ზე თანდებულიან სახელებს. მაგალითები:

„დასცემოდა და *მიწაში შიგან* პირი მოსვლოდა“.

„*ჩახვში შიგან* შევინახავთ ყველ, ემეს“.

„იმასაც *ბეზში შიგან* გადავაგდებთ“.

ზოგჯერ კი თავად გვევლინებიან თანდებულის როლში: „*ღობეშიგანო* ჲასაღია შესვლაო, ისე მითხრაო“. ასეთი შემთხვევები მიგვანიშნებს იმ გზას, რაც აღნიშნულ ზმნისართებს გაუვლია თანდებულად (ში, ზე) გარდაქცევამდე. (შდრ. ა. შანიძე, გვ. 601).

აჭარულში *შიგან* ზმნისართი წარმოდგენილია ფონეტიკურად გამარტივებული სახით — **შიან**.

აქ / აქა და იქ / იქა ზმნისართები გვხვდება ფუძის სახითაც და, ამასთანავე, **ზე** ან **ში** თანდებულდართული ფორმით: **აგზე, იგზე, მაგზე, აქში, იქში**. აჭარულშიც ანალოგიური სურათია:

„*აგ ზე* გავალთ, მოხობანია“.

„იმა ერთ *აგ ზე* გააშვებ, ერთ *აგ ზე*, შიგანას(< ც) გამობღალავ“.

„*იგ ზე* ყავს, ერთათ არიან გამოწეული ასე“.

გვხვდება გარდამავალი საფეხურის ამსახველი შემთხვევები, როცა *აქ* ან *იქ* ზმნისართი შეწყვილებულია *შიგან* ან *ზედან* ზმნისართებთან: *აქ შიგან* (აქედან ცვეთის შედეგად უნდა იყოს მიღებული **აქში**), *აქ ზედან (> აქზე > **აგ ზე**)*:

„ზალი ლოცულოფს *აქ შიგან*“.

„*აგ ზედან აგ ზე* მოსლამდინ მტკივა ახლა ასე“.

საკმაოდ ხშირად **უკან** იხმარება დროის გარემოებებში თანდებულის როლში, მას ფუნქციურად შეესატყვისება სალიტერატურო ენის „შემდეგ“. ამ შემთხვევაში მოითხოვს სახელისაგან მიცემითი ბრუნვის ფორმას:

„*ორ თვეს უკან* მოვშჭრით ამა ახლა“.

„*ოც დღეს უკანნა* წევდეთ“.

„*ბაჲრამ(ს) უკან* არი დუგუნი“.

უკან ხშირად გამოიყენება **მას** ჩვენებით ნაცვალსახელთან წყვილში:

„წაველ, *იმას უკან* მიველ“.

„ენწინაჲ ბაჭალა მყავდა და *იმა უკანაჲ* მეჲხოცნენ“.

შეწყვილებულად რეგულარულად გამოყენების შედეგად შერწყმულა ერთიან ფორმად — **მასკან // მასუკან**, ხოლო ამ უკანასკნელისაგან გასუბსტანტივების გზით მიღებულია **მასკანაი.**

„*მასკანაც* იშტე შორ არ გამათხუა ბაბომან“.

„*მასუკანაც* იშტე ხბოს იქს“.

„*მასუკანას* სუზგში ჩაწურავ“.

უკან ზოგჯერ გამოხატავს თანაობას, ითავსებს *ერთად* ზმნისართის მნიშვნელობას (სავარაუდოდ, თურქული შესატყვისი ლექსემის — არკა კალკირების შედეგად), ასრულებს თანდებულის ფუნქციას და ამ დროს მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში:

„*დედამთილის უკან* აღარ ვარ, გევყარენით. დედამთილი — პაწა შილის უკან“.

„*ჩაის უკან* იმა ჭამენ იშტე“.

„*ქალის უკან* კაꙋ არ იყო იშტე“ (= ცოლთან კარგად არ იყო).

იხმარება **ერთად** ზმნისართიც. იგი, თანდებულის როლში, მოითხოვს სახელისაგან მოქმედებით ბრუნვას. შესაძლოა, დაერთოს **ზე** თანდებულიან სახელსაც. მაგალითად: „სხვა *სოფელზე ერთათ* ვიყავით, ამ *თურმანეთით* (თურმანეთი სოფელია) ერთათ ვიყავით“ (შდრ. აჭარული, სადაც ზმნისართული წარმოშობის თანდებული *ერთად* მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში. აქ გვექნებოდა: *თურმანეთის ერთად).*

დასტურდება დროის ზმნისართის **მემრე** და **მევრე** პარალელური ვარიანტები:

„*მემრე* ფესტილ გავაკეთებთ“.

„*მემრე* გევრეგ ჩავსხამთ“.

„ერთ-ორ თვე დადგება, *მევრე* წავა“.

„ის გამეიწურვის, *მევრე* იმა გავხრესავთ“.

ამ ვარიანტთაგან პირველადი უნდა იყოს *მევრე*, ხოლო სრული პროგრესული ასიმილაციის ნიადაგზე სახენაცვალი — *მემრე*. იმერხეულ მეტყველებაში *მევრე*-ს დადასტურება განამტკიცებს მოსაზრებას სალიტერატურო ენის *მერმე / მერე* ზმნისართთა რიგობითი რიცხვითი სახელისაგან *მეორე* მომდინარეობის შესახებ. *მევრე* ფორმა გვაქვს ჯავახურშიც (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 293).

მევრე პოლისემიურია და გვხვდება რიგობითი რიცხვითი სახელის მნიშვნელობითაც. უნდა აღინიშნოს, რომ **მევრე**-ს პარალელურად, დასტურდება *მეორე*-დან მომდინარე კუთხური ფონეტიკური ვარიანტები: **მიერე** (< მეერე<მეორე) და **მივერე** (მიღებულია მიერე-საგან ვ-ს ჩართვით): მაგ., „მივერე სარტყელსაც მევქსოვთ“. ჩვენი მასალით, შეინიშნება ტენდენცია ამ საერთო წარმოშობის ფორმათა სემანტიკური დიფერენცირებისა ъ *მიერე, მივერე* გვხვდება შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელის მნიშვნელობით, ხოლო *მევრე* — მეტწილად ზმნისართის როლში.

იქით ადგილის ზმნისართი, *უკან* ზმნისართის მსგავსად, შესაძლოა შეგვხვდეს კავშირის ფუნქციით დროის გარემოებებში: „ცხრა თვეს იქით ტანა **ჯბოს იჯება**“.

გვხვდება **ივ** სუფიქსი ზმნისართებში: **დღივ, ზამთრივ, მარტივ...**

„კიდევ დადიან ისენი, ამა *დღივ* — არა. *დღივ* არ არიან და ისენი ღამ-ღამ დადიან“.

„*ზამთრივ* წავლენ, იმათ გადაყრიან, ამა კიდონაი მოდიან“.

„ჩვენ *მარტივ* **ჲ**აშლი კაცები დავრჩით აქა“.

როგორც ჩანს, *მარტივ* ფორმა უდევს საფუძვლად აჭარულში ზმნისართს — *მარტვა***ჲ**: მარტივაი>მარტვაი.

რიგი ზმნისართებისა გვხვდება ფუძის ფორმით, რეალურად ეს მიცემითის ბრუნვის ფორმებია, ბრუნვის **ს**-ნიშანმოკვეცილი:

„*წრევლ* არ მიმიდუღებია და შარშანდელია“.

„*ზამთარ* სოფელში ვჩებით“.

„*ერთ ალაგ* მოკრიფევდენ“.

„ტყეში ვიყავით *დღე* ჩვენ“.

„იქ გადმოდის *ბეჟრ* (= ხშირად)“.

ხშირად გამოიყენება „ერთი ციცქნას“ მნიშვნელობის ექვივალენტი გამოთქმა **ერთი დრამი**. იგი, ქცევების მიხედვით, შესაძლოა შეგვხვდეს ა) ფუძის (უფრო სწორად, მიცემითი ბრუნვის) სახით ან ბ) ვითარებითი ბრუნვის ფორმით.

„ერთ დრამ'ნა გაზარდო ცეცხლი“.

„დააყენეფ *ერთ დრამ*“.

„*ერთ დრამ* ვისაქმევი, ჭლიკი მტკივდება“.

„შეთბება, *ერთ დრამათ* გათბება“.

ერთ დრამ-ის ფონეტიკური სახეცვლით (ხშირი ხმარებისაგან „ცვეთის“ შედეგად) მიღებულია ვარიანტები **ერთამ** (< ერთთამი<ერთთრამი < ერთდრამი) და **ეთამ** (< ერთამ < ერთთამ < ერთდრამ):

„*ერთამ* მარილ იქ (იქმ), *ერთამ* მარილ, ი გააგერმელეფს“.

„*ეთამ* შივაცივეფთ“.

ზმნისართი „ერთჯერ“ შეგვხვდა ამ ფორმით — **ერთი ჯერი**: „მალე წასული არიან და *ერთი ჯერი* მოიდენ აქა“.

ამავე ფუნქციით გვხვდება **ერთი** (= ერთხელ): „*ერთი* მისული ვიყავ“.

სინტაქსიდან

სპონტანური მეტყველებისათვის ნიშანდობლივ ზოგად თავისებურებებს იმერხეულში ემატება სპეციფიკური დიალექტური მოვლენები, მათ შორის, ინტერფერენციული ჩარევის შედეგად გამოწვეული.

ხშირია **გამეორება,** მეორდება წინადადების წევრი (მარტო ან თავისი გარემოცვით), რომელზეც მოდის ლოგიკური მახვილი, აქტუალური დანაწევრების თეორიის მიხედვით, ახალი ინფორმაცია. განმეორებას ხშირად თან ახლავს წევრთა გადაადგილება.

მაგალითები:

„*ქვიები* ხქონდა აგზე, *ქვიები*, კევრ“.

„*წისქვილზე, წისქვილზე* დავფქვავთ“.

„*იქ წყალი'ნა* იყოს ქი, ისა ქნას, *წყალი“.*

„ახლა ვიღეფთ *ჰაზირ ფქვილ, ჰაზირ ფქვილ* ევიღეფთ“.

„მეიგვა არი და *ბლიები* აღარ დარჩა, *ბლიები“.*

„ამა(ს) დააბრალებდენ, ამა(ს)“.

დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელია ნაწილაკთა სიხშირე (ამასთან დაკავშირებით იხ. ჩხუბიანიშვილი, 1989). იმერხეულში ყურადღებას იქცევს **ჰა** ნაწილაკისა და მისი ვარიანტების — **ა**-სა და **ე**-ს ხშირი გამოყენება. ისინი ზოგჯერ პროკლიტიკის სახით მიერთვიან ზმნისართსა და ჩვენებით ნაცვალსახელს, აძლიერებენ რა მათ მითითებით ფუნქციას. ამგვარად მიერთებული **ჰა** ნაწილაკი ფშვინვიერი შემართვის შთაბეჭდილებას ქმნის.

მაგალითები:

„*ჰამ* (< ჰა ამ) რენგზეა, *ჰაგზე* (< ჰა აგზე) წყალი არი, აგზე — ამ რენგზეა (რენგი — ფერი)“.

„*ჰ'ახლა* (<ჰა ახლა) წრეულ ფენა (= ძალიან) ცივა“.

„აქედან *ე'იქ* გადავა“.

„*ა'იგირ* ერთი დევნახე და ერთი ვერ დევნახე, ორი მყავს ზათინ, იგირ გზაში ჩანს, გზაში, იგირ იგზე არიან *ჰა*“.

ყურადღებას იქცევს დავიწყებული სიტყვის შემცვლელად, სიტყვის მასალის ფუნქციით, ნაცვალსახელების **ემე**, **ისემე**-ს ხშირი გამოყენება. ამასთან, ხშირად *ემე* გვხვდება *იქს (ქნა), იჯება* ზმნებთან შეწყვილებული. მაგალითები:

„მოჭრილს მემრე *ემეს* ვიქთ“.

„ხანდიხან *ემეს* იჯებოდა, ცივდებოდა ხანდიხან“.

„მე ორ მისლაზე *ემე* ვქენ“.

„გურჯიჯა ცოტა ვერ *ემეუქნიან*, ვერ *დუულაპარაკნიან*“.

იმერხეულისათვის დამახასიათებელია უარყოფით კონსტრუქციებში ორმაგი უარყოფის სახე: უარყოფითი ნაცვალსახელი **არაფერი** (ან **არავინ, ვერავინ**) **+ არ** (ან **ვერ**) **ნაწილაკი**:

„ამა ზოვლი *არაფერ არ აკეთებენ* ქლიავიდამ“.

„ჩვენ *ვერ გვიცნობენ ვერაფერი* იქ, ვერ გვიცნობენ ჩვენ, ვინ არიანო“.

„*ვერ მააფერავს ვერაფერ*“.

ამ მხრივ იმერხეული განსხვავდება აჭარულისაგან, სადაც უარყოფითი კონსტრუქციის ფორმულაა: განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **ვინმე** (ან **რამე**) **+ არ** (ან **ვერ**) ნაწილაკი. აჭარულისებური უარყოფითი კონსტრუქცია შესაძლოა შეგვხვდეს აჭარულისა და მაჭახლურის მომიჯნავე უბნებში.

ფუძეთანხმოვნიანი ატრიბუტული მსაზღვრელი წარმოდგენილია ძირითადად ფუძის სახით, გარდა სახელობითი ბრუნვისა. სახელობითში დაირთავს **ი** ბრუნვის ნიშანს.

„*ჩემი ჟეგანი* ვამღერე, *ჩემ ანათერეფიდან*“.

„იმ *შავ ყურზენისა* კაჟ არიო“.

„*ჩემ კაცის* და ჩემ ტადოთან იყო“.

„*დიდ ბაკალამან* აღარ იკითხა“.

„*ჩემ ზმის* შვილია“.

„ცივი'ნა გარცხა, *ცივ წყლით*“.

თურქული ენის ინტერფერენციული გავლენა განსაკუთრებით თვალში საცემია სინტაქსის სფეროში, ასე მაგალითად, თურქული კითხვითი კონსტრუქციის ანალოგიით, დიალექტში კითხვითი წინადადების ბოლოს ჩვეულებრივია თურქული კითხვით-დადასტურებითი ნაწილაკების **ია / ჟა** (**ყა**), **მი** (**მი**) დართვა.

მაგალითები:

„მაღლა გოუკეთო'ნა შეშებიდამ, *ჟა* რაცხიდამ“.

„მე შექერი *მჭირს'ჟა*, და მალე ამტკივდება თავი“.

„ი ღმა ყოფილა, ვერ ჩავლენ, *ვერ'მი* მოუდგებოდენ“.

აღსანიშნავია, რომ თურქული კითხვით-დადასტურებითი ნაწილაკი **ია / ჟა** (ya) ხშირად დაერთვის *არი* (არის) მეშველ ზმნას — **არ'ია** (თურქ. var ya-ს ანალოგიით).

მაგალითები:

„მოჩოშტა *არ'ია*? იმა გადმუაცვემდით თავზე, წვიმამ არ ჩოუაროსო“.

„აღარ ვიცი ქი ჯ მოსული *არ'ია*, ჟერლი *არ'ია*?“

რომ კავშირის მონაცვლედ გვევლინება მისი თურქული ფუნქციური ექვივალენტი **ქი** (**ki**). იგი თანდათან დევნის *რომ* კავშირს.

„ამუელით, ამა იმსოდ ცივა *ქი*, ყვინავს სიცივე, გვაკანკალეფს“.

„რაი ვილაპარაკოთ, არ ვიცით *ქი*“.

„თოვლი *ქი* აშრება მაშინ, გაზაფხულზე“.

ლექსიკიდან

ლექსიკა კარგადაა შემონახული, განსაკუთრებით, უფროსი თაობის მეტყველებაში. შეიძლება ითქვას, რომ იმერხეული მეტყველება ძვირფასი რეზერვუარია, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ამა თუ იმ სიტყვაფორმისა თუ ენობრივი მოვლენის დიაქრონიულ სახეცვალებას, ცალკეულ ლექსემათა სემანტიკურ ცვლილებებს.

ლექსიკური მასალის გამოსავლენად მივმართავდით თემატურ კითხვარებს: თემატურად, დარგობლივად, შეკრებილი ლექსიკური მასალა საიმედო მიმანიშნებელია იმისა, თუ რომელ დიალექტებთან ამჟღავნებს სიახლოვეს საკვლევი მეტყველება.

მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს.

კვების ჯერის სახელები კარგადაა შემონახული: **საუზმარი, სადილი, ზარმელი, ვახშამი.** „ენ დილაზე ავდგებით, ყაფალდის ვჭამთ — ერთი, *საუზმარ*, მემრე *სადილ* ჭვამთ — ორი, *ზარმელი* — სამი, *ვახშამი* — ოთხი“.

მტაცებელ ფრინველთა სახელებია: **ძერა** და **ქორმიმილო**. „ქორმიმილოში“ ერთი ფრინველი იგულისხმება — ქორი. გუგული **კუკულია**.

პირისახეს **ბუკს** და **პირს** ეძახინ. **გაბუკვა** გაცხვირვაა. **კოში** შუბლია. ბაგე **ტიტვირია**. ღაწვს **ლოყას** და **ტუჩს** უწოდებენ (შესაძლოა იმის გამო, რომ ეს ორი სიტყვა შერწყმულად გამოიყენება ხოლმე). ყურის აწევა ყურის დაწიწვაა („*ყური დუუწიწა*“), ყურის ბიბილო **ფარფალაა**.

მწერს **ბოტოტს** ეძახიან, ციცინათელას — **ციცნატელას** („*ციცნატელად* ანთობს ღამით, იმა ციცნატელას ვეტყვით, წვრილი ბოტოტია“), კალია — **კალაჲა** („*კალად* ქი უხტება ის არი, ჭალებში არი“). **ბოჭოჭავავაჲ** ობობაა.

ქვეწარმავალი **ბობოლია**. ზოგან **ბოტოტს** უწოდებენ (უსტამისი). **ხვლივი** ხვლიკია. ხვლიკის ნაირსახეობაა **მეშველაჲ** (უწყინარია, მცირე ზომის; კუდს იქნევს. აჭარაში მას **ტინტილას** ეძახიან).

ცისარტყელას **სარტყელი** და **თისარტყელა** უწოდეს. შეიძლება იმის გამო, რომ აქ ცისარტყელა მთებს შორის არის გადაჭიმული.

დილის ცვარს **ტენს** ეძახიან, ცვარის დადებას — **ტენის გაგდებას** („დილაზე ქი ბალახი სველია, იმა *ტენ* ვეტყვით, *ტენი გუუგდია*“).

პურის (ქადის) გამოცხობას **ჩასხმას** ეძახიან („კეცში *ჩავსხემდით*, კეცი იყო, ტალახისას გავაკეთებდით კეც. იქში *ჩავსხემდით*“. „პურსაც მოვზელავთ, გასუქთება, დავაკეთეფთ ამდენ-ამდენ — *ჩავსხამთ*“). აღსანიშნავია, რომ ერთი პური თუა გამოსაცხობი, **ჩავსვიო** („ადას *ჩავსვამ*“) იტყვიან.

კარაქის შემზადებას **შედღვებას / შედღობას** ეძახიან („ადღ ვარიაში *შევდღობავთ*“) (შდრ. აჭარული *მორეკვა*).

წანდილს ეძახიან ხორბლის ან სიმინდის შეჭამადს, მარილით შეზავებულს.

საქონლისა და ფრინველისათვის საკვების მიცემა **მირთმევაა** („ძროხებს *მივართვამთ*“).

საქონელი რომ ხბოს მოიგებს, იტყვიან **ქნაო**: „ჯარი თუ არი, *ჯარი ქნა* — ვიტყვით, ზროხა თუ არი — *ზროხა ქნაო*“. „ზროხამა *ხბო ქნაო*“. „*იქს ხბოს*“. აწმყოში *იქს* ფორმის პარალელურად იხმარება **იჯება** (< ირჯება) ზმნა: „ტანა ცხრა თვეზე *ჯბოს იჯება*“.

საკუთრივ დიალექტური წარმონაქმნი ჩანს ლექსემები:

სათვლელი ფულის მნიშვნელობით. „ქართულა ფარას ვეტყვით ჩვენ. *სათვლელსაც* ვეტყვით. ფარას *დაჰთვლიან? — სათვლელი.* ფულსაც ვეტყვით. სათვლელი, ფარა, ფული“.

ფათფათაი — ტრაქტორის აღსანიშნავად. „მუაჭნევნიებთ *ფათფათას, ფათფათებ* მუაჭნევნიეფთ. *ფათფათა* — თრაქთორი, ჰო. გურჯიჯა *ფათფათაᲥა*“.

ჩაპეპვლა — კარტოფილის ჩაჭრა კერძში: „ყართოფ დავჭრით და *ჩავპეპლავთ*“.

ზოგიერთი საერთო-ქართული ლექსემა იმერხევის მეტყველებაში გარკვეულ სემანტიკურ სხვაობას ამღავნებს თანამედროვე სალიტ. ენასთან შედარებით. დამატებითი მნიშვნელობა აქვს განვითარებული ლექსემებს:

შეშა აღნიშნავს საგანთან ერთად მასალასაც: *შეში(ს) გობი, შეში კოვზი...*

განათლება განათებაა: „ალექტრიკი არ არი, სადა'ნა *გავანათლოთ*? იქ'ნა წევდეთ და იქ *გავანათლოთ*“.

ცოცხლობს იხმარება მნიშვნელობით „ცხოვრობს“: „ექვს თვე აქ *ვცოცხლობ*, ექვს თვეც, ემეში, რიზეს ვარ“.

გამოწევა ნიშნავს ფოტო-ვიდეოს გადაღებას: „ასე როხი ნენიები *გამოგვწიე*“; „სახლ აშენებენ, *გამოსწიე*“.

ამდენი (< ამოდენი) ზოგჯერ მიუთითებს არა რაოდენობას, არამედ ზომას (= ამოდენა, ამხელა): „პურსაც მოვზელავთ, გასუქთება, დავაკეთეფთ *ამდენ-ამდენ* ჯ ჩავსხამთ“).

მალე მნიშვნელობით „ადრე“: „*მალე* წასული, ვერ გვიცნია, ვერ უცნიან“ (შდრ. ფუტკარაძე, 1993, 497)

გარჩევა — გაყრა, გამოყოფა, მოშორება: „*არ გამერჩოდა*, საცხა არ წევდოდი, მიმომყვებოდა, არ დადგებოდა ჩემუჩემოდ საცხა“. “ჰემ *გარჩეულიც* იყო ქალის უკან“. “გევერჩიე, გევყარენით“.

როგორც აქ მოყვანილი მასალიდანაც ჩანს, სემანტიკური გადახრები ზოგ შემთხვევაში გამოწვეულია ლექსემის თავდაპირველი მნიშვნელობის შენარჩუნების ნიადაგზე, ხოლო სხვა შემთხვევაში სიტყვის დამატებითი მნიშვნელობა განვითარებული ჩანს უცხოენობრივი ზეგავლენით, კალკირების გზით.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ბერიძე, 1988 — გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი, 1988.

ფარტენაძე, 1998 — ნ. ფარტენაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ბათუმი, 1998.

ფუტკარაძე, 1993 — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.

ჩხუბიანიშვილი, 1989 — დ. ჩხუბიანიშვილი, ნაწილაკების ზოგი ფუნქციისათვის დიალექტურ ტექსტში, თბილისი, 1989.

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.

ჯორბენაძე, 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, თბილისი, 1988.

N. Surmava

The Observation of the Imerkhevian Speech
(Based on the field materials, 2009-2010)

Summary

The paper deals with the grammatical and lexical survey of the speech of one of the oldest parts of historical western Georgia - Imerkhevi, according to the materials gained in 2009-2010. This is not a full descriptive analysis but materials for such analysis.

Imerkhevian speech with its grammatical, lexical and intonational peculiarities shows the similarities with the dialectal sub-systems of high Achara and Meskheti. In some cases there is the initial step of phonetic process, which has been completed in Acharian. It is especially clear in the process of interaction of the preverb and following vowel prefixes.

We should remark the metathesis of personal marker after the stem consonant: **vçamt**, **xvedav**.

In the Imerkhevian speech there still exist a lot of lexical units and word-formational patterns likely characterizing middle Georgian: **xvlivi** (xvliki), **dγiv** (dγisit), **marţiv** (marṭo), **sauzmari** (sauzme), **kalaj** (kalia), **meli** (mela).

We should pay attention to the thematic vocabulary, namely the terms from apiculture, stockbreeding, fruit-growing, field-husbandry and gastronomy. We can often find the synonyms of those words in other Georgian dialects. E.g. ṇuris časxma, ʒroxa xbos ikms (kna), mercxali (mocxari), ṭiṭviri (ṭuči), ganatleba (ganateba)...

As for the interferential occurrences, interferential involvement of the Turkish language is clearly seen in the field of syntax, e.g. Just like the Turkish interrogative sentence in this dialect such sentences add the endings -ia, mi. Sometimes the Turkish conjunctional word -ki is used instead of the Georgian conjugation -rom. The interference takes place in phrasal calques, during the increasing or reducing the amount of the meanings of words.

მურმან სუხიშვილი

გუნი „სიყვითლის სენი“ (საბა)

საბას „სიტყვის კონაში“ წყაროზე (II ნეშტ. 6,28) დამოწმებით სალექსიკონო ერთეულად წარმოდგენილია და განმარტებულია გ უ ნ ი (გუნითა E) (+ 2 ნეშტ. 6,28 ZA) სიყვითლის სენი ZABC. E რედაქციაში უფრო სრული განმარტებაა მოცემული: გ უ ნ ი სენი არს, რომელი კაცსა ავი ფერი დაედების, რომელსა ი ა რ ა ყ ა ნ ა დ უჴმობენ (საბა I 1991).

ლექსიკოგრაფის განმარტებით, ი ა რ ა ყ ა ნ ი **გუნის** თურქული შესატყვისია. ლექსიკონში გამოტანილია **გუნის** ფონეტიკური ვარიანტიც:

გ ჯ ნ ი (+ 49 ამოს. ZAa) გ უ ნ ი ZAB.

საბას მიერ დამოწმებული წყარო — II ნეშტ. 6,28 ბიბლიის მცხეთური ხელნაწერის მიხედვით ასე იკითხება:

„გინა თუ სიყმილი იყოს ქუეყანასა ზედა, გინა თუ სიკუდილი იყოს ქუეყანასა ზედა, ხორშაკი და გ უ ნ ი, გინა მკალი, გინა ბუზი“ II ნეშტ. 6, 28.

ძველ ქართულში დასტურდება გუნ- ფუძის პარალელურად მისი ფონეტიკური სახესხვაობანიც გ ჯ ნ ი და გ ო ი ნ ი:

„დაგცნე თქუენ მ?ურვალებითა და გჯნითა“ O. ამოს. 4, 9. (აბულაძე 1973).

„და გგუემოს შენ უფალმან ოროლებითა (1) და სენითა სიცხისათა და ცხროთა და წერტითა უსაზომოთა, კაცისკლვითა და გუემითა ხორშაკისათა, გ ო ი ნ ი თ ა და დანდალუკითა. ესე ყოველი მოიწიოს შენ ზედა და მოგსპოს შენ ქუეყანასა მისგან, რომელსა შეხუალ დამკჳდრებად მუნ“ II სჴ. XXVIII, 22 BDES.

პარალელურ ვარიანტში გ ო ი ნ ი აღარა გვაქვს, ვფიქრობთ, მას ს ი ყ ვ ი თ ლ ე ენაცვლება:

„და გცეს შენ უფალმან უძლურებითა და ჴურვებითა და ცხროითა და განმწარებითა და კლვითა და ქარხრწნილებითა და სიყვითლითა“ Cb.

გუნი (გოინი) და დანდალუკი ძველ ქართულში სინონიმებია:

დანდალუკია — სიყვითლის სენი. Jeteritiia, morbus regius: „გარდაიქცეს ყოველნი პირნი და დანდალუკია იქმნნეს“ O. იერემ. 30, 6 (აბულაძე, 1973).

მცხეთურ ხელნაწერში ეს ადგილი ასე იკითხება: „...პირები დანდალუკიან იქმნა“ იერ. 30, 6.

საბას მიხედვით, დანდალუკი განიმარტება როგორც თვალის მავნე ბინდი, გინა ფრჩხილი ZA; CD რედაქციაში იკითხება: თვალის ბინდი, გინა ფრჩხილი, გინა გუნი მავნებელი (საბა I 1991).

ბიბლიის ტექსტებიდანაც ჩანს, რომ დანდალუკის მოქმედების არე უფრო შეზღუდულია:

„და მეცა ეგრე გიყო თქუენ, მოვავლინო თქუენ ზედა სიმღიერე და უნაყოფობაჲ და სიყვითლე დანდალუკად თუალთა თქუენთაჲ და გული თქუენი დადნებოდის...“ ლევიტ. XXVI, 16 AKSB; შდრ.:

G „სიყჯთლე წარმომატყულობელი (= დამაბრმობელი მ.ს.) თუალთა თქუენთა?...“

გუნი დაფიქსირებულია ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც:

გვინი და **გუნი** — სიყვითლის სენი (2 სჯული. 28, 22; ამოს. 4, 9), бледность, златница, желтуха (болезнь) (ჩუბინაშვილი 1961)

გუნი ს. — სიყვითლის სენი, желтуха, ნ. გვინი.

გვინი, გუნი ს. — სიყვითლის სენი, желтуха, желтуница (болезнь), II სჯ. 28-22, ამოს. 4, 9 (ჩუბინაშვილი 1984).

ჩუბინაშვილების აქეთ ეს სიტყვა ლექსიკონებში ფაქტობრივად აღარ დასტურდება. განმარტებით ლექსიკონში გვინი, გუნი კლასიფიცირებულია როგორც ძველი ფორმა საბასეული განმარტებით: „ძვ. „სიყვითლის სენი“ (საბა) ქეგლ II, 1951.

გუნი, გუინი, გოინი როგორც დაავადების სახელი შემონახულია ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“. წარმოდგენილია მკურნალობის რეკომენდაციები („და ერგების გუნიანსა“ 508,3), სხვადასხვა ცნობები.

ირკვევა, რომ ეს დაავადება შავი ფერისაც შეიძლება იყოს (შავი გუნი):

„გუნი და სიყუითლე კუერცხის გულისა განვე, შავი გუნი შავისა ნავღლისაგან არის“ (81, 3-4).

რომ გუნის სარგო წამლები ავადმყოფს შეიძლება ცალკეც მიეცეს და სხვა წამლებთან შერეულადაც, დანაყილი ან შემგბარი — ნელთბილი თაფლიანი წყლის დაყოლებით:

„წამალნი, რომელნი ერგებიან გუინსა, მარტონი და გამოიღებენ უტანჯველად. მათგანნი: აფსინდი და ასრიონი, სუმბული და ვაჩი, ხატბი და ღარიყონი, ენდრო და ბალასნის ღერი, და ჯანტანა და ქუშტი, და ზარევანდი. შეასუინ ესე მარტივად ანუ რეულად, და დანაყილად ანუ შემგბარად. შეასუი თაფლ-წყლითა ნელ-ტფილითა და გასწმენდს გუიანისაგან ტანსა...“ (533, 30-32).

რომ ეს წამლები გუნით დაავადების ყველა სახეს არ არგებს, მნიშვნელობა აქვს დაავადების სიმძიმეს:

„და გასწმენდს ტანსა და გახსნის ნასკუთა გოანისაგან, და არა მას გოიანსა, რომელ იყო ცხროთა თანა და ძნელსა სიმჯურვალესა ღუიძლისასა ...“ (533, 32-34).

„და თუ იყოს გოინი თუალთა შიგან და ტანი წმიდად, მაშა ჰკურნე ამით წამლითა, რომელ დაგვიწერია“ (535, 31-32).

რომ წამლის მიღების შემდეგ გუნი ორგანიზმიდან შეიძლება გამოვიდეს სხვადასხვა გზით:

ამონთხევით: „და შეასუ სნეულსა და ათხიე, რომელ გამოიღოს გოინი თხევითა და გახსნის ნასკუთა“ (534, 26-27).

ოფლის მოდენით, მოშარდვით: — დანაყე და შეასუ ღუინოა ძუელითა, და მერე უბრძანე შეკვრა, ვიდრე ოფლი გამოვიდეს და ფსას გოინი“ (524, 31-33).

წამლიანი წყლით გაბანით: „და მაშინ უბრძანე სნეულსა დაიბანოს მით, და ნახო, რომელ გავიდეს გოინი წყალსა თანა“ (534, 14-15).

ტანში გასვლით: „წამალი, რომელი გამოიღებს გოინსა გასვლით“ (533, 36).

წამლითა და ჰიგიენით: „ანუ აიღე პური, პილპილი და სპეტი ძაღლისა — თუოთო ნაწილი. დაგალე კარგად. და შეასუი კოვზი ერთი ღუინითა კარგითა გაურეველითა, და უბრძანე გაბანა აბანოს, და თუცა იყოს თანა ცხროი“ (534, 34-37).

ძარღვის გახსნით: „და ერგების გ ო ი ნ ი ს ა გახსნა ძარღუისა, რომელ არს ენასა ქუეშე, და გუეყოფის ესე. თუ ღმერთსა უნდეს, რომელ გუითქომს და გუიხსენებია გ ო ი ნ ი ს ა ნიშანი და წამალი“ (536, 19-22).

ახალი, ნატიფი საჭმელებით და ჰიგიენით: „და რომელნი საჭამადსა ჭამდეს ლატიფსა და ახალსა, გამოიღებს იგი გ ო ი ნ ს ა და ნიადაგ ებანებოდეს აბანოს შიგან“ (536, 17-18) და ბევრი სხვა.

ზაზა ფანასკერტელი გ უ ნ ი ს, გ ო ი ნ ი ს სინონიმად ი ა რ ა ყ ა ნ ს ა ც ასახელებს:

„და ესე წამალი ერგების გ ო ი ნ ს ა ც ა, რომელ არს ი ა რ ა ყ ნ ი“ (617,20-21)

„ი ა რ ა ყ ნ ი ს ა თ უ ი ს ც ა კარგია ფერსა მოუნატებს“ (99, 35)

„ი ა რ ა ყ ა ნ ს ა და ხაფიაყანსა ორსავე უშველის...“ (223, 16)...

დ. ბაგრატიონი „იადიგარ დაუდში“, როგორც წესი, ი ა რ ა ყ ა ნ ს ხმარობს. მკაფიოდ განარჩევს თ ე თ რ ს ა და შ ა ვ ი ა რ ა ყ ა ნ ს. 31-ე კარი სწორედ იარაყანის ამ სახეობების გარჩევას ეძღვნება:

და კ ა რ ი მ ე ო ც დ ა თ ე რ თ მ ე ტ ე, ყ ვ ი თ ლ ი ს ა და შ ა ვ ი ი ა რ ა ყ ა ნ ი ს ა, რომე კაცსა თვალი, პირი და ტანი ყუელა ან გ ა უ ყ ვ ი თ ლ დ ე ბ ი ს და ან გ ა უ შ ა ვ დ ე ბ ი ს (ბაგრატიონი, 387, 3-5).

„და თუ ესე ყ უ ი თ ე ლ ი ი ა რ ა ყ ა ნ ი მწოედ ძალიან იყოს, ასრე უნდა: ბასალიყის ძარღვიდაღმან კარგად სისხლი ადინონ, ვითამცა და მარჯვენის მკლავის ზემო ძარღვიდაღმან კარგად სისხლი ადინონ და მუსილისა და მუცელშიგა გასახსნელის წამლებისგან აბზინდის ბალახის შარბათი, უნაბისა და ჭერამის შარბათი სვან...“ (ბაგრატიონი 388, 7-12).

„შ ა ვ ი ი ა რ ა ყ ა ნ ი რომე კაცსა პირსა, თვალსა და ტანსა გაუშავებს, იცოდი ამრიგი იარაყანი სევდისაგან დაემართების...“ (389, 15-16)

„მაგრა ასე უნდა ესე სარწყეველი წამლები, ყუელა სევდის წამლები იყოს. და ამა შ ა ვ ი ს ი ა რ ა ყ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს მოხარშული შავი ჰალილა მწოვედ კარგი არის“ (389, 24-26).

შავი იარაყანის წამლად მოხარშული **შავი ჰალილას** (ჰალილეი საჰ) 418, 32 რეკომენდირება შემთხვევითი არ უნდა იყოს, არსებობს ყვითელი ჰალილაც (ჰალილეი ზარდ) 328, 34-35.

დაავადების ფერთან გარემოს ფერის შეხამება როგორც ჩანს, მკურნალობის მეთოდია. ყვითელი იარაყანით დაავადებულთა პატრონებს ურჩევენ, რომ ავადმყოფებს „ყუითელი პერანგი და ყუითელი ტანისამოსი ჩააც-

ვან და მკლავსა და ცერსა ყუითელი ქარვა შემოაბან და მობნელოს სახლშიგა დასვან“ (387, 31-33).

ზოგადად ამ კარში ლაპარაკია დაავადების მიზეზებზე, ნიშნებზე, ავადმყოფობის თანმხლებ მოვლენებზე — „და ვინ იცის ამა სიყუითლესა ცხელებაცა სდევს“ 388, 26), წამლებზე (ცალკე ყვითელი, ცალკე შავი იარაყანის და ასევე იმ დაცდილ წამლებზე, რომლებიც „ორსავე ფერსა იარაყანსა ჰკურნებს და უშველის“ (389, 36), მკურნალობაზე, კვებაზე, ჰიგიენაზე და სხვ.

იარაყანი ll **იარყანი** დაფიქსირებულია „უსწორო კარაბადინშიც“. ამ დაავადების მიზეზისა და სამკურნალო საშუალებების დასახელებისას:

„ვინცა აბანოშიგა დედაკაცთან დაწვეს მისგან დიყა და იარაყანი დაიბადების“ (ქანანელი, 1940, 28, 5-6).

„...ბალღამსა ცოტასა გამოიღებს და იარყანსა უშველის“ (ქანანელი, 1940, 59, 30).

„...დაშვენდების ბალღამიანთა კაცთა და ერგების იარაყანსა...“ (ქანანელი, 1940, 65, 14).

„უსწორო კარაბადინის“ ბოლოს დართულ ლექსიკონში, რომელიც იუსტ. აბულაძის მიერაა შედგენილი, იარაყანი განმარტებულია როგორც „სიყვითლე, ყანის ჭრაქი...“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **გუნი** ახალ ქართულსა და მის დიალექტებში ფაქტობრივად არ ჩანს, თუმცა (შდრ., გურულის დამგუნება თუთუნისა შეტეხილი თუთუნის ფოთლების დემადემად დაწყობა და დადება შეყვითლებამდე) (შარაშიძე, 1938, 26) **იარაყანი** კი შემორჩენილია:

ლეჩხ. ერეყანი 1. ავადმყოფობა; 2. გაუმაზღრობა. „რა ერეყანი დაგემართა, ამდენ ხანს იყლაპები და ვერ გაძეხი“ (შდრ. ბერ., ჭყ. იარაყანი) (ალავიძე 1938).

გუნ-, გჳნ- ფუძეთა შესატყვისად გვესახება ზანურის, მეგრულის გუნ- ფუძე: გუნ-აფა (მონდინაფა) დამწიფება (ფიფია 1999, ქაჯაია I, 2000), გუნაფილი (ხილი) — დამკრახული ხილი (ჭარაია 1997, ქაჯაია I, 2000). გუნაფა — დაჟამება, დამწიფება ხილისა დაკრეფის შემდეგ; დაშაქრვა, ჩაქარვება სიმწიფისაგან (ხილისა...); დაჟამება, დაძველება (არყისა, ღვინისა) (ქობალია 2010). გუნაფილი დაჟამებული ხილი (როცა ის დაკრეფის შემდეგ შენახვით ან ხეზე დიდხანს შერჩენით კარგავს სიმწარეს, შეჭკნება და დარბილდება); მწიფე, ჩაქარვებული (ხილი); დაჟამებული, დაძველებული (ღვინო) (ქობალია 2010).

გ უ ნ ა ფ ა’ს „დამწიფება“, „ჩაქარვება...“ სემანტიკური კავშირი ყვითელ ფერთან, სიყვითლესთან სადავო არ არის, შდრ.: ჩაქარვებულ-ი... ქარვასავით ჩაყვითლებული (ყურძენი...) ქეგლ VIII, 1964; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სხვა ლექსიკონებისგან განსხვავებით, ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ (2010) **გუნიც** არის დამოწმებული: გ უ ნ ი გ ვ ი ნ ი სიყვითლის სენი (იგივეა, რაც აბაბარა).

ეგევე ფუძე უმლაუტიზირებული სახით და შეცვლილი სემანტიკით უნდა იყოს წარმოდგენილი კომპოზიტში გ ვ ი გ ვ ი ნ ა ფ ა > *გ ვ ი ნ გ ვ ი ნ ა ფ ა „შეშუპება, გაფუება, გასივება“... თოლეფ დ უ უ გ ვ ი გ ო ნ დ უ თეზმა ნგარათი „თვალები დაუსივდა ამდენი ტირილით“ (ქაჯაია, I, 2001). გ ვ ი გ ვ ი ნ ა ფ ი ლ ი... „გასივებული, გაფუებული, შეშუპებული, დამსხვილებული“ (ქაჯაია I, 2000).

ფუძისეული უ-ს უმლაუტიზაცია მეგრულში უკვე ი. ყიფშიძეს აქვს შენიშნული: ჭუტუა II ჭვიტუა „закрывать глаза“ (ყიფშიძე 1914). მეგრულისათვის უცხო არ არის უმლაუტიზირებულ და არაუმლაუტიზირებულ ფორმათა თანაარსებობა, და ეს ლექსიკონებშიც არის დაფიქსირებული. შდრ.: გვირგვინი და გურგინი „გვირგვინი“; გვირგვინუა და გურგინუა „გვირგვინის დადგმა“, გვიხი... იგივეა, რაც გუხუ ბოკონი... (ქაჯაია I, 2000). ქართულის სათანადო ფორმებთან შეჯერებით მეგრულისათვის რეალური ჩანს როგორც **უ > ვი** (ქართ. მოჭუტვა), ასევე **ვი > უ** (ქართ. გვირგვინი) პროცესები. ასე რომ **გუნ-** (გუნაფა „დამწიფება“) და **გვინ-** (გვიგვინაფა „შეშუპება, გაფუება, გასივება...“, **გვიგვინი** „მსხვილის, მსუქნის გამოხედვა-ყურება“) ფუძეთა დაკავშირება ფორმალური და სემანტიკური თვალსაზრისით მართებული ჩანს.

საყურადღებოა, რომ როგორც **გუნაფას** („დამწიფება“), **გუნაფილის** („დამწიფებული“), ასევე **გვიგვინაფას** („შეშუპება, გაფუება, გასივება“), **გვიგვინაფილის** („შეშუპებული, გაფუებული, გასივებული“) განსამარტავი ქართული ლექსემები (დამწიფება — დამწიფებული, შეშუპება — შეშუპებული), გადატანითი მნიშვნელობით გარკვეულ დაავადებებსაც აღნიშნავს: **დამწიფებულ-ი**... 2. გადატ. რის გამორწყვაც შეიძლება, — დაჩირქებული. დ ა მ წ ი ფ ე ბ უ ლ ი იარა, ნესტარით გამოსარწყავი (ვაჟა) ქეგლ III, 1953; **შეშუპებულ-ი**... რაც შეშუპდა, — წამობერილი, შესივებული. [გლახას] ყ ვ ი თ ე ლ ი სახე... შ ე შ უ პ ე ბ უ ლ ი ჰქონდა, როგორც წყალმანკის მქონესა (ილია)... ქეგლ VII, 1962.

ძველი ქართული **გუნ** (გჯნ-, გოინ-) „სიყვითლის სენი“ ფუძის შესატყვისი შეიძლება იყოს სვანური **გუნ**ჲ II მური, ჭვარტლი“:

გუნ**ჲ** (-ნ**ჲ**შ, -) ბზ., გუნ**ჲ** (-ნ**ჲ**შ, -) ბქ., ლნტ.

გუნ**ა**ჲ (-ნ**ჲ**შ, -)ლშხ. - მური, ჭვარტლი.

კ**ē**ს**ჲ**რს... ჩი**ჲ**გ ხაცუ̄მენის გუნ**ჲ**ს (ბზ. 13) — კეისარს ყველგან მურს უსვამენ.

ულზიგალ**ჲ** კას გ უ ნ ჲ დემ ესერ ხეცუ̄მი (ანდ.) — უქნარას კერიას მური არ მოეცლებაო.

ქუნ**ჲ**რე ქალიზ**ჲ**ლ ლეთ ბობშ**ჲ**რს გ უ ნ ð ს ხაცუ̄ემიხ (ლნტ.) — სულების წასვლის ღამეს ბავშვებს მურს უსვამენ (სვანური ლექს. 2000).

ამ დაკავშირებას ახლავს გარკვეული სირთულეები როგორც ფორმის, ასევე სემანტიკის თვალსაზრისით.

ქართული **გუნ**-ი „სიყვითლეს, ყვითელ სენს“ აღნიშნავს, სვანური **გუნ**ჲ — „მურს, ჭვარტლს“ ე.ი. შავს. შდრ., ჭვარტლისფერი... „შავი“ (ქეგლ VIII). უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში ფერის ტერმინთა სისტემაში შ ა ვ ი და ყ ვ ი თ ე ლ ი ურთიერთშეგუებადი ფერებია. ამ ფერებით შედგენილი რთული ტერმინი შ ა ვ ყ ვ ი თ ე ლ ი ადამიანის პირის კანის აღმნიშვნელად იხმარება:

შავყვითელ-ი... მოშავო ყვითელი [მმართველს] შ ა ვ ყ ვ ი თ ე ლ ი, გაჭიმული პირის კანი ალაგ-ალაგ მოფხუწოდა (ა. ყაზბ.) ქეგლ VII, 1962.

ვფიქრობთ, რომ ეს შ ა ვ ყ ვ ი თ ე ლ ი (მოშავო ყვითელი) ფერი იგულისხმება გ უ ნ ი ს საბასეული განმარტების ერთ ვარიანტში: „გუნი სენი არს, რომელი კაცსა, ავი ფერი დაედების, რომელსა იარაყნად უხმობენ“ E (საბა I, 1991).

ავი ფერის (შესაბამისად, გუნის) იდენტიფიკაციისათვის საყურადღებოდ გვეჩვენება ა ვ ი ს განმარტება დ. ჩუბინაშვილთან:

ავი... ავბედი, ზედ. შავი სვიანი, უბედური, ბედუღური (დ. ჩუბინაშვილი, 1984).სწორედ ქართ. გუნ-ის „სიყვითლე“, მისი ორი სახეობის (ყვითელი გუნი, შავი გუნი) და სვან. გუნ**ჲ**ჲ — „მური, ჭვარტლი“ მნიშვნელობათა მიმართების თვალსაზრისით საგულისხმოა ფერთა სუბიექტური აღქმის ის ცდომილებანი, რაც ერთ ქართულ ზღაპარში დასტურდება:

„ვაჟს ტანისამოსი სხვადასხვა ფერზე ეცვლება, ხანა შ ა ვ დ ე ბ ა, ნაცრდება, ხან ფერსა ჰკარგავს, ყ ვ ი თ ლ დ ე ბ ა“ (ზღაპ.) (ეს ილუსტრაცია დამოწმებულია ქეგლის V ტომში, ნაცრდებ-ა სიტყვის ბუდეში).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჭ ვ ა რ ტ ლ ი ხევსურულში მოყვითალო-ყავისფერ საღებავად გამოიყენება, რაც ქართ. გუნ-ი „სიყვითლე“ და სვან. გუნ̈ჲ — „მური, ჭვარტლი“ მნიშვნელობათა შესაძლო კავშირებს მიანიშნებს:

მ ჭ ვ ა რ დ ლ-ი ჭვარტლ-ი. იყენებენ საღებავად. მოყვითალო-ყავისფრად ღებავს. „ყვითლად შაიღებების მ ჭ ვ ა რ დ ლ შ ი ა ც“ (ჭინჭარაული 2005).

„სამკურნალო წიგნში“ ავადმყოფობის გარეგნული სიმპტომების მიხედვით, **გუნ-ი**, როგორც სენი, ფერის თვალსაზრისით, ორი სახით გამოვლინდება: ყ ვ ი თ ე ლ ი გ უ ნ ი და შ ა ვ ი გ უ ნ ი (სინონიმ. ყვითელი და შავი იარაყანი); შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვანურში ამ დაავადების მეორე სახე (შ ა ვ ი გ უ ნ ი) განზოგადდა: გუნ̈ჲ... *შავი გუნი. ხოლო შემდგომში სიტყვამ დაკარგა ავადმყოფობის შინაარსი და მხოლოდ, „სიშავის“ და აქედან კი „მურის, მ ჭ ვ ა რ ტ ლ ი“ მნიშვნელობა მიიღო: **გუნ̈ჲ** „*შ ა ვ ი გ უ ნ ი“ > *ს ი შ ა ვ ე > „მ უ რ ი, მ ჭ ვ ა რ ტ ლ ი“; რეალობაში, „სიყვითლისა“ და „სიშავის“ შენაცვლების სხვა შემთხვევებშიც ფიქსირდება; მაგ., ხილის დამწიფება ხილის ყვითელ შეფერილობას გულისხმობს (ქარვასავით ჩაყვითლებული ყურძენი...), ხილის გადამწიფება — ხილის ჩაშავებას, შდრ.: **ჩაყურ ჭ ებულ-ი**... სიმწიფისაგან ჩაშავებული... ქეგლ VIII, 1964; იხ. აგრეთვე: მეგრ. გუნიაუჩა შავ-ყვითელი, ჩაყურ ჭ ებული მსხლის მოშავო ფერი (ქობალია, 2010)...

ასე რომ, სიტყვის მნიშვნელობის მსგავსი ცვლილებები მოულოდნელი არ არის: მაგ., საბას **ღ ებილ-ი** ესაიაზე (1, 18) დამოწმებით ახსნილი აქვს როგორც ცუდი წ ი თ ე ლ ი C. ი. აბულაძის განმარტებით, **ღ ებილ-ი** ამ კონტექსტში „მურს, ჭვარტლს“ აღნიშნავს: უკუეთუ იყუნენ ცოდვანი თქუენნი ვითარცა ღ ე ბ ი ლ ნ ი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო, ესაია 1, 18 (აბულაძე 1973). იხ. კარტოზია 2005, 214-215. შდრ., აგრეთვე, ძვ. ქართ. **მ წ უ ა ნ ე** „ბალახეული“ > ახ. ქართ. მწვანე „ნედლი ბალახის, ფოთლის და მისთ. ფერი“, თუმცა ახალ ქართულში **მ წ ვ ა ნ ე**-ს ეს ძველი მნიშვნელობაც (ბალახისა) შენარჩუნებული აქვს (ქეგლ V).

უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. ქართულში ბ ა ლ ა ხ თ ა გ ა ნ-ი წ ა მ ლ ი ს მნიშვნელობითაც დასტურდება: ბ ა ლ ა ხ თ ა გ ა ნ-ი წ ა მ ა ლ ი: „არცა მ წ უ ა ნ ე თ ა გ ა ნ ი არცა სალბუნი ჰკურნებდა მათ“. O, სიბრძ. სოლ. 16, 11 (აბულაძე 1973).

წითელ-ი ძვ. ქართულში აღნიშნავს ფერსაც და წითელ საღებავსაც (სარჯველაძე 2001), ახ. ქართულში -ა სუფიქსის დამატებით წითელა მწვავე გადამდები დაავადების მნიშვნელობით იხმარება (ქეგლ VIII)...

სვანურში **გუნ**ჳ ლექსემის სავარაუდო ამოსავალი „დაავადების“ მნიშვნელობის გადააზრიანებისათვის ხელშემწყობი შეიძლება გამხდარიყო ამავე მნიშვნელობით თურქ. იარაყან სიტყვის შემოსვლა; ასე მოხდა ქართულში: თურქულმა იარაყანმა გამოდევნა გუნი;

ამ გზას თითქოს აფიქსირებს ლეჩხუმური, გუნი აქ არ დასტურდება, შემორჩენილია ფონეტიკურად სახეცვლილი ერაყანი (<იერაყანი) ორი მნიშვნელობით: 1. ავადმყოფობა, 2. გაუმაძღრობა (ალავიძე 1938).

სვანურში თურქ. იერაყანმა დაავადების მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობითღა შემოგვრჩა:

ჰერყლიჳნ (-იშ, -ჳრ ბზ... -ანუ ბქ.), ერყანიან, ერყალიან (-იშ, -არ) ქს. — ღორმუცელა, გაუმაძღარი. ეჯი ესერ, ხოლა ჰერყლიჳნ ლი (ბქ. 252) — ის გაუმაძღარიაო. სი ერყანიან! — შე, ღორმუცელა! (სვანური ლექს. 2000).

რაც შეეხება ქართ. გუნ-ი და სვან. გუნჳ-ჲ დაკავშირების ფორმალურ მხარეს. სვანურში ფუძის ბოლოკიდური **ა** ხმოვანი შეიძლება სიტყვაწარმოებითი სუფიქსი იყოს, შესაბამისად, ფუძეში **უ** ხმოვნის უმლაუტი არ ხდება: ასეთ ვითარებაში საერთო ქართველურისათვის *გუნ- ფუძე აღდგება. შეიძლება სხვაგვარი დაშვებაც. ძველ ქართულში დაფიქსირებული გუნ- ფუძის უუმლაუტო (გუნ-ი) და უმლაუტიზებული (გჳნ-ი, გოინი) ვარიანტები თეორიულად აღგვადგენინებენ პარალელურ ხმოვანფუძიან *გუნა-ჲ და თანხმოვანფუძიან *გუნ-ი > გჳნ-ი / გოინ-ი ვარიანტებს. ასეთი პარალელური ვარიანტები ძვ. ქართულში რეალურადაც გვაქვს: მაგ. ხმოვანფუძიანი უუმლაუტო კორნა-ჲ და თანხმოვანფუძიანი უმლაუტიანი კუერნ-ი „კვერნა“ (სარჯველაძე 2001); ამდენად, სვანურის კუ̄ენ ძვ. ქართულის თანხმოვანფუძიანი კუერნ-ი ფორმის შესატყვისია და არა ხმოვანფუძიანი კორნა-ჲ ფორმისა; კუერნა გვიანდელი ფორმაა: „ხჯთქთა და გუელთა და კუერნათა...“ (ხრონღრ. 25, 23) (ქერქაძე, 1974, 82). საერთოქართველურისთვის, ყველა ქართველური ენის მონაცემთა გათვალისწინებით, შესაბამისად, *კუენრ- ფუძე აღდგება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 279).

სხვა შემთხვევაში, ახ. ქართულის ტუტა, ნაცარტუტა, შდრ., საბა: ტუტი : მეგრ.-ლაზ. ტუტა, მტუტა : სვან. ტგტა / დრ̄ტ / დგტ საერთოქართველურში ხმოვანფუძიანი ვარიანტი *ტუტა აღდგება, რადგან სვანურ ფუძეში უმლაუტი არ ხორციელდება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 442),

და, პირიქით, სვანურ ფუძეში განხორციელებული უმლაუტის შემთხვევაში ანალოგიური სტრუქტურის სიტყვებში საერთოქართველურში ბოლოკიდური **ა** ხმოვანი არ აღდგება, შდრ.,

*გუგ

ქართ. გუგ-ა

მეგრ. გუგ-ა / გუნგ-ა „გუგა“

სვან. გუ̄ოგუ̄ „გუგა“ გუგ-ǯრ „გუგები“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 153).

ასე რომ, ძველი ქართულის გ უ ნ - ი, გ ჯ ნ - ი / გ ო ი ნ - ი ფორმების შეჯერებით და სვან. გ უ ნ ა - ჲ ფორმასთან შეპირისპირებით, დასაშვები ჩანს საერთოქართველურში *გუნა ფუძის აღდგენაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით განსხვავებული რეკონსტრუქციები გვაქვს. შდრ., *გუგ- „გუგა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 153). *გუგა (კლიმოვი 1998, 34).

ვფიქრობთ, რომ დამატებითი მასალის მოძიება ქართ. გუნ-ი, მეგრ. გუნაფა, გვიგვინ-ი და სვან. გუნǯ-ჲ ფუძეთა დაკავშირებას უფრო სარწმუნოს გახდის.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., „მეცნიერება“.

ალავიძე 1938 — მ. ალავიძე. ლეჩხუმური ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი.

ბაგრატიონი 1985 — დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა ლადო კოტეტიშვილმა, თბ., „საბჭოთა საქართველო“.

ესაია — მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები — ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, თბ., „მეცნიერება“, 1985.

იერ. — მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები — ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, თბ., „მეცნიერება“, 1985.

კარტოზია 2005 — გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., „ნეკერი“.

კლიმოვი 1998 — G.A. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin-New York.

II ნეშტ. — მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I,II,III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., „მეცნიერება“, 1982.

II სჯ. — წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 2, ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ, თბ., „მეცნიერება“, 1990.

საბა I 1991; II 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (I-II), თბ., „მერანი“.

სარჯველაძე 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სვანური ლექს. 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., „ქართული ენა“.

ფანასკერტელი 1978 — ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ, თბ., „საბჭოთა საქართველო“.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქანანელი 1940 — ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, თბ., „საქმედგამი“.

ქაჯაია 2000 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი.

ქეგლ II, 1951; V, 1958; VIII, 1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (I-VIII), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1950-1964წწ.

ქერქაძე 1974 — ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, „მეცნიერება“, თბილისი.

ქობალია 2010 — ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მე-2 გამოცემა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“.

ჩუბინაშვილი 1961 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

Murman Sukhishvili

Guni ‘Jaundice’ (Saba)

Summary

The word *gun-i//gvin-i* means ‘jaundice’ in Old Georgian. Information on the causes of this disease, its symptoms, diagnostics, side effects, remedy and etc. are well preserved in medical books from the past.

Phonetic correlates of Georgian *gun-/gvin-* stem are also presented in other Kartvelian languages.

Gun- stem of the verb *gun-ap-a* ‘to ripen, e.g. something (fruit) becomes so ripe that it has taken the colour of amber, i.e. yellow’ as well as *gvin-* stem of the reduplicated verbs *gvigvin-i* (<* gvingvin-i), *gvigvin-ap-a* (<* gvingvin-ap-a) ‘to swell’ in Megrelian can be considered as the correlates of Georgian *gun-*.

Svan *guna-j* has a meaning of ‘soot, smut’.

Constituting a link between Georgian and Megrelian stems from the formal point of view does not seem contradictory. There are both non-mutated *(gun-)* and mutated *(gvin-)* stems in Georgian and Megrelian.

The auslaut vowel in the Svan *guna-j* form appears to be a derivative suffix. Hence, there is no evidence of umlaut process in the stem.

In respect to semantics we think that the meanings of these words in the Kartvelian languages (Georgian *gun-i/gvin-i* ‘jaundice’, Megrelian *gun-ap-a* ‘to ripen, e.g. something (fruit) becomes so ripe that it has taken the colour of amber, i.e. yellow’, *gvigvin-i* ‘to swell’, and Svan *guna-j* ‘soot, smut’) are related to each other through their common meaning of ripening referring to fullness/thickness (cf., ripe cluster of grapes and large, thick cluster of grapes) as well as to yellowness at the same time (cf. to ripen - something (fruit) becomes so ripe that it has taken the colour of amber, i.e. yellow).

Georgian *damtsipebuli* meaning ‘ripe’ also contains a figurative meaning of ‘suppurated, festered’, Georgian *dzalze gadamtsipebuli* ‘over ripe’ (e.g. fruit) also stands for ‘something that has been blackened’.

To involve Svan *guna-j* (soot, smut) in the circle of these meanings it should be considered that *guna-j* as a disease exists in two different forms in Georgian, i.e. *yellow guni* (‘jaundice’, i.e. disease marked by yellowness of the skin) and *black guni* (‘*blackness’). In Svan the second meaning of the word *gun-i* (‘blackness’) has been generalized. The further development of the meaning might be as follows: ‘black guni’ > ‘blackness’ > ‘soot, smut’.

თედორე უთურგაიძე

მორფემათა გრამატიკული კავშირებისათვის
(სახელები და ზმნა — ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები)

მორფემა ენის მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტია, იგი ყოველთვის დაკავშირებულია რომელიმე ენობრივ კატეგორიასთან.

მორფემა ენობრივი ნიშანია: მას აქვს როგორც შინაარსის, ისე გამოხატულების პლანი. პოზიციათა მიხედვით გამოხატულების პლანი შეიძლება იცვალოს; სხვა მორფემებთან ურთიერთობისას ამა თუ იმ მორფემის ზოგად მნიშვნელობას განსხვავებული ნიუანსები ექმნება ინტენსიონალის უცვლელად შენარჩუნებით.

ჩვენი მიზანია მორფემა განვიხილოთ მის კავშირებში სხვა მორფემებთან, ანუ ვცადოთ, ფ. დე სოსიურის ტერმინოლოგიით, მ ო რ ფ ე მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს [2, 144] დადგენა. სწორედ ეს სინტაგმატური მიმართებები ქმნიან ნიშნადობის საფუძველს.

მიზნის მისაღწევად არსებითია ე ნ ო ბ რ ი ვ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ს დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ა სინტანგმატურ მ ი მ ა რ თ ე ბ ა თ ა ე ნ ო ბ რ ი ვ ა დ შ ე მ ო ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა რ ე ა ლ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, ე. ი. პარადიგმათა დახარისხება მათში წარმოდგენილი მორფემების (კატეგორიათა ნიშნების) კავშირთა ზონების მიხედვით. მორფემის ღირებულება აღიწერება ამ ზონათა ფარგლებში.

პირისა და რიცხვის კატეგორიებს როგორც ზმნის, ისე სახელის ფორმებში განსაზღვრული არეალი ეთმობა: სახელებთან მრავლობითი რიცხვი მხოლოდ არსებით სახელებსა და პირის ნაცვალსახელებს აქვთ მათი დისკრეტული ბუნების გამო, რაც აისახება ამ სახელებთან დაკავშირებულ ზმნათა ფორმებშიც.

პირის კატეგორია საზიაროა სახელთა და ზმნათათვის: სახელთა ექვს ფორმაში (მე, შენ, ის; ჩვენ, თქვენ, ისინი) პირი და რიცხვი საერთო ფორ-

მით არის წარმოდგენილი, ზმნათა შესაბამის ფორმებში კი ძირითად (I და II პირებში) ამ კატეგორიებს თავ-თავისი ნიშნები აქვთ. პრივატული ოპოზიცია რიცხვის მიხედვით არამარკირებულ ფორმებს მხოლობითი რიცხვის გაგებას ანიჭებს.

ეს ორი კატეგორია — პირი და რიცხვი კატეგორიათა პირველ ჯგუფს ქმნის, რომელიც ფუნქციონირებს უფრო მაღალი დონის ჯგუფებში, როგორიცაა ზმნათა ატრიბუტული და კონექციური კატეგორიები.

ატრიბუტული კატეგორიები ზმნურ ქმედებებს სხვადასხვა ასპექტით ახასიათებენ. ეს ის კატეგორიებია, რომელთაც ა. შანიძე „მწკრივის ელემენტებს“, ანუ „უღლების კატეგორიებს“ უწოდებს [4, 166].

ატრიბუტულ კატეგორიებში ვაერთიანებთ, ა. შანიძისგან განსხვავებით, გეზის, ორიენტაციისა და ასპექტის კატეგორიებსაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის მიუღებელია ზმნის კატეგორიათა დაყოფა „უღლებისა“ და „წარმოქმნის“ კატეგორიებად: „თეორიულად გამორიცხულია, რომ ზმნურმა კატეგორიამ ლექსიკური მნიშვნელობა უცვალოს ზმნას, რადგან კატეგორიის ფარგლებში და კატეგორიათშორის სისტემაში აგენსი ქმედების ერთსა და იმავე სახეობას ეწევა, ამიტომ ქმედების ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა შეუძლებელია“ [3, 75]. თუ შევადარებთ წერს, დაწერს, უწერს, ჩაუწერს, აწრინებს, გადააწერინებს, ეწერინება განსხვავებულ ფორმებში წარმოდგენილ ქმედებებს, ისინი საერთო სახეზე დაიყვანება — ყველა ფორმაში ლაპარაკია ერთსა და იმავე ქმედებაზე — „წერაზე“, რასაც ეწევიან ქმედების შემსრულებელი აქტანტები და რაც განაპირობებს ფორმათა საერთო ლექსიკურ მნიშვნელობას.

„ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათა გრამატიკულ სპეციფიკას ქმნის **აქტანტთა განსხვავებული ურთიერთობები**, აქტანტებს კი, როგორც პირებს, კავშირი არა აქვთ ლექსიკურ მნიშვნელობასთან: **ის** ხედავს, **ის** ჩანს, **ის** შლის... „ის“ აქტანტის ბუნებიდან არ გამომდინარეობს „ხედვა“, „გამოჩენა“, „დაშლა“. „ის“ ამ ქმედებებში ყველგან ქმედების ინიციატორ-შემსრულებელია; „ის“-ის ჩანაცვლება შეუძლია სახელს პირდაპირ ან მეტაფორულად, რაც გრამატიკულად ერთი და იგივეა“ [3, 76]. აქვეა აღნიშნული, რომ არც აღნიშნულ ზმნათა პაციენსები არიან ლექსიკურ კავშირში ზმნასთან, რომ მათი ჩანაცვლება შეიძლება ნებისმიერი სხვა პაციენსით: ხედავს სახლს I ღობეს I მთას I ეზოს და სხვ. „ხედავს“ მნიშვნელობა არ იცვლება პაციენსის შეცვლით.

ზემოთ თქმულის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ასპექტის, გეზისა და ორიენტაციის კატეგორიები ჩვენს კლასიფიკაციაში შედის „მწკრივთა ელემენტების“ ჯგუფში დროსთან, კილოსთან და ამ ჯგუფის სხვა კატეგორიებთან, რომლებიც ქმედების მახასიათებლებია. მაგალითად ასპექტის კატეგორიის გამოყოფა „მწკრივთა ელემენტებისგან“ ხიფათს უქმნის ა. შანიძისავე მწკრივთა წარმოების თეორიას, რამდენადაც ასპექტის წარმოების მისი ბინარული თეორიით ძნელი გასარჩევი გახდება უწყვეტლის ფორმების, „რომელთაც უსრული ასპექტის გადმოცემა ეკისრება წარსულში სრულ-ასპექტიანი წყვეტილის საპირისპიროდ“, გარჩევა წყვეტილის იმ ფორმებისგან, რომელთაც, ა. შანიძის თვალსაზრისით, „უსრული ასპექტი აქვთ“, როგორიცაა: ვწერე, ვხატე, ვაღე... [4, §326, 262].

ასპექტის მიხედვით გრამატიკულ დაპირისპირებაში ჩათრეული აღმოჩნდნენ ზმნისწინებიც, რომელთაც ძველი ქართულის ხანმეტ და ჰაემეტ პერიოდებში მხოლოდ გეზისა და ორიენტაციის კატეგორიათა გამოხატვა ევალებოდა.

ახლა ზმნის აქტანტური და ატრიბუტული კატეგორიების საფეხურებრივი განსხვავების შესახებ უღლების სისტემაში.

იმის გამო, რომ სუბიექტური და ობიექტური (პირდაპირობიექტური და ირიბობიექტური) პირები დამოუკიდებელი კატეგორიებია და რეალიზდებიან საკუთარ რომლობათა შეპირისპირებით [3, 10], ისინი რეალიზდებიან მწკრივის ფარგლებში. ეს დაპირისპირება, რაც ამ კატეგორიათა არსებობის საფუძველია, მეორდება ნებისმიერ მწკრივში, მაშასადამე, პირისა და რიცხვის კატეგორიათა მოქმედების ზონა მწკრივით არის შემოსაზღვრული. პირთა მიხედვით ოპოზიცია ექვიპოლენტურია — წევრები ერთიმეორეს საკუთარი ნიშნებით უპირისპირდებიან. რიცხვის მიხედვით დაპირისპირებაც მწკრივის ფარგლებში ხდება, რადგან რიცხვი პირთა რაოდენობრივ დახასიათებას (ერთი ~ ერთზე მეტი) წარმოადგენს [ვწერ ~ ვწერ-**თ** (ჩვენ), გწერს ~ გწერØ-**თ** (თქვენ)...] აქ წარმოდგენილი ოპოზიციები პრივატულია; არის ექვიპოლენტურიც: წერ-**ს** ~ წერ-**ენ**, **მ**-წერს ~ **გვ**-წერს... არსებითი კატეგორიათა დაჯგუფებისას ის არის, რომ პირისა და რიცხვის კატეგორიების მოქმედების არე მწკრივით შემოისაზღვრება.

ტერმინი უღლება ნიშნავს ზმნათა გრამატიკულ ფრმაცვალებებს. ვნახეთ, რომ პირველ საფეხურზე ხდება პირისა და რიცხვის სხვადასხვა სახეობების კომბინირება. ეს სისტემა მარტივია, თუ მას განყენებულად გამო-

ვაცალკევებთ და პირობით ვუწოდებთ უღლების I საფეხურს, შეიძლება მივიღოთ დებულება: უღლების კონკრეტული ფორმები მიიღება პირისა და რიცხვის განსხვავებულ სახეობათა კომბინირებით, მაგალითად: სუბიექტური I პირი, მხოლობითი რიცხვი: ვ-წერ, ვ-ხატავ... ან სუბიექტური პირველი პირი, მრავლობითი რიცხვი: ვ-წერ-**თ**, ვ-ხატავ-**თ**...

უთუოდ შესამჩნევია, რომ უღლების გრამატიკულ ფორმათა დასახასიათებლად განხილულ ფორმებში საკმარისი არ არის ოდენ პირისა და რიცხვის განსხვავებულ სახეობათა კომბინაციებზე მითითება (თუმცა მათ გარეშე ამ ფორმათა მიღება შეუძლებელია). პირისა და რიცხვის კატეგორიებთან ერთად ნაუღლებ ფორმებში წარმოდგენილია სხვა კატეგორიებიც: დრო, კილო, ასპექტი... რომლებიც ცვალებადია უღლების ფორმათა მიხედვით. ეს **ცვალებადი კატეგორიები** ქმნიან მწკრივის კატეგორიას, ე. ი. ამ ცვალებად კატეგორიათა განსხვავებული სახეობების კომბინაციები, ქმნიან რა განსხვავებულ პარადიგმებს, **იდენტურად წარმოგვიდგენენ პირთა და რიცხვთა სახეობების კომბინაციებს**, რაც მოკლედ შეიძლება ასე ვთქვათ: უღლების I საფეხური, სადაც ხორციელდება პირისა და რიცხვის კატეგორიების სახეობათა განსხვავებული კომბინაციები, უცვლელად გადადის II საფეხურზე, რომელსაც ქმნიან მწკრივები — ატრიტუბულ კატეგორიათა სახეობების განსხვავებული კომბინაციებით.

უღლების ფორმათა ყოველმხრივი ანალიზისათვის ეს საფეხურებიც არ არის საკმარისი: გარდა მწკრივის, პირისა და რიცხვისა, უღლების ყოველი ფორმა ამავე დროს ეკუთვნის კონექციური კატეგორიის სახეობათა რომელიმე კომბინაციას, მაგალითად: მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს, ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ქ ც ე ვ ი ს ა დ ა ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი კ ა უ ზ ა ც ი ი ს ს ა ხ ე ო ბ ა თ ა კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ა ს: ვ წ ე რ, ს წ ე რ, წ ე რ ს... ან მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს, ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ქ ც ე ვ ი ს ა დ ა მ ე ო რ ა დ ი კ ა უ ზ ა ც ი ი ს კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ა ს: ვ ა წ ე რ ი ნ ებ, ა წ ე რ ი ნ ებ, ა წ ე რ ი ნ ებ ს...

შენიშვნა: გვარის კატეგორიას არა აქვს ნეიტრალური სახეობა.

კონექციური კატეგორიების სახეობათა კომბინაციების შესაბამისად გამოვყავით **სერები** [3, 145]. ეს არის უღლების III საფეხური, ურომლისოდაც არ არსებობს უღლების არც ერთი ფორმა, როგორც I და II საფეხურების გარეშე.

II საფეხურის ცვლილებები ხდება ცალკეულ სერთა ფარგლებში, ე. ი. რომელიმე კონკრეტული სერის შიგნით უღლების ფორმები იცვლება

მწკრივთა მიხედვით — სერი უცვლელია, მწკრივები იცვლება. ესენი ენაში არსებულ რეალურ ფორმათა პარადიგმებია.

თუ მოქმედებითი გვარით, ნეიტრალური ქცევითა და ნეიტრალური კაუზაციით შექმნილ სერს გადავიყვანთ სხვა სერში, რომელსაც პირველისგან განსხვავებული მხოლოდ მარკირებული სასხვის ქცევა ექნება, ზმნის ფორმებში პარადიგმის შიგნით შეიცვლება მხოლოდ ქცევის ნიშანი, კერძოდ: ვწერ, სწერ, წერს... ვწერდი, სწერდი, წერდა... ერთი პარადიგმის ფორმები შეიცვლება ვუწერ, უწერ, უწერს... ვუწერდი, უწერდი, უწერდა... პარადიგმის ფორმებით. ქცევის სახეობით დაპირისპირებული ფორმები განსხვავებულ სერთა ფორმებია, კონკრეტულ სახეს ზმნური ფორმები მხოლოდ სერთა ფარგლებში იღებენ.

ჩვენი თვალსაზრისი, კარგად ჩანს, ემყარება ა. შანიძის თეორიას ზმნის კატეგორიებთან და მწკრივთა მიხედვით უღლებასთან დაკავშირებით. ვცადეთ, ჩვენი აზრით, უფრო ექსპლიციტური სახე მიგვეცა ამ თეორიისთვის. ექსპლიციტურობა თეორიაში შეაქვს კატეგორიათა „უღლებისა“ და „წარმოქმნის“ ჯგუფებად დაყოფის **მოშლასა** და **პარადიგმათა სერების მიხედვით აგების გაცნობიერებას**.

ელემენტის / ელემენტთა ყველა სახის მიმართება, რომლის დროსაც ვლინდება მათი ღირებულება, მოკლედ შეიძლება ასე დავახასიათოთ: I საფეხურის ნიშნები უპირისპირდებიან მხოლოდ პირველი საფეხურის ნიშნებს. პარადიგმის შიგნით ეს ელემენტები კავშირში არიან ყველა სხვა კატეგორიის ელემენტებთან, ე. ი. I საფეხურის ელემენტები სინტაგმატური კავშირებით აღემატებიან II საფეხურის კატეგორიათა ელემენტებს, რომელთაც აქვთ აკრძალული ზონები საკუთარ სახეობათა მიხედვით (საერთოდ საზიარო კატეგორია უქმნის ელემენტებს აკრძალულ ზონებს). ხმარების სიხშირით III საფეხურის კატეგორიათა ელემენტებიც ჩამორჩებიან I და II საფეხურების ელემენტებს: I საფეხურის (პირისა და რიცხვის) ნიშნები ფუნქციონირებენ II საფეხურის კატეგორიათა ყველა სახეობაში; ასევე II საფეხურის ნიშნები ფუნქციონირებენ III საფეხურის ყველა სახეობაში.

აქედან დასკვნა: ტექსტში ყოველთვის მეტი იქნება I საფეხურის კატეგორიათა ნიშნები, ვიდრე II და III საფეხურის კატეგორიათა ნიშნები და II საფეხურის კატეგორიათა ნიშნებიც რაოდენობრივად აღემატებიან III საფეხურის კატეგორიათა ნიშნებს.

აღნიშნული რაოდენობრივი მიმართებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარკირების სისტემის ჩამოყალიბებაში.

მაშასადამე, ზმნათა უღლებაში ელემენტთა ღირებულების განსაზღვრისათვის უნდა მივმართოთ სამივე საფეხურს: ჰომოგენურ ფორმათა რაოდენობრივად ყველაზე უფრო სრული პარადიგმა აღმოაჩნდა სერს (III საფეხური). სერი ქმნის სრულ პარადიგმას, რითაც უპირისპირდება სხვა სერებს — მათ პარადიგმებს.

საჭიროების მიხედვით შეიძლება გამოვყოფთ არასრული პარადიგმებიც: ერთი მწკრივის ან, ვთქვათ, ერთი რომელიმე სერიის მწკრივთა პარადიგმები კონკრეტულ კატეგორიაზე ან პარადიგმის რაღაც ნაწილის საერთო ელემენტზე (მაგალითად, თემის ნიშანზე) მსჯელობის დროს. ამ გზით გრამატიკული სისტემის ყველა ელემენტი სრულად იქნება დახასიათებული ღირებულების თვალსაზრისით — თვალთახედვის გარეშე არ დარჩება კავშირები, რომელთაც ზმნური ესა თუ ის ელემენტი ამყარებს ზმნურ სხვა ელემენტებთან მორფოლოგიურ დონეზე — პარადიგმის შიგნით.

ელემენტთა მორფოსინტაქსურ ურთიერთობაში მონაწილეობის შემთხვევაში უთუოდ გამოსაყოფია მათი მორფოლოგიური ღირებულების განსაზღვრა, ე. ი. უნდა გაირჩეს, რა არის ამ დროს მორფოლოგიური და რა არის სინტაქსური, რაც მორფოლოგიას არ ეხება, მაგალითად: ძველი ქართულის ღ მ რ თ ი ს ა მ ს ა ხ უ რ-**ი**, ღ მ რ თ ი ს ა მ ს ა ხ უ რ-**მან**... ტიპის პარადიგმებში (მ ო ნ ი ს ა უ ფ ა ლ-ი და სხვ.) ნულოვანი ალომორფების ფუნქციონირება, ერთი მხრით, სინტაქსურია (ღმრთისა-**Ø** მსახურ-**ი**, ღმრისა-**Ø**, მსახურ-**მან**...), რამდენადაც მსაზღვრელის ნულოვანი ალომორფების ფუნქცია განისაზღვრება სინტაგმის მეორე წევრის — საზღვრულის ბრუნვის ნიშნით, მეორე მხრივ, მსაზღვრელის ბოლოს განსხვავებული ფუნქციის ნულოვან ალომორფთა ურთიერთმიმართება მორფოლოგიურია და უნდა აისახოს ბრუნვის ნიშანთა ღირებულებაში.

შემდგომი ნაბიჯი მორფემათა ღირებულების დადგენისას უნდა განისაზღვროს ელემენტებისადმი სინქრონიულ და დიაქრონიულ მიდგომათა საფუძველზე. ამისათვის მივმართავთ ფ. დე სოსიურის ცნობილ სქემას [2, 113], რომელზეც წარმოდგენილია თანადროულობისა და თანამიმდევრობის ღერძები.



AB სინქრონილი სისტემის ღერძია, რომელზეც განლაგებულია ენაში მოქმედი ყველა ელემენტი ამ დროისათვის. „ამ დროისთვის“ ენის ყველა პერიოდზე ითქმება, როდესაც ამა თუ იმ ელემენტს ვიხილავთ სხვა ელემენტებთან მიმართებით თანადროულად.

CD ღერძზე მხოლოდ ერთი ელემენტი განიხილება. AB-ს თითოეული მოვლენა CD-ზე ცალკე განიხილება ყველანაირი ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება, რომელიც CD ღერძზე ხდება, არ არის ყოველდღიური ან ყოველთვიური თუ ყოველწლიური, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ცვლილება ხდება და CD-ს რომელიღაც წერტილში მყღავნდება. ქრონოლოგიურად განსაზღვრულ იმ პერიოდს, რომელშიც ცვლილება არ ხდება, ვუწოდოთ უ ც ვ ლ ე ლ ი მ ო ნ ა კ ვ ე თ ი **CD** ღ ე რ ძ ზ ე. შეუძლებელია უცვლელი მონაკვეთის ბოლო აბსოლუტურად განისაზღვროს, მიახლოებით კი ყოველთვის არის შესაძლებელი, თუ ხელთ საჭირო მასალა გვექნება.

საპირისპიროდ „უცვლელი მონაკვეთისა CD ღერძზე“ საჭიროა მასთან დაკავშირებული გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი მ ო ნ ა კ ვ ე თ ი ც, რომელშიც ძველი და ახალი თანაარსებობენ, შემდეგ ისევ „უცვლელი მონაკვეთი“ მოჰყვება, როდესაც ახალი საბოლოოდ დამკვიდრდება და ძველი გავა ხმარებიდან.

ელემენტთა დამოკიდებულება სინქრონიასა და დიაქრონიაში შემდეგი სქემით გამოხატა ფ. დე სოსიურმა:

I სქემაში კონკრეტული მასალის მიხედვით გერმანული gast : gast-i დაპირისპირება სინქრონიული დონისაა. ამ დაპირისპირებით იწარმოება მრავლობითი რიცხვი ძველ ზემოგერმანულში. შემდგომ პერიოდში განხორციელებული უმლაუტი და i>e გარდაქმნა იძლევა ახალ დაპირისპირებას (ეპოქა B) : gast : gäste (Gast : Gäste).

დიაქრონიაში (სქემა II) განიხილება მხოლოდ gast-i : gäste (Gaste), რასაც სახელთა მრავლობით რიცხვთან კავშირი არა აქვს, რადგან უმლაუტი ზმნაშიც ხორციელდება (tragit > trägt) რიცხვის კატეგორიისგან დამოუკიდებლად. მაშასადამე, სიტყვის ფორმის ნაწილობრივმა ცვლილებამ (უმლაუტი და i/e) შექმნა ახალი დაპირისპირება და ამით შეიქმნა ახალი სისტემის ელემენტი.

დიაქრონიული ანალიზი მოითხოვს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმათა შეპირისპირებას: **ეს** შეიცვალა **ამით** (ანუ **რა** შეიცვალა **რით**) სხვა ფორმებთან კავშირის გარეშე. თუ მხოლობითი რიცხვის ფორმებსაც შევუპირისპირებთ, მაშინ პირველ სქემასთან გვექნება საქმე. ეს უკვე სისტემური ანალიზი იქნება და უნდა განხორციელდეს ცალ-ცალკე A და B ეპოქებში (I სქემა).

რაც შეეხება თვით ცვლილებას, ფ. დე სოსიურის აზრით, ენობრივი სისტემები თავისთავად აღებული არასოდეს იცვლება. ნიშნის ნებისმიერობა არ იძლევა ენის ცვლილებაზე გარედან გავლენის საშუალებას; ცვლილებები თვით ენაში ხორციელდება შიგნიდან. ცვლილება ეხება არა მოწესრიგებულ მთელს, არამედ მის ნაწილს / ცალკეულ ნაწილებს და არ ემსახურება მნიშვნელობათა ცვლილებას: მრავლობითი რიცხვის წარმოების თვალსაზრისით gast : gäst-i დაპირისპირება არაფრით განსხვავდება და არც სჯობს gast : gäste (Gast : Gäste) დაპირისპირებას. gasti / gäste შეცვლის კავშირი არა აქვს მნიშვნელობასთან, თუმცა ემსახურება ახალ სისტემას, რომელშიც ძველი სისტემის gast : gäst-i დაპირისპირების ნაცვლად გვაქვს განსხვავებული gast : gäste დაპირისპირება.

ვფიქრობთ, აუცილებელია როგორც ცალკეულ ელემენტთა ცვლილების გამოვლენა დიაქრონიული ასპექტით (CD ღერძი) და ცვლილებების მიზეზის ძიებაც, ასევე ამ ელემენტთა სისტემური მიმართებების დადგენა თავ-თავის დროულ მონაკვეთში. რა თქმა უნდა, საყურადღებოა ელემენტთა ფუნქციონირება სისტემური თვალსაზრისით გარდამავალ მონაკვეთშიც; ასე მაგალითად, ქართული ენის ზმნისწინმა, გარდა გეზისა და ორიენტაციის კატეგორიებისა, IX-X საუკუნეებიდან მოყოლებული დროის გამოხატვაც იტვირთა (დროსთან დაკავშირებით ასპექტისაც), რასაც მანამდე თხრობით და კავშირებით კილოთა ფორმებით ახერხებდა. უთუოდ საინტერესოა, ამ გარდამავალ პერიოდში რა ურთიერთობა მყარდება ძველ და ახალ წესებს შორის ზმნურ ფორმათა მიკრო და მაკრო სისტემებში.

წარმოდგენილი შესავლის მიხედვით ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები: სახელები და ზმნა უნდა განვიხილოთ შესაბამის გრამატიკულ კატეგორიათა მიხედვით სხვადასხვა დროულ მონაკვეთში: განსახილველია (1) სახელთა ბრუნება: ბრუნვები, მათი რაოდენობა; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არქაულ და ინოვაციურ ფორმებს სამწერლობო ენასა და დიალექტებში; (2) ბრუნვის ფორმათა გადასვლა სხვა მეტყველების ნაწილში — ტრანსლაციის შემთხვევები, შესაბამისად ტრანსლაციის

წესები დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით.

ზმნათა უღლება განიხილება შესავალ ნაწილში წარმოდგენილი სამი საფეხურის მიხედვით.

ვიდრე ქართული ენის მასალაში კონკრეტულ მოვლენათა ანალიზზე გადავიდოდეთ საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ფ. დე სოსიურის ზემოთ განსხვავებულ ასპექტში ნახსენებ შემდეგ დებულებებს: (1) „Система никогда не изменяется непосредственно, сама по себе она неизменна, изменению подвержены только отдельные элементы независимо от связи, которая соединяет их со всей совокупностью...“ [2, 117]. (2) ხოლო თვით ცვლილებასთან დაკავშირებით შენიშნავს: „...это наблюдение помогает нам понять случайный характер всякого состояния“ [2, 118].

როდესაც ლაპარაკია სისტემის ფორმალურ ცვლილებაზე, უთუოდ მხედველობაშია მისაღები ყოველ ცვლილების მიზეზი, საერთოდ მიზეზები, რომლებიც მოქმედებენ ენის გლობალურ სისტემაში.

შემთხვევით არაფერი ხდება — მოვლენებსაც უთუოდ ევარაუდება მათი გამომწვევი მიზეზები.

ენის გლობალურ სისტემაში ფონემათა ხაზობრივ განლაგებას სიტყვებში განსხვავებული დონეები, არც თუ იშვიათად, განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ, რაც იწვევს ცვლილებას რომელიმე დონის ელემენტთა განლაგებაში, შესაბამისად ამისა ფონემათა ხაზობრივ განლაგებაში, თუ ვამბობთ /ვთამაშობ/ პირველი პირის ფორმას, სადაც **ვ**- არის S_1-ის ნიშანი, ხოლო /თ/ ძირეული მორფემის თავკიდურა ფონემა, მორფოლოგიური რანგობრივი სისტემის მოთხოვნით ხაზობრივად წარმოიქმნება /ვთ/ თანმიმდევრობა #—V პოზიციაში — /**ვთ**ამაშობ/. ეს თანამიმდევრობა ამ პოზიციაში ქართული ენის ფონემატური დონის მიხედვით არაბუნებრივია. არაბუნებრივია, საერთოდ, **ვ**+ჩქამიერი თანხმოვანი ამ პოზიციაში. ფონემატური მოთხოვნით თეორიულად აქ მოსალოდნელია ორი სახის ცვლილება: (ა) დაიკარგა /ვ/: ვთამაშობ > თამაშობ (მე), რაც ხორციელდება კიდეც დუშეთის რაიონის ქართულში; (ბ) მოხდეს მეტათეზისი: /ვ/ გადადის /თ/-ს მომდევნოდ: ვთამაშობ > თვამაშობ. ეს ცვლილებაც ბუნებრივია ზოგიერთ დიალექტში, მაგალითად: თუშურში, სადაც უკვე დაფიქსირებულია /ჩვეჩ/ < /ვჩეჩ/ „ვჩეჩავ“, ინგილოურში /ჭომ/ (< ჭვამ < ვჭამ); შდრ. ძვ. ქართ. **ხუ**ეტყჷ < *ვ-ხ-ეტყჷ, შე**ხუ**აბთ < *შევხაბთ და სხვ.

მორფოლოგიური ცვლილებები ამ ტიპისა მრავლად არის გამოვლენილი ქართულ ენაში, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ: ნიშნის

ნებისმიერობა არ ნიშნავს მასში მომხდარი ცვლილების ნებისმიერობას — შემთხვევითობას, რადგან პირუკუ არ ხდება.

აქ ზოგადად განვიხილეთ მორფონოლოგიური ცვლილების სახეები, ცვლილება სიტყვათა ფორმებში ზოგჯერ მორფოსინტაქსურ გარდაქმნებსაც უკავშირდება: ხმოვანფუძიანი ატრიბუტული, პრეპოზიციური მსაზღვრელის ფორმებში ბრუნვის ნიშნების ჩავარდნა (კოხტა-Ø გოგ-Ø, კოხტა-Ø გოგომ, კოხტა-Ø გოგო-ს...) არ უკავშირდება ბრუნვის ნიშანთა შეუთავსებლობას სახელთა ფუძეებთან. ბრუნვათა მატერიალური ნიშნების უქონლობა აქ დაკავშირებულია მსაზღვრელი წევრის სინტაქსურ ბლოკირებასთან საზღვრულის მიერ (შდრ. ძვ. ქართული კოხტა-ჲ გოგო-ჲ, კოხტა-მან გოგომან, კოხტა-სა გოგო-სა...).

ანალოგიურია ცვლილებები პრეპოზიციურ სუბსტანტურ მსაზღვრელთან, რომლის უცვლელი მონაკვეთი CD ღერძზე ფაქტობრივად ძველ ქართულსაც მოიცავს და ახალ ქართულსაც. თავდაპირველი ფორმები: კაცისა-ჲ ძე-ჲ, კაცისა-მან ძე-მან, კაცისა-სა ძე-სა... ძველი ქართულისთვისაც კი ანომალიურია. იქ გაბატონებული იყო კაცისა-Ø ძე-ჲ, კაცისა-Ø ძე-მან, კაცისა-Ø ძე-სა... ასევე: კაცთა-Ø სიტყუა-ჲ, კაცთა-Ø სიტყუა-მან, კაცთა-Ø სიტყუა-სა და ა. შ.

რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის ისეთი ფორმების არსებობა, სადაც ხაზობრივი მიმართება ფონემათა შორის არაწინააღმდეგობრივია როგორც ფონემატური, ისე მორფოლოგიური დონის მიხედვით. მაგალითისთვის ავიღოთ /ვნახე/ — მორფოლოგიური რანგობრივი სისტემის მოთხოვნით S_1-ის **ვ**- პრეფიქსი წინ უძღვის ძირეული მორფემის /ნ/-ს; /ვნ/ კომპლექსი ფონემატური სისტემითაც გამართლებულია. რადგან ამ სისტემაში დაშვებულია /ვ/+/ნ, რ, ლ/ სამეულიდან ნებისმიერი (შდრ. **ვნ**ება, **ვლ**ტოლა, **ვრ**ცელი...), ამიტომ რომელიმე /ვრაცხ/ ფორმაში არ უნდა ველოდეთ ცვლილებას ხაზობრივ თანამიმდევრობაში. არც ხდება.

განცხადება იმისა, რომ დიაქრონიული ცვლილებები თავისთავადი მოვლენებია, ხდება წინასწარი განზრახვის გარეშე[1], ვფიქრობთ, დამატებით მსჯელობას მოითხოვს ენობრივ დონეთა დაშვების კონტექსტში. ცვლილებები განსახილველია ენობრივ დონეთა მიხედვით, ე. ი. წინასწარ რაღაცის არსებობაზე, რაც სიტყვათა ფორმებში ცვლილებას იწვევს, მაინც შე-

[1] "Имеют ли факты, принадлежащие к диахроническому ряду, по крайней мере ту же природу, что и факты синхронического ряда? Нет, не имеют, ибо, как мы уже установили, изменения происходят без всякого намерения" [2, 118; ხ.ჩ. — **თ. უ**].

იძლება ლაპარაკი, რამდენადაც ვიდრე ამ ცვლილებებს გავაანალიზებდეთ, ივარაუდება, რომ მანამდე განყენებულად არის შესწავლილი თითოეული დონის ელემენტთა განაწილება სხვა დონეთა წესების გაუთვალისწინებლად. ჩვენს შემთხვევაში *ვ-ხ-ეტყჳ / ხ-Უ-ეტყჳ სიმულტანური ცვლილება, რაც ხანმეტ პერიოდში ხორციელდებოდა, შეპირობებულია ენის ფონემატური მოთხოვნით. ამ სისტემაში **/ვ/** (რომლის ალოფონიც არის [Უ]) + ჩქამიერი თანხმოვანი **არაბუნებრივია**; ბუნებრივია შებრუნებული რიგით (ჩქამიერი თანხმოვანი + /ვ/), როცა ფონემები სხვადასხვა კლასს განეკუთვნებიან (ჰეტერორგანულია). ამას ადასტურებს შემდგომი პერიოდის ჰაემეტი და უფრო გვიანდელი ტექსტებიც: „ჰიცოდე, რ̃ კაცი ვარ სასტიკი, მოვიღო რ̃ არა დავდ(ვი) და მოვიმკი, რ̃ არა დავჰთესი“ (ჰაემეტი ტექსტები, გვ. 385), ამის გვერდით ჰაემეტ ტექსტებში დასტურდება ჰჳცოდე, ჰჳყავ, სადაც განხორციელებულია მეტათეზისი (/ვ-ჰ-იცოდე > ჰ-Უ-იცოდე / ჰჳცოდე). დავჰთესი ტიპის ფორმათა არსებობა უნდა მიეწეროს ფონემატურ ურთიერთობაში /ჰ/-ს სხვა თანხმოვანთაგან განცალკევებას: იგი ერთი მორფემის ფარგლებში არ შედის სხვა ფონემებთან კომბინაციაში. მას ვხვდებით მხოლოდ სასაზღვრო კომბინაციებში, როგორც პირის ნიშანს (S_2 ან O_3) ან ექსპრესიულ სიტყვათა შემადგენელს [ჰე, ჰოი(ᵶ)...].

კიდევ რამდენიმე მაგალითი /ვ-ჰ/ კომბინაციისა ძველ ქართულში ი. იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიიდან“ [1]. „რომელთა ვჰრწამ მე (მრ. 9, 42C), „ვინ ვჰგონიე ერსა ამას?“ (ლ. 9, 18), „თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას“ (გვ. 282), „ვჰლოცევდ პირსა შენსა ყოვლითა გულითა ჩემითა...“ (ფსალ. 118, 58-59) და სხვ.

როგორც ვნახეთ, ხანმეტ პერიოდში ვ-ხ (მორფოლოგიური (S_2-O_3) კომბინაცია ყოველთვის იძლევა [ხᲣ]-ს (ფონემური ჩაწერით /ხვ/-ს) ენაში არსებული ფონემური სინტაგმატური ურთიერთობის წესებზე დამყარებით. არც ის არის შემთხვევითი, რომ ძველ ქართულში ბევრი სიტყვა იწყება დაუშლელი **ხᲣ** კომბინაციით (ხᲣარბალი, ხᲣასტაგი, ხᲣაშიადი; ხᲣეწა, ხᲣეჭა და სხვ.), მაშინ როცა არც ერთი სიტყვა არ იწყება /ვხ/ კომბინაციით, თუ შეგვხვდა, ვ- ყველგან იქნება I პირის ნიშანი, ე. ი. წარმოადგენს სასაზღვრო ელემენტს (ვ-ხატავ, ვ-ხედავ და სხვ. „ვხედავ კაცებსა“ მრ. 8, 24; ი. 9, 11C...).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა ნათელ წარმოდგენას იძლევა ხუეტყუ ფორმის წარმომავლობაზე, იმაზე, რომ აქ განხორციელებული ცვლილება წინასწარ სავარაუდებელია ხანმეტი ტექსტების $S_1 + O_3$ კომბინაციაში.

ლიტერატურა

იმნაიშვილი 1971 — ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი.

სოსიური 1977 — Фердинанд де Соссюр, Курс общей лингвистики; Труды по Языкознанию, Москва.

უთურგაიძე 2002 — გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი.

შანიძე 1973 — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი.

Tedo Uturgaidze

On the Subject of the Connection of Morphemes

Summary

Verbal categories are divided into three stages. At the first stage the forming of verbal forms starts with the combination of actantial categories or different elements of person and number. At the second stage the screeves are created with the combination of different types of attributive categories: mood, tense, perfection, direction, orientation, aspect and so called “jeroba” in which there are identically represented the combinations of categories of the first stage. The third highest stage is the different combinations of connectional categories: voice, version and causation, which are called tense-aspect-mood series. Also the combinations of the second stage are identically represented in the combinations of the third stage or tense-aspect-mood series.

This scheme of the system of verbal categories gives a base of producing a model which creates conjugation paradigms, that enables us to reveal the whole value of morphemes.

For the synchronic and the diachronic analyses of the case and the conjugation paradigms it is essential to take simultaneous and historical changes, results of the interaction of different demands of the levels in the global system of the language, into account. Those model changes do not take place without good reasons.

ნატო შავრეშიანი

მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობისათვის სვანურში

რთული ქვეწყობილი წინადადება, როგორც ცნობილია, შედგება ერთმანეთის მიმართ არათანასწორი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისგან, რომელთაგან ერთი მთავარია ანუ ასახსნელი, მეორე (ან დანარჩენები) დამოკიდებული ანუ ამხსნელი.

რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ურთიერთობა, სიტყვათა დაქვემდებარებაში შემავალ სიტყვათა ანალოგიურია, სადაც ერთი სიტყვა მთავარია, მეორე კი — დამოკიდებული, წამყვანი სიტყვის ამხსნელი.

როგორც ცნობილია, ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებებით ხდება, ე. ი. „დაქვემდებარებას აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნულად არის გამოხატული, ზოგი კი მის შინაგან ნიშანს წარმოადგენს“ (კვაჭაძე 1966, 326).

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დასაქვემდებარებლად ენა მაქვემდებარებელი კავშირებისა და მიმართებითი ზმნიზედების გარდა იყენებს ფორმაცვალებად, სრულმნიშვნელოვან სიტყვებსაც — მიმართებით ნაცვალსახელებს. განსხვავებით მაქვემდებარებელი კავშირებისაგან, საკავშირებელი სიტყვები წევრ-კავშირებია.

მთავარ წინადადებაში გვხვდება ასახსნელი წევრი და კორელატი; „**ასახსნელია** მთავარი წინადადების ის წევრი, რომელსაც დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს. ეს წევრი შეიძლება გამოხატული იყოს სახელით ან ზმნით. თუ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების სახელით გამოხატულ წევრს ხსნის, ამ წევრს მისამართ სიტყვასაც უწოდებენ. **კორელატი** დამოკიდებული წინადადების შესაფარდებელია მთავარ წინადადებაში. კორელატად იხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელები ან ზმნიზედები. კორე-

ლატად გამოყენებულ ჩვენებით ნაცვალსახელს შეიძლება **მისათითებელი სიტყვაც** ეწოდოს“ (აბესაძე 1960, 105).

მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი დამოკიდებული წინადადება ხსნის და განსაზღვრავს მთავარი წინადადების სახელით გამოხატულ წევრს, ასახსნელ წევრს, ანუ მისამართ სიტყვას.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიმართებით ნაცვალსახელსა და მისათითებელ სიტყვას შორის გარკვეული სინტაქსური ურთიერთობაა. მიმართებითი ნაცვალსახელი ხშირ შემთხვევაში ასახსნელ წევრს უთანხმდება რიცხვში. მათანხმებელი მისამართი სიტყვაა, შეთანხმებული — მიმართებითი ნაცვალსახელი.

მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობა (რიცხვში შეთანხმება) საინტერესო და ამავე დროს სპეციფიკურია იმდენად, რამდენადაც მათანხმებელი და შეთანხმებული სხვადასხვა წინადადების წევრებია.

მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსურ ურთიერთობას ქართულში არა ერთი მკვლევარი შეეხო და აღნიშნულ საკითხს ფასეული გამოკვლევებიც მიეძღვნა (ლ. კვანტალიანი — მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში; კ. დონდუა — მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძვ. ქართულში,...).

ლ. კვანტალიანის აზრით „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ურთიერთობა გარკვეულ ინტერესს აღძრავს რამდენიმე გარემოების გამო: ა) საქმე გვაქვს თავისებურ შეთანხმებასთან, ბ) ორი სიტყვის შეთანხმებით ხდება ქვეწყობილ კონსტრუქციაში კომპონენტი წინადადებების სინტაქსური შეკავშირება, გ) თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ამ სიტყვათა შეხამებისას არაერთგვარობა და სიჭრელე შეინიშნება“ (კვანტალიანი 1983, 6).

ნაშრომში შევეცდებით აღნიშნული საკითხი სვანურის მონაცემების მიხედვით განვიხილოთ და ყურადღება **ხედი || ხედა** „რომელი“ ნაცვალსახელზე გავამახვილოთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „სვანურში მრავლობითი რიცხვის ფორმა არც ერთ მიმართებით ნაცვალსახელს არა აქვს...სვანურში არც ერთ ნაცვალსახელს არა აქვს მრავლობითის ფორმა, ამდენად მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების საკითხი მოხსნილია. რჩება მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება მრავ-

ლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელ-ზმნას შორის...“ (აბესაძე 1960, 115-145).

გამოთქმულ მოსაზრებას შემდგომში არა ერთი მკვლევარი იმეორებს (არ. მარტიროსოვი, ლ. კვანტალიანი, ა. კიზირია...).

უნდა აღვნიშნოთ, რომ **ხედი || ხედა** ნაცვალსახელს როგორც დამოუკიდებლად, ისე ნაწილაკდართულს მოეპოვება ექვსივე ბრუნვა როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში.

ვითვალისწინებთ რა სვანურის ოთხივე დიალექტის, ასევე, ლახამულურისა და ჩოლურული მეტყველების მონაცემებს, განსახილველ ნაცვალსახელს პირველ რიგში წარმოვადგენთ ბრუნების კატეგორიის მიხედვით, როგორც ნაწილაკდართულს, ასევე უნაწილაკოდ მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში.

ბზ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედა** „რომელი“	**ხედაპრ** „რომლები“
მოთხ.	**ხედად || ხედნემ**	**ხედაპრდ**
მიც.	**ხედას**	**ხედაპრს**
ნათ.	**ხედემიშ**	**ხედაპრეშ**
მოქმ.	**ხედაშუ || ხედნოუშ**	**ხედაპრუშ**
ვით.	**ხედად**	**ხედაპრდ**

ბზ. -უპ ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედუპ**	**ხედაპრუპ**
მოთხ.	**ხედუპდ**	**ხედაპრუპდ || ხედაპრდუპ || ხედუპაპრდ**
მიც.	**ხედუპს**	**ხედაპრუპს || ხედაპრსუპ**
ნათ.	**ხედუპშ**	**ხედაპრუპშ || ხედაპრიშუპ**
მოქმ.	**ხედუპშუ**	**ხედაპრუპშუ || ხედაპრშუპ**
ვით.	**ხედუპდ**	**ხედაპრუპდ || ხედაპრდუპ**

ბქ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედი**	**ხედაჲრ**
მოთხ.	**ხედიდ**	**ხედაჲრდ**
მიც.	**ხედის**	**ხედაჲრს**
ნათ.	**ხედაშ**	**ხედაჲრეშ**
მოქმ.	**ხედაშჷ**	**ხედაჲრშჷ**
ვით.	**ხედიდ**	**ხედაჲრდ**

ბალსქვემოურში, როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, მიმართებითობის ნაწილაკიანი წარმოება არა გვაქვს, თუმცა იშვიათად ცხუმარულში ნათესაობითისა და მოქმედებითის მრავლობით რიცხვში, შეიძლება შეგვხვდეს **ხედოლჷეშ**, **ხედოლუშჷ** ფორმები;

ლხმ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედა**	**ხედოლუ**
მოთხ.	**ხედად**	**ხედოლუდ**
მიც.	**ხედას**	**ხედოლუს**
ნათ.	**ხედაშიშ**	**ხედოლეშ**
მოქმ.	**ხედოშჷ**	**ხედოლშჷ**
ვით.	**ხედად**	**ხედოლუდ**

ლხმ. -ჷაჲ ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედჷაჲ**	—
მოთხ.	**ხედჷაჲდ**	—
მიც.	**ხედჷაჲშ**	—
ნათ.	**ხედჷაჲშიშ**	—
მოქმ.	**ხედჷოშ**	—
ვით.	**ხედჷაჲდ**	—

ლნტ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედი**	**ხედმინ**
მოთხ.	**ხედიდ**	**ხედმინდ**
მიც.	**ხედის**	**ხედმინს**
ნათ.	**ხედიჲშ**	**ხედმინეშ**
მოქმ.	**ხედიშუშ**	**ხედმინშუშ**
ვით.	**ხედიდ** ‖ **ხედად**	**ხედმინდ**

ლნტ. -შუ̆ჲ ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედშუ̆ჲ**	**ხედმინშუ̆ჲ**
მოთხ.	**ხედშუ̆ჲდ**	**ხედმინშუ̆ჲდ**
მიც.	**ხედშუ̆ჲს**	**ხედმინშუ̆ჲს**
ნათ.	**ხედშუ̆ჲშ**	**ხედმინშუ̆ჲშ**
მოქმ.	**ხედშუ̆ჲშუშ**	**ხედმინშუ̆ჲშუშ**
ვით.	**ხედშუ̆ჲდ**	**ხედმინშუ̆ჲდ**

ლშხ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედი**	**ხედჲარ**
მოთხ.	**ხედიდ** ‖ **ხედინემ**‖ **ხედნ̄ემ** ‖ **ხედნ̄ემდ**	**ხედჲარდ**
მიც.	**ხედის**	**ხედჲარს**
ნათ.	**ხედ̄ეშ** ‖ **ხედ̄ემიშ**	**ხედჲარეშ**
მოქმ.	**ხედიშუშ** ‖ **ხედინ̄ეშუშ**	**ხედჲარშუშ**
ვით.	**ხედიდ**	**ხედჲარდ**

ლშხ. –შუ̆ჲ ‖ **-შუ̆ჲ + -ი** ნაწილაკიანი

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	**ხედშუ̆ჲ**	—	—
მოთხ.	**ხედშუ̆ჲდ**	‖ **ხედშუ̆ჲდ̄ი**	—
მიც.	**ხედშუ̆ჲს**	‖ **ხედშუ̆ჲს̄ი**	—
ნათ.	**ხედშუ̆ჲშ**	‖ **ხედშუ̆ჲშ̄ი**	—
მოქმ.	**ხედშუ̆ჲშუშ**	‖ **ხედშუ̆ჲშუშ̄ი**	—
ვით.	**ხედშუ̆ჲდ**	‖ **ხედშუ̆ჲდ̄ი**	—

ლშხ. -ი̄ ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედი̄**	**ხედჲარი̄**
მოთხ.	**ხედიდი̄**	**ხედჲარდი̄**
მიც.	**ხედისი̄**	**ხედჲარსი̄**
ნათ.	**ხედი̄ში̄ ‖ ხედი̄მიში̄**	**ხედჲარეში̄**
მოქმ.	**ხედიჷში̄ ‖ ხედნ̄მჷში̄**	**ხედჲარჷში̄**
ვით.	**ხედიდი̄**	**ხედჲარდი̄**

ჩოლ.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედი**	**ხედჲარ**
მოთხ.	**ხედიდ ‖ ხედინემ‖ ხედნ̄მ ‖ ხედნ̄მდ**	**ხედჲარდ**
მიც.	**ხედის**	**ხედჲარს**
ნათ.	**ხედი̄შ ‖ ხედი̄მიშ**	**ხედჲარეშ**
მოქმ.	**ხედიჷშ ‖ ხედინ̄ჷშ ‖ ხედნ̄ჷშ**	**ხედჲარჷშ**
ვით.	**ხედიდ**	**ხედჲარდ**

ჩოლ. -ჷ̄ჲ ‖ -ჷ̄ჲ + **-ი** ნაწილაკიანი

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	**ხედიჷ̄ჲ ‖ ხედჷ̄ჲ**	—	**ხედჲარჷ̄ჲ**	—
მოთხ.	**ხედჷ̄ჲდ**	**‖ ხედჷ̄ჲდი̄**	**ხედჲარჷ̄ჲდ ‖ ხედჲარჷ̄ჲდი̄**	
მიც.	**ხედჷ̄ჲს**	**‖ ხედჷ̄ჲსი̄**	**ხედჲარჷ̄ჲს ‖ ხედჲარჷ̄ჲსი̄**	
ნათ.	**ხედჷ̄ჲშ‖ხედჷ̄ჲმიშ‖ხედჷ̄ჲში̄‖ხედჷ̄ჲმიში̄**		**ხედჲარჷ̄ჲეშ ‖ ხედჲარჷ̄ჲეშ**	
მოქმ.	**ხედჷ̄ჲჷშ**	**‖ხედჷ̄ჲჷში̄**	**ხედჲარჷ̄ჲჷშ ‖ ხედჲარჷ̄ჲჷში̄**	
ვით.	**ხედჷ̄ჲდ**	**‖ხედჷ̄ჲდი̄**	**ხედჲარჷ̄ჲდ ‖ ხედჲარჷ̄ჲდი̄**	

ჩოლ. -ი ნაწილაკიანი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ხედი̄**	**ხედჲარი̄**
მოთხ.	**ხედიდი̄**	**ხედჲარდი̄**
მიც.	**ხედისი̄**	**ხედჲარსი̄**
ნათ.	**ხედი̄ში̄ ‖ ხედი̄მიში̄**	**ხედჲარეში̄**
მოქმ.	**ხედიჷში̄ ‖ ხედნ̄მჷში̄**	**ხედჲარჷში̄**
ვით.	**ხედიდი̄**	**ხედჲარდი̄**

არ. მარტიროსოვი თავის ნაშრომში „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“ **ხედუ̈ || ხედი** მიმართებით ნაცვალსახელს ბრუნების მიხედვით წარმოგვიდგენს და ასკვნის, რომ „**ხედუ̈ჲ...** ნაცვალსახელს მხოლოდ ნაწილაკშეზრდილი ფორმები მოეპოვება. ლაშხურში ეს ნაცვალსახელი **უ̈ჲ**-ს ძალზე იშვიათად დაირთავს, მიმართებითობის გადმოსაცემად აქ **-ი** ნაწილაკი იხმარება, იგი შეუზრდელია, უშუალოდ დაერთვის ნაბრუნებ ფორმას“ (მარტიროსოვი 1964, 357).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში დიალექტები არაერთგვაროვან სურათს წარმოგვიჩენენ, ბალსზემოურში, ჩოლურულსა და ლაშხურში, ზემო ნათქვამისაგან განსხვავებით, მეტად საინტერესო და, ამავე დროს, ჭრელი სურათი გვაქვს. დასტურდება როგორც ნაწილაკშეზრდილი (**ხედ-უ̈ჲ-დ**), ასევე ნაწილაკშეუზრდელი (**ხედი-დ-ი̄**) და ნარევი წარმოებაც (ჩოლ.) **ხედ-უ̈ჲ-დ-ი̄** || (ბზ.) **ხედუ̈ჲა̈რდ**). ბალსზემოურისა და ჩოლურულის მონაცემებისგან განსხვავებით, დანარჩენ დიალექტებში **-უ̈ჲ** ნაწილაკიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები არ იწარმოება. როგორც ცნობილია, ლაშხური **-ი** ნაწილაკიან წარმოებას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ბალსქვემოურსა და ლახამულურში ნაწილაკიანი წარმოება შედარებით იშვიათია.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი ყველაზე სრულ და მრავალფეროვან სურათს მაინც ჩოლურულში იძლევა, სადაც ერთადაა თავმოყრილი ბალსზემოურისა და ლაშხურის ფორმები და რაც ყველაზე საინტერესოა, სრულიად ბუნებრივად ენაცვლება წარმოდგენილი პარალელური ფორმები ერთმანეთს მეტყველებისას.

საყურადღებოა, რომ სვანური ენის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებში ვერ მოხერხდა საანალიზო მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის მრავლობით რიცხვში დადასტურება, თუ არ ჩავთვლით პროზაში დაფიქსირებულ, ლენტეხური დიალექტის ერთ წინადადებას, სადაც მისამართი სიტყვა მრ. რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელი კი მხოლობითის ფორმითაა წარმოდგენილი (აშხუ̈ ლა̈დეღ ლა̈ხეშყადხ მიჩა ჯუ̈ინელ **აფხა̈ნიკა̈რს, ხედუ̈ჲ** ერ ლითუ̈ერის ქათაყეჩახ, ეჯმინს, ა̈მეჩედელიხ აფხა̈ნიკი ლა̈თხელიხო (ლნტ., პრ., 183) „ერთ დღეს გაახსენდათ თავის ძველ ამხანაგებს, რომლებმაც (რომელიც, რომ) სწავლა მიატოვეს, მათ, წასულან ამხანაგის საძებნელად“), სხვა შემთხვევაში წინადადების განსახილველი წევრები მრ. რიცხვის ფორმით არ დაფიქსირებულა, თუმცა ერთი რამ ფაქტია, ზეპირ მეტყველებაში არცთუ იშვიათად იხმარება და შევეცდებით ქართულთან მიმართებაში ყველა შესაძლო ვარიანტი წარმოვაჩინოთ.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის სინტაქსური კავშირი მხოლოდ რიცხვის მიხედვით ხდება. მიმართებითი ნაცვალსახელი (წევრ-კავშირი) მისამართ სიტყვას (ასახსნელ წევრს) უთანხმდება ფორმის მიხედვით (რიცხვში) ან აზრობრივად. ფორმის მიხედვით შეთანხმებისას წევრ-კავშირი იმავე რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, რითაც მისამართი სიტყვა. ხოლო აზრობრივი, ანუ შინაარსობრივი შეთანხმებისას მისამართი სიტყვის მნიშვნელობაა გადამწყვეტი და შესაბამისად მიმართებითი ნაცვალსახელიც ასახსნელ წევრს მნიშვნელობის მიხედვით უთანხმდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ვინაიდან, გაზიარებული იყო შეხედულება, რომ სვანურში არცერთ მიმართებით ნაცვალსახელს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმა და ამდენად მოხსნილი იყო საკითხი მისამართ წევრთან მისი რიცხვში შეთანხმებისა, განიხილებოდა მხოლოდ აზრობრივი, შეთანხმება; „...რჩება მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება მრ. რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელ-ზმნას შორის“ (აბესაძე 1960, 145.).

როგორც ჩანს, სვანური სინტაქსის მკვლევარი ამ დასკვნამდე იმ გარემოებამ მიიყვანა, რომ იმ დროისათვის ფიქსირებულ სვანურ მასალაში არ იყო წარმოდგენილი მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების მაგალითები.

შეთანხმებისათვის აუცილებელია, რომ ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირში მყოფ სიტყვებს საზიარო გრამატიკული კატეგორია ჰქონდეთ, კატეგორია, რომელშიც შეთანხმების შემთხვევაში ორივე წევრი დგას, ანუ მათანხმებელს (მისამართ სიტყვას) უნდა ჰქონდეს მრავლობითი რიცხვის ფორმა და მიმართებით ნაცვალსახელსაც უნდა შეეძლოს წამყვანი სიტყვის ფორმის მიღება. თუ ერთ-ერთ მათგანს არა აქვს მრ. რიცხვი, შეთანხმების საკითხი აღარ დგას.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი იქნა მიმართებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის პარადიგმები სვანურის ყველა დიალექტის მიხედვით და, ჩვენი აზრით, ვინაიდან მიმართებით ნაცვალსახელს აქვს მრ. რიცხვის ფორმა, ასახსნელ წევრთან შეთანხმების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა იდგეს, მით უფრო, რომ თავად ნ. აბესაძის თვალსაზრისითაც, უფრო ძველი უნდა იყოს რიცხვში ფორმაცვალება: „ქართულთან და ზანურთან სვანურის შედარებით ირკვევა, რომ უფრო ძველი უნდა იყოს რიცხვში ფორმაცვალება, ხოლო უფრო ახალი ფორმაუცვლელობა. სვანურის მონაცემი უფრო ახალ მოვლენას წარმოადგენს“ (იქვე, 116).

საკვლევია, როდის ან რა შემთხვევაში გვაქვს შეთანხმება, ან ქართულთან მიმართებაში რაიმე სხვაობას ხომ არ გვიჩვენებს; ილუსტრაციებს ძირითადად ჩოლურულის მონაცემების მიხედვით წარმოვადგენთ, ვინაიდან ამ მეტყველებაში ნაწილაკთა მრავალფეროვანი წარმოება გვხვდება.

მისამართი სიტყვა, თუ იგი სულიერი, ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია მრავლობით რიცხვში ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს:

სგ'ენსიპეხ **ალდაარდა**, **ხედდარდი** ედსიმნეხ ნაგგრგაალ „შემოიარეს ამათმა, აი, რომლებმაც ყურადიღეს ნალაპარაკევი“,

ეჯდარ ადრიხ, **ხედდაარუაა** ბეფშს ღოშკინპილხო ესცუირეხ „ისინი წავლენ, რომლებიც ბავშვს ბოლოს დაიტოვებენ“,

ხედდარუაა კუიმტდან ნინეშ ლასხ, **ეჯდარ** ჯრდიას არდახ „რომლებიც ენა კვიმატიანები იყვნენ, ისინი შორს იყვნენ“,

ითშიხ **ეჯდაარს**, **ხედდაარე** ოჯახარისად ხეკუეს ენსყენს ალ სუფრა „ირჩევენ მათ, რომელთა ოჯახებშიც უნდა გაკეთდეს ეს სუფრა“,

ჩ'ოსწუენ **კოჭოლ ბოფშილარ**, **ხედდაარსი** ნაქუთარ უისკულარ ხოყდანანხ „დავინახე პატარა ბავშვები, რომლებსაც მონაპარი (ნაპარავი) ვაშლები ეჭირათ“...

იშვიათად ცოცხალი საგნის გამომხატველი მისამართი სიტყვა ფორმობრივად ვერ ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს; მისამართი წევრი მრავლობითშია, მიმართებითი კი მხოლობითში;

ხედუაა ერ ლითუერის ქათაყეჩახ**, ეჯმინ** ამეჩედელიხ აფხანიკი ლათხელიხო (ლნტ. 183.) „რომლებსაც სწავლისათვის თავი დაუნებებიათ (რომელიც რომ სწავლას განებებიან), ისინი წასულან ამხანაგის საძებნელად“,

გვაქვს შემთხვევები, როდესაც უსულო საგნის აღმნიშვნელი მისამართი სიტყვა ითანხმებს რიცხვში მიმართებით ნაცვალსახელს:

ქა ლეცურე ხადახ **ეჯ სოფლარ**, **ხედდარსი** ჟადობ ხენტუებ „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზვავი ემუქრება“,

ქა ტგხე **ნაგგრგალარს**, **ხედდარუში** ეშხუარ ხარცხუე ხალხს „დააბრუნებს ნალაპარაკევებს, რომლებითაც ერთმანეთს ახოცავს ხალხს“,

უნდა აღინიშნოს, რომ სულიერ, ცოცხალი, საგნის აღმნიშვნელ მისამართ სიტყვასთან მრავლობითში შეწყობილ განსახილველ (**ხედუაა**) მიმართებით ნაცვალსახელს, თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს მიმართებითი ნაცვალსახელი **ჲერუაა** „ვინც“ და ასეთ შემთხვევაში ასახსნელ წევრსა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის რიცხვში შეთანხმება არა გვაქვს, ვინაიდან, სვანურში აღნიშნულ ნაცვალსახელს მრავლობითი არ ეწარმოება და მრავლობთობა კონტექსტის მიხედვით ივარაუდება;

სგ'ეთკულინან ზურლარს ი ღუაჟარს, **ხედაარი || داري** ანწყნარახ ათხად „დაეტაკა (შეერია) კაცებს და ქალებს, **რომლებიც || ويني** ამშვიდებდნენ აქამდე“,

ეჯაარ ადრიხ, **ხედაარუა || داريوا** ბეფშს ღოშკინპილხო ესცუირეხ (ჩოლ.) „ისინი წავლენ, **რომლებიც || ويني** ბავშვს ბოლს დაიტოვებენ“,

ღოშკინპილს ქა ხაღრისეხ ეჯის, **ხედიში || خيدوش || خيدوشي || داريوشي** ლას ნადაან (ჩოლ.) „ ბოლოს აღირსეს მას, **რომლისაც || ويسيج** იყო გოგო“,

ქართულის მსგავსად, სვანურშიც ხშირია შემთხვევები, როდესაც მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ახლავს ერთზე მეტის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი ან განუსაზღვრელ რაოდენობაზე მიმთითებელი სხვა რომელიმე სიტყვა.

როდესაც მსაზღვრელად გამოყენებულია განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელები (**ხუა** „ბევრი“, **მადხუა** „ცოტაოდენი“, **ქუეყანა** „უამრავი“, **ქოყანამაგ** „მრავალი“...), ძვ. ქართულის მსგავსად, საზღვრული (ამ შემთხვევაში მისამართი სიტყვა) შეიძლება მხოლობითშიც იყოს და მრავლობითშიც, ხოლო მიმართებითი ნაცვალსახელი სვანურში ყველა შემთხვევაში მრავლობით რიცხვში იქნება, მაგ., ჩოლ.,

ჩოსწუენ **ქოყანამაგ ბოფშარ**, **ხედაარსი** ნაქუთარ უისკულარ ხოყდანანხ „დავინახე უამრავი ბავშვები, რომელთაც მონაპარი (ნაპარავი) ვაშლები ეჭირათ“

ქუეყანა კიტუარ ხასიპხ, **ხედაარი** იკედხ ამეობას ლაკაულს „უამრავი კნუტები სტუმრობენ (უვლიან, შემოუვლიან სახლში), რომლებიც იღებენ აქაურობას კნავილით“,

ხუა მგმრუალას ახღელდახ, **ხედაარსუა** ხეკუეს ოთსკუხუანხ მინე გუეშ „ბევრ მედიატორებს ელოდებოდნენ, რომელთაც უნდა მოეგვარებინათ (გადაეწურათ) მათი საქმე“,

ხუა უობელ-უოჯარდ ხოგუაკურება, **ხედაარი** ლადი აშამსი დაამ ხატხეხ „ბევრი ობლისთვის მოუვლია (ყურადღება მიუქცევია), რომლებიც დღეს სალამსაც არ უბრუნებენ“,

ჩოთშიდ სგობინჩუ ხუა ძიუარალ, **ხედაარი** ეშ ანარიესდახ „დაუყარა წინ ბევრი მძივები, რომლებიც ანათებდნენ“,

აშყუდუდახ **მადხუა ზურლალ**, **ხედაარდუა** ოთბაცეხ სგობნე ლადეღ ლიმურჯი „რეცხავდნენ რამდენიმე (ცოტაოდენი) ქალები, რომლებიც შეპირდნენ წინა დგეს დახმარებას“,

ქა ხოჟოღუდა ქუეყანამაგ **ბოფშს, ხედაარი** ხეჭამხ აბარდაუშ „წინ უძღოდა უამრავ ბავშვს, რომლებიც მისდევდნენ ჩქარა“,

ქუეყანა გაკს ალე აფთხგნე, **ხედჲარსი** ჟი მეშტხე ხარხ პატრონ „ყველას კაკალს (ნიგოზს) ეს ფერთხავს, რომელთაც ამოუწყდათ პატრონი“,

ჟი ლუზგუე ლას **ხუაჲ ზურალ, ხედჲარდი** ხოლა მიმან ანსყეხ „ შეგროვებულიყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ხმაური ატეხეს“,

როცა სულიერი საგნის აღმნიშვნელი მისამართი სიტყვის მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მისამართი სიტყვა მხოლობით რიცხვშია, ხოლო მიმართებითი სიტყვა მრავლობითში შეეწყობა:

ქანსკინეხ **ჲერქდა მახელუაჟდ**, **ხედჲარუაჲ** ქაბმ ლგმგენელიხ (ჩოლ.) „გადმოხტნენ ორივე ბიჭი, რომლებიც გარეთ მდგარან“,

ეშხუ-ჲერუ მარე ეღო ედქუთნი, **ხედჲარსი** აჯახ ხობიცხ (ჩოლ.) „ერთი-ორი კაცი თუ გაინძრევა, რომელთაც კიდევ ერჩით ძალა“

თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა ასეთ საზღვრულიან, უსულო საგნის აღმნიშვნელ ასახსნელ წევრთან მიმართებითი ნაცვალსახელი მაინც მრავლობითშია:

ქა იშგმინ **ჩხარა წკაპ**, **ხედიარი** ხეკუეს მახა მეჴდად ლოხთუნან (ჩოლ.) „მოითხოვა ცხრა სასმისი (მწკრივად დასალევი), რომლებიც ახალი მოსულისთვის უნდა დაელევინებინათ“

რიცხვითი სახელით განსაზღვრულ უსულო საგნის გამომხატველ მისამართ წევრთან, მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლობით რიცხვშია:

ეშხუ ხოშა ოთახისა, **ხედუაჲ** ერ თელდ ოქრშუ ლასუ ლგმარე, ოქურე ტახტჟი ბაყაყ ხეყადხ (ლნტ. ქ. 322) „ერთ დიდ ოთახში, რომელიც სულ ოქროთი იყო მორთული, ოქროს ტახტზე ბაყაყი ჰყავდათ“

„სალიტერატურო ქართულში ერთზე მეტის აღმნიშვნელი მსაზღვრელით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასთან კანონზომიერია და ფართოდ გავრცელებული მიმართებითი ნაცვალსახელის მრავლობითში დასმა, ე. ი. აზრობრივი შეთანხმება, რაკი მისამართი სიტყვის სიმრავლე ლექსიკური საშუალებით (მსაზღვრელებით) არის გამოსახული... ფორმის მიხედვით შეთანხმება, ე.ი. წევრ კავშირის მხოლობითში დასმა, მხოლოდ მაშინ ჩანს გამართლებული, თუ ასახსნელი წევრი ისეთი საგნის სახელია, რომელიც ცალობითს ერთეულებად არ ნაწილდება...“ (კვანტალიანი 1983, 86-87).

მისამართი სიტყვა შეიძლება გადმოიცეს კრებითი სახელებითაც, ასეთ ასახსნელ წევრთან მიმართებითი ნაცვალსახელი ხშირ შემთხვევაში შეთანხმებულია მათანხმებელთან ფორმის მიხედვით:

იტფურალდახ **ნადანუ**, **ხედჲარსი** ნადირ ახჭემახ (ჩოლ.) „ვიშვიშებდნენ (იტყავებდნენ) გოგოები, რომელთაც ნადირი გამოკიდებიათ“,

ათეურალდა ღოშკმე **ჯოგარს**, **ხედჲარსუაი** ფარნაოზ ხოჟოღუდა (ჩოლ.) „ათვალიერებდა უკანა ჯოგებს, რომელთაც ფარნაოზი მოუძღოდა“,

ქა ლეცურე ხადახ **ეჯ სოფლარ**, **ხედჲარსი** ჟაჲობ ხენტუენ (ჩოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომლებსაც ზვავი ემუქრებათ“

მათანხმებელიც და შეთანხმებულიც მხოლობით რიცხვში დგას:

ანჯადხ **ლაშქარუშ**, **ხედი** თელ ჩრლირისა ანხურიელეხ (ჩოლ.) „მოვიდნენ ლაშქრით, რომელიც მთელ ჩოლურში მოაგროვეს“,

ქ'ედქიხ **ეჯი ჯოგი** ლიჯედდ, **ხედუაჲსი** მაშენე მანკუი ანღელდახ (ჩოლ.) „დააგვიანა იმ ჯოგის მოსვლამ, რომელსაც ყველაზე ადრე ელოდნენ“,

ოთზგზახ ეჭკალი ხალხ, **ხედისი** ღოშკინ მუწური-მგთხელი მრმ ხასდენრლნა (ჩოლ.) „გაუგზავნიათ ისეთი ხალხი, რომელსაც უკან (მსისხლებელ-მომკითხავი, სისხლის ამღები) არ რჩებოდა“

გვაქვს აზრობრივი შეთანხმების ისეთი შემთხვევებიც, როცა ამხსნელი წევრი მრავლობითშია, ხოლო კრებითი სახელით გადმოცემული ასახსნელი წევრი მხოლობითში:

ეჯი ხალხი ცოდ ოთხუირე ღულაჲს, **ხედჲარსი** ხოღლატე (ჩოლ.) „იმ ხალხის ცოდვა მოეკითხება (დაუნგრევს მუხლს), რომელთაც უღალატა,

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება მოგვევლინოს ერთდროულად რამდენიმე მისამართი სიტყვის ამხსნელად, ასეთ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ცოცხალი საგნის სახელებია ასახსნელი წევრები, თუ არა ცოცხალისა, მიმართებითი ნაცვალსახელი ძირითადად მრავლობით რიცხვში გვხვდება, მაგ., ჩოლ.,

ჩუათირ მიჩა **ლერში-ლექუემ, ხაბაკ-ხუბაკ, ხედჲარსი** ხეთხელდა ამშელდ ზაჲ „იცნო თავისი დასაგებ-ჩასაცმელი (ლეიბ-საბანი), რომლებსაც ეძებდა ამდენი წელი“,

სგეთკულინან **ზურალ-მარას, ხოშას ი ხოხრას, ხედჲარი** ანწყნარახ ათხად „შეერია ქალს და კაცს, დიდს და პატარას, რომლებიც აწყნარებდნენ აქამდე“,

უოშა **მაიდარ-მაფნარდ, ტუტუელაჲდ ი უზგალნად** მირიწუა ში, **ხედჲარსი** აშ ხუეშყდიხუი მინე მაშყადისა „რამდენი მშიერ-მწყურვალისათვის, ტიტველისათვის და უსაქმურისთვის გამიწვდია ხელი, რომელთაც სულ ვემახსოვრები მათ მახსოვრობაში“,

იშვიათად რამდენიმე მისამართ სიტყვასთან მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება მხოლობით რიცხვში შეგვხვდეს:

მიჩა **ნაუმეკრის ი ნამუჭუარის, ხედიდი** ადკაცე, იშგან ნომა ხაბრალი (ჩოლ.) „თავის გაუგებრობას და რქიანობას, რომელმაც დაღუპა, სხვას ნუ აბრალებს“.

ასეთი ასახსნელი წევრები ძირითადად სინონიმებია და რეალურად ერთ აღსანიშნს გულისხმობენ, შესაბამისად ამხსნელიც მხოლობითშია.

მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელი“ წარმოების მხრივ სხვა ქართველურ ენებშიც არაერთგვაროვან და საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

აღნიშნული ნაცვალსახელი და მისამართი სიტყვის ურთიერთობა დაწვრილებითაა განხილული ლეილა კვანტალიანის მიერ ქართული სალიტერატურო ენის საფეხურების მიხედვით და ავტორის მიერ დანახულია ის სხვადასხვაობა, რაც ამ საკავშირებელ წევრს ახასიათებს ახალ სალიტერატურო ქართულთან მიმართებაში და მკვლევარი ასკვნის, რომ „...ძველ ქართულისათვის მტკიცე ნორმა ჩანს ნართანიან მრავლობითში დასმულ მისამართ სიტყვასთან მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება რიცხვში. ... -ებ სუფიქსიანი მისამართი სიტყვა სინტაქსური ძალით ნართანიანს ვერ უტოლდება, მაგრამ შეთანხმების უფლების მოპოვებისათვის იბრძვის უპირველესად სიტყვის აქტიურ შინაარსზე დაყრდნობით... შეთანხმების დარღვევა რაც ახალ ქართულში იჩენს თავს საშუალი ქართულის მემკვიდრეობაა. საშვალ ქართულში კი დარღვევების წყაროს დიალექტები წარმოადგენს...“ (კვანტალიანი 1983, 33).

„ზანურში ძირითად მიმართებით ნაცვალსახელს მხოლობითი რიცხვის ფორმაც აქვს (**ნ ა მ უ თ** = რომელიც) და მრავლობითისაც (**ნ ა მ უ ნ ე ფ ი თ** = რომლებიც), მაგრამ მხოლოობითი რიცხვის ფორმა ისეთ შემთხვევაშიც შეიძლება შეგვხვდეს, როდესაც კონტექსტით მრავლობითია მოსალოდნელი “ (აბესაძე 1960, 115).

სვანურში მაქვემდებარებელი წევრ-კავშირებისა და კავშირების გამოყენების შემთხვევები ნია აბესაძესთან გამიჯნულია: „ერთმანეთს მკვეთრად ეთიშება სახელით გამოხატული წევრების ამხსნელი და შემასმენლის ამხსნელი დამოკიდებული წინადადებები... სახელით გამოხატული წევრების ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებებში მაქვემდებარებელ წევრ-კავშირებად უმთავრესად მიმართებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული“ (იქვე, 108).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, შეიძლება იყოს ქვემდებარული, შემასმენლური, დამატებითი და განსაზღვრებითი: „ქვემდებარულს, შემასმენლურს და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებს მისამართ სიტყვად ნაცვალსახელი უჩანს, განსაზღვრებით დამოკიდებულს კი — არსებითი სახელი ან არსებითი სახელის მნიშვნელობის მქონე სხვა სახელი“ (კვანტალიანი 1983, 4).

ჩვენ მიერ განსახილველი მიმართებითი ნაცვალსახელი, ქართულის მსგავსად, ძირითადად განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გვევლინება, თუმცა იშვიათად შეიძლება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებაშიც შეგვხვდეს.

ბრუნვის მიხედვით მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის არანაირი სინტაქსური დამოკიდებულება არ არსებობს. მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვას, ქართულის მსგავსად, სვანურშიც დამოკიდებული წინადადების შემასმენელი განსაზღვრავს, ხოლო მისამართი სიტყვა ჩვეულებრივ მთავარი წინადადების შემასმენლისაგანაა მართული.

მიუხედავად ამისა, გვაქვს ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც. ნ. აბესაძემ ყურადღება მიაქცია ისეთ იშვიათ შემთხვევებს სვანურში, როდესაც მისამართი წევრი მიმართებით ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში: „ძველ ქართულში გავრცელებული ორი შემთხვევიდან პირველს (როდესაც მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს ეთანხმება ბრუნვაში, ხოლო მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მის ნაცვლად ნაცვალსახელი არ ჩნდება) სვანურში საერთოდ არა აქვს ადგილი... სვანურში, როგორც წესი, თუ მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელთანაა შეთანხმებული ბრუნვაში, მაშინ მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მისამართი სიტყვის მონაცვლედ ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში საკუთარ შემასმენელთან არის შეწყობილი, მაგ.: ა ლ დ ი ნ ა, **ხედუ̈ᲨᲐ** იგუ̈ანდა, ა ლ ა ს ხᲨ̈ქუ̈ე = ეს გოგო, რომელიც ტიროდა, ამას უთხრა“ (აბესაძე 1960, 114).

განსახილველ წევრთა ასეთი ტიპის ურთიერთობა მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ „... როდესაც მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს ეთანხმება ბრუნვაში, აუცილებელი ხდება მთავარი წინადადების მეორე ნაწილში საკუთარ შემასმენელთან შეწყობილი ჩვენებითი ნაცვალსახელის განმეორება, აშკარაა, რომ ბრუნვების მხრივ სინტაქსური ურთიერთობა მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის სვანურში თითქმის აღარა გვაქვს“ (იქვე, 115).

მსგავსი შემთხვევები, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმობრივი მსგავსება (ასიმილაციად წოდებული), ქართულშიც არა ერთი მკვლევრის მიერაა განხილული: „ფორმობრივი დამსგავსება შედარებით მეტად არის გავრცელებული ძველ ქართულში, უფრო ნაკლებად — გარდამავალი პერიოდის მწერლობაში, აქა იქ ამოტივტივდება ახალ ქართულში, განსაკუთრებით ზეპირ მეტყველებაში, აქედანაა შემოჟონილი სამწერლობო ენაშიც“ (კვანტალიანი 1983, 10).

მკვლევართა ერთი ნაწილი ასეთი ტიპის ურთიერთობას ფსიქოლოგიურ ფაქტორს უკავშირებს, რაც იმითაა განპირობებული, თუ რომელი წევრი წარმოითქმის პირველად: „მისამართი სიტყვის წარმოთქმას წინ უსწრებს მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოდგენა, — ასიმილაცია რეგრესულია. ამგვარი ასიმილაციის შემთხვევებია ქართულში. თუ მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოთქმას წინ უსწრებს მისამართი სიტყვის წარმოდგენა, ასიმილაცია პროგრესულია (მაგალითად ძვ. ბერძნულში)“ (დონდუა 1940, 331).

კ. დონდუას თვალსაზრისით, ამგვარი შემთხვევები არც ასიმილაციით და არც ფსიქოლოგიური ფაქტორით არ აიხსნება: „ჩვენ წინაშე არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური რთულ შეკავშირებულსა და რთულ დამოკიდებულ წინადადებას შორის“ (დონდუა 1949, 11).

ა. კიზირიას აზრით, „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის დასმა ერთსა და იმავე ბრუნვაში შეთანხმებით კი არაა გამოწვეული, არამედ მომდევნო შემასმენელთან დამოკიდებულებით... ასეთ კონსტრუქციებს კ. დონდუა „კომპრომისულ ფორმებს“ უწოდებს. ვიტყოდით მიმსამართი სიტყვის ბადალი (ნაცვალსახელის სახით) იმიტომ გაჩნდა, რაკი ასახსნელმა წევრმა გაწყვიტა სინტაქსური კავშირი მთავარი წინადადების შემასმენელთან და ბრუნვის ფორმით დამოკიდებული წინადადების შემასმენელს შეეთვისა...“ (კვანტალიანი 1983, 12).

მიუხედავად გარკვეული აზრთასხვადასხვაობისა საბოლოო დასკვნა მაინც ერთია, „ასახსნელი წევრ-კავშირის ფორმობრივი დამსგავსება ვერ ცვლის საერთო წესს; მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის ბრუნვის მიხედვით სინტაქსური დამოკიდებულება არ არის, რამდენადაც ისინი სხვადასხვა წინადადების წევრები არიან“ (იქვე,15.).

მისამართი სიტყვა მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, გარემოება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მსგავსი ფუნქციები აქვს მიმართებით ნაცვალსახელსაც დამოკიდებულ წინადადებაში და შესაბამისად იგი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვხვდება:

ღოშკიმპილს ეჯ ზურალ ანჭიდხ, **ხედუ̈ი** შუკუ̈ისა ხაბგდა (ლნტ. ქრ. 317) „ბოლოს ის ქალი მოიყვანეს, რომელიც გზაში ება“,

ქა̈ნჭა̈დ ეჯი მა̈რე, **ხედ-ი̄** || **ხედუ̈ა̈ჲ** სგობინ ხოჟოღუ̈დახ (ჩოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მოუძღოდათ“,

ეშხუ გუ̈ელჲა̈რშა̈პ, **ხედუ̈ა̈ჲდ** ა̈მირან ადურტყუ̈ე, ლეგდ ა̈დგრდა ი ქა̈დბე̄ლა̈ნ (ბზ. პრ. 95) „ერთი გველეშაპი, რომელმაც ამირანი ჩაყლაპა, ავად გახდა და გაიბერა“,

შუკუჟინ ალ დაჴუ ლახხუიდხ-ა, **ხედუჴანენმ** მინე მუ ადდაჴუშე (ბზ. პრ. 407) „გზაზე ეს დევი შეხვდათ, აი, რომელმაც დაღუპა მათი მამა“,

მიჩა ნაუმეკრის ი ნამუჭუჴრის, **ხედიდი** ადკაცე, იშგან ნომა ხაბრალი (ჩოლ.) „თავის გაუგებრობას და რქიანობას, რომელმაც დაღუპა, სხვას ნუ აბრალებს“,

უქმი მუკუშე მეზგე, ქა იკდა ზედმეტს ჟედ ლაძჟას, ჟედ ეშხუ საწურიან არაყს, **ხედისი** ქ'ანჭემნახ ლეთუნად ჩის (ლშხ. ქრ. 244) „უქმე დღეების გამტეხი ოჯახი, იხდიდა ზედმეტს ან საკლავს, ან ერთ ჩარექა არაყს, რომელსაც ჩამოატარებდნენ (გამოატარებდნენ) ყველას დასალევად“,

ხედუჴას ესერ ჭგშხარ მრმა ათჭკუერიხ, ეჩიშუ ესერ ლასუ ზურალ (ბზ. პრ. 290) „რომელსაც ფეხებს არ მოაჭრიან, იმისი იყოსო ქალი“,

ეშხუ მარე ლგმარ გუშკუეშმგყ, **ხედუჴს** ხაყენა სემი ჭყგნტარ (ლნტ. ქრ. 304) „ერთი კაცი ყოფილა ჩვენთან, რომელსაც ჰყოლია სამი ბიჭი“,

ღოშკინპილს ქა ხაღრისეხ ეჯის**, ხედიში || ხედუჴაშ || ხედუჴაში** (მარემიშ) ლას ნადჟან (ჩოლ.) „ბოლოს აღირსეს იმას, ვისიც იყო გოგო“,

მერმა, ჟედ მესმა ლეთ, **ხედუალეშ**, ტგტადიარს იჩომხ (ბზ. პ. 7) „მეორე, ან მესამე დღეს, რომელიმე (დღისთვის), ნაცრის პურს (რიტუალს) აკეთებენ (მიცვალებულის სულის საკურთხ რიტუალს აკეთებენ)“,

ეჯი თაკუს ხათხელნა, **ხედუჴაჟუშუ || ხედიუშ || ხედიუში** ოთგრმა დაუ (ჩოლ.) „იმ თოკს ეძებდა, რომლითაც დაუჭერია დევი“,

ეჩაშდუ ანკგ სერდე, **ხედუჴადი** ხიმკახის (ჩოლ.) „იმისთვის გეზრუნა, რომლადაც (რომლისთვისაც, ვისთვისაც) იგულვებდი (გულობდი)“,

უეჯი ლოქ ალფგრელი ე, **ხედუჴაშდი || ხედიშდიუჴა** ლოქ ოსგოშა საპნარ ლიც (ჩოლ.) „სწორედ ის გახმაო, რომლისთვისაც დაუსხიაო საპნიანი წყალი“...

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში აღნიშნული ნაცვალსახელი ყველა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და სინტაგმაში შემავალი მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსური (მართვით-შეთანხმებითი) ურთიერთობა, წინადადებაში მისი ფუნქციითაა განპირობებული.

სვანურში, მოქმედებითი ბრუნვაში წარმოდგენილი მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობითის ფორმით, ქართულის მსგავსად, არცთუ იშვიათია და ასახსნელ წევრთან ყოველთვის შეთანხმებულია:

ხედაარუში ანკდენი, **ეჯაარ** ემიცურ ლეშყუდიდ (ჩოლ.) „რომლებითაც მოხვალ, ისინი დამიტოვე გასარეცხად“,

ეშჟეში **ეჯაარს** ათტანტარე სგა, **ხედაარუჴაჟუში** ხუამურჯის ლიზის (ჩოლ.) „მაინცდამაინც იმათ წაეპოტინა, რომლებითაც ვაპირებდი წასვლას“,

ეჯაერუშ ეხკრდ აჯახ, **ხედაარუში** ამგნ სგობდ ეხიტხ (ჩოლ.) „იმეებით აწიე კვლავ, რომლებითაც ამას წინათ აწიე“,

ქა ტგხე **ნაგგრგაწლარს**, **ხედაარუში** ეშხუარ ხარცხუე ხალხს (ჩოლ.) „დააბრუნებს ნალაპარაკევებს, რომლებითაც ერთმანეთს ახოცავს ხალხს“

„ძვ. ქართულში მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებს, მრავლობითის წარმოება უჭირთ... ცხადია, მისამართი სიტყვის რიცხვი მოქმედებით და ვითარებით ბრუნვაში დასმულ მიმართებით ნაცვალსახელში არ აისახება... ახალ ქართულში **ებ** სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითს თავისუფლად აწარმოებს“ (კვანტალიანი 1983, 46-73).

არანაკლებ საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს ჰიპოტაქსის საკავშირებელი სიტყვებისა და ზმნა-შემასმენლის ურთიერთობაც სვანურში.

მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ეწყობა ქვემდებარედ ან ერთ-ერთი სახის დამატებად და პირველ სამ ბრუნვაში დგას, სინტაქსური ფუნქციის შესაბამისად ზმნა შემასმენლის მიერ იმართვის ბრუნვაში.

მიმართებითი ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, თუ იგი დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ან პირდაპირი დამატებაა, შემასმენელი კი I სერიაშია, მაგ:

ეჯი ადრი, **ხედი** ბეფუშს ღოშკინპილხო ასაცუირე (ჩოლ, საყდ.) „ის წავა, რომელიც ბავშვს ბოლოს ⌜კენ⌝ დაიტოვებს“...

ხოჩგლ **პელუან ხედუაჲ ლი, ეჯა** ქამენ გგემ ჭუადს (ჩოლ, საყდ.) „უკეთესი ხელოსანი რომელიცაა, ის გარეთ აშენებს კედელს“,

ქ’ანსკინე ჲერქდა **მახელუაუდ, ხედაარი** ქამ **ლგმგენელიხ** (ჩოლ.) „გადმოხტა ორივე ვაუკაცი, რომლებიც გარეთ მდგარან“,

ალე ლი ძინარა **მიუ**, **ხედუაჲ** ერ თელ ქვეყანას **ხომტუარე**, **ხედუაი** სკუებინ ხეკუეს ერ მაგ თაუყანიცემას **ლეშტაბდედ** (ლნტ. ქრ. 322) „ესაა დილის მზე, რომელიც მთელ ქვეყანას უნათებს, რომლის წინაც ყველა თაყვანს უნდა ვცემდეთ“,

ჩ’ოთშიდ სგობინჩუ ხუაჲ ძიუარალ, **ხედაარი** ემ **ანარიესდახ** (ჩოლ.) „დაუყარა წინ ბევრი მძივები, რომლებიც ანათებდნენ“

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მეორე სერიის გარდამავალი ზმნაა და მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარის როლს ასრულებს, მაშინ იგი მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება, მაგ.,

ხედუაჲდ ლოქ ხოჩა ჰარკალ ლაქვას, ეჯას ხაცეს ალ დიარ (ბზ. პროზ.159) „რომელმაც კარგი არაკები თქვას, იმას ჰქონდეს ეს პურიო“...

ეჯაარ ადქუერწლეხ, **ხედაარდი** ადა-ბაბას ოხგმნარეხ (ჩოლ.) „ისინი დააქორწინეს, რომლებმაც ტრადიციებს მოუსმინეს“,

ეჯ ქაჯ ხატუილდ' ე, **ხედუაადდ** მიჩა მუხუბე ადურტყუე (ბზ. პრ. 137) „ის ქაჯი ეძახის, აი, რომელმაც მისი ძმა ჩაყლაპა“,

ესღრი ალ მარე, **ხედუაადდ** ერე მიჩა მუხუბა ოთღორუე (ბზ. პრ. 223) „მიდის ეს კაცი, რომელმაც თავისი ძმა მოატყუა“,

როგორც ცნობილია, მიცემით ბრუნვაში მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია მაშინ, თუ იგი დამოკიდებული წინადადების ირიბი ან პირდაპირი დამატებაა, მაგრამ თვით შემასმენელი-ზმნა I სერიის ფორმითაა წარმოდგენილი (აბესაძე 1960, 111). ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურში, მაგ., ჩოლ.:

ათეურალდა ღოშკმე **ჯოგაარს**, **ხედდაარსუაი** ფარნაოზ **ხოჟოღუდა** (ჩოლ.) „ათვალიერებდა უკანა ჯოგებს, რომელთაც ფარნაოზი მოუძღოდა“,

ქუეყანა გაკს ალე აფთხგნე, **ხედაარსი** ჟი **მეშტხე ხარხ** პატრონ (ჩოლ.) „ყველას კაკალს ეს ფერთხავს, რომელთაც ამომწყდარი ყავთ პატრონი“,

ხუაა მგმრრუალას ახღელდახ, **ხედაარსუაა ხეკუეს ოთსკუხუანხ** მინე გუეშ (ჩოლ.) „ბევრ მედიატორებს ელოდნენ, რომელთაც უნდა მოეგვარებინათ (გადაეწურათ) მათი საქმე“,

ასეთ შემთხვევებში, როგორც ვხედავთ, სრულიად ქართულისებრი მდგომარეობაა, თუმცა მიმართებითი ნაცვალსახელები სვანურში, აღნიშნულ ბრუნვებში, სხვადასხვა დიალექტურ ნაირსახეობებს გვიჩვენებენ.

როგორც ცნობილია და არაერთგზის აღვნიშნეთ, მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ სინტაქსურად ორ წევრს უწევს ანგარიშს; რიცხვში მთავარი წინადადების იმ წევრს უთანხმდება, რომელსაც მიემართება, ხოლო ბრუნვაში იმართვის დამოკიდებული წინადადების იმ წევრისგან, რომელთანაც სინტაქსურ კავშირშია.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი თავადაც გვევლინება რიცხვში ზმნა-შემასმენლის მათანხმებელ წევრად და შესაბამისად, ერთდროულად, მართულ-შეთანხმებული და მათანხმებელია.

თუ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარეა შემასმენელსაც მრ. რიცხვში ითანხმებს, მაგ.:

ხედუაა ერ ლითუერის **ქ'ათაყეჩახ,** ეჯმინ ამეჩედელიხ აფხანიკი ლათხელიხო (ლნტ. 183.) „რომლებიც სწავლას შეეშვნენ, ისინი წასულან ამხანაგის საძებნელად“ (უკონტექსტოდ და ფორმის მიხედვით **ხედუაა** მხოლობითისაა),

ხედჲარშჷჲ კუიმტჲან ნინეშ **ლასხ,** ეჯჲარ ჯრდიას ჳრდახ (ჩოლ.) „რომლებიც ენაკვიმატიანები იყვნენ, ისინი შორს იყვნენ“,

ეშხუ-ჲერუ მჳრე ეღო ედქუთნი, **ხედჲარსი** აჯახ **ხობიცხ** (ჩოლ.) „ერთიორი კაცი თუ გაინძრევა, ვისაც კიდევ ერჩით ძალა“,

ქ'ჳნსკინეხ ჲერქდა მახეღუაყდ, **ხედჲარშჷჲ** ქჳმ **ლგმგენელიხ** (ჩოლ.) „გადმოხტნენ ორივე ვაჯკაცი, რომლებიც გარეთ მდგარან.

მიმართებითი ნაცვალსახელი წინადადებაში თუ გარდამავალი ზმნის ქვემდებარეა, იგი იმართვის ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში:

აგითე ლჳზჟი სგ'ენსიპეხ ალიარდ, ა, **ხედჲარდი ედსიმნეხ** ნაგგრგჳლ (ჩოლ.) „სახლში წასვლისას შემოიარეს იმათ(მა), აი, რომლებმაც გაიგონეს (ყურად იღეს) ნათქვამი...

აშყუდუდახ მჳდხუჳჲ ზურლჳლ, ხედჲარდშჷჲ **ოთბაცეხ** სგობნე ლადეღ ლიმურჯი (ჩოლ.) „რეცხავდნენ რამდენიმე ქალები, რომლებმაც პირობა მისცეს წინა დღეს დახმარების“,

ჟი ლუზგუე ლას ხშჳჲ ზურჳლ**, ხედჲარდი** ხოლა მიმან **ანსყეხ** (ჩოლ.) „შეგროვილიყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს“,

ქუეყანჳ კიტშარ ხასიპხ, **ხედჲარი იკედხ** ამეობას ლაკაშლს (ჩოლ.) „უამრავი კნუტები სტუმრობენ, რომლებიც იღებენ აქაურობას კნავილით“,

ეჯჲარ ადრიხ, **ხედჲჳრშჷჲ** ბეფშს ღოშკინპილხო **ესცშირეხ** (ჩოლ.) „ისინი წავლენ, რომლებიც ბავშვებს ბოლოს დაიტოვებენ“.

უნდა აღინიშნოს, რომ მისამართი სიტყვის მიერ მრავლობით რიცხვში შეთანხმებული მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა, ზმნა-შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს რიცხვში.

ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მრ. რიცხვით წარმოდგენილ მიმართებით ნაცვალსახელს, რომელიც დამატება ობიექტია, შემასმენელი შეიძლება შეეთანხმოს რიცხვში, შეიძლება არა, განურჩევლად იმისა, მიმართებითი ნაცვალსახელი სულიერი, თუ უსულო საგნის აღმნიშვნელია, მაგ.:

ეჩქა ეჯკჳლი მეგმარჳლს გარ იმჳჯახ, **ხედჲარსი** ლიც **ხენწრრლხ || ხედჲარსი** ლიც **ხენწრრლ** (ჩოლ.) „მაშინ მარტო ისეთ მორებს ეზიდებოდნენ, რომლებსაც წყალი **ერეოდათ || ერეოდა**“,

ქა ლეცშრე ხჳდახ ეჯ სოფლარ, **ხედჲარსი** ჟაჲობ **ხენტშენ || ხენტშენეხ** (ჩოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზვავი **ემუქრება || ემუქრებათ**“,

ქა ხოჟოღუდა ქუეყანამაგ ბოფშს, **ხედჲარი ხეჭამხ || ხეჭამ** აბარდაუშ (ჩოლ.) „მოუძღოდა უამრავ ბავშვს, რომლებიც **მოსდევდნენ || მოსდევდა** ჩქარა“,

სგ'ეთკულინან ზურალ-მარას, ხოშას ი ხოხრას, **ხედჲარსი ხონწყნარახ || ხონწყნარა** ათხად (ჩოლ.) „დაერია კაცს და ქალს, დიდს და პატარას, რომლებსაც **დაუწყნარებიათ || დაუწყნარებია** აქამდე“.

მიმართებითი ნაცვალსახელი , ასევე, შეიძლება იყოს პირმიუმართავი დამატების ამხსნელიც და შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც მხოლობითის ისე მრავლობითის ფორმით;

უოშა მაიდარ-მაფნარდ, ტუტუელაჲდ ი უზგალნად მირიწუა ში, **ხედჲარსი** აშ ხუეშყდიხუი მინე მაშყადისა (ჩოლ.) „ბევრი მშიერ-მწყურვალისთვის, შეუმოსავისთვის და უსაქმურისთვის გამიწვდია ხელი, რომელთაც სულ ემახსოვრებათ თავიანთ მახსოვრობაში“,

ხუაი უობელ-უოჯარდ ხოგუაკურება, **ხედჲარსი** აშამი დესა ხოტიხახ (ჩოლ.) „ბევრი ობლისთვის უპატრონებია, რომელთაც მადლობაც არ დაუბრუნებიათ“,

ეზარ ლასკიდარი ლი მგზაურიშუ, **ხედუაჲ** ასხრი ლენტეხაჲ აშარ-ლეჟა (ლნტ. ქ. 290) „კარგი საყურებელია მგზავრისთვის, რომელიც მიდის ლენტეხის გზაზე“,

უეჯი ლოქ ალფგრელი ე, **ხედუაჲშდი** ლოქ ოსგოშა საპნარ ლიც (ჩოლ.) „სწორედ ის გახმაო, რომლისთვისაც დაუსხიაო საპნიანი წყალი“,

ეჯი თაკუს ხათხელნა, **ხედუაჲუშუ** ოთგრმა დაუ (ჩოლ.) „იმ თოკს ეძებდა, რომლითაც დაუჭერია დევი“,

ეჯჲაერუშ ეხკრდ აჯახ, **ხედჲარუში** ამგნ სგობდ ეხიტხ (ჩოლ.) „იმეებით აწიე კვლავ, რომლებითაც ამასწინათ აწიე“,

იმჟი ხემუნდი აჯახ ეჯის, **ხედუაჲცახან** ალმაგ ხლაფორთს ლეხბეკენ (ჩოლ.) „როგორ ენდობი კიდევ მას, რომელთანაც ამდენ ხიფათს გადაეყარე“.

მიმართებითი ნაცვალსახელი **ხედუაჲ** მეტ-ნაკლები სიხშირით შეიძლება გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაშიც შეგვხვდეს:

მგხარ ესერ **ხედუაჲშთე** ქა ისპი დინა, ეჩიშ ესერუ ლასუ (ბზ. პ. 350) „ხვალ ვისკენაც გადაბრუნდებაო გოგო, იმისი იყოსო“,

აჩად ეჯ ფოყხან ე', **ხედუაჲხან** მერ აპარ (ბზ. ქრ. 133) „წავიდა იმ მხარისკენ, საითაც ბუზი გაფრინდა“.

ადგილის მიხედვით დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, შეზღუდული არ არის, იგი შეიძლება მთავარ წინადადებაში იყოს მოქცეული, ან მოსდევდეს, ან წინ უსწრებდეს მას.

ხოლო, თვითონ მიმართებითი ნაცვალსახელი ან დამოკიდებულის შიგნითაა მოქცეული, ან იწყებს წინადადებას, მაგრამ ყოველთვის წინ უსწრებს დამოკიდებული წინადადების შემასმენელს.

აღნიშნულ მიმართებით ნაცვალსახელზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მისი სინტაქსური ფუნქციები ქართულის ანალოგიურია და ქართულის მსგავსად შეუძლია აწარმოოს მრ. რიცხვი და შესაბამისად მართულ-შეთანხმებული და, ამავე დროს, მათანხმებელიცაა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქართულში მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის რიცხვში შეთანხმება, ყოველთვის არ დასტურდება. ამ მხრივ ძვ. სამწერლობო ენა ყველაზე მაღლა დგას, სადაც ნართანიან მისამართ სიტყვას ყველაზე უკეთ შესწევდა ამხსნელი სიტყვის შეთანხმების უნარი, ხოლო შეთანხმების დარღვევის შემთხვევები - ებ-იანი მრავლობითისა და დიალექტების გავლენითაა ახსნილი. სვანურშიც დასტურდება შემთხვევა, როდესაც მისამართი სიტყა მრავლობით რიცხვშია, ხოლო მიმართებითი — მხოლობითში. აგრეთვე, ხშირია აზრობრივი შეთანხმების შემთხვევებიც.

ზმნა-შემასმენლისა და მიმართებითი ნაცვალსახელის სინტაქსური ურთიერთობაც, ქართულის მსგავსად, მართვით-შეთანხმებითია. მისამართი სიტყვის მიერ მრავლობით რიცხვში შეთანხმებული მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა, ზმნა-შემასმენელს ყოველთვის ითანხმებს რიცხვში, ხოლო დამატება ობიექტის ფუნქციით გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი ხან ითანხმებს შემასმენელს, ხან — ვერა.

ლიტერატურა

აბესაძე 1960 — ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, თსუ შრომები, ტ-93, 1960

დონდუა 1940 — კ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის, ენიმკის მოამბე, V-VI, 1940

დონდუა 1949 — კ. დონდუა, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძვ. ქართულში თსუ შრ. XXXVII, 1949

კვანტალიანი 1983 — ლ. კვანტალიანი, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში, თბ, 1983

კვაჭაძე 1966 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ, 1966.

კიზირია 1969 — ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ, 1969

მარტიროსოვი 1964 — არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქრთველურ ენებში, თბ, 1964.

სვანური ენის ქრესტომათია, 1974

სვანური პროზა ტ. I, II.

N. Shavreshiani

Towads the syntactic relation between relative pronoun and correlative word in Svan

Summary

According to the study the syntactic function of relative pronoun xedi || zeda "which" is analogous of Georgian and like Georgian it can produce plural and accordingly at the same time – ruled-co-odinated form and it can also give it its own shape.

Like Georgian there are examples of the occasion in Svan, when corelative word is in plural and relative pronoune is in singular. There also exist ceses of semantic egreement in Svan.

Like Georgian, syntactic relation between predicate and relative pronoun is coordinated. Relative pronoun that is coordinated by correlative word in plural, which is subject of subordinate clause, it always assents predicate in number and relative pronoun with the function of object sometimes assents predicate and sometimes does not.

მზექალა შანიძე

ვაჟა-ფშაველა და ქართული სალიტერატურო ენა

ფშავში დაბადებულმა ლუკა რაზიკაშვილმა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისშივე შეარჩია საკუთარი წარმომავლობის მაჩვენებელი ფსევდონიმი — ვაჟა-ფშაველა (ფშაველი კაცი); ამავე სახელით შევიდა იგი ქართულ მწერლობაში, როგორც მწერალი-კლასიკოსი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად.

ფშავი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხეა, კავკასიონის ქედის სამხრეთ არეალში. საკუთრივ ფშავი არაგვის ხეობაშია და მიჰყვება ფშავ-ხევსურეთის არაგვის ორსავე ნაპირს. ფშავი უფრო ახლოა საქართველოს ბართან, ვიდრე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ხევსურეთი. მთის კილოთაგან ფშაური ყველაზე უფრო ახლოა ბარის კილოებთან ფშავის გეოგრაფიული მდებარეობის გამო (1,15), თუმცა მან ე. წ. „ფხოური ჯგუფის“ სხვა დიალექტებთან (ხევსურულთან, თუშურთან) ერთად შეინარჩუნა მთის კილოთათვის დამახასიათებელი მრავალი თავისებურება: ძლიერი ხახისმიერი ჴ (1, 16; 2, 33) ფონემა, რომელსაც არამცთუ უცხოელი, ვერც ბევრი ბარელი ქართველი წარმოთქვამს; განსხვავებული ინტონაცია და მელოდიკა (2, 13); მრავალი გრამატიკული არქაიზმი და სპეციფიკური, ხშირ შემთხვევაში არქაული ლექსიკა. არ არის გასაკვირი, რომ მთის ვიწრო ხეობებში მკვიდრი მოსახლეობის მეტყველება, ბარის მცხოვრებთაგან მეტ-ნაკლები იზოლაციის პირობებში, განსხვავებული იყოს — ანალოგიისათვის შვეიცარიის გერმანული კილოკავები შეიძლება დავასახელოთ; ამავე დროს ისიც უნდა ითქვას ხაზგასმით, რომ ქართული კილოები, ქართული ენის „კონსერვატიული“ მორფოლოგიური სტრუქტურის გამო (რაც ისტორიულად წერილობითი წყაროებით არის დადასტურებული), საერთო-ქართულ მოდელს იშვიათად სცილდება. ურთიერთგაგებინება სხვადასხვა კილოზე მოლაპარაკე ქართველთათვის სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს.

ფშაური კილო იყო ის ენა, რომელიც ვაჟა-ფშაველას ბავშვობაში ესმოდა დედისაგან; ამ კილოზე აიდგა მან ენა და ისწავლა ლაპარაკი.

ამავე დროს, ქართული მწერლობის ენა მომავალი მწერლისათვის ასევე ნაცნობი იყო ბავშვობიდან. მამამისი, მღვდელი პავლე რაზიკაშვლი, პატარა ლუკას წერა-კითხვას ასწავლიდა, უკითხავდა და უყვებოდა კლასიკური ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. გორის საოსტატო სემინარიაში, სადაც ვაჟა-ფშაველა სწავლობდა, იგი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, რაც ქართულ მწერლობას, ენასა და ისტორიას შეეხებოდა.

ქართული კლასიკური მწერლობის ენა და მშობლიური დიალექტი არის ორი ძირითადი წყარო ვაჟა-ფშაველას ენისათვის. პარადოქსულად შეიძლება მოეჩვენოს კაცს ის გარემოება, რომ სწორედ ვაჟა-ფშაველას ენა გახდა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ვაჟა-ფშაველას — პოეტის, მწერლის, პუბლიცისტისა და ეთნოგრაფის — შემოქმედების არაერთგვაროვანი შეფასებისა; ადრევე გამოითქვა აზრი, რომ მისი ენა მხოლოდ „სათემო ენა“ (ე. ი. დიალექტი) იყო, ხოლო თვით ვაჟა-ფშაველა — უბრალო ხალხური მთქმელი და მოშაირე.

ვაჟა-ფშაველას ენისა და სალიტერატურო ქართული ენის ურთიერთმიმართება რთული და საინტერესო საკითხია. პარადოქსულია ისიც, რომ ვაჟა-ფშაველას შესახებ არსებულ უზარმაზარ ლიტერატურაში ყველაზე ნაკლები ადგილი სწორედ მისი ენის შესწავლას აქვს დღესდღეობით დათმობილი.

მცირე წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ რთული ფენომენის — ვაჟა-ფშაველას ენის — მეტი თუ ნაკლები სისრულით განხილვა; ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმ ძირითადი საკითხების აღნიშვნით, რომლებიც ამ პრობლემაზე მიუთითებენ.

ვაჟა-ფშავებამ თავისი სამწერლო საქმიანობა მაშინ დაიწყო, როდესაც ახალი ქართული სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარების პრობლემა უკვე საკმაო ხნის განმავლობაში ცხოველი ინტერესის საგანი იყო ქართული მოწინავე საზოგადოებისათვის. XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამწერლობო ენას მძიმე ტვირთად აწვა XVIII ს. დიდი მოღვაწისა და მეცნიერის, კათალიკოს ანტონ პირველის ავტორიტეტით განმტკიცებული ენა; იგი რეალურად ძალზე განსხვავდებოდა როგორც ძველი ქართული სამწერლობო ძეგლთა უმეტესობის ენისაგან, ისე თვით ანტონისდროინდელ ცოცხალ სალაპარაკო ქართულისაგან. ილია ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი წერილი რ. ერისთავის მიერ შესრულებული

ერთი თარგმანის შესახებ გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. და ამ დროიდან დაწყებული, იგი სათავეში ედგა ბრძოლას ახალი სალიტერატურო ენისათვის. (3, 1) ილიას ენა მიაჩნდა ეროვნების არსებით ნიშნად; ახალი, ხალხური სამწერლობო ენის დამკვიდრება ილია ჭავჭავაძისა და სხვა „სამოციანელების“ ეროვნული და სოციალური პროგრამის ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რასაც ადასტურებს ილია ჭავჭავაძის ცნობილი ფორმულა: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ამიტომ მსჯელობა და კამათი ენის შესახებ არ იყო მხოლოდ აკადემიური, თეორიული ხასიათისა; ახალი ქართული სამწერლობო ენის ჩამოყალიბება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას უკავშირდებოდა. საქართველოში XX საუკუნემდე არ არსებობდა იმდროინდელი ევროპული ენათმეცნიერების დონის ლინგვისტური სკოლა. დ. ყიფიანის გრამატიკამდე (1862) ქართველი ავტორები მისდევდნენ ტრადიციულ აზრს, რომ გრამატიკა „სწორად წერისა და სწორად მეტყველების მიზანს“ ემსახურება; ილია ჭავჭავაძეს არსებითად მოუწია ყამირის გატეხა; თავისი ნიჭისა და ერუდიციის წყალობით მან ქართული ენის შესახებ თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მრავალი დებულება გამოთქვა; ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ენის საკითხებზე მსჯელობაში ჩაერთო მრავალი მონაწილე, რათა სადავო ენობრივი ფორმები განეხილათ. „საგრამატიკო“ პაექრობაში, რომელიც საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა XIX ს. მიწურულში, მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ზაქარია ჭიჭინაძე, სილოვან ხუნდაძე (შემდგომში ცნობილი გრამატიკის ავტორი) და სხვები (4). პრესაში ბევრი საკითხი იყო განხილული (მათ შორის ისეთიც, რომელიც აქტუალურია თანამედროვე ქართული ენის სალიტერატურო ნორმების თვალსაზრისითაც); მაგრამ იმ დროს, როდესაც ქართული ენის მრავალმხრივი მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, კამათში მონაწილეთა მსჯელობას ხშირად აშკარად აკლდა მეცნიერული სიზუსტე. სწორედ ამ ვითარებაში მოუხდა ვაჟა-ფშაველას თავისი სამწერლობო მოღვაწეობის დაწყება. მასთან ერთად, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდნენ მისი ძმებიც: თედო („ბაჩანა“) და ნიკო. ინტერესს „მთის მწერალთა“ მიმართ პირველ რიგში განაპირობებდა ინტერესი მათი თემატიკისადმი: მთა, თავისი ლეგენდებით, პოეზიით, ყოფით და ზნე-ჩვეულებებით ალექსანდრე ყაზბეგამდე (1848-1893) და ვაჟა-ფშაველამდე ქართველი მკითხველისათვის სრულიად უცნობი იყო. ქართული ენის მიმართ გაცხოველებული ინტერესის პირობებში ვაჟა-ფშაველას თავისებუ-

რი ენა — „ფშაური კილო“ სულ მალე იქცა მსჯელობისა და დავის საგნად. XIX ს. მიწურულში დაწყებული დავის უკანასკნელი გამოძახილი XX ს. 50-იან წლებს უნდა მივაკუთვნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებული ადგილი ქართულ მწერლობაში და ვაჟა-ფშაველას დიდი როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის შექმნაში საყოველთაოდ იყო აღიარებული მკითხველთა და მეცნიერთა მიერ. უნდა გავიმეოროთ ისიც, რომ ვაჟა-ფშაველას ენა ლინგვისტური ასპექტით ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული პროდუქცია თავიდანვე მრავალფეროვანი იყო: ეთნოგრაფიული წერილები, მოთხრობები, ლექსები, პოემები. მისი პროზის ენა იმთავითვე სალიტერატურო ქართულის ნიმუშს წარმოადგენდა; ამას არაერთგზის აღნიშნავდნენ მასთან მოკამათენიც. ფშაური კილო უმთავრესად ვაჟა-ფშაველას პოეზიაში ვლინდება.

წინამდებარე წერილში შეუძლებელია ვაჟას ენისათვის დამახასიათებელი „ფშავიზმების“ ვრცლად განხილვა, შეიძლება მხოლოდ ორიოდე მაგალითის დასახელება, იმის საჩვენებლად, თუ რას შეეძლო ყურადღება მიექცია მწერლის ენაში, როგორც დიალექტიზმს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სხვადასხვა ხასიათის დიალექტიზმებისაგან თავისუფალი არ იყო თვით მათი ენა, ვინც ვაჟას ეკამათებოდა. ფონეტიკური და გრამატიკული დიალექტიზმები, სალიტერატურო ნორმირებული ენისათვის დღეს მიუღებელი, თვით ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ენაშიც გვხვდება; თუ ვაჟა-ფშაველას ენამ ამ მხრივ მიიპყრო ყურადღება, ეს იმიტომ იყო, რომ მთის კილოებისათვის და მათ შორის ფშაურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმები ძალზე განსხვავებულად აღიქმებოდა იმათ მიერ, ვინც სალიტერატურო ენის საფუძვლად თვლიდა ბარის კილოებს. ფონეტიკური და გრამატიკული დიალექტიზმები ვაჟა-ფშაველას ენაში უმეტეს შემთხვევაში „გამჭვირვალეა“ და ადვილად გასაგები: პირველთა ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: **ბატარა** (პატარა), **ფთიანი** (ფრთიანი), **ქობი** (ქვაბი).

მრავალი გრამატიკული ფორმა, რომელიც მწერლისათვის ბუნებრივია (და დღესაც არის შენარჩუნებული როგორც ფშაურში (2, 52), ისე მთის სხვა კილოებში) ძველი ქართული ენის ნორმებს მისდევს. ასეთებია მრავლობითის ძველი ფორმები: **დღენი** (დღეები), **სპარსთა** (სპარსელებმა). უნდა შეინიშნოს, რომ იდენტურ ფორმებს ხანდახან ილია ჭავჭავაძეც ხმარობს (**ორბნი, არწივნი**). საზოგადოდ, მრავლობითის ეს ფორმა თანამედ-

როვე ქართულისათვისაც არ არის უცხო: იგი გვხვდება აღმოსავლურ კილოებში და დღესაც გამოყენებულია პოეზიაში და მეცნიერულ პრაქტიკაში. ზოგიერთი ბრუნვის ფორმას ვაჟა-ფშაველა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მნიშვნელობით ხმარობს: **გულით** (გულიდან) ამაძრო ისარი: **სარკმლით** (სარკმლიდან) ხმა მესმე. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი თანდებულიანი ნათესაობითის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმებია: **დედისად** (დედისათვის), **მეგობრისადა** (მეგობრისათვის).

ხმარობს ვაჟა-ფშაველა ე. წ. ორმაგ ბრუნებას, როდესაც მართული მსაზღვრელი საზღვრულის ნიშნებს ირთავს: ცაში **მფირნველნი ცისანი** (ცის ფრინველები), დაბლა — **თევზნი წყლისანი** (წყლის თევზები). ეს ფორმები, ისევე როგორც არქაული მრავლობითი, თანამედროვე ქართულ პოეზიაში იშვიათი არაა; მაგალითია: **ძალნი ზეცისანი** (ზეცის ძალები), **დაცხრობა მზისა** (მზის დაცხრობა) — თანამედროვეობის ცნობილი პოეტის ანა კალანდაძის ლექსებში.

სპეციფიკურია მზის არქაული ფორმები: ხოლმეობითები, რომლებიც მოქმედების მრავალგზისობას გამოხატავენ: **მოვიდის** (მოვიდოდა ხოლმე), **ჰკრეფდიან** (კრეფდნენ ხოლმე). ხოლმეობითის ორივე ფორმა (უწყვეტლისა და წყვეტილისა) თანამედროვე ფშაურშიც არის შემორჩენილი. საგულისხმოა, რომ ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ხოლმეობითების მაგალითები ისევე, როგორც მრავალი სხვა გრამატიკული არქაიზმისა, სწორედ ვაჟას თხზულებებიდან არის აღებული (5, 210).

აქა-იქ შეინიშნება პირდაპირი ობიექტის ასახვა ზმნაში ენ/ნ სუფიქსით, რაც აგრეთვე ძველი ქართულის ნორმებს შეესაბამება: **ვნახენ ყორენი**; **აბჯარნი მისცნა**.

შეიძლება აგრეთვე დავასახელოთ ვაჟას ენაში II თურმეობითის „მოკლე“ ფორმები, რომლებიც ძველ ქართული გვხვდება: ლოცვა არ **დაესრულა** (დაესრულებინა), რომ ცამ დაიჭექა; ზედ ძაძა **გადაეფარათ** (გადაეფარებინათ) (5, 440). დიალექტური ფორმებია: **დასდევნებიყო** (დასდევნებოდა), რკინა **ჰქონიყო** (ჰქონოდა) გულადა; ე. წ. დინამიკურ ვნებითებში (ი და ე პრეფიქსიანებში) მრავლობით რიცხვში -ენ სუფიქსია ჩართული, როგორც ძველ ქართულში: **დავიბადენით**, **აღვიზარდენით** (დავიბადეთ, აღვიზარდეთ). (6, 125) ეს ფორმა დღესაც გვხვდება ბარის ზოგიერთ კილოში (კახურში). ვნებითი გვარის სპეციფიკური ფორმებია: რად არ **გებრალვი** (გებრალები); **იმალვის** (იმალება).

ხმარობს ვაჟა ძველ ქართულში დადასტურებულ კითხვით ნაწილაკს: არ **გიყვარვარა** (გიყვარვარ); არ **იცია** (იცი) და სხვ.

ვაჟას ენაში არის ისეთი დიალექტიზმები, რომლებიც უცხოა ძველი ქართულისათვის (ზოგიერთი მათგანი მთის სხვა კილოებშიც მოიპოვება): მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ე. წ. ლოკალური ბრუნვების ფორმები: **მინდორშიით** (მინდვრიდან) მოსული; **სახლშიით** (სახლიდან). თავისებურია I თურმეობითის ფორმები: კარგი **გაგიზდავ** (გაგიზრდია), **დაგიმშვენებავ** (დაგიმშვენებია) მინდორი (2, 108); თავისებურია ე. წ. სტატიკური ვნებითი, რომელთა ხმარება ვაჟას ენაში საკმაოდ ხშირია; ამგვარი ზმნების ერთი ნაწილი სალიტერატურო ენაში საერთოდ არ ჩანს: კუდი **ღბავ** (აბია, ე. ი. აქვს), თვალები **უბღვერია** (დაბღვერილი თვალები აქვს), ჯაჭვ **სცვავ** (აცვია), **აგროვია** (დაგროვებულია), **ვემწყვდიეთ** (დამწყვდეული ვიყავით). ასეთი ფორმების გაგება კონტექსტის მიხედვით მკითხველისათვის ძნელი არასოდეს ყოფილა.

არქაიზმები შეიმჩნევა ვაჟას ლექსიკაშიც: **დაყმედა** (დამშევა, შიმშილი), **როკვა** (ცეკვა), **კელობა** (კოჭლობა), **სირი** (ჩიტი, ფრინველი). (7, 9) ვაჟა-ფშაველას მიერ ნახმარი ლექსიკური არქაიზმების უმეტესობა აქტიურ ლექსიკაში შედის არა მხოლოდ ფშაურში, არამედ მთის სხვა კილოებშიც (ხევსურულში, თუშურში). ვაჟა-ფშაველას ლექსიკაში ისეთი სიტყვებიც არის, რომლებიც მკითხველისათვის უჩვეულო იყო, რადგან მათი უმეტესობა ბარის კილოებში ან სულ არ არის, ან სხვა მნიშვნელობის მქონეა: **გალო** (გრძელი ძვალი), **ბოინი** (გროვა), **ყოტი** (ბაყაყი), **აბოყირება** (არევ-დარევა, აშლა), **ყინჩი** (კარგი).

ვაჟა-ფშაველას ენის თავისებურებებმა მის სიცოცხლეშივე მიიპყრო ყურადღება: რეაქცია მისი ადრეული ნაწარმოებების — პოეზიისა და პროზის — გამოქვეყნებას მოჰყვა. იმდროინდელ კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ვაჟა-ფშაველას ენას იწუნებდა; ზოგიერთ მათგანს მწერალმა თვითონვე გასცა პასუხი. გარდა ამისა, თავისი შეხედულებანი ენის შესახებ ვაჟა-ფშაველას გამოთქმული აქვს სხვა პუბლიცისტურ წერილებშიც, რომლებიც ქართულ მწერლობას ეხება. უთანხმოების საგანი ვაჟა-ფშაველასა და მის კრიტიკოსთა მსჯელობაში კვლავ სალიტერატურო ენაში დიალექტური ფორმების შემოტანა იყო. ვაჟა-ფშაველას, ისევე როგორც მის კრიტიკოსთა უმრავლესობას, ფილოლოგიური განათლება არ მიუღიათ. მაგრამ მისი პოზიცია ამ საკითხში, დამყარებული ქართული მწერლობისა და საკუთარი მშობლიური კუთხის მეტყველების ღრმა ცოდნაზე, შემაგრებული მწერლის ენობრივი ალღოთი

და ინტუიციით, იყო მტკიცე და თანამედროვე თვალსაზრისით სრულიად გამართლებული. ამას არ ცვლის არც ის გარემოება, რომ კონკრეტულ საკითხებში (კერძოდ, ცალკეული სიტყვების ეტიმოლოგიაში) ვაჟა ზოგჯერ ცდებოდა და ე. წ. „ხალხურ ეტიმოლოგიებს“ იძლეოდა[1].

1888 წ. „ივერიაში“ დაიბეჭდა პ. მირიანაშვილის ორი წერილი. პირველში („საერო ენა და სათემო კილო“) ავტორი სალიტერატურო ენის საფუძვლად ზემო ქართლურს (ე. ი. ცენტრალურ) დიალექტს მიიჩნევდა და სინანულით აღნიშნავდა: „დღეს ჩვენს მწერლობაში რამდენი მწერალია, იმდენივე ენაა, ე. ი. რა თემისაც არიან, იმ თავის ენით სწერენ და ზოგიერთი ხომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს“. პ. მირიანაშვილმა დაუწუნა ვაჟა-ფშაველას „ჩამორჩენილი გრამატიკებრი ფორმები“ (ე. ი. არქაიზმები) და „მეტხორცი“ (ე. ი. სალიტერატურო ენისათვის უცხო) სიტყვები. როდესაც ვაჟა-ფშაველამ ამ წერილს პასუხი გასცა, კრიტიკოსმა მეორე წერილი დაწერა ვაჟა-ფშაველას გამოთქმულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ (8, 164).

კრიტიკოსის პირველი წერილის საპასუხოდ ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა, რომ იმდროინდელ ახლადჩამოყალიბებულ სალიტერატურო ენას, სიახლის გამო, „ბევრი სიტყვა აკლია“. ვაჟა-ფშაველა აუცილებლად მიიჩნევდა ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ცოცხალი სალაპარაო ენიდან აღებული სიტყვებით: „ერი დედაა ენისა. იგი ჰბადებს და ზრდის ენას, როგორც დედა შვილს“. ვაჟა-ფშაველა აქვე აღნიშნავდა, რომ ფშაური კილო ახლოა ძველ ქართულთან; ეს სიახლოვე ვაჟა-ფშაველას ნაკლად კი არა, ღირსებად მიაჩნდა, მისი აზრით, რადგან ენას „ფესვები წარსულში აქვს გადგმული“. ამავე დროს, მას აუცილებლად მიაჩნდა ენის გამდიდრება ახალი სიტყვებით: „ენა მდიდრდება ახალის სიტყვებით, რომლებიც საჭიროა ახალთა ცნებათა გამოსახატავად“. ვაჟა-ფშაველამ ამ წერილში დაასახელა რამდენიმე მაგალითი სიტყვებისა, რომელთა შესაბამისი ლექსიკური ერთეული ბარის კილოებში არ არსებობს, იმიტომ რომ „ბარად თვით ეს საგანი არ არსებობს“. აქვე აღნიშნა ვაჟამ ზოგიერთი გრამატიკული ფორმა, რომელიც ბარის ენაში არ იხმარება, ფშაურში კი არის (კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსები) (3, 64).

ფშაური კილოს დადებით მხარედ ვაჟას მიაჩნდა ის, რომ მასზე ნაკლები გავლენა ჰქონდა უცხო ენებს (თურქულს, სპარსულს, არაბულს). კონკრეტული მაგალითები მწერალს არა აქვს დასახელებული: დიალექტოლოგიური მასალიდან ჩანს, რომ ამგვარი ელემენტები არის დადასტურებუ-

[1] ლაშქარ-ლაშ+ქარ, თხზ. IX,161.

ლი მთის კილოებში (დარბაზი, დევი, დუნია, დუქარდი, მუქარა, საანჯმნო, ონარი), მაგრამ მათი ხვედრითი წონა მთის კილოებში და კერძოდ, ფშაურში, კიდევ კვლევას მოითხოვს.

ვაჟა-ფშაველამ კარგად იცოდა არა მხოლოდ ფშაური, არამედ მთის სხვა დიალექტებიც (ხევსურული, მოხეური) და თვის კრიტიკოსს უკიჟინებდა მათს უცოდინარობას; მაგ., მას მოჰყავს წოდებითი ბრუნვის განსხვავებული ფორმები ფშაურსა და მოხეურში და აღნიშნავს, რომ უკანასკნელი, განსხვავებით მისი კრიტიკოსის აზრისაგან, მათ თავის ნაწერებში ნახმარი არასოდეს არ აქვს. ვაჟა-ფშაველა ხევსურულ მეტყველებასაც კარგად იცნობდა;[1] მისი ნაწარმოებები, რომლებიც ხევსურთა ყოფა-ცხოვრებაზეა დაწერილი, თითქმის პროფესიული ლინგვისტური სიზუსტით გადმოსცემს ხევსურული დიალექტის თავისებურებებს, ისევე როგორც მის თხზულებათა უმეტესი ნაწილი — ფშაურისას.

თავის მეორე წერილში პ. მირიანაშვილი კვლავ უწუნებდა ვაჟა-ფშაველას არქაული ფორმების ხმარებას, იქვე იგი აღნიშნავდა, რომ კუთხური ფორმები ძირითადად ვაჟა-ფშაველას პოეზიაში გვხვდება, ხოლო მისი პროზა „კარგი ქართულით არის დაწერილი“. ისიც უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსმა დადებითად შეაფასა ფშაურში არსებული ხატოვანი თქმები, იდიომები, შედარებები და გამართლებულად მიიჩნია სამწერლობო ენაში მათი შემოტანა. ეს პირველივე უარყოფითი შეფასება ვაჟა-ფშაველას ენის ზოგიერთი თავისებურებისა არსებითად მოიცავს ყველა იმ ბრალდებას, რომელსაც ვაჟას შემდგომშიც უყენებდნენ მისი მოწინააღმდეგენი. იგი გამოძახილს პოულობს თითქმის ყველა კრიტიკულ წერილში, რომელშიც მათ ვაჟა-ფშაველას ენა აქვთ განხილული. ასევე, ვაჟა-ფშაველამ თავის პირველსავე წერილში, რომელიც ენას შეეხებოდა, მკაფიოდ გამოთქვა თავისი შეხედულება სალიტერატურო ენისა და დიალექტის დამოკიდებულების შესახებ, იგივე აზრი აქვს მას გამოთქმული სხვაგანაც, და ბევრი საინტერესო მოსაზრებაც აქვს დამატებული. ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად ვაჟა-ფშაველას რუსთველისა და დავით გურამიშვილის ენა მიაჩნდა (მშობლ. დიალ. ცოდნა — ჭინჭარაული, უნივ. კრებ. 228). (9, 16) სტატიაში Pro domo sua (ეს სათაურიც საგულისხმოა) ვაჟა-მფაველამ აღნიშნა, რომ ხალხური მეტყველების გამოყენება მწერლობაში მას რაფიელ ერისთავის მაგალითმა გააბედვინა. აქვე იგი ასახელებდა ისე მწერლებს, რომელთა ენაზეც ხალხურმა ენამ მოახდინა ზენავლენა — პუშკინსა და დოსტოევსკის (9, 179).

[1] კილო ხევს. ლექსებისას ფშავლისასა ჰგავს..., თხზ. IX, 51.

ვაჟა-ფშაველას ენას შეეხო ქართული ლიტერატურის კლასიკოსად მის სიცოცხლეშივე აღიარებული აკაკი წერეთელიც. მან ასევე სადავოდ მიიჩნია დიალექტიზმების სიჭარბე ვაჟას პოეზიაში, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“ ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში. აკაკი წერეთელი თვლიდა, რომ შესაძლებელია სალიტერატურო ენის შევსება დიალექტური მასალით, მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო ენაში„ პროვინციული“, დამახინჯებული ენობრივი ფორმების შემოტანისა (10; 33). თავისი თვალსაზრისი მან უფრო გვიან (1913 წ.) გამოხატა თავის ცნობილ ლექსში, სადაც სწერდა: „ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო“, თუმცა ამავე ლექსში იგი ვაჟა-ფშაველას „მარგალიტების მთესველს“ უწოდებდა და ლექსის ბოლოს მთის მკვიდრთ „ძმურ სალამს“ უთვლიდა. 1913-1914 წლებში ა. ვართაგავა უსაყვედურებდა ვაჟას, რომ სი ნაწარმოებში „ეროვნული და საკაცობრიო“ აზრები გახვეულია „ფშაურს სამოსელში“ (8, 168).

საბოლოოდ თავისი აზრი ვაჟა-ფშაველამ ენის საკითხებზე გაიმეორა ლექსში „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ (1913), რომელიც მისი მრწამსის პოეტური გამოხატვაა. ლექსში ჩანს დიდი მოკრძალება აკაკი წერეთლის მიმართ, მაგრამ ვაჟა-ფშაველამ თავისი პოზიცია მტკიცედ დაიცვა და კითხვა შეუბრუნა მხცოვან პოეტს მისივე სიტყვებით: „რა ღმერთი გამიწყრა მარგალიტების მფლობელსა, რომ თავის უშნო ენითა ვერას ვაგონებ მშობელსა?“ მშობელი კი ვაჟა-ფშაველასათვის ქართული ენაა. ამიტომცა კითხულობს იგი გაკვირვებით: „იქნებ მე, ჩემმა ენამა სამშობლო დავაღონეთა?“ გულისტკივილი ჩანს სიტყვებში „უვარგისობის მიზეზი ფშავლობა არის სწორედა“, ხოლო ფშაური კილო ვაჟა-ფშაველასთვის „მოძღვნილი არის მთის მიერ“; მაგრამ მისთვის მთა მისი მთლიანი სამშობლოს ნაწილია: „აქაც ხომ ქართველები ვართ... ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად, მთიელთ სამშობლო თავისა“. ვაჟა-ფშაველა თავის კილოსაც იცავს და ტკივილნარევი ირონიით კითხულობს: „ენა მთისა სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა; იქნებ აკლია — არ ვიცი, — ამ ლომს სინაზე ქალისა“. თავისი საბოლოო აზრი მან გამოხატა სიტყვებით: „გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა; მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა“.

მთელი ეს პოლემიკა არსებითად ცალმხრივი იყო: კრიტიკოსთა მიერ გამოთქმული შენიშვნები ვაჟა-ფშაველას ენის მხოლოდ ერთ მხარეს შეეხებოდა. რა თქმა უნდა, ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების საკითხი მეტად აქტუალური იყო XIX ს. მეორე

ნახევარში; მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგადი ხასიათის შენიშვნები ვაჟა-ფშაველას ენის „ფშაურობის“ გამო ერთგვარად ჩრდილავდა მის დიდ როლს ახალი ქართული სალიტერატურო ენის შექმნაში. XX ს. მეორე ნახევარში ვაჟა-ფშაველას ფენომენმა ქართველ მკვლევართა ყურადღება მიიპყრო; ძალზე ბევრია გაკეთებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედების, მისი წყაროების, მხატვრული მსოფლმხედველობის, პოეტიკის შესასწავლად (გრ. კიკნაძე), მაგრამ ვაჟა-ფშაველას ენის საკითხი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღესაც მოითხოვს ღრმა და საფუძვლიან შესწავლას.

საინტერესო მასალას ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ იძლევა მონაცემები ვაჟა-ფშაველას ლექსიკის შესახებ, რომელიც შესულია 1950-1964 წლებში გამოქვეყნებულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ცალკე ერთეულებისა თუ საილუსტრაციო მასალის სახით; ირკვევა, რომ ციტაცია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებიდან უტოლდება ციტაციას ილია ჭავჭავაძის თხზულებებიდან და ზოგიერთ ტომში სჭარბობს კიდევაც მას (IV ი. ილია ჭავჭ. ციტაცია 6%, ვაჟა — 11%). ციტატებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებებიდან კი ლექსიკონში საშუალოდ 25% უჭირავს.

ვაჟა-ფშაველას ენა შეიძლება (11, 207) განხილული იყოს მხოლოდ მწერლის მსოფლმხდველობისა და მხატვრული შემოქმედების კონტექსტში. ვაჟა-ფშაველას სიუჟეტური კონტურები ხშირად ფოლკლორულ მასალაზეა აგებული და ხალხურ თქმულება-ლეგენდათა ელემენტებს იყენებს. მაგრამ არაფრით არ შეიძლება ვაჟა-ფშაველა გავიგოთ ხალხურ მთქმელთან, რომელიც, ზოგჯერ წერა-კითხვის უცოდინარი — მხოლოდ თავისი კუთხის ენით მეტყველებს. ვაჟა-ფშაველას პროზა, როგორც მისი ყველა კრიტიკოსი აღნიშნავდა, იმთავითვე სანიმუშო იყო. „ფშავიზმები“ ყველაზე თვალსაჩინოდ ვაჟა-ფშაველას პოეზიაში ჩანს. დიალექტიზმის ხმარებას მისთვის შინაგანი აუცილებლობა განსაზღვრავს. თავისი ყველაზე სათუთი, ინტიმური გრძნობების გამოსახატავად ვაჟა-ფშაველა იმ დიალექტს მიმართავს, რომელზედაც მან ენა აიდგა; ფშაური დიალექტი პოეტისათვის ემოციურად არის დატვირთული; ამ მხრივ ვაჟა-ფშაველა შეიძლება შევადაროთ რობერტ ბერნსს, ვაჟას პოეზია კი — ბერნსის „შოტლანდიურ“ პოეზიას. როდესაც ვაჟას ლექსში დიალექტური **ყოილი (ყვავილი)** გვხვდება, ეს იმიტომ არის, რომ მთაში გაზრდილი და მთის ყოველი მცენარის სახელის მცოდნე პოეტისათვის სწორედ ფშაური ფორმა არის აუცილებელი; სწორედ იგი გამოხატავს გრძნობას, რომელსაც მის გულში იწვევს პაწაწინა, უცხო თვალისათვის ხშირად შეუმჩნეველი მთის ყვავილი. თუ ვაჟა-ფშაველა მიმა-

რთავს მთას, რომელსაც მის პოეზიაში ესოდენ დიდი ადგილი უჭირავს, და სთხოვს მას გაიგონოს („გულ-მკერდზე დაიწეროს“) მისი ნათქვამი, აქაც პოეტი თხოვნას გამოხატავს ფშაური კილოს ფორმით: **დაიწეროდი (დეიწერე)**.

ვაჟა-ფშაველას ლექსიკა ძალზე მდიდარია. ძირეული ლექსიკის გვერდით, შესამჩნევია ნაწარმოებ ფორმათა სიუხვე; ქართული ენის სიტყვაწარმოებითი მოდელების გამოყენებით შექმნილი ლექსიკური ერთეულები ხელს უწყობენ ლექსიკის გამდიდრებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვაჟას ოპონენტები უკიჟინებდნენ მას არქაიზმების ჭარბ გამოყენებას. მაგრამ ვაჟას არქაიზმები არასდროს არ არის ხელოვნური; ისინი თითქმის ყოველთვის აღებულია ცოცხალი მეტყველებიდან და აქტიურ ლექსიკაში შედის როგორც ფშაურში, ისე მთის სხვა კილოებში. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა ხმარობს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ დაყმედა ზმნას: „დავიღალე მშიერ-მწყურვალი, დავიყმიდე უსაზრდოობითა“ (იგივე ლექსიკური ერთეული დადასტურებულია ხევსურულშიც: „საით მახვე, ბიჭლ, ეეგრ **დაყმედილი?**“); **მოსავი** (იმედის მქონე), **ტარიგი** (შესაწირავი კრავი, მსხვერპლი; იგივე სიტყვა ხევსურულშიც გვხვდება, ოღონდ შეცვლილი მნიშვნელობით: ორი წლის ცხვარი); **ნუკვა** (თხოვნა, მუდარა: ქარსაც კი შველას **ენუკავს**. შდრ. ხევსურული: **გენუკვით** შესანდობარსა).

ერთი წილი ვაჟა-ფშაველას ენაში შემჩნეული არქაული ლექსიკისა ისტორიზმებს წარმოადგენს და მის თხზულებათა თემატიკის არის შეპირობებული; ასეთია მაგალითად, იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის აღმნიშვნელი ტერმინები: **მუზარადი, ფარი, დაშნა, კაპარჭი** და სხვა. თოფის სხვადასხვა სახეობათა სახელები: **ხირიმი, ქოფაჩი, ერეჯიბი, ბაზალა,** საერთო ქართული სალიტერატურო ენისათვის მსგავსი ისტორიზმები „უცხო სხეულად“ არ აღიქმება, რადგან ისტორიულ თემატიკას XIX საუკუნის სხვა მწერლების შემოქმედებაშიც დიდი ადგილი უჭირავს.

განსაკუთრებით თვალში საცემია ვაჟა-ფშაველას თხზულებებში დიალექტური ლექსიკა, რომლის სიუხვეს მას მის სიცოცლეში უსაყვედურებდნენ კრიტიკოსები. ცნობილია, რომ დიალექტური ლექსიკის ექსპრესიული ღირებულებებისა და მათი სამწერლო ენაში გამოყენების დასაშვები საზღვრები რთული თეორიული პრობლემაა, რომელსაც მრავალი ასპექტი აქვს; აქ შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ ამგვარ ლექსიკას ვაჟა-ფშაველასთვის, პირველ რიგში ექსპრესიულ-ემოციური მნიშვნელობა აქვს და მისი შეცვლა სინონიმური ან მიახლოებული მნიშვნელობის ლექსიკით მას არ

შეეძლო; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითონ ვაჟა-ფშაველა თვლიდა, რომ მის მიერ ნახმარი მრავალი სიტყვა (მის მოწინააღმდეგეთაგან „პროვინციალიზმად“ მონათლული) ენას ამდიდრებს. დიალექტური ლექსიკური ერთეულები არ არის მისთვის სალიტერატურო ენის სიტყვათა დუბლეტები. ვაჟა-ფშაველას ეს აზრი სავსებით გამართლებულია: მის მიერ ნახმარი მრავალი სტყვა განსხვავებული სემანტიკის მქონეა და ამდენად, სემანტიკურად თავისთავადი ერთეულია: **ბონცვერი**[1] (დიდტანიანი ხის — წიფლის, მუხის — ახალნერგი); **ბოჟირობს** (მოუსვენრად არის, შფოთავს), **დათირება** (დაწყნარება, ნუგეშის-ცემა). ვაჟა-ფშაველას ლექსიკა ხშირად სალიტერატურო ენაში „ცარიელ ადგილს“ ავსებს; **დაიხულუზნებს** — არწივი ფრთებს დაკეცავს, **ჭარი** (გველის კანი), **ნათოსი** (წყლისაგან გამორიყული ხეები). ქართული ენისათვის მონაცემთა სრული ერთიანი ბაზის (თეზაურუსის) უქონლობის პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელია დაბეჯითებით მტკიცება, რომ მსგავსი ერთეულები მხოლოდ ვაჟა-ფშაველას მშობლიურ დიალექტში გვხვდება; მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ვაჟა-ფშაველამ „გააცოცხლა“ მრავალი სიტყვა და სალიტერატურო ენაში მათი დამკვიდრებით გაამდიდრა ეს უკანასკნელი; განსაკუთრებით ეს ეხება იმ რეალიათა აღმნიშვნელ სიტყვებს, რომლებიც მთის ყოფისათვის არის დამახასიათებელი: **ჩითა** (ნაქსოვი ფეხსაცმელი), **ქოჯონი** (კაპარჭში ჩაწყობილი ისრები), **საცერული** (ცერზე წამოსაცმელი რკინის სვეტებიანი რგოლი, იარაღად სახმარი), **თუში** (სამფეხა საკიდელი ქვაბის დასაკიდებლად), **უსურმაგი** (უწმინდური ცხოველი, რომლის ჭამა არ შეიძლება, მაგალითად, კატა).

ვაჟა-ფშაველას თხზულებებში უხვად არის ნაჩვენები რეალურად არსებული რეგიონების, სოფლების, ფლორის და ფაუნის წარმომადგენელი კონკრეტული დასახელება. ამ მხრივ მას XIX ს. ვერცერთი მწერალი ვერ შეედრება.

ცხოვრების პირობების გამო, ვაჟა-ფშაველას ოჯახის რჩენა თავისი ფიზიკური შრომით უწევდა: ხვნა-თესვა, შეშის მოჭრა, თივის მომარაგება საზამთროდ. ვაჟა-ფშაველა სანადიროდაც დადიოდა, ამიტომ, როგორც ყველა ფშაველმა, კარგად იცოდა მთის გზა-ბილიკები, ხევები, ყოველი ხე და მცენარე, ეს ყველაფერი მან თავის სამწერლო სამყაროში შემოიტანა, ყველას სახელი დაუმკვიდრა თავის თხზულებებში. ამას მის თხზულებათა სათაუ-

[1] განმარტებების ერთი ნაწილი დამოწმებულია ა. ჭინჭარაულის „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონის“ (12) და იმავე ავტორის „ხევსურული დლექსიკონის“ (13) მიხედვით.

რებიც გვიჩვენებს: „არწივი“, „ბუნების სურათი“, „კლდე და მდინარე“, „ზამთარი მთაში“, „მთის წყარო“, „ხმელი წიფელი“, „დათვი“, „კურდღელი“ და სხვა.

არაერთგზის არის ლიტერატურაში ნახსენები ის გარემოება, რომ ბუნებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. შესაბამისად, ვაჟა-ფშაველას თხზულებებში გვხვდება მრავალი სიტყვა, რომლებიც აღნიშნავს ბუნების მოვლენებს, სხვადასხვა ადგილებს, ასეთებია: **ქირსვლა** — წვრილად თოვა, **კინჭუხი** — შიშველი კლდის წვერი, ნაშალი კლდე; **ჭიუხი** — წვეტიანი კლდე, **ვეძა** — მყავე, მინერალიზებული წყალი; **ყათლაღი** — პატარა ველი ტყეში, **ქედურა** — პატარა გორაკი. **ხერგი** — წაქცეული ხეების გროვა. ალბათ XIX ს. არცერთი მწერლის ენაში არ გვხვდება მცენარის იმდენი სახელი, როგორც ვაჟა-ფშაველას თხზულებებში — ლექსებში, პოემებში, მოთხრობებში. ქართულ პოეზიაში ტრაციდიულად დამკვიდრებულ ეგზოტიკური ვარდისა და ნარგიზის ნაცვლად ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ჩანს მთის მცენარე-ყვავილები. ვაჟა-ფშაველამ ინატრა კიდევაც, რომ მის საფლავზე **დეკა** (დეკა — рододендрон кавказский, Rhododendron caucasicum) და **ღვია** (ღვია — можжевельник, Juniperus, გერმ. Wacholder) ყოფილიყო დარგული: „მოგესალმებით, ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი, ჩემსამც სამარეს ამკობდეს თქვენი დეკა და ღვიანი“. ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას თხზულებებში 130-მდე მცენარის — ყვავილის, ბალახის, ბუჩქისა და ხის სახელია ნახსენები. მათ შორის ზოგიერთი მათგანი ენდემურია კავკასიისათვის, მათი სახელები შესაძლოა სპეციალისტი ბოტანიკოსის გარდა ცოტა ვინმემ იცოდეს. **ბუერა** белокопынтк (Petosiles), **ქუჩი** овсяница (Festuea suleata); **ბულულა** ромашка розовая (Winde), **ფათალა** вьюнок полевой (Convolvuso vensis), **თავშავა** душица (Oriqanum rubgar) **ჩადუნა** щитовник (Dryorteris) და მრავალი სხვა დასახელებული ვაჟა-ფშაველას თხზულებებში. მკითხველი არა მარტო ეცნობა ამ მცენარეებს, ეს მას გარკვეულ ემოციურ განწყობას უქმნის მას. ერთ-ერთ მოთხრობაში („შთაბეჭდილებანი“) დასაწყისშივე ერთ გვერდზე 8 სხვადასხვა მცენარისა და ხის სახელია ნახსენები. ვაჟას თხზულებებში გვხვდება მრავალი ხის სახელი: „არყი (Birke), წიფელი (Buehe), თელა (Udme), მურყანი (Erle), ცაცხვი (Linde), იფანი (Esche), მუხა (Eiche), წიფელი (Espo) ქორა Ahor და მრავალი სხვა. საგულისხმოა, რომ სალიტერატურო ენის ახალი სიტყვებით შევსების საჭიროებაზე მსჯელობისას ვაჟამ სწორედ მცენარის სახელი გამოიყენა. მაგალითად, პ. მირიანაშვილის საპასუხოდ

დაწერილ წერილში ვაჟა-ფშაველა წერდა, რომ უმჯობესია რუსულიდან გადმოღებული **სმაროდინა**, გაზეთ „ივერიაში“ ნახმარი (შდრ. смородина) შეიცვალოს იმავე ხილის ქართული სახელწოდებით, რომელიც ფშავშია გავრცელებული — ფშაურად მას ხუნჯი ან **მოცხარი** ეწოდება. ვაჟა-ფშაველას აზრით, ამ სიტყვათა ხმარება სალიტერატურო ენაში იქნებოდა არა „გახორკლიანება“ (ე. ი. გაუხეშება) ენისა, არამედ მისი გამდიდრება. მართალია, ვაჟა-ფშაველას მსჯელობა ამ კონკრეტულ მაგალითში ზუსტი არაა; იგი შეცდა, როცა მიიჩნია, რომ ქართულში ამ ხილის სახელი არ არის „თვით საგნის“ არარსებობის გამო; მოცხარი janannisbere (Ribus) საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში, მას თავ-თავისი სახელი აქვს ქართულ დიალექტებში და ქართველურ ენებში. მაგრამ არსებითად ვაჟა-ფშაველა მართალი იყო, როცა სალიტერატურო ენაში ქართულისავე სიტყვის დამკვიდრებას მოითხოვდა რუსიციზმის ნაცვლად. ალბათ არ დარჩენილა მთაში ბინადარი ცხოველი თუ ფრინველი, რომ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ფურცლებზე არ იყოს დასახელებული; მონადირე მის ერთ-ერთ მოთხრობაში ზედიზედ ჩამოთვლის 7 სხვადასხვა ცხოველს, რომელიც მას მოუკლავს: დათვი, ღორი (ტახი გარეული), ირემი, ჯიხვი, მგელი, ტურა, ჯერანი (ჯეირანი). ტყე-ღრეში მოხეტიალე მონადირე ვაჟა-ფშაველა ყველა გარეულ ფრინველს სცნობდა და შემოიყვანა კიდეც ისინი თავის ლექსებსა და მოთხრობებში: მოთხრობაში „ჩხიკვთა ქორწილი“ ჩამოთვლილია ოცამდე ფრინველი.

ვაჟა-ფშაველა ხშირად მიმართავს სიტყვაწარმოებას, რაც ძალზე ამდიდრებს და ექსპრესიულობას მატებს მის ლექსიკას. ქართული სიტყვაწარმოების მოდელები ვაჟა-ფშაველას ენაში გამოყენებულია სრულიად ბუნებრივად, ხელოვნური ძალდატანების გარეშე; ანალოგი მსგავს ფორმებს ხშირად მოეპოვება მთის კილოებში, ზოგიერთი ამ ფორმათაგან მყარი ლექსემაა, ზოგიერთი კი შესაძლოა თვით ვაჟა-ფშაველას შექმნილად მივიჩნიოთ. წარმოქმნილ ფუძეებს ვხვდებით როგორც სახეებში, ისე ზმნებში (ნასახელარ ზმნებში). ცალკეული ნიმუშები: **მოავე** (მო-ე კონფიქსი, ავი-ცუდი, ბოროტი) — ავის მოსურნე; **მოშინაურე** (მო-ე კონფიქსი, შინაური — შინ მყოფი) — შინ ყოფნის მოყვარული: **სიცილიანი** (სიცილი — იან სუფიქსი), ცუდი, დაცინვის ღირსი. განსაკუთრებით საინტერესოა ნასახელარი ზმნები, რომელთა რიცხვი ვაჟას ენაში ძალზე დიდია: სიცოცხლე **მეშავეთება** (შავეთი — მიცვალებულთა სამყოფი. სიტყვაც ნაწარმოებია შავ ფუძისაგან გეოგრაფ. სახელთა მაწარმოებელ -**ეთ** სუფიქსით) —

სიცოცხლე ბნელეთში, საიქიოში სამყოფად მიმაჩნია; ქალის ტირილი — ვიღას **ვედედო**? ნიშნავს: ვის გავუწიო დედობა, ვისი დედა ვიყო? ეს ნასახელარი ზმნე „ვეფხისტყაოსანს“ გვაგონებს: **სდედებია** და **სდებია** — [ფატმანმა] გაუწია დედობა და დობა. ნასახელარი ზმნის ფუძე შეიძლება რთული სიტყვაც იყოს: **დაისახლკარა** (სახლ-კარი კომპოზიტია: სახლი + კარი, ეზო) — დამკვიდრდა, ბინა დაიდო. ნელსხივი არის ჩამავალი მზის მკრთალი სხივი (**ნელ+სხივი**); აქედან ნაწარმოებია ზმნა: **ნელსხივობს** — მკრთალად ანათებს; გააცეცხლნავთა (ნასახელარი ზმნის ფუძეა კომპოზიტი: **ცეცხლი+ნავთი**) — ძალიან გააჯავრა; იმავე მნიშვნელობის სიტყვა საზოგადოდ გავრცელებული ქართულში: **გააცეცხლა**. ძალიან გააჯავრა, განარისხა: **გამოვუთეთრე** (ფუძეა **თეთრი**) — აშკარად, დაუფარავად ვუთხარი.

ოსტატურად იყენებს ვაჟა-ფშაველა ცოცხალი მეტყველების შესაბამის ზმნურ ფორმებსაც, სადაც რეალიზებულია ქართული ზმნის მრავალი კონიუგაციური და დერივაციული შესაძლებლობანი: მაგალითად, ზმნური ფორმა გამოთქმაში: (თავს) **მომაკვლევინებთ** ნიშნავს: „თქვენ მე მაიძულებთ თავი მოვიკლა“. მის ერთ-ერთ მოთხრობაში პერსონაჟი ამბობს, რომ არც არავის აყენებს ჭრილობას, არც არავის აძლევს უფლებას/საშუალებას თვითონ იგი დაჭრან. უკანასკნელი ქმედება გამოხატულია ერთი ზმნური ფორმით: **ვეჭრევინები** (სადაც ზმნურ ძირთან წარმოდგენილია პირის ნიშანი, ვნებითი გვარისა და კაუზატივის მაწარმოებლები).

ხშირია ვაჟა-ფშაველას ენაში სხვადასხვა სახის კომპოზიტები: სინონიმებისა ან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა შეერთება მნიშვნელობას აძლიერებს: **შიშ-წიწი** — შიში, მორიდება; **ლუბ-მჭლე** — გამხდარი; **მიწა-მტვრად** — მიწად და მტვრად (გაქცევთ); **დაბეგვილ-დაბეჟილი** — ნაცემი; **მშიერ-ტიტველი** — მშიერი და ტიტველი. შეერთებულია ანტონიმებიც: **გათენ-დაღამება** — გათენდება და დაღამება. ეს ფორმები ცოცხალი მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი ფშაურ კილოში. **ლიშან-გერში** — ნიშანი; **ჩალა-თივა** — ჩალა და თივა; **ნაცარ-ნახშირი** — ნაცარი და ნახშირი (მაგალითები აღებულია დიალექტოლოგიური მასალებიდან). ძალზე ექსპრესიულია სხვადასხვა სახის შერწყმული სახელები, **უხვსხივიანი** (მრავალი სხივის მქონე) ვარსკვლავები; **შიშუცოდარი** (ვისაც შიშის გრძნობა არა აქვს), **თვალგულდამშეული** (თვალი+გული+დამშეული) — ნახვას მონატრებული; შერწყმული სახელები, რომლის პირველი ნაწილია **გული**, სხვადასხვა ემოციათა და თვისებათა გამომხატველ ლექსემათა გრძელ რიგს ქმნიან, ზოგი მათგანია: **გულანჯახი** (ანჯახი — ავი, ვინც გაჯავრება იცის, ვინც ხშირად

ჯავრდება, ბრაზობს; **გულგადალეული** (გადალეული — მოკლებული, დაცოტავებული) — მოთმინებადაკარგული; გულგავარდნილი (გავარდნილი — გაქცეული) — დაუდეგარი ხასიათისა, ვისაც ხან ერთი უნდა, ხან მეორე; **გულდიდი** (დიდი) ამაყი, ამპარტავანი, **გულთაფლი** (თაფლი) კეთილი, კარგი გულის მქონე, **გულმრუდი** (მრუდი) უსამართლო, ცოდვის ჩამდენი და სხვა.

ვაჟა-ფშაველას მიერ ნახმარი წარმოქმნილი ლექსიკა არასდროს არ სტოვებს ხელოვნურობისა ან მანერულობის შთაბეჭდილებას; იგი არასდროს არ არღვევს ქართული ენის სიტყვაწარმოებით მოდელებს და სრულიად ბუნებრივია ქართულისათვის; ამგვარი ლექსიკური ერთეულების შემოტანა სალიტერატურო ენაში ვაჟა-ფშაველასათვის სრულიად ბუნებრივი იყო.

ვაჟა-ფშაველამ სალიტერატურო ენაში შემოიტანა მრავალი ფრაზეოლოგიზმი და იდიომატური გამოთქმა, რომელიც აგრეთვე ცოცხალი მეტყველებიდან არის აღებული: ხელისგული მოუპოხა — ქრთამი მისცა. ცა გაუწითდა — ძალიან გაუხარდა; ცა თავზე დაგვეხურება — დიდი უბედურება შეგვემთხვევა; ეშმაკის ცხენზე ჯდება — ცუდი განზრახვა აქვს; ნამტყუარში ფეხი ედგათ — მართალი არ იყვნენ; ეკლის ლოგინი დავიგე — სიცოცხლე გამიმძიმდა, გამიმწარდა.

ვაჟა-ფშაველას უმდიდრესი ლექსიკა ვლინდება როგორც მის პოეტურ, ისე პროზაულ ნაწარმოებებში; მისი პროზა (მოთხრობები, ეთნოგრაფიული წერილები და სხვ.) არ არის დამძიმებული რთული სინტაქსური კონსტრუქციებით; იგი ძალზე დინამიკურია, ექსპრესიული და სალიტერატურო ენის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

თანამედროვე ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელმა აკაკი შანიძემ ადრევე ღირსეულად შეაფასა ვაჟა-ფშაველას ენა. 1915 წელს, ვაჟას სიკვდილის გაგების შემდეგ იგი სწერდა თავის დიდ მასწავლებელს, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელს, ივანე ჯავახიშვილს: „ვაჟა მიყვარდა, მიყვარდა მისი წყაროსავით ანკარა პოეზია... აზრად მომივიდა... შევკრიბო ყველა მისი ნაწერი, შევისწავლო... თან დავურთო შენიშვნები და ლექსიკონი... არავინ მეგულება, რომ ვაჟა-ფშაველას ნაწერები ისე გამოსცეს, რომ მის ენას არ დაუკარგოს მშვენიერება“ [14, 92]. აკაკი შანიძე, მაშინ ახლად უნივერსიტეტდამთავრებული, პეტერბურგში ჩამოყალიბებული ქართველოლოგიური სკოლის აღზრდილი იყო. თავისი სამეცნიერო მუშაობა, რომელიც 75 წ. გაგრძელდა, მან სწორედ მთის კილოთა შესწავლით

დაიწყო: მოიარა ფშავ-ხევსურეთი დიალექტოლოგიური მასალის შესაკრებად და ვაჟა-ფშაველასაც რამდენჯერმე შეხვდა. ერთ-ერთი შეხვედრისას, როდესაც ვაჟა-ფშაველამ სოფელი ჩარგალი ახსენა, როგორც თავისი დასამარხავი ადგილი, ახალგაზრდა აკაკი შანიძე შეეწინააღმდეგა: „თქვენი ადგილი მთაწმინდაზეაო“. აკაკი შანიძემ შეასრულა კიდეც თავისი ჩანაფიქრი: 30-იან წლებში გამოსულ ვაჟას თხზულებათა ტომებს მან ცალ-ცალკე დაურთო მის მიერ შედგენილი ლექსიკონი. ეს იყო ვაჟა-ფშაველას ენის მეცნიერული შესწავლის დასაწყისი.

ვაჟა-ფშაველას ენა არ არის მხოლოდ „მთის მგოსნის“ ენა. ქართული ენის სტრუქტურული მოდელების ოსტატური, მაქსიმალური გამოყენება, ცოცხალი ენიდან აღებული და სამწერლობო ენაში მის მიერ დამკვიდრებული უმდიდრესი, მრავალფეროვანი ლექსიკა, ლაკონური სტილი — ყველაფერი ეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განუყოფელი ნაწილია. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ენის მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის იმავე მნიშვნელობისაა, როგორისაც არის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა. ვაჟა-ფშაველა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელთა ტრიადის სრულუფლებიანი წევრია.

ლიტერატურა

Rayfield 2000 — D. Rayfield. The Literature of Georgia. 2nd ed. Curzon Prus.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში. თხზულებანი, ტ. II, თბილისი.

შანიძე 1984 — ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი. თხზულებანი, ტ. I, თბილისი.

ჭინჭარაული 1969 — ა. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბილისი.

ფოჩხუა 1966 — ბ. ფოჩხუა, ვაჟა-ფშაველა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი.

კიკნაძე 1966 — გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას ფენომენი. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი.

M. Shanidze

Vazha-Pshavela and Georgian Literary Language

Summary

In the present article I express the viewpoint on the fact, that Vazha-Pshavela as a writer belongs to all Georgia. A rich vocabulary is demonstrated in poetic as well as prosaic works of the writer. His poetry is not overburdened with complex syntactic constructions. It is very dynamic, expressive and is a splendid model of a literary language.

Skilful, maximal using of Georgian structural models, varied vocabulary taken from living language and established in a literary language by Vazha-Pshavela, a laconic style – all these are inseparable parts of a Georgian literary language. Significance of the language of Vazha-Pshavela's works in developing a literary language is as important as Ilia Chavchavadze's and Akaki Tsereteli's. Vazha-Pshavela is a member of high-quality of founders' triada of the modern literary Georgian language.

იზა ჩანტლაძე

ვარლამ თოფურიას „სვანური ენის სახელმძღვანელოს“ მნიშვნელობა ქართველოლოგიისთვის

სვანური ენა აბსტრაქციაა — ამბობდა ნიკო მარი ცალკეულ ხევთემთა ქვედიალექტებით (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით) ერთმანეთთან დაპირისპირებული საკმაოდ რთული მეტყველების გამო. შემთხვევითი არაა, რომ მას სვანეთში ყოფნისას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ურარტუს ეპოქის წარმართული კულტურის ატმოსფერო ეკრა გარს, იმდენი არქაიზმი შენიშნა.

1935 წლისთვის, ვარლამ თოფურიას მონაცემებით, საქართველოში 20000-მდე სვანი ცხოვრობდა, ხოლო 1965 წლისთვის — 34547. ეს უკანასკნელი ცნობაა წარმოდგენილი „სვანური ენის სახელმძღვანელოში“. თუ გერმანია-საქართველოს ერთობლივი პროექტის (ECLinG) ბოლო მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, დღეს საქართველოში სვანურად 50000 ადამიანი ლაპარაკობს.

„ფაქტების მკვიდრი დადგენა და სწორი ანალიზი აუცილებელი მომენტია თეორიისთვის და ჩვენც აქედან დავიწყეთ“-ო — ამბობდა 35 წლის დისერტანტი თავისი სადოქტორო ნაშრომის დაცვის დღეს. ყველას მოგეხსენებათ, რომ მას ერქვა „**სვანური ენა**, **I**, **ზმნა**“, რომელიც **დღემდე რჩება ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნად**. მიუხედავად მოკრძალებული განმარტებისა, მასში არა მხოლოდ ყველა დიალექტისა თუ კილოკავის (ზოგჯერ იდიოლექტისაც!) უტყუარი ფაქტების (ანუ უაღრესად სანდო მასალის) სწორი ანალიზია მოცემული, არამედ უთვალავჯერაა მსჯელობა ქართველოლოგიის ურთულეს თეორიულ საკითხებზეც. ფუნდამენტური ნაშრომის ავტორს მეორე გამოცემაში, რომლის კორექტურის წაკითხვა თავადვე შეძლო, არავითარი ცვლილება არ შეუტანია — ასეა! — **გენიოსთა ნაღვაწს ვერანაირი დრო და სივრცე ვერაფერს ავნებს**!..

ყოველთვის წუხდა ბატონი ვარლამი იმის გამო, რომ არ გვქონდა

არც გრამატიკა და არც სახელმძღვანელო სვანური ენისა. აი, რას წერდა იგი ჯერ კიდევ 1935 წელს: „ნიკო მარს, სვანურის კარგ მცოდნეს და მისთვის დიდი ამაგის დამდებს ტექსტების გამოქვეყნებით, ლექსიკონის შედგენითა და სახელმძღვანელო წერილების დაბეჭდვით, გრამატიკული მიმოხილვა არ მოუცია. აკაკი შანიძე, კარგივე მცოდნე ყველა სვანური დიალექტისა, ჯერჯერობით ორი მნიშვნელოვანი გამოკვლევით დაკმაყოფილდა. უკანასკნელად გერჰარდტ დეეტერსი შეეხო სვანურს და მიმოიხილა იგი თავის ღირსშესანიშნავ მონოგრაფიაში „Das kartvelische Verbum“ საკმაოდ დეტალურად და **უზადოდ**“.

1912 წელს ნიკო მარს უკვე ნავარაუდევი ჰქონდა გამოეცა სვანურ და აფხაზურ ენათა გრამატიკები, იაფეტურ და სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა, ძველი ქართული ენის გრამატიკა. უკანასკნელის გარდა, არც ერთი მათგანი არ გამოქვეყნებულა. არნოლდ ჩიქობავას აზრით, „კავკასიისმცოდნეობაში არ ყოფილა და არ არის სხვა მკვლევარი, რომელსაც ასეთი ძლიერი სინთეზის ნიჭი და განზოგადების უნარი ჰქონოდეს, როგორიც ჰქონდა ნიკო მარს. სინთეზში იყო მისი ძალა. სინთეზი არ აცლიდა ნ. მარს ანალიზი მოთმენით ბოლომდე ჩაეტარებინა. ამის შედეგია დებულებათა ნიადაგ ცვლა „ფაქტების მოწოლის შედეგად“ („под напоров фактов“, როგორც ნ. მარი იტყოდა ხოლმე). **ყველაზე დიდ კავკასიოლოგს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, შეუდარებლად მეტი — მაქებელ-მადიდებელი, ყველაზე ცოტა — მკითხველი** (ჩიქობავა 1983:17-18). როგორც ჩანს, ამის შედეგია ის, რომ დღესაც კი ძალიან ცოტა იცნობს პეტერბურგში, ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ არქივში, დაცულ „**Грамматика сванского языка**“-ს დაუმთავრებელ ხელნაწერს (1912 წ.). ვფიქრობთ, ამის ბრალია ისიც, რომ ქართველურ ენათა იზოლირებული ხასიათის (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:81-82) ფონემათშესატყვისობაზე (ქართ./ზან. **ლ** — სვან. **შ**) მსჯელობისას რომელი მკვლევარი (პ. ჭარაია, ჰ. შუხარდტი, ო. უორდროპი, არნ. ჩიქობავა, ა. ონიანი, გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე) აღარაა ხოლმე მითითებული, ნ. მარის ხელნაწერ გრამატიკაში წარმოდგენილი ამავე დაკავშირების შესახებ კი არავინ არაფერს ამბობს.

რაღა თქმა უნდა, 1965 წლამდე არც თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის „სონანტთა სისტემა და აბლაუტი“ დაბეჭდილა და არც ალექსანდრე ონიანისა ან ზურაბ ჭუმბურიძის „სვანური ენა“. ადრე ჩვენი ბუმბერაზი ქართველოლოგების მთელი ყურადღება გადატანილი იყო უმწერლობო ქართველურ ენათა პროზაული თუ პოეტური ტექსტების, ანდა-

ზა-გამოცანების, იდიომატური გამონათქვამებისა თუ ეთნოლოგიური ყოფის ამსახველი მასალების პუბლიკაციებზე, რაც საფუძვლად დაედებოდა მეგრულ-ჭანურ-სვანური აკადემიური ლექსიკონის, შემდგომში კი შედარებითი ან ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონების გამოცემის საქმეს. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია, რადგანაც უკვე მოგვეპოვება ყველა დიალექტზე ჩაწერილი პროზაული ტექსტების, ინტერდიალექტური ხალხური პოეზიისა და აკადემიურ ლექსიკონთა პუბლიკაციები. რატომღაც სვანური დაგვეჩაგრა, თორემ ნიკო მარისა და იოსებ ყიფშიძის გრამატიკები ადრევე შეიქმნა ლაზურისა და მეგრულისათვის. ამ წიგნებს დღესაც არ გასვლიათ ყავლი.

თავისი სადოქტორო დისერტაციის მ ე ო რ ე გამოცემის წინასიტყვაობაში ვარლამ თოფურია წერდა: „სვანური ზმნა“ გამოვიდა 1931 წლის თებერვალში მცირე ტირაჟით და მოკლე ხანში აღარ იშოვებოდა. იგი ასახავდა ქართველური ენათმეცნიერების მაშინდელ დონეს. მას შემდეგ ჩვენი ცოდნა გაფართოვდა და გაღრმავდა... მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ზმნის სტრუქტურის აქ მოცემული სინქრონიული აღწერა მთლიანად და გზადაგზა ძირითად საკითხთა დიაქრონიულ ასპექტში განხილვა დღესაც გამართლებული ჩანს. **ეს წიგნი რომ ახლა დაწერილიყო,** ნაწილობრივ შეიცვლებოდა მისი არქიტექტონიკა, დაემატებოდა ზოგი დიალექტის ბოლო წლებში მოპოვებული მასალა, მაგრამ **სტრუქტურული აღწერა და წამოყენებული მთავარი დებულებები ძალაში დარჩებოდა“** (თოფურია 1967:XXII).

ბატონ ვარლამს სვანური ენის მიმოხილვა ორ ნაწილად ჰქონდა განზრახული: I — ზმნა, II — ფონეტიკა, სახელი, სიტყვაწარმოება და სინტაქსი. უპირველეს ყოვლისა ზმნის დამუშავება მისი სირთულითა და მნიშვნელობით იყო განპირობებული. „**ვინც ზმნა იცის, მან ენაში ყველაფერი იცისო**“ — ამბობდა ცნობილი ავსტრიელი ქართველოლოგი ჰუგო შუხარდტი, ხოლო ნიკო მარის აზრით, ქართველურ ენათა მორფოლოგიის ყველაზე რთული ნაწილი სწორედ ზმნაა. ეს მით უფრო სვანური ენის შესახებ ითქმის, რომელსაც ქართულ-მეგრულ-ჭანურთან შედარებით გაცილებით უფრო რთული სისტემა აქვს გრამატიკულ კატეგორიათა სიუხვისა თუ მწკრივთა რაოდენობის მხრივ.

1967 წელს, საბჭოთა კავშირის არსებობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესთვის, მოსკოვში გამოვიდა მრავალტომეულთა სერია „Языки народов СССР“, რომლის IV ტომი შეიცავდა ყველა იბერიულ-კავკასიური ენის მოკლე გრამატიკულ მიმოხილვას. მათ შორის იყო სვანურიც, რომ-

ლის ავტორი იმ დროისათვის ერთი წლის გარდაცვლილი გახლდათ. ამ მიმოხილვას საფუძვლად ედო ვარლამ თოფურიას შედარებით ვრცელი ხელნაწერი ნაშრომი ქართულ ენაზე, რომელიც, ბუნებრივია, ძალიან რთული ვერ იქნებოდა, რაკიღა ჩაფიქრებული იყო სტუდენტ-ასპირანტთა სახელმძღვანელოდ. სწორედ ამიტომ არ იქნა მასში შეტანილი 1200 ზმნის უღლების ურთულესი პარადიგმები. გარდა იმისა, რომ ბატონი ვარლამი მსოფლიო მნიშვნელობის ენათმეცნიერი გახლდათ, ის ქართული პედაგოგიკისა თუ მეთოდიკის ერთ-ერთი მამამთავარიც იყო. ამიტომაც, როგორც ჩანს, უკვე ძალზე დაბრძენებულს, უამრავი მეთოდური გამოცდილებით შეძენილმა ცოდნამ უკარნახა სვანური ენის სახელმძღვანელოს შექმნა სიჭარმაგის ასაკში.

1957-1965 წლებში დამუშავებული წიგნის პუბლიკაცია უნდა გამოქვეყნებულიყო როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის შრომების №7 ტომი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონმა ვარლამმა ვეღარ დაასრულა **ქართველოლოგიაში ყველა სახელმძღვანელოს შორის ყოველმხრივ გამორჩეული, ესოდენ დიდი რუდუნებით შექმნილი ნაშრომი** და ვეღარც მის გამოცემას მოესწრო.

დიდხანს მუშაობდა საანალიზო წიგნის დასრულებასა და კორექტირებაზე ცნობილი კავკასიოლოგი გურამ თოფურია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ავტორის ვაჟმა იხილა მამის სახელმძღვანელოს პუბლიკაცია.

სათაყვანებელი მოძღვართმოძღვრის მოწაფეებსა (იზა ჩანტლაძე, დამანა მელიქიშვილი, შუქია აფრიდონიძე) და მოწაფეთა მოწაფეებს (ქეთევან მარგიანი-სუბარი, ქეთევან მარგიანი-დადვანი, ივანე ლეჟავა) არანაირი ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ იმისთვის, რომ ეს წიგნი სანიმუშო ყოფილიყო ყოველგვარი თვალსაზრისით.

გასულ წელს Georgica-ს 32-ე ტომში დაიბეჭდა ბრწყინვალე გერმანელი ქართველოლოგის ვინფრიდ ბოედერის მოკლე, მაგრამ არსებითი ხასიათის რეცენზია საანალიზო წიგნის შესახებ. მასში ნათქვამია: „**ვარლამ თოფურია თავისი მოწაფეების მეხსიერებაში დღემდე „პედაგოგიურ გენიად“ რჩება**, ამიტომაც ამ წიგნის გამოქვეყნებას მე ვაფასებ როგორც პრაქტიკულ წვლილს **სვანური ენის (დიახ, ენის და არა დიალექტის** — ხაზი ჩვენია, ი. ჩ.) კვლევაში, ენისა, რომლის ცოდნა და გამოყენება, სხვადასხვა მიზეზის გამო, უფრო და უფრო რთულდება, ენისა, რომელიც, მიუხედავად ბრწყინვალე ენათმეცნიერული შრომებისა, ბევრად უფრო საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და რომლითაც აუცილებლად უნდა დაკავდნენ კარგი ლინგვისტური განათლებითა თუ სვანურის პრაქტიკული

ცოდნით გამორჩეული ახალგაზრდები. გარდა ამისა, **ასეთი წიგნი, ალბათ, ამ ენაზე მოსაუბრეთ სტიმულს მისცემს, რომ საკუთარი ენობრივი კულტურა არ დაივიწყონ“** (Georgica 2009-2010:139).

წინამდებარე სახელმძღვანელო ძირითადად ეყრდნობა ბალსზემოური დიალექტის მონაცემებს, თუმცა ამა თუ იმ მორფონოლოგიური ან სინტაქსურ-ლექსიკური საკითხის ანალიზისას არაერთხელაა მოხმობილი სხვა დიალექტ-კილოკავების მასალებიც. გაკვეთილები შედგენილია მხოლოდ ბალსზემოურად, სადაც სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა სახის დავალება, მათ შორის სასაუბრო მასალაში გამოყენებული ლექსიკის საფუძველზე პატარ-პატარა მოთხრობების დაწერა ნაირ-ნაირი თემატიკის მიხედვით. ხელნაწერზე მუშაობისას აშკარად იგრძნობოდა, რომ მას რაღაც აკლდა — ეს იყო ტექსტები თუ სტუდენტის სვანურ ენაზე ასალაპარაკებლად აუცილებელი მინიატურული სიტყვარები. ამის გათვალისწინებით „სვანური ენის სახელმძღვანელოს“ დავუმატეთ ერთი გაკვეთილი (**ლუშნუ ქორ** — „სვანური სახლი“) იმ ადგილას, სადაც ეს შესაძლებელი იყო თემატიკის მიხედვით. გარდა ამისა, რაკი ამჯერად ვერ მოვახერხეთ სახელმძღვანელოზე დართული 432 გვერდის მომცველი ლექსიკონის პუბლიკაცია, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, სვანურ ტექსტებთან ერთად წარმოგვედგინა შესაბამისი სიტყვასიტყვითი თარგმანებიც, რათა გაკვეთილებში დიალოგის ფორმით მოცემული პუბლიკაციები გათვალისწინებული ყოფილიყო ინტერდისციპლინარული (ლინგვისტური, ისტორიული, ეთნოლოგიური, გეოგრაფიული, ეკოლოგიური, ფოლკლორული, არქიტექტურული, აგრონომიული...) კვლევებისათვის.

რომ ეს ხელნაწერი არ გვენახა, ჩვენთვის უცნობი იქნებოდა ის, რომ ვარლამ თოფურიამ ბოლო ხანებში შეიცვალა თავისი შეხედულება ბალსზემოური დიალექტის კილოკაური დიფერენცირების შესახებ. საანალიზო ნაშრომში ხაზგასმულადაა გამოყოფილი ორი განაპირა კილოკავი: აღმოსავლეთით — უშგულური და დასავლეთით — ლატალური. იქვე მოცემულია ნიკო მარის თვალსაზრისის კრიტიკაც — მის მიერ გამოცალკევებული ხალდური, იფარული და მუჟალ-მულახური უმნიშვნელოდ განსხვავდება მესტიურისგან და კილოკავებს არ წარმოადგენენო. თუ „სვანური ენის სახელმძღვანელოში“ წარმოდგენილ მსჯელობას შევუდარებთ 1939 წელს გამოცემული „სვანური პროზაული ტექსტების“ პირველი ტომის წინასიტყვაობას, რომელსაც აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია აწერენ ხელს, აღმოჩნდება, რომ „სხვა არის უშგულური სვანური, სხვაა მულახური და სხვაა ლატალური. ხეობიდან ხეობამდე და ზოგჯერ ერთი სოფლიდან მეორემდე საკმა-

ოდ დიდია კილოკაური განსხვავება; საერთოდ თვითეულ ჯგუფს ისტორიულად ჩამოყალიბებული სოფლებისას (უშგულს, კალას, იფარს, მულახს, მესტიას, ლენჯერს, ლატალს) თავ-თავისი თავისებურებანი აქვს... **მსგავსი მოვლენები მეტყველების სიცოცხლეზე — მის მოძრაობასა და მრავალფეროვნებაზე მიგვითითებს**“ (გვ. XIV-XVI). ამ 70 წლის წინ ჩვენი კორიფეების მიერ გამოტანილი დასკვნა შესანიშნავად დაადასტურა საერთაშორისო პროექტით **ECLinG**-ით გათვალისწინებულმა სამუშაოებმა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა მიერ უკანასკნელ ხანებში დიგიტალიზებული ვიდეო-აუდიო აპარატურით დამუშავებულმა მონაცემებმა ევროპელ კოლეგებს შემდეგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მისცეს: წოვათუშურთან და უდიურთან შედარებით სვანური ენა აღმოჩნდა ყველაზე მეტად სიცოცხლისუნარიანი და მას გადაშენების საფრთხე არ ემუქრებაო (გიპერტი 2009:155-170).

„სვანური ენის სახელმძღვანელოში“ არა მხოლოდ სკრუპულოზური სიზუსტით აღწერილი სინქრონიული მასალაა წარმოდგენილი, რომელსაც ძალზე ხშირად ახლავს დიაქრონიული ინტერპრეტაციაც, არამედ დასახულია სამომავლო პერსპექტივებიც — სტუდენტმა უნდა იცოდეს, რაა გასაკეთებელი მეცნიერების კონკრეტულ დარგში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ავტორის მსჯელობა ჩოლურული მეტყველების შესახებ: „ჩოლურული, ძირითადად, ლაშხურს განეკუთვნება ბგერითი შედგენილობითა და გრამატიკული წყობით. უმლაუტი, ალბათ, ლენტეხურის გავლენის შედეგია. აღსანიშნავია, რომ ლენტეხურთან ახლო მდებარე საყდრის, მუწდისა და ბულეშის ძველი თაობის მეტყველება უმთავრესად ლენტეხურს გასდევს, ახლისა კი — ლაშხურს. იგი შეჯვარებული გარდამავალი დიალექტის იშვიათი ნიმუშია. **ჩოლურული უახლოეს მომავალში შესწავლის ობიექტს შეადგენს**“.

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ენათმეცნიერები დიდი ინტერესით სწავლობენ ენა-დიალექტთა ინტერფერენცია-ინტეგრაციის პროცესებს. ამ თვალსაზრისითაც უკვდავია „სვანური ენის სახელმძღვანელო“. ამავე კონტექსტში გვინდა მოვიხსენიოთ კოდორის (resp. დალის) ხეობის მეტყველებაც, რომლის მეცნიერულ შესწავლას თავის დროზე ბატონი ვარლამის დავალებით შეუდგნენ მაქსიმე ქალდანი და მერი გუჯეჯიანი. სამწუხაროდ, მათ მხოლოდ დაიწყეს ეს საქმე, მაგრამ ვეღარ ჩაუღრმავდნენ ათასგვარი სუბიექტური თუ ობიქტური მიზეზების გამო. სამაგიეროდ, ვარლამ თოფურიას მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა განვაგრძეთ დიდებული მოძღვართმოძღვრის ჩანაფიქრის განხორციელება და კიდევ კარგი,

რომ რუსეთის ავად სახსენებელ აგრესიამდე სასწაულებრივად სულ რამდენიმე დღით ადრე, მოვიპოვეთ დიდძალი მასალა გასაანალიზებლად. წინასწარვე შეიძლება გავხაზოთ, რომ ის, რაც ბატონმა ვარლამმა შეამჩნია ნახევარი საუკუნის წინ ჩოლურის საზოგადოების სხვადასხვა თაობის მეტყველებაში, სახეზეა კოდორის ხეობის სვანურშიც, რაზედაც მეტყველებს ახლახან დასტამბული ჩვენი აკადემიური წიგნი „**კოდორული ქრონიკები**“.

გამოვყოფთ თუ არა ჩოლურულ ან კოდორულ ინტერფერენცირებულ მეტყველებას სვანური ენის ცალკე დიალექტებად, ეს მომავლის საქმეა; ამას კიდევ დიდძალი სამუშაოს ჩატარება სჭირდება, მანამადე კი ყველა ჩვენს კოლეგას — ახალგაზრდას თუ „ძველგაზრდას“ — ვთხოვთ, თავი შეიკავონ შესაბამისი დაუსაბუთებელი განცხადებებისგან, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალზე მომრავლდა უკანასკნელ ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში.

ვარლამ თოფურიას მახვილ ყურს არც ის გამოჰპარვია, რომ ლენტეხური დიალექტის ფაყურ მეტყველებაში ძველი თაობა ნაზალურ ხმოვანს იყენებდა პრევერბიან ფორმებში (**ა̈ლრი „**მოდის“), მაგრამ ამჟამად მას აღარ ხმარობენო. იგივე სიტუაციაა დღესაც, ამიტომ ბატონი ვარლამის ეს დაკვირვება ძალზე მნიშვნელოვანია ნაზალურ ფორმათა ისტორიის თვალსაზრისით ქართველურ ენებში.

ადრე რომ ხელთ გვქონოდა წინამდებარე სახელმძღვანელოს ხელნაწერი, ცხადია, ზედმეტ დროს არ გავაცდენდით და 1971 წელს საგანგებოდ არ შევისწავლიდით ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვის საშუალებებს სვანურში (ჩანტლაძე 1971). ბუნებრივია, ბატონ ვარლამსაც იგივე დასკვნა აღმოაჩნდა, რაც ჩვენც გვქონდა საზოგადო თუ გეოგრაფიულ სახელთაგან მომდინარე ადგილის ზმნისართების მიცემითი ბრუნვის უთანდებულო ან თანდებულიანი ფორმებით თუ ოდენ ფუძით წარმოდგენასთან დაკავშირებით — ერთსა და იმავე გრამატიკულ მოვლენას სხვადასხვაგვარად ხომ არ აღვწერდით?! (შდრ. **სოფელ-ს/სოფელ-ისგა ა̈რი** — „სოფელს/სოფელში არის“, **მგლახ-ს/მგლახ-ისგა ა̈რი** — „მულახს/მულახში არის, მაგრამ **ცა̈გერ/ცა̈გერ-ს/ცა̈გერ-ისგა ა̈რი** — „ცაგერ/ცაგერს/ცაგერში არის“).

„სვანური ენის სახელმძღვანელოს“ გრამატიკული ნაწილის 2002 წლის პუბლიკაციაში (იხ. ვ. თოფურია, შრომები, II, გვ. 150-219) დაშვებულია ზოგი ძალზე უხერხული (მათ შორის არამხოლოდ კორექტურული ხასიათის) შეცდომა, რაც წარმოუდგენელია ავტორისეული იყოს. ასე მაგა-

ლითად: სვანურ თანხმოვანთა ცხრილის ხორხისმიერთა რიგში **ჰ** მჟღერადაა კვალიფიცირებული. სამწუხაროა, რომ იგივე ცხრილი სხვა მკვლევართა გამოცემებშიც მექანიკურად იმავე შეცდომით გადავიდა. თუ შევადარებთ ნაშრომის რუსულ ვარიანტს, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა — ჯერ მოსკოვში (1967 წ.) და მერე თბილისში (1985 წ. — იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, XII) და რომლის კორექტურის წაკითხვა მოასწრო თავად ბატონმა ვარლამმა, იქ ყველაფერი კარგადაა — **ჰ** წარმოდგენილია, რაღა თქმა უნდა, იქ, სადაც უნდა იყოს, ანუ ფშვინვიერთა (придыхательные) რიგში. უფრო მძიმე შეცდომაა დაშვებული „სვანური ენის“ ქართული ვარიანტის შესავალ ნაწილში, სადაც მსჯელობაა სვანებისა და მათი ენის აღმნიშვნელ ტერმინთა შესახებ ქართულად და ზანურად (იხ. თოფურია 2002:150).

რაც შეეხება ნაწილაკოვან სხვის ნათქვამს, მის შესახებ ვარლამ თოფურიას სახელმძღვანელოს გრამატიკული ნაწილის პუბლიკაციაში აღნიშნული იყო, რომ სვანურში იგი „**ყოველთვის III პირით გამოიხატება**... **ეს წესი კარგადაა გატარებული და დარღვევას თითქმის არა აქვს ადგილი**“. ბატონი ვარლამი ისეთი ლაკონური სტილით წერდა ხოლმე, რომ ვერც ერთ მის ფრაზაში ვერასოდეს იპოვიდით თუნდაც ერთ ზედმეტ სიტყვას, ამიტომაც ლექსემამ „**თითქმის**“ დაგვაინტრიგა და საგანგებოდ შევისწავლეთ სხვათა სიტყვა სვანური ენის ყველა დიალექტის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ქართულ-მეგრულ სამყაროსთან უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გაძლიერებულმა კონტაქტებმა სვანურშიც წარმოშვა I და II პირის ნათქვამის შესაბამისი მორფოსინტაქსური კონსტრუქციები **ესერ** და **როქ⌈უ⌉/ლოქ⌈უ⌉** ნაწილაკების შემცველ შესიტყვებებში, ამიტომაც მცირეოდენი კორექტივი მაინც შევიტანეთ სვანური ენის სახელმძღვანელოში, რათა სტუდენტებს ვასწავლოთ ის, რაც დღეს რეალურად დასტურდება თანამედროვე მეტყველებაში.

როცა წინამდებარე ნაშრომი იქმნებოდა, მაშინ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო კომპიუტერი, რამაც განაპირობა ზოგი გრაფემული უზუსტობა ადრე გამოცემულ ტექსტებში. ახლა ჩვენ უკეთესი ტექნიკური შესაძლებლობა გვქონდა და ამიტომაც ხელნაწერში წარმოდგენილი კბილბაგისმიერი ფონემის შესაბამისი **ვ** გრაფემა ყველგან შევცვალეთ **უ**-თი, რადგანაც სვანურ ენაში, გარდა ლეჩხუმ-ლენტეხის საზღვარზე მდებარე ორიოდე სოფლისა, მხოლოდ ბილაბიალური (აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას ტერმინოლოგიით **ბაგებაგისმიერი** — სვანური პროზაული ტექსტები

1939:XVIII — და არა „წყვილბაგისმიერი“) ფონემა არსებობს.

გარდა ამისა, შევცვალეთ მახვილიან დეიქტურ ნაწილაკთა სიმბოლოებიც, რომლებიც, ვფიქრობთ, უფრო ზუსტი ტრანსკრიფციის ნიმუშია თანამედროვე ვიდეო-აუდიო აპარატურის შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ვარლამ თოფურიას აზრით, „მახვილი სვანურში უფრო მკაფიოა, ვიდრე ქართულში. იგი დინამიკურია (ინტენსიურია) და მოძრავი... სვანურის აქცენტუაცია ნარევია — მახვილი შეიცავს რამდენიმე მომენტს; მათგან მუსიკალური უფრო ადრინდელია, ვიდრე დინამიკური. არის ფრაზის მახვილიც, მაგრამ **ეს საკითხები დამატებით შესწავლას საჭიროებენ**“ (ხაზი ჩვენია — ი. ჩ.). რამდენადმე რთულია სახელმძღვანელოს ერთ დებულებაში გარკვევა: „გრძელი ხმოვანი თუა, მახვილი იგულისხმება“, რადგანაც ერთსა და იმავე სიტყვაში ორჯერ (იშვიათად სამჯერაც) შეიძლება იყოს გრძელი ხმოვანი. როგორ მოვიქცეთ? — ერთ მარტივ ლექსემაში მახვილი ორჯერ ან სამჯერ დავსვათ?! როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას ემყარება ავტორი, როდესაც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დეიქტურ ნაწილაკებთან მახვილს მხოლოდ თანხმოვანფუძიან ლექსემათა მომდევნო პოზიციაში აღნიშნავს, ხმოვანფუძიანებთან კი სიგრძეზე მითითებაც საკმარისად მიაჩნია. მისი აზრით, „მთავარი (ასახსნელი) წინადადების სასაზღვრ წევრს ან შემასმენელს საკმაოდ ხშირად ერთვის მახვილიანი -**ა** ან -**ე** ნაწილაკი, რომელიც ერწყმის წინა ხმოვანს და აგრძელებს მას ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში:

ალა მ̄ ჩუ **მ̈ამ̇ედ̄**, დაჭლიდ̈რე ლირკ̈ალი — „ეს მეც შემიძლია, აი, თხების გარეკვა“;

ალა ლ̈ასუ̄, ეჯა **მ̄ამ̇ē**, ჰა! — „ეს იყო, ის არა, ე!“

რაკი **მ̈ამ̇ედ̄ < მ̈ამ̇ედა+Ა**, ხოლო **მ̄ამ̇ē** < **მ̄ამ̇ა+Ე** შესიტყვებათაგან, აუსლაუტში სიგრძესთან ერთად აღნიშნული უნდა ყოფილიყო მახვილიც (**Ა, Ე**), მით უმეტეს, რომ ბატონი ვარლამის ხელნაწერში ამგვარი სიმბოლოები გვხვდება (**ლ̈Არე** „სათიბი“, **ანმ̇Არ̈Ან** „მოემზადა“, შდრ. **ალა მ̄ეუ̄არ ათხ̄ედგ̄ნ ბ̄ეჟანს-Ა** — „ეს ძალიან გაუხარდა ბ̄ეჟანს, აი“; **უ̄ოჯრ̄ილდ კისდ ეჯჟი ჩ̄უ̄ემინ-Ე, იმ̄ეუ̄ᲐᲔჟი ფ̈ურ̄ილდ ადშგურ̄ანე** — „ობოლმა მართლაც ისე ქნა, ე როგორც ძროხამ დაარიგა“).

თუ თანხმოვანფუძიანთა მომდევნო პოზიციაში აღვნიშნავთ მახვილს დეიქტურ ნაწილაკებთან, მაშინ რაღა დააშავეს ხმოვანფუძიანმა ლექსემებმა? უკანასკნელ შემთხვევაში მახვილის აღუნიშნაობა გამოიწვევს სიგრძისა და მახვილის დიაკრიტიკული ნიშნების ერთმანეთში აღრევას ისე, როგორც ეს მოხდა 1917 წელს ნიკო მარის მიერ პეტროგრადში გამოცემულ ლაშხურ

ტექსტებში.

რომ არ ჩამოვრჩეთ საერთაშორისო ფონოლოგიურ ტრანსკრიფციათა სისტემას, რადგანაც უნიკოდში კარგა ხანია არსებობს **Ნ** და **Ნ** სიმბოლოები, მომავალში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისინი სვანურ პუბლიკაციებში, მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილ პოზიციებში, თორემ ვერ ავცდებით გაუგებრობებს (შდრ. **ალა** — „ეს“, **ალᲜ** — „ეს?“, **ალᲜ**! — „ეს, აი!“ და **ეჯᲜ** — „ის, რომ“, **ეჯᲜ** — „ის, ე!“).

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ ალექსანდრე ონიანისა (1998 წ.) და ზურაბ ჭუმბურიძის, ლელა ნიჟარაძისა და რამაზ ქურდაძის (2007 წ.) წიგნებს. ორივეს ერთი სახელწოდება აქვს, ესაა „სვანური ენა“ და, ბუნებრივია, რომ არც ერთ მათგანს სახელმძღვანელოს პრეტენზია არა აქვს (ამაზე თავად ავტორებიც მიუთითებენ). მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ, რაკი ორივეში მხოლოდ ფონეტიკა და სახელისა თუ ზმნის მორფოლოგიური ანალიზია მოცემული, სტუდენტებისთვის გასაგები, შედარებით მარტივი ენით (განსაკუთრებით უღლებასთან დაკავშირებით) დაწერილი წიგნი, რომელსაც ახლავს თემატურად დალაგებული სვანური ტექსტები, სავარჯიშოები (შესაბამისი ქართული თარგმანებითურთ) და მოკლე ლექსიკონიც, უნდა ვასწავლოთ ბაკალავრიატში. ეს გახლავთ ზურაბ ჭუმბურიძის, ლელა ნიჟარაძისა და რამაზ ქურდაძის მიერ შედგენილი „სვანური ენა“.

რაც შეეხებათ მაგისტრანტებსა თუ დოქტორანტებს, მათ, ღვთის წყალობით, უკვე აქვთ ვარლამ თოფურიას „სვანური ენის სახელმძღვანელო“, რომელშიც ზოგად საკითხებთან ერთად წარმოდგენილია როგორც ფონეტიკა, მორფოლოგია (ყველა მეტყველების ნაწილის დეტალური განხილვა) და სინტაქსი, ისე 21 გაკვეთილი (სასაუბრო მასალა შესაბამისი ლექსიკონითურთ), აგრეთვე სხვა პროზაული თუ პოეტური ტექსტები (ქართული თარგამნებითა და ეტიმოლოგიებითურთ). ერთადერთი, რაც ამ დიდებულ წიგნს აკლია, ესაა XX საუკუნის სამოციანი წლების შემდგომი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც სტუდენტებს უკვე ნასწავლი ექნებათ ბაკალავრიატში. ინგლისურის მცოდნე მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შეეძლებათ, აგრეთვე, მიკოლას პალმაიტისისა (Upper Svan: Grammar and Text, Kalbotyra, XXXVII, №4, Vilnius, 1985) თუ კევინ ტუიტის (Svan, Languages of the world/Materials 139, München-Newcastle, 1997) სვანური ტექსტების საინტერესო მორფოლოგიური ანალიზისა და გრამა-

ტიკული მიმოხილვის გაცნობაც.

ალექსანდრე ონიანის მონოგრაფია კი, ვფიქრობთ, სტუდენტისთვის ძალზე რთული აღსაქმელია მისი უცხოური ტერმინოლოგიით გადატვირთულობის გამო. გარდა ამისა, მასში ურთულესი სვანური ბრუნების მხოლოდ ორი ტიპია გამოყოფილი, ბრუნებისა, რომლის შესახებაც თავის დროზე აკაკი შანიძე საგანგებოდ გახაზავდა: „ძნელია ნათლად გაერკვეს კაცი იმ არევ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“ (შანიძე 1925). ალექსანდრე ონიანი ქვემო სვანი გახლდათ, სადაც, მართლაც, ძალიან გამარტივებულია ბრუნების სისტემა, ალბათ, ლაშხურ-ლენტეხურის განსაკუთრებული სიახლოვის გამო ქართულ დიალექტებთან (ლეჩხუმურთან, რაჭულთან, იმერულთან). ამიტომ, რამდენადაც გასაოცარი უნდა იყოს, მის „სვანურ ენაში“ ასეთი დასკვნაა: „**სახელთა სხვადასხვა ჯგუფების ბრუნება თანამედროვე სვანურში, არსებითად ერთნაირია, განსხვავება მათ შორის უმნიშვნელოა**“ (ონიანი 1998:57-58). და ამ **არსებითად ერთნაირი ბრუნების** ორ ტიპში ალექსანდრე ონიანი ორ-ორ ქვეტიპს გამოყოფს, ანუ ფაქტობრივად 4 სხვადასხვა სისტემასთან გვაქვს საქმე; თუ მათ დავუმატებთ ნაცვალსახელთა სრულიად თავისებურ პარადიგმებს, მივიღებთ ხუთი ტიპის ბრუნებას, ანუ იმდენს, რამდენიც ადრეც იყო ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში.

ალექსანდრე ონიანის წიგნში სხვა ბევრი რამეცაა სადავო, ამიტომ სჯობს, ეს ნაშრომი გასაანალიზებლად მხოლოდ სპეციალისტებს მივანდოთ, მით უფრო, რომ მასში ისეთი რთული ფონოლოგიური თუ მორფონოლოგიური ხედვაა წარმოდგენილი, რომ სვანური ენის პრაქტიკულად არმცოდნე სტუდენტებს ძალზე გაუჭირდებათ გარკვეულ დებულებათა გაგება.

„სვანური ენის სახელმძღვანელო“ მუშავდებოდა 1957-1965 წლებში, ანუ იმ დროს, როცა ვარლამ თოფურია ასწავლიდა ჩვენს თაობას ჯერ სტუდენტობის, მერე კი ასპირანტობის წლებში. ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს ჩვენთვის დაიწერა ეს დიდებული წიგნი, რომელმაც ძალზე გვიან — 2008 წელს, მაგრამ მაინც იხილა მზის სინათლე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატის, გამომცემლობისა თუ სტამბის დაუზარელ, ენერგიულ თანამშრომელთა წყალობით. მოკრძალებული მადლობა ყველას ჩვენი და პროფესორ გურამ თოფურიას ნახევარსაუკუნოვანი ოცნების აღსრულებისათვის, კოლეგების, მაგისტრანტების, დოქტო-

რანტებისა და თავად სვანი მოსახლეობის უზომოდ გახარებისთვის.

სახელმძღვანელოს გამოსვლისთანავე მოეწყო მისი პრეზენტაცია ქართველოლოგთა წინაშე. მაშინაც შეგვეხმიანა ბატონი ვინფრიდი: „სვანური ენის რამდენიმე, ერთმანეთის კომპლემენტარული სახელმძღვანელოს გამოქვეყნება დიდი მნიშვნელობისაა როგორც ქართველოლოგიისთვის, ისე თვით სვანებისთვის... ვარლამ თოფურიას ახალ წიგნში ერთი ტექსტის მეტად საყურადღებო სათაური ვიპოვე. ესაა **ნინი ლიხალ ჩიგარ ხოჩა ლი** („ენის ცოდნა ყოველთვის კარგია“). ეს წინადადება ძალიან მომწონს, როგორც ფილოლოგიის ფაკულტეტის ლოზუნგი, ოღონდ ფრჩხილებში უნდა დაუმატოთ: „სვანურის ცოდნაც“... ვარლამ თოფურიას წიგნის პრეზენტაცია მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომას ემთხვევა. **ასეთი სხდომები „აკადემიური საქართველოს“ გასაოცარი ტრადიციაა და, ჩემი აზრით, არ არის მხოლოდ შესანიშნავი მასწავლებლის პატივისცემა, არამედ კიდევ უფრო მეტად მონაწილეებისთვისაა იმის დაპირება, რომ დიდი მეცნიერის მემკვიდრეობას გააგრძელებენ“.**

დაბოლოს, წინამდებარე სტატია მინდა დავამთავრო ვარლამ თოფურიას „სვანური ენის სახელმძღვანელოს“ VIII გაკვეთილის საშინაო დავალებით:

„**ყველანი მიესალმეთ ერთმანეთს, მოიკითხეთ ერთმანეთი**!..“

ლიტერატურა

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965 — სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965

ვ. თოფურია 1931 — სვანური ენა, I, ზმნა, თფილისი, 1931

ვ. თოფურია 1967 — შრომები, I, თბილისი, 1967

ვ. თოფურია 2002 — შრომები, II, თბილისი, 2002

ვ. თოფურია 2008 — სვანური ენის სახელმძღვანელო, წიგნი დაასრულეს და გამოსაცემად მოამზადეს გურამ თოფურიამ და იზა ჩანტლაძემ; თბილისი, 2008

ალ. ონიანი 1998 — სვანური ენა, თბილისი, 1998

სვანური ენა 2007 — გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, შემდგენლები: ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, თბილისი, 2007

სვანური პროზაული ტექსტები 1939 — ბალსზემოური კილო, თბილისი, 1939

ა. შანიძე 1925 — უმლაუტი სვანურში, „არილი“, ტფილისი, 1925

ი. ჩანტლაძე 1998 — ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998

ი. ჩანტლაძე 1991 — საზოგადო და გეოგრაფიულ სახელთაგან მომდინარე ადგილის ზმნისართები სვანურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბილისი, 1991

ი. ჩანტლაძე 1974 — ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვისათვის სვანურში, თსუ შრომები, B 6-7, თბილისი, 1974

არნ. ჩიქობავა 1983 — იბერიულ-კავკასიური ენები და ზოგადი ენათმეცნიერება, იკე-ს წელიწდეული, X, თბილისი, 1983

J. Gippert 2009 — Language Endangerment in the Caucasus; A Case Study from Georgia, გურამ კარტოზია — 75, თბილისი, 2009

Ch. Gudjedjiani, M. L. Palmaitis 1986 — Upper svan: Grammar and texts, Kalbotyra, XXXV (4), Vilnius, 1986

K. Tuite 1997 — Svan, Languages of the world/Materials 139, Műnchen-Newcastle, 1997

Georgica — 32, Wiesbaden, 2009-2010

Языки народов СССР, т. IV, Москва, 1967

I. Chantladze

The Importance of Varlam Topuria's "The Text-book of the Svan Language" for Kartvelology

Summary

"The Text-book of the Svan Language" by Varlam Topuria was to be published in 1965 as the seventh volume of the works of faculty of modern Georgian of Tbilisi State University. Unfortunately, the author was not able to finish and publish this remarkable work because of his severe illness. Guram Topuria continued to work on the book but he didn't manage to complete this grand undertaking.

Fortunately, Varlam Topuria's disciples and their disciples managed to finish "The Text-book of the Svan Language" and publish it with the help of the faculty of humanities of Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Institute of Linguistics and the publishing house.

Though the book doesn't include the special works from the period after the seventies of the last century, its importance is invaluable not only for magistrates and doctorates but for Kartvelology in general. It consists of lessons created with high scientific methodology, texts, vocabulary and Svan grammar. That is the only book which represents phonetic, phonological, morphological and syntactic analysis connected to learning the Svan language.

Unfortunately, we could not publish the glossary consisting 432 pages because of its size and hope to do it in the future.

მერაბ ჩუხუა

კვართი და სხვა სამოსელი საერთოკავკასიურ ფუძე-ენაში

ძველი მსოფლიოს კულტურული ხალხებიდან მხოლოდ ბერძნები არ ერიდებოდნენ საკუთარი სხეულის სიშიშვლეს. ჩვენი, ქართულ-კავკასიური ტრადიციით ადამიანის სამოსი მთლიანად ფარავდა მის სხეულს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი ტანსაცმლის ფორმებსა და სახეობებს განსაზღვრავს ეკოლოგიური პირობები ამა თუ იმ რეგიონისა, აგრეთვე პირველყოფილი საზოგადოების ეთნიკური ნორმები და სამეურნეო ყოფა; სამოსლის დამუშავების ტექნიკა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია საზოგადოების განვითარების კულტურული დონისა. ადამიანმა ჯერ კიდევ ქვის ხანაში ისწავლა ტყავის დამუშავება, ნაჭრების ერთმანეთზე გადაბმის ხერხები, უფრო მოგვიანებით მან აითვისა ქსოვის ტექნიკაც. ამავე პერიოდში, საერთოკავკასიური ეთნიკური და ენობრივი ერთობის ეპოქაშივე, იწყებს სხეულის შემოსვას კავკასიელი ადამიანი და სწორედ ამიტომაც გამოჩნდება სამოსელთან დაკავშირებული მეტად მრავალფეროვანი ლექსიკა კავკასიურ ენებში: ამიტომაც აქვს მრავალი საერთო ელემენტი კავკასიელ ხალხთა სამოსელს როგორც მამაკაცისას, ისე ქალისას...

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურა, მათ შორის ტანსაცმელი, საერთოკავკასიური, ფუძეენური მდგომარეობიდან მომდინარე ისტორიულ-გენეტიკური კავშირების უცილობელ ღრმა კვალს ატარებს. როგორც კავკასიაში მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, პროტოკავკასიელები სამოსლის დასამზადებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ სელის, კანაფისა და მატყლის ქსოვილებს. ისინი ტანსაცმლის დასამაგრებლად და მოსართავად ხმარობდნენ ღილებს, ქინსძისთავებს, ბალთა-აბზინდებს და სხვ. ყოველივე ეს თავს იჩენს ენობრივ მასალაშიც, რომელიც გამოირჩევა სტრუქტურულ-სემანტიკური ერთიანობით, რაც იძლევა არაერთი საერთოკავკასიური არქეტიპის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

პროტოიბერიული ტანსაცმლის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული **კუ̈ართ**-ის ფენომენს. როგორც ცნობილია, *მაცხოვრის კვართის* საქართველოში ჩამობრძანებას და დედა სიდონიასთან ერთად მის მცხეთაში დამარხვას უკავშირდება ქრისტეს (ქრისტიანობის) საქართველოს მიწაზე მოსვლა ჯერ საიდუმლოდ, ხოლო შემდგომ ცხადად: „კვართი უფლისა არის სიმბოლო კოსმიური ეთერისა, რომელიც მოსავს ქრისტეს და ამასთან არის დაკავშირებული ცხოვრების ხე, რომელიც ამ კვართის დაფლვის ადგილზე არის აღმართული“ (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისსია, თბ., 1990, გვ. 24).

შემთხვევითი ვერც ის იქნება, რომ ღვთისმშობლის კვართი მე-7 საუკუნიდან — საბერძნეთის კეისარ ჰერაკლეს დროიდან — დღემდე დასავლეთ საქართველოში ჯერ ბედიაში, შემდგომ მარტვილსა და ხობში, ხოლო ამჟამად ზუგდიდში არის დაბრძანებული, რასაც ყოველ წელს, ძველი სტილით 2 ივლისს (ახალი სტილით 15 ივლისს) სპეციალური ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სამოსლის ტაძარში დასვენების სპეციალური დღესასწაული — ვლაქერნობა ეძღვნება.

ზემოთაღწერილი სამოსლის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა **კუ̈ართ**-ი უძველესი წარმომავლობისაა. დასტურდება ჯერ კიდევ ძველ ქართულ ხანმეტ ტექსტებში: „ნუცა ორი **კუ̈ართი**, ნუცა ჴამლი, ნუცა არგანი“ (მათეს სახარება 10, 10 (ხანმ.); „ივლტოდა კაცი ერთი იემენელი წყობისა მისგან ბრძოლისა და მოვიდა სელომდ **კუ̈ართ** დაპებული“ (მეფეთა I წიგნი, 4, 12 O); „მაშინ კაცნი ესე შეიკრნეს ნიფხავ-**კუ̈ართ**ითურთ მათის და ვარშემანგით და საწმართულით და ყოვლითურთ სამოსლით მათით“ (დანიელის წინასწარმეტყველება, 3, 21).

სულხან-საბა ორბელიანთან **კუ̈ართ**-ი ‖ **კვართ**-ი განიმარტება როგორც „ჯუბა, გინა პერანგის (მსგავსი)“ თხზ. ტ. IV_1, გვ. 389.

ძვ. ქართული **კუ̈ართ**-ის ქართველური შესატყვისები პირველად მ. ბროსემ გამოავლინა, მანვე მიუთითა მეგრულ **კურთ**-ა „ნიფხავი“ სახეობის არსებობაზე (M. Brosset, Rapports sur une voyage archéologique dans la Géorgie et dans l’Arménie, Rapport VII, St.-Pétersbourg, 1849, გვ. 73).

იგივე **კურთ**-ა „ნიფხავი“ შესატყვისი დაიძებნა ზანური ენის ლაზურ დიალექტშიც, რაზეც არნ. ჩიქობავამ მიუთითა: ოხორჯაში **კურთა** ელაკორერი იმტუ „ქალის ნიფხავ-წაკრული გაიქცა“.., გოიწკედუ-შ-კულე, **კურთა** ელოკორტუ თის „რომ გაიხედა, ნიფხავი ჰქონდა თავზე წაკრული“... (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 178).

ქართველოლოგ მკვლევართაგან დღემდე არავის უცდია ბოლოკიდური **-ა** სეგმენტის რაობის ახსნა ზანურ კურთ-**ა** ფორმაში. თუ ის ძირეულია ან რაიმე ფუნქციის მატარებელი, მისი შესატყვისი ქართულში **-ე** იქნებოდა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. **ე** : ზან. **ა**. საკითხის ამგვარად დასმისას შეუძლებელია არ მოგვაგონდეს ქართული ენის თუშურ დიალექტში შემორჩენილი **მკვართე**-ჲ დერივატი, სადაც **კვართ**- ძირად გამოიყოფა, ხოლო **მე - ე** — კონფიქსად. სწორედ ამგვარი **ე**-დაბოლოებიანი (სუფიქსიანი) ალომორფის შესატყვისი ჩანს ზანური **კურთ**-ა „ნიფხავი“ ლექსემა, სადაც მნიშვნელობის მხრივ ფიქსირებული გადახრაც იმაზე მიუთითებს, რომ ზანურში სემა **ნიფხავი** მოკლეს გაგებიდან განვითარდა. ე. ი. საერთოქართველურში გვქონდა სინონიმური წყვილი: *კუ̄ართ- „კვართი, გრძელი პერანგი“ — *მ-კუ̄ართ-ე „მოკლე“, საიდანაც ზანურში მხოლოდ **-ე**'სუფიქსიანი სახეობის **კურთ-ა** შესატყვისი შემოგვრჩა, რომელსაც მნიშვნელობაც შესაბამისი (მოკლე პ ე რ ა ნ გ ი → ნ ი ფ ხ ა ვ ი) განუვითარდა. მსგავს სიტუაციაში საგულისხმო ჩანს ის ვითარება, რომ ზოგიერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში, მაგალითად, აფხაზურში „პ ე რ ა ნ გ ი“ და „მოკლე“ საერთო ძირით არის გამოხატული, შდრ. აფხ. **ა-კ´ა̄ჭ** „პერანგი, კაბა; მ ო კ ლ ე“.

ამდენად, გამოდის, რომ ქართულ-ზანურ ***კუ̄ართ**- ძირს აფხაზურივით ერთდროულად „პერანგის“ და „მოკლეს“ მნიშვნელობები ახასიათებდა. თუ ეს დასკვნა სწორია, მაშინ სვანურ შესატყვისზეც შეიძლებოდა გვეფიქრა. მართლაც, სვანურში დღემდე განმარტოებით დგას მ ო კ ლ ე ს აღმნიშვნელი ზედსართავი მე-**კუ̄შდ**-ე ‖ მე-**კუ̄ეშდ** ‖ მე-**კუ̄შტ**-ე, რომლის **კუ̄ეშდ/ ტ-** ძირი თავჩენილია ნა-ნ-**კოშდ** ზს., ლშხ., ნა-ნ-**კოშტ** ლნტ. „სიმოკლე“ წარმოქმნილ სახელშიც. სვანურში გამონაწევრებული **კუ̄ეშდ/ტ-** ამოსავალში ***კუ̄აშთ**- არქეფორმის არსებობას ვარაუდობს. ხოლო ეს უკანასკნელი საერთოქართველურ ფუძე-ენაში ***კუ̄ასთ**- პროტოტიპს აღგვადგენინებს, რომელიც წინარექართველური ***კუ̄ათ**ჰ- ფორმისგან მომდინარეობს, ანუ აქ ***თ**ჰ→***სთ** ფონეტიკური გარდაქმნა განხორციელდა. ამგვარ დაშვებას (***კუ̄ათ**ჰ-→***კუ̄ასთ**-) მხარს უჭერს ქართველურ ენა-კილოთა მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიური ენების ჩვენება, სადაც ქართული **კუ̄ართ**- ფორმის მონათესავე ფუძეები დასტურდება, შდრ.: წ.-ქართვ. ***კუ̄ათ**ჰ- „კვართი; მოკლე“ (→ ს.-ქართვ. ***კუ̄ასთ**-→ ქართ. კუ̄ართ- / მ-კუ̄ართ-ე : ზან. კურთ-ა : სვან. კუ̄ეშთ- / მე-კუ̄ეშთ-ე) ~ წ.-ნახ. ***კ(უ̄)ათ**ჰ**-ა** (→ ს.-ნახ. ***კ**ა̄**დ-ა** „ქსოვილი“ → იჩქ. კ̄ადი ‖ კადაჲ : ინგ. კადē : ბაცბ. ˹კ̄ადა˺) ~ წ.-დაღ. ***კ**ოთ**ჰ**- „პერანგი, კაბა“ (→ ს.-დაღ. ***კ**ორთ- / ***კ**ურთ- → ხუნძ. გორდ-ე,

ანდ. გურდ-ო, კარ. გორდ-ი „კაბა, პერანგი“, დიდ. გედ, ხვარშ. გუდ, ინხ. გიდ „პერანგი“, ლაკ. ქ̓ურთ̓ა-უ „ჟაკეტი“, დარგ. გურდ-ი ‖ ქ̓ურთ̓ა-ე ‖ ქ̓ურთ̓ა-ი „პერანგი, კაბა“, ლეზგ. კურთ ‖ ქ̓ურთ ‖ ქ̓ურტ, თაბ. ქ̓ურთ̓ა, აღ. ქ̓ურთ̓ა, წახ. გურთ, უდ. გურათ̓ „პერანგი“ ~ წ.-აფხ.-ადიღ. ***კათ̓ა-ა** „ბადე“ (→ ს.-აფხ.-ადიღ. *კათ-ა → აფხ. ა-კათა, აბაზ. კათა).

როგორც ვხედავთ, კ ვ ა რ თ ი ს აღმნიშვნელი სიტყვა საერთოა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ოთხივე ჯგუფის ენებისათვის, წინარექართველურში აღდგება ***კუ̓ათ̓ა-**, წინარენახურში — ***კ(უ̓)ათ̓ა-**ა, წინარეაფხაზურ-ადიღეურში ***კათ̓ა-ა,** ხოლო წინარედაღესტნურში კი — ***კოთ̓ა-**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზანური **კურთ-ა** ტიპის ფუძეები გავრცელებულია მსოფლიოს არაერთი ჯგუფის ენებში. ინდოევროპული ფორმებიდან აღსანიშნავია: ოსური ქ̓ურ̆ათ ‖ ქ̓ურ̆ათ „პერანგი, ჟაკეტი“, სოგდური ქ̓ურთუ „პერანგი“, ავესტური ქ̓გრგთი, ძვ. ინდური ქ̓ურათუ „პერანგი“, სპარსული ქ̓ურთა, ბერძნული χόρτηγ, რუსული курта ‖ куртка, უკრაინული куртка ‖ курта, პოლონური kurta ‖ kurtkα, ლათინური curtus „მოკლე“. მსგავსი შინაარსისა და სტრუქტურის ჩანს თურქული kürtä „მოკლე კაბა“. ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილ ენათა სათანადო მასალა ქართველურ (ზანურ) წყაროს გულისხმობს. როგორც ეტყობა, საქართველოდან გავიდა როგორც ტანსაცმლის ეს სახეობა (კვართ-პერანგი), ისე მისი აღმნიშვნელი სიტყვაც.

ქართველური ენობრივი სამყაროდან მთელს ევრაზიაში გავრცელებული **კურთ-ა** ძირი მოგვიანებით უკან დაგვიბრუნდა სხვადასხვა სახეობით, ძირითადად **კ → ქ** დეგლოტალიზაციის შემდგომი საფეხურით, შდრ.: ქართ. ქუნთა „ბოჭკოიანი ქსოვილი“ (საბა), ქართ. ქურთუკ-ი. ამგვარ პროცესებს ხელს უწყობდა საქართველოს მდგომარეობა და გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიულად ჩვენს ქვეყანას ათასწლეულების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ძველი და ახალი სამყაროს სახელმწიფოებთან. ხანგრძლივი კონტაქტის დროს ქართველი ხალხი გასცემდა საკუთარი განვითარების საგნებს (პროდუქტებს) და ამავდროულად ითვისებდა, ხოლო შემდგომ შემოქმედებითად გაითავისებდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ცივილიზაციათა მიღწევებს.

კუ̓ართ-ი არ არის ერთადერთი ტანსაცმლის აღმნიშვნელი ფუძე, რომელსაც მონათესავე კავკასიურ ენებში სათანადო შესატყვისობები უდასტურდება. საერთოკავკასიურ წარმომავლობას გულისხმობს ქვემოთ მოყვანილი სხვა ძირებიც:

ს.-ქართვ. ***ბად-ენ-** „სამოსელი, მოსასხამი“ (ძვ. ქართ. ბადენ-ი, ზან. (ლაზ.) ფოთინ-ი „ფეხსაცმელი“, სვან. ბარდან „მოსასხამი“) ~ ს.-ნახ. ***ბად-ინ** „შარვალი“ (იჩქ. ბედინ „შარვალი“, ინგ. ბᲫედან „შარვალი“, ბაცბ. ⌜ბადი⌝) ~ ს.-აფხ.-ადიღ. ***ფად-** „წინდა“ (აფხ. ა-ქლა-ფად, ადიღ. ლ‘ა-ფად, ყაბ. ლ‘ა-ფად „წინდა“, უბიხ. ლ‘ა-ფად „მატყლის წინდა“, შდრ. ლ‘ა- „ფეხი“) ~ ს.-დაღ. ***ბად-ა** „შარვალი; ფეხსაცმელი“ (ხუნძ. ჰᲯე-ბეთ „შარვალი“, ანდ. ფად-ან „ნაქსოვი წინდები“, ახვ. ბათა, ჭამ. ბათა, ღოდ. ბართა, ტინდ. ბათა „შარვალი“, დიდ., ინხ. ბადა „ღვინის გ უ დ ა“, ლაკ. ფათᲯა „ძველი ტანსაცმელი; შარვალი“, დარგ. ფადა „შარვლის უბე / ჯიბე“, რუთ. ბადუ, წახ. ბადა, არჩ. ფათᲯ-გ „შარვალი“, შდრ. ლეზგ. თიპრი „ფეხსაცმელი“);

ს.-ქართვ. ***ქურც-** „ქურქი, ხალათი“ (ქართ. ქურც-ი → ოსურ. ქგრც „ქურქი“, ზან. (მეგრ.) ქუნჩ-ი „ხალათი“ → გურ. ქვინჩ-ი) ~ ს.-ნახ. ***ქოჩ-** „პერანგი“ (იჩქ. ქუოჩ, ინგ. ქოჩ, ბაცბ. ქოჩ „პერანგი“) ~ ს.-აფხ.-ადიღ. ***კ˝აჭ-** „კაბა, პერანგი“ (აფხ. ა-კ˝აჭ, აბაზ. კ˝აჭ „პერანგი, კაბა; მოკლე“, ადიღ. ჭაჭგ ← *კ˝აჭგ, ყაბ. ჭას̣ ← *კ˝აჭ „გრძელი კაბა მოხუცი ქალებისათვის“) ~ ს.-დაღ. ***კაჩ-** „პერანგი; პალტო“ (ხუნძ. კაჩ, ახვ. კაჩი, კარ. კაჩა „ცხვრის ტყავის პალტო“, ჭაბ. კ˝აჩი „პერანგი“, დიდ. კალა-კაჩ, ჰინ. კალ-კაჩ, ხვარშ. Ჩალა-კაჩ, ინხ. კალა-კაჩ „გრძელი ცხვრის ტყავის პალტო“);

ს.-ქართვ. ***ბაᲩ-** „უყელო ფეხსაცმელი (ქართ. ფეᲩ-ი „უყელო ფეხსაცმელი, რომელსაც მატყლის ძაფისაგან ქსოვენ“ : ზან. (მეგრ.) ო-ბოხ-უ-ეფ-ი „ჭაობში სასიარულო ფეხსაცმელი“) ~ ს.-ნახ. ***ბეᲩ-** „ქურქი, პალტო ბეწვეულისაგან დამზადებული“ (იჩქ. ბᲫᲩ, ინგ. ბᲫᲩ, ბაცბ. ბეᲩ „ქურქი, პალტო“) ~ ს.-დაღ. ***ბაᲩ-** „ქურქი; მოსასხამი“ (ხუნძ. ᲩᲯაბალუ, ჭაბ. ᲩᲯაბალა „ქალის ტრადიციული ტანსაცმელი (გარეთა გადასაცმელი)“, ანდ. ᲩᲯალაბეᲫ ← *ბაᲩᲯალეᲫ „გარეთა ჩასაცმელი“, ლაკ. ბარყ-უთ, დარგ. პარყ „ქურქი“);

ს.-ქართვ. ***ფაყუᲩ-** „ქუდი“ (ქართ. (იმერ.) ფაყვ-ე „ზომაზე დიდი ტანსაცმელი“, ზან. (მეგრ.) ფუᲪ-ე ← *ფოყვ-ე „id“, სვან. ფაყუᲩ „ქუდი“) ~ ს.-აფხ.-ადიღ. ***ფაყუᲩ-ა** „ქუდი“ (ადიღ. ფაᲪᲩᲐ, ყაბ. ფᲪᲩᲐ, უბიხ. ბᲐ̀ყᲩ ← *ბაყᲩᲩ „ქუდი“) ~ ს.-დაღ. ***ყᲩაფ-ა ‖ ფაყᲩ-ა** „ქუდი“ (ტინდ. ყᲯᲩაფა, კარ. ყᲯᲩაფა, დიდ. ღობილა, ინხ. ღᲩ̀ბილა, ლაკ. ყᲩ̀ფა, დარგ. (ურახ., კუბ.) ყაფა →‖ ყაპა „ქუდი“, ლეზგ. ყეფე „ცხვრის ტყავის ქუდი (კრაველი)“, წახ. ყᲩ̀ფა „ღამის ქუდი“);

ს.-ქართვ. ***მას-ე** „ბადე; ქსოვილი“ (ქართ. მასე „ცალწვერა და უმ-ძიო ბადე“ (საბა), ზან. მოსა-ბოდა „მასე ბადე“, მოს-უ-ა „ქსოვა“, ნა-მოს-ა „ნაქსოვი“) ~ ს.-ნახ. ***მაშ-ე** „ოჯახში ნაქსოვი მაუდი“ (იჩქ. მაშა ბუოზა „მაუდის ქსოვა“, ინგ. მაშ̄ „შალი, მაუდი“, ბაცბ. მაშ̄ „მატყლის ძაფის ნა-ქსოვი“) ~ ს.-დაღ. ***ნის-ა** „სელის ქსოვილი“ (ხუნძ. ნუსი „სელის ქსელი“, ახვ. ნიშა „ქსოვილი“, ნიში „ობობას ქსელი“, ჭამ. ნის, ტინდ. ნისა ‖ ნისი „ქსოვილი; ობობას ქსელი“, შდრ. ჭამ. ნის „საქსოვი დაზგა“);

ს.-ქართვ. ***ბართ-ალ-** „ჩასაცმელი, მოსასხამი“ (ქართ. ბარდალ-ი ‖ ფართალ-ი „ქსოვილი“, ზან. (ლაზ.) ფონთულ-ი „შარვალი“, სვან. ბარდან „ჩასაცმელი“ ~ ს.-ნახ. ***ფართ-ენ** „მოსასხამი“ (იჩქ. ვეერთა ‖ ვართი^{ნ} ‖ **ф**ერთ, ინგ. **ф**ერთა̄, ბაცბ. ვართე^{ნ}) ~ ს.-დაღ. ***ბართ-ა** „მოსასხამი; ჭინჭი“ (ახვ. ბართა, კარ. ბართა „ჩვარი, ჭინჭი“, ინხ. ბორთო-ხე „მოსასხამი შალი, პლედი“, ლეზგ. ფ̌ექ ← *ბეთ, თაბ. ბერქ ← *ბერთ „ჩვარი, ჭინჭი“).

ზემოთ აღწერილი საერთოკავკასიური წარმომავლობის ძირ-ფუძეების შედარებით-ისტორიული შესწავლით უცილობლად მტკიცდება ის ფაქტი, რომ კავკასიელი ადამიანი პირველად პროტოკავკასიური ეთნიკური და ენობრივი ერთობის ეპოქაში იმოსება, ხოლო სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკის მრავალფეროვნება კი უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ პირ-ველყოფილი კავკასიური საზოგადოება განვითარების მეტად მაღალ დონე-ზე იმყოფებოდა.

M. Chukhua

An Alb and Other cloths in Common Caucasian radical language

Summary

In the paper seven common Caucasian Archetypes have been reconstructed which confirm that proto-Caucasians used flax, cannabic and wool materials to make clothes. The comparative-historical study of described common Caucasian stems and roots confirms that a Caucasian man started wearing clothes from the time of proto-Caucasian ethnic and lingual unity. The variety of words connected with the clothes certainly indicates that prehistoric Caucasian society was characterized with the high level of improvement.

როენა ჭკადუა

რელატიური ვნებითის ფორმათა დამატებითი მნიშვნელობებისათვის სვანურში

სვანურში ვნებითი გვარის ფორმებს მხოლოდ პრეფიქსული წარმოება ახასიათებთ. „...ორსახელიანთა (ერთობიექტიანთა) მავნებითებელია **ი**-, ხოლო სამსახელიანთა (ორობიექტიანთა) მავნებითებელია — **ე**-. პირველ შემთხვევაში აბსოლუტური ფორმები გვაქვს, მეორეში კი — რელატიური (თოფურია 1967, 179).

გვარის ფორმათა ძირითად განმასხვავებელ მორფოლოგიურ ნიშნად ფორმობრივი ყალიბებია მიჩნეული (ჯორბენაძე 1995, 66). სვანურში, ისევე როგორც ქართულში, ვნებითი, ფორმის თვალსაზრისით, სტაბილური ყალიბით არის წარმოდგენილი, თუმცა მნიშვნელობის მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვან სურათს იძლევა.

პირის ნიშანი + ე + ძირი + ი მოდელის ზმნათა გარკვეული ნაწილი ვნებითობას გამოხატავს. ე. ი. ასეთ ზმნებთან დაკავშირებული სუბიექტი მოქმედების თვითგანმცდელია, პასიურია. მაგ.:

ხ-ე-ჟუმ-ი „˹ჩა˺ეშლება“ (ის მას)

კ̄ესäრს ქუ̄ერწილ ხეჟუ̄მი (ბზ.) „კეისარს ქორწილი ˹ჩა˺ეშლება“

ხ-ე-სკე-თ-ი „უკეთდება“ (ის მას)

მამჭრუ̄äს გუ̄ეშ მამგუ̄ეშ ხესკეთი (ბქ.) „ზარმაცს საქმე არაფერი უკეთდება“

ხ-ე-დäუ̄შ-ი „უფუჭდება, ˹და˺უშავდება“

ჭანäრს კ̄ენჩ̄ხარ ხედäუ̄შიხ (ლშხ.) „ხარებს კისრები ˹და˺უშავდებათ“.

საკუთრივ ვნებითები შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნათა კონვერსიული ფორმებია:

მოქმ.		რელატ. ვნებ.
ხ-ო-ჟუმ-ე „˹ჩა˺უშლის“ (ის მას მას)	—	**ხ-ე-ჟუმ-ი** „ეშლება“ (ის მას)
ხ-ო-სკეთ-ი „უკთებს“ (ის მას მას)	—	**ხ-ე-სკეთ-ი** „უკეთდება“ (ის მას)
ხ-ო-ჭონ-ი „უხვევს“ (ის მას მას)	—	**ხ-ე-ჭონ-ი** „ეხვევა“ (ის მას)
ხ-ო-დაუშ-ე „უშავებს, უფუჭებს (ის მას მას)	—	**ხ-ე-დაუშ-ი** „უფუჭდება“ (ის მას)
ხ-ო-ხპგრ-ე „უხეთქავს“ (ის მას მას)	—	**ხ-ე-ხპგრ-ი** „უსკდება“ (ის მას)
ხ-ო-რშ-ი „უფენს, უგებს“ (ის მას მას)	—	**ხ-ე-რშ-ი** „ეგება“ (ის მას)
ხ-ო-რშ-ი „უდნობს“ (ის მას მას)		

ორპირიანი ვნებითის ყალიბში ქართულში გვაქვს **ე-** და **უ-** პრეფიქსები, ხოლო სვანურში მხოლოდ **ე-** ფიქსირდება.

აღნიშნული ტიპის ვნებითები უღლების სრულ პარადიგმას წარმოგვიდგენენ:

აწმყო:	**ხ-ე-ლფარ-ი**	„˹გადა˺ეფარება“	**ხ-ე-ურ-ი**	„უსველდება“
წყვეტ.:	**ათ-ლა-ფრ-ან**	„გადაეფარა“	**ათ-ეირ-ან**	„დაუსველდა“
თურმ. I:	**ათ-ლა-ფრ-ენ-ა**	„გადაფარებია“.	**ათ-ეირ-ენ-ა**	„დასველებია“

და ა. შ.

გარდა საკუთრივ ვნებითებისა, სვანურში მრავლად გვაქვს დეპონენსების სახელდებით ცნობილი ზმნები (ფორმით — პასივი, მნიშვნელობით — აქტივი):

ხ-ე-ბონდ-ი „ეწებება, ეკვრება“ (ის მას)

ცაგ ეი ხებონდი მარას ლერქუალეი (ლშხ.) „ეკალი მიეკვრება კაცს ტანსაცმელზე“

ხ-ე-გცხად-ი „ეცხადება“ (ის მას)

ხელწიფს ანგლოზ ხეგცხადი (ბზ.) „ხელმწიფეს ანგელოზი ეცხადება“

ხ-ე-მოწმ-ი „ემოწმება“

მგლხარ ხემოწმიხ მგეალუარს (ბზ.) „მულახელები ემოწმებიან (მოწმედ ˹და˺უდგებიან) მუჟალელებს“

ალეს იშკენი ჟ'ასემოწმან (ლნტ.) „ამას სხვაც დაემოწმა“

ხ-ე-ქ-ალ-ი ლშხ. „ეპარება“

ციცულ ლეხქალან კალმახს (ლშხ.) „ფისო მიეპარა თევზს“

ხ-ე-დუწ-ი „ეწელება, ˹შე˺ეძურწება

ათუ̈ ლეცუ̈მარ ტაბ̈გს ხოჩამდ ხედუწი (ბქ.) „ცხელი ელარჯი ტაბლას კარგად ეწელება“

ჯგლყგთეჲსგა მოლე თეთნე ლ̈ხდუწან (ბქ.) „რემაში რაღაც თეთრი შემოიძურწა“

ხ-ე-ლფ̈რ-ი ეფარება“

მგლქუ̈ერი̈შ ნალუ̈ეურ ყიქან ხელფარი (ბქ.) „მეწისქვილის ვაჟი ზედ ეფარება“

ხ-ე-მ-ფხ̈ნგ-ი „უამხანაგდება“

ალ მ̄რე სგა ხემფხ̈ნგი ალას (ბზ.) „ეს კაცი უამხანაგდება ამას“

ა̈უ̈თანდილ ̈თეფხ̈ნიკან ყაფლანს (ლნტ.) „ავთანდილი ყაფლანს დაუამხანაგდა“.

მსგავსი ფორმები მრავლად გვაქვს სვანურში:

ხ-ე-რ-გიუ̈-ი ბზ., **ხ-ე-რგ̈უ-ი** ბქ., ლნტ., **ხ-ე-რგ̈ა̈უ-ი** ლშხ., „ᶜმოᶜურიგდება“;

ხ-ე-ქუ̈ᵊ̄ც-ი ბზ., **ხ-ე-ქ̄ᵊ̄ც-ი** ლშხ., **ხ-ე-ქᵊ̄ც-ი** ლნტ., „ეკიდება (ზურგზე)“;

ხ-ე-ღ̈ურ-ენ-ი ბზ., **ხ-ე-ღ̈ურ-ი** ბქ., ლშხ., **ხ-ე-ღ̈ერ-ი** „ეფიცება“

ხ-ე-ყ̈ᵊ̄ᵊ̄-ენ-ი ზს., ლშხ., **ხ-ე-ყᵊ̄ᵊ̄-ენ-ი** ლნტ., „ეშვება, ეხსნება“;

ხ-ე-შდ̈ᵊ̄ᵊ̄რ-ი ბზ., **ხ-ე-შდ̈ᵊ̄ᵊ̄ურ-ი** ბქ., **ხ-ე-შდᵊ̄ᵊ̄რ-ი** ლშხ., **ხ-ე-ნშტორ-ი** ლნტ., „ეხვევა, აცხრება“.

დეპონენსური გაგებისაა უსუფიქსო (resp. ნულოვანსუფიქსიანი) რელატიური ვნებითებიც (**პირის ნიშანი + ე + ძირი + Ø**) : **ხ-ე-მხუ̈ეშ** „ეუფროსება“, **ხ-ე-თ̈ᵊ̄ფ** „ესვრის თოფს, ეთოფება“, **ხ-ე-ნდრ̈ᵊ̄ᵊ̄ᵊ̄

აწმყო:	**ხ-ე-ლდელ** „მწყემსავს“ (ის მას)	**ხ-ე-თრფ** „ესვრის (თოფს)“ (ის მას)
წყვეტ.:	**ჲნ-გ-ლდელ** „მომწყემსა“ (მან ის)	**ჲხ-თრფ-ე** „ესროლა (თოფი)“ (მან მას)
I თურმ.:	**ო-ხ-გ-ლდელ-ა** „მოუმწყემსია“ (მას ის)	**ოხ-თოფ-ა** „უსვრია (თოფი)“ (მას)

აწმყო:	**ხ-ე-მზირ** „ლოცავს“ (ის მას)	**ხ-ე-ჯლეუ** „ემასხრება, დასცინის“ (ის მას)
წყვეტ.:	**ო-ხ-მეზრ-ე** „დალოცა“ (მან ის)	**ლა-ხ-ჯლეუ-ე** „დასცინა“ (მან მას)
I თურმ.:	**ო-ხ-მეზრ-ა** „დაულოცია“ (მას)	**ლო-ხ-ჯლეუ-ა** „დაუცინია“ (მას)

-ე სუფიქსიანი რელატიურები II სერიაში მეტწილად ნომინატიური კონსტრუქციისანი არიან, ნულოვანსუფიქსიანები კი — ერგატიული (არის გამონაკლისებიც).

ბზ. **ხ-ე-ცხრრპ-ი** „⌈შემო⌉ეხვევა“ (ის მას)
ლა-ხ-ცხრრპ-ჲნ „⌈შემო⌉ეხვია (ის მას)

ხ-ე-ჯფ-ი „კბენს“ (ის მას)
ჲთ-ჯჲფ „უკბინა“ (ეჯი ეჯის „ის მას“)

ხ-ე-პსუიხუ „უპასუხებს“ (ის მას)
ეს-პასხუ-უ „უპასუხა“ (მან მას)

ხ-ე-ნყჲუ-ე „ესაუბრება“ (ის მას)
ლა-ხ-გ-ნყჲუ-ე „გაესაუბრა“ (ეჯნემ ეჯის „მან მას“).

რელატიური ვნებითის **ე-** პრეფიქსი II და III სერიაში ბალსზემოურ დიალექტში რედუცირდება და ზმნისწინისეულ ხმოვანს აუმლაუტებს, ლენტეხურში შენარჩუნდება, მაგრამ წინამავალი ხმოვნის უმლაუტს მაინც იწვევს, ლაშხურში კი პრევერბისეული **-ა- -ე**-დ გვევლინება. მაგ.: **ხ-ე-მშგვჲრ** „ესტუმრება“ — **ლჲ-ხ-მუშგურ-ჲნ** (ბზ.), **ლჲ-ხ-მუშგვრ-ჲნ** (ბქ.), **ლე-ხ-მუშგურ-ანნ** (ლშხ.), **ლჲ-ხ-ე-მუშკუარ-ჲნ** (ლნტ.), „ესტუმრა“. **ხ-ე-შდრრ-ი** „აცხრება“ — **ლჲ-ხ-შდრრ-ჲნ** (ბზ.), **ლჲ-ხ-შდუჲრ** (ბქ.), **ლე-ხ-შდრრ-ანნ** (ლშხ.), **ლჲ-ხ-ე-შტორ-ჲნ** (ლნტ.) „მიაცხრა“.

ქართულში, საკუთრივ ვნებითებისა და დეპონენსების გარდა, გამოყოფენ შესაძლებლობის, მიჩნევის, გუნების და უნებლიობის ვნებითებს (აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, ბ. ჯორბენაძე...).

ამ მნიშვნელობებიდან სვანურში რელატიური ვნებითებისათვის ბუნებრივია შესაძლებლობისა და უნებლიობის გამოხატვა. რაც შეეხება მიჩნევასა და გუნებას, მათ გადმოსაცემად სრულიად სხვა ფორმობრივი სტრუქტურებია გამოყენებული. კერძოდ, გუნების გადმოსაცემად გამოიყენება კაუზატიური. ბალსზემოურ დიალექტში კაუზატიური მნიშვნელობისა და გუნების გამომხატველი ფორმები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო ბალსქვემოურსა და ქვემოსვანურში სუფიქსი განასხვავებს (ბზ.: **მ-ა-ღრ̈ᾶლ̄ურ̄ნ-ე** = 1. მამღერებს 2. მემღერება; ბქ. **მ-ა-ღრალ-ნ-ე** „მამღერებს“ **მ-ა-ღრალ-ნ-ი** „მემღერება“ (ჭკადუა 1996, 190). ხოლო მიჩნევისათვის **-ა/-Ø** სუფიქსიან სტატიკურთა მოდელი (**მ-ა-ოარ-ა** „მეპატარავება“, **მ-ა-შ-ა** „მედიდება“).

ქართველურ ენებში პოტენციალისის გამოხატვა მხოლოდ ვნებითებს უკავშირდება. არნ. ჩიქობავა წერს, რომ „...სვანურისათვის პოტენციალისი ისევე რეალურია, როგორც ქართულისათვის და სვანურში იმგვარივე საშუალებით გადმოიცემა, როგორც ქართულში“ (ჩიქობავა 1937, 137). მეცნიერს მაგალითად მოჰყავს აბსოლუტური ვნებითის **ᾱმი** „იჭმევა“, **ითᾱ̄ნი** „ისმევა“ ფორმები და ამავე დროს მიუთითებს **მამ** „არ“ და **დეშ** „ვერა“ უარყოფით ნაწილაკებზე, რომლებიც ქართულის მსგავსად გამოიყენება სვანურში. ვნებითის ფორმებთან იხმარება **მამ** „არა“ და არა **დეშ** „ვერა“ (იქვე).

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ საკითხთან დაკავშირებით რ. შეროზიას: „...არც ქართულში და არც სვანურში უპრეფიქსო ვნებითის ფორმებს[1] არ შეუძლიათ პოტენციალისის გამოხატვა... რაც შეეხება პრეფიქსიან ფორმებს, ისინი დამოუკიდებლადაც გამოხატავენ პოტენციალისის შინაარსს. **ი-ჭმ-ი** „ითიბება“ ან „თიბვა შეიძლება **ხ-ე-ჭმ-ი** „ეთიბება“; **ი-ლაში** „ითესება“, **ხ-ე-ლაშ-ი** „ეთესება“; **ი-თᾱ̄ნ-ი** „ისმება“, **ხ-ე-თᾱ̄ნ-ი** „ესმება“ (შეროზია 1978, 153). ავტორი აქვე შენიშნავს, რომ პოტენციალისის გაგებას იძლევიან ფლექსიურ ზმნათა პრეფიქსიანი ფორმები **ი-დიგ-ი** „იქრობა“, **ი-ტიხ-ი** „ბრუნდება“ და სხვ. (იქვე).

---

[1] სვანურის უპრეფიქსო ვნებითებში ავტორი ფუძედრეკადთა ვნებითს გულისხმობს, რომელიც ძირის ხმოვანმონაცვლეობითა და **-ენ** ფორმანტით იწარმოება.

უნდა შევნიშნოთ, რომ **-ე-** პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები კონტექსტის მიხედვით შეიძლება შეგვხვდეს როგორც პოტენციალისის, ასევე უნებლიობის სემანტიკით:

პოტენც.: **ფიჭმლისგა მარა საკფახ გარ ხემი** „მარხვაში კაცს მხოლოდ სამარხვო საჭმელი ეჭმევა“.

უნებ.: **ჟელყანს ლელურა ხალატ ი სურუ ხემი** „ჟელყანს ხორცეული უყვარს და ბევრი ⌜შე⌝ეჭმევა“.

უნებლიობა ქართულში, ერთი მხრივ, ვნებითის ნიუანსად არის მიჩნეული (აკ. შანიძე, ბ. ჯორბენაძე, ალ. ონიანი, გ. გოგოლაშვილი), მეორე მხრივ, კი — ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიად (ალ. ფოცხიშვილი). სვანურში უნებლიობის სემანტიკის მქონე რელატიურ ვნებითთა ფართო **სპექტრია წარმოდგენილი უღლების საკმაოდ სრული პარადიგმით**.

აკ. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, მართალია, სპეციალურად არ განიხილავს ამ საკითხს, მაგრამ ობიექტურ პირთა თავისებურებათა დადგენისას **შემო-ა-კვდ-ა**-ს მაგალითზე წერს, რომ ამ პასიურ ფორმაში „ობიექტი უნებური მონაწილეა მოქმედებისა, რომელიც მისი ხელით სხვამ ჩაიდინა“ (შანიძე 1980, 373). შემდგომში იგი დაწვრილებით შეეხო ამ საკითხს და აღნიშნა, რომ უნებლიე მოქმედების გამომხატველი ფორმები ცალკე კატეგორიას კი არ ქმნიან, არამედ ვნებითი გვარის ისეთსავე ნიუანსებს გამოხატავენ, როგორც შესაძლებლობა, მიჩნევითობა, გუნება და სხვ. (შანიძე).

უნებლიობის გამომხატველი ზმნები ქართულში შეისწავლა და ცალკე კატეგორიად გამოყო ალ. ფოცხიშვილმა, ხოლო მათთვის დამახასიათებელი **შემო-** ზმნისწინი ამ კატეგორიის მაწარმოებლად მიიჩნია (ფოცხიშვილი). **შემო-** ზმნისწინის უნებლიობის ფუნქციის გამოხატვის მქონებლობაზე მიუთითებს მ. მაჭავარიანი და იქვე აღნიშნავს, რომ ამ ფაქტზე ყურადღება მიაქცევინა ქ. ლომთათიძემ (მაჭავარიანი, 1980, 105).

სვანურში უნებლიობის ნიუანსის მქონე ვნებითები, ქართულის მსგავსად, ინვერსიულებია:

მ-ე-დგპრ-ი „მაკვდება“ **მ-ე-ლგნძღპფ-ი** „⌜შე⌝მომელანძღება“
მ-ე-ცლგრ-ი „⌜და⌝მეგლიჯება“ **მ-ე-ტყცპნ-ი** „მეცემინება“
მ-ე-ქფ-ი „მეთქმება“ **მ-ე-ჰდ-გნ-ი** „მიმესვლება“ და სხვ.

უნდა შევნიშნოთ, რომ აწმყოს ფორმებს უფრო მომავლის გაგება აქვთ ან ზოგადი აწმყოსი. მაგ.:

უსმართუ̈ილდ რაგდიხ, ეჩქას ტკიც ქა მექუ̈ი „უსამართლოდ როცა ლაპარაკობენ, მაშინ სიმართლე („მეთქმევინება“).

ლგძფა̈ნ გა̈ნთე ათხა, ოდო ˹ჩუ˺ ‖ ˹ქა˺ მემი „წიწაკიანი შეინახე (გვერდზე გაწიე), თორემ შემეჭმევა“.

აღნიშნული სემანტიკა განსაკუთრებით კარგად არის გამოხატული წყვეტილის ფორმებში. სვანურში **შე-მო** ზმნისწინის ექვივალენტად გვაქვს **სგა-ლა**. რიგ შემთხვევაში კი მხოლოდ **ლა-** ან **ლა-** სხვა ზმნისწინებთან კომბინაციაში:

სურუ ლა̈ხყირა̈ნ ი ეჩუნლ̄ონ ა̈ნჰა̈დრე (ბზ.) „ძალიან მაგრად დაარტყა („დაერტყმევინა“) და შემდეგ ინანა“

ეჯზუმ ლა̈ხიმა̈ნ ‖ ლა̈ხმამა̈ნ, ერე ხოლამდ ა̈დგრდა̈ნ (ბზ.) „იმდენი შეეჭამა, რომ ცუდად გახდა“

ლაშიალჟი მიჩა მუხუ̈ბე ლა̈ხქაჩან (ბზ.) „ჩხუბისას თავისი ძმა შემოეჭრა“

ჰედურდ დემეგ მიბირან, ეჯჟი ლა̈მიქუ̈ა̈ნ ტკიც (ბქ.) „სულ არ ვაპირებდი, ისე მეთქმევინა სიმართლე“

დემაქ გეშ ლა̈მჩემნა̈ნ (ბქ.) „ცუდი საქმე ჩავიდინე („ჩამედენინა“)“, „ჩემდა უნებურად ცუდი საქმე ჩავიდინე“

თეთრ თელდ სგა ლეხხგრჯაუ̈ა̈ნ (ლშხ.) ფული მთლიანად შემოეხარჯა“

ჭიქ ტოტარისგა სგა ლემკუშურა̈ნ (ლშხ.) „ჭიქა ხელებში შემომემტვრა“

დია̈რ სკა ლა̈მეფინჩხლავა̈ნ (ლნტ.) „პური შემომეფშვნა“

მეშეხალ ხა̈ქუდა, ეჯჟი ქალა̈ხეღარალა̈ნ (ლნტ.) „შავები ეცვა, ისე უნებლიედ იმღერა („წაემღერა“)“.

ლობიო სურუ ლა̈მეჯგმნა̈ნ (ლნტ.) „ლობიო ძალიან დამიმლაშდა („შემომემარილა“)“

ინჯარშუ̈ ქა ლა̈ხესკინა̈ნ ქორხენქა (ლნტ.) „სიბრაზით გამოხტა („გამოეხტუნა“) სახლიდან“.

როგორც მასალიდან ჩანს, უნებლიობის სემანტიკის მქონე ვნებითთა ფორმებში აუცილებელი ელემენტი არის **ლა-** პრევერბი. **ლა-** (და არა მარტო **ლა-,** არამედ სხვა პრეფიქსებიც) პოლიფუნქციურია. იგი ზმნას უცვლის არა მხოლოდ გრამატიკულ, არამედ ლექსიკურ მნიშვნელობასაც. ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ „...პრევერბი (**ან-, ად-, ლა-**...) არა მარტო

მიმართულებასა და ასპექტს გამოხატავენ, არამედ, ზმნის მნიშვნელობასაც ცვლიან (თოფურია 1967, 67). რაც შეეხება უნებლიობის სემანტიკას, მეცნიერი უშუალოდ აღნიშნულ საკითხს არ ეხება, მაგრამ ამ ფორმათა განსხვავებული მნიშვნელობა რომ შემჩნეული აქვს, ეს კარგად ჩანს **ლäხქაჩäნ** ფორმის თარგმანში. „...ლშხ. ლე-ხ-ქაჩäნ = ლნტ. ლä-ხ-ე-ქაჩან = ბზ. ლä-ხ-ქაჩäნ (**უნებურად** დაჭრა, შემოეჭრა)... (იქვე, 57).

უნებლიობის კატეგორიის გამოყოფის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ამ ზმნათა უღლების პარადიგმის სისრულე. ისინი სრულყოფილად აწარმოებენ წარსულისა და მომავლის გაგების მქონე ნაკვთებს. მაგ.:

აწმყო: **ხ-ე-ყირი** „უნებურად არტყამს“ („ერტყმევინება“)
მყოფ.: **ლä-ხ-ყირ-ი** „უნებურად დაარტყამს“
წყვეტ.: **ლä-ხ-ყირ-äნ** „უნებურად დაარტყა“
I თურმ.: **ლა-ხ-ყირ-ენ-ა** „უნებურად დაურტყამს“

აწმყო: **ხ-ე-ლგნძღäშ**-ი „ელანძღება“
მყოფ.: **ჩუ||ქა ხ-ე-ლგნძღäშ-ი**, **ლä-ხ-ლგნძღäშ-ი** „შემოელანძღება“
წყვეტ.: **სგა ლä-ხ-ლგნძღäშ-äნ** „შემოელანძღა“
I თურმ.: **სგა ლა-ხ-ლგნძღäშ-ენ-ა** „შემოლანძღვა“

აწმყო: **ხ-ე-ქშით-ი** „უნებლიედ იპარავს („ეპარება“)“
მყოფ.: **ქა ხ-ე-ქშით-ი** — **ქა ლä-ხ-ქშით-ი** „უნებლიედ მოიპარავს („მოეპარება“)“
წყვეტ.: **ქა-ლä-ხ-ქშით-äნ** „უნებლიედ მოიპარა („მოეპარინა“)“
I თურმ.: **ქა-ლა-ხ-ქშით-ენ-ა** „უნებლიედ მოუპარავს“.

მართალია, ზემოთგანხილული ტიპის ზმნები II და III სერიის მწკრივებს აწარმოებენ, მაგრამ აღნიშნული სემანტიკის გამოსახატავად რაიმე ახალი ფორმა კი არ წარმოიქმნება, არამედ ვნებითისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ინვენტარია გამოყენებული: **-ენ** → **-äნ/ -äნ/-ან**. სემანტიკური განსხვავებულობის გამოხატვა პრევერბებს აქვთ დაკისრებული. მაგ.:

äთ-ცგლგრ-äნ „დაეხა“ **სგა ლä-ხ-ცგლგრ-äნ** „შემოეხა“
äთ-ხგრჯäშ-äნ „დაეხარჯა“ **სგა ლä-ხ-ხგრჯäშ-äნ** „შემოეხარჯა“
äთ-ქაჩ-äნ „დაეჭრა“ **სგა ლä-ხ-ქაჩ-äნ** „შემოეჭრა“ და სხვ.

სვანურში, ქართულის მსგავსად, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვაქვს აქტიური ფორმები:[1]

სგა ლა-მ-ლგნძღაშუ-ე „შემომალანძღა“
სგა ლა-მღან-უ-ე „შემომაფეხმძიმა“ და სხვ.

ვნებითის თავისებურებად მიაჩნია უნებლიობის გამოხატვა ბ. ჯორბენაძეს, ხოლო მ. მაჭავარიანი აღნიშნული სემანტიკის არსებობას **მან**-ის რიგის ნიშნებს უკავშირებს: „დაპირისპირებაში **ვკარგავ : მეკარგება** ვინ-ის ფუნქციაა გამოხატოს ნებელობითი აგენტი, ამის საპირისპიროდ არააგენტური **მან**-ის რიგი პროცესის აღმნიშვნელ ზმნაში მიემართება უნებლიე მოქმედს“ (მაჭავარიანი 1980, 105). საგულისხმოა, რომ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიუანსების განხილვისას აკ. შანიძე სუბიექტის ხუთ სხვადასხვა სახეს გამოყოფს და აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირის ნიუანსების დადგენაში მთელი ფორმა იღებს მონაწილეობას (შანიძე 1980, 372). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანურში არსებული საკმაოდ დიდი ჯგუფი ზმნებისა დამატებითი სემანტიკის, მოდალობის გამოსახატავად კაუზატივის ყალიბს იყენებენ, და დრო-კილოთა გარკვეულ ნაკვთებსაც აწარმოებს. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ „ენაში ძალიან ხშირად ხდება ნაირგვარი ფუნქციის გამოხატვა ერთი და იმავე ფორმით და პირიქით, ერთი ფუნქცია ხშირად რამდენიმე ფორმით გამოიხატება“ (ჯორბენაძე 1980, 72).

რელატიური ვნებითის ერთ-ერთ დამატებით მნიშვნელობად მიგვაჩნია ე. წ. პირობითობა-შედეგობითობაც. ქ. მარგიანი-სუბარი აწმყოს პირობით-შედეგობითსა და ნამყოს პირობით-შედეგობითს გამოყოფს და III სერიაში შეაქვს როგორც ახლად აღმოჩენილი მწკრივები. იგი წერს, რომ „ვ. თოფურიას „სვანურ ზმნაში“ ამ ფორმების მსგავსი სემანტიკა არ ჩანს... ეს ზმნები არც უღლების სისტემაშია ფიქსირებული“ (სუბარი 2008, 123). უნდა შევნიშნოთ, რომ ვ. თოფურიას ფუნდამენტურ ნაშრომში ზმნურ ფორმათა სემანტიკაზე ნაკლებად არის საუბარი, ხოლო **ე-** პრეფიქსიანი ვნებითები კი, რა თქმა უნდა, ფიქსირებულია და მრავლადაც. ვნებითის ყალიბის **ე-**პრეფიქსიანი ფორმები ნაირგვარი ფუნქციითაა წარმოდგენილი და მათ ახალ მწკრივებად და კატეგორიებად მიჩნევა, ვფიქრობთ, არ იქნე-

[1] ალ. ფოცხიშვილი კატეგორიის გამოყოფის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად ასეთი მორფოლოგიური დაპირისპირების არსებობას მიიჩნევს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ფორმები ძალიან ცოტაა.

ბა მართებული. უნებლიედ გვაგონდება არნ. ჩიქობავას გამონათქვამი სიტუაციის კატეგორიასთან დაკავშირებით: „...ახსნა გვჭირდება და არა ცალკე კატეგორიად გამოყოფა აუხსნელისა“ (ჩიქობავა 1959, 162).

ე- პრეფიქსის პოლიფუნქციურობისათვის ყურადღება მიუქცევია ივ. ქავთარაძეს. იგი წერს, რომ ძველ ქართულში **ე-** პრეფიქსი გვევლინება ისეთ ფუძეებშიც, რომელთაც ვნებითის მნიშვნელობა სრულებით არა აქვთ (ქავთარაძე 1954, 300). მეცნიერის აზრით, აღნიშნული ფორმანტის გამოყენება ზმნებში წინ უსწრებს ვნებითი გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებას (იქვე, 309). ამის დასტურად გამოგვადგება სვანურში აქტიურ ზმნათა ფორმებში მისი არსებობა. მაგ., **ხ-ე-ჴფ-ი** „კბენს“ (ის მას)

ხ-ე-შმ-ი „უხმობს“ (ის მას)

საგულისხმოა, რომ სვანურში II სერიაში აღნიშნული ზმნები ნომინატიური კონსტრუქციისა, მაშინ, როცა მათი ქართული ექვივალენტები ერგატიულ კონსტრუქციას გვიჩვენებენ:

(ბზ.) **Ათ-ჴᲐფ** (ეჯა ეჯის „ის მას“) უკბინა (მან მას)

(ბზ.) **ლᲐ-ხ-შგმ** (ეჯა ეჯის „ის მას“) უხმო (მან მას).

უნდა შევნიშნოთ, რომ სხვადასხვა ნიუანსის გამომხატველი ვნებითის ფორმები (პოტენციალისი, უნებლიე მოქმედება...) ინვერსიულები არიან. ფორმათა ინვერსიულობა დიდ როლს თამაშობს დამატებითი მნიშვნელობების არსებობაში, რაც ცალკე განსახილველ საკითხს წარმოადგენს.

ქართულ ენაში **ე-** პრეფიქსიან ვნებითს უშუალო დანიშნულების, პასივის ფუნქციის გარდა, შეუძლია გამოხატოს აქტიური მოქმედება, პოტენციალისი, უნებლიე მოქმედება, მოჩვენებითობა, გუნება, მიჩნევითობა, რაც საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართველ ენათმეცნიერთა მიერ (ა. შანიძე, ქ. ლომთათიძე, ბ. ჯორბენაძე, ა. ფოცხიშვილი, მ. სუხიშვილი[1]...).

სვანურში რელატიურ ვნებითს ზემოთჩამოთვლილი ნიუანსებიდან ახასიათებს დეპონენსური გაგება, პოტენციალისი, უნებლიე მოქმედება.

ე- პრეფიქსის პოლისემანტიკურობა და მორფოლოგიურ ყალიბთა უნარი ნაირგვარ კონტექსტში სხვადასხვა ფუნქციით წარმოჩინებისა, განაპირობებს რელატიურ ვნებითთა დამატებითი მნიშვნელობების სიმრავლეს სინქრონიულ დონეზე.

---

[1] მ. სუხიშვილის აზრით „...ადამიანის განწყობილების ეს ნიუანსი მხოლოდ „გუნების“ ვნებითის კუთვნილება არ არის. ეს ნიუანსი სათანადო სემანტიკის მოქმედებითი გვარის ფორმებშიც გამოიხატება...“ (სუხიშვილი 1980, გვ. 68).

საინტერესო სურათს გვიჩვენებენ ხმოვანპრეფიქსები **-ჷ̈ლ**..., **-ოᲨ̄ლ**... ელემენტიან ზმნებში, რომელთა შესახებ შემდგომ პუბლიკაციებში გვექნება საუბარი.

ლიტერატურა

თოფურია 1967 — ვ. თოურია, სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი, 1967.

სუხიშვილი 1980 — მ. სუხიშვილი, მოქმედებითი და ვნებითი გვარის წარმოებისა და სემანტიკის ზოგიერთი საკითხი ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 1980.

მარგიანი-სუბარი 2008 — ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოლოგიური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბილისი, 2008.

მაჭავარიანი 1980 — მ. მაჭავარიანი, რეფლექსივისა და ქცევის კატეგორიების მიმართებისათვის, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბილისი, 1980.

ფოცხიშვილი 1969 — ა. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში, გიორგი ახვლედიანის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1969.

ქავთარაძე 1954 — ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.

შანიძე 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980.

შანიძე 1984 — ა. შანიძე, უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი, კრებული „ქართული ენა“, თბილისი, 1984.

შეროზია 1978 — რ. შეროზია, ვნებითი გვარის ზმნებისა და პოტენციალისის საკითხისათვის ქართულსა და სვანურში, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1978.

ჩიქობავა 1937 — არნ. ჩიქობავა, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე I, თბილისი, 1937.

ჭკადუა 1996 — რ. ჭკადუა, ზმნის მოდალური ფორმებისათვის სვანურ ენაში, ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბილისი, 1996.

ჭკადუა 1990 — რ. ჭკადუა, გუნება-განწყობისა და მიჩნევის გამოხატვისათვის სვანურში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია: თეზისები, თბილისი, 1990.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი, 1980.

ჯორბენაძე 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი, 1995.

R. Chkadua

Towards the additional information of relative passive voice in Svan

Summary

In Georgian passive voice with prefix e can express active operation, potentiality, involuntary action, meretriciousness, mood and consideration. From the mentioned nuances it is characteristic meaning of deponens**,** potentiality and involuntary action for passive voice in Svan.

Prefix e with its meaning of polysemantic and moulding of morphology conditions the variety meaning of relative passive on synchronical level in different context.

ნარგიზა სურმავა

ქართული დიალექტური ტექსტები იმერხევის მეტყველებიდან

იმერხევის სოფლები გეოგრაფიულად მაღალმთიან ზოლშია განფენილი, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ შიდამიგრაციულ და ურბანიზაციულ პროცესებს. ზამთრობით სოფელში საცხოვრებლად მოსახლეობის მხოლოდ მცირედი ნაწილიღა რჩება, უმრავლესობა კი თურქეთის სხვადასხვა რაიონში (ბურსა, ინეგოლი, სტამბოლი, ანკარა, რიზე და ა. შ.) არის ოჯახებით მიმოფანტული. სოფელი ცოცხლდება გაზაფხულსა და ზაფხულში. ეს თავყრილობა დიდად უწყობს ხელს ქართული გენისა და მეტყველების შენარჩუნებას.

ხაზგასასმელია, რომ ადგილთა ქართული დასახელებანი — ოიკონიმია და მიკროტოპონიმია — დღესაც ცოცხალი და მოქმედია.

თვალში საცემია ქართული დიალექტური მეტყველების ფლობის ხარისხის დამოკიდებულება თაობათშორის განსხვავებულობის ფაქტორზე, რაშიც ხშირად ვრწმუნდებოდით ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის წევრთა მეტყველების მაგალითზე. 75 წელს მიტანებულ (და ზემოთ) მოსახლეობაში ქართული დიალექტური მეტყველება ხშირ შემთხვევაში დომინანტის როლში გამოდის. ჯერ კიდევ შევხვდებით მხოლოდ ქართულ დიალექტზე მოსაუბრე ადამიანს ძველი თაობიდან. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი ადგილობრივი გურჯის მემედ სანჯალის ნათქვამი: „ჩვენ მარტივ ჟაშლი კაცები დავრჩით აქა. იქნება აქა, თურქჩა არ ეცოდინება. აქ იმგვარი არიან'ქი ზველები, გურჟიჟა მეტი არაფელი არ ისის".

ქართული ენის ფლობის დონის მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორიც — ოჯახი სოფლის მუდმივი მაცხოვრებელია თუ დროებითი, რადგან სოფელში ქართული მეტყველება საურთიერთო ფუნქციას დღესაც აქტიურად ასრულებს, თურქულთან ერთად. შესაბამისად, ადგილობრივი

მუდმივი მაცხოვრებლები უფრო თავისუფლად მეტყველებენ დიალექტზე.

მწვავედ დგას ახალ თაობაში მშობლიური ენის გადაცემის საკითხი. პრაგმატული მოსაზრებით, სასკოლო ასაკამდე ბავშვებს მხოლოდ თურქულად ელაპარაკებიან.

აქ წარმოდგენილი მასალა სოფ. უსტამისშია ჩაწერილი. იგი **ვიდეოტრანსკრიფტია**, ვიდეოჩანაწერის ზუსტი ასლი. შევეცადეთ, გაგვეკეთებინა პროსოდიული ხასიათის აღნიშვნებიც — აღნიშნულია მახვილი კითხვით კონსტრუქციაში, პროკლიტიკები და ენკლიტიკები.

მასალა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ სპონტანურ საუბარში მონაწილეობენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები: ანა (თ. „დედა“) — 78 წლის, შვილი — ოზამან ერდემი, 30 წლის, რძალი — 48 წლის, გამოთხოვილი სოფ. ჩიხისხევიდან, შვილიშვილი — დოუქან ერდემი — 19 წლის, ცხოვრობს ქ. ართვინში.

თუ დავაკვირდებით, ტექსტურ ვერსიაშიც ძნელი არ იქნება მეტყველების მხრივ თაობათშორისი განსხვავებების „დაჭერა“.

უსტამისი

1

[რძალი:] ეს ჩემი დედამთილი არი. ეს დედამთილია, ეს მაზლი არი, პაწაი.

[კაი დედამთილია?]

[რძალი:] ოჰუუ! შილიც მყავს, ამა ლოცულოფს, შილი.

[თუთა ორნაირია?]

[შვილი:] ჰო, შავის(ს<ც) არი, თეთრის არი. შავსა დუტას ვებნევით.

[შვილი:] შაუ დუტა ქვია, თეთრ თუთა ქვია.

[რძალი:] თეთრიზგან ბექმეზ მუადუღებთ და შავსაც იშტე თუ მაადუღე — მაადუღე, არ მადუღე და ჭამით რო ჭამენ, მერე ჩამოდინდება, გეᲣარს, წავა.

[რომელი ფასობს?]

[რძალი:] თეთრი. თეთრისა ბეკმეზი კეთდება, მევრე ფესტილ გავაკეთებთ. ფესტილი — ტყლაპი, ჰო.

[როგორ კეთდება?] — იმა მოვხარშავთ, შირა... შირა გამუა, იმ შირაში შიგან ქფილ ამუუკიდავ.

[ნენესაც ვკითხოთ].

[ანა:] შირა — ჩავყრით თუთას, მუადუღებთ, გადავასხამთ გოდორში, დეიწურვის. Ჯვალში გადავასხამთ-Უა, ის გეიწურვის ლამაზათ, თექრელ

ჩავწურავთ სუზგში, ჩავკრეფავთ თეშთში — მოდუღდება. ბეკმეზი მოდუღ-დება, შირა ემეს იქს, ეთამ შივაცივეფთ, ამუუკიდეფთ ფქვილს, ჯვლიებზე ლამაზად... გავშლით ჯვლიებ, ლაილონი ჯვლიებ. იმაზე დავასხამთ ა ამითა-ნა სიცხეში, ერთ დღეზე ისე ლამაზათ გაშრება, ქი გაბზუვდება.

[რაზე დაასხამთ?] — ჯვლიებზე დავასხამ, ბეზებზე დავასხამ.

[სუზგი რაა?]

[ანა:] სუზგი — დასაწური, საცერი, ცხრილი.

2

[ანა:] სუზგის(ც) წურილის არი, დიდის არი. ბევრი შირა თუ არი, საცერში ჩაასხამ, ჩიიწურვის, ხურდა არ გახყვება, მასკანას თექრერ სუზგ-ში ჩაწურავ.

[ქუმას როგორ აკეთეფ?]

[ანა:] ისას აინი ისე უნა გააკეთო. იმასევენ იშტე ამუუკიდებ. სოტა თხლათ იქ იმას. იმა ზალვან სისქე არ უნდა.

[რძალი:] ერთი კაკალი დაასვი [დააცვი], ანა, ზაფზე.

[ანა:] ი კაკალ დატეხავ, ზაფზე დააცვამ, ლამაზად ასე წურილ-წუ-რილ კუნჩხლებ, კუნჩხელას, მასკანას(ც) იმა გააკეთებ, იმ ფესტილი ემეს, ამუუკიდებ ფქვილს, შირას აადუღებ, თან უნდა გააცივო და ისე'ნა ადუ-ღო, ქი არ დეიმურკლოს.

[როგორ?]

[ანა:] გააცივო'ნა და ისე'ნა გუუკიდო ფქვილი, შირაში ფქვილი'ნა გუუკრა და. ნენნელა'ნა გუუნთო ცეცხლი, ენწინა ხან ცრტაი'ნა აანთო ცე-ცხლი, ქი არ ჩეიხრაკოს ფეშტუმ, უსულ-უსულ ურიო'ნა, ურიო, ურიო უსულ-უსულ აანთო'ნა, ერთ დრამ'ნა გაზარდო ცეცხლი. ცოტაი'ნა ქნა, მასკან'ნა გაზარდო ცეცხლი, ქი არ დეიხრაკოს, ბირყაადე'ნა ურიო, ციცხვი ბირყაადე'ნა ურიო, შეში კოვზია. ურიო'ნა, ურიო, ურიო ციცხვი. მასკანას იმა ემეს იქ, კუნჩხლებ დააზრებ (?) ენწინა ხან, ჩაყოფ — ამეიღოფ, ჩაყოფ — ამეიღოფ, ჩაყოფ — ამეიღრბ, ეიგლისვის. [რამდენჯერ?] ერთი ჩაყევ, გუუ-ხედე ქი, ცოტაი წეეკრა, ერთ კიდე ჩაყოფ, იქინჯიდა გუუხედავ ქი, საყოფი წაკრულია, აგლესილია, დაკიდავ ასე. თექრერ ჩაყოფ, ამეიღობ რამდენთა-ნე გინდა: ხუთი გინდა, ათი გინდა, ოცი გინდა, ორი გინდა, სამი გინდა. იმა ჩაყოფ, იმა იშტა, აათავებ, ამეიღეფ, დაკიდავ, აათავებ, ამეიღეფ, დაკი-დავ. ცრრ-სამ ჩაყოფ.

[რომელ თვეში აკეთებთ?] — ა ახლა, გინდა ბექმეზებ თუთისა მაადუღებ.

[რძალი:] ანა, გურჟიჟა რემელი თვე არი?

[ანა:] თუთი მაისში მოდის, ქირეზაში არი. ახლა ცოტა აქ... ქომოთ ყანებისკენ ცოტა მალე მოდის, ერთ კვირით წინ მოდის. ცოტა ზემოთ გვიან-გვიან მოდის.

[მარტო კაკლისგან აკეთებთ?]

[რძალი:] კაკლისა გააკეთეფ, თხილისა გინდა — თხილისა გააკეთეფ. თხილისას(ც) გაკეთდება. მოშოშტის — არა. იმას ტათლის გავაკეთეფთ, მოშოშტისა ტათლის გავაკეთეფთ.

[კუნჩხელა რა არის?]

[ანა:] კუნჩხლებ იშტე ონიქი ემესი ფესტილი ქი რავაიც აკეთეფ, ა იშტე, ქომას. კუნჩხელას ვეტყვით ჩვენ, კუნჩხელას. ასე დავაცვამთ, ასე ზაფზე, ასე ნემსზე დავაცვამთ, დავაცვამთ ამდენ-ამდენი. მასკან ამას ასე ჩაყოფ-ამეიღობ თეშთში, ემეში, ასე ჩაყოფ, დეიკონწვლის ასე, ჩადეფ ასე ლამაზათ, ჰა ასე. თექრელ ასე ამეიღეფ, დააყენეფ ერთ დრამ. თექრელ ასე ჩადეფ, თექრელ ასე ამეიღეფ, ალთუხ ეიკონწლის. ეიკონწლა, მიხთი ქი, ეს საყოფი არი — ამას დადეფ ასე, დაკიდავ ასე ლამაზათ. ქანდარა თუ გაქ, ქანდარაზე დაკიდავ, არ გაქ და ერთ წმინდა ლამაზ თემიზ გარგან გააკეთეფ, [რას გააკეთებ?] — გერგნები, გარგანი. ასე ააცვამ ა აგზე, დაკიდავ ასე, გააგზელებ ლამაზათ პალკონზე. გინდა ასე წმინდა თოკები არი, იმა გააბამ ჰა ასე, ასე ლამაზათ მაგრათ, იგზე წააბამ, აგზე წააბამ. ამას ააცვამ აგზე. ცოტაი გინდა, ცოტას გააკეთეფ.

[რძალი:] თქვენიდამ გადმოსული იყვენ ქართველები, გვამღერეს, აქ გამუელით [ტელევიზორს მიუთითა]. ახლა რემაზანი ვარ [თ. var „არის“], ცივი წყალი ნასვამი ვარ ბუზდოლაბისა, ასე ყია ფენა მეწვის. წყალი ვსვით და, ბუზდოლაბის წყალი ვსვრთ, ცოტა ყია მეწვის და ჴმა არ ამუა. რემეზანში იქ თაზე, მესელა, გვწყურდება, საღამოზე იფთარი ქი მოდის და მეჟბური ვსვამთ ბოლათ წყალ, ცივ წყალ.

[გურჯული სიმღერები ბევრი იცით?]

[რძალი:] გურჯული ბევრი ვიცით, ამა ვერ ვიმღერეფთ. ჩემი Ძეგანი ვამღერე, ჩემ ანათერეფიდან, ზეგანში ვიყაავ, ემოშვილის, ანა თერეფისა, ჰო.

3

[თქვენი ქორწილის ამბები მოყევით]

[რძალი:] ანა, შენ რამდენ წლისა იყავი, გაგათხვიეს-Ძა?

[ანა:] ონბეშიაშინდა ვიქნებოდი, იმაზე მეტი არა, ათიდახუთის. ელჩი შორედან დადიოდენ და ერთთანე ვიყავ ბაბოსი-ანასი და, ერთი ვიყავ და — ვერ გევმეტეფ მე, შორ ვერ დევგულეფო — და ახლოვენაი

მიმცა ხალაშვილ, ახლოვენ გამათხუა. შორიდან დადიოდენ და შორ ვერ დევგულებო — ბაბომა — მეო, ერთ დღე ვერ დევნახოო, ზათი გავლეშდებიო. ახლო გამათხუა.

[ხალაშვილს გაგაყოლა. ხალაშვილს კი იცნობდი ალბათ.]

[რძალი:] რაი'ნა იცნოს, ეს იყო ზემოთ თა... ყიშლებ ვეტყოდით. ყიშლებში ვიყაო, ამოიდაო და მითხრეს, ქი იმა'ნა მიქცეო და შემცხვაო და დევმალეო.

[რძალი:] მუზიყას დუუკრევდენ, ჭიბუნ დუუკრევდენ. ჭიბუნი — გაასივებდენ გუდას, ჩაბერევდენ, ჰო. ისამებდენ ერთ კვირე იშენლიგებდენ ისე ორედე, გუ̈ნდუ̈ზე ერთ კვირე იშენლიგებდენ კულას(ც) და ახლა ისე აღარ'არი და.

[ანა:] ახლა ისე არ'არი. ახლა შორ, ართვინ, მიყავან ემეში ზალი [რძალი], დუგუნსალონში დუგუნ იჯ̌ებიან.

[ხალაშვილს ხომ იცნობდი?]

[ანა:] აპა არ ვიცნობდი, ამა ჩვენ ბოინე ზემოთ ვიყავით, დანახული ბილა არ ქვქონდა, არა! მასუკან იშტე... იმისი ანაჲ, ჩემ ოღლუშაღის ანაი, ჩემ ძმათან იყო, ემეი რაი ქვიან და, ხალაშვილები, და იშტე ჩემ კაცის და ჩემ ტადოთან იყო, მასკანაც იშტე შორ არ გამათხუა ბაბომან, იმას მიმცა, გევცვალენით.

[რამდენი შვილი გეყოლათ?] მე'ჰო? ორედი მეყოლა.

[რძალი:] ათიდაორი ეყოლა და ექვსითანე კვდარი ყავს.

[ანა:] ორედი მეყოლა, ჲარები შუქურ, იმ დუნჲაზას(ც) მყავს, ამ დუნჲაზას(ც).

[რძალი:] ახლა ერთის[ც] მაზლი დეგვეკარგა, ჩვენზე დიდი მაზლი დეგვეკარგა, ორი-სამი წელიწადია იშტე. ვერ შევეყარენით ვერსა: კვდარია, ცოცხალია, საცხა წევდა, რაი არრ, ვერ გვიპოვნია. ართვინიდან დეიკარგა, ჰო. ვახინჯ̌ი იყო, ემექლი გახდა და ჰემ იშტე ქალის უკან კაჲ არ იყო იშტე. ჰემ გარჩეუ̈ლიც იყო ქალის უკან. სახლი ეჲღო, ემექლი ფარით, დეგვეკარგა იშტე, ართვინი(ს) ჩარშიდან დეიკარქა.

[შვილები დიდები იყვნენ, რომ დაიხოცნენ?]

[რძალი:] ჰო-ჰო, ისინი დიდვრანი. ისინი დიდვრანი დეიხოცნენ და იმისი მიმტანო, კვდრიების მიმტანო, ეს იყო იშტე. ენწ̌ინაჲ ბაჭალა მყავდა და იმა უკანაჲ მეიხოცნენ, იმის უკანების[ც] იშტე ესენი არიან.

[რა დაემართათ? რატომ დაიხოცნენ?]

[ანა:] მე რა ვიცი, იშტე იხოცვოდენ, ხან ერთი ერთ-ორ წლისა გა-

ხდებოდა, ერთი — წლისა, ერთი — ექვს თვისა, წვრილ-წვრილი.

[ბიჭი თუ გოგოშვილები?]

[ანა:] ერთთანე სექიზდაშინდა ბაჯალა მომიკვდა, გოგო მომიკვდა ერთთანე, სექიზდაშინდა იყო ისა, მიერები ორ-ორ წლისა იყვნენ.

[რძალი:] სექიზდაშინდა ბაჯალა... ეს ავათ გახდა, თვალი ატკივდა და ჰასტაჰანეში წეიყვანეს, ისე იყო განა, ანა? ჰასტაჰანეში წეიყვანეს და ეს გეეტირა იმაჰ. იშტე იმერაყა, რა იქნა იშტე...

[ანა:] არ გამერჩეოდა, საცხა არ წევდოდი, მიმომყვებოდა, არ დადგებოდა ჩემუჩემოდ საცხა. ეიდა, გავაგდე იშტე, იმერაყა, რა ქნა! ბირემედენი ავად გამხდარიყო. მე რა ვიცი, შეცივდა. ანა, ვინცხა არ ჰყავდა, წვრილი იყვენ ბაღნები, დიდი ბაჯალა მყავდა, იშტე ვუთხარ, არ ეიხადო ადათაღი-მეთქი, დეეძინა, შეცივებოდა. გოგოს(ც) კანსერი გამხდარიყო.

[ბადიშები გყავს?] აპა არ მყავს? ონიქითანე ბადიში მყავს, თორმეტი — ბიჭებისა, ბაჯლებისა.

[რამდენი ბახალა დაგრჩათ?]

[ანა:] ორითანე ბაჯალა მყავს. ოთხი ბიჭი მყავდა იშტე და ერთი დეგვეკარგა. გოდა ველი, თვალით ქი არ დიმინახავს, ველი. ყამდეხან კარში არ დადგებოდა, მე ჩემ თავ ისე ვატყვილეფ.

[კაცი ცოცხალია?]

[ანა:] ოღლუშაღიც მიმიკვდა ორი წელიწადია.

[რძალი:] ოღლუშაღი მოუკვდა, იმი ფეშინზე ემე იქნა, ღარჭი დეგვეკარგა.

ზალი ლოცულოფს აქ შიგან და, ჩემი შილი, ჰო, პაწა შილი, ამის ოღლუშაღი. ეს შილია ჩემი.

[რძალი:] ხოშ გელდინ. გურჯიჟა დეელაპარაკე, გულიავ, ამათა თურქჩა არ იციან.

[გურჯული იცის?]

[რძალი:] იცის გურჯულად, ჰო. გურჯებიდამ ხვყავ.

[ანა:] ახლა სირცხვილია თქმა და, რემეზანი გიჭირვან თუ არა? არ გიჭირვან? პური გავა(ჰ)აზიროთ, აპა! ზარმელი, ზარმელი! არ გინდანან?

[რძალი:] მარტო ქგლიავი მეიტანე, ოზამან!

[რა სიტყვა თქვა ნენემ?]

[რძალი:] პური გშიანო?

[რძალი:] ჭლიკი მეწვის და. ერთ დრამ ვისაქმევი, ჭლიკი მტკივდება. დღე ყარტოფი ვთხარე, ვკრიფე, ჭლიკი მეტკინა.

[რძალი:] ყართოფ ვთესავთ, ჰო, სიმიდ დავთესავთ, ლობიოს. თელი

მოხვყავს სოფელში.

[შვილი:] დათესავთ და რავაი დათესავთ?

[რძალი:] რავაი დავთესოთ და მოთხარო'ნა, ჰარღი'ნა გააკეთოო. გაჭრი, გაჭრილი'ნა გააკეთო, დათესო'ნა მევრე, ზირთული ლობიო არი, კუტ ვეტყვით. კუტი ლობიო არი, მევრე ხაშრი ლობიი ხაშარზე ავა. ხაშარ დუუსობ, ჰოო.

[ანა:] ჩემი ოღლუშაღი გედევდა იქა და თქვენ სოფელში, საქმობდა საცხა ფაფართისკენ, ეიდა, გადაველითო და ასე გადავმხტარვიყავ ასე, გემევლო'ნა, მემევლო'ნა იქავრობაო და გადავმხტარვიყავ ღობეზე და ერთთანემან მითხრა, ღობეშიგანო ჲასაღია შესვლაო, ისე მითხრაო. სიმინდი ეთესნენო, მოშოშტები ქონდენო. მოშოშტა — ყაბაღი.

[რძალი:] ჰემ მოშოშტაი, ჰემ ყაბაღი. თურქჩე ეტყვიან და ყაბაღი. მოშოშტაი - გურჟიჯა. ვისეირეთ, ვიარეთ, ემე ვქენეთო, ვიჯექითო, ალთუხ საღამოპირ მოიდენ. იმ წელიწად ჰემ ალთუხ სერბესი გახდა თქვენი აქ მოსვლა, ჩვენი იქ წასვლა, სერბესი გახდა, ახლა გაყოლავდა.

[ხისიმები ბევრი დაგრჩათ გურჯისტანში?]

[ანა:] არიან იქ, ბევრი არიან ჩვენი ხისიმები, ჩემ ოღლუშაღისა, მასკან ჩემ ბაბო თერეფიდან. ამა ახლა ჩვენ არ მოვწრილვართ, მალე წასული არიან. მალე წასული არიან და ერთი ჯერი მოიდენ აქა იქიდან, იმ თერეფიდან და დაჟდნენ და ჩვენსას ჰკითხეს ჩემ ოღლუშაღ ქი, შენ ვისიდან ხარ ასე ისეო და მე მოლოღლებიდან ვარო და იქო არიანო, არიან, მოლოღლები არიანო. მასკან ჩვენ ბაბო თერეფიდან, პაპიები ქვიან, პაპიები ემე აქვან და, მასკან ი პაპიები არიანო — ისე ილაპარაკეს. პაპიები არიანო, მოლოღლები არიანო. მალე წასული, ვერ გვიცნია, ვერ უცნიან. ვერს იმათ ჩვენი თავი უცნიან, ვერს ჩვენ ისენი გვიცნიან. ასე თუ იშტე გევკითხეთ, დავჟექით, ილაპარაკეს: ეტყვი შენ სიდან ხარ — ამუალიდან, მე სიდან ვარ — ამუალიდან. იშტე იქიდან თუ იცან, იშტე იცნობ, არა და ვერა, ჩუნქი არ დეგვინახავს.

[რძალი:] პაპიები სოფელი არაა, სოჲადი.

[ანა:] ჩვენ იშტე არ მოვწრილვართ, მალე წასულან, იქიდან ვეღარ მოსულან იშტე, ვერ მოსულან, იქ დამწყვდეულან.

[რძალი:] რაცხა'ნა გიგიჰაზირონ და მოგართვან'ნა, მოგართვან'ნა რაცხა.

[თქვენი შვილები სად არიან?]

[რძალი:] ჩემი შვილები ქომოთ ზიან. ბაჴლები მყავს, სამი თანე გოგო მყავს მეც ბაჴლები. სახლი ქომოთ მაქ, გევერჩიე, დედამთილის უკან

აღარ ვარ, გევყარენით. დედამთილი — პაწა შილის უკან.

[სწავლობენ შვილები?]

[რძალი:] დიდ ბავალამან აღარ იკითხა, მარტო ორთა გაათავა, ახლა ნიშანი ავართვით, გავათხვიე. [რამდენი წლისაა?] ათდაცხრა იქნება, იმდენი გახდა, ოცზე მიახლოვდა იშტე, ონდოქუზიაშინდა იზმირ გავათხუე, შორ. რაი ვქნა, მეიწონა ბაღანა... ახლა თავით მეიწონეფს, მისცე'და.

[ანა:] თავით მეიწონებენ ახლა ერთმანებ, მეიწონებენ, იშტე მეჯბური'ნა მისცე, არ მიეც — გეგექცევა. არ მივეც, გეიქცევა. შენც'ნა აყვირდეჩაყვირდე, ჲა'ნა აგინო, ჲა'ნა გაგინოს იშტე, მეჯბური მისცემ იმი ნათქვამ.

[თქვენმა გოგომ იცის გურჯული?]

[რძალი:] იცის გურჯული, იცის. მესელა, დუნჲაზე მოვლენ თუარა, გურჟიჟას დეველაპარაკებით. ბრიჲნე გურჯულა ვლაპარაკოფ სოფლეფში და ასე შეიში, ართვინში საცხა...

[ანა:] ოღრათმანები გაშენდენ, ებიები მოიდნენ და იშტე ნენნელა ახალათ ვიწალეთ. ანადილი გურჯიჯა არი, ბირყაიდე გურჯიჯა ვლაპარაკობთ.

[რით გვიმასპინძლდებით?]

[ანა:] შინდი(ს) ბექმეზი მუადუღე და, წრევლ არ მიმიდუღებია და შარშანდელია. შინდი'ნა მოკრიფო, ლამაზათ გარცხი, ჩაყრი თეშთში, მოხარშავ, დაწურავ — ჯვალში ჩაასხამ, ჩეიწურვის შირა, ადუღდება, მეიხარშვის, მოდუღდება კაარქა, გასქელდება, ჩააყრი შექერ, ურევ, ურევ, ურევ, გადნება ი შექერი — გადმაასხამ.

[რამდენი უნდა ჩააყარო?] ეს ქი შინდი ცოტა ჯავე არჲა, ბოლათ ჩააყრი. ხუთ კილოს ჩააყრი, ექვს კილოს ჩააყრი. ავავსოფთ თეშთ წყალით, შინდის ეევსობა, თეშთი'ნა აავსო შინდით.

[რძალი:] კაი გინდა, საადე'ნა მუადუღო და ისე'ნა ჭამო'ნა.

[ანა:] მასკან წყალი'ნა ჩაასხა, ადუღო'ნა, მეიხარშვის ლამაზათ, ამაგვარ წვენებ გუუშვეფს. ჩავწურავთ იშტე შირას, მუადუღებთ.

[ყურძენი არის აქა?]

[შვილი:] ყურზენ ჩვენ არ მოვკრიფავთ, ბევრი არ გვაქ. [როდის დაკრეფთ?] ახლა მალე, დრო მოსული არი, ერთ დრამს იქით მოვკრეფთ. ჩვენ არ მოვკრიფავთ. ბეური არ გვაქ ყურზენი.

[ერთნაირი ყურძენია?]

[შვილი:] ორი-სამი ემე არი, ერთნაირი არალის.

[რძალი:] ერთი მესელა ადესას ვეტყვით, ადესაჲ. ტკბილი ყურზენია. მევრე შავი ყურზენი არი, თეთრი ყურზენი. იმ შავ ყურზენისას ადუღებენ

ასე და ბექმეზ აკეთებენ. ადესას არა და იმ შავ ყურზენისა კაჲ არიო და იმ შავის ადუღებენ.

[შავ ყურძენს რამე ჰქვია?]

[რძალი:] მაარტო შავ ყურზენ ვეტყვით. დიდრვანი არი, თურვანდასავეფ ეტყვიან იმ შავ ყურზენ, თურვანდას ეტყვიან.

[ანა:] ამა წრევანდელი ჰავა ავი დარიანი ჰავა არი და ანისლა, დააშავა.

[რძალი:] ენწინ ავი დარი იყო, მემრეს[ც] ყურაღი ქნა, ყურაღი... გაახმო ყველამფერი, დახრაკა.

[ზამთარი როგორია?]

[შვილი:] ზამთარი! იმითანა დრო იქნება ცოტა თოვლი მოდის, იმითანა, მესელა, შარშან ცოტაჲ მოუდა, იმაზე წინ ბეუური მოუდა. ორ ბულდოზერმა გაასუფთა, იმდენი გათოვდა, ორი პირი. ხან ბევრი გათოვდება, ხან ცოტაი გათოვდება.

სოფელში ვჩებით, ჰო, ზამთარ სოფელში ვჩებით.

[საქონელი რა გყავთ?]

[შვილი:] ღორი ყაქ არ იქნება. აქევრობაში არიან და ახორში იშტე ჩვენ... არ შეინახვენ, გარეთეფში არიან ღორები. ზროხები არიან, ჴარი იქნება, ეჲ, თხა-ცხვარი იქნებიან. თიებზე არიან ახლა, თაზე არიან.

[ანა:] წინდებ დავქსოვთ ზამთრისთუნ. წინწინ ჩოხა-შალ მუუქსოვდით კაცებ, ახლა ადგა ისენი. საფექრო ქვქონდა, სავარცხალი, დგიმები. დავქსელევდით. დავასობდით ასე იქით-აქეთიდან ჩივებ, რამდენი ემე გინდა დაქსელო ონბეში, ოცი, დავქსელევდით, ჩავაგზელებდით საფექროში. მოუქსოვდით, შეკერევდენ იშტე, თერზები იქნებოდენ. დააჭრევიებდენ, შიაკერიებდენ თერზებ. ახლა ჰაზირ იღებენ, თელ ჰაზირ ვიცვამთ, ქალების[ც], კაცების[ც]. ისენი ადგა. მაარტო წინდებ დევქსოვთ მატყლისას, წინდი ჩხირებით.

[პატარძალს წინდები მიაქვს საჩუქრად?]

[ანა:] მააქვან, მოქონდენ და ახლა ჰაიდაი ადგა, ახლა ჰაიდაი ადგა, წინწინ იყო. [რძალი:] წინდას აღარ იჴებიან და ახლა ფატიკ მოქსოვენ ორნოლისას. ევღეფთ ართვინიდან ზაფსა, იმით მოვქსოვთ. მასკან ამგვარ დაქსოვენ იშტე ჲაზმებ, ჲაზმას ოჲას მოვქსოვთ თიღით.

[ანა:] ზოგი ისე ქსოვენ, ზოგი ისე ქსოვენ, მე რა ვიცი, ზათი არს ვიცით, არს მიმიქსოვნია.

[მანქანითაც ქსოვენ, ხომ?]

[რძალი:] რავაი? — თიქიშმაქინაჲ. თაგალი გააკეთო'ნა, იტყვიან.

ჭელითაც აკეთებენ თაგალ, დათაგლიან. ისე შევკერევდით ჩვენ თაგლით.

[რძალი:] ანა, რავაი შეკერევდით ზველათ მესელა?

[ანა:] ავაგებდით ზაფს ნემსზე, დაჭრიდენ იშტე, დიგვიჭრიდენ ურბას, შევკერევდით.

[რძალი:] შეიკერევდენ ურუბას, წელზემოს შეიკერევდენ, წელქომოს.

[სახელებს რას ეტყოდით?]

[რძალი:] წელზემოს? ანა, წელზემო წელზემო იყო, განა? ტანქვემოსას ბუზმას ეტყოდენ. ბერობანას იქმოდენ აქ ჩვენ ჲაილებში და მაშინ ჩეიცმევდენ.

[ბერობანა რას ჰქვია?] თაზე ქი წავლენ, იშენლიგებენ, შეკმაზვენ კაცებ... შეიკმაზვიან კაცები და იშტე იშენლიგებენ.

[შეიკმაზვიან ლამაზად ჩაიცმევენ, თუ რას ნიშნავს?]

[ანა:] არა, მე რა ვიცი, წვერ მეიბვენ, ასე თხიების ტყავსა დაახვევენ, ყაფაზე ასე დეისმენ, რა ვიცი.

[ანა:] თიებზე მარიობა ასულიყავით, ისეირებდით.

[ბერობა როგორ ხდება?]

[შვილი:] ახლა სულ ზველათ საჭმელი არ ქონებიან. ბერობანაჲ — ასე ცხრა-ათი კაცი მეიყრება, რაცხა ქი გაქ — ჲაღი გაქ — ჲაღ მიცემ, ქფილი გაქ — ქფილ მიცემ, მაწონი გაქ — მაწონ მიცემ, შექერი გაქ — შექერ მიცემ. მოკრეფევდენ, ერთ ალაგ მოიკრეფოდა თელი, გააკეთებდენ, თელი მეიკრიფოდენ იგზე, დაჟდებოდენ, ჭამდენ.

[როგორ იკაზმებოდნენ?]

[შვილი:] ახლა წვერ-მერ ემეს იქმენ, უკან ტყაუ, ჯვარის ტყავი მეიხვევდენ, წინდებ ასე ამეიწევენ, მოიყრებოდენ კაცები, კარ-კარ დეჲარდენ, მოკრიფევდენ ამა[ს], ერთ ალაგ მოკრიფევდენ.

[რძალი:] ერთითანეს წამეიყოლებდენ კაცსა, შეკმაზევდენ ქალსა, ერთითანე ქალსა შეკმაზევდენ, იმ სამაში იმა მოპარვენ. ქი მოპარვენ და იმა წამეეფეცხებიან, ცემენ, ზოფით აართვენ, მეიყვანენ კიდო და. [როგორ თქვით „წამეეფეცხებიან“?] ასე წამეეფეცხებიან, აართვენ. მესელა, სამობენჲა, მეჲპარვენ ბაჯალაასს, ხოშ ბახალა არ'არი, კაცია, ამა ისე ბაჯალასავენ ჩეისვენ, მეეწევიან იმა, დაბეჟვენ, კიდო წეიყვანვენ ისე და ისე. ფენა ხასია. გამოდის ხანდეხან თელევიზიონში ისენი.

[სიმღერას ხომ არ იმღერებენ?]

[რძალი:] თელ, სამობენ, სიმღერას იტყვიან, თელი არი, თელი. გენჯები იყოს, ყიმღერებენ. ჯერ რემეზანია, აღარც დუგუნია, ბაჲრამ უკან არი დუგუნი.

[რას სამობენ?]

[ანა:] მუზიყით ისამებენ, ჭიბუნით ისამებენ, თელით სამობენ, ახლა ი დანგუნაი შამეიღეს, ახლა ის, უდანგუნებენ ისი. ახლა ის შამეიღეს და იმით დუგუნ იჯებიან. [რას უდანგუნებენ?]

[ანა:] მე რა ვიცი, რაჲ აქვან, დანგუნაჲ რაჲა?

[შვილი:] დანგუნას ემეს ებნევა, ორქ. ორქი არია? ორქი ასე გზელი არი და. დანგუნას იმას ებნევა.

[ანა:] იმა უდანგუნებენ.

[რძალი:] ერთი შეგეჭამეს ე ქგლიავი.

[ახალ წელს აღნიშნავთ?]

[ანა:] ვნიშნავთ. ახალათ დადგება ზეჰმერი, ჲენიელი ის არი.

[რას აკეთებენ იმ დროს?]

[ანა:] ჩასხმენ იშტე, ასე კაკლი ქადას ჩასხმენ, გინდა ბიშ ჩასხამ. იშტე სხვა მე არ ვიცი, არაფერ არა, ჩაის უკან იმა ჭამენ იშტე.

[კაკლის ქადა როგორ კეთდება?]

[ანა:] კაკალსაც დანაყავ დიბეგში. დატეხავ, დანაყავ იმ დიბეგში. დაფქვავ. დეგრიმანი თუ გაქ იმისი, დაფქვავ, არა გაქ — დიბეგში ჩანაყავ ქვით ასე, ქვას იპოვ, გზელ ქვას. დიბეგი ისე მაღალი ამოჭრილი ასე...

[რძალი:] დიბეგი აგზე ჩვენ არ გვაქ და მეზობელ აქ. კოკოტასავეფ არი. ასე შეშა არი, შეშა ამოჭრილი არი. შიგანი ამოჭრილია შეშისა, შიგან ჩაყრი ისე კაკალ, რასაც გინდა, დაფქვა'ნა, დანაყო'ნა.

[ანა:] დუუსხი იმასაც, გო, ემეი მეიტანე და ასვით, გო!

[შვილი:] რემეზანი არ უჭირავს? არ'მი გიჭირავ?

[ანა:] რემეზანი დამავიწყდა.

[ნენე, თქვენ ლამაზი ქალი იქნებოდით!]

[რძალი:] ლამაზი? დედე, ამისი დედე ეტყოდა ქი, რა ლამაზი ხარო. დადექ, რას ეტყოდა? ნაზოს ეტყოდა, რუშენას ეტყოდა. ის ფენა სახელებ ეტყოდა. ოღლუშაღიც იგზე ყავს და, ერთათ არიან გამოწეული ასე.

[რუშენას გოგონებს ეუბნებიან?]

[რძალი:] ის ეტყოდა და თავისი კაცი იყო.

[რამდენი წლის ხართ?]

[ანა:] მე'ო? ჲეთმიში გედევვარე.

[შვილი:] ოთხმოცზე ორით პაწაჲა, ჲეთმიშსექიზ.

[თქვენ რამდენის ხართ?]

[შვილი:] ოთუზუჩ. ენ პაწაჲ შვილი ვარ. ჩემი ცოლია ეს.

[ახალი მოყვანილი გყავს?]

[შვილი:] ორნახვარი წელიწადი გახდა. შვილები არ მყავს. [გინდათ ბევრი შვილი?] — დო, ბევრი შვილები არ მინდა, ჩემ თავისთვინ ვერ შემიხედია.

[თქვენ ცოლს რა ჰქვია?]

[შვილი:] გულდაი.

[საიდან მოიყვანეთ?]

[შვილი:] გულდაი, ამ სოფლის მააალე არი, აქ წინედამ, ჩიხორი ქვია, ამ სოფლის მაალე არი.

[როგორ მოიყვანეთ?]

[შვილი:] ერთ სოფელში ვიყავით-და, ვცნობილოფთ ასე, იქედან.

[ანა:] მეიპარა, წამეიყვანა.

[რძალი:] ამას სამი თანე ზალი ისე მოპარული მოყვანული ყავს.

[ანა:] ერთმანეთ წონულობენ, მიდიხარ, არ გაზლევენ. არ გაზლევენ, გამორბიან ბაჭლები. რავაი ქნას აბა? მიხვალ, ელჩი მიხყავს, მოქცენ'ნა, რომ არ მოქცემენ, იმათ მეეწონეს, ჰაიდე, მოყავს ბაღანას. რას იქ? არ გწონულობენ, გოდა, არ გვაზლევენ, ბაჭლებიც ბაღნებს წონულობენ, მორბიან. ესას მოპარულია, ესას მოპარულია, ართვინ არი, ისას მოპარულია. მარტო დიდ ბაღნისა მოყვანილი მყავს.

[მოპარვის შემდეგ მშობლები რიგდებიან?]

[ანა:] არ წევკიდებით, ვებარიშებით ლამაზათ.

[რძალი:] ჩემზე დიდ შილის ანა-ბაბაი, ისენი წეეკიდნენ, მოიდნენ აქ, ქვიები მააყარეეს, ქი რაზე წეიყვანეთო! რაი გითხრა, ემეში ბილა მიიყვანეს, მაქქემეში. მიქვცეს მაქქემეში, ამა ბაჭალამა დუუჟოვავა, იქ ჩამოელით, დავჯექით. ბაჭალამა უთხრა, ქი მე ავდექ, წამუელ ჩემდანაიო. ბაღანა მე მევპარე, ბაღანას არ მუუპარავს ჩემი თავიო.

[რძალი:] ტყეში ვიყავით დღე ჩვენ. ისენი მალე წამოვიდენ, მე ყართოფი ამოვყარე, ასე ცოცხი დათესილი მქონდა და ისე ფორჩვები გავართვი, ქი ცოცხი'ნა შევკოჭო, სახლი'ნა დავგავო სოფელში.

[გული, და-ძმა გყავს?] მეე? მყავს. ოთხი ზმა მყავს, სამის და.

[რძალი:] დედა-მამა ყავს და ბაბაი არ ყავს.

[ანა:] ამასაც ბაბოი არ ყავს, ბაბოი კვდარი ყავდა.

[რძალი:] ჩემი თელი წასული არიან ქომოთკენ, მე აქ მაარტოდ ვარ, ერთი დიდი ზმა მიმივა მაარტო აქ სოფელში, ჰოო. ის მუა იშტე, სახლ-კარ უყურებს. იშტე ახლა დიდი ზალი მიმივდა და იშტე ვერ მიველ. ერთი მისული ვიყავ. ზაფხული გახდება, ამუა აქა, ერთ-ორ თვე დადგება, მევრე წავა.

4

[შარშან ვიყავ აქა]

[ანა:] შარშან მოხველ აქა?

[შარშან სულ წვიმდა.]

[რძალი:] ჰოო, შარშან ფენა იწვიმა და წრეულ ჰაა, ოცი დღე'ნა გახდეს, სულ ცხელა, არ უწვიმია. ორი დღე გახდა, ერთ დრამი იწვიმა. ასე ფურცლები — ტომატისი, ლობიები — ბითევათ დახმა ასე.

[ფურცელს რას ეძახით?]

[რძალი:] ფურცელი, მესელა ბგლის ფურცელი, თუთისა... ჲეშილი.

[ჩამოგვითვალეთ თვეთა სახელები.]

[რძალი:] ენ წინ მაარტი. ანა, იცი ესენი? მარტი არი, აპრილი არი, მაისი არი, ქირეზაჲ, ახლა ჩურუგაჲ, მარიობაჲ არი... მევრე რა არი?

[ნენე] სულთაჲ, ქაოცაჲ, ყრჩაჲ.

[რძალი:] ჰო. ყოჩაჲ. მევრე ზეჰმერი დგება, ანა? ჰო, ყარაყიში.

[ნენე:] ყარაყიში, მას უკანას ზეჰმერი იშტე ჲენილ.

[რძალი:] ერთის[ც] ზეჰმერი.

[კვირის დღეებს რა ჰქვია?]

[რძალი:] ჯუმერთასი არი, ჯუმა, ჯუმერთასი, ფაზარი, ჩერჩემბე, ფერშემბე, სალი ეს თურქულაია, გურჯული არ ვიცით ისე.

[რძალი:] დღიებ რას ეტყოდით, ანა? მესელა, ფერშემბეს ჯუმაახშამ ვეტყოდით.

[ანა:] ჰო, ჯუმაახშამი ფერშემბეა, მასკან ჯუმა. ჯუმას ჯუმა ქვია, ჯუმერთასსაც - ჯუმერთასი, ფაზარიც ფაზარია.

[რძალი:] მიორე დღიებ რაი ქვია, ანა?

[შვილი:] გურჟიჟა რაი ქვია, ანა? თამამ, ფაზარი ფაზარია. გურჟიჟა რაი ქვია?

[ანა:] გურჟიჟა იშტე ვიცით, იშტე.

[ქირეზაი, ჩურუგაი, ქაოსაი, სულთაი რომ ამბობთ, თურქულია ეგა?]

[ანა:] სულთაიც გურჯიჯა არი, ქაოცაიც გურჯიჯა არი, თებერვალის გურჯიჯა არი.

[ანა:] ნისანზე მისვლამდი გურჯიჯა არის თელი. ნისანი აპრილია.

[შვილი:] ქირეზაი თურქჩა არ არის, არა, არა, ეს ქართულაჲა. გურჟები ვხმაროფთ. თურქები არ ხმარობენ.

[ყარაყიში და ზეჰმერი?]

[რძალი:] ყარაყიში, ისაც გურჟიჯაა.

[ჩამოთვალეთ პირისახის ნაწილები]

[რძალი:] ეს ცხვირი, ე ტიტვირი, ნიკაპი, ეს ლოყები — აქევრობა ლოყა, აგზე ყაშები — წარბები; ყური, ყური, მაგა ყური ქვია.

[ყურის ბიბილოს?]

[შვილი:] ანა, ეს კომპლეტ ყური არი, თამამ. ამი ქვეშას რას ებნევი?

[ანა:] ყური ქვია მაგა, თელი ერთია. მე რა ვიცი იშტა.

[შვილი:] ბითევათ ყური, ჰო.

[შუბლზე რომ ხაზებია, რას ეძახიან?]

[რძალი:] შუბლი, კოშსაც ეტყვიან, შუბლსაც ეტყვიან.

[რძალი:] ხაზები ქი არი, ზოგი იტყვიან ქი, ამდენი ღარჭი'ნა გეყოლოსო. ზოგი იტყვიან ქი, წვე სინირლი ხარო, ისე ეტყვიან, იშტე რას[ც] უნდა, იმა ეტყვიან.

[ზოგი იტყვიან წვე...]

[რძალი:] სინირლი ხარო, ზოგის[ც] იტყვიან ქი ღარჭები გეყოლისო.

[ბევრ ნაოჭიან სახეზე რას იტყვიან?] დაჭორფლილი ხარო, ჩიიჭორფლის.

[შვილი:] ჭორფლი სხვა არი. ხაზები ჭორფლი არ'არი. ამ ხაზებ რას ებნევიან-და?

[რძალი:] დაპრანჭული.

[ანა:] რემელ? მე რა ვიცი წამწმები, ამას წარბები ჰქვია, ამას — წამწმები.

[თვალის ჩაკვრას რას ეტყვიან?]

[ანა:] ჩაჭუჭავ ასე და ჰო?

[რძალი:] თვალი დუუხუჭაო, გო, ნენევ! ნიშანი მიცაო.

[რომ მოგეძინება?]

[რძალი:] ძილი რომ მიგივა, დათლიმა. მიგივა ძილი, დახუჭავ.

[ბავშვს რომ ძინავს, რას იტყვიან: თვალები დახუჭვილი აქო?]

[რძალი:] დახუჭვილი თუ აქ, თვალები დახუჭვილი აქო — ისე ეტყვიან, თუ ახილებულია და კურდღლის ძილი აქო, ისე ეტყვიან, ახილებული ქი ეზინოს, კურდღლის ზილი აქო, იტყვიან. ჩემ ბახლებსაც კურდღლის ზილი აქვან. ისაო, ჰამილულობაშიო კურდღლის ხორცი მუუნდება ინსანო და ის'ნა აჭამო'ნა ქიო, ღარჭმა დახუჭოსო.

[წვერს რას ეტყვით?]

[შვილი:] ეს წვერი. ბიუღი. ჲოხ, ბიუღი — არა, ბიჲუხ თურქჩე გიდიორუმ.

[ნენე:] ბუიღებია იშტე, ჯო! ასე გეიგრეხვენ ბუიღებ, არ იცი! გეიგრიხვენ ასე ბუიღებ ფოშები, არ იცი? ყურის ძირებში გეიტანებენ ასე.

[ანა:] ესას[ც] ჩემი თორუნია. სამსუნ კითხულებს ესა. არ იცის გურჟიჯა.

[შვილი:] ემეს იგნებს და რას ლაპარაკობს, ვერ დუულაპარაკნია.

[ანა:] ვერ მააფერავს ვერაფერ.

[სად გაიზარდა?]

[რძალი:] ართვინში გეიზდა ეს. იქ ოქულში წევდა, ართვინში. ახლა სამსუნ წევდა.

[ანა:] იქ ოქული დაანთავრა იგზე და ახლა ემეში წევდა, იქ მეიგო და დორთილუღი, სამსუნ და იქ კითხულობს.

[რძალი:] მუღელნიმი'ნა გამოიდეს. ჰო-ო, ორეთმენი'ნა გამოიდეს. მესელა, ახალათ ქი გაგზანი მექთეფში...

[შვილი:] ქართული კარგა არ ვისით.

[რძალი:] იტყვის და ბევრი ლაპარაკი არ ისის.

[შვილი:] ბაზგირეთ ჩვენზე კაი იციან.

[შვილი:] მემედი ამხანაგია, ჰემ მეზობელია.

5

[შვილი:] ყურზენ თველზე მოვკრეფთ. ყანა-მანა, მოშოშტა თველზე დეიკრიფება ისას, თველზე მოვკრიფავთ.

[გაზაფხულს რას ეძახით?]

[შვილი:] გაზაფხული გაზაფხულია.

[ჩამოთვალეთ წლის დროები]

[რძალი:] თველი, ზაფხული... ზამთარი მოდევს, ჰო. ზამთარს მევრეს[ც] ზაფხული.

[ანა:] ახალი ზაფხული იშტე, ზამთარი გევვარ, ახალი ზაფხული — გაზაფხული, გაზაფხული.

[რძალი:] გაზაფხულზე ცოტა ეცივება და აპრილში ეთამს მერე იშტე მაშინ აჯაფ დავთესავთ.

[ანა:] ექინ აპრილში ვიქთ, დავთესავთ მაშინ. მუაჴნევნიებთ ფათფა-თას, ფათფათებ მუაჴნევნიეფთ. ფათფათა — თრაქთორი, ჰო. გურჯიჯა ფათფათადა, თურქჩა...

[რძალი:] ჴარები აღარ ქვყავს და...

[შვილი:] გურჯიჯა ფათფათაი არ არის.

[ანა:] აპა რადა? ჩვენებური ფათფათადა. ჩვენ ფათფათას უძახით. ფათფათას რაი ქვია თურქჩა? მე რა ვიცი — თრაქთორი.

[ანა:] თვარე თვარეა. თვარე ამოიდა, თვარე ჩევდა — ვიტყვით. თვარე ახალად დამჯდარაო, ვიტყვით.

[რძალი:] ერთ კვირის თვარე, მევრე, ონბეშისა — იტყვიან, მევრე, დეივახშმეფს.

[ანა:] ონბეში გახდა, დეივახშმებს, დააგვიანებს, გვიან ამუა.

[რძალი:] დავახშმებას, ენ იშტე დეიგვიანა, გვიან ამოიდა'მი, მაშინ ეტყვიან ქი დეივახშმა, დალევნაზე წავა.

[დალევნაზე რომ წავა, მერე რას იტყვიან?]

[ანა:] მასკან დეილევა, თექრერ დადგება. დადგება, პაწა იქნება ასე, ორი პარმაღი, ახალათ ქი დადგება. სამ დღე ანჯაღ გამოჩთება, პაწა იქნება. მასკან გეიზდება, გეიზდება, გახდება ასე.

[როდის დათესვენ?]

[რძალი:] ახალ თვარეზე'ნა დათესო, ახალ თვარეზე'ნა მოკრიფო'ნა. ქი ზველ თვარეზე მოკრიფო, არს ყართოფი მეიხარშვის, არს ლობიო მეიხარშვის, ზველ თვარეზე. ახალ თვარეზე, თეელ ახალ თვარეზე მოვკრიფავთ, ისე მოვხარშავთ. ახალ თვარეზე დათესო'ნა, ჩერშემბე-ფერშემბე არ'ნა დათესო, ქი ჲა დიგიჩიჩავსო, ჲჲა მოტყდებაო... იშტე იმგვარ რასმე იტყვიან.

[როდის არ უნდა დათესოო?]

[რძალი:] ჩერშემბე-ფერშემბე არ'ნა დათესოო, ახირ ჩერშემბე-ფერშემბე. ჲჲა ჯუმა'ნა დათესო, ჯუმერთასი, ფააზარ. ფაზერთასი, სალი — აღარ, ჩერშემბე-ფერშემბე არ დავთესავთ. ახალ თვარეზე, ჲა ჯუმამან'ნა გამუუაროს, ჲჲადა დავთესავთ ქი, მევრე გავფაჭავთ.

[ანა:] ჯუმა გამუუარს, დავთესავთ. სიმიდი ამუა, გავფაჭავთ, დაბალახიანდება. მუა და გავფაჭავთ სიმიდი. მივცემთ წყალ იმა. ამდენი მუა სიმიდი, აქზე ამუა, შუუყრით.

[რძალი:] ერთ გავფაჭავთ, მევრე შუუყრით, ოლუხ გავაკეთავთ ასე, წყალ მივცემთ, გეჲარს.

[შვილი:] სიხი იქნება, ჰემ გავფაჭავთ, ჰემ იმა ცოტა გავასირეგებთ.

[რძალი:] გამობღალავ იმა, ერთ აგზე გააშვებ, ერთ აგზე, შიგანას[ც] გამობღალავ. თხლათ იყვეს ქი, ლამაზი სიმიდი იყვეს, ჲადა ლამაზი ლობიო იყვეს.

[გამონაბღალს რომ დაკონავ რას იტყვიან?]

[რძალი:] ბღალას. ჰო-ჰოო, ბღალები.

[ანა:] არ დეილევა საქმიები. თქვენ სიმიდ არ დათესავთ?

[რძალი:] სიმინდი(ს) კოტორი. ჭყლინტი, ჭყინტლი, თაზე ვიტყვით:

ჭყლინტი მოვხარშოთ, ჭყლინტი ღადარზე გავაბრაწოთ. ახლა ზეგანში იქნებოდეთ, შევალთ ყანაში შიგან, მაა არ ვართ. ღორები გვიჭამენ. ფენა გვიჭამენ, ფენა ზარალ გვაზლევს, დათვი და ღორები ფენა ზარალს გვაზლევენ. ღორების ბევრი არიან, სულ ყარტოფში შევლენ და ბითევ გვითხრიან.

[ანა:] წაყვებიან ნაპირ.

[რძალი:] დახოცვენ, ზამთრივ წავლენ, იმათ გადაყრიან, ამა კიდონაი მოდიან.

[ძროხები გყავთ?]

[ანა:] ზროხები ხვყავდა ორ-სამ წელიწად, ამა ახლა აღარ ხვყავს. იმა მოვწველევდით ზეს, ზეს მოვწველევდით, მაწონ შივაყენებდით, ფშვნილას გავაკეთებდით.

[ფშვნილას როგორ აკეთებთ?]

[რძალი:] ნაღები მაქინაში გამოვწურევდით ნაღებ, გევრეგ ჩავსხამთ.

[ანა:] ამათაც ეყოლვიან საქონელი.

[რძალი:] ხაოწ გავაკეთებთ. ხავიწი.

[შვილი:] ფშვნილას რავაი აკეთეფ?

[რძალი:] ფშვნილას, იმა მაქინაში გამოვწურავთ სუთმაქინაში, ნაღებსა ცალკე ჩავასხამთ, ფეჲნირსა სობაზე დიდ ყაზანში მუადუღებ, ის მოდუღდება ლამაზათ, ამეიჩარჩვის, გორჟოლო გაკეთდება, იმა ბეზში შიგან გადავაგდებთ, კარგა მოვწურავთ, ქვიქვეშ შამოვდეფ, ის გამეიწურვის, მევრე იმა გავხრესავთ. შივამარილეფთ, ისე შეთფობილი თუ გინდა, გადაადნობ, ცარ გინდა, ისე ჩატენავ. ისეს ვაკეთავ. მევრე ერთის მაჲას ევღეფთ, მაჲას მივცემთ, ჲაღლი ფეჲნირი გინდა, ჲაღლი ფეჲნირ გეიკეთავ ზით. ჰო-ო, ჲაღლი. ისი ზაან ხასია და ახლა ზროხები ზათი აღარ ხვყავს, ბელქი რაცხა გავაკეთოთ და ჭვამოთ. ვიღეფთ, მივცემთ ფარას, ისე ჭვამთ, ჰა.

[ძროხის შვილს რას ეტყვით?]

[რძალი:] ხბო არი, დეკეკლი არი. მოზვერ ვეტყვით.

[რძის ნაწარმს რას ეტყვით?]

[რძალი:] უხდური, უხდური, ჰო.

[ყველს რაში ინახავთ?]

[შვილი:] ჩახვ ვეტყვით, ჩახვში შიგან შევინახავთ ყველ, ემეს. ჩახვი ბეზი არის, ბეზ ამოკერავ, ლამაზათ თორბას, იქში გადაასხამ, იმას ამოდებ ქვიქვეშ, დეიწურვის კარგა, დეიჭაჭვის, გორჯულოს გახრესავ. ჭუკი, ჭუკი გეიჭაჭვის. ჭუკი გამუა, იმის წყალ ჩვენ ჭუკ ვებნევით. გადავაქცევთ.

[ჭუკისგან რა გამოდის?]

[რძალი:] ჭუკსა მაადუღებ და წოვას გააკეთებ.

[ანა:] ჭუკ მაადუღებ, წოვას გააკეთეფ, გორჯოლო გაკეთდება.

[რძალი:] მესელა ჭუკსას[ც] სმენ, ე რისთვინ კაი არი, მესელა იტყვიან ქი, გობრეგებში ქვა აქო, ჭუკი'ნა ასვა, ქი ჩამუარდესო. ქვა ექნება და ჩამუარდებაო, იმისთუნ.

ჩემი ბაჴალა არი, პაწა ბაჴალა ჩემი.

[იცის გურჯიჯა?]

[რძალი:] ბევრი გურჯიჯას[ც] არ იცის. ქართული'ნა აწავლო, გურჯიჯა'ნა აწავლო. ჩემსავეფ საქმობენ. აბა დღე ვისაქმე, ჭლიკი ვეღარ მიმიტანია, ქი.

მეიღალვი ქი, დაჟდე'ნა, გეისვენო. აჭა, დავჟექით, გევსვენეთ, ხედევ!

[მაგარ წვიმას რას ეძახით?]

[რძალი:] გაწვიმდეს'ნა. მეიღურბლავს, ღურბელი ადგება და „ღმერთო, გაწვიმდიო", შევეხოწებით. მეიღურბლავს, ასე ღურბელი ადგება.

[რძალი:] ხოშკეკალაი გაწვიმდება. ხოშკეკალაჲ — ასე თეთრი გაწვიმდება-ჲა, იმა ხოშკეკალას ვეტყვით. ქარიშხალი მოიდაო. ქარიშხალი — ჰემ მესელა დიდად იწვიმებს, ჰემ დიდად ქარი იქროლეფს, ქარიშხალი მოიდაო. იმგვარობა არ ვიცით.

ვიტყვით — ზისთვალი ამოიდა.

[ცისარტყელას რას ეტყვით?]

[რძალი:] ჰა და სარტყელი ამოიდაო, გედეიღოს'ნაო ვიტყვით. თისარტყელაი. მივერე სარტყელსაც მევქსოვთ, წელზე მევიხვევთ.

[წვიმა რომ გადაიღებს?] გედეიყარა, ვიტყვით. [წვრილად რომ წვიმს?] —თოში მოიდა, თოში, ნისლის თოში. მესელა, დილიპირზე იქნება, თოში მუა.

[ელვას რას ეტყვი?]

[რძალი:] დეიელა, გეიელა — ვიტყვით. დეიგრუხუნა. ჰადა, დეიჭექა, დეიგრუხუნაო და ციციელაი ჩამუარდაო. ჩვენში ბევრი ჩამუარდნილი არი, ინსანზე ჩამუარდნილიაა, ეჲ, ისე არი ქი ჩამუარდება, ჲა ზროხა კვდება, ჲა ჴარი კვდება.ჲჲა, მესელა, ტყეში იქნები, ხის ზირში საქონელი იქნებიან, ისენი იხოცვიან. ჩემ ანას თერეფის სოფელში მეზობელ დეეცა და იშტე ქი დასცემოდა და მიწაში შიგან პირი მოსვლოდა. ჩეიტანა პირი და იშტე იქიდან გუდუურჩა. ზედან ემე ყოფილიყო, მოკვდებოდა. საქონელ დეეცნენ და საქონელი დეიჴოცნენ, ო.

[რძალი:] დილაზე ქი ბალახი სველი იქნება, იმა ტენ ვეტყვით, ტენი გუუგდია. თოში ნისლის თოშია, მესელა ჰავაში ადგება ნისლები, თეთთეთრი და ბულუთი იმა ნისლის თოშ ვეტყვით და დილაზე ქი დააგდებს,

იმა ტენ ვეტყვით. [ზამთრის პირზე რომ თრთვილს გააგდებს?] იმა ყირავ ვეტყვით, ყირავი მოიდაო.

[ვიწრო გზას რას ეძახით?]

[რძალი:] ფათიკა, ფეხიგზა, ბაწარი. ბაწარ ვეტყვით. ფაჩინკა ვქნათო და ბაწარი გავაკეთოთო, ისე ვიტყვით.

[ფერთა სახელები ვთქვათ]

[რძალი:] წითელი, ყვითელი, ḏეშილი. ეს — ყვითელი, ეს — ḏეშილი, ეს — მრეში.

[ანა:] ორი ჯინსი ḏეშილლია, ხედავ? ერთი ḏეშილი ეს არი, ერთი ეეს არი — სამი. მავი არი, ყვითელი, შავი შავია, თეთრის[ც] თეთრია. წითელი არი მესელა ორი თული — ერთი, ვარდი გულსა ეტყვიან, წითელი.

[რძალი:] ესკიდან, ზველათ ხვყავდა ვირები, ცხენები, ამა ახლა აღარ ხვყავ. ცხენი შვილ კვიც ვეტყოდით, ვირისა — მუტრუკ ვეტყოდით. იშტე ახალათ ქი დუნიაზე მოიდა, იმა მუტრუკ ვეტყოდით. ცხენისას კვიც ვეტყოდით. ცხვარისა — კრავი, თხისა — თიკანი. თიკანი ფხავის, ზროხა ყვირისო, იშტე არ იტყვიან, დია, ყვირისო, ისე ვიტყვით.

[ხომ არ გაცდენთ ძალიან?]

[რძალი:] რა გვაქ საქმე, რაი'ნა ისაქმო. რემეზანია. სიგარაზე ძაან მაჭირებს, ვერ გვისვამს-ḏა. ზათი ორი საათი ყართოფი ვთხარეთ, ემე ვქენეთ.

[ძაღლები გყავთ? მაგათ შვილებს რას ეძახით?]

[შვილი:] ზაღლები არიან. ლეკვები. ზაღლები ყეფენ.

[ქათმის შვილს რა ჰქვია?]

[რძალი:] ჭუჭული, წიწილსაც ვეტყვით.

[რძალი:] ტყეში ღორები არიან, გელები არიან, მელები არიან — მელა, ტურები არიან, ხოჯა ეზან კითხვას ქი დეიწყობენ, ჭყავიან.

[სოფელს რას ეძახით?]

[შვილი:] უსტამისი, უსტამისი გურჯული სახელი, ახალი სახელი — ესქიყალე.

[რატომ დაურქმევიათ უსტამისი?]

[რძალი:] მესელა მუხტრების სეჩიმი მოდის, ფერშედა მესელა, ḏა ოღრათმანი მოდის, ḏა ებე მოდის, იშტე მეჯბური სახელი'ნა დაარქვას, ქი ეს სოფელი არის'ḏა და უსტამისი — ესქიყალე.

[შვილი:] ესქიყალე იმიდამ მოდის, რატომ'მი დაარქვეს ზველის ზველად ყალე არი და ესქი — თურქჩე ზველი.

[ჩამოთვალეთ მეზობელი სოფლები]

[შვილი:] ჩიხისკვევი, ამ თერეფში ამოხვალ, ბაზგირეთია, აქეთ ჩიხორია... ეს ჩიხორიდან გადმოსულია, ეს ჩიხორულია... ვევწრულია, ბაზგირეთია, ზიოსია, უბე არი, ხოზბირია, ჩხაკათია, აგზე გავალთ, მოხობანია. ამ სერგადავლაზე ჩივთიბარი არი.

[მოხობანი რატომ ჰქვია, მუხებია?]

[რძალი:] არა იშტე, მაჰალე არი. თურქჩე უზუნის ებნევიან, გურჯიჯა მუხობან ებნევიან.

[გველი იცის აქ?]

[შვილი:] ჰო-ჰო, ბოტოტ ვეტყვით ჩვენ. ბოტოტი გზელია. ბობოლსაც ვეტყვით, ბოტოტსაც ვეტყვით.

[რძალი:] ვინცხამან წიგვიგველაო, ბოტოტი ვთქვით. ვინცხამან წიგვიგველა, იშტე ქი ბოტოტი მოგვაგონდა.

[შვილი:] ხვლიკი, ჟეშილი და დიდვანი არიან. [ერთნაირია?] ერთის პაწვანი არიან. იმა მეშველა ვეტყვით პაწას, პაწას მეშველას ვეტყვით, დიდ ხვლიკ ვეტყვით.

[საშიში რომელია?]

[რძალი:] ხლიკვი საშიშარია, ბოტოტის[ც] არი.

[შხამს რას ეტყვით?]

[რძალი:] ზეჰირი, აღვი.

[გველის ცურვით სიარულს რას ეტყვით?]

[რძალი:] ჰაადა, ბოტოტი მუაო, იხლანკვისო. გეიხლანკვაო. ბოჭოჭავაჲა, კობორჩხალია. კობორჩხალი — ასე ბევრი ფეჭები აქ. [სად იცის?] წყლიან ადგილში, ჩემი ბაჭალა წყალი(ს) გამოტანაზე წევდა, იმ ღელეებში წყლიან ალაგზე ფენა ბევრი იქნებიან. იმანას გიკბინა'ში აინი მოხკლავს. ფენა ზეჰირლი არიან. ერთის[ც] ისი, კუდკაშიკას ვეტყვით, კუდკაშიკაჲ — ასე ბოჭოჭავას გავს და წინეთკენ ქიები ასხია, უკანას აქნევს, კუდი აქ. იმან ქი გიკბინოსო, იშტე მოკვდებიო, ისე იტყვიან. კობორჩხალი, სხალაჲ, კუდკაშიკაჲ. სხალაის აინი იმას გავს, დიდრვან ბოჭოჭავებ, ზეჰირლი არიან ისენი. ისენი ფენა ზეჰირლი არიან. მესელა, კარ ვერ გააღებ, ქი არ შემოიდეს, ღამეში ძილში გიკპენს. ილლა და სიცხეში ჰავებში ბევრი არიან.

[როგორ წამლობენ?]

[რძალი:] დეინახავ, მეერიდო'ნა შენ.

[შვილი:] წამლობა კუდკაშიკამ ქი გიკბინა'ო, მოკლა'ნაო და დეიდვა'ნაო. ი აღვი დეიდვა'ნა ზედანაო, ამოწევსო. იმის ნაკბენსაც ზეს [რძეს] წუუსმენ, მაალოკებენ კატას. კატის პირიო ხუთო არისო, რაცხა გიკბენს, ჲა რაცხა, დეისხამ მაწონ რაცხა, კატას აალოკინებო.

ტყლაპევი ღელეს ვებნევით.

[რძალი:] ეს ჩემი ბახალა არი. მე რაცხა არ მითხრაო, გურჯიჯა არ ვისიო. არ დეივიწყებენ გურჟიჟას ბევრი.

საჭმელსას ვუყრით ია გამუუშვეფთ, ისეს მოძოვენ ბალახ.

6

[ლოცვა ხომ არ გინდათ და ხელს გიშლით?]

[რძალი:] არა, არა, ვილოცავთ ჩვენ — სახში წავალ, ა იგზე შევალ იქ.

[ტყემალი არის თქვენში?]

[რძალი:] არი ტყემალი. იმისა ტყლაპ გავაკეთეფთ, ლეჩერ გავაკეთეფთ. ყორავას ვაკეთეფთ.

[რძალი:] ერთი ასე გევხედო... რაცხა'ნა ვისაქმო, ოღლუშაღ ვუთხრა და.

[დილის საჭმელს რას ეძახით?]

[შვილი:] საუზმარი. შუადღიხან — ზარმელი, ვახშამი. ახლა ზველათ რავაი იყო: სულ ზველათ ახლა ადგებოდენ დილაზე, საუზმარი'ში, სადილი'ში ჭამდენ, წევდოდენ საქმეზე. საქმეს მეისაქმებდენ, მოუდოდენ, იმას მემრე სადილს ჭამდენ, ჲა კარგა ჭამდენ, იმას მემრე ისე შვადღეხან, შვადღეს, ჭამდენ — ვახშამი. ზარმელი ემეი და... სადილრ, ზარმელი შუადღეხან, ონიქიდა, ვახშამი — საღამოს.

[საუზმეზე რას ჭამდნენ?]

[შვილი:] საუზმარზე სულ ზველათ ჩორბას აადუღებდენ, ასე ჩაი, ბირმა ისენი არ ყოფილა. ჩორბა ისე შინდისა, მაწვნის ჩორბა, შორითანი საუზმარი ქონიან. ერთის[ც] ფუშრუკი შორვას ეტყოდენ — ქფილ წყალ'ში ამუუკიდებდენ, ფუშრუკი შორვას ეტყოდენ, იმა გააკეთებდენ ზველათ, სულ ზველათ ვამბობ. ახლა ისე ჩაი გამოუდა, ფშვნილაი გამოუდა, ფეინირი იშტე, ჩაი. სულ ზველათ ისე არ ყოფილა. [რას მიატანდნენ?] ექმექ ჩაყრიდენ იშტე შორვაში, პურ ემეს იქმოდენ, პურ. ჩაფშნა უნდანან — ჩაფშნიდენ, ჩაფშნა არ უნდანან — შიატანდენ.

[ხაჭაპური იციან?]

[შვილი:] აქ არ ვაკეთეფთ. ჲანი აქ აკეთებენ რავაი, წელწადში ერთი, მესელა, როიცხა ქი მოგაგონდება, მაშინ: ცოლ ეტყვი იშტე, ეს გააკეთე, ეს ჭამა მინდა.

ჭადი არი, ვაკეთეფთ, ჰო.

[სიმინდს როგორ ფქვავთ?]

[შვილი:] სიმინდ... წისქვილი გვაქ, წყლის წისქვილი გვაქ. ჩვენ წის-

ქვილი ქვას ვებნევით, წყალი ჩადის, წყალი ამუშავეფს იმას, ატრიალეფს, წყალი... ქვეშ ასე ემები აქ, ბორბლები აქ, წყალი ხვდება, ზედან ქვას ატრიალებს. პურის არი. პურის ითესება.

[პურს როგორ აცხობთ?]

[შვილი:] პურ... წყალში იშტე მაᲥას ურევენ, გობ'ში შიგან ზელვენ. ყრიან, ზელვენ, იქ გასუქთება ის. ამუა ზემოთ. მემრე ჩააწყობენ სობაში.

[როგორ იტყვიან, პური რა ვქენიო?]

[შვილი:] პური ჩასხი, Ქა პური ჩაუსხი. ჭადი იშტე ჩავაწყევ. ერთი პური თუ არი - ჩაუსვი, ბევრი პური ჩაუსხი. პური ჩასხმული მაქ. ის ცომი... ზველათ ცომის მაᲥა უხმარიან. ცომისა, იშტე ჩასხი, თან შეინახევდი, ხვალზეგ ნა ჩასხა'ნა, ჩადებდი ცომ ემეშიგან, ჩადებდი ჟავე ცომს, იმით კიდო ემეს იქმოდენ. ახლა ის ადგა, ახლა მაᲥა არი პაკეტები, ის ეიღრბ, მეიტან.

[შვილი:] გულიავ, ახლა ოღლუშაღ, ჩემ ცოლ კითხეთ, ახლა მე იმდენი არ ვისი. ახლა ეს ცოტა მოხათრო არი, ცხვენია.

[გულია:] მაᲥასა აყრიან შიგან, ზელავ იშტე. გუურჯიჯა ვერ მიმიფერებია Ქანი.

[შვილი:] პურ აქში ვაცხობთ. [მაგას რა ჰქვია?] - სობა. წინახან კეცები... ასე ემე იქნებოდა, ბუხარი, კეცებ მიაყუდებდენ, კეცებშიგან ჩეისხმებოდა. ბუხარს ეტყოდენ, ჰო. ახლა მე ცოტა მერე ზველების უკან...მარტვეი დავჟდებოდი, ანას, იშტე ზველებ ვალაპარაკებდი, რავაი რავაია, რავაი რავაია და იქედან რჩება Ქა.

[შვილიშვილი:] წასული ვარ მე აქედან.

[რამდენი ხანია წასული ხარ?]

[შვილიშვილი:] ათი გახდა.

[ამათი ვინა ხარ?]

[შვილი:] ჩემ ზმის შვილია, Ქეგანი. მე ემოᲥ ვარ იმისთინ. [ემო არის დიშვილი?] არა, არა! და, მაშინ ტაᲥა ვითვლები. ზმიშვილი არი ემოᲥ.

[გურჯული გესმის?]

[შვილიშვილი:] მესმის და თქმა არ მიჯება.

[არ გინდა რომ გურჯული იცოდე?]

[შვილი:] ვიცოდე კაი იქნებაო და ქი არ ვიცოდეო, არ უშავო.

[მშობლებმა იციან გურჯული?]

[შვილი:] ჰო, ლაპარაკობენ, ისიან. ერთი ძმა, ერთი და ყავს. ართვინში გუურჯი არ არიან. ართვინში გუურჯი რავაი არიან, აქიდან სოფლიდან ჩასული არიან. ბორჩას არიან გუურჯები, მაჭიხელ. იქევრობაში არიან — მაჭიხელ.

[ლივანას რომელ მხარეს ეძახიან?]

[შვილი:] ართვინ. ჰო-ჰო, ბორჩხას სოფელია მარადიდი.

[ჭოროხს როგორ ეძახიან?] ჭორუღია. ღელიები არი. [ღელე პატარაა?] პატარას ღელიებ ვებნევით, ისე დიდ ჭორუღ ვებნევით. ჲოხ, ჭორუღი ღელე არ არი. ჭორუღიწყალ ვებნევით. [ფაფართი ღელეა?] ფაფართი იმერხევ არ არი. ფაფართი, ფაფართი, ფაფართი... ჰო, ფაფართი იმერხევი თერეფშია. ამ თერეფ უკან ჩება. ამ თერეფშია ფაფართი. იქას[ც] მეიდან-ღელეს ვებნევით.

მე გურჯი ვარ.

[წინაპრებისგან რა გაგიგიათ?]

[შვილი:] ზველათ, ბევრი წინახან, ზოგი აქ დავრჩომილვართ, ჲანი ესენი ჩვენი ზველები ილაპარაკებდენ, ზოგი... იშტე გაჭრილა ასე, ზოგი აქ დავრჩომილვართ, ზოგი იქ დარჩომილან. [იქ სად?] იქ დარჩომილან, ჰად და იტყოდენ, ქი იმდენი შექვშინებიან ქი, მაღარებში, მაღარებიდან არ გამოვდიოდით, არევლიც იყო იქ, რა დროსაც თელი დამთავრებულა, ემექ-ნილა, იმას მერე აშუღზე გამოვსულვართ, ზოგი აქ დავრჩომილვართ...

[რა დროს იყო ეს?]

[შვილი:] ჩემი... ანასი ანაი, ჩემ ანასი ანაი, იმ დროდან, ბუ ზამანან, ჲეთმიშ-ჲუზელი... [გურჯისტანში ცხოვრება გინდათ?]

[შვილი:] ზოგი არიან, რამდენს უნდა გურჯი იყვენ, ემე იყვენ, თქვე-ნიდან შორ გეიქცევიან, ზოგის არიან, თურქებიდან თქვენდან ემეს იქმენ, თელი სხვადასხვა არიან. ჲანი მე გურჯისტან ცხოვრობა მინდა, აქ ცხოვრო-ბა მინდა.

[სიტყვა **ტოლი** იცით?]

[რძალი:] ჰოო, ერ წლის ღარჭები, ვიტყვით. ჩემ ბაჭალაზე ოთხ თვით პაწაი არი ესა.

[შენ რა გქვია? შვილიშვილს მივმართავთ.]

[შვილიშვილი:] დოუქან ერდემ.

[შვილი:] ერ თუ უნდანან, ჲანი მე თუ ერ მინდა ჩემ შვილისა ქარ-თული დაწავლება, მე ზათინ ვაწავლი, ზოგი არიან, ოღლუშაღ არ ალაპა-რაკებენ, არ აწავლიან... მე ქი ვაწავლი, მე, მესელა, ხანდიხან ანას უკან, ჩემ ანას უკან მარტვეი დავჩები, ჲა სოფელში ჲაშლი ვიცხა არი...

[შვილი:] ზოგ ახლა ვიგნებ და ზოგი ვერ გიმიგნია. ზოგი რაცხები, ახლა ერთმანებში რომ ვლაპარაკოფთ'ჲა, ვერ გემიგნია. ისე ზოგ ვიგნებ, ზოგ ლაპარაკ ვიგნებ, ზოგ ვერ ვიგნებ.

[ბაიარს მიჰყავს ტელეგადაცემა]

[შვილი:] ჰო-ჰო, ისტამბულ არი, აქაც არი, ყარადენიზშიც არი.

[რძალი:] იმას ამბობს, თმიები ქი ასხია, იმა ამბობ? შაჰინ ბაᲥარი... არა, ის არა, ჭო.

[შვილი:] ნურბაი, თუ?

[რძალი:] ჰო, ნურბაი, ნურბაის ამბობს. ნურბაი არი, გამოდის.

[შვილი:] უფასაფორტოტ ვერ გადასულხარ. ვიზე კჭირდება.

[რძალი:] ბევრი, მესელა, ჩვენიდან გადადიან იქა, თქვენშრ, იღებენ რაცხა უნდა, მააქვან.

[რა?] მააქვან, სიგარა მააქვან. მესელა, გადადიან, არაბებში ასხმევიებენ, გადმოდიან. [ბენზინს?] — მაზუთი, ბენზინი.

2010 წლის ივლისი.

სიტყვების ახსნა

ამა — (თ. ama) მაგრამ

ამᲩალიდან — მავანიდან, ამა და ამ

ბაᲯალა — გოგო, ქალიშვილი

ბეზი — (თ. bez) ტილოს ქსოვილი

ბეკმეზიᲩექმეზი — ბაქმაზი, დადუღებული ხილის წვენი

ბილა — (თ. bile) ნაწ. -ცᲮკი. „დანახული ბილა [დანახულიც კი] არ მქონდა“.

ბირემედენი — (თ. birdenbire) უცებ

ბოლათ — ბლომად

ბუზდოლაბი — (თ. buzdolabi) მაცივარი

გალეშება — გაგიჟება

გამოწევა — გადაღება ფოტოსი, ვიდეოსი; „არიან გამოწეული“ — გადაღებული არიან

გარჩევა — გამოყოფა, გაყრა, მოშორება

გაყოლავდა — (<თ. kolay) გაადვილდა, გაიოლდა

გაშენდენ — აქ: მომრავლდნენ, მოვიდნენ

გოᲩა — (თ. guya) თითქოს, ვითომ

დაბარიშება — (თ. bariş) შერიგება. **ვებარიშებით** — ვურიგდებით

დადექ — აქ: მოიცა. „დადექ, რას ეტყოდა?“

დია — დიახ

დიბეგი — (თ. dibek) აქ: როდინი

ებე — (თ. ebe) ბებიაქალი

ერთ დრამი — ერთი ბეწო, ერთი მისხალი

ეთამ — იგივეა, რაც **ერთ დრამ**

ელჩი — (თ. elçi) აქ: შუამავალი, მაშვალი

ემექლი — (თ. emekli) პენსიონერი

ემოშვილი — (<თ. დიალ. emmi) ბიძაშვილი მამის მხრიდან

ენწინახან — (თ. en აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელი) სულ პირველად

ზათი — (თ. zati) საერთოდ, მაინც, არსებითად, ნამდვილად

ზაფი — ძაფი

ზეჰმერი — (თ. დიალ.) იანვარი

ზირთული ლობიო — ძირა, დაბალი ლობიო

ზოფა — (თ. sopa) კეტი, კეტით ცემა

თანე — (თ. tane) ცალი, თავი. **რამდენთანე** — რამდენი; **ერთთანე** — ერთი, ერთ-ერთი

თავით — თავად, თვითონ

თემიზ — (თ. temiz) სუფთა, სწორი

თექრელ — (თ. tekrar) ისევ, კვლავ

თიღი — (თ. tiğ) საქსოვი ჩხირი

თიქრინ — იგივეა, რაც **თექრელ**

იმერაყა — (<თ. merak) იდარდა

იფთარი — (თ. iftar) რამაზანში საღამოს წყლით პირის გახსნა

იქ — (<იქმ) იზამ

იქინჯიდა — (თ. ikinci da) მეორედაც

იშენლიგებდენ (<თ. şenlik) — იმხიარულებდნენ

იშტე — (თ. işte) ისე, ასე, სწორედ ასე

კულას(ც) — (<კვლავაც) წინათ

მალე — ადრე

მევრე — მერმე, შემდეგ, მეორე

მესელა — (თ. meselâ) მაგალითად

მეჯბური/ბეჟბური — (თ. mecburi) აუცილებლად, უსათუოდ

მიმიკვდა — მომიკვდა

მოშოშტაი — გოგრა

ია — (თ. ya) 1. ნაწილაკი: დიახ, ჰო, ხომ 2. კავშირი **ან**

იაზმა — (თ. yazma) აქ: თავსაფარი

იანი — (თ. yani) ესე იგი, სინამდვილეში, ნამდვილად, სიმართლე რომ ითქვას

ეგანი — (თ. eğen) ძმიშვილი, დიშვილი

ენილი — (თ. yeni yıl) ახალი წელი

ეშილი — (თ. yeşil) მწვანე

ო — (თ. yok) არა

ონბეშიაშინდა — (თ. onbeş yaşinda) თხუთმეტი წლის ასაკში

ონიქი — (თ. oniqi) თორმეტი

ოა — (თ. oya) მაქმანი თავსაფრისა და ცხვირსახოცისა

ოღლუშაღი — (თ. oğul uşak) აქ: მეუღლე

ოღრათმანი (თ. öğretmen) მასწავლებელი, პედაგოგი

სამა — ცეკვა, ისამებდენ — იცეკვებდნენ

სერბესი — (თ. serbest) თავისუფალი, იოლი

ტათლი — (თ. tatli) ტკბილეული, ტკბილი თავი საჭმელი

ტაა-ბიბიაშვილები — ბიძაშვილ-მამიდაშვილები

უკან — ზოგჯერ: ერთად. „დედამთილის უკან“ — დედამთილთან ერთად

უსულ-უსულ — (თ. დიალ. usul-usul) ნელ-ნელა, ფრთხილად

ფატიკი — (თ. patik) მოქსოვილი ფაჩუჩები

ფენა — (თ. fena) ძალიან, მეტისმეტად

ფესტილი — (თ. pestil) ტყლაპი

ფეშტუმ — (თ. peşin) წინასწარ, ადრევე

ქომა/ქუმა — ჩურჩხელა. აქ კეთდება თუთის წვენის თათარისაგან.

ყიშლა — (თ. kışlak) საძოვარი ზეგანში; იალაღზე აყვანამდე და იალაღიდან უკან დაბრუნებისას საქონელს ყიშლაში აჩერებენ.

ყურაღი — (თ. kurak) გვალვა

შეშა — 1. ხის მასალა, 2. შეშა

შილი — რძალი; ძმის, მაზლის ცოლი

შირა — (თ. şira) ყურძნის ან სხვა რამ ხილის წვენი

ჩარში — (თ. çarşi) ბაზარი, ცენტრი

ჭლიკი — ფეხი

წვე — ძალიან

ჭუკი — ყველის შრატი, სველი

ჯვალი — ტომარა, ლაილონი(ს) ჯვლიები — ხელოვნური მასალისგან შეკერილი ტომრები

ჰამილულობა — (<თ. hamile) ორსულობა

ჰასტაჰანე — (თ. hastahane) საავადმყოფო

ჰემ — (თ. hem) ზმნზ. თან

N. Surmava

The Observation of the Imerkhevian Speech (Based on the field materials, 2009-2010)

Summary

The paper deals with the grammatical and lexical survey of the speech of one of the oldest parts of historical western Georgia - Imerkhevi, according to the materials gained in 2009-2010. This is not a full descriptive analysis but materials for such analysis.

Imerkhevian speech with its grammatical, lexical and intonational peculiarities shows the similarities with the dialectal sub-systems of high Achara and Meskheti. In some cases there is the initial step of phonetic process, which has been completed in Acharian. It is especially clear in the process of interaction of the preverb and following vowel prefixes.

We should remark the metathesis of personal marker after the stem consonant: chvamt, xvedav.

In the Imerkhevian speech there still exist a lot of lexical units and word-formational patterns likely characterizing middle Georgian: xvlivi (xvliki), dgiv (dgisit), martiv (marto), sauzmari (sauzme), kalai (kalia), meli (mela).

We should pay attention to the thematic vocabulary, namely the terms from apiculture, stockbreeding, fruit-growing, field-husbandry and gastronomy. We can often find the synonyms of those words in other Georgian dialects. E.g. puris chasxma, dzroxa xbos iqms (qna), mercxali (mocxari), titviri (tuchi), ganatleba (ganateba)...

As for the interferential occurrences, interferential involvement of the Turkish language is clearly seen in the field of syntax, e.g. Just like the Turkish interrogative sentence in this dialect such sentences add the endings -ია(ya), მი(mi). Sometimes the Turkish conjunctional word –ki is used instead of the Georgian conjugation -რომ. The interference takes place in phrasal calques, during the increasing or reducing the amount of the meanings of words.

სარჩევი

ა. არაბული — ვარლამ თოფურიას ადგილისათვის XX საუკუნის ქართველოლოგიაში.....3

A. Arabuli — Varlam Topuria Incarnates the Internal Energy and the Dynamism of one of the Most Important Period of the Georgian History.....14

ც. ბენდელიანი — ურთხმელი — ლინგვისტური, ეთნოლინგვისტური და სარწმუნოებრივი ასპექტები (ენათა კონტაქტებისა და სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით.....15

Ts. Bendeliani — The Yew — Linguistic, Ethno linguistic and Religious Aspects.....33

ვ. ბოედერი — სივრცული მეტაფორები ქართულ ზმნისწინებში.....34

W. Boeder — Spatial Metaphor in Georgian Preverbs.....54

თ. ბურჭულაძე — იშვიათი სინტაქსური კონსტრუქცია მთის კილოებში.....55

T. Burchuladze — Infrequent Syntactic Constructions in Mountain Dialects.....60

ე. გაზდელიანი — ნათესაობითი ბრუნვის მორფემები ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურში.....61

E. Gazdeliani — Morphemes of Possessive Case with the Names that end in Consonant in Svan.....75

გ. გოგოლაშვილი — ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები. 3. ძველი ქართული ენის დიალექტური შედგენილობისათვის.....76

G. Gogolashvili — Issues of Historical Dialectology. 3. On the Subject of the Dialectological Constitution of Old Georgian.....83

ლ. ეზუგბაია — ქართული ენის მართლწერის შესამოწმებელი კომპიუტე-
რული პროგრამის კონცეპტუალური საკითხები ზმნის
მოდელირების მიხედვით 84
L. Ezugbaia — Conceptual Issues of the Spellchecker of the Georgian Language
According to Verb Modeling 90
ც. კვანტალიანი — წმინდა და წმიდა ფორმათა მონაცვლეობისათვის
თანამედროვე ქართულში 92
Ts. Kvantaliani — On the Subject of the Alternation of words - **çminda** and
çmida in modern Georgian 96

მ. კობაიძე — უღლების ტიპების შესახებ ქართულში 98
M. Kobaidze — Conjugation types of Georgian verbs 130

ქ. მარგიანი-სუბარი — ომონიმური -უნ სუფიქსისათვის სვანურ
ენაში 132
K. Margini-Subari — On the Subject of the Homonymous Suffix -un
in the Svan Language 145

თ. მახარობლიძე — ზმნისწინის ექვსი ფუნქცია და ზმნისწინთა
კლასიფიკაცია 147
T. Makharoblidze — The Functions of Georgian Preverbs 156

ნ. ოთინაშვილი — სოფელ ტინისხიდის ონომასტიკონი 158
N. Otinashvili — The Onomasticon of the Village Tiniskhidi 161

დ. ჟღენტი — წყვეტილის ზოგიერთი სემანტიკური თავისებურებების
შესახებ ქართულში 162
D. Jghenti — Some of the semantic peciliarities of the Past Participle in the
Georgian Language 170

მ. საღლიანი — იდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის
ქართულში 171
M. Sagliani — Towards the **elizion** identical comlex vowels in Svan 198

ნ. სურმავა — დაკვირვებანი იმერხევის მეტყველებაზე
(2009-2010 წწ. მასალების მიხედვით).....200
N. Surmava — The Observation of the Imerkhevian Speech
(Based on the field materials, 2009-2010.....221

მ. სუხიშვილი — გუნი „სიყვითლის სენი“ (საბა) 222
M. Sukhishvili — *Guni* ‘Jaundice’ (Saba) 233

თ. უთურგაიძე — მორფემათა გრამატიკული კავშირებისათვის
(სახელები და ზმნა — ფორმაცვალებადი
მეტყველების ნაწილები 234
T. Uturgaidze — On the Subject of the Connection of Morphemes 245

ნ. შავრეშიანი — მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის
სინტაქსური ურთიერთობისათვის სვანურში 246
N. Shavreshiani — Towads the syntactic relation between relative pronoun and
correlative word in Svan 267

მ. შანიძე — ვაჟა-ფშაველა და ქართული სალიტერატურო ენა 268
M. Shanidze — Vazha-Pshavela and Georgian Literary Language 285

ი. ჩანტლაძე — ვარლამ თოფურიას „სვანური ენის სახელმძღვანელოს“
მნიშვნელობა ქართველოლოგიისთვის 286
I. Chantladze — The Importance of Varlam Topuria’s “The Text-book of the
Svan Language” for Kartvelology 298

მ. ჩუხუა — კვართი და სხვა სამოსელი საერთოკავკასიურ ფუძე-ენაში.....299
M. Chukhua — An Alb and Other clothes in Common Caucasian redical language...304

რ. ჭკადუა — რელატიური ვნებითის ფორმათა დამატებითი
მნიშვნელობებისათვის სვანურში 305
R. Chkadua — Towards the additional information of relative passive voice in Svan..316

ნ. სურმავა — ქართული დიალექტური ტექსტები იმერხევის მეტყველებიდან.....317
N. Surmava — The Observation of the Imerkhevian Speech (Based on the
field materials, 2009-2010) 343